

თბილისის მერობის წითელი დროშის ორდენოსანი საბუღალტრო
უნივერსიტეტი

ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ტოპონიმოკური
კვლევის რესპუბლიკური ცენტრი - ტოპონომიკის დაზოგადება

ო ნ თ ა ს ტ ი კ ა

I

აკად. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი ს
საერთო რედაქციით

თბილისი 1987

ბოლო წლებში რესპუბლიკაში ფართოდ გაიშალა კვლევა-ძიება ონომასტიკის ყველა სფეროში. ამ მუშაობას კოორდინაციას უწევს ასეუ ახალი ქართული ენის კადეძრასადან არსებული ტოპონიმიკური კვლევის რესპუბლიკური ცენტრი - ტოპონიმიკის ლაბორატორია. მან 1976 და 1980 წლებში გამოსცა ორი კრებული: „ტოპონიმიკა-I“ და „ტოპონიმიკა-II“. „ონომასტიკა-I“ ივარაუდება ამ სერიის გაგრძელება. იგი შედგება ხუთი ნაწილისაგან: ტოპონიმიკა, ანთროპონიმიკა, კოსმონიმიკა, თეონიმიკა, ზოონიმიკა.

В последнее время в Республике широко развернулась исследовательская работа по всем сферам ономастики. Координирует эту деятельность Республиканский центр топонимических исследований - Топонимическая лаборатория при кафедре новогрузинского языка ТГУ. В 1976 и 1980 годах она издала два сборника: "Топонимика-I" и "Топонимика-II". "Ономастика -I" - продолжение этой серии. Она состоит из пяти разделов: Топонимика, Антропонимика, Космонимика, Теонимика, Зоонимика.

ტომის რედაქტორები: ბ. ც ხ ა ჯ ა ი ა

ბ. ჯ რ ბ ე ნ ა ძ ე

რეცენზენტები: ალ. ლ ლ ო ნ ტ ი

ო. უ რ ი დ დ ი ა

© აბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, აბილისი, 1987

20000

Д --
608r.06187-

მზია ანდრონიკაშვილი

ირანული ტომონიმიკური ელემენტები ზოგიერთ
ქართულ დიალექტში

მრავალსაუკუნოვანი მჭიდრო ისტორიულ-პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის შედეგად ირანულ ტომებთან, როგორც ცნობილია, ქართულ ენაში დამკვიდრდა მრავალრიცხოვანი ირანული ელემენტები, რომლებიც ქართულ ლექსიკაში სხვადასხვა ქრონოლოგიური ღონისა და სხვადასხვა დიალექტური წრეების წარმომადგენელნი არიან ირანულ ენადა ისტორიულ-დიალექტოლოგიური კლასიფიკაციის თვალსაზრისით. რა თქმა უნდა, ეს მოვლენა საქართველოს ტომონიმიკაშიც აისახა, ისე როგორც ონომასტიკაში. ინდო-ირანული ტომების მიგრაციების შესახებ თავისი პირვანდელი სამშობლოდან მრავალ თეორიებს შორის უკანასკნელ ხანებში სულ უფრო და უფრო მეტი მხარის დამჭერი ჰყავს არიელთა ირანის პლატოზე გადასახლების ჰიპოთეზებს შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროებიდან და სამხრეთ რუსეთის სტეპებიდან კავკასიის გავლით. ამაცე დროს, კავკასიაზე გადავლა ხდებოდა არა ერთგზის და არა ერთი ტომის მიერ. განსაკუთრებით საინტერესოა ირანული მოდგმის ხალხებიდან კიმიჩიელთა, სკვითთა, მიდიელი და სპარსელი ტომების გადმოსვლის შესახებ მოსაზრებანი ევროპული და საბჭოთა მეცნიერებისა. მათ შორის უნდა აღინიშნოს ჰიუზინგის [1], გირშმანის [2], მაირჰოფერის [3], გრანტოვსკის [4], დანდამაევის [5] და სხვათა შრომები. განსაკუთრებით აღსანიშნავია აგრეთვე თ. გამყრელიძისა [6] და ვს. ივანოვის მოსაზრება ინდოევროპელი და არიელი ტომების წინააზიიდან გავრცელების შესახებ [7].

ძალიან საინტერესოა ამ თვალსაზრისით ძველქართულ საისტორიო ტრადიციაში დაცული ირანული სატომო და გეოგრაფიული სახელები:

სპარსი, მიდი, მარი, პართი, უტიკი (ხუტიკი), რატიკი, ასპანელი, ქურდი, ხვარასნელი, ჯორჯანი; აღარბადაგანი, არშაკეთი, ასპანი, გაძძაკი, რანი, საგასტანი (საბასტანი), სპარსეთი, ქურდევანი, ხურასანი, ხუესტანი, ჯორჯანეთი და სხვა [8].

აღსანიშნავია აგრეთვე სკვიორ-აღანურ-ოსური ეთნიკური და ტოპონიმიკური სახელები: სკვიოი (ქვეყნის სახელად სკვიოე), აღანი, ოესი (ოესეთი, ხასკუნი, თეძამი) [9].

გარდა ამისა, საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ არეალში გვხვდება მთელი რიგი ტოპონიმებისა, რომლებიც თავისი ფორმით, უცვლელია, უკავშირდებიან უძველეს ირანულ ეთნიკურ და გეოგრაფიულ სახელებს და წარმოადგენენ სარწმუნო კვალს, დატოვებულს კავკასიის ტერიტორიაზე გავლილი ირანული მოღვაწის სხვადასხვა ტომების მიერ.

დღეს ჩვენი ინტერესის განსაკუთრებულ საგანს შეადგენს უძველესი ტარული ტოპონიმები და ეთნიკური სახელები, დადასტურებული ზოგიერთ ტარულ დიალექტში, სახელდობრ, მოხურსა და მათუშურში. ეს სახელებია მოხური ს პ ა რ ს ა ნ გ ე ლ ო ზ ი და შ ა ღ ა მ ა გ ო ბ ა, თუშური ფ ა რ ს მ ა და მთის სახელი ს ბ ე რ ო ზ ა.

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე:

I. ს პ ა რ ს ა ნ გ ე ლ ო ზ ი - სალოცავი ხატი, რომლის ნიშა ხევში წუერის მთაზე იმყოფება. ტარული დიალექტოლოგიის საბუთებისტები ამ სიტყვას უკავშირებენ ან ეთნიკურ სახელს ს ბ ა რ ს ა ან სიტყვას ს ბ ა - „ლაშქარი“ (იხ. შ. ძიძიგური), რაც, ჩვენი ფიქრით, არ არის დამაჯერებელი. ხატის სახელი სპარსანგელოზი, ისე, როგორც მრავალი სათემო დედაების სახელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისა, უნდა მომდინარეობდეს ადგილის სახელიდან (შეადარეთ გუდანის ჯვარი, არხოტის ჯვარი, ხახმატის ჯვარი, დიქოსის ჯვარი და სხვა). ამოსავალ ტოპონიმად უნდა ვივარაუდოთ ფ ა -

რ ს ი ა ნ პ ა რ ს ი, რომლის წინ განვითარებულა ბგერა ს, ისე როგორც ამას ადგილი აქვს სიტყვებში ს-პარსი = ირ. Pārsas, ს-პილო = ძვ. ირან. pīru, ს-პილენძი = მიდ. * pilinz და სხვ. ს-ვითარდება მკვეთრი და ფშვინვიერი ხშულების p, t, k -ს წინ. შდრ. სახელი ფრიდონი, რომელიც მესხურ დიალექტში წარმოდგენილია სპირიდონის სახით, ხრლო სიტყვა თ უ რ მ ე მოხეტრში წარმოდგენილია როგორც სტრუმე (თურმე = თრუმე = სტრუმე).

სემანტიკური თვალსაზრისით ამოსავალ ფორმად სპარსისა (სპარს-ანგელოზში) უნდა ვივარაუდოთ ირანული pārsas „გვერდი, მხარე, ნიკანი“, რომელიც დამოწმებულია სკვითურში. შდრ. Περσικὸν ἄκρον „გვერდ-მაგარი“, ახალი ირანული ენებიდან ოსურში გვაქვს faras „გვერდი“, ქურთ. pārsas „ნიკნი“, ახ. სპ. pahlū (parṣu / pārsu) „გვერდი, ფერდი, მხარე, გვერდი, თან, ახლოს“. პამირის ენებში pērs, საკურ-ხოტანურში pārsu, pārsuā „ნიკნი“. შდრ. ავესტური pārsas „ნიკნი“, „გვერდი“, „ნაპირი“, pārsva „გვერდი, თან“, ძვ. ინდ. pārsu „ნიკნი“, pārsva „გვერდი, მხარე“, ძვ. სლავ. прѣси, რუს. перся „გვერდი“ (ქალისა). ოსურში, გარდა faras ფორმისა, გვაქვს ნაწარმოები farask „ნიკნი“, საიდანაც წარმოდგა ქარა. ფერცხალი farsixvazag „გვერდის ენა, ელენა“ ([10] 423-424),

გამოთქმა farsma „გვერდი, ირიბად, გვერდი მყოფი, გვერდულ საკვამელი“ ადგილობრივი ბრუნვაა faras-ისა.

ქართულშიც გამოთქმები გვერდი, გვერდი, პირი, პირა, მხარე ცნობილი ტოპოფორმანტებია და ძალიან გავრცელებულია, ისევე როგორც სხვა ენებში, გეოგრაფიულ სახელითა მაწარმოებლებად. შდრ. გვერდისუბანი, მუხათგვერდი, რუისპირი, არაგვისპირი, რუსული край და окраина --> Украина. მსგავსად ნაწარმოები ტოპონიმებით მდიდარია ირანული სამყაროც, მაგრამ საინტერესოა ის გარემოება, რომ თვით ისეთი მნიშვნელოვანი გეოგრაფიული და უნიკური სახელწოდ-

ბანი, როგორც არის PARSა სპარსელი, სპარსეთი⁶⁶ და PARSAVA
„პარავა, პარავლი“ დაკავშირებულია parsu|parv (ავერდი, მხა-
რე, განაპირა⁶⁷) ფუძესთან და უძრის დაახლოებით რუსულ Окраина -ს
(„განაპირა მხარე“) გარკვეული გეოგრაფიული პუნქტის ან ქვეყნის
თვალსაზრისით. ამიტომ მოხერხი ს-პარს-ი სპარსანგელოზში შესაძ-
ლებელია გაცივთ რაგორც ადგილის სახელი ავერდიით ან განაპირა⁶⁸
და ჩანთვალთ ნასესხებად სკვითურ-აღანური ირანულიდან.

2. ასეთივე წარმომავლობისა უნდა იყოს თურქი სოფლის სახელი
ფარსმა, ე.ი. ავერდიით, განაპირა⁶⁹, იგი ზუსტად ემთხვევა ფონე-
ტიკურად თვალსაზრისით ისურ გამოთქმას PARSMA. ავერდიითა, გვერ-
დით⁷⁰. სკვითური ელემენტების არსებობა არ არის გამოჩენილი არც
ნახური ენების ლექსიკაში. შესაძლებელია, ეს სახელწოდება ერთ-ერთი
ასეთი აღანიხში იყოს წოდებულში ანუ ბაცებურში.

3. მონღოლში გვაქვს დადასტურებული აგრეთვე გამოთქმა შადამა-
გობა, ე.ი. შადამაგას (ადგილის სახელია) დენასასწაული. ამ სიტ-
ყვის ეტიმოლოგია ისურ ნიადაგზე ასეთია: Шадде жмаггегасег⁷¹ Шадде
„ასი“ [11].

შეადარეთ ხეცურული სახუმეტოს ხატი, სადაც აგრეთვე რიცხვი-
თი სახელი მონაწილეობს.

4. ს ბ ე რ ა ზ ა ... მის სახელია თუშეთში. ხშირად იხსენიება
მიიღობა ფოკლორის ნიმუშებში სპეროზის მთა, სპეროზის ნიაგი და
მისთანანი.

ეს სახელიც წარმოშობით უძველესად ირანულია... თაყვიდური ს-
აქბე განვიტარებული უნდა იყოს, როგორც სპარსში, სპილოში და სპი-
ლინდში გვაქვს... ხოლო ფორმა pērōz | pērōz ცნობილი საშ. ირანული
სიტყვაა, რომელიც გამარჯვებას ან გამარჯვებულს აღნიშნავს და
იხმარება ძირის სახელიად. შდრ. ძვ. ქართ. ბეროზ, ბეროკავრო სივ-
ნიელი (ე.ი. ბეროზის ასული); ახ. ქართ. ფირუზსფირუზა და მისთ.
ლტა დაწერილებით უნდა შევიჩრდეთ სპარსის⁷² ეტიმოლოგიაზე.

ირანელთა აღმნიშვნელი სატომო სახელებიდან ყველაზე გავრცელებულია ქართულში სპარსი, ისევე, როგორც მისგან ნაწარმოები ქვეყნის სახელი სპარსეთი, ზედსართავი სპარსული და კრებითი სახელი სპარსეთობა. ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში ამ სახელის ქვეშ ზოგჯერ არაბებიც იგულისხმებიან: (ახლო მეორესა წელსა აიღო მეფემან ქალაქი ტფილისი ბირველსა იმსა, ოთხას წელ ქონებელ სპარსთა [მატ. ქართ. 2182]).

უძველესი ირანული ფორმა ამ სახელისა არის აქამენიდების ლრ-სმულ წარწერებში დაცული ძვ. სპარსული Pārsa -საერთო სახელწოდება როგორც ხალხის, ისე ქვეყნისა და ენისათვის. ასე ეძახდნენ თავის თავს სპარსელები და სხვა ხალხებიც მათ ამ სახელწოდებით იცნობდნენ. შდრ.: ძვ. სპარს. Pārsa „სპარსი, სპარსეთი, სპარსული“. საშ. სპარსულში Pārs -ფორმა მეტწილად ქვეყნის აღმნიშვნელ სახელად გვივლინება, ხოლო ხალხისა და ენის აღსანიშნავად საჭირო გახდა ზედსართავის საწარმოებელი -ik სუფიქსის დართვა. შდრ. საშ. სპარსული pārsīk „სპარსული, სპარსელი“; ახალსპარსული pārsī.

სომხურში გვაქვს Pārs-k „სპარსეთი“ (სიტყვაასიტყვით „სპარსნი“). უფრო მოგვიანებით სპარსეთის სახელი ნაწარმოებია pārsīk ფორმიდან: Pārskastān, pārskākan „სპარსული, სპარსელი“. არაზიზირებული ფორმებია fārs და fārsī, ხოლო ბერძნული - Πέρσες, Πέρσες.

ქართული სატომო სახელი სპარსი, როგორც ჩანს, მომდინარეობს საშ. სპარსული Pārs ფორმიდან, რომელიც არშაკიდებისა და ადრესასანურ ხანაში ჯერ კიდევ იხმარებოდა ქვეყნისა და ხალხის საერთო სახელად, ხოლო ქვეყნის აღმნიშვნელი სპარსეთი ნაწარმოებია -ეთ ადგილის ხახელთა საწარმოებელი ქართული სუფიქსით. ზემოთ მოყვანილ ფორმებს სპარსელთა აღმნიშვნელი სახელებისას - ირანულსა თუ უცხოს - ქართული ფორმა სპარსი თავისი თავკიდური სანიით უპირისპირდება, რომელიც სხვაგან არსად არა გვაქვს, როგორც ეს ზემოთ

იყო აღნიშნული.

თეიმ ეთნონიმიისა და ტოპონიმიის - ს პ ა რ ს ი ს - ეტიმოლოგია საბჭოთა ენათმეცნიერულ და ისტორიულ ლიტერატურაში უკავშირდება ზემოაღნიშნულ ირანულ სიტყვა *parsa* || *par u* -ს „ვეერდი, მხარე, ნაპირი“. ოღონდ სხვადასხვა მკვლევარები მის სხვადასხვა სემანტიკას მიმართავენ. მაგ., დიაკონოვი თავის „მიდიის ისტორიაში“ [12] თვლის, რომ IX ს. ასურულ წყაროებში დადასტურებული ფორმები *parsa* და *parsum* ტოპონიმებია, რომლებიც ნიშნავს განაპირა-ს (*OKPDA: - PAB*) ე.ი. განაპირას მიდიის მიმართ. ხოლო გრანტოვსკი უარყოფს ამ მოსაზრებას და უპირატესობას აძლევს გვერდის - როგორც სხეულის ნაწილის - მნიშვნელობას და თვლის, რომ უძველესი ასურული და ურარტული წყაროების *Parsuma*, *Parsumam*, *Parsumam* და *Parsum* ეთნონიმებია და აღნიშნავენ გვერდმაგარს ე.ი. მაგარი, ძლიერი აღნაგობის მქონე ხალხს [4].

რა ძემა უნდა, ორივე ავტორს თავიანთი ეტიმოლოგიები გამოყენებული აქვთ საკუთარი დებულებების შესამაგრებლად სპარსელთა აღმოსავლეთიდან (შუა აზიიდან) თუ ჩრდილო კავკასიიდან და სამხრეთ რუსეთიდან კავკასიის გავლით შიდა ისტორიულ ტერიტორიაზე მოსვლის გზების შესახებ.

5. თ ვ ს ი (ა ლ ა ნ ი) - ს კ ვ თ ი. ოვსი-ოსი ქართული სახელწოდებაა ალანებისა და ოსებისა როგორც ძველ წერილობით წყაროებში, ისე ქართულ დიალექტებში (იხმარება ტერმინები დიგორი და დვალცი). ძვ. ქართული ფორმა სკუი, რომელიც ამოსავლად გულისხმობს ბერძნულ სახელწოდებას Σκυσίη (მრ. Σκυσίηαι), მხოლოდ ძველი ქართული მწერლობის კუთვნილებაა. აღნიშნულ ბერძნულ ტერმინს ესეველოდ მიღერი განიხილავს, როგორც ნაწარმოებს ირანული სატომო სახელიდან ხოლო ბერძნ. Σκυσίη-ს თვლის *skax*-ს მრავლობითი რიცხვის ფორმად ([13] 181-183).

ვ. აბაევი არ იზიარებს ეს. მიღერის ამ მოსაზრებას იმ მიზეზის

გამო, რომ ხმოვნის ჩავარდნა ერთმარცვლიან სიტყვებში ალანურ-ოსურში მოსალოდნელი არ არის, მაგ., ოს. შაგ „ორმი“ (რომელიც, მისი აზრით, საფუძვლად უდევს ირანულ სატომო სახელ შაკა-ს) მრავლობითის ფორმით არის შაგტჷ და არა შაუტჷ. ე. აბაევის აზრით, ბერძნულ ფორმა Σκῦλα-ს საფუძვლად უდევს არა შაკა(შაგ), არამედ ფორმა skul-ta, სადაც -ta მრავლობით რიცხვს აწარმოებს. თვით skulta კი წარმოადგენს სახესხვაობას სკეითა მეორე თვით-სახელწოდებისა, რომელიც ჰეროდოტეს აქვს შემონახული, სახელდობრ Σκιοιοται, იგივე ელემენტი skul (skol) დატულია პირის სახელებში. შდრ. Σκιοιη- სკეითა მეფის სახელი (ჰეროდოტე IV, 78, 80), Σκλισθας „სკეითა მეფე“ (სტრაბონი, VII, 4, 3, 6), Skolopitus (იუსტინიანი II, 4). როგორც ჩანს, skul-, skol- წარმოადგენდა სამხრეთ რუსეთის ირანულში რაღაც მნიშვნელოვან ტერმინს ([14] 243-244).

ჰეროდოტეს ცნობები სკეითებისა და სარმატების ტომობრივი და-მოკიდებულებისა და ტერმინ სკეითისა და სკოლტას ურთიერთობის შესახებ განხილული აქვს ივ. ჯავახიშვილს, რომელიც სკეითებს და სარმატებს, გეოგრაფიული და სატომო სახელების ანალიზის მიხედვით, სინდურ-ლილდურ-ღეგური მოდგმის ტომების წინამძებად თვლის და ენობრივად ქართველთა წინამძების მოძმეებად მიიჩნევს ([15] 129-131). რაც შეეხება ძვ. ქართ. ოგს-სა. და მის თანამედროვე და დიალექტურ ფორმა ოს-ს, შეიძლება შემდეგი ითქვას:

გ. ახვლედიანის აზრით, ქართული სახელწოდება ოსი (ოგსი), უცვილია, წარმოადგენს ოგსების უძველეს საერთო თვითსახელწოდებას და მისი დაშორება არ შეიძლება ოსურ შა ფორმისაგან. ოსური შ გადამოვიდა ქართულში როგორც ო იმის გამო, რომ იგი უფრო უკან გადაწეული და ლაბიალიზებული იყო ქართულ ა-სთან შედარებით, ამიტომ ქართულმა ყურმა ის აღიქვა ო-ს სახით.

გ. ახვლედიანს მიაჩნია, რომ ძნელი დასამტკიცებელია ფორმა

ო ვ ს-ის პირველადობა ო ს-თან შედარებით და რომ ძველი წერი-
ლობით ძველები საკმაოდ ხშირად წარმოგვიდგენენ ო ვ ს-ის
გვერდით ფორმა ო ს-ს (რაც ჩვენთვის არ არის დამაჯერებელი, რად-
გან არსად ძველ ძველებში ჩვენ ფორმა ო სი არ შეგვხვედრია, თვით
კოორგი ახვედრიანაც ვერ ასახელებს ასეთ ძველებს).

გ. ახვედრიანი აღნიშნავს აკრთვე, რომ ო ვ ს-ის პირველადობის
დაშვების შემთხვევაში კიდევ უფრო ძნელია ვ-ს ამოვარდნის ახსნა,
რამდენადაც კომპლექსი ო ვ ჩვეულებრივია ქართულში (მაგ., აბოლო-
ებს, სადაც ვ ანაბტიკური ჩანართია)... მისი აზრით, გასათვა-
ლისწინებელია აკრთვე ომონიმური სუბერაცია სიტყვა ა ს-თან, სა-
დაც მადიფერენცირებელ ნიშნად გამოყენებული იყო ბილაბიალი, გა-
ჩენილი ქართ. ო-ს შემდეგ, რომელიც შემდგომში კბილბაგისმიერად
მოგვივლინა (შდრ. მეგრ. ოფსი, აფხაზ. უაფს „ოფსი“). გარდა ამი-
სა, სუბერაცია შეიძლება მომხდარიყო ო ს-ზე დაბოლოებულ ეთნარქე-
ბის სახელებთან - ქართლს, კახოს და სხვა [13].

ჩვენი ფიქრით, არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს იმ გარემოე-
ბას, რომ თვით ლეონტი მროველი ოვსების ეთნარქად მიიჩნევს უო-
ბოს-ს. საიდან აიღო ლეონტმა ფორმა უობოს? მოსალოდნელი იყო
სხვა ეპონომთა მიხედვით ოვს-ოს (შდრ. კახოს, კუხოს, შეროს, ღე-
კოს, ბარადავოს და მისთანანი). იქნება აქ ორთოგრაფიული აღრევის
შემთხვევებთან გვაქვს საქმე? *ოჟს-ოს->*ჟოვსოს->*ჟობსოს->
უობოს?

თვით სახელწოდება ჰჰ -ს მაქვს ფასმერი უკავშირებს ავ. ჰჰჰ -ს
„ქწრაფი, მოხერხებული“, სპარს. ჰჰჰ-ს „ჯერიანი“ [17].

ვ. აბაგეის აზრით, არ შეიძლება ო ს. ჰჰ დაუკავშიროთ აფხაზურ
უაფს-სა (აჰჰჰ) და ქართულ ო ს-ს, რამდენადაც იგი ო ვ ს-ფორმი-
დან მომდინარეობს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ზოგადი ენათმეცნიერების კათედრა

Иранские топонимические элементы в некоторых
грузинских диалектах

Р е з ю м е

Из многочисленных теорий о миграции иранских племен из первоначальной их прародины за последние годы все большее внимание привлекают теории о переселении иранских племен, не только кимерийцев и скифов, но и мидян и персов, из Юнорусских степей, Восточной Европы или Передней Азии через Кавказ. На наш взгляд, одним из свидетельств этого могут служить и многочисленные топонимы древнеиранского происхождения, засвидетельствованные на территории как Восточной, так и Западной Грузии, такие как *Tuxarisi*, *Axmeta*, *Badadi*, *Adiši*, *Baxtrioni* и множества других имен, засвидетельствованных в древнегрузинской исторической литературе. Задачей исследования являлось изучение грузинской диалектной лексики с целью выявления в ней иранских по происхождению топонимов. В результате исследования мохевской и тушинской лексики выявлены и этимологизированы следующие топонимы: в мохевском Спарсангелози - название святилища и праздника Шадамаг, в тушинском название селения Парсма и название горы Спероза.

I. Мохевское Спарсангелоз-и разлагается на элементы спаро- и ангелоз-и, т.е. "ангел опарса". Элемент опаро, созвучный грузинскому названию персов Спарои, по нашему мнению, возник из иранского слова *para* или *faṣa* со значением "бок, край" (ср. русское окраина или Украина). Элемент *para-*, перед которым на чисто фонетической почве возникло *в* (сравни заимствованные из персидского слова *в-para-i*, *в-pilo*, *в-pileŋ-i*), является топоформан-

თმ, ооотвоттвующим грузинскому gverdi, .piri.

2. Эту же основу мы находим в названиях тушинского селения Pargina, ор.овет. fargma "бокoм, наискоoь, находящийся сбоку".

3. Мохевский топоним Šadamag-i в выражении Šadamagoba (названия религиозного праздника) увязывается с осетинским словом sadajmag "сотый, sadе "сто".

4. Тушинокое название горы Speroza мы считаем возможным увязать с среднеперсидским Pērbz, часто встречающимся и в грузинском как личное имя, др.-груз.Пероз, новогруз.Пируз, Пируза.

ლიტერატურა

1. Hūzing G., Vorgeschichte Wanderungen der Parsava, Mitteilungen der Anthropologischen Gesellschaft in Wien, 1930, Bd. 60.
2. Ghirshman R., Persia from the Origins to Alexander the Great, London, 1964.
3. Mayrhofer M., Zu den arischen Sprachresten in Vorderasien, "Die Sprache", Wiesbaden, 1959, Bd. V.
4. Г р а н т о в о к и й Э.А., Ранняя история иранских племен Передней Азии, М., 1970.
5. Д а н д а м а е в М.А., Л у к о н и н В.Г., Культура и экономика Древнего Ирана, М., 1980.
6. ს.ა. მ. ლ. გ. ა., ინდოევროპელები, ვინ არიან და საიდან მოვიდნენ ისინი? ჟურნალი "საქართველო", 1981, №2.
7. И в а н о в В.В., Т о п о р о в В.Н., Санскрит, М., 1960.
8. შ. ა. ნ. დ. მ. ნ. ი. კ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი., ირანული სატომო და გეოგრაფიული სახელები ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში. ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, I, აღმსავლურ ენათა სერია, თბ., 1954.

9. მ. ა. ბ. დ. მ. ნ. კ. ა. შ. გ. ი. ღ. ი., ნაკვეთები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966.

10. А б а е в В.И., Историко-этимологический словарь осетинского языка, I, 1958.

11. А б а е в В.И., Историко-этимологический словарь осетинского языка, III, 1979.

12. Д ъ я к о н о в И.М., История Мидии от древнейших времен до конца IV в. до н.э., М.-Л., 1956.

13. М и л л е р Вс., ЖМНП, октябрь, 1886.

14. А б а е в В.И. Осетинский язык и фольклор, I, 1949.

15. ი. ჯ. ა. ვ. ა. ხ. ი. შ. გ. ი. ღ. ი., საქართველოს, კავკასიისა და მახლობელ აღმოსავლეთის ისტორიულ-ენოგრაფიული პრობლემები, I, თბ., 1958.

16. Г. А х в л е д и а н и, К вопросу о самоназвании осетин. Сборник избранных работ по осетинскому языку, I, Тб., 1960.

17. Vasmer M., Russisches etymologisches Wörterbuch, I-III, Heidelberg, 1950-1957.

გურამ ბედოშვილი

ტოპონიმი ს ა ი რ ხ ე

ს ა ი რ ხ ე სოფლის სახელია ზემო იმერეთში (საჩხერის რ.).

იგი მდებარეობს ცნობილი ციხე-სიმაგრის პოლინახეს სამხრეთით.

სპეციალურ ლიტერატურაში არაერთგზის გამოთქმულა ვარაუდი ტოპონიმის ს ა ი რ ხ ე-ს წარმოშობის თაობაზე. ჯერჯერობით უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს ვარაუდი ტოპონიმ ს ა ი რ ხ ე-ს უძველეს ქალაქ ს ა რ ა კ ე-სთან დაკავშირების შესახებ ([1] 145). კლავდიოს პტოლემეოსის მიერ კოლხეთის ქალაქებს შორის დასახელებული ს ა რ ა კ ე და დღევანდელი ს ა ი რ ხ ე რომ ერთი და იგივეა, ეს თითქოს სხვა სპეციალისტთა შორისაც არ იწვევს ეჭვს ([2] 56-57).

თვალსაზრისი ს ა რ ა კ ე-ს ა ი რ ხ ე-ს იდენტურობის შესახებ არსებითად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ საირხის ტერიტორიაზე, ადგილ ლომინაურზე ქართველმა არქეოლოგებმა 1957 წელს მიაკვლიეს ქვის კეცებით შემოზღუდული ანტიკური ხანის ქალაქური ტიპის დასახლებას, აგრეთვე, ნაყოფიერების ღვთაების სახელებზე აგებულ ტაძარს, რომლის საკულტო საგნებს შორის უპირველესი ადგილი ხ ი ს კ უ ლ ტ ს უჭირავს. სწორედ ამის შედეგი იყო ის, რომ არქეოლოგი ნ. დამბაშიძე საირხის უძველეს ტაძარს ძელი ცხოველთანაც კი აიგივებდა ([1] 145). მალე არქეოლოგებმა ამავდროულად ობიექტზე ერთ საინტერესო დეტალს მიაკვლიეს. ეს იყო სოფლის ეკლესიის აღმოსავლეთ კედელში ჩატანებული საფლავის ქვა, რომელზედაც გარკვევით იკითხება ს ი რ ხ ე. ამ ფაქტმა არქეოლოგთა შორის განამტკიცა რწმენა იმის შესახებ, რომ თანამედროვე ს ა ი რ ხ ე-ს უძველესი სახელწოდება ს ა რ ი ხ ე უნდა ყოფილიყო; და რადგან საირხის უძველესი ტაძარი ნაყოფიერების ღვთაების სახელებზე იყო აგებული და მის საკულტო საგნებს შორის მთა-

ვარი ადგილი, როგორც ზემოთ ვთქვით, ხ ი ს კ უ ლ ტ ს ეჭირა, სა-
ხელწოდება ს ა რ ი ხ ე ხის აღმნიშვნელ ს ა ყ ე I I ს ა რ ყ ე სი-
ტყვასთან იქნა ეტიმოლოგიურად დაკავშირებული. ამის თაობაზე ჯ.ნა-
ღირაძე წერს: „საირხის... შედარებით არქაული ფორმა შემორჩენილია
სოფლის ეკლესიის აღმოსავლეთ კედელში ჩატანებულ საფლავის ქვაზე.
აქ ამ ს ო ფ ლ ი ს ს ა ხ ე ლ ი ი კ ი თ ხ ე ბ ა რ ო გ ო რ ც
ს ა რ ი ხ ე (ხაზი ჩვენია, გ.ბ.), რაც შესაძლოა ნაწარმოები იყოს
საყე-სარყედან“ ([I] I 45).

სრულიად ბუნებრივად ისმის კითხვა: შეიძლება თუ არა, ეკლესიის
კედელში ჩატანებულ საფლავის ქვაზე ამოკითხული სიტყვა ს ა რ ი ხ ე
სოფლის უძველეს სახელწოდებად მივიჩნიოთ და ამის მიხედვით იგი
ადრეანტიკური ხანის ს ა რ ა კ ე-ს დავუკავშიროთ?

ტპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ ეპი-
ტაფიის ტექსტში, ჩვეულებრივ, აღინიშნება ა რ ა ს ო ფ ლ ი ს
ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ . ა , ა რ ა მ ე დ გ ა რ დ ა ც ვ ლ ი ლ ი
ა დ ა მ ი ა ნ ი ს ვ ი ნ ა ო ბ ა , მ ი ს ი გ ვ ა რ . ი . ამიტომ,
ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ არქეოლოგთა მიერ საფლავის ქვაზე ამო-
კითხული სიტყვა ს ა რ ი ხ ე ისეთივე ზანური (მეგრული) - ხ ე
სართიანი ქალის გვარია იყოს ([3] 26), როგორსაც დღეს სამეგრელოსა
და გურია-იმერეთის ტერიტორიაზე საკმაოდ ხშირად ვხვდებით: ბ ა-
რ ა მ ი - ხ ე „ბარამიას ქალი“, „ბარამიას გვარიდან გამთხოვილი
ქალი“, ლ ო მ თ ა თ ი ხ ე „ლომთათიძის ქალი“, „ლომთათიძის გვარი-
დან გამთხოვილი ქალი“, გ ა ლ დ ა - ხ ე „გალდავას ქალი“ და სხვ.
ამის მიხედვით ს ა რ ი ხ ე უნდა გავიაზროთ როგორც „სარიას ქალი“,
„სარიების გვარიდან გამთხოვილი ქალი“. საირხეში მიკვლეული ეპი-
ტაფია ნათლად მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ ზემო იმერეთის ტერიტორი-
აზე, კერძოდ, ისტორიულ ოკრიბაში, ადრეულ ხანებში გავრცელებული
ყოფილა - ხ ე სართიანი მეგრული წარმოშობის გვარები. ეს ვითარება
დღეისათვის მხოლოდ ქვემო იმერეთის ანთროპონიმიაშია შემონახული.

ზემოთხსენიებული და ე.წ. შუაიმერულ დიალექტებში კი ამჟამად -ხ ე- ელ-
მენტის ფუნქციას მხოლოდ ადამიანის სადაურობა-წარმომავლობის აღმნი-
შენელი -უ ლ (II-უ რ) სუფიქსილა ასრულებს ([4] 172). საირხის ეპი-
ტაფის ფრაგმენტი კი უდავოდ მეტყველებს იმაზე, რომ -ხ ე (<ფხე)
სართიანი გვარები ადრე მთელი იმერეთის ანთროპონიმიკისათვის ყოფი-
ლა ნიშანდობლივი.

როგორც ვხედავთ, ტოპონიმი ს ა ი რ ხ ე წარმოშობით დაკავში-
რებული არ ყოფილა სიტყვა ს ა რ ი ხ ე-სთან.

ჩვენი ვარაუდით, ტოპონიმი ს ა ი რ ხ ე ისეთივე სა- - ე აფიქ-
სიანი წარმოების საკუთარი სახელია, როგორცაა: სა- შველ-ე, სა-ირ-
მ-ე, სა-ქორ-ე, სა-მტრედ-ე, სა-ბუ-ე და სხვ. მრ.

ტოპონიმისათვის ამოსავალი ჩანს სიტყვა ი ხ ვ ი, ოღონდ ზემოთხსენ-
იებული დიალექტისათვის დამახასიათებელი ი რ ხ ვ-ფორმით: „ი რ ხ ვ ე-
ბ ი თუა მოსული, -ნახე“ ([5] 177). ძალზე საყურადღებო და მნიშვნე-
ლოვანია ის ფაქტი, რომ ამავე არეალში (საჩხერის რ.) მიკრობიექ-
ტის საკუთარ სახელად დასტურდება ს ა ი რ ხ ი ა, რომელიც სხვა
არაფერია. თუ არა იგივე ს ა ი რ ხ ვ ი ა, მომდინარე ს ა-ი რ-
ხ ვ-ე-ა ფორმისაგან (ზღრ. ს ა მ ტ რ ე დ ი ა <-სა-მტრედ-ე-ა,
ს ა შ ვ ე ლ ი ა <-სა-შველ-ე-ა, ს ა ფ ი რ ხ ი ა <-საფიხრ-ე-ა და
სხვ.).

მაშასადამე, ტოპონიმი ს ა ი რ ხ ე (<-საირხვე) ნიშნავს: „ად-
გილი, სადაც ბევრი იხვია“. ს ა ი რ ხ ვ ე ფორმისაგან ს ა ი რ-
ხ ე-ს მიღება ფონეტიკურად შეუძლებელი არ ჩანს. მართალია, ვ-
სონორის დაკარგვა (ჩავარდნა) ე- ხმოვნის წინ საკმაოდ იშვიათია,
მაგრამ საამისო შემთხვევები ენაში აქა-იქ მაინც შეინიშნება. ასე,
მაგალითად, აჭარაში, ს. ზედაუბნის მიკროტოპონიმიში სათიბი მინ-
დვრის სახელწოდებად დადასტურებულია ი ნ წ კ ი რ ე თ ი ([6] 92),
რომელიც, ვფიქრობთ, ი ნ წ კ ი რ ვ ე თ ი-საგან უნდა მომდინარე-
ობდეს. საინტერესო შემთხვევა შეინიშნება ამ მხრივ ძველ ქართულ

ანთროპონიმიშია: კახეთის ხალხთა აღწერის მასალებში (XVIII ს-ის I მეთხ.) ს. კალაურის მცხოვრებთა სიაში წარმოდგენილია გვარ მ ო გ ე ლ ი: „ქ. მ ო გ ე ლ ი ს ყმა ქავეთარაშვილი დემეტრე კვა- მლი-ა, თაგი-ა, თოფი-ა“ [7], რომელიც ცფიქრობთ, მ ო გ ე ლ ი-საგან უნდა იყოს მიღებული. ერწო-თიანეთში ჩვენ მიერ დადასტურებ- ლია ადგილის სახელი მ ო გ ე ლ ა ს ე უ ლ ი ([8] 135), რაც ნიშ- ნავს: „მოგველას კუთვნილი ადგილი“ (შდრ. ძველი მ. ო გ ჟ ი ა, მ ო გ ე ე ი). ასე რომ, ვარაუდი ს ა ი რ ხ ე ფორმის ს ა ი რ- ხ ე ე-საგან მომდინარეობის თაობაზე არც თუ უსაფუძვლო ჩანს.

ბოლოს იმასაც დავსძენთ, რომ დასავლეთ საქართველოს მიკროტოპო- ნიმიში ი ხ ე- ფუძისაგან საკმაოდ ბევრი ადგილის სახელია წარმო- ქმნილი. ასე, მაგალითად, ზემო აჭარაში, გოდერძის უღელტეხილზე, არის ტბა, რომელსაც ს ა ი ხ ე ვ ი ა ეწოდება ([6] 126). ადგილის სახელად ს ა ი ხ ე ვ ი ა დადასტურებულია მახარაძის რაიონშიც (ს. მერია).

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ ტოპონიმი ს ა ი რ ხ ე მი- დებული ყოფილა სიტყვა ს ა ი რ ხ ე ე-საგან, რაც ნიშნავს: „ადგი- ლი, სადაც ბევრი იხვი ბინადრობს“, „საიხვე ადგილები“. შდრ.:სა- ბუ-ე (სოფლებია ახმეტისა და ყვარლის რ.), ს ა ყ ე ა ვ ე (ჩო- ხატაურის რ.), ს ა-ქ ა თ მ-ი ა (ორჯონიკიძის რ.) და სხვ. მრ.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

Г. В. БЕДОШВИЛИ

О топониме Саирхе

Р е з ю м е

В статье дана попытка по-новому представить этимологию топонима Саирхе sairxe (название селения в Сачхерском районе).

очитавшегося происшедшим от სარიბე ვაიჩე, სარყო ვაიჩე (სარი ვაიჩე "деревянный шест" и ბო ხე "дерево").

Надо полагать, что топоним სარიბე ვაიჩე другого происхождения. Он, по-видимому, восходит к верхне-имеретинскому диалектному слову ირბვი ირხვი ("утка") с добавлением аффикса სა-ი ვა-ე, указывающего на назначение, а также распространение чего-либо (Ср. სა-ქორ-ი ვა-კორ-ე "место, изобилующее ястребами", სა-ირმ-ი ვა-ირმ-ე "место, изобилующее оленями"). Форма სა-ირბ-ი ვა-ირხ-ე на фонетической основе дает სა-ირბ-ი ვა-ირხ-ე (с ожидаемой утратой сонорного ვ перед аффиксальным гласным ე-ე); ср. фамилия მკობრი megeli, полученную из მკობ-ილ-ითგვ-ელ-ი, ინჭვირეთ-ი inçkireti ← ინჭვირეთ-ი inçkireti и т.д.

Топоним სარიბე ვაიჩე, таким образом, означает "место, где водятся утки", "место, изобилующее утками".

ლიტერატურა

1. ჯ. ნ ა ღ ი რ ა ძ ე, ყვითლის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1975.
2. ვ. ს ი ხ ა რ ჯ ღ ი ძ ე, ვიატურა, თბ., 1977.
3. არნ. ჩ ი ქ თ ბ ა გ ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.
4. ლ. კ ა ხ ა ძ ე, ოკრიბულის თავისებურებანი. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VI, თბ., 1954.
5. ქ. ძ ლ წ ე ნ ი ძ ე, ზემოიბერიული ლექსიკონი, თბ., 1977.
6. ი. ს ი ხ ა რ ჯ ღ ი ძ ე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტომონიმია, I, ბათუმი, 1958.
7. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ღ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, თბ., 1967.
8. ვ. ბ ე ღ თ შ ვ ი ღ ი, ერწო-თიანეთის ტომონიმია, თბ., 1980.

მერაბ ბერიძე

სპარსული ელემენტები ჯავახეთის ტოპონიმიაში

ტოპონიმიაში ელემენტების სახით აირეკლა სპარსეთთან საუკუნე-ების განმავლობაში მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობანი.

1.-სტან -ასტან

-ს ტ ა ნი|ს ტ ა ნ სუფიქსი დღესდღეობით აღმოსავლეთის ქვეყნების მრავალ გეოგრაფიულ სახელწოდებაში გვხვდება. „სტან - ნაცვალსახელური სუფიქსი, შდრ. კუხისტანი - „მთიანი ქვეყანა“, თურქისტანი- „ჟურქთა ქვეყანა“, ავღანისტანი - „ავღანთა ქვეყანა“, შაიასტანი - „სომხეთი“ ([1] 103).

სუფიქსი ფალაურია და მრავალ სატომო თუ გეოგრაფიულ სახელს აფორმებს ([2] 41).

- ს ტ ა ნ სუფიქსი პროდუქტიული არ არის ძველი ქართული წერილობითი ძეგლების მიხედვით, სადაც იგი გვხვდება -ე-ის ბაღადა და ენაცვლება კიდევ მას.

ლენტი მროველი ხმარობს ა ს უ რ ა ს ტ ა ნ ს (ძირითადად) და ა ს უ რ ე თ ს ა ც. იმავე ავტორთან ა ს უ რ ი ფორმაც გვხვდება ასურეთის მნიშვნელობით: „და მისცა ანტიოქოსს ა ს უ რ ა ს ტ ა ნ ი და სომხითი, და კერძო აღმოსავლეთისა უჩინა მას. და მან აღაშენა სახელითა მისითა ქალაქი ანტიოქია“ ([3] 19); „ამან ფარნავაზ წარავლინნა მოციქულნი წინაშე მეფისა ანტიოქოსს ა ს უ რ ა ს ტ ა ნ ი-ს ა, და წარსცა ძღუენი დიდძალი ([3] 23) ოცდაშვიდისა წლისა მეფე იქმნა... და მსახურებდა იგი ანტიოქოსს მეფესა ასურასტანისასა“ ([3] 25); „მას უამსა შინა სადათაც ცინ მივიდის ძურის-მოქმედთაგან საბერძნეთით, გინა ა ს უ რ ი თ ოტებული, გინა ხაზარეთით, ყოველივე დაიმეგობრიან ქართველთა შემწეობისათჳს სპარსთა ზედა“

([3] 15), „ესე განდიდნა უფროს ყოველთა მეფეთა სპარსთასა. ამან დაიპყრა ბაბილოვანი და ა ს უ რ ე თ ი, მოხარკე ყვნა პერძენნი და პრომნი. და მაშინ ქარაველნი მოხარკე იყვნეს მისდავე“ ([3] 16).

მხოლოდ ა ს უ რ ე თ ფორმას იცნობს ქართული ოთხთავია: „ესე აღწერა პირველი იყო მთავრობასა ა ს უ რ ე თ ს“ ([4] 828).

მაშასადამე, ა ს უ რ ე თ ის აღსანიშნავად ორი ფორმა იხმარება: ერთი ქართული და მეორე არაქართული სუფიქსით გაფორმებული. მაგრამ იმავეს ვერ ციტყვით მ უ რ ი ა ს ტ ა ნ ი ს მიმართავს. იგი მხოლოდ ამ სახით გვხვდება ([4] 835, 836).

ფიქრობთ, შემთხვევითი არ უნდა იყოს -ს ტ ა ნ სუფიქსიანი ვარიანტის გვერდით -ე თ-იანი ფორმის ხმარება. საბოლოოდ სწორედ ეს უკანასკნელი იმარჯვებს კიდევ. ლეონტი მროველის დროს -ს ტ ა ნ გაგებული იყო, როგორც ტომომაწარმოებელი, მაგრამ იგი იმდენად შესი-სხლხორცებრდა უკვე ფუძეს, რომ ზოგჯერ არც მაშინ ჩამოაცილებდნენ ხოლმე, როდესაც საჭირო იყო ჩამოცილება: „ყო კაცი მიმნიჭებელი კე-თილისა უხუად, და შეიყუარეს იგი ყოველთა მკუიდრთა ქართლისათა. და მსახურებდა იგი მეფესა ა ს უ რ ა ს ტ ა ნ ე ლ თ ა ს ა“ ([3] 16). ა ს უ რ ე თ ი და ა ს უ რ ა ს ტ ა ნ ი - ორივე ფორმა იხმარება ძველი ადექმის ქართულ ტექსტებში ([5] 164).

„სტან (стан) ფალაური სუფიქსია, რომელიც სომხურშიც გვხვდება. ბერძნულში (მით უმეტეს ებრაულში) იგი არ ჩანს. -სტან სუფიქსით ნაწარმოები სახელების არსებობა ქართულ ტექსტში უნდა აიხსნას ან მათი მომდინარეობით რომელიმე სხვა რედაქციიდან, ან, შესაძლოა-საქართველოში დამკვიდრებული სახელწოდების გამოყენებით“ ([5] 165).

„-ს ტ ა ნ||ს ტ ა ნ სუფიქსი ქართულისათვის პროლექტიული არ არის, რადგან „ქართულ ადგილისა და სატომო სახელების საწარმოებლად ქართული ენა სუფიქსების სესხებას თიქმის არ მიმართავს, წინა-აღმდეგ სომხურისა, სადაც ფალაური სუფიქსები ik, stan და kvan განუწყვეტლივ იხმარება არა მარტო ირანულ, არამედ მკვიდრ სომხურ

სახელმწიფოებრივი“ ([5] 41). - ს ტ ა ნ სუფიქსი დასტურდება ჯავახეთის ტომონიმიშიც. -ს ტ ა ნ სუფიქსიანი სახელი უნდა იყოს ისტორიული ა ლ ა ს ტ ა ნ ი, რომლის შესახებ ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს ქართლის ცხოვრებიდან ციტატა და წერს: „ქრისტეს აქათ ჩსლგ (1233) მოკლდა რუსუდან მეფე. მოუხდა ფარუს ფოლადი, ამოსწყვიტა სრულიად სამეფოთი და არავინ ჰყუა გამეღვლნი. ამა დროსა ალასტანელისა შვილი დავით მეფე მოვიდა ყაინს წინაშე მეფობის გამოსათხოვრად (sic.). ვიდრე აქით მოზრუნდებოდა, მოუკდეს თათარნი და სრულად სამცხის სახლი გარდავლინეს“-ო. ვის ეხება თარიღი და ვინ არის ბარათაშვილისეული შევს. გადაკ. ქუცის შენიშენაში მოხსენებული „ა ლ ა ს ტ ა ნ ე ლ ი ს ა შვილი დავით მეფე“, რომელიც მონღოლთა ყაენთან მივიდა მეფობის გამოსათხოვრელად რუსუდან მეფის უმალ? აზრისა და გარემოების მიმდინარეობის შიხედვით ეს დავით „ალასტანელისა შვილი“ ლაშა-გიორგის უკანონო შვილი უნდა იყოს. რატომ არის ის ალასტანელის შვილად წოდებული, როდესაც, თუნდაც რომ წარმოვიდგინოთ, რომ დედის შთაბოძალებით არის ნახსენები, როგორც მეორე დავითს რუსუდანის ძეს ეძახდნენ... იგი ველისციხელი კაცის ნაცოლარის შვილად ჰყავს უაშთააღმწერელს მოხსენებული“ ([6] 129).

ა ლ ა ს ტ ა ნ ე ლ ო ბ ა ს და ა ლ ა ს ტ ა ხ ე ლ მეფეებს სპეციალურად შეეხნენ ე. თაყაიშვილი და ს. კაკაბაძე ([6] 123-124).

რადგან „ქართლის ცხოვრების“ შემავსებელი დავითს კი არ უწოდებს ალასტანელს, არაჰედ დასახლებული ჰყავს ალასტანელის შვილად, პირველი ალასტანელი მეფე არის ლაშა-გიორგი. ეს ალასტახი კი უეჭველად ჯავახეთში ჰდებარებოდა.

„გიორგი ლაშა ჯავახეთის მხოლოდ ორ წარწერაში გვხვდება - პრტენას „ველისა“ და ბარაღეთის ეკლესიაზე. პირველში ის თამართან ერთად იხსენიება, მეორეში კი ეკლესიის აგება მისი მეფედ დაჯდომით არის დათარიღებული. ლაშას ჯავახეთისადმი დამოკიდებულე-

ბის განსაკუთრებულობა ხაზგასმულია მისი სახელით მოჭრილი ფულის ზედწერილში, სადაც ჩანს „გოორგი მეფე თამარის ძე ჯავახთუფალი“ აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, ჯავახეთი ის პროვინციაა, სადაც მოლიანი საქარველოს მეფე-ფულისწული განსაკუთრებით ჯავახთუფალია. ამ პირველი „ალასტანელის“ მეფედ დაჯდომა განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო ჯავახეთში, რომლის „უფალი“ ის აქამდისაც იყო“ ([7] 117).

მართალია, ისტორიული წყაროები, რომელშიც ლაშა-ვიორგი აღასტანელად არის მოხსენიებული გვიანდელია, მაგრამ ეტყობა, მეისტორიენი ანგარიშს უწევდნენ მყარ ისტორიულ თუ ლიტერატურულ ტრადიციას, იმ ტრადიციას, რომლის მიხედვით ლაშა შაინცადაშაინც ა ლ ა ს ტ ა ნ ე ლ ა დ იწოდებოდა. ამდენად, ქართული ისტორიოგრაფია ადასტურებს, რომ სახელწოდება ა ლ ა ს ტ ა ნ ი უკვე არსებობდა XIII ს. პირველ ნახევარში.

XVI საუკუნისათვის ორი აღასტანია ცნობილი - ზემო და ქვემო ([8] 274). „ვახუშტის სიაშიც სწორედ აღასტანი გვაქვს“ ([8] 274).

XIII საუკუნეშიც და შემდეგაც ა ლ ა ს ტ ა ნ ს ნათესაობითი ბრუნვის ფორმა ჰქონდა სრულფაქიანი, არ იკუმშებოდა; რადგან -ს ტ ა ნ ი ს ფუნქცია ცნობილი იყო (ზღრ.: ჰურიასტანელი, ასურასტანელი). შემდეგში -ს ტ ა ნ მ ა დაკარგა სუფიქსის გაგება და დღეისათვის მხოლოდ „ალასტნელი“ იხმარება.

ა ლ ა ს ტ ა ნ შ ი -სტან სუფიქსი გვაფიქრებინებს, რომ იგი დაერთო სატომო-თნიკურ სახელს. ასეთად გვესახება ა ლ ა ნ ი . ა ლ ა ს ტ ა ნ ი მიღებული უნდა იყოს ა ლ ა ნ ს ტ ა ნ ი ს ა გ ა ნ . ა ლ ა ნ , ვფიქრობთ, იმავე მნიშვნელობით გამოიყოფა ნასოფლარის სახელში ა ლ ა ნ ძ ი ა (ასპინძის რ. სოფ. ტოლოში), სადაც -ძ ი ა კომპონენტის ფუნქცია ჯერჯერობით უცნობია.

დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით ბორჯომის რაიონში, ისტორიულ ჯავახეთში, ბაღანის გვერდით არის ნასოფლარი ა ლ ა ნ თ ა .

ნასოფლარი თავისი დარნებით, პურის ორმოვებით, ნასახლარებითა და ნაეკლესიარებით ძველი ჩანს.

თითქმის ყველაფერი ნათელია, ადგილის სახელი გამჭვირვალეა. ა ლ ა ნ ი უნდა იყოს ამოსავალი, მაგრამ წინააღმდეგობას ქმნის ის ანგარიშგასაწვევი გარემოება, რომ სოფლის სახელად ყველაზე ადრე აღანთა ფიქსირებულია მხოლოდ XIX საუკუნის 30-იანი წლების საბუთებში ([8] 296) და აღწერილი არ არის ისეთ მნიშვნელოვან ძეგლში, როგორცაა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“.

ამ შემთხვევაში სავარაუდებელია შემდეგი: I. სოფელი გამორჩა „დავთარის“ შემდგენ მოხელეს, რაც თითქმის შეუძლებელია, რადგან აღწერა დეტალურად ხდებოდა. სადაც ბალანთას აღწერდა, იქვე, ორ კილომეტრშია ა ლ ა ნ თ ა ც; 2. სოფელს სხვა სახელი ერქვა. ა ლ ა ნ თ ა ერთი ხალხური ლექსის („ბალანთასა, ბალანთასა, ჩამოვკიდავ კალაბასა“) გადააზრების შედეგია. თუ, მართლაც ასე მოხდა, სოფლის სახელად წინუბანი უნდა ცივარაუდოთ, რადგან ამ სახელის სოფელი აღუწერიათ ოსმალებს ბალანთასთან, მაგრამ ესეც გამორიცხულია, რადგან ა ლ ა ნ თ ა და წ ი ო ნ უ ბ ა ნ ი ორივეა მოხსენიებული არქივისეულ სიებში ([8] 296).

სკვითურ-სარმატული და ალანურ-ოსური ელემენტების არსებობა ქართულში დაადასტურა მზია ანდრონიკაშვილმა. ალანები - სპარსულ მოდგმის ტომები - საქართველოს მებობლები იყვნენ ჩრდილოეთიდან. მათი მემკვიდრეები არიან ოსები („ოვსნი“). „ძველი საქართველოს მოსახლეობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული სკვით-სარმატთა ტომებთან, რომლებიც ემებობლებოდნენ მათ, როგორც ჩრდილოეთით, ისე სამხრეთით და თვით საქართველოს ტერიტორიაზეც (ვანსაკუთრებით მთიანეთში)“ ([9] 45).

ამ მებობლობას უკვალოდ არ ჩაუვლია ტოპონიმიაშიც. ორიალეის ქედის სახელს ა. შანიძე უკავშირებს სწორედ კიმერიელი ტომის ტრერების სატომო სახელს ([9] 43).

2000 წლით ერთმანეთს დაშორებული „სკვითური ენა“ და თანამედროვე ოსური „წარმოადგენენ განვითარების ორ საფეხურს ირანული ენების ერთ და იმავე შტოსი, რომელიც ცნობილია ჩრდილო-ირანული ან სკუითურ-სარმატულ ენათა ჯგუფის სახელწოდებით. ოსების წინაპრები, რომლებიც VII საუკუნიდან ძვ. წ.ა. III-მდე ქ.შ. ჩრდილო კავკასიაში და სამხრეთ რუსეთში ბინადრობდნენ, შუა საუკუნეებში ცნობილი არიან უმთავრესად ალანების სახელწოდებით. ქართული, სომხური, ბიზანტიური, ლათინური, არაბული, რუსული ისტორიული წყაროების შეპირისპირება ააშკარავებს, რომ ოსების (ოცების), ასების, აზიგების და ალანების სახელწოდების ქვეშ ერთი და იგივე ხალხი იგულისხმება“ ([9] 48-49).

ქართული საისტორიო მწერლობა ოსებს ალანების სახელით არ იცნობს. ა ლ ა ნ ი ორჯერ იხსენიება „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთაში“, რომლის მიხედვითაც ისინი საქართველოს ჩრდილო-დასავლელ მეზობლებად ჩანან: „ოდესმე, უამსა ზამთრისასა, გარდავიდის ღიხა-იმერეთს და მიუწიის ზღუად პონტოსა, მოიწიის და მოინადიროს ა ლ ა ნ თ ა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი ოდესმე გურგენის ზღუამდე“ ([10] 15).

„ისტორიანი და აზმანის“ ავტორი ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის იმის შესახებ, რომ ალანები იყვნენ საქართველოს მეზობლები ჩრდილო-დასავლეთიდან, „ოდესმე გურგენის ზღუამდე“. ე.ი. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ერთ დროს ალანების ქვეყანა იყო მთელი ჩრდილო კავკასია შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე.

დაახლოებით იმავე ადგილზე ასახელებს ალანებს ვახუშტი, ოღონდ ალანი მისთვის ა ლ ა ნ ე თ ს, ალანთა ქვეყანას ნიშნავს: „გამოსდის ესე რაჭის მთას, კავკასსა, გამოცდის სუანეთს ა ლ ა ნ ს ა და მას ქუეითთა ორს კავკას-შორისთა და მოერთვის აქა ჩრდილოდამ ზღვას“ ([11] 725).

ვახუშტი ამ შემთხვევაში აღანეთს სადღაც აფხაზეთ-სვანეთს შორის ვარაუდობს, ხოლო სპეციალურ ნაწილში „აღანეთის“ მიუთითებს; „ხოლო აღანეთი არს სვანეთის დასავლით და ბედიის ჩრდილოთ. აქუს აღმოსავლით კავკასი და საზღვარი სვანთა; სამკროთ კავკასი ბედია-ოდიშს და ამას შორისი; დასავლით კავკასი; ჩრდილოცა კავკასი“ ([II] 788-789).

ასე რომ, ქართული საისტორიო მწერლობა აღანებს ასახელებს უფრო დასავლეთით, ვიდრე დღევანდელი ოსეთია. ამასთან ერთად დარიალი II დარიალი აუცილებლად გულისხმობს აღანებს ([9] 49). დარიალანი კი ცნობილი სახელია საქართველოს ისტორიაში.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართული ისტორიული ტრადიცია აღანებად იცნობს ზოგადად ჩრდილოკავკასიელ ხალხს. აღანის ცნებაში „ოვსნი“ კი არ იგულისხმებიან მხოლოდ, არამედ, იქნება მთლიანად ჩრდილოირანელებიც. ამიტომ სამხრეთ საქართველოს ტოპონიმიში დადასტურებული აღანი, კონკრეტულად სატომო-ეთნიკური სახელი „ოსი“ კი არ არის, არამედ ზოგადად ჩრდილოირანელი.

აღსტანის გარდა, - სტანის გამოყოფა შეიძლება ადგილის სახელში მარგასტანი. ეფიქრობთ, მარგასტანი არის ახალი სახელი ჯავახეთში. ეს სახელი ერქვა სოფელს, რომელსაც დღეს ეწოდება თმოგვი.

შეუძლებელია, რომ ყოფილიყო სოფელი მარგასტანი და იგი მალეებს არ აღეწერათ მაშინ, როდესაც მის გარშემო ყველა სოფელი, ნასოფლარი თუ სათესველი აღუწერიათ. საფიქრებელია, რომ სახელი გარდა XVI საუკუნის შემდეგ. მისი წარმოშობა თურქულენოვანი მოსახლეობის დამსახურება უნდა იყოს.

ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ მარგასტანი (იგივე მარგისტანი) უნდა იყოს მარგის „მარგი (მტნე ქუჩა), რომელიც ალბათ თანამედროვე რუკების მარგისტანს უდრის“ ([12] 25).

თუ ეს ასეა, მაშინ მარგასტანის ადგილზე ოსმალებს უნდა მიე-
თიღებინათ მარგი. ასე არ მოხდა. ამიტომ გერჩება ვივარაუდოთ,
რომ მარგი და მარგასტანი ერთი და იგივე პუნქტი არ არის; რადგან
„მატიანე ქარლისას“ მარგი, უფრო სწორად, მ ა რ გ ი ს მ ე რ ე,
სამცხეში მდებარეობდა, მარგასტანი კი ჯავახეთშია. აქვე ჩნდება
მეორე ვარაუდი, რომ მარგს დაერქვა ადგილზევე მ ა რ გ ი ს ტ ა -
წ ი (თუ მარგასტანი) და შემდეგ გადმოიტანა იგი დღევანდელი თმო-
გვის ადგილას არაქართულმა მოსახლეობამ.

შეიძლება „მარგისტანში“ არის ირანული სატომო სახელი მ ა რ გ ი,
რომელიც მოხსენიებულია „მარტილობა ნერსე მთავარეპისკოპოსისაში“
„რამეთუ იყო ქვეყნით კარინით, სოფლისგან მარგათისა“ ([2] 27).

ასეა თუ ისე, მ ა რ გ ი ს ტ ა ნ ი ს შემთხვევაში, განსხვა-
ვებით აღასტანისაგან, -სტან სუფიქსით ტომონიმის წარმოების ფაქტი
ახალი ჩანს (თურქელის გავლენა?).

2. -კ ა ნ ი I I -ა კ ა ნ სუფიქსი

ჯავახეთის ტომონიმიაში დასტურდება მეორე ფალაური სუფიქსი
akān, რომელიც ახალ სპარსულში akān. akān ფორმით გვხვდება
([2] 16).

-კან სუფიქსით უნდა იყოს გაფორმებული ჯავახეთის ნასოფლარის
სახელი მ უ რ ჯ ი კ ა ნ ი (აქაურია გვარი მურჯიკნელი). იგი
ჯავახეთის მტკვრის მარცხენა ნაპირზე, სოფ. პტენისა და დილისკის
საზღვარზე, მდებარეობს. შემორჩენილია ერთნავიანი ეკლესია, სტე-
ლბი, საფლავის ქვები და სხვა.

მ უ რ ჯ ი კ ა ნ შ ი -კან-ის ცალკე გამოყოფის საშუალებას
გვაძლევს ჯავახეთის სხვა სოფელთა სახელები. კერძოდ, მ უ რ ჯ ი
და მ უ რ ჯ ა ხ ე თ ი. მურჯები, დიდი და პატარა, ნასოფლარებია
კოთლიასთან ახლოს, ხოლო მურჯახეთი სოფელი ახალქალაქის სამ-
ხრეთით, მდინარე ლურჯახეთის პირას.

1595 წელს, როდესაც ოსმალებმა სამცხე-საათაბაგო აღწერეს, მურჯიკანიცა და დიდი და პატარა მურჯიცი სოფლები იყო ([8] 244, 272). დღევანდელი ერთი მურჯახეთის ნაცვლად აღრიცხულია სამი: დიდი, პატარა და შუა მურჯახეთი. ეს სოფელი მნიშვნელოვანია თავისი წარმართული ხანის ფალსის კულტის განმომხატველი ორი ქვასვეტით.

მ უ რ ჯ სიტყვის სემანტიკა ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ ამ სამი სახელიდან სამი მაწარმოებელი გამოიყოფა: -კ ა ნ, -(ა)ხ, და -ეთ.

აქვე დავძენთ, რომ მ უ რ ჯ ი კ ა ნ შ ი ტომამწარმოებელი შეიძლება იყოს არა -კ ა ნ, არამედ -ი კ ა ნ, მაგრამ ეს მდგომარეობას არ ცვლის, რადგან -ი კ ა ნ სუფიქსის ფუნქცია იგივეა, რაც -კ ა ნ II -ა კ ა ნ ის ა.

მურჯახეთის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით არსებობს მოსაზრება ს. ჯიქიასი, რომელიც იმოწმებს აგრეთვე ს. მაკალათიას მიერ ფიქსირებულ ხალხურ განმარტებას: „ს. მაკალათიას მიხედვით, მურჯახეთი ხალხური ეტიმოლოგიით წარმოშობილია ლურჯი ხევიდან. ამ სოფელს უფლის დიდიფის (დ ლ ი ვ ი ს) წყალი (დღევანდელი კერხ ბულაღი - მ.ბ.), რომელშიც ლურჯი თევზებია (ლურჯი ხევი > „მურჯახეთი“). უნდა შეინიშნოს, რომ მურჯი „ლურჯის“ გავებას სრულებით არ უნდა შეიცავდეს; ეს სიტყვა უნდა დანაწილდეს მ უ რ ჯ ა ხ -ე თ-ა დ, რომელშიც მ უ რ ჯ ა ხ-ი შეიძლება გვარეულობის სახელი იყოს ([8] 335).

3. -შ ე ნ ტერმინ-ფორმანტი

შ ე ნ ე ბ ა ზმნის ფეძე საშუალო სპარსულიდანაა შემოსული როგორც ქართულში, ისე სომხურში. „პრ. აჭარიანი აღადგენს საშ. სპარსულ ფორმას, რომელსაც ეყრდნობა სომხური და ქართული ფორმები“ ([9] 402). განსაკუთრებით პროდუქტიულია - შენ აღმოსავლეთის ტო-

პონიფიკატი. მისი ამოსავალი მნიშვნელობა არის „სოფელი“. შ ე ნ-ს აღმოსავლურ ენებში უკონდა სხვა მნიშვნელობაც: „ახალშენში“ (იგულისხმება ასპინძის რაიონის ნასოფლარი ახაშენი - მ. ბ.) „შენ“ სიტყვა „შენება“ ზმნას უკავშირდება. „შენ“ იხმარება აღმოსავლურ ენებში (სპარ., სომხ., თურქ., და სხვ.) და ნიშნავს, სხვათაშორის, დამუშავებული, კეთილმოწყობილი, დასახლებული, საცხოვრებლად გარგისი, შ ა მ ს - ე დ - დ ა ნ ს ა მ მ ა, W. Padhausse -ს, B. Pадлов -ს ამ სიტყვის წარმომავლობაზე არაფერი აქვთ ნათქვამი (ე. ი. თურქული წარმომავლობისად მიაჩნიათ) ([8] 185).

ქართულში -შენ-ს უკონდა წარსული დროის მიმდებარის „ნაშენის“ გაგებაც. „ასპინძის თავს და აგარის ბოლოს არს ციხე კლდესა ზედა შ ე ნ ი, მაგარი. ასპინძის ზეით, ჩრდილოთ კერძოთ, არს მგელ-ციხე, მაგარი, დიდშენი“ ([II] 666). „ამ ჰევზედ არს ციხე კალმახისა, რომელი აღაშენეს პატიახშობა დ ი დ შ ე ნ ი, მაგარი, შუუალი“ ([II] 683).

- შენ კომპონენტისანი ტოპონიმები „საქ. სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის“ მიხედვით საკმაოდ ბევრია. ყველაზე პროდუქტიული იგი „ახალ“ მსაზღვრედან: ა ხ ა ლ შ ე ნ ი (სულ 12 სოფლის სახელია). დანარჩენ შემთხვევაში პირველ კომპონენტად ძირითადად აღამიანთა საკუთარი სახელი გვხვდება: ოთარ —> ოთარაშენი, თამარ ---> თამარაშენი და სხვა.

მესხეთში საკმაოდ ბევრია -შ ე ნ შემადგენლობისანი სახელი. გვხვდება ორი ა ხ ა შ ე ნ ი. ერთი ნასოფლარია ასპინძის რაიონში, დღევანდელი ორგორის გზაზე, მტკვრის მარცხენა ნაპირზე. შემორჩენილია ეკლესია. მეორე დადასტურებულია თურქეთის ტერიტორიაზე, ისტორიული არტაანის ლივაში. შეთქმულსავე საუკუნისათვის ორივე ახაშენის სახელი იყო უფრო ლიტერატურული, ადრეული ფორმი - ა ხ ა ლ შ ე ნ ი ([8] 184, 535).

საინტერესოა, რომ ა ხ ა ლ [ი] მხოლოდ ისეთი სინტაგმის წევ-

რია, რომლის მეორე ნაწილი უეჭველად დასახლებულ პუნქტს აღნიშნავს; ახალქალაქი, ახალსოფელი, ახალდაბა, ახალციხე და სხვ.* ამიტომ ახალშენი II ახალშენის შემთხვევაში -შენი უეჭველად სოფლის, დასახლებული პუნქტის მნიშვნელობით იხმარება. ეტყობა ა ხ ა ლ ს ი ტ-ყვის ეს თვისება ტოპონიმიში ზოგადი უნდა იყოს; ასეთივე შეთანხმების უნარს ამჟღავნებს იგი სხვა ენებშიც, კერძოდ, სომხურსა და თურქულში. ჯავახეთის სომხურ სოფელთა ახალ უბნებს, ჩვეულებრივ, ნ ო რ ა შ ე ნ ი ჰქვია. შდრ. აგრეთვე თ ა ზ ა ქ ე ე ვ ი (ახალი სოფელი) - ნასოფლარი ასპინძის რაიონში (სახელი ახალია და თურქულენოვანმა მოსახლეობამ შეარქვა); ნ ო ვ გ ო რ ო დ ი და სხვ.

სამხრეთ საქართველოში დადასტურებული -შენ ელემენტის ტოპონიმების უმრავლესობას პირველ კომპონენტად აქვს ადამიანის საკუთარი სახელი: ბ უ ლ ა შ ე ნ ი (ახალქალაქის რ., შდრ. გვარი ბულაძე); მ უ კ უ ზ ა შ ე ნ ი - ნასოფლარი. მისი კვალი უკვე გამჟღავნდა. იგი მოხსენიებულია „დავთარში“ ასპინძის რაიონის ნასოფლარებთან - ვან-ბუზმარეთთან ახლოს. აქაც საკუთარი სახელია ამოსავალი -მუკუზა (შდრ. მუკუზანი, გურჯაანის რ.); მ უ ხ რ ა შ ე-შ ი - სოფელი ყოფილა „დავთარის“ შედგენის დროს ახალქალაქის რაიონში, სამსრებთან ახლოს ([8] 286). მუხრა უნდა იყოს საკუთარი სახელი. იგი მიღებული ჩანს მ უ ხ რ ა ნ, მ უ ხ უ. რ ა ფ ო რ მ ე-ბისაგან ([13] 108). მ ი ნ დ ა შ ე ნ ი - სოფელი ჩილდირის ნაჰიეში ([8] 522). აქაც პირველი კომპონენტი უნდა იყოს ადამიანის საკუთარი სახელი მ ი ნ დ ა (შდრ. გვარი მინდაძე); გ ო ვ ა შ ე-ნ ი - სოფელი ახალქალაქის რაიონში. იგი XVI საუკუნის ბოლოს სოფ.

*ახალშენი ზოგ დიალექტში ახალგაშენებულ ბაღს, ვენახს შეიძლება ერქვას, მაგრამ ეს მხოლოდ ენობრივ დონეზე ხდება. ასეთი სახელი ტოპონიმად ვერ იქცევა, რადგან „ახალშენია“ მანამ, სანამ ახალი ბაღია, ვენახი და სხვა.

ჭაჭკარის სათესველი იყო ([8] 364). ჟერ კიდევ ახსოვთ გოგაშენ-
ლებს ჭაჭკარიდან ამოსვლა. დღეს პირიქით არის - ჭაჭკარი, როგორც
სოფელი, გაუკაცრიელდა და გოგაშენის ბაღად იქცა.

ვფიქრობ, ასევე ანთროპონიმებია ამოსავალი სამხრეთ საქარ-
თველს დანარჩენ - შენ კომპონენტიანი სახელებისათვის (მაგალითე-
ბი ამოღებულია ს. ჯიქიას „გურჯისტანის ეტიმოლოგიის დიდი დავთრის“
III ტომიდან): პ ე ტ ა შ ე ნ ი, ფ ე ქ რ ა შ ე ნ ი, ქ ო რ ფ ა-
შ ე ნ ი, გ უ რ ა შ ე ნ ი და აგრეთვე დ ი გ ა შ ე ნ ი (ნა-
სოფლარი, ბოგდანოვეის რ.), ჯიგრაშენი (ნასოფლარი, ახალქალაქის
რ.) და სხვ.

არის რამდენიმე ტოპონიმი, რომელთა პირველი ნაწილი ადამიანთა
საკუთარ სახელს არ წარმოადგენს, მეორე ნაწილი კი - შ ე ნ ი ა:
ესენია: გ ა ვ ა შ ე ნ ი - ნასოფლარი ახალქალაქის რაიონში, ფა-
რენის მარჯვენა ნაპირზე, ხოსპო-ხორენიას შორის. გავა იგივე
ფუძე უნდა იყოს, გ ა ვ ე თ ს ა და ვ ა რ გ ა ვ შ ი რომ
გვაქვს; კ ო რ ა შ ე ნ ი - ნასოფლარი ადიგენის რაიონში, სოფ.
არაღთან. ვფიქრობ იგივე ფუძეა, რაც კ ო რ ი ს ხ ე ვ შ ი (ნა-
სოფლარი ასპინძის რაიონში); ხ ე ვ ა შ ე ნ ი - ადიგენის რაიონ-
ის სოფელი. ვახუშტი ასახელებს ხევაშენებს; „ამ კეცს მოერთვიან,
ქ ე ვ ა შ ე ნ ე ბ ს, ორნი კეენი, დასავლეთიდან მომდინარენი“
([11] 666). ვახუშტი ხევაშენებს აღწერს ღრელ-საფარასთან ახლოს,
რაც დღევანდელი აკანისტრაციული დაყოფით ახალციხის რაიონშია.

ხ ე ვ ა და ხ ე ვ ი სამცხე-ჯავახეთის ტოპონიმიაში ერთმა-
ნეთის პარალელურად იხმარება. განსხვავება ის არის, რომ ხევა
ტოპონიმად, ჩვეულებრივ, ყოველგვარი მსაზღვრელის გარეშე გვხვდე-
ბა. ხევი კი შეიძლება ცალკეც იყოს და უფრო ხშირად - დ ი დ ი,
ბ ა ტ ა რ ა, ღ რ მ ა და სხვა მსაზღვრელთან ერთად. ე.ი. ხევა-
ში ა ერთგვარი ტოპოფორმანტის როლს ასრულებს.

ასევე, ზემოთ აღნიშნულ ორ სახელშიც - გ ა ვ ა შ ე ნ ი, კ ო-

რ ა შ ე ნ ი ა ფორმანტი უნდა იყოს. გავაშენში შეგვიძლია ამის დაბეჯითებით მტკიცება (შდრ. გაცეით). კორაშენიც სისტემაში უდება. საკონტროლო საშუალებად არ გამოდგება კორის ხევი (კორა—> კორის, კორი—> კორის).

ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, -შენ-ს თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს და სოფელს უნდა ნიშნავდეს, ხოლო გავა-, კორა- ზედ-სარდაული მსაზღვრელებია.

ამრიგად, შ ე ნ -ი სპარსულიდან შემოსული სიტყვა, თავდაპირველად იხმარებოდა სოფლის მნიშვნელობით, ამიტომ ა ხ ა შ ე ნ ი II ა ხ ა ლ შ ე ნ ი სახელი ყველაზე ძველი ჩანს -შენ კომპონენტთან სახელებში.

როდესაც შენ-ისაგან წარმოიქმნა შენება ზმნა, სიტყვის მნიშვნელობაც შეიცვალა და შენ-ი გააზრიანდა მიმღეობურ ფორმად. იგი გამოიყენება როგორც საზოგადო (ხევა, კორა, გავა), ისე ადამიანთა საკუთარ სახელებთან. ამ უკანასკნელი შემთხვევის კარგი მაგალითია გ ო გ ა შ ე ნ ი, რომელიც საშუალებას იძლევა თვალი ვადევნოთ სოფლის სახელების ისტორიას. XVI საუკუნეში იგი ჯერ კიდევ არ არის სოფელი და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჭაჭკრის სათესველად იხსენიება. ე.ი. აქ შ ე ნ-ს უკვე დაკარგული აქვს დასახლებული ადგილის, სოფლის გაგება. იგი შეიძლება უბრალოდ ადგილსაც ნიშნავდეს, „დამუშავებულს“ (იხ. ზემოთ) და ნამყო დროის მიმღეობის გაგებაც ჰქონდეს. ამ შემთხვევაში ადამიანის საკუთარი სახელი ივარაუდება ნათესაობით ბრუნვაში. ბრუნვის ნიშანს -ს დაკარგული აქვს, რაც ჩვეულებრივი ამბავია. ეს რომ ასეა და მოდელში - ადა-მიანის საკუთარი სახელი + შენ -შენ-ს რომ არა აქვს სოფლის მნიშვნელობა, იქიდანაც ჩანს, რომ მისი სინონიმები: ს ო ფ ე ლ ი დ ა ბ ა, ქ ა ლ ა ქ ი იმავე პოზიციაში არ იხმარება (ე.ი. არა გვაქვს წარმოება: ადამიანის საკუთარი სახელი + სოფელი, ან + და-ბა, ან + ქალაქი).

ე. ი. -ში ე ნ სოფლის მნიშვნელობით გვხვდება ახალშენის შემ-
ახვევაში და, ვფიქრობთ, მაშინაც როდესაც უცნობია -ში ე ნ კომ-
პონენტის სახელის პირველი ნაწილი (გავაშენი), ხოლო ანთროპო-
ნიმეტთან შ ე ნ-ს ზმნური წარმომადგობა აქვს.

-ში ე ნ-ი გაქრობის გზაზე დგას, პროლეტარული აღარ არის ჯავა-
ხედის ტოპონიმიში (ეტყობა, არა მარტო ჯავახეთში, არამედ მთელ
საქართველოში მისი საშუალებით აღარ იქმნება ადგილთა ახალი სა-
ხელები. ეს არ ითქმის სომხურზე. ჯავახეთის სომხურ მოსახლეობაში
-ში ე ნ ცოცხალი ფორმაა და მრავალი ნორაშენი გვხვდება, სულ რაღაც
ბოლო IO წელში დარქმული. ქართულში ერთგვარი როლი შეასრულა -
ში ე ნ-ის პირვანდელი მნიშვნელობის დაკარგვამ და ზმნური გაგების
გაძლიერებამ, რასაც მოჰყვა -ში ე ნ ი ს ტერმინ-ფორმანტად* ქცევა.
ამიტომაც არის, რომ -ში ე ნ-ის რელექცია საზოგადო სიტყვაწარმოე-
ბაში არ ხდება, ხოლო ტოპონიმებში იგი იკუმშება: ახალშენის ხიდი,
გოგაშენელი კაეი. იმავე მიზეზით ნაკლებია -ში ე ნ კომპონენტის
სახელები მიკროტოპონიმიში. მისი გამოყოფა, როგორც ფორმანტისა,
დღეს უკვე შეიძლება, მაგრამ მნიშვნელობა თითოეულ კონკრეტულ შემ-
ახვევაში საკვლევია.

4. მ ა ნ ი

მ. ანდრონიკაშვილი მ ა ნ სიტყვის საშუალო ირანულიდან შემ-
ოსვლაზე წერს: „იმის გამო, რომ ქართულსა და სომხურს თითქმის
იდენტური ფონეტიკური სისტემები აქვთ, მსგავსი სიტყვების შესახებ
არ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, ისინი უშუალოდ არიან შემოსული
ქართულში, თუ სომხურს მეშვეობით. ქართულსა და სომხურს ამ შემ-
ახვევაში ერთგვარი შესაძლებლობები აქვთ საშუალო-ირანულ ბგერათა
-----“

* „ტერმინ-ფორმანტი“ აღებულია ე. მურზაევის წიგნიდან „ტოპონი-
მის ნარკვევები“, მსკოვი, 1974, გვ. 99.

გადმოსაცემად ([9] 168).

საშუალო ირანულში ვ ა ნ ი წარმოდგენილია vahān ც ა -
ჰ ა ნ ფორმით ([9] 168). „საშუალო სპარსული h გადმოცემულია
ჰ და ხ თანხმონებით, მეტწილ შემთხვევაში კი იკარგვის“ ([9] 214).
ქართული ტოპონიმია საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ ამ სიტ-
ყვის შემოსვლის პროცესს და მისი სამივე ვარიანტი დავადასტუროთ
სამცხე-ჯავახეთის ტოპონიმთა მაგალითზე. ჯავახეთში დღეს ორი ვა-
ნია: ერთი - ვარძიიდან სამ კილომეტრზე დედათა მონასტრად ცნობი-
ლი ვანის ქვაბები და მეორე - ბუზმარეთთან მდებარე ნასოფლარი,
სადაც დღეს ხიზაბავრის მესაქონლეობის ფერმაა. ვანის ქვაბებში
დედათა მონასტერი XV საუკუნიდან ჩნდება, შანამდე იქაც მამათა
მონასტერი იყო, რომლის ტიპიკონმაც ჩვენამდე მოაღწია [14]. ვა-
ნის ქვაბთა შესახებ ს. ჯიქია წერს: „ვანის ქვაბი საქართველოს
სამონასტრო ისტორიაში კარგად ცნობილი ვ ა ჰ ა ნ ი ს ქ ე ა -
ბ ი ა. „ვანის ქვაბთა განგების“ გამომცემელმა ლ. მუსხელიშვილ-
მა აღნიშნა, რომ „ვანის ქვაბებს უკვე XIV საუკუნის მეორე ნა-
ხევარში ვანის ქვაბებს უწოდებენ“. ცნობილია, რომ ჰ-ს და-
კარგვა ხმოვნის წინ დამახასიათებელია თანამედროვე ქართულისა-
თვის. „ვანის ქვაბში“ ჰ დაიკარგა და ორი ა-ს შერწყმით მიღე-
ბულია „ვანის ქვაბი“ ([8] 365).

შესაძლებელია, უკვე „ვანგების“ შედგენის დროსაც აღარ უწოდე-
ბდნენ ამ მონასტერს ვ ა ჰ ა ნ ი ს ქვაბებს და წესდების დამ-
დებნი ტრადიციას უწევდნენ ანგარიშს. ასეთ თუ ისე, გვაქვს ჩვენ-
თვის საინტერესო საშუალო ირანული ფორმა ვ ა ჰ ა ნ ი, უფრო ძვე-
ლი, ვიდრე სომხურსა და ქართულში შესული ვ ა ნ ი. ვფიქრობთ,
ვ ა ჰ ა ნ ი უნდა იყოს ამოსაცემი ორჯონიკიძის რაიონის სოფ.
ვ ა ხ ა ნ ი სთვისაც. აქ უკვე საშუალო სპარსული ჰ გადმოცემულია
ქართულში ხ-დ. ხ კი, ჰ-სთან შედარებით, უფრო მდგრადი ბგერაა და
დარჩა სიტყვაში.

5. ა რ ტ ა ა ნ ი

ს. ჯიქია დაწერილებით მიმოიხილავს საზღვრებსა და ცნობებს არტაანის შესახებ. ქართულ წყაროებში ეს გეოგრაფიული სახელწოდება გვხვდება სამი სახით: არტანი, არტაანი, არტაჰანი. მათგან ყველაზე ძველი ფორმა უნდა იყოს ა რ ტ ა ნ ი, რადგან „არტანი გვაქვს ჩვენ „ქარაღის ცხოვრების“ ყველა ძირითად ხელნაწერში, აგრეთვე ვახუშტი ბატონიშვილთან, „სამცხე-საათაბაგოს მღუდელ-მთავარი და მწყემსნი“-ში და სხვაგან. ასეთივე სახელის „მატარებელი პუნქტი გვაქვს ჩვენ თიანეთის რაიონის „არტანის სასოფლო საბჭოში“, სახელდობრ, სოფელი ქვემო არტანი. გარდა ამისა, ირკვევა, რომ ამ ადგილის სახელი ყოფილა ა რ ტ ა ნ ი ს ი - „ქალაქი არტანისი“. მაშასადამე, არტან სახელწოდება სავსებით ბუნებრივი ჩანს ქართულ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში“ ([8] 496). ს. ჯიქია არტაანს მელაანის ტიპის სახელების ანალოგიით მიღებულად თვლის ([8] 496). ხოლო ა რ ტ ა ა ნ ი ს შესახებ ორ ვარაუდს უშვებს:

I. ა რ ტ ა ა ნ ი ---> ა რ ტ ა ა ნ ი, არმენიზებული ფორმა არტაანისა, რადგან „სომხური ენისათვის ძლიერ დამახასიათებელია ხმოვანთა მეზობლობაში ა თანხმოვანი“ ([8] 497) და 2. „კანტიკუნტად, მაგრამ არტაჰან ფორმას ჩვენ ქართულშიც ვხვდებით: „არტაჰან-კოლა“, „არტაჰანი“ და „არტაჰანის მდებარეობა“ და სხვაგან. ამდენად, შეიძლება არ გამოირიცხოს შესაძლებლობებიდან ისიც, რომ არტაჰან ფორმა იყოს უძველესი ქართული ფორმა“ ([8] 497). საბოლოოდ, ს. ჯიქიას აზრით, უძველესია ა რ ტ ა ა ნ ი, რომლისაგანაც მიღებულია შემდეგ ა რ ტ ა ა ნ ი ც და ა რ ტ ა ა ნ ი ც. ამ უკანასკნელის თურქიზებული ფორმა Ardahan და რუსული Ардаган -ი ([8] 497). თავდაპირველად არტაანი მხოლოდ მხარეს, ოღუტ ერქვა და არა ქალაქს.

„ქართლის ცხოვრება“ VIII საუკუნის პირველი ნახევრის ამბების აღწერისას გვამცნობს, რომ არჩილმა ადარნერსეს „მისცა შულავერი და არტანი“ ([3] 243). ამ შემთხვევაში იგულისხმება ა ტ ე ნ ი და არა ა რ ტ ა ნ ი, როგორც ეს გაარკვია გ. აბრამიშვილმა: „შულავერი, რომელიც ქვემო ქართლში მდებარეობს, დიდად არის დაშორებული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე პროვინციის არტაანს და ძნელია ავხსნათ, თუ რატომ უნდა მიეცა არჩილ VI-ს ადარნერსესათვის ერთმანეთისაგან ტერიტორიულად შორს მდებარე ორი ქვეყანა“ ([15] 53). „ქართლის ცხოვრების“ ამ ცნობისათვის ყურადღება მიუქცევია ნ. ბერძენიშვილსაც ([15] 53).

არტან-ატენის საკითხის გარკვევა მოხერხდა „ქართლის ცხოვრების“ სომხური თარგმანის მეშვეობით. „ქართლის ცხოვრების“ ძვ. სომხურ თარგმანში ჯუანშერთან ნათქვამია, რომ არჩილმა ადარნერსეს მისცა რიზა, შულავერი და ატონე ([15] 54). ეს მაშინ, როდესაც „ქართლის ცხოვრების“ ძვ. სომხურ თარგმანში არტაანი შვიდჯერ არის დასახელებული და სომეხი მთარგმნელი ყველგან უშეცდომოდ ა რ ტ ა - 3 ა ნ ს წერს ([15] 54).

ეს დაკვირვება ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმიტაც, რომ არტაან-არტაჰანის საკითხი გადაწყდეს ს. ჯიქიას ზემოთ მოყვანილი პირველი მოსაზრების სასარგებლოდ.

შევხიშნავთ, რომ ვახუშტის შულავერის „კიახლოვე“ არტაანთან, რაც თითქოს ეჭვს ბაღებს „ქართლის ცხოვრების“ ზემოთ მოყვანილ ცნობასთან, ვახუშტი ბატონიშვილის შეცდომის შედეგი უნდა იყოს.

ამ გეოგრაფიული პუნქტის სახელის ფუძე უნდა იყოს ა რ ტ ა - ძველი სპარსული სიტყვა, რომელიც საერთოდ ინდოევროპული ძირია და წარმოადგენს დეოთების სახელს ([9] 27). იგი შედის აგრეთვე ძრავალი საკუთარი სახელის შემადგენლობაში. შდრ. არტავადია, არტაფარნა, არახშათრა, არტაბან, არტავაზად და სხვა“ ([9] 27). რაც შეეხება ნ-ს, იგი შეიძლება ირანულ სახელთა საწარმოებელ

(ზი) აფიქსად ([9] 225) მიგვეჩინა და ქართულ - ა ნ სუფიქსადაც. „მოცემული სუფიქსის ასეთი საყოველთაო გავრცელება და მრავალგანხილვადობა ქართველურ ენებში მოწმობს, რომ იგი ამ ენების საკუთარი მორფოლოგიური ელემენტია. ხოლო როცა ჩვენ მას ვხვდებით უცხო ენებში, ბუნებრივია, რომ იქ ეს სუფიქსი ქართველურ ენებიდან შენაძენად მივიჩნიოთ“ ([16] 46).

ამის მიხედვით უნდა გივარაუდოთ, რომ თავდაპირველად პარალელურად იხმარებოდა არტანიც და არტანიც. არტანში ფუძეცა და სუფიქსიც დაცულია სრულად: არტა+ან. არტან ფორმა ფიქსირებულია უფრო ადრე და იგი უფრო ადრეულ საფეხურად ივარაუდება. როგორც წესი, მსგავს პოზიციაში (ფუძე დაბოლოებულია ა-ზე და ემატება -ა-თი დაწყებული სუფიქსი) ერთი ა რჩება. შდრ. ო პ ი ზ ა ---> ო პ ი ზ ა რ ი .

არაქართული ლეოთებიანი საქართველოს წარმართულ მანთეონში შემთხვევითი არ უნდა იყოს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია უძველესი კერპები მცხეთისა - ა რ მ ა ზ ი და ზ ა დ ე ნ ი . „არმაზი - სახელი კერპისა, ძველი ქართველების მთავარი ლეოთება, რომელიც ქართლის მეფემ ფარნავაზმა აღმართა“ ([9] 25); „არმაზის სახელი ეწოდება მთასა და ციხეს მცხეთაში ([9] 25). სიტყვა არმაზი წარმოადგენს ძველი ირანული ლეოთების A(h)aramazda -ს გადმოცემას“ ([9] 26).

ასევე ინდოევროპულიდან შემოსულია კერპიცა და მისი სახელიც ზ ა დ ე ნ ი , რომელსაც იმ. ჯავახიშვილსა და გ. მელიქიშვილზე დაყრდნობით ცრულად მიმოიხილავს ი. მაისურაძე ([17]).

გარდა მცხეთისა, ზადენი გვხვდება სამცხეში, ადიგენის რაიონში, მის სახელად. იყო სოფელი ზადენ-გორა, რომელიც მოხსენიებული აქვს ლეონტი მროველს ანდრია მოციქულთან დაკავშირებით. ასევე ზადენს უკავშირდება სოფლის სახელი სამცხეში - ზ ა ნ დ ო . ([17] 269).

არტაანი ყველაზე ადრე მოხსენიებულია ჩე. წიგნბეჭდვის II საუკუნეში ბერძენი ისტორიკოსის კლავდიოს პტოლემეოსის მიერ: „ბერძენის (ქალაქებიდან) არტანისას აქვს ყველაზე გრძელი დღე“ ([18] 50).

პტოლემეოსთან მოხსენიებული არტანისასაში შეიძლება იგულისხმებოდეს არა არტაანი, არამედ ქალაქი არტანუჯი; რომელსაც „პროფ. ს. კაკაბაძე და მ. იოსელიანი სწავლიან ქალაქ არტანთან (იგულისხმება პტოლემეოსის მიერ მოხსენიებული არტანისასა -მ.შ.): უფრო სარწმუნო ჩანს ტომაშეკის მოსაზრება, რომ ამ სახელით ქ.: არტანუჯი აღინიშნება. ამას გვაფიქრებინებს თვით ამ სახელის დაწერა რილობა; ბოლო ორი სიგმა ნნ უნდა მიუთითებდეს აქ რაიმე აფრიკატის არსებობაზე და ბუნებრივად ვივარაუდოთ „-ანი“ ([18] 59).

ამ შემთხვევაში ჩვენთვის პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, პტოლემეოსი არტანს მოიხსენიებს თუ არტანუჯს, რადგან ამოსაცალი ორივე სახელისათვის არტანია: არტანუჯი შემდეგი საფეხურია:

6. ბუნელი

ბუნელი, ფიქრობთ, შემონახულია არაქართული ფუძე ბუნ-, რომელიც გვაქვს სიტყვა ბუნებაში. „ბუნება“ გვხვდება სხვადასხვა მნიშვნელობით: 1. თვისება, ხასიათი; 2. Natura, 3. ნამდვილი, ძირითადი. ([9] 296). დავუმატებთ ბუნება სიტყვის სხვა მნიშვნელობებს: აბულძის „შველი ქართული ენის ლექსიკონიდან“: აგებულია, სამკვიდრებელი. ბუნებით = დასაბამითგან, ბუნებითი = ნამდვილი, მკვიდრი, ბუნებრივი და სხვა ([19] 37-38).

მ. ანდრონიკაშვილი ბუნ-ს უძებნის შემდეგ მნიშვნელობას: ავესტური *buha*, სანსკ. *budh* - „აფუძველი“, „ნიადგი“, ფალსური ხუი. „აფუძველი“, „ძირი“, „ფუძე“, „საძირკველი“, „ნიადგი“:

ფიქრობთ, ტოპონიმიაშემოგვინახა განსხვავებულად გაფორმებუ-

ლი ბუნ ფუძე. თუ „ბუნებაში“ იგი – ებ სუფიქსით ფორმდება, ბ უ ნ-
ელ-ში – ელ აფორმებს.

ახალციხის რაიონში, ლაშხევთან, გვხვდება ნასოფლარი, სახელად
ბუნელი. იქვეა საძოვარი ბ უ ნ ე ლ ი ს გ ვ ე რ დ ი და ბ უ-
ნ ე ლ ე ბ ი. ჯავახეთში საძოვრის სახელად რამდენიმე ადგილას
გვხვდება ბ უ ნ ი ე ბ ი. აქაც ბ უ ნ ე არის ამოსავალი. დისი-
მილაცია მომხდარა შეშდგომ. ახალი სპარსული ხაჟ-ის მნიშვნელობა
(ძირი, ფუძე) შეიძლება დავინახოთ ბუნელ-ის ბუნ-ში.

7. ა ს ბ ი ნ ძ ა

სუმბატ დავითის ძე წერს: „და შეეწია ღმერთი მცირეთა ამათ
ადარნესეს კერძად და სძლიეს ნასრას, მეოტ ქმნეს, შეიპყრეს და
მოკლეს ხასრა კვესა სამცხისასა სოფელსა ა ს ბ ი ნ ძ ა ს, ქო-
რონიკონსა რ ე“ ([3] 379).

ასპინძის ეტიმოლოგიაზე შემდეგი მოსაზრება არსებობს: „ჩვენი
ფიქრი, გეოგრაფიული სახელი ა ს ბ ი ნ ძ ა შესაძლოა დაუკავ-
შირდეს სიტყვას მ ა ს ბ ი ნ ძ ე ლ ი. მაშინ მისი თავდაპირველი
მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო ს ა დ გ უ რ ი, თავშესაფარი ([9]
288). დადასტურებულია ფალაური aspanj, ispinj – ფორმა, რომელ-
საც ეყრდნობა ქართულიც. არის მოსაზრება, რომელიც ამ სიტყვას
სპარსულ aspa -ს უკავშირებს, მაგრამ ნიბერგი უარყოფს მას,
რადგან არამეული ფორმისათვის ამოსავლად მიჩნეულია uspinj ან
ispinj“ ([9] 288).

8. ა ს ბ ა ნ ე ა

ლეონტი მროველი რამდენიმეჯერ ასახელებს ასპანას: „მას უამსა
იყო ჭაბუკი ერთი მცხეთას ქალაქსა შინა, რომელსა ერქვა სახელი
ფარნაეაზ. ესე ფარნაეაზ იყო მამულად ქართლელი, ნათესავი უფროსი,
მცხეთელისის ძისა და დედულად სპარსი ა ს ბ ა ნ ე ლ ი“ ([3] 20).

„შვილო ჩემო, დაუტევე საყოფელი მამათა შენთა და წარმოიყვანე მამულსა ჩემსა ა ს პ ა ნ ს“. „და დაამტკიცეს განზრახვა ესე, წარსვლა ასპანას“ ([3] 21). „ქართლის ცხოვრების“ ასპანაში იგულისხმება ისპანანი ([2] 18).

ერთ ხალხურ ლექსში ვკითხულობთ:

„თავფარავნელი ჭაბუკი ასპანას ქალსა ჰყვარობდა,

ზღვა ჰქონდა წინად სავალი, გასვლას შიგ არა ზარობდა!“

([20] 29).

ამ ლექსში ორი კონკრეტული გეოგრაფიული პუნქტია დასახელებული — ა. ვ. ფ. ა. რ. ა. გ. ა. ნ. ი. და ა. ს. პ. ა. ნ. ა. „თავფარავნელი წარმოდგენილია სხვადასხვა ვარიანტით: მთავარავნელი, თავფარავნელი, თამარაშენელი და სხვა“ ([8] 347-348).

ს. ჯიქიას სწორ ფორმად მიაჩნია ა ს ფ ა რ ა და ფიქრობს, რომ ა ს პ ა ნ ი ს მაგიერად უნდა იყოს ა ს ფ ა რ ა. ჩვენი აზრით, რადგან ხალხური ლექსი ძირითადად ასპანას ხმარობს (ექ. თაყაიშვილი, მ. ჩიქოვანი, ვ. კოტეტიშვილი), შეიძლება ეჭვი შევიტანოთ ამ მტკიცებაში და ასპანა მივიღოთ ძირითად ვარიანტად. ამ სოფლის სახელად გვხვდება ა ს პ ა რ ა ც (ბოგდანოვიკის რაიონი). ასეც რომ არ იყოს და ა ს პ ა ნ ა გადააზრების შედეგად იყოს მიღებული, უნდა იგულისხმებოდეს ამ სახელის შატარებელი გეოგრაფიული პუნქტი, ისევე როგორც ასპინძის ან თამარაშენის შემთხვევაში.

სახელწოდება ასპანის წარმოქმნის ორი გზა არსებობს: ირანიდან შემოვიდა მზა გეოგრაფიული სახელი, ანდა ადგილობრივ შეიქმნა და ამოსავალი ფუძე არის სწორედ ზემოთ დასახელებული რაიონი. — ან — ის შესახებ იგივე შეგვიძლია გავიმეოროთ. არტაანის — ან — თან და — კავშირებით რომ არის ზემოთ ნათქვამი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ახალი ქართული ენის კათედრასთან
არსებული ტოპონიმიკის ლაბორატორია

პერსიდსკიე ელემენტი ვ თოპონიმიი ღჯავახეთი

რ ე ვ ი მ ე

ვ თოპონიმიი ღჯავახეთი ვიყვანილი ვარს შემდეგი ფორმანი ვ ბს-
ნოვი პერსიდსკოი პრისხობენი, ვიყვანილი რეზულთათო მნოგო-
ვოკოვი პოლითიკიკი სვიაზი:

- 1: -stan -astan | ალასტანი alastani, შარვასტანი margastani
- 2: -kan -akan | მურჯიკანი murjikani
- 3: -šen | ახაშენი axaseni, პიკრაშენი pikraseni;
- 4: ბეტაშენი betaseni, გავაშენი gavaseni
- 4: vani | ვაჰანი vahani
- 5: arta | არტანი artani
- 6: bun | ბუნელი buneli, ბუნიები buniebi
- 7: ასპანა aspana; ასპინჯა aspinga

ღიჭერატურა

- 1. შ. უ. რ. ვ. მ. მ.; Очерки топонимики, Москва; 1974.
- 2. ა. ნ. დ. მ. ნ. კ. შ. ვ. ნ. ღ. მ., ირანული სატომო და ადგილის სახელები მგ: ქართული სპისტორიო მწერლობაში: ენამეცნიერე-ბის ინსტიტუტის შრომები (აღმოსავლური ენათა სერია) I, თბ., 1954.
- 3. ქართლის ცხოვრება: ტექსტის დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწი-ლის მიხედვით ს: ყ ა უ ხ ლ ი შ ი ვ ი ღ. ს. მიერ, ტ. I, თბ., 1955.
- 4. ი. მ. ა. ი. შ. ვ. ნ. ღ. ი., ქართული თხზავნის სიმფონია-ლეკსი-კონი, თბ., 1949.
- 5. შ. მ. ნ. ი. ძ. მ.; გეოგრაფიული და წარმომადგომის სახელობა გა-დმოცემა მწველი ადგილის ტექსტებში: სახელის ბრუნების ისტო-რიისათვის ქართულში; თბ.; 1956.

6. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი ვ . , ქართველი ერის ისტორია; ტ. III, თბ. , 1966.
7. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი დ . , ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, ისტორიული გეოგრაფიის კრებული, V, თბ. ; 1975.
8. ჯ ი ქ ი ა ს . , გურჯისტანის ცილბიეთის დიდი დავთარი; ტ. III, თბ. , 1958.
9. ა ნ დ რ თ ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი მ . , ნარკვევებში ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან; I, თბ. , 1966.
10. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ რ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ; ტ. II, თბ. ; 1959.
11. ბ ა ტ თ ნ ი შ ვ ი ლ ი ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ რ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ. ქართლის ცხოვრება; ტ. IV, თბ. , 1973.
12. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი ვ . , ქართველი ერის ისტორია; ტ. II, თბ. , 1965.
13. დ ლ თ ნ ტ ი ა ლ . , ქართველურ საკუთარი სახელები; თბ. , 1967.
14. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი დ . , ვაჰანის ქვაბთა განგება; თბ. , 1939.
15. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი გ . , სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ. , 1977.
16. ჯ ა ნ ა შ ი ა ს . , თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი: შრომები, ტ. III, თბ. , 1959.
17. მ ა ი ს უ რ ა ძ ე ი . , ეტიმოლოგიური შენიშვნები რამდენიმე ტომონიშზე. ტომონიმიკა I, თბ. , 1976.
18. ლ თ მ თ უ რ ი ნ . , კლავდიოს პტოლემეისი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 32, თბ. , 1976.
19. ა ბ უ ლ ა ძ ე ი . , ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ. , 1973.
20. კ თ ე ტ ი შ ვ ი ლ ი ვ . , ხალხური პოეზია, თბ. , 1961.

მიხილ გეგეშიძე

ჰიდრონიმული წარმოშობის ქართული ტოპონიმები

შეიმჩნევა, რომ ქართულ ჰიდრონიმებსა და სხვა სახის ტოპონიმებს შორის შინაარსობრივი სიახლოვე არსებობს. ამისი მთავარი მიზეზი ჩანს წყლისა და მიწის ბუნებრივ-სამეურნეო შეერთება, რაც საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი მოვლენაა და ადრევეა შემჩნეული ადამიანის მიერ. ბუნებრივ საწარმოო ძალთა ასეთი „ერთიერთ-შედწევა“ ძველთაგანვე მეურნეობის განვითარების სასარგებლო სამსახურშია ჩაყენებული.

ჰიდრონიმული წარმოშობის ქართულ ტოპონიმებში, ბუნებრივია, ჭარბობს წყალთან უშუალოდ დაკავშირებული სახელები. სიტყვა წყალში გვეხვება შემდგომ განვითარებული ჩანს. ძირეულია წ-ალ-ი, სადაც, თავის მხრივ, აღსუფიქსური წარმოშობისაა და, ამდენად, ძირისეულ მასალად რჩება საკუთრივ ბგერა წ (არნ. ჩიქობავა). ვფიქრობთ, შესაძლებლობა გვეძლევა, რომ წ-ალ ფუძისეული მასალა ზოგიერთ ტოპონიმშიც ვიგუვლოთ; ხოლო თვით ასეთი ტოპონიმი ჰიდრონიმული წარმოშობისად მივიჩნიოთ. ჩვენი შეხედულებით, ასეთთა რიგს მიეკუთვნება გეოგრაფიული სახელი წ ა ლ კ ა, სადაც ასახსნელი რჩება კ ა ნაწილის მნიშვნელობა. ადგილობრივ ენოგრაფიულ ყოფაში დადასტურდა ამ სიტყვის (წალკა) კავშირი წყლის სიუხვესთან, წყალდიდობასთან, რაც ლეგენდაშიც კი არის გადასული. თრიალეთის ეს ნაწილი ისტორიულადვე გამოირჩეოდა წყლის (წყარობის) სიმრავლით.

„წყალ-ხმელეთის“ მჭიდრო მეურნეობრივი სიახლოვე საქართველოსათვის ობიექტური დამახასიათებელი და ამავდროს გამართლებული მოვლენა ჩანს, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს ტერიტორიის ბუნებრივ-გეოგრაფიულ თავისებურებას, კერძოდ, ვერტიკალურ ზონალობას და ცხოვრების ხეობურად მოწყობის ისტორიულ აუცილებლობას. ს.-ს.

ორბელიანის ლაკონიურ განმარტებაში - „ხეობა - ერთ წყალზე ბევრი მოსახლე“, - ცხადია, მოვლენის მარტო სოციალური მხარე არ იგულისხმება.

უთუოდ ხ ე ო ბ ი ს შინაარსისაა ხ ე ვ ი ც, მაგრამ ეს უკანასკნელი უფრო მცირე ზომისაა. თავდაპირველი შინაარსით ხევიც წყალთან (მდინარესთან) არის დაკავშირებული. საყურადღებოა, რომ სემასიოლოგიურად (ფუძისეული და ძირისეული მასალით) ეს სიტყვა წყალ სიტყვასთან სიახლოვეს ამჟღავნებს ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაშიც. მეორადი მოვლენა უნდა იყოს საქართველოს ტერიტორიაზე ხევის სოციალურ-ადმინისტრაციული და გეოგრაფიულ-ტოპონიმიკური ფუნქცია (ხევი, ხევისთავი, ხევისბერი). სოციალურ-ეკონომიური განვითარების ისტორიულ პროცესში არსებითი მნიშვნელობა მისცემია დასახლებისა და განსახლების ჩვენი ქვეყნისთვის შესაფერსა და შესაბამის ფორმას - „ხევისპირულობას“ (ნ. ბერძენიშვილი).

სამეურნეო მიზანმიმართულებით ბუნებრივ საწარმოო ძალთა განვითარების საფუძველზე ადგილი ჰქონდა ჰიდრონიმების ფუნქციურ ტრანსფორმაციას, რის გამოც იცვლება თვით არსებითი სახელის თავდაპირველი შინაარსი: სიტყვაში ჭ ა ლ ა ძირეული ენობრივი მასალა აშკარად წყალს უკავშირდება (ქართველურ ენებში წ და ჭ ბგერების ურთიერთმიმართების კანონზომიერება სპეციალურ ლიტერატურაში ადრევეა დადგენილი). საყურადღებოა სვანურში მდინარის აღმნიშვნელი კომპოზიტიური წარმოების სახელწოდებებში ჭ ა ლ ა კომპონენტის არსებობა (მულახ-ჭალა, მესტია-ჭალა...). საგულებელია, რომ განვითარების ხანგრძლივ პროცესში, საკუთრივ ქართულ ენაში ჭალა სიტყვის შინაარსი გაფართოვდა და იგი მდინარის გასწვრივი, მიმდებარე ადგილების აღმნიშვნელიც გახდა (ნ. კეცხოველი). უფრო მეტიც, იგი იქცა ამავდროულად მდებარე ტყეების აღმნიშვნელ სპეციალურ სახელდადაც (ჭალა, ჭალაკი). აქაც საიმედოა საბაბს მოკლე და ზუსტი განმარტება: „ჭ ა ლ ა - წყლის პირი ნაყოფიერი“. ნაყოფიერებისა-

დვის ხაზგასმა ექ საცესებიო კანონზომიერია, რადგან, როგორც ეს
 ეანოგრაფიული ყოფის მონაცემებითაც დასტურდება, ყველა წყლის
 (მდინარის) პირი ადგილი ჭალად არ ითქმის და ასეთში იგულისხმება
 მხოლოდ ისეთი წყლიანი გარემო, რომელთანაც ადამიანს უხსოვარი
 დროიდან სპემურნეო კონტაქტი აქვს. არქეოლოგურადაც დადასტურე-
 ბულია ხეობადა დაბალი, მდინარის გასწერივი სარტყლების სამეურნეო
 სიკეთე, რაც აღუფიური ტერასული დანალექების სიუხვიო აიხსნება.
 ამდგვარი მოვლენები ცხოვრების ხეობური წესისათვის არის დამა-
 ხასიოებელი და იგი საქაროველოს ტერიტორიაზე უძველესი ჩანს.
 სწორედ ეს შეაპირებებს საქაროველოში წყალთან დაკავშირებული ტო-
 პინიშების მრავალფეროვნებას, რაც არა მარტო დიალექტური ნაირგვა-
 რობიო გამოიხატება, არამედ სამეურნეო სარგებლიანობის გამოხატვის
 აღნიშვნის უნარიოაც. ნიმუშად გამოდგება სავარაუდო საერთო ფუძის
 მქონე ჰიდრონიმ-ტოპონიმა ერთი ჯგუფი: ნ ლ ყ ა, ნ ლ ყ მ, ნ ო-
 ლ ა, რომლებშიც წარმოჩენილია წყლიანი გარემოს მიკროეკოლოგიური
 თაყისებერება = ნაყოფიერება, სავარაუდოა ნ ლ ყ ი ე რ ი, ს ი-
 ნ ლ ყ ი ე რ ე ცნებების წარმოშელობა ნ ლ ყ ა-საგან. ნ ო-
 ყ ი ე რ ი ამჟამად საზრდოს თვისების აღსანიშნავადაც იხმარება,
 მაგრამ უფრო აღრე იგი კარგი მოსავლის მომცემი, პოხიერი ნიადაგის
 თვისების გამომხატველი უნდა ყოფილიყო. ამ სახელების ფუძისეულ
 მასალაში გასარკვევია ნ ო ყ ა-სა (ნოყო-ს) და ნ ლ ა-ს ურთი-
 ეროშიმარება. ნ ო ლ ა დასავლეთ საქაროველოს ყოფის მონაცემე-
 ბიო მდინარის გასწერივი ნაყოფიერი ადგილია, რომელიც, ჩვეულებრივ,
 მდინარის მიერ არის მოლექილი (მოსილული). ამ სიტყვიო აღნიშნავენ
 შავე მიწასაც. სამეურნეო ყოფასთან უნდა იყოს დაკავშირებული გე-
 ოგრაფიული სახელი ო ნ ო ლ ი ა და ჰიდრონიმი ნ ლ ე ლ ა
 სამეგრელოში, შესაძლებელია, ჰიდრონიმი წარმოშობისაა ადგილის
 სახელწოდება ნ ო ლ ა ლ ე ვ ი-ც (გეგეჭკორის რაიონში). ნ ო ლ ა

ქალაქის (ბაზრის) ცნების აღსანიშნავად მეორადი მოვლენა უნდა ჩანდეს.

წყალი და წყალთან სიახლოვე უნდა იგულისხმებოდეს იმ ლექსიკურ მასალაშიც, რაც საფუძვლად უდევს მ ე რ ე ს ტიპის საკუთარ სახელებს (მერისი, მერთი, მერია). მ ე რ ე წყლის სანაპიროზე მდებარე ვაკე ადგილს ეწოდებოდა (მხოლოდ წყლის სანაპიროზე მდებარე ვაკე ადგილს!). ეთნოგრაფიული მონაცემები ადასტურებენ, რომ ასეთი ვაკე ადგილები ნაყოფიერი იყო.

შეინიშნება, რომ, განსაკუთრებით იქ, სადაც წყალს სხვა ფენ-ტიკიბთან ერთად მოშლამვის (მოსიღვის, მოლევის) სასარგებლო ძეგ-სებაც ჰქონდა, წყალთან დაკავშირებულ ტოპონიმურ ნომენკლატურაში გარჩენილა წყლის ნავალი ადგილების აღმნიშვნელი პრეფიქსული წარმო-ების გეოგრაფიული სახელები: ნარუალი, ნაწყარუ, ნარიონები და სხვ. აქვე გავიხსენოთ ცახუშტი ბატონიშვილის საყურადღებო ეთნოგრაფიული ცნობა: „რომელნი ცელნი ირწყვიან ღიახვიდა, პური მისი არს ყო-ველთა ქართლისათა უმჯობესი და გემოიანი და სპეტაკი“ ([1] 75).

ზემოთქმულთან კავშირში შეიძლება გამოთქვას ერთი ზოგადი მო-საზრებაც: საფიქრებელია, რომ ბუნებრივ საწარმოო ძალთა შეერეო-ბრივად სასარგებლო ძეგისუბრივი ნიშნები, გააზრებული და დამყარე-ბული ხალხის ეკოლოგიურ ცოდნაზე, დაედო საფუძვლად ამავდ მიკრორე-გიონებში დასახლებების ჩასახვე-წარმოქმნას და შესაბამისი გეო-გრაფიული სახელწოდებების გარჩენას. შეიძლება ნიმუშად დავასახელოთ: წყალტუბო, კასრისწყალი, წინწყარო, კავთისხევი, ტაღაღიდი, მერთი, შვილიაღევი, ონოღია, ტაბახმელა და სხვ. (შდრ. [2] 56).

სამეურნეო-საწარმოო მნიშვნელობის „შეწყვილებულ“ ჰიდრონიმ-ტო-პონიმიებში, რომელთა ნაწილია აქ წარმოდგენილი, დასტურდება ნიშან-დობრივი ენობრივი მახასიათებლები. ლექსიკური ძირეული და ფუძისეული მასალა თითქმის მთლიანად ქართულ-ქარაფილურია. ეს კი განსაკუთრე-ბული მნიშვნელობის კულტურულ-ისტორიული ფაქტია, რაც საქარაფილს

ტერიტორიაზე ცხოვრებისა და მეურნეობის დიდ სიძველესა და განვი-
აარების მრავალფეროვნებაზე მიუთითებს.

წყლის სამეურნეო გამოყენების ქართული პრაქტიკიდან გამომდინ-
ნარე, შემდგომი კვლევა სჭირდება ტერმინს რ უ და მისგან ნაწარ-
მოებ ტოპონიმებს და ჰიდრონიმებს (რუისი, რუისპირი, სიქთარვა...).

შესამოწმებელია ივ. ჯავახიშვილის ვარაუდი, რომ ტერმინი რუ ქარ-
თლში ირანულიდან უნდა იყოს შემოსული არა უადრეს ჩვენი წ. აღ.
VIII-IX საუკუნეებისა. ასეთი დაეჭვების რეალურ საბუთად იყენებენ
შესაბამისი გეოგრაფიული სახელის (რუისი) ბევრად ადრე არსებობას
ჩვენში. ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ტერმინი რ უ მარ-
თლაც ადრე უნდა იყოს შემოსული გარედან, რაც იქიდან ჩანს, რომ ამ
სიტყვას ღრმად შეუღწევია სამეურნეო ყოფაში და სასოფლო-საწარმოო
პრაქტიკაში წამყვანი მნიშვნელობაც მოუპოვებია. ამ სიტყვიდან ნა-
წარმოებია ზმნის ფორმაც „დავურეთ“ („დავახვევს“, „დაუვნაკადღეს“
მსგავსად), რასაც ვერ გვხვდებით წყალთან დაკავშირებულ ირანულ
წარმოშობის სხვა სიტყვებში (ბულაყი, ქანქანა და სხვ.) (შდრ.: [3]).

ამასთან დაკავშირებოთ, საჭიროა აღინიშნოს ერთი ვარაუდის შესა-
ხებ: სპეციალურ ლიტერატურაში დიდხანს იყო გავრცელებული აზრი,
რომ ხელოვნური შორწყვა, ირიგაცია სპეკრაველს ტერიტორიაზე ირა-
ნის გავლენით ჩაისახა (შდრ. [4]). სპეციალურმა არქეოლოგიურმა და
ეთნოგრაფიულმა კვლევამ ამ შეხედულებაში არსებითი კორექტივი შე-
იტანა და ფაქტურად მოხსნა იგი ([5], [3]). მაგრამ ირან-საქარ-
თელის ხანგრძლივი კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის ნიადაგზე წა-
რმოქმნილი საირიგაციო ტერმინოლოგია დიდხანს ატარებდა სამეურნეო-
ადმინისტრაციული ურთიერთობისა და გავლენების კვალს. ამ მოვლენას
გამვალისწინება სჭირდება შორწყვის გენეზისისა და საირიგაციო
მეურნეობის კულტურულ-ისტორიული საკითხების კვლევისას, რამდენა-

დაც ტერმინების გეოგრაფიული გავრცელება ყოველთვის არ ნიშნავს თვით საგნებისა და მოვლენების გავრცელებას, მით უმეტეს, თუ საქმე ეხება გენეზისურ პროცესებს, რაც ცვლელის კომპლექსურობას მოითხოვს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქე-
ოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

М. К. ГЕГЕШИДЗЕ

Грузинские топонимы гидронимического происхождения

Р е з ю м е

В грузинских топонимах гидронимического происхождения преобладают названия, непосредственно связанные с водой. В топониме *qalka* форма *qal* кажется первичной. С водой (рекой) связаны термины и топонимы: *xeoba*, *xevi*, *ḡala*, *poḡa*, *poḡo*, *poḡa*, *opoḡia*, *merisi*, *mereti*, *meria*...

ლიტერატურა

1. ც ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1940.
2. გ. ბ. ე. ლ. შ. ვ. ი. ლ. ი, ერწო-თიანეთის ტოპონიმია, თბ., 1980
3. შ. ვ. ე. ბ. ვ. ი. ძ. ე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, თბ., 1962 .
4. В. Д. И. Г. Е. Л. Ш. Т. Е. Д. Т, Водовладение и ирригация на Кавказе, Тифл., 1897 .
5. ი. ვ. ი. კ. ვ. ი. ძ. ე, შორწყვა ძველ საქართველოში, თბ., 1964 .

ლუიზა გვენეტაძე

ტოპონიმთა ოდენსუფიქსური წარმოება
ოკრიბის* ტოპონიმის მიხედვით

ოკრიბის ტოპონიმთა მნიშვნელოვანი ნაწილი ოდენსუფიქსებიანაა ნაწარმოები.

I. ბრუნვის ნიშნით ნაწარმოები სახელები:

-ი ს (ა), -ი ს(ი): ც ი ხ - ი ს - ა საძოვარი, ტყე (ს. მეჩხერი, ნაბოსლები), ხ ვ ა მ-ი ს-ა სალოცავი გორა (ნაბოსლები), ჯ ვ ა რ-ი ს-ა სოფელი, გ ვ ე ლ-ი ს-ა ხრიოკი, ტრიალი მინდორი (კისორეთი), ზ რ უ გ-ი ს-ა გორა, „წაგრძელებულია ცხენის ზრუგით“ (მამაწმინდა), დ ე ლ-ი ს-ა დეღე იყო, ახლა საძოვარია (შუყერი), ქ ვ ა ბ-ი ს-ა საძოვარი (კისორეთი), ს ა მ წ ყ ე რ-ი ს-ა ყანა, ბადი (კუდოთი) და სხვ. (სულ 19 ტოპონიმი).

-ისი-ის-ი ნიშნით გაფორმებული ნაგენტივარი სახელები სამეცნიერო ლიტერატურაში საზღვრულდაკარგულ მსაზღვრელებად არიან მიჩნეული ([1] 115, [2] 150, [3] 21). როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, ისინი ოდინდელი მსაზღვრელებია, რომელთაც თავის დროზე საზღვრული დაუკარგავთ... შემდეგ დაგვრჩა გენტიური ტორმები, რომლებიც დამოუკიდებელ სახელებად იქცნენ ([1] 115).

ჩვენ მიერ მოტანილ საანალიზო მაგალითებშიც ისტორიულად შესაძლებელია გვექონოდა მსაზღვრელ-საზღვრელები: ც ი ხ-ი ს-ა <-ციხის გზა, დ ე ლ-ი ს-ა <- დელის პირი, ქ ვ ა ბ - ი ს - ა <-- ქვაბის კარი და ა.შ. (ზღრ. ტოპონიმები: სკიპის დეღე, ხიდის ყური, ირმის

*ისტორიული ოკრიბა მოიცავს დღევანდელ ტყიბულის რაიონს (მუხურის ს/ს გამოკლებით) და რიონის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფლებს (წყაღტბოს სსკ. საბჭოს ზონა).

საკლავო, ბერის ციხე და ა.შ.).

-ის-იი-ის-ა აფიქსებს ტოპონიმთა წარმოებაში ერთნაირი ფუნქცია აქვთ, მაგრამ კუთვნილება უფრო ნათლად -ის-ა სუფიქსითაა გამოხატული.

2. მრავლობითი რიცხვის სუფიქსებით ნაწარმოები სახელები:

ოკრიბის ტოპონიმიაში ფართოდაა წარმოდგენილი -ებ სუფიქსი, იშვიათად - -ა(ა).

-ე ბ ა. საზოგადო არსებითი სახელისაგან: ფ ე რ დ ა ლ ე-ე ბ-ი (-ფერდალა-ებ-ი) ტყე, საძოვარი (ჯონია), მო-ხ ო უ ლ-ე ბ-ი იზა-ბელას ჯიშის ეენახი იყო ხეებზე მოხვეული (კურსები), კ ვ ა ხ რ-ე ბ-ი. ადრე კვახს თესადენენ გაჩენილ ტყეში (ივანეული), კ ა ბ ე-ტ-ე ბ-ი ტყე (მოწამეთა), კ ა ტ რ-ე ბ-ი ტყე, „პატარი“ ცული ფიჭვი ([4] 291) და სხვ. (სულ 39 ტპ.). ბ. საკუთარი არსებითი სახელისაგან: ბ ო ჭ ო რ ი შ ე ი ლ-ე ბ-ი საცხოვრებელი ადგილი (ტყიბული), ძ ო წ ე ნ ი ძ ე-ე ბ-ი (ძმუისი), ხ ო რ ხ ო მ ე ლ ი-ძ ე-ე ბ-ი (გურნა) და სხვ. (სულ 27 ტპ.).

-ებ სუფიქსი მრავლობითობას არ გამოხატავს და არც კრებობაზე მიუთითებს შემდეგ ტოპონიმებში: ჭ ა ლ ე-ე ბ-ი ყანა მდ. წყალწითელას ნაპირზე (გელათი), ფ ო ნ ე-ე ბ-ი ფონი მდ. ძუსაზე (კურსები), კ ო შ კ-ე ბ-ი საძოვარი, ადრე კოშკი იყო (კურსები), მ უ ხ-ე ბ-ი საბანაო ადგილი მდ. წყალწითელაზე. აქ ერთი დიდი მუხაა (მოწამეთა), შ ე რ თ უ ლ-ე ბ-ი მდ. სკიპი ერთვის ამ ადგილზე მდ. ტყიბულას (ახალსოფელი), ფ ე რ დ ა ლ ე-ე ბ-ი ტყე, ფერდობი (ჯონია). „ქაღ-ები“ და „ფონები“ ბევრ ჭალასა და ფონს კი არ ნიშნავს, არამედ იმას, რომ ამ სახელებით ცნობილი ადგილებია დიდი მოყულობის. ასევე, „კოშკები“ საძოვრის სახელწოდებაა. ადრე აქ ყოფილა კოშკი, ახლა ნანგრევებია. აქაც -ებ კოშკის სიმრავლეს კი არ აღნიშნავს, არამედ ამ კოშკის ირგვლივ მდებარე ადგილის სიდიდებზე მიუთითებს.

მაშასადამე, -ებ ტოპონიმთა აღნიშნული ადგილის სიდიდეს გამო-

ხატავს?

ზოგჯერ -ებ სუფიქსის წინ „ი“ არის: ფ ა ნ-ე-ებ-ი, შ ი ა ლ-ე-ებ-ი, ფ ე რ დ ა ლ-ე-ებ-ი, რ ა მ-ე-ებ-ი, კ ი ბ ე ლ-ე-ებ-ი, კ მ დ ი ლ-ე-ებ-ი და ა.შ. ასეთ ფორმებში -ებ-ის წინ ივარაუდება -ა სუფიქსი (ფ ა ნ ა-ებ-ი, შ ი ა ლ ა-ებ-ი, ფ ე რ დ ა ლ ა-ებ-ი...), რომელიც ასინილაციით „ი“-დ იქცა.

ტოპონიმებად იშვიათად გამოიყენება მრავლობითობის -თ(ა) ნიშნის შემცველი სახელები. მაგ., მ ი წ ა მ ე-თ-ა ისტორიული ადგილი, სოფელი, ეკლესია; დ ე ლ-თ-ა თადეაღმართია, რომელზედაც ძლიერი წვიმებისას დედო ჩამოდის (შუყერო); ლ ე დ ე-თ-ა სამოვარი (მამაწმინდა). თ(ა) სუფიქსს აქ მრავლობითის ფუნქცია ადარ აქვს და ტოპონიმები ისე იბრუნებიან, როგორც -ა-ზე გათავებული მხოლოდითი რიცხვის სახელები. როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, „ეს ის სახელებია, რომელთაც რაღაც საზღვრული (დაბა, სოფელი...) უნდა პქონოდათ ერთ დროს, მაგრამ საზღვრულის ჩავარდნის გამო მსაზღვრელს დაჰკარგვია პირველადი მნიშვნელობა და ახალი მოუფიხა“ ([1] 115).

-თ(ა) სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მიიჩნევიან ნარ-თანთან მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში დასმულ საზღვრულდაკარგულ მსაზღვრელ სახელებად ([5] 286-299).

გავრცელებულია ტოპონიმთა წარმოება -თ თანხმონის შემცველი სუფიქსებით.

-ეთ: ბ ე-ე-ი სოფელი (ხრესილის ს.ს.), ლ ა ფ-ე-ი სოფელი (ოპირის ს.ს.), კ ი ს მ რ-ე-ი სოფელი (კურნის ს.ს.), ს ო-ჩ-ე-ი (სასოფლო საბჭო), ნ ე ფ ი-ე-ი ეენახი (სოჩხეთი), ს ა ფ ლ ა ე-ე-ი ჭაობიანი ადგილი, საქონელი ევლობოდა (ძიროვანი) და სხვ. (სულ 90 ტომ.) .

* -ებ სუფიქსის ამ ახალი ფუნქციის შესახებ ტოპონიმოლოგიაში მიუთითა პ. ჯაჯანიძემ: იხ. ([12] 110).

როგორც თ. ზურაბიშვილი აღნიშნავს, „ერთ სუფიქსი ადგილის სახელწოდებას აწარმოებს, უპირველეს ყოვლისა, ეთნიკური თუ საკუთარი სახელებისაგან, მცენარეთა, ცხოველთა და სხვა საზოგადო სახელებისაგან.“ „ერთ სუფიქსის ფუნქცია კრებიოთობისა და მრავლობითობის გამოსატყა“ ([2] 141-144).

-ერთ სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმები ოკრიბაში საკმაოდ გავრცელებულია (შდრ. გ. ბედოშვილი: „ერთ სუფიქსი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში აქა-იქ გვხვდება“ ([6] 18).

ფ. მაკალათიას შესაძლებლად მიაჩნია -ერთ სუფიქსის დაშლა -ე ხმოვანფუძიან სახელებთან, მითუმეტეს, თუ ტოპონიმი უნდა მიეიჩნოთ საზღვრულდაკარგულ მსაზღვრელ სახელად ([7] 40).

ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალებში -ერთ სუფიქსი საერთოდ არ გვხვდება -ე ხმოვანფუძიან სახელებთან. ამასთან, მის მიერ ნაწარმოები ფუძეების სემანტიკა მეტწილად უცნობია. ყველაფერი ეს აძენლებს -ერთ სუფიქსის ფუნქციის ზუსტად დადგენას საკვლევი რეგიონის ტოპონიმებში. მაგ: „კ ი ს ო რ ე თ ი“ სოფლის სახელწოდებაა, მაგრამ არ ჩანს, თუ რა არის „კ ი ს ო რ“. ტოპონიმა გარკვეულ ნაწილში კი -ერთ სუფიქსი კრებიოთობასა და მრავლობითობას გამოხატავს.

ტოპონიმებად გვხვდება ადამიანის სახელები -ერთ სუფიქსით;

ს ო ლ თ მ ა . ნ - ე თ - ი ჩაი, ტყე. ვინმე სოლომანი ცხოვრობდა ადრე, ახლა - მისი შთამომავლობა (კურსები), სახნავ-საძესი (ჭოღვი);
გ ო გ ო ლ - ე თ - ი სახნავ-საძესი (გურნა), კ ა ც ი - ე თ - ი ენახი;
საცხოვრებელი ადგილი (წყნორი), ბ ე შ ა ნ ი - ე თ - ი ტყე, საცხოვრებელი ადგილი (ქვ. ჭყვიპი). გ ი ო ნ - ე თ - ი ჩაი (კურსები),
გ ო გ უ ა ნ - ე თ - ი ტყე, ყანა, საცხოვრებელი (კურსები), გ ო -
გ ი ნ - ე თ - ი ჩაი, საძოვარი (ჯონია). ზემოაღნიშნულ სახელები ეწოდებოდა უთუოდ იმ ადგილებს, სადაც სოლომონის ([8] 133), გოგოლ-

ას, კაციას, ბეჟანას, გიოს, გოგუნას (< გოგონას) შიამომავლები ცხოვრობდნენ.

საკვეთე რეგიონში გაცრედილებულია აგრეთვე -ამ სუფიქსი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში -ეა-ის ზანურ შესატყვისად ითვლება ([2] 141).

-აა: გ ე ლ-აფ-ი სოფელი, მონასტერი (კურსების ს.ს.), ც უ ც-
ბ ვ -აფ-ი (სასოფლო საბჭო). ადრე აქ ცაცხვების ტყე იყო, გაურჩხავდა
და სოფელი გაუშენებიათ; ზ ა რ-ა თ-ი სოფელი (ჩოონის ს.ს.), კ ო-
კ ო რ-აფ-ი გენახი მისი ფერდობზე (ნაძეა), ე ლ დ-აფ-ი კლდე (კურ-
სები), ფ ო თ-აფ-ი წყლიანი, ჩაეზარდნილი ადგილი (დაბაძველი), ჭ ა-
ხ-აფ-ა ყანა გოლოგნის დასავლეთით (მოწამეთა). (სულ 10 ტომ.).
ეს ტომონიმები, ისევე როგორც -ეა სუფიქსიანები, წარმოშობით საზ-
ღერუდაქარგული მსახვდრელებია: ლეღვათი<-ადგილი ლეღვა-თ(ი), ე-ი.
„ღეღების (ღეღვათ) ადგილი“ (-თ მრავლობითის გენეტივის ნიშანი,
-ი - ემფატიკური -ა-ს ტოლფარდი ხმოვანი).

საკვეთე რეგიონში ყველაზე ნაკლებადაა გაცრედილებული -თა, -ით
სუფიქსები. დადასტურებულია მხოლოდ რამდენიმე ტომონიმი: კ უ დ-თ-ი
სოფელი (ჩოონის ს.ს.), ბ ო ბ-თ-ი სოფელი (კურსის ს.ს.), გ ო გ-
თ-ი ყანა, საძოვარი (წყნორი), წ ყ ა-თ-ი ტყე (ზარათი); ხ რ ე-
თ-ი დასახლ. ადგ. ადრე ტყე (ქუყნური, შდრ. ხრეიდი - სოფელი გი-
ათურაში); ჯ ი ხ ე-თ-ი გენახი, თინარი (ჭოლევი), რ ა-თ-ი
ჩაი (კურსა) აღნიშნულ სახელებში შესაძლებელია ხმოვნები ფუძის
კუთვნილებად ჩავნვალოთ: ბ ო ბ ო-თ-ი (შდრ. ბობო - კოლხური სახელი
[9] 59), ბ ბ ბ-თ-ი ფშავის ტომონიმიაშიც გვხვდება ([7] 41), კ უ-
დ ო-თ-ი (შდრ. ფშავის ტომონიმი „კუდო“), გ ო გ ო-თ-ი (შდრ. გოგო-
თა, თუშური საკუთარი სახელი). ([9] 67).

ბ. ზურაბიშვილის მოსაზრებით, ტომონიმიკურ სახელებსა სპარსეთში-
ლი ყველა თ-ანანი ბოლოსართი წარმოშობით მრავლობითობის, კრებითო-

ბის მარცენებელია ([2] 144). ს. ჯანაშია კი აღნიშნავს, „მ თან-
ხმოვნის შემცველი სუფიქსები სხვადასხვა ვარიანტებით, რომელიც
გვხვდება ქართულ ტოპონიმიკაში, სხვადასხვა წარმოშობისაა: ეს ხმოვ-
ნები ზოგიერთ შემთხვევაში ეკუთვნიან ფძეს, ... სხვა შემთხვევაში
უნდა გავიგოთ როგორც სასარგებო ელემენტები“ ([10] 144-145).

3. კინოზოის სუფიქსით ნაწარმოები სახელები:

აღსანიშნავია -ა სუფიქსის, როგორც სადერივაციო ფორმანტის, სხვა-
დასხვა ფუნქცია. როგორც მარტივფუძიან ტოპონიმებთან (გოდორა, კორ-
ტონა, ფლანგა, ჭოროხა, ევლა, ქვაბა, ბოსტანა, მარანა, აკავანა,
ატამა), ისე რთულ სახელებთან, კომპოზიტებთან (დიდწიფელა, წყალწი-
ფელა, თხილწყალა, გორმეტა, ზედაველა, ცივწყალა, ცხრაფერდა...).

ა. შანიძე -ა-ს კინოზოის სუფიქსად მიიჩნევს ([1] 120-121);
ს. ჯანაშია მას მასუბსტანტივებელ ხმოვნად თვლიდა ფორმებში: თელ-
ფან-ა, წაბლოვან-ა ([11] 218).

ბ. ზურაბიშვილის აზრით, -ა სუფიქსს საზოგადო სახელებთან კინო-
ზოის ფუნქცია აქვს, მაგრამ გეოგრაფიულ სახელთა წარმოებისას იგი
ქონების, მსგავსების, თვისების აღნიშვნის ფუნქციას იძენს ([2] 151).

გ. მაკალათია იზიარებს ს. ჯანაშიას მოსაზრებას და წერს: „ა
არ არის კინოზოის ან ქონება-თვისების აღმნიშვნელი სუფიქსი. მას
სხვა ფუნქცია აკისრია, კერძოდ, საზღვრულდაკარგულ მსაზღვრელს - ზედ-
სართავ სახელს ან მიმდებობას - აარსებითებს (შავა<-შავი ცხენი)...
ეს -ა სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ თვისება, რაც ზედსართავით გად-
მოიყვება, არსებით სახელს, სუბსტანტივს მიეწერება, ახასიათებს; -ა
ხმოვნით შემოდის გაარსებითება ზედსართავში ([7] 44).

დ. ბედოშვილის აზრით კი, „გაძნელებოდა ... -ა სუფიქსისათვის
მასუბსტანტივებელი ხმოვანი გვეწოდებინა ისეთ ტოპონიმებში, რომლებ-
შიც სახელის ზედსართავულობა გამორიცხულია: გუბა, შუბლა, გორა, ვე-
ლა და სხვ. უძველესია რომ ამ ტიპის სახელებში -ა მაკინინებელი ტო-
პონიმიკური სადერივაციო აფიქსია. -ა სუფიქსს გეოგრაფიულ სახელებ-

ში აუცილებლად აქვს ტონების, თვისების, მეორე ობიექტთან მსგავსების აღნიშვნის უნარი“ ([6] 16-17).

-ა სუფიქსით ტოპონიმები იწარმოება არსებით და ზედსართავ სახელთაგანაც და მიმღეობიდანაც: ბ ო ს ტ ა ნ -ა ჩაი (ნაბოსლები). მ ა - რ ა ნ -ა ყანა (კურსები); წ ი თ ე ლ -ა მდინარე (ღეხერეთი); ფ ხ ე - კ ი ლ -ა. ყანა (ყუცხვათი), ა მ ო კ ო ღ ი ლ ა წყარო (ახალსოფელი).

-ა სუფიქსი ტოპონიმით აღნიშნული ობიექტის სიმცირეს გვიჩვენებს: გ ო რ -ა სახანავ-საფისი, ბაღი (კურსები), ვ ე ლ -ა ჩაის პლანტაცია (ნაბოსლები), ს ა თ ი ბ ა მ ს ა თ ი ფ ა ყანა, საძოვარი (ძიროვანი, ცუცხვათი, კურსები, ზედა ჭყეპი), ნ ა ფ ო ტ -ა ტყე, საძოვარი (ტუ-რნა), კ ო ღ -ა საძოვარი (რონი). (სულ 80 ტომ.).

-ა სუფიქსი ტოპონიმით აღნიშნული ობიექტის რაგვარობას, თვისებას, მსგავსებას გვიჩვენებს: ჩ დ ი ლ -ა მ ჩ ი ლ -ა ყანა, ტყე (გელათი), ს ა - ქ ა რ -ა ყანა (რონი), გ რ ძ ე ლ ა ყანები იყო დიდ სიგრძეზე, ახ-ლად ტყიბულის წყალსაცავია (ახალსოფელი), ი დ უ მ ა ლ -ა მდინარე (კურ-სები), უ ნ ა გ ი რ -ა მთა (ტყიბული), ქ ე ა ბ -ა ჩაი (ქვაბის მსგავსი ადგილი ს. ზედებანში), ქ ო თ ა ნ -ა წყარო (ნაბოსლები), ლ უ რ ღ ე ლ -ა ქაობიანი ადგილი (კისორეთი), ზ ი ა ნ -ა საძოვარი (კურსები), (სულ 120 ტომ.).

-ა სუფიქსის ფუნქცია ტოპონიმებში გაურკვეველია: ჯ ა პ ა ნ -ა, კ ა რ ო ბ -ა, ხ ე ც ვ ა რ -ა, ზ ე რ ე ლ -ა, გ უ მ ბ რ ო ჭ -ა, რ ო - ბ ე ნ -ა, ჭ ყ ო რ -ა, ჭ უ რ ც -ა, ქ ე ც ი მ ე რ -ა, ტ უ რ ძ -ა, გ უ - ნ ა დ -ა, ტ უ ქ ს -ა (სულ 130 ტომ.).

საკვლეფ რეგიონში -ა სუფიქსი ტოპონიმების მაწარმოებელ სუფიქსთა უმრავლესობას ახლავს. მაგ.: ქვაბილ-ოურ-ა, ჯუჯ-ეულ-ა; ქვ-იან-ა, ბჟუ-ან-ა, კობ-ნარ-ა, ვაშლ-არ-ა, მსხლ-ოვან-ა, ასეთ შემთხვევაშიც გულის მისი ფუნქციის განსაზღვრა ([12] 110).

4. წარმომავლობის სუფიქსებით ნაწარმოები სახელები:

ოკრიბის ტერიტორიაზე გვხვდება -ეულ სუფიქსიანი ტოპონიმები: ჯ ე ჯ-ე უ ლ-იილ ე ჯ-ე უ ლ-ა ყანა (წყნორი), ვ ა შ ა ლ-ე უ ლ-ი ვენახი, (სორბეთი), მ ი ნ დ-ე უ ლ-ი ყანა (ტყიბული), ბ ა რ-ე უ ლ-ი საძოვარი, ტყე (გურნა), კ ი ნ წ ა ლ-ე უ ლ-ი სახნავ-სათესი, ცირეკიძეები ცხოვრობენ („ჰინწავები“ ცირეკიძეების „საგინებელი გვარია“ სორმონში), ჯ ი ნ ჭ ა რ-ე უ ლ-ი სახნავ-სათესი (ჭოლვეი), ი ვ ა ნ- ე უ ლ-ი სოფელი (ხრესილის ს.ს.). (სულ 40 ტომ.).

-ოურს-ოულ: ა ზ ხ ა ზ-ო უ რ-ი ყანა, საძოვარი (ზ.ჭყევი), შ ი-დ ე ლ-ო უ რ-ი ყანა (ყურსები, ზედუბანი), მ ე ლ ი-ო უ რ-ი ყანა (ყურსები), ც ქ ი ტ-ო უ რ-ი დასახლებული უბანი (ზ.ჭყევი), ხ უ ც-ო უ ლ-ი საძოვარი (ყუცხვათი), ბ ე ე ა ნ-ო უ ლ-ი სახნავ-სათესი (გურნა). (სულ 109 ტომ.).

მ. ჩიკოვანის მოსაზრებით, -ოურს-ოულ ადგილის რაგვარობას, რისა-მე ნამყოფობას, ნაქონეობას მიუთითებს ([13] 235). ანალოგიურ დანიშნულება აქვს აღნიშნულ სუფიქსებს ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალებშიც. ო უ ლ-ს შერწყმია ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული ს და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სუფიქსი იყოს -ს ო უ ლ-ი: კ რ ა-ც ი ზ ც ი ლ ი-ს ო უ ლ-ი ყანა (ნაბოსლ.), კ ც ი რ 'ი ა-ს ო უ ლ-ი ვენახი (ლეყერეთი), წყარო (წყნორი), ბ რ ე გ ა ძ ი-ს ო უ ლ-ი ყანა (ყუცხვათი), მ ე ს ხ ი-ს ო უ ლ-ი დასახლებული ადგილი (ჭოლვეი), ხ უ ჯ ა ძ ი-ს ო უ ლ-ი ყანა (ყუცხვათი), ი ვ ა ნ ი კ ა-ს ო უ ლ-ი ყანა (შუყერი), ბ ა ბ უ ნ ი კ ა-ს ო უ ლ-ი ტყე, „ბაბუნა იდაძე ცხოვრობდა“ (ყურსები). (სულ 100 ტომ.).

ცნობილია, რომ ქართულში -ელ სუფიქსი ადამიანთა სადაურობის მარკენებელია: გორ-ელ-ი, ონ-ელ-ი ([1] 127).

საკვლევე რეგიონში დადასტურდა რამდენიმე მიკროტოპონიმი, რომლებშიც -ელ სუფიქსის ფუნქცია რამდენადმე განსხვავებულია. მაგ.: ბ ა-

ბ ი ნ-ე ლ-ა სახნავ-სათესი სორმოში (შდრ. ბაბილო* კოლხური სახელი ([9]51), ბ ა ნ ც-ე ლ-ა სახნავ-სათესი ს. ნოლაში, „ბანცა ყანის მცველი ყოფილა“ (შდრ. ბანცა- მეტსახელი დაბალი და მსუქანი კაცისა ([9] 53), ბ უ რ ღ ვ ნ-ე ლ-ა ყანა. ახლა აქ წყალსაცავია (ახალსოფელი), (შდრ. ბუღია, ბუღია - სვანური სახელი ([9]62).

ზემოდასახელებულ მაგალითებში -ელ არ აღნიშნავს წარმოშობას. ცფქრობთ, ეს მიკროტოპონიმები ძამულს აღნიშნავენ და მიუთითებენ იმაზე, რომ იგი ვიღაცის (ბაბილოს, ბანცას, ბუღიას) კუთვნილება იყო.

-ურსი-ულ; ლ ო გ ო მ-უ რ-ი ტყე, ჩირგვარი (დაბაძველი), ბ ზ ი-ა -უ რ-ი სოფელი, გარს ტყე აკრავს (საწირის ს.ს.), კ ვ ა ხ მ-უ რ-ი მეფრინველეობის ფერმა (ზარათი); კ ე შ ე რ ა-უ ლ-ი საძოვარი (ძიროვანი), მ ა ჭ ა რ ა-უ ლ-ი ვენახი (ივანეული), ქ ე რ ქ ა-უ ლ-ი ჩაის პლანტ. (სორხეთი), პ ა ტ ი ყ ა-უ ლ-ი მღინარე (ტყიბული). (სულ 30 ტომ.).

ნ. სხვა სუფიქსებით ნაწარმოები სახელები:

-ნარსნალ სუფიქსი ერთვის მცენარეთა სახელებს და აღნიშნავს ადგილს, სადაც ბლომად მოიპოვება ეს მცენარე. მაგ.: კ ო პ ი ტ-ნ ა რ-ი ჩაი, ადრე ტყე (ივანეული), მ უ ხ-ნ ა რ-ი ტყე (გურნა, ოხოშირა, ნაბოსლები), თ ე ლ-ნ ა რ-ი ტყე, მთა (ტყიბული, ლეღვა), ბ ი კ ვ-ნ ა რ-ი საძოვარი (სორხეთი); ბ ზ ა რ-ნ ა ლ-ი ტყე (ყუცხვათი), ვ ე რ-ხ ვ-ნ ა ლ-ი ტყე (ნაძვა, ხორჩანა), ბ ა რ ღ-ნ ა ლ-ი სახნავ-სათესი, ადრე ეკალბარდიანი ადგილი (სორმონი). (სულ 22 ტომ).

-ნარსნალ სუფიქსი, გარდა მცენარეთა სახელებისა, ტოპონიმებს აწარმოებს სხვა სახელთაგანაც. მაგ.: ლ ე ჭ ყ-ნ ა რ-ი ჭაობიანი ადგილი (ცისორეთი), კ ე ჭ-ნ ა რ-ი ტყე (კურსები), კ ა შ-ნ ა რ-ი ტყე, საძოვარი (ოხოშირა), ვ ა კ-ნ ა რ-ი სახნავ-სათესი (ნაძვა),

*საბაბს განმარტებთ, ბაბილო მაღალი ვენახია ([4]52).

ქ ვ ა რ-ნ .ა ლ-ი ყანა, ვენახი (ღვეურეთი, კურსები, კორეეთი),სა-
ძოვარი (ძიროვანი), ხ რ ე კ ვ-ნ ა ლ-ი ტყე (საწირე). (სულ 31 ტომ).

-ნარ სუფიქსი ყველა ზემოთჩამოთვლილ ტომონიმში სიმრავლეს, კრები-
თობას გამოხატავს. იგი ფუნქციით ზოგჯერ ქონების -იან სუფიქსს ეტო-
ლებს; ლ ე ღ ვ-ნ ა რ-ი=ლ ე ღ ვ-ი ა ნ-ი, კ ა ე-ნ ა რ-ი = კ ა ე-
ი ა ნ-ი.

გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად -ნარ სუფიქსის გარდა ზოგჯერ .
გამოყენებულია -არა-არ-ა ბოლსართიც: წ ა ბ ლ-ა რ-ი ტყე (ღვეურე-
თი, კულთი, მერხერი), ვ ა შ ლ-ა რ-ი ტყე (ქვ.ჭყეპი), თ ხ ი ლ-
ა რ-ი ტყე (ნაძვა, ახალსოფელი), წ ი ფ ლ-ა რ-ი ტყე (ძიროვანი, ნო-
და); ბ ე ო ლ-ა რ-ა დასახლებული უბანი (მოწამეთა), ნ ი გ ვ ზ-
ა რ-ა სათესი (რიონი), ჩაი (ეუცხვათი), ნიგვზის ბაღი (კისორეთი),
ც ხ ი ლ-ა რ-ა ტყე (სორმონი, ახალსოფელი). (სულ 52 ტომ.).

აღნიშნულ ტომონიმებში -არ სუფიქსი სიმრავლეს გამოხატავს, ისევე
როგორც სვანურში. მეგრულში იგი სადაურობის, წარმომავლობის სუფიქსა-
დაა დაცული. ა. შანიძე იმავე -არ მეგრულ-ჭანურ სუფიქსს, რომელიც
გამქრალია ჭანურში და გაქრობის გზაზე დგას მეგრულში, ადასტურებს
ზოგ სახელში ქართულშიც, როგორცაა: ოდიშარი, ოპიზარი ([14] 21-22).

-ევ სუფიქსი გავრცელებულია მთელი საქართველოს ტომონიმაში. სა-
კვლევ რეგიონში კი მხოლოდ სამი ტომონიმი დადასტურდა, როგორცაა:
ჭ ო ლ-ე ვ-ი სოფელი (რიონის ს.ს.), ბ ე ღ ლ-ე ვ-ილ ბ ე ღ ლ-ე ბ-ი
სახნავ-სათესი (კოკა), ვ ა შ ლ-ე ვ-ი ბაღი (კურსები).

ა. შანიძის ვარაუდიმ, -ევ მრავლობითი რიცხვის ისეთივე საწარმო-
ებელი უნდა იყოს, როგორცაა ქართული -ებ და ზანური -ეფ ([15] 761-
76E).

ოკრიბის რაიონის მიკროტომონიმების საწარმოებლად იშვიათად
გვხვდება -ილ და -ალ სუფიქსები: ქ ე ვ ბ-ი ლ-ა საძოვარი (მა-
მაწმინდა), ს ა ხ ე რ-ა ლ-ი ვენახი (ნაბოსლები), კ რ უ-ა ლ-ი ტყე

(ლიყერეთი).

-ერ: შ უ ყ-ერ-ი სოფელი (ორპირის ს.ს.), ს ო ხ ა ს ტ-ერ-ი საყდარი გელათში. ცნობები მის შესახებ პირველად მოპყავს ვახუშტი ბატონიშვილს: „ყვალად არის გელათის პირდაპირ, აღმოსავლეთად, მონასტერი ჯუმბათიანი, დიდშენი, სოხასტერად კმობილი. უზის წინამძღვა-რი“ ([16]152), რ ი ტ-ე რ-ი ტყე (ლიყერეთი).

-ორ: რ ხ ო კ-ო რ-ი ყანა, „ჩხაკი მიწა იყოს“ (გურნა), მ ა ნ-დ ი კ-ო რ-ი მთავორიანი სოფელი (ორპირის ს.ს.), მ ა ნ ტ-ი ო რ-ი მთა (ახალსოფელი).

საკვლეფ რეგიონში ზოგჯერ არაქართული (ზანური ან სვანური) სუფიქსებიცაა გამოყენებული, რაც ნაშთი უნდა იყოს იმ დროისა, როცა ეს ტერიტორია ზანებით იყო დასახლებული:

-იმი: „ო მ ბ-ი შ-ი დაბალი, ჩაგარდნილი ადგილია (კისორეთი), ო რ-ი შ-ი სახნავ-სათესი, ვადმოცემით, ორის იყო საზიაროდ (კისორეთი), ქ ე ე ი დ-ი შ-ი ჩაი (ყიხია), ტ ო ფ ა თ-ი შ-ი ჩაი (ყუდოთი, ზარათი), ო დ რ ო ფ-ი შ-ი ყანა, საძოვარი (ანტორია), ხ ე ი-რ-ი შ-ი მთა (ნაბოსლები), ტყე, ყანა (ორპირი).

რამდენიმე ტოპონიმიკურ სახელს აწარმოებს -ოფ, -იფ სუფიქსები: ნ ე ნ ტ-ყ-ო ფ-ი ჩაგარდნილი, ჭაობიანი ადგილი (ყუდოთი), ხ ე ი-ლ-ი ფ-ი ყანა (ზედუბანი).

ტ რამდენიმე სუფიქსით ნაწარმოები სახელები:

-უ რ-ო-ი-უ-ღ-ე: ე კ ა დ ა-უ რ-ე აკაციის ტყე (გურნა); ძ ე-გ რ-უ-ღ-ე მდინარე (ტყიბული), ქ. ე რ ქ-ე-უ-ღ-ე ადრე ხეხილის ბაღი (წყნორი), ე ე ო ტ ა ნ-ე-უ-ღ-ე წყარო (ივანეთი), ვ ო რ-ღ-ე-ს აძოვარი (გურნა), ზ ე ნ ა-უ-ღ-ე ტყე, ბაღი ჭალის თებზე (ზედუბანი), (სულ 45 ტპ.).

-ურ-ა სუფიქსით ნაწარმოები ჰიდრონიმის ფუძედ მხოლოდ ერთხელ შეგვხვდა დამოუკიდებლად არსებული ტოპონიმი. მაგ., ძ ე ე რ ი -

სოფელი, ძ ე ვ რ-უ ლ-ა <-ძვერ-ურ-ა - მდინარე.

ფ. მაკალათიას აზრით, -ურ-ა// -ულ-ა რთული სუფიქსი პიდრონიმის მაწარმოებელი ტოპოფორმანტია იმ შემთხვევაში, თუ საწარმოებელ ფუძედ აღებულია ოდენ დამოუკიდებლად არსებული ტოპონიმი ([7] 50-51).

აღ. ღლონტი სპეციალურად შეეხო -ურ-ა||-ულ-ა სუფიქსის შედგენილობას. მას მიაჩნია, რომ -ა ხმოვანს აქ მაკნივებელი ელემენტის ფუნქცია აქვს ([17] 29-30).

-ნ ა რ-ა||-ნ ა ლ-ა: ნ ი გ ვ ზ - ნ ა რ-ა ნიგვზის ხეივანი (გურნა,) მაწაკ-ნ ა რ-ა საძოვარი (ზ. ჭყეპი), ჩაი (მანდიკორი), მ უ ხ-ნ ა რ-ა ვენახი (ზ. ჭყეპი, ორპირი). (სულ 10 ტომ).

-ნ ა რ-ებ||-ნ ა ლ-ებ: კ ე ე-ნ ა რ-ე ბ-ი ყანა, ჩაი ლაფეთისა და ჯონიის საზღვარზე, ჯ ი რ ე-ნ ა ლ-ე ბ-ი ყანა, ჩაი, ადრე წაბლის ტყე (ჯონია).

-ე ბ-ი ა ნ: ე კ ლ-ე ბ-ი ა ნ-ი ეკლის ტყე (ჯონია), ნ ი გ ვ ზ-ე ბ-ი ა ნ-ი ნიგვზის ხეივანი (ტყიბული), საძოვარი (ჯონია), ტ ყ ე მ ლ-ე ბ-ი ა ნ-ი ტყემლის ბაღი (კუყხედაი), ჯ ი რ ე-ე ბ-ი ა ნ-ი საძოვარი, ადრე ტყე (ნაბოსლები), ბ ე ო ლ-ე ბ-ი ა ნ-ი საძოვარი, ადრე ბაღი (შეყერი), კ ე ლ-ე ბ-ი ა ნ-ი ყანა (ოხომირა).

-ებ-იან სუფიქსები აქ მრავლობითობაზე კი არ მიუთითებს, არამედ გახაზავს ადგილის სიდიდეს. მხოლოდ საწარმოებელი ფუძეა მრავლობითში, ტოპონიმი კი ერთია.

-ო უ რ-ა||-ო უ ლ-ა: წ ი წ ი ლ-ო უ რ-ა ბაღი, ჩაი, ადრე ტყე (ნაბოსლები), კ ა ც-ო უ ლ-ა ყანა (გურნა), ნ ა ხ შ ი რ-ო უ ლ-ა ტყე (კოკა), ნ ა რ-ო უ ლ-ა ჩაი (მამაწმინდა), დ ო ქ-ო უ ლ-ა მთა (ნაბოსლები), გ უ გ ე ნ-ო უ ლ-ა საძოვარი (მეჩხერი), ბ რ ე-გ-ო უ ლ-ა დასახლებული ადგილი (რიონი).

ოკრიბის ტოპონიმიში საგანგებო შესწავლას საჭიროებს ზანური წარმოშობის სახელები. განსაკუთრებით საძიებელია, ოკრიბის რეგიონ-

ის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი (ზარბაი, ბობოი, სორხეთი, კისო-
ტეთი, კიახიჯი) უფრო მეტ ხანს ხომ არ იყო დასახლებული ზანებმა,
ვინემ იმერეთის სხვა ნაწილი?

აკრიბის რაიონის ტოპონიმთა ოდენსუფიქსური წარმოების მთავარ
თეისებურებად მიგვაჩნია ის, რომ აქ ფართოდ არის გავრცელებული
კნინობიანის -ა როგორც დამოუკიდებელი მანარმოებელი და როგორც და-
ნარჩენ სუფიქსთა თანმხლები, აგრეთვე -ეა და -ებ სუფიქსები. სულ
დადასტურებულია 25 სუფიქსი, რომელიც მანარმოებს 1051 გეოგრაფიულ
სახელს, სუფიქსთა ერთი ნაწილი საჭიროებს დამატებით კვლევას.

აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის
სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

Л.Ш.ГВЕНЕТАЦЕ

Суффиксальное образование в окрибской
топонимии

Р е з ю м е

Значительная часть окрибских топонимов образована о по-
мощью суффиксов. Всего использовано 25 суффиксов. Особенной
продуктивностью отличаются : -ებ, -ებ-ეა-et , -ა-ა , -იან -ian,
-ურ-ur # -ულ-ul , -ურ-ა-ur-ა II-ულ-ა ul-ა, -ურ -our II-ოულ-ა
-oul-ა-ბარ-par II-ბარ-pal . Для образования микротопонимов
изредка употребляются, кроме грузинских, занские и сванские
суффиксы : -იშ -iš, -ორ -or, -იპ -ip .

Главной особенностью суффиксального производства топо-
нимов Окрибского региона считаем широкое распространение
окончания -ა -а, которое употребляется и как независимый
производитель, и как сопровождающий все остальные суффиксы.

ლიტერატურა

1. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953.
2. თ. ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, ტოპონიმიკის შესწავლისათვის, ქართველურ ენააბსტრუქტურის საკითხები, II, თბ., 1961.
3. ა. შ ა ნ ი ძ ე, საქართველოს დედაქალაქის სახელწოდებისათვის, კრებული „აბილისი 1500“, თბ., 1958.
4. ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სიტყვის კონა, თბ., 1949.
5. ე. თ ო ფ უ რ ი ა, გეოგრაფიულ სახელთა -თა სუფიქსისათვის ქართულში, სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.
6. გ. ბ ე დ ო შ ვ ი ლ ი, ერწო-თიანეთის ტოპონიმია, თბ., 1980.
7. ფ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ფშავის ტოპონიმია, ტოპონიმია I, თბ., 1976.
8. ვ. დ ო ნ დ უ ა, ლიპარიტთ-ისა და ანალოგიური ფორმების გვარ-სახელებისათვის ქართულ ისტორიულ წყაროებში, აბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 53, 1948.
9. ალ. დ ლ ო ნ ტ ი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1967.
10. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, მრავლობითი რიცხვის -თა/თ სუფიქსის ეტიმოლოგიისათვის, შრომები, ტ. III, თბ., 1959.
11. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. II, თბ., 1952.
12. პ. ჯ ა ჯ ა ნ ი ძ ე, წყალტუბოს რაიონის ტოპონიმები, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, № 3, თბ., 1976.
13. მ. რ ი ქ ო ვ ა ნ ი, ტოპონიმიკურ სახელთა წარმოება ლეჩხუმური მასალების მიხედვით, პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიკური უნივერსიტეტის შრომები, ტ. 7, თბ., 1949.
14. ა. შ ა ნ ი ძ ე, ორი მეგრულ-ჭანური სუფიქსი ქართულსა და სომხურ ენებში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, 1957.
15. ა. შ ა ნ ი ძ ე, -ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში, საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის მოაპზე, ტ. II, თბ., 1941.
16. ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941.
17. ალ. დ ლ ო ნ ტ ი, ტოპონიმიკური ძიებანი I, თბ., 1971.

გივი ელიავა

სოციალური ხასიათის ტოპონიმები, მათი კლასიფიკაცია
და შემეცნებითი ღირებულება

ონომასტიკური მასალა ერის ენობრივი საგანძურის ფასდაუდებელი განძია, წარსულის მეცნიერული რეკონსტრუქციის მდიდარი და ნაყოფიერი წყაროა, რასაც ენათმეცნიერთაგან ერთად ისტორიკოსიც იკვლევს და იყენებს. ივ. ჯავახიშვილმა, ს. ჯანაშიამ, ნ. ბერძენიშვილმა უხვად გამოიყენეს ტოპონიმიკური მონაცემები ისტორიული გეოგრაფიის ცალკეული საკითხების კვლევისას.

ტოპონიმი ლექსიკური ერთეულია. მას დიდი ენათმეცნიერული ღირებულება აქვს, მაგრამ მისი შესწავლისადმი მხოლოდ ენათმეცნიერული თვალსაზრისით მიდგომა არაა გამართლებული. გეოგრაფიული სახელწოდება ემორჩილება ენობრივ ნორმებსა და კანონებს, მაგრამ იგი, ისევე როგორც ყოველგვარი ონომასტიკური ერთეული, ადამიანის კმედობის, აზროვნების, შეხედულებების, სულისკვეთების, მისწრაფებების გამოხატულებაა. ამიტომ მასში ჩადებულია აზრი, რომელიც ხაზს უსვამს ადგილის გეოგრაფიულ, გეოლოგიურ, ბოტანიკურ, ბიოლოგიურ თავისებურებებს, ან კიდევ ამ ადგილზე მომხდარ თუ ამ ადგილით შეპირობებულ სოციალურ მოვლენებს, ურთიერთობებს. ამიტომაც ტოპონიმიით იზიფრება ხალხის ეთნიკური, სამეურნეო, ეკონომიკური და კულტურის ისტორიის მრავალი საკითხი.

ენა ეთნოსის ერთი ყველაზე მძლავრი ფენომენია, რომელიც აპირობებს მის სახეს, აფიქსირებს და სრულყოფს მას. მაგრამ, ამასთანავე ერთად, ეთნოსს სხვა ფენომენიც აქვს, ასევე უპირველესი, განმაპირობებელი მისი არსობისა და არსებობისა. ეს მისი სოციალური, სრულყოფა და მატერიალური, მეურნეობრივი თავისთავადობაა. ეს ფე-

ნომენი ნათლად, სრულყოფილად ონომასტიკურ მასალაში აისახება და მით გადმოეცემა თაობიდან თაობას ძალიან შორეული დროიდან დღემდე. სოციალური ხასიათის ტოპონიმები, ეთნოტოპონიმები ეთნონიმები ძალიან საჭირო და აუცილებელი მასალაა მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის.

ტოპონიმის მრავალმხრივობა და მრავალსახეობრივობა. მისი კვლევის დროს ეს მრავალსახეობრივობა, მრავალმხრივობა იჩენს ხოლმე თავს. ტოპონიმთა ერთი ყველაზე დიდი ნაწილი ეთნოლოგიური ხასიათისაა. იგი საერთოდ ხალხის ისტორიის, ცხოვრების, კულტურის, ყოფის თავისებურებებზე გვაწვდის ცნობას, ან, ფართო გაგებით, ეთნოტოპონიმთა, ე.ი. ადგილის სახელწოდებათა ეთნოლოგიური ხასიათისა. „ისინი, - წერს ცნობილი საბჭოთა მკვლევარი ე.ა. ნიკონოვი, - ქრონოლოგიურადაც და სივრცობრივადაც აფართოებენ ეთნოლოგიური კვლევის შესაძლებლობებს“ ([1]).

ეთნიკური და სოციალური ხასიათის ტოპონიმების ჯგუფს - ეთნოტოპონიმთა - დიდი შემეცნებითი ღირებულება აქვს. ეთნოტოპონიმის ქვეშ ზოგადად ის ტოპონიმებია ნაგულისხმევი, რომელნიც არა მხოლოდ ხალხის, ტომის სახელწოდებებს წარმოადგენენ, არამედ ყოველგვარი სახის ეთნიკურ, სოციალურ, მეურნეობრივ, ყოფით მოვლენებს აღნიშნავენ. მათოეულ ეთნოტოპონიმში საინტერესო ეთნოგრაფიული ცნობაა ჩადებული.

საილუსტრაციო მასალას ვიღებთ სამეგრელოს ტოპონიმოკური ფონდიდან. შესაძლებლად მიგვაჩნია შემდეგი ქვეჯგუფების გამოყოფა:

1. ტოპონიმები, რომელნიც სოციალურ მოვლენებსა და გარდაქმნებს გამოხატავენ: ნაონთხუ „სამეოთხედო“, ნაყიდერა „ნაყიდი“, ნაპარტახუ „ნაპარტახალი“, ნაპატონჟ „ნაბატონარი“, დადიაში „დადიანისა“, ნადუქანუ „ნადუქნარი“ და სხვ.

2. ტოპონიმები, რომელნიც აღნიშნავენ სოციალურ ბრძოლებს, კლა-

სობრივ წინააღმდეგობებს: ნაძაერი „ნაძალადევი“, სათანჯი „ვანაყოფი“, ნანწარუ „ვანამწარები“, უტუმ გინარინა „უტუს ნადგომი“, ღი-ეკი „ღილეგი“, ნაშეფუ, სხუნუმ კარე და სხვ.

3. ტოპონიმები, რომელნიც ასახავენ მოძალადეთა წინააღმდეგ ბრძოლას: გოკირილი „შეკრული“, ხირზენი „ახახიზნავი“, ჯიხა „კიხე“, ნამურქე „ნათურქალი“, ნარზუბუ „ნაოპარი“, ნაჯიხუ „ნაციხარი“ და სხვ.

4. ეთნოსის მსხვილი, ზოგადი სოციალური ფორმის აღმნიშვნელი ტოპონიმები: კვაუდი, ბობოთი, ქექიდი, ქეთათი, გეგუთი... სარუსიო, ეჯლარკე, ღეკვაშიღე... ამ კატეგორიის ტოპონიმებში ეპონიმს ემატება დიდი ოჯახის აღმნიშვნელი ტერმინი -თი ან პრეფიქს-სუფიქსები: სა-ე, ღე-ე. ამ ქვეჯგუფში შემოვა აგრეთვე სახელწოდებები, რომელნიც წარმოქმნილია მუხური „კუთხე“, ჯურე „მბარე“, ნარონი „ნადგომი“, დინო, სამოხიო ტერმინებით.

5. მურნეობის, საწარმოო დასაკმებულობის გამომხატველი ტოპონიმები: ოგინე „ახაბორე საძოვარი“, ნაეკუ „სადებავის ადგილი“, ნაჭკადური „სადაც სამკვდლო იდგა“, ღეჭება „კინის საწური“, ნაბინეხუ „ნავენახარი“, ნაჯოგუ „ნაჯოგარი“, ნაჭვარა „ნაკაფი“, ნამადანუ „ნამადნევი“ და სხვ.

6. ყოფაცხოვრების აღმნიშვნელი ტოპონიმები: ნოხორი (ნასახლარი), გაჭვიღი, ობურთეში (საბურთაო), ოჯარე (საჯარო), ნაქალაქე (ნოქალაქევი), ნაფაცხუ (ნაფაცხარი), ნაჯარგვალე (ნაჯარგვალარი), ნა-აბანუ (ნააბანარი), ქეჯვარი, მოსკე წარხურა, ქიარჩი, წაკორტი, სა-ღხინო, სანაეარღო და სხვ.

ამ ტიპის ტოპონიმებს ეთნოსის ყოველმხრივი შესწავლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ისინი სოციალურ მოვლენებს ასახავენ, ადგილს ამ სოციალური მოვლენის, ამ გარდატეხების გამო შეერქვა. გ ა ნ ა ზ ღ ე ბ ა . ამ ადგილს სოციალისტურმა ცხოვრებამ მოუტანა,

იგი ახალრ ცხოვრებით განახლდა, აყვავდა, გაიფერქნა. ეს სოცია-
ლისტური წინსვლის დიადი სურათის ერთ-ერთი ძვალსაჩინო მაგალითია.

ადგილის სახელწოდებანი გარკვეულ ადგილზე მიუთითებენ, ამ ად-
გილს აღნიშნავენ, ენის გრამატიკული ნორმებით წარმოიქმნებიან და
მასვე ემორჩილებიან, ენას ემსახურებიან, მეტყველებას მრავალფე-
როვნებასა და სიძლიერეს სძენენ. მაგრამ ისინი რიგითი ლექსიკური
ერთეულებიცაა და, ლექსიკის სხვა სფეროებისაგან განსხვავებით,
ისტორიული, ყოფითი, სოციალური აზრით აღჭურვილი, თავისი საკუთარი
შინაარსის და ფუნქციის მატარებელი არიან. ამრიგად, ეთნოტოპონი-
მი სოციალური ხასიათისაა, სოციოლონიმია, სწორედ ამგვარ ტოპონი-
მებზე წერს ვ. იოთნიშვილი, რომ ისინი მოგვითხრობენ მოსახლეობის
ეთნიკური შედგენილობის, მოსახლეობის მოძრაობის, მეზობელ მთი-
ელებთან მოხვედების ურთიერთობის (უმთავრესად ბრძოლების), სელი-
ერი კულტურისა და სოციალური ურთიერთობის შესახებ ([2]6). აღნიშ-
ნულ პრობლემაზე ჩერდებიან ვ. ი. კოზლოვი და ვ. ვ. პოკშიშევსკი
წერილში: „ეთნოგრაფია და გეოგრაფია“ [3]. სოციოლონიმიის თავი-
სებურებებსა და შემეცნებით მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას
ი. ვ. ბრომლეი. იგი „ე თ ნ ს ს კ ც ი ა ლ უ რ ი თ რ გ ა ნ ი ზ -
მ ი ს“ კომპონენტებს მიუთითებს ტოპონიმიაში. სოციოლონიმიის
ცალკეული ნიმუშის შესწავლის ძვალსაჩინო ფაქტია სასოფლო თემების,
მათი ყრილობების ადგილების და სხვ. შესწავლის მაგალითები რ. ხ. ა-
რ ა ძ ი ს ა და ა. რ თ ბ ა ქ ი ძ ი ს შრომებში. ს კ ც ი თ-
ლ თ ნ ი მ ი ი ს დიდ შემეცნებით მნიშვნელობას ხაზს უსვამს
მ. გეგეშიძე: „ადგილზე გამოვლინებულმა მასალამ, რომლის ანალიზი
სოციალურ-ეკონომიურ და სოციალურ-კულტურულ საკითხთა კომპლექსში
მოხდა, წინ წამოსწია შედარებით ძლიერი სოციალური ფუნქციის მქონე
მოვლენები, რომლებთან აქტიურ საზოგადოებრივ დამოკიდებულებას არა
მარტო სადღეისო მნიშვნელობა აქვს, არამედ ყურადღებას მოითხოვს,

როგორც სოციალური მართვის ობიექტები ახლო მომავლისათვისაც“ ([4] 175), ტოპონიმიაში სოციალური ხასიათის ფონდი-ს ო ც ი ო ლ ო ნ ი-მ ი ა - თავის შიგნით იყოფა სამ ნაწილად: 1. მასალა, რომელიც სოციალური მოვლენების შესახებ შეიცავენ ცნობებს. 2. მასალა, რომელიც მიუთითებს საზოგადოების სოციალურ დაყოფას, დაპირისპირებას და ბრძოლას. 3. მასალა, რომელიც გვიამბობს ეთნოსის განვითარების მსხვილ, ზოგად სოციალურ ფორმებზე.

მეგრულში ტერმინი „ჟური“ აღნიშნავს თავისიანს, „ახლოელა“ ნათესავს. თურით დასახლებული ტერიტორია სისხლით ნათესავთა უბანია. აქ სხვა არ ურევია, სხვა სისხლისა არავინ არის. თუ ასეთი შერევა მოხდა, მაშინ ასეთ დასახლებულ ტერიტორიას ს ა მ ო ხ ი ო ჰქვია. „ახლოელა“ ნათესავით დასახლებული სოფლის თემსა და მის ტერიტორიულ უბნებზე ამახვილებდა ყურადღებას ე. ბარდაველიძე. შეიძლება პარალელი მოძებნოთ მონგოლი ხალხის ცხოვრებიდან, სადაც „ურუხ“ თავისიანია, ხოლო „ჯად“ - უცხო ([5] 3). მეგრული „დ ი ნ ო“ ერთმანეთთან უფრო ახლოს მდგომი ნათესავებისაგან შედგება, ვინემ სა-მოხიო. ამასთანავე, უკანასკნელ პერიოდში დინოს ტერიტორიული მფლიანობა დაირღვა, მოხდა განსახლება.

-თი უძველესი ლექსიკური ერთეული ჩანს, ძირქართულიდან ამოსული, დიდი, რამდენიმე თაობისაგან შემდგარი ოჯახის აღმნიშვნელი. იგი ემატება გვარს და აღნიშნავს ოჯახს თავისი კარმიდამოთი. მაგ., ცანა[ვა]>ცანა-თი „ცანავეს ოჯახი“. ზეპირ მემკვიდრეობაში ამ თი-ს წინ ზოგჯერ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანიც იჩენს თავს, რაც, ჩვეულებრივ, იკარგება: ცანა-შ-თი → ცანათი. ამ ფორმით გვხვდება ადგილის სახელწოდებადაც.

კოლხეთის ტოპონიმიაში დადასტურებული ზ ა ნ ა თ ი, ჭ ა ნ ი-რ ი, ჭ ა ნ ი ო. რ ი ეთნოტოპონიმებია, მაგრამ არა ეთნოსის მთელი ტერიტორიის, არამედ ცალკეული, ერთი კონკრეტული ადგილის აღმნიშვნელი. მაგ., ზ ა ნ ა თ ი ზანების ერთი ან რამდენიმე ოჯახის

მჭიდრო დასახლებაა. ასევეა ჭანირი, ჭანიორი, ჭანკარი, ჭანსუჯი...
ესენი სოციალური ხასიათის ტოპონიმებია, სოციოლონიმებია, შეიცავენ
ცნობებს ეთნოსის ეთნიკური და სოციალური მოვლენების შესახებ და
ქმნიან მნიშვნელოვან რკალს ეთნოტოპონიმიის ფონდში.

ეთნოსს სოციალურ სახესთან ერთად აქვს სხვა ყოფითი მხარეც: მე-
ურნეობრივი, ეკონომიური, ყოფითი და სხვ. ასეული წლებიდან მომდინა-
რე მეურნეობრივი, ეკონომიური ტრადიციები ეთნოსის თაყვისთავადობის
მაჩვენებელი ტრადიციებია. ეთნოტოპონიმიის ფონდში ცალკე გამოყოფა
ეკონომიური ხასიათის ტოპონიმები ანუ ეკონონიმები.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქართულ ეთნოგრაფიულ
ლიტერატურაში ფეხი მოიკიდა ტერმინმა „სამეურნეო ტოპონიმია“, რა-
შიც იგულისხმება სამეურნეო ნაკვეთებისა და ადგილების სახელწოდებე-
ბი, საყანეები, სათიბები, საძოვრები და სხვ. მარლაც, უკანას-
კნელ ხანს ასეთი ტერმინი ძალაში შევიდა. მაგრამ ადგილს სახელი
ერქმევა არა მარტო მეურნეობრივი გამოყენების თვალსაზრისით, არა-
მედ აგრეთვე ამ ადგილის სამეურნეო ტრადიციების, მეურნეობრივი
წარმონაქმნების გავრცელების, მარცვლეულ თუ სხვა კულტურათა ასორ-
ტიმენტის გავრცელების, მეურნეობის სახეების სიხშირის, წარმოების
ტექნიკის და სხვათა და სხვათა მიხედვით. ამდენად, სამეურნეო ტო-
პონიმი არა მხოლოდ ამ ნაკვეთთა სამეურნეო ათვისების, არამედ მეუ-
რნეობის განვითარების, მისი ტექნიკური და აგროტექნიკური სრულყო-
ფის თვალსაზრისითაც არის წარმოქმნილი. ამიტომ იგი საერთოდ
ეკონომიურ მხარეს ასახავს და ეკონონიმაში შედის. ფ.მაკა-
ლათია აღნიშნავს: „ტოპონიმთა სემანტიკური ანალიზის მიხედვითაც
კი შეიძლება ფშავის ძველი ეთნოგრაფიული ყოფის სურათის ერთგვარი
რეკონსტრუქცია“ ([6]140). ეკონონიმების ანალიზი ამ სურათის
სრულყოფილად წარმოდგენის საშუალებას იძლევა. ვ.ი. კოზლოვი და
ვ.ვ. პოკშიშევსკი სწორედ ეთნიკური ფაქტორების როლზე ამახვილე-

ბენ ყურადღებას ადამიანთა ეკონომიკურ-ტერიტორიული კავშირების ფორმირებისას ([3]8).

ეკონომიკაში, თავის მხრივ, ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა: I. მასალა, რომელიც ადამიანთა მეურნეობრივ, საწარმოო დასაქმებაზე მიუთითებს და 2. მასალა, რომელიც ყოფით კულტურასა, სამეურნეო ტრადიციასა, მარცვლეულ და სხვა კულტურათა ასორტიმენტზე გვაძლევს ცნობას. ტოპონიმთა მეშვეობით შესაძლებელი გახდა დადგენილიყო, რომ კოლხეთში უძველესი დროიდან უშენებიათ ვაზის ჯიშები: კოლოში, დღუნდღოში, ეგურძგური, ჩერგვალი, ჩეში, მაჭყყადინა, ჭოდი, ხარდანი, პემპულა, კეკელური, კამური, სალური, ჭვიტილური, ოჯალეში, შონური, პერკი, ტროკეჩხი, ჩეჭიფეში, ყვეში ჩეში და ა.შ. სულ 60 ჯიში. ყველა ეს ჯიში ტოპონიმებშია დადასტურებული. მარცვლეულ კულტურათა ფართო ასორტიმენტზე გვაწვდის ცნობას ტოპონიმები: ნაქერუ, ნალუმუ, ნაჭკილე, ნაჭუ, ნაქობალუ, მახაში, ნაურიშუ და სხვ. გ. ჩიტაია მიუთითებს ეკონომიური ხასიათის ტერმინებზე „ობერგული“ და „ოხოჯე“ ([7]5), რომლებიც მიწის დამუშავების მეთოდსაც ასახავს და ტოპონიმებადაც არაიშვიათად გვხვდება.

აქვე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ მიკროტოპონიმის კიდევ ერთ საკმაოდ სრულ და უღაოდ აღსანიშნ უბანზე. ესაა მცენარეთა სახელების გამოყენებით შექმნილი ტოპონიმები: ნაბამბუ (ნაბამბარი), ნაჭკილე (ნამჭადარი), ნაჭარბალუ, ნახაჯუ, საჭითო, ნაისირუ, ნაკიფუ და ა.შ. ეს მიკროტოპონიმები სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მდიდარ ასორტიმენტზე გვაძლევს ცნობას. ზოგჯერ ისეთ სახეობათა სახელებსაც კი ცხვდებით, დღეს რომ სრულად გადაშენებულია და ზოტანიკურ იშვიათობას წარმოადგენს. ბოტანიკის მონომასტიკურ ფონდში გარკვეული ადგილი უჭირავს. ისინი ბუნებასთან ადამიანის ურთიერთობის, მისი გამოყენებისა და გარდაქმნის, ხალხური. სელექციის შედეგებს ნათლად წარმოგვიდგენენ.

ამრიგად, ონომასტიკური ფონდის შესასწავლად არსებობს გარკვეული მეცნიერული სისტემა, გარკვეული ტაბულა. მთელი ფონდი დაყოფილია სკალებად. თითოეული სკალა იყოფა ჯგუფებად. ტოპონიმიში გარკვეულ ფონდს ქმნის ეთნოტოპონიმია, რომელიც ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს ეთნოსის წარსული ყოფითი სურათის შესასწავლად. ეთნოტოპონიმია, თავის მხრივ, იყოფა სოციოლონიმიად და ეკონონიმიად. მასში შედის ბოტანიკური, რომელიც ხალხის ყოფისა და სამეურნეო ცხოვრების ერთიანი სურათის დასადგენადაც შეიცავს საჭირო მასალას და წარსულის ბოტანიკური ცოდნის შესასწავლადაც. ამდენად, იგი ეთნოტოპონიმიასაც ავსებს და ბუნებისმეტყველების მეცნიერული კვლევა-ძიების საჭიროებისათვისაც მდიდარ მასალას წარმოადგენს. ტოპონიმიის წარმოდგენილი სისტემა სრულად აჯგუფებს ტოპონიმთა სახეობრივ და შინაარსობრივ ფონდს და მას ხელმისაწვდომს ხდის კვლევა-ძიებისათვის.

ამდენად, კლასიფიკაციის ამ სისტემას საერთოდ და, კერძოდ, ეთნოტოპონიმიის კლასიფიკაციას გარკვეული მნიშვნელობა აქვს:

1. საშუალებას იძლევა დროულად და მიზანსწრაფულად შეიკრიბოს და დაჯგუფდეს დღემდე შემორჩენილი ონომასტიკური მასალა, რითაც იმიზნება მათი შესწავლის და გამოყენების მეცნიერული მიმართულება.

2. ცალკეული ჯგუფი უპირისპირდება და შეჯერდება ტოპონიმიის სხვა ჯგუფებთან და მათთან შეჯერებით და დაპირისპირებით ზუსტდება მათი ასაკი, ხასიათი, გავრცელების სიხშირე და ტერიტორიული მასშტაბები, დგინდება პარალელები.

3. ღრმად და სრულად შეისწავლება ჩვენი ენის სიმდიდრე, თავისთავადობა, სხვა ენებთან კავშირები, ქართველურ ენათა ერთიერთგამდიდრების პროცესი, საერთო ქართველური ძირები.

4. ღრმად და სრულად შეისწავლება ქართველი ერის, ეთნოსის წარმოშობის, განვითარების, უძველესი ყოფის, სამეურნეო ცხოვრების

ღონე, ხასიათი, ტრადიციათა გავრცობის ტერიტორიული მასშტაბებზე, სიხშირე და სიღრმე, სამეურნეო-კულტურული დაწინაურების ღონე...

5. საკმაო სისრულით გაიშიფრება ქვეყნის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, ეთნოსის დასახლების და განსახლების, ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფთა მოძრაობის, საცხოვრებლების, დასახლებულობის თავისებურების და სხვ. საკითხები.

6. სათანადო სისრულით ირკვევა ეთნოსის სოციალური განვითარების ფორმები და ეტაპები, სოციალური შეჯახებების, კლასობრივი ბრძოლის საკითხები, ერის სოციალური განვითარების შედეგები საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების ცალკეული ეტაპების მიხედვით.

7. ღრმად და საფუძვლიანად ირკვევა ქვეყნის ბუნებრივი, ეკონომიკური რესურსები, მათი გამოყენების ტრადიციები, პერსპექტივები.

გიგეჭკორის მხარეთმცოდნეობის
მუზეუმი

Г.В.ЭЛИАВА

Топонимы социального характера, их классификация и познавательная ценность

Р е з ю м е

В статье проанализированы мегрелоязычные топонимы социального характера, которые дают представление о хозяйственной и бытовой деятельности народа в прошлом, дана попытка классификации соответствующего материала.

ლიტერატურა

1. В. А. Л и к о н о в, Толщина в историко-географической этнографии. ეთნოგრაფია და ანთროპოლოგია VII საერთაშორისო კონგრესის მასალები, მ., 1964.
2. ვ. ი თ ბ ი შ ვ ი ლ ი, ხევის ტოპონიმია, თბ., 1971.
3. В. И. К о з л о в, в. В. П о к ш и ш е в с к и й, Этнография и география. "Советская этнография", 1973, №1.
4. მ. გ ე ვ ე შ ი ძ ე, ეთნიკური კულტურა და ტრადიციები; თბ., 1978.
5. Г. Г. С т р а т а н о в и ч, Г. Э. Э р н и е в, Опыт анализа социальной терминологии. ეთნოგრაფია და ანთროპოლოგია VII საერთაშორისო კონგრესის მასალები, მ., 1964.
6. ფ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, არაგვის ხეობის ფშავის ტოპონიმია. ტ. 1, თბ., 1970.
7. Г. С. Ч и т а й я, О некоторых чертах древнекавказской культуры. ანთროპოლოგია და ეთნოგრაფია VII საერთაშორისო კონგრესის მასალები, მ., 1964.

გურამ თაფურია

„ხინალულ“-ის ეტიმოლოგიისათვის

სოფ. ხ ი ნ ა ლ უ ლ-ი მდებარეობს ჩრდილო-აღმოსავლეთ აზერბაიჯანის მთიან ნაწილში, კუბის რაიონში, დაღესტნის სამხრეთ საზღვართან.* ამ ტერიტორიაზე დაღესტნის ფარგლებს აზერბაიჯანული მოსახლეობა, მაგრამ ცალკეული „კუნძულების“ სახით და აზერბაიჯანელებთან შერევიდაც ცხოვრობენ ლეზგიები (ლეზგიური ენის კუბის დიალექტზე მოლაპარაკე) და სხვა ლეზგიური ენების მატარებელი ხალხები — ბულუხები, კრიწები, ხინალულები (ე.წ. შაჰ-დაღის ეთნიკური ჯგუფი).

ხ ი ნ ა ლ უ ლ-ი (უფრო ზუსტი აზერბაიჯანული გამოთქმით ხ ე ნ ა ლ ე გ, ХИНАЛЫГ) არ არის ავტოქტონური სახელწოდება. ამ ერთი აულის მცხოვრებნი (დაახლოებით 1800 კაცი) თავის თავს უწოდებენ ქ შ თ თ ა დ-ს „ხინალუელი, ხინალულები“, სოფელს კი — ქ შ თ თ ა ნ¹ შ II ქ ე თ თ შ, ხოლო თავის ენას — ქ ე თ თ შ მ ი წ „ხინალურ ენა“, მაგრამ, როგორც ჩანს, უფრო ბუნებრივია ქ შ თ თ ი დ ი მ ი წ „ხინალულების ენა“, Язык хиналуицев ([.7.] 5, 7; [18] 183). დამახასიათებელია, რომ ქ შ თ თ -II ქ ე თ თ -** სახელწოდებას იყენებენ მხოლოდ ხინალულები და ისიც მაშინ, როცა ერთმანეთთან აქვთ ურთიერთობა მშობლიურ ენაზე, ხოლო სხვა ხალხებთან (აზერბაიჯანელებთან, ბულუხებსა და კრიწებთან...) კონტაქტებისას ხმარობენ სახელწოდება ხ ი ნ ა ლ უ ლ ს და სწორედ ეს ტერმინია დაღესტანის გავრცელებული და დამკვიდრებული. უნდა ითქვას, რომ

* სოფ. ხინალულის ისტორიულ-ეთნოგრაფიული აღწერილობა მოყვებილი აქვს ნ. გ თ ლ ქ თ ვ ა ს ([2] 32-61).

** -იშII-იღ მორფოლოგიური ინვენტარის კუთვნილებაა. ტერმინის ლინგვისტური ანალიზი ამჟამად ჩვენს ამოცანას არ შეადგენს.

ქ ვ თ თ- (ქ ე თ თ-) ტერმინი ყურადღებას იქცევს კავკასიის აღ-
 ბანეთის ოდინდელი განსახლების ისტორიის თვალსაზრისით, რამდენა-
 დაც მას უკავშირებენ ამ სამყაროსათვის ცნობილ ეთნონიმს გ ა ტ-ს,
 რომელიც ნაჩვენები აქვს V საუკუნის სომეხ ისტორიკოსს ფავსტოს
 ბუზანდს ([3] 61-62). აქვე დავძენთ, რომ ხინალულელების თვითსა-
 ხელწოდებად ქ ვ თ თ ი დ ტერმინთან ერთად რ.შაჰმიანს დადას-
 ტურებული აქვს ქ ე თ თ ი დ ვარიანტიც ([18] 183) და არა
 გ ე თ თ ი დ, როგორც ეს ნაჩვენებია სპეციალურ ლიტერატურაში
 ([7] 7); მაგრამ ამ კონტექსტში საინტერესოა, რომ მეზობელი სოფ-
 ლის ხაფუთლის მცხოვრებნი (კრიწულ ენაზე მოლაპარაკე) ხინალულე-
 ლებს უწოდებენ გ ე თ თ დ ი-ს. გ ა ტ - ე ბ ი*, ისტორიული
 წყაროების ჩვენებით, როგორც სპეციალისტები მიუთითებენ, ლოკალიზ-
 დებიან სწორედ ამ რეგიონში, სახელდობრ, ჩრდილო-აღმოსავლეთ აზერ-
 ბაიჯანში ([3] 62). ასევე დიდ ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ
 იგივე ხაფუთელები თავის თავს უწოდებენ შ ე რ ს (მხოლ.რ.)
 შ ე რ ე რ ს (მრავლ.რ.) ([3] 63). მეზობელი სოფლების (ჯეკი,
 ალიკი - ასევე კრიწული ენის გავრცელების ზონა) მოსახლეობა კი
 მათ აღსანიშნავად იყენებს ტერმინს შ ე რ -ულ||შ ო რ -ულ-ს. ეს
 იმას ნიშნავს, რომ შ ე რ ეთნონიმი უნდა იყოს დღევანდელი
 კრიწების თვითსახელწოდება და განსაკუთრებული ყურადღების საგანი
 ისაა, რომ ეს ეთნონიმი კარგადაა ცნობილი ქართულ საისტორიო წყა-
 როებსა თუ ისტორიოგრაფიაში (შ ე რ ე ბ ი, შ ე რ ე თ ი) და
 მის დადასტურებას ამ არეალში უთუოდ დიდი ინტერესი ახლავს. ცხა-
 დია, ამ რეგიონის - ლეზგიური ენების და განსაკუთრებით ე.წ. შაჰ-
 დაღის ჯგუფის ენებისა და ამ ენების გავრცელების ტერიტორიის ტო-
 პონიმიის, ძველი ეთნონიმიის შესწავლა (ენობრივ მონაცემებთან ერ-
 თად) მომავალში ბევრ ახალს, უცნობსა და დიდად ფასეულ მასალას

* გ ა ტ, გ ე თ თ, ქ ვ თ თ, ქ ე თ თ ვარიანტებიდან ამოსა-
 ვალი უნდა იყოს გ ა ტ.

წარმოაჩენს ისტორიული კავკასიის ალბანეთისა და აქ მოსახლე ძველი ხალხებისა და მათი ენების ისტორიის თვალსაზრისით; მაგრამ ამ საკითხებზე მსჯელობა არ შეადგენს წინამდებარე წერილის მიზანს, ოღონდ ამ მცირე ექსკურსიდანაც ჩანს, რომ ქ ვ თ თ- (ქ ე თ თ-) ტერმინი უფრო ძველი უნდა იყოს, ვიდრე სახელწოდება ხ ი ნ ა ლ უ ლ-⁶. პირველი უკავშირდება კავკასიის ალბანეთის სამხაროს, ხოლო მეორე შემდგომ დამკვიდრებული სახელწოდებაა, რომელიც უნდა ეკუთვნოდეს ალბანეთის ისტორიულ ტერიტორიაზე ოდინდელი მოსახლე ტომების უშუალო მემკვიდრეებს.

ხ ი ნ ა ლ უ ლ- სახელწოდებაში შემონახული უნდა იყოს წ ყ ლ ი ს ალმინშენელი ძველი ფუძე, რომლის ისტორია (ბგერათშე-სატყვისობის თვალსაზრისით) დალესტნის ენებში დღეისათვის, შეიძლება ითქვას, შეტ-ნაკლებად გარკვეულია ([1] 67; [5] 128; [15] 181-182; [17] 74). სავარაუდებელია, რომ ხინალულ-ში გაშიიყოფა ხ ი ნ ფე-ძე. იგი უნდა შეიცავდეს საერთო-დალესტნური ძირისეული ლ⁶ თან-ხმოვნის რეფლექსს /ხ/. ეს საერთო-დალესტნური ამოსავალი ლატერალური ყრუ მაგარი სპირანტი ლ⁶ (რომელიც დაუკლია ხუნძურში - ლ⁶ ი ნ აჩყალი⁷) დალესტნის ენებში სხვადასხვა რეფლექსითაა წარმოადგენილი: ხუნძურ-ანდიურში გვაქვს ლ⁶, დიდოურ ენებში ლ⁶, ლაკურ-დარგუულ-ში - შ, შ⁶ (<ხ⁶, ხ⁶), ლეზგიურ ენებში - ხ⁶ (>ხ⁶). ამდენად, ხ ი ნ ფეძე დალესტნურ ენათა ბგერათშესატყვისობის სისტემაში უნდა ასახავდეს საერთო-ლეზგიურ ღონეს, სადაც წ ყ ლ ი ს გამომხატველი ფუძის პირველი თანხმოვანი ლეზგიურ ენათა უმრავლესობაში წარმოადგენილია უკანაენისმიერი პალატალური ყრუ სპირანტი ხ⁶: შდრ. ა ლ უ ლ. ხ⁶ერ || ხ⁶ედ< შქდ, თ ა ბ ა ს. შადღოშაროშედ (შ < ხ⁶), რ უ თ. ხ⁶ედ, წ ა ხ. ხ⁶ან, კ რ ი წ. ხ⁶ად, ხ ი ნ ა ლ. ხ⁶უ

⁶ არსებობს გადმოცემა, რომ ქ ე თ თ შ -- ხალხი აქ მოსულია რამდენიმე საუკუნის წინათ მიწისძვრის შემდეგ. ამ ალგილებში მათ ლაიწყეს ინის (არაბ. პენშ, XHA) მოყვანა და ამიტომ ეწოდათ სიფელს ხინალულ-ი ([12] 244).

და სხვ. არაპალატალური ვარიანტი გვაქვს უდიურ ენაში - ხე(6) „წყალი“ ([6] 54-55). იგივე რეფლექსი დასტურდება ნახურ ენებში - ჩ ა ჩ ნ. ხი ([11] 67), **BOДA**, ი ნ გ უ შ. ხია ([14] 78, **BOДA**), ბ ა ც ბ., ხინ. რაც შეეხება ხ ი^წ ფორმას, აქ ხ-ხ^წ, როგორც ჩანს, აზერბაიჯანული ენის გავლენით უნდა იყოს გამოწვეული. ამ ფუძის მეორე კომპონენტი (თანხმოვნები დ, რ, ნ) ზოგიერთ ენაში დაკარგულია: უ დ ი უ რ ი ხე <*ხენ, ხ ი ნ ა ლ. ხ^წუ < ხ^წენ ([5] 128), ასევე დ ი დ., ბ ე უ ი ტ. ლ^წი და სხვ. მაგრამ ივარაუდება, რომ რ, ნ თანხმოვნები მომდინარეობს დ-საგან და საერთო-დაღესტნური ღონისათვის პოსტულირდება ფორმა ლ^წა დ / ლ^წ ა დ ([15] 182*). თუ რამდენად სამართლიანია ეს რეკონსტრუქცია, შეიძლება მსჯელობის საგანი იყოს, მაგრამ ხ ი ნ (<ხ^წინ) ვარიანტი, ვფიქრობთ, ამსახველი უნდა იყოს საერთო-ღებზგიურის გარკვეული ღონისა, რომელთანაც ახლოსაა ლაკურ-დარგული (აგრეთვე ნა-ხური) ფორმები: ლ ა კ. შინ (<*ხ^წინ), დ ა რ გ. შინ (<*ხ^წინ) ([5] 128); შდრ. ა ლ უ ლ. ხ^წერ||ხ^წედ||>შედ...

ასევე, საერთო-ღებზგიურ, თუ საერთო-დაღესტნურ ღონეზე არა, შეიძლება განხილულ იქნეს მრავლობითი რიცხვის -აღ ფორმანტი, რომელსაც უნდა შეიცავდეს ხ ი ნ ა ლ უ ლ. სახელწოდება: -აღ||-აღ სუფიქსი, როგორც მრავლობითი რიცხვის ნიშანი არსებითი სახელები-სა, ფრიად გავრცელებულია დაღესტნურ, კერძოდ ღებზგიურ ენებში ([9] 82-93, [19] 254-262), ე.ი. ისტორიულად უნდა გვექონოდა ფორმა ხ ი ნ ა ლ (=„წყლები“), რომელსაც შემდგომ დაერთო აზერბაიჯანული სიტყვაწარმოებისათვის დამახასიათებელი კუთვნილების, კრებითობის გამომხატველი ფორმანტი -ღულ^{*}, ფართოდ გამოყენებული

* აქვე იხილე ამ ფუძის ხმოვანთა ისტორია.

** აზერბაიჯანულში ცნობილია ამ სუფიქსის ვარიანტები -**ЛЫГ**, -**ЛИК**, -**ЛУГ**, -**ЛУК**.

აზერბაიჯანული ტოპონიმიკური სახელების წარმოებისას ([13] 20-22). ამგვარად, ხინალულ < *ხინ-ალ-ლულ, სადაც ორი ლ-დან დაიკარგა ერთ-ერთი, აღბაძ ის, რომლის მორფოლოგიური სტატუსი უკვე შეღახული იყო (-ჲ < -ჲლ) - ხინალულ-ის ო ვლემენტი მრავლობითი რიცხვის ფორმანტის ნაშთია.

ხინალულ-ში რომ -ლულ სუფიქსი უნდა გამოიყოს, ახალი მოსაზრება არ არის. ეს ჯერ კიდევ ა.ღირს ჰქონდა შენიშნული.* ამავდროის არიან სხვა მკვლევრებიც. აღნიშნულია, რომ ხინალულ- შედგება ორი ნაწილისაგან: ხ ი ნ ა და -ლ უ ლ. ამ უკანასკნელის ფუნქცია დაეას არ იწვევს, მაგრამ ამასთანავე მიუთითებენ, რომ ეს მორფემა დაერთო ხ ი ნ ა ფორმას X საუკუნის შემდეგ აზერბაიჯანულ ნიადაგზე, რამდენადაც ხ ი ნ ა დადასტურებულია X საუკუნის წყაროებში, როგორც დამოუკიდებელი ტოპონიმი (-ლულ დაბოლოების გარეშე). მას უკავშირებენ კავკასიის ალბანეთის ერთ-ერთი ოლქის - ხ ე ნ ი ს - სახელწოდებას ([3] 62; [4] 77). სხვა შეხედულებით, ხინალულ- იშლება: ხინ-ა-ლულ, სადაც გამოიყოფა -ჲ** და -ლულ კუთვნილების გამომხატველი სუფიქსები (უკანასკნელი ასევე ივარაუდება აზერბაიჯანულიდან ნასესხებად). ხ ი ნ ა ლ უ ლ- გაგებულია როგორც კრიწულ-ბუღუხური (ღუზგურენოვანი! -გ.თ.) ტოპონიმი თურქული ფორმანტით, გამოყოფილია ხ ი ნ ფუძე, მაგრამ არც აქაა რაიმე ნათქვამი ამ ფუძის მნიშვნელობის შესახებ ([10] 8).

.....
* "... Хиналуг есть собственно Хиналуг, с суффиксом луг, (турк.-тат. происх.). Он употребляется обыкновенно для образования отвлеченных имен существительных; на Кавказе он употребляется также (как в грузинском о б а, в арчинском К а у л) для составления слов, выражающих, что что-нибудь наполнено чем-то, а также указывает на совокупность жителей данной местности. Таким образом, Хиналуг имеет то же самое отношение к Хина, как Татария к слову татарин, Турция к слову турок" ([8] 18-19).

** -ჲ ვლემენტის შესახებ მოსაზრება ანგარიშგასაწევია, თუმცა ასეთი სახელური წარმოება დადგენის ენებისათვის დამახასიათებელი არაა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ესაა ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის სული ელემენტის ნაშთი (ამ თვალსაზრისით, კუთვნილების გამომხატველიც). მაგრამ ჯერჯერობით უფრო მართებულია ვეჩვენება, რომ მასში არსებითი სახელთა მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი დავინახოთ.

ამგვარად, ჩვენი ვარაუდით, "ხინ-ალ-ლუ უნდა გავიგოთ, როგორც „წყლები“. შესაძლებელია მას ძველად რაიმე მსაზღვრელი უძლოდა წინ (ან მოსდევდა), რომელიც დროთა განმავლობაში დაიკარგა (მდრ. თეთრი წყლები, Минеральные Воды და სხვ.). შემდგომში -ლუ მორფემას დამატებითი კონკრეტიზაცია შეაქვეს ტოპონიმის სემანტიკაში, ხდება ტოპონიმის, თუ შეიძლება ასე ითქვას, გააზერბაიჯანულება (ამითვეა შეპირობებული ფონეტიკური პროცესი ხინ < ხინ). რომ დავასკვნათ, ხ ი ნ ა ლ უ ეტიმოლოგიურად არის „წყლიანი (წყლებიანი) ადგილი“, „ადგილი, სადაც ბევრი წყალია“.

* ის ფაქტი, რომ ერთ ტოპონიმში შეერთებულია ორი ენის მასალა, შეუძლებელი და მოულოდნელი, ცხადია, არაა. სათანადო მაგალითების დაძებნა სირთულეს არ წარმოადგენს. ასეთი კავკასიური ფენის არსებობაზე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არა ერთი მკვლევარი მიუთითებს ([4] 69-78; [6] 53-58; [13] 57-58).

დასასრულ, ხინალულის გეოგრაფიული გარემო, ლანდშაფტი ამართლებს აქ წარმოდგენილ ეტიმოლოგიას - ალპური ზონის ეს სოფელი და მისი შემოგარენი გამოირჩევა წყაროების სიუხვით. აქვეა მოყვანილი ამ წყაროების სახელწოდებები:*

ფხრე მუც** - „ძალის წყარო“ (ხინალ. ფხრა „ძალი“, ფხრე - ნათ. ბრ.).

* ეს სახელწოდებები და სათანადო განმარტებები მომავლად ვ. წადასას სახ. ისტორიის, ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის (მავჩაყალა) მეცნიერ თანამშრომელმა ფ. გ ა ნ ი ე ვ ა შ, რომელიც სპეციალურად მუშაობს ხინალურის ლექსიკაზე და არა ერთხელ ყოფილა ხინალუში. საინტერესო ცნობებისათვის მას მადლობას მოვასვენებ.

აქვე დავსძენთ, რომ წიგნში ([16] 236) ერთ-ერთი ტოპონიმი Хыналыг განმარტებულია, როგორც მინერალური წყარო კუბის რაიონში, სოფ. ხინალუდიდან 1,5 კმ-ის დაშორებით.

** მუც - ხ ი ნ ა ლ . წყარო, источник, родник, ключ.

სარჯ მღვ - „ყვითელი წყარო“ (აზერბ. сары „ყვითელი“)

ბაღლალ მღვ - „ბრმა წყარო“ (შერ. „ბრმიწა წყარო“ ქართულში)

საჭარა აბე მღვ - „საფარ ბაბუას წყარო“ (ხინალ. აბა „ბაბუა“
აბე - ნათ.ბრ.)

ხაჯიბაბე მღვ - „ხაჯიბაბას წყარო“

ხმ^აჩაღ მღვ - სიტყვისიტყვი „ხანჯალი წყარო“ (გადმოცემით,
აქ იმდენად ცივი წყალია, რომ მისი დაღვევისას ისეთი შეგრძნებააო,
თითქოს ხანჯალმა გაიარა მუცელში).

რეხრე ლოთურ^ა მღვ - „რაჰიმის წყარო“

ხაშინხა^ა ლოთურ მღვ - „ხაშინხანის წყარო“

მაღაზმედ ლოთურ მღვ - „მაღაზმედის წყარო“

ხალიგარ ლოთურ მღვ - „ხალიგარის წყარო“

კუნუყან ჩაშაშ - „ორმოცი წყარო“ (сорок источников):

ხ ი ნ ა ლ: კ უ „ორი“ + ყ ა^ა „ოცი“ (კუნუყან „ორმოცი“).

ღებგირენოვანი (განსაკუთრებით საერთო-ღებგირენი ღონის) ტომო-
ნიმების გამოვლენა ჩრდილო აზერბაიჯანის ტერიტორიაზე უთუოდ მნიშ-
ვნელოვანია და საყურადღებო ამ რაიონის უძველესი განსახლების ის-
ტორიის ძვალსაზრისით.

საქ. სსრ მცენიერებათა აკადემია

ენათმეცნიერების ინსტიტუტი

^ა ლოთურ ხინალულში გამოხატავს კუთვნილებას. მაგ.,
მირალემ ლოთურ წყა - „მირალემის სახლი“; „მირალემს რომ ეკუთვნის,
ის სახლი“.

К этимологии ХИНАЛУГ "xinaluγ"

Р е з ю м е

Селение xinaluγ расположено в северо-восточной горной части Азербайджанской ССР, в Кубинском районе, у восточной границы Дагестанской АССР. xinaluγ не является автохтонным названием - его жители свой аул называют kättš // kettš , а свой язык kättidi miç. Термин kätt-//kett- находит параллель с этнонимом gat, обозначающим одно из племен древней Кавказской Албании.

Название xinaluγ связывается с общедагестанской основой "вода", история которой в дагестанских языках с точки зрения звукосоответствий, можно сказать, более или менее ясна /исследования Е.А.Бокарева, Г.Х.Ибрагимова, С.М.Хайдакова, Б.К.Гигинейшвили и др./ . В этом топониме выделяется основа xin , содержащая рефлекс x исходного общедагестанского латерального согласного l¹ /сохранившегося в аварском - l¹in "вода"/. В системе звуковых корреспонденций дагестанских языков вариант xin отображает общелезгинский уровень, где первый согласный этой основы в большинстве лезгинских языков представлен палатальным заднеязычным спирантом x¹: рут. x¹ed; цах. x¹an , крыз. x¹ad, хинал. x¹u, агуль. x¹er||x¹ed||šed , табас. šad||šar||šer (š < x¹) и т.д. Считается, что x < x¹ (xin < x¹in) под влиянием азербайджанского языка.

Что же касается элемента -al , также выделяемого в названии xinaluγ , то его следует рассматривать как показатель множественного числа имени существительного общелезгинского /если не общедагестанского/ уровня, а -luγ является в азербайджанском

7. Дешериев Ю.Д., Хиналугский язык, М., 1957.
8. Дирр А., Современные названия кавказских племен, СМОМПК, 1909, вып.40, отд. III.
9. Ибрагимов Г.Х., О многоформантности множественного числа имен существительных в восточнокавказских языках. "Вопросы языкознания", 1974, № 3.
10. Ибрагимов Г.Х., Рутульский язык. М., 1978.
- II. Карасаев А.Т., Мацнев А.Г., Русско-чеченский словарь. М., 1978.
12. Кибрик Е.А., Кодзасов С.В., Оловянишникова И.П., Фрагменты хиналугского языка. М., 1972.
13. Молла-заде С.М., Топонимия северных районов Азербайджана /Лингвистическое исследование/. Автореф. докт. дисс., Баку, 1978.
14. Оздоев И.А., Русско-ингушский словарь. М., 1980.
15. Сравнительно-историческая лексика дагестанских языков, М., 1971.
16. Толковый словарь географических названий Азербайджанской ССР, Баку, 1960.
17. Хайдаков С.М., Сравнительно-сопоставительный словарь дагестанских языков. М., 1973.
18. Шаумян Р.М., Яфетические языки "магдагской подгруппы". "Язык и мышление", т.Х, М.-Л., 1940.
19. ალფონსო გ., სახელის მრავლობითი რიცხვის წარმოშობისათვის დებულ ენებში, "იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება", ტ. XVIII. აბ., 1973.

მურად კემულარია

თურქულ-აზერბაიჯანულენოვანი ელემენტები ქვემო
ქართლის ქართული სოფლების ტოპონიმიაში

საქართველოს ტერიტორიაზე წლების განმავლობაში ნებსით თუ უნებლიეთ ჩამოსახლებულმა არაქართულენოვანმა მოსახლეობამ თავისი კვალი დატოვა ტოპონიმთა ჩამოყალიბებაში.

დღევანდელი ქვემო ქართლის ტერიტორიაზე მრავალეროვანი მოსახლეობა ცხოვრობს. განსაკუთრებით თვალსაჩინოა აზერბაიჯანელთა სიჭარბე. ცნობილია, თუ რა დიდ გავლენას ახდენს სხვადასხვაენოვანი ეთნიკური ჯგუფის სიახლოვე კილოსა თუ კილოკაცის ლექსიკურ შემადგენლობაზე. ნასესხებე მასაღას ენა შეითვისებს და ღრთა ვითარებაში საგანგებო ძიებაა საჭირო, რომ მისი ნასესხობა დამტკიცდეს.

ჩვენი დაცვირგების ობიექტს შეადგენს ქვემო ქართლის (დმანი-სის, ბონისისა და მარნეულის რაიონები) ზოგიერთ ქართულ სოფელში გავრცელებული თურქულ-აზერბაიჯანულენოვანი ტოპონიმები.

თურქულენოვანი-ფენის გავლენა საგრძნობია აგრეთვე სამხრეთ საქართველოში, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთში, რაც არის კიდევაც ასახული ამ რეგიონის ტოპონიმიაში. აქ საუკუნეების განმავლობაში ბატონობდნენ თურქები. ამდენად, ამ რეგიონის კილოკაცსა თუ ტოპონიმიაში დადასტურებული თურქული სიტყვები შედეგია საკუთრივ თურქული ენის გავლენისა, რაც არასასურველ ზეგავლენას ახდენდა ქართულ ენაზე. თუ კილოკაცის ლექსიკური შემადგენლობიდან თანდათან იდევნება თურქიზმები, თურქულენოვანი ტოპონიმები რჩება ამ არასასურველი, იძულებითი ურთიერთობის უტყუარ საბუთად.

სხვა მდგომარეობაა ქვემო ქართლის ზემოთ აღნიშნულ რაიონებში. აქ უკვე საკმაოდ მომძღაერებულია არაქართულენოვანი მოსახლეობა.

აზერბაიჯანელები დღესაც ცხოვრობენ ამ ტერიტორიაზე ქართველებთან ერთად. ე.ი. ამ რეგიონის ტოპონიმიაზე მოსალოდნელი იყო აზერბაიჯანული ენის გავლენა, ხოლო სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე – საკუთრივ თურქულია.

ვინაიდან აზერბაიჯანული და თურქული ენები შედიან ერთ ენათა ოჯახში, მათი ლექსიკური შემადგენლობა ხშირ შემთხვევაში ემთხვევა ერთმანეთს, ეს ასახულია ტოპონიმებშიც. მაგრამ თუ რომელიმე გეოგრაფიული ობიექტის აღსანიშნავად სხვადასხვა სიტყვა იხმარება აზერბაიჯანულსა და თურქულში, ასეთ შემთხვევაში მათი გავრცელების არე შეზღუდულია.

ა რ ხ ა ჯ ი აზერბაიჯანულში ნიშნავს „ქაქონლის დასასვენებელ ადგილს მინდორში“ [1]. ეს მნიშვნელობა აქვს მას აზერბაიჯანულენოვან სოფლებში, სადაც ამჟამად აზერბაიჯანელები ცხოვრობენ. ეს მათთვის ზოგადი ტერმინია და მხოლოდ კომპოზიტურ ტოპონიმებში გვხვდება: ს ა რ ი ა რ ხ ა ჯ - საძოვარი, მთა (სოფლები: ტყისპირი, ბეზატლო. სარი „ყვითელი“), ჩ ი ჩ ე ქ ლ ი ა რ ხ ა ჯ - საძოვარი (ს. კიროვისი, ჩიჩეკლი „ყვავილიანი“), მ კ წ ზ ა რ ხ ა ჯ ი - სახნავი (ს. დაღლარი, მ კ წ ზ „ხარი“).

ა რ ხ ა ჯ ი ცალკე არ გვხვდება აზერბაიჯანულენოვან სოფლებში, ისევე, როგორც ნაკლებმოსალოდნელია ქართულ სოფლებში ადგილის აღსანიშნავად შეგვხვდეს ცალკე „საძოვარი“, „სახნავი“ ან ამ ტიპის საზოგადო სახელები.

ქართულენოვან სოფლებში საქმე სხვაგვარადაა. კომპოზიტურ ტოპონიმებში იგი იმავე მნიშვნელობით იხმარება, ამასთან, წინამდებელი კომპონენტი შეიძლება ქართულენოვანი იყოს: გ რ ძ ე ლ ი ა რ ხ ა ჯ ი - საძოვარი (ს. განთიადი). „არხაჯის“ წინ პირის სახელებია: მ ე ტ რ ე ა რ ხ ა ჯ ი - საძოვარი (ს. განთიადი), თ ე დ ო რ ე ს ა რ ხ ა ჯ ი - საძოვარი (ს. ჯავახი), ა ზ ა ს ა რ ხ ა ჯ ი - საძოვარი (ს. ჯავახი). ასეთი ტოპონიმები მრავლადაა.

არის შემთხვევები, როდესაც კომპოზიტური ტომონიმის წინამდებ-
ლო კომპონენტიც აზერბაიჯანულენოვანია: ყარა არხაჯი - საძოვარი
(ს. განთადი, დიდი გომარეთი. ყ ა რ ა „ზიადი“).

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ქართულენოვან გარემოში აზერ-
ბაიჯანულისადვის საზოგადო ტერმინმა ა რ ხ ა ჯ შეიძინა ტომონი-
მის ფუნქცია. არხაჯი - საძოვარი (ს. დიდი გომარეთი), არხაჯი -
ტყე, საძოვარი (ს. ტანძია).

ზემოაქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ: ა რ ხ ა ჯ ი ამ რეგი-
ონის ქართულ სოფლებში შესულია აზერბაიჯანული ენიდან და დამკვიდ-
რებულია რეგიონის საზოგადო ლექსიკაში.

ა ა ა ლ ა -ს აზერბაიჯანულ და თურქულ ენებში ერთნაირი მნიშ-
ვნელობა აქვს - „საზაფხულო საძოვარი მთაზე“ ([1], [2]).

როგორც ირკვევა, სიტყვა აღნიშნავს მხოლოდ საზაფხულო საძოვარს
და არა საძოვარს საზოგადოდ. ის შეიძლება შეგვხვდეს ცალკეც, რო-
გორც გეოგრაფიული ადგილის სახელი. მაგალითები აზერბაიჯანულენო-
ვანი სოფლებიდან: ა ა ა ლ ო - სახნავი (ს. ქამარლო), ა ა ლ -
გორა (ს. ორმაშენი), ა ა ლ - საძოვარი (ს. არაქელი): შესაძლებე-
ლია, ვიფიქროვოთ, რომ ა ა ლ ს წინ უძღოდა სიტყვა, რომელიც
დროთა განმავლობაში დაიკარგა და დაგვირჩა მარტო ა ა ლ. ეს შეიძ-
ლება იხმარებოდეს სხვა სიტყვასთან ერთად: ა რ ი ლ ა ა ლ - სა-
ძოვარი (ს. წითელი სოფელი. ა რ ი ლ „ღია“); ყ ა რ ა ა ა ლ ი -
მთა (ს. წერაქვი). ა ა ა ლ ა ხშირად გვხვდება სამხრეთ სუქარ-
თველოს ტომონიმიშიც: ა ა ა ლ ა, ა ა ლ ე ბ ი ხშირია ასპინძის,
ახალქალაქის და ახალციხის რაიონებში? ა ა ა ლ ე ბ ს საზაფხულს
საძოვრებად იყენებენ როგორც აზერბაიჯანულში, ასევე ქართველები:
ქართველთა მეტყველებაში ა ა ა ლ ლებულობს ა ა ლ ფორმას (იქარ-
გება თავკიდური ა): ა ა ლ ე ბ ილქ ც ე ლ ო ბ ი ნ ე ბ ი (ს. დი-

* მაგალითები სამცხე-ჯავახეთის ტომონიმიდან მოგვაწოდებ ტომო-
ნიმიკის ლაბორატორიის თანამშრომელმა შერაბ ბერიძემ.

დი გომარეთი). იგივე ფორმა ჩანს კომპოზიტურ ტოპონიმებშიც: ა ა -
ღ ე ბ ი ს ზ ა ვ ო დ ი - საძოვარი (ს. დიდი გომარეთი), ა ა -
ღ ე ბ ი ს წ ყ ა ლ ი - ხევი, ა ა ღ ე ბ ი ს წ ყ ა რ ო - წყა-
რო და სხვ. ა ა ა ლ ა შესულია აჭარულ დიალექტშიც და ნიშნავს
„საზნაფხულო საძოვარი, მთის საძოვარი, იალღი“ ([5] 289).

ჩ ა ა რ ი აზერბაიჯანულენოვან ტოპონიმებში არ გვხვდება. იგი
თურქული სიტყვაა და ნიშნავს „მინდორი, მდელი, სათიბი, საძოვარი“
[2]. იგი დასტურდება კომპოზიტის მეორე (შემადგენელ ნაწილად მხო-
ლოდ ერთ სოფელში - დიდ გომარეთში. ჩ ა ა რ ი ა ნაწარმოები ტო-
პონიმები არის სამხრეთ საქართველოშიც. იქ ეს სიტყვა შესულია
თურქულიდან, ხოლო შემდეგ უნდა იყოს გავრცელებული სოფელ გომარეთ-
ში, რომელიც რეგიონალურად ახლოსაა სამხრეთ საქართველოსთან. არც
ისაა გამორიცხული, რომ მათ ჰქონდათ საერთო სათიბი ან საძოვარი.
სოფელ დიდ გომარეთში გვხვდება: გ ო გ ა ს ჩ ა ა რ ი - მინდორი,
დ ი დ რ ა ა რ ი - მინდორი, კ ო ნ ა ა ნ თ ჩ ა ა რ ი - სახნავ-
სათესი, ნ ე რ გ ი ა ნ ი ს ჩ ა ა რ ი - მინდორი, მ ა ტ ა რ ა
ჩ ა ა რ ი - მინდორი, ყ ი ჭ უ ლ ა ს ჩ ა ა რ ი - სათიბი.

ჩ ა თ ა ქ „უნაგირა“ [1] თავისთავად აღნიშნავს რელიეფის
გარკვეულ სახეს და ამის გამო ეს სიტყვა ადვილად იქცა ტოპონიმად
აზერბაიჯანულენოვან სოფლებში: ჩ ა თ ა ხ - მთა (ს. მამიშლარი),
სახნავი (ს. კიზილქილისა), საძოვარი, მინდორი (ს. საღამალეიქი),
ბორცვი (ს. სოფლო). აღნიშნული გეოგრაფიული ტერმინი გვხვდება
კომპოზიტურ ტოპონიმებშიც: ჩ ა თ ა ხ გ ა ა ს ი - კლდე (ს. სა-
ჯა), ჩ ა თ ა ხ დ ე რ ე - ხრამი (ს. ზემო სარალი), ჩ ა თ ა ხ -
ა ო ლ უ - გზა (ს. ინჯოლღუ, სოფლო).

ქართულენოვანი სოფლების მოსახლეობა იყენებს ტოპონიმ ჩათახს
ახალი ობიექტის სახელის საწარმოებლად: ჩ ა თ ა ხ ი ს ს ა ყ -
დ ა რ ი - საყდარი (დიდი გომარეთი), ჩ ა თ ა ხ ი ს ჭ ა ლ ა -
საძოვარი (დიდი გომარეთი).

ა ღ ჯ ლ ი - „ბაკი“ (საქონლეს დასამწყვედვეი ადგილი) ([2]; [1]) დადასტურებულა მრავლობითი რიცხვის ფორმით: ა ღ ლ ე ბ ი - მინდორი (ს. შამულ).

ქართულენოვანი სოფლისათვის ეს უცხო სახელი ტოპონიმად იქცა. ამ რეგიონში მსგავსი მაგალითების დაძებნა ჭირს. იგი გვხვდება სამხრეთ საქართველოშიც: აღელი - საძოვარი (ასპინძის რ-ნი). ჯავახეთში ის საზოგადო ტერმინია - „საქონლის ნაკელს მოაგროვე-ბენ ჰალღებში, ბაკებში, სადაც ღამითაა გაჩერებული საქონელი“ ([4] 45). აღელი თურქულიდანაა შესული სამხრეთ საქართველოში და დამკვიდრებული საზოგადო ლექსიკაში. აქედანაა გავრცელებული ქვე-მო ქარაღში.

ა ა ტ ა კ - ი. თურქულ-რუსული და აზერბაიჯანულ-რუსული ლექ-სიკონების მიხედვით ამ სიტყვას ათი მნიშვნელობა აქვს. მათ შო-რის ერთ-ერთია „საწოლი- დასაწოლი“. ეს სიტყვა ქართულ სოფლებში გამოყენებულია შემდეგ ტოპონიმებში: ა ა თ ა ღ ე ბ ი ს მ ი წ ა სახნავი (ჯავახი. ინფორმატორის განმარტებითაც, აათაღ-ი საქონლის დასაწოლ ადგილს ნიშნავს საძოვარზე), ა ა თ ა ღ ე ბ ი ს ხ ე-ვ ი - ხევი (ს. ჯავახი) განგვიმარტეს, რომ აათაღი ცხერის სად-გომს ნიშნავს). ა ა თ ა ღ ი გვხვდება ასპინძის რაიონის მცხოვ-რებთა შტეტყველებშიც საქონლის სადგომის მნიშვნელობით. ა ა ჯ ლ-ი და ა ა თ ა ღ-ი აზერბაიჯანულენოვან ტოპონიმებში არ იძებნება. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ეს სიტყვები შემოსულია სამხრეთ საქართველოდან, სადაც დამკვიდრებულია თურქული ენის გავლენით: „ათაღში შვერეკამ ცხვარ და მევრე წამოვალ“ ([4] 39). იგივე მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას აჭარულ დიალექტშიც: „ბარების და-საწოლი და ღამის სათევი ადგილი“ ([5] 288).

ბ უ ლ ა გი ბ უ ლ ა კ - „წყარო“ ([1], [2]). დადასტურებულია კ ა რ ა ბ უ ლ ა ტ ი შ ა ვ წ ყ ა ლ ა - მდინარე (ღიდი გომარეთი).

მიუხედავად იმისა, რომ თვით აზერბაიჯანულენოვან სოფლებში ეს ტერმინი ძალზე პროდუქტიულია (გ ა ლ ა ბ უ ლ ა დი - წყარო ს. სოფელში, დ ა შ ბ უ ლ ა დი წყარო ს. დაღღარში), ამ რეგიონის ქართულ სოფლებში მან ვერ პოვა გავრცელება და კომპოზიტურ ტოპონიმებშიც კი, სადაც წინა კომპონენტი თურქულენოვანია, ქართული „წყარო“ იხმარება: ქ უ რ ა ხ ა ნ ი ს წ ყ ა რ თ - წყარო (ქურახანები ცალკე ტოპონიმია), ქ ა ლ ა ფ ი ს წ ყ ა რ თ - წყარო (ს. წერაქვი. ქალაქი „დანგრეულს, ნასახლარს“ ნიშნავს).

ქ ა რ ა ლ ი სპარსული წარმომავლობის სიტყვაა: „ქარალი - (ქარლისა) (სპარ. ქარალ) - კაცი, რომელსაც თავზე თმა არ ამოსდის“ ([3]).

ქ ა რ ა ლ ი უკვე დამკვიდრებულია ქართული ენის ლექსიკაში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ საკუთრივ თურქულმა ენამ ეს სიტყვა არ იცის და სათანადო შინაარსის გამოსახატავად რამდენიმე სიტყვას იყენებს (keş, daşlak, çavlak). საქართველოში სხვაგანაც გვხვდება „ქარალ“ კომპონენტის ტოპონიმები. აზერბაიჯანულენოვან სოფლებში გვხვდება 20-მდე ქ ა რ ა ლ თ ე ფ ე. ქართულენოვან სოფლებში გვაქვს: ქ ა რ ა ლ გ თ რ ა - შა (ს. მამულ, ტანძია, პატარა გომარეთი, წერაქვი), ქ ა რ ა ლ გ თ რ ე ბ ი - ფერდობი, ბურქნარი (დაბა კაზრეთი).

მართალია, ქარალი სპარსული წარმოშობის სიტყვაა, მაგრამ ის დამკვიდრებულა აზერბაიჯანულ ენაში და ამ რეგიონში განსაკუთრებულ პროდუქტიულობას იჩენს ტოპონიმთა წარმოებისას: აღნიშნავს შიშველ, მოტიტვლებულ, უტყეო ადგილს. ამ წინშეწევლობით ის ხშირია ქვემო ქართლის ტოპონიმიაშიც: ეს სიხშირე აზერბაიჯანული ენის გავლენას უნდა მიიწეროს. თურქული თ ა ფ ა და აზერბაიჯანული თ ე ფ ე ნიშნავს - „ბორცვს“ „გორაკს“ ([2], [1]). ამ სიტყვის შემცველი ტოპონიმები გვხვდება როგორც სამხრეთ საქართველოში, მაგ., თ ა ფ ა - შა (ასპინძის რაიონი), ასევე ქვემო ქართლის ზემო

ბღნიშნულ რეგისტრში როგორც ქართულ, ასევე აზერბაიჯანულენოვან სოფლებში ქართულენოვან სოფლებში მ ნ მ მ ა რ ა უ ლ თ ა ფ ა = მთა (ს: რატევიანი), დიალიფანი - ფერდობი (ს: რატევიანი), თაფაბანი = სახანაფ-საბანო (ს: რაჭისუბანი), მაფანი = სახანაფი; მინდორი (ს: ტანძია): მსგავსი მაგალითების მოხმობა ციფრე შეიძლება:

აზერბაიჯანულენოვან სოფლებში: ჭი თეფე = მთა (ს: ალგეთი) ჭი = სამი, ხიჩმან თეფე = მთა (ს: ზემო სარალი).

ქ ა ლ მ ფ ა = ნანგრევი, ნახერტი, ხერტი, ქუჭრუტანა ([I]), ეს სიტყვები უნდა იყოს თურქული ენისათვის, ამდენად, როგორც მოსალოდნელი იყო, სამხრეთ საქართველოში ის არ იხმობა, ქვემო ქართლის რეგიონის სანტერეს რეგიონში კი ქალზე პროდუქტიულია, როგორც აზერბაიჯანულენოვან, ასევე ქართულ სოფლებშიც. ქ ა ლ ა ფ ა ლ ი ლ - ნასოფლიანი (ს: ირგანიანი, კირკინი), ქ ა ლ ა ფ ა ლ ი ხ = სახანაფი (ს: ანაფლი), არის კიდევ 15-მდე ქალაქი, რომელიც სხვადასხვა სოფლებში სხვადასხვა რიგით ბღნიშნავს. ქართულ სოფლებში გვაქვს: ქ ა ლ მ ფ მ ბ ი = სახანაფი (ს: ტანძია), ენახი (ს: წითელი სოფელი), ქ ა ლ ა ფ ა = ნანგრევი (ს: წერაქვი) და სხვ. ე.ი. ქალაქი შესულა ქართულენოვანი სოფლების აღქმაში აზერბაიჯანულის გავლენით.

ზემოთქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ: ქვემო ქართლის ტოპონომიკაში ფიქსირებული აზერბაიჯანულ და თურქულენოვანი ლექსიკური ერთეულების ერთი ნაწილი მხოლოდ ტოპონიმებში ჩანს; ხოლო მყირე ნაწილი დადასტურებულია რეგისტრის ქართულ შეტყვევებაში და გამოყენებულია ტოპონიმთა საწარმოებლად. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ეს სიტყვები ძირითადად მესაქონლეობასთან დაკავშირებული ტერმინებია.

ამინდისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ხანაფი ქართული ენის კათედრისთან
აქსენტული ტოპონომიკის ლაბორატორია

Турецко-азербайджанские элементы в топонимии грузинских деревень Нижней Картли

Резюме

В речь жителей грузинских деревень Нижней Картли вошли и подтвердились в топонимах слова турецкого и азербайджанского происхождения: *აზბაჯი აგჯაჯი* - место отдыха скота в поле, *ააჯაჯი jaĵla* - кочевье, дачное место, горное плато, служащее кочевьям, *აააჯი ბაჯირი* - 1. дуг, лужайка; 2. пастбище, *ააააჯი ბათაკი* - географ. седловина, *აააააჯი აჯილი* - загон для скота, *ააააააჯი აჯაჯი* - 1. постель, кровать; 2. ручло (река); *ბაჯაჯი ბაჯაჯი* - родник, источник, ключ, *ქააააჯი კააააჯი*; 1. лысый, плешивый, имеющий на голове паршу; 2. парша, *ბაააჯი ბაააჯი* - 1. холм, пригорок; 2. вершина, верхушка, макушка, темя.

Слова, общие для турецкого и азербайджанского языков, вошли первоначально в месхетско-джавахский диалект под влиянием турецкого языка (в XVI-XVIII вв.) и упрочились в грузинском говоре Нижней Картли, однако азербайджанские слова усвоены позднее, после расселения азербайджанцев на территории Нижней Картли.

ლიტერატურა

1. Азербайджанско-русский словарь, Баку, 1941.
2. Турецко-русский словарь, Москва, 1977.
3. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VII, თბ., 1962.
4. ს. მ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ., ჯავახურის დარგობრივი ლექსიკა, საკანდიდატო დისერტაცია, 1974 (მანქანაზე ნაბეჭდი):
5. მ. მ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ., ქართული ენის აგარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971.

ზურაბ კიკნაძე

საკრალური ტოპონიმია

თამარის ისტორიკოსის ძეგლებში (,ისტორიანი და აზმანი“) ციხულაობა ცნობას ტახტის მემკვიდრის დაბადების თაობაზე, რომელიც მტაფორულად გვიცხადებს ქართულ ბაგრატიონთა დინასტიურ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის დედააზრს:

,მიუღვა თამარ განწმედილი გონებითა და ტაძრისა ღმრთისა აღმსწულელისა სანთლითა სხეულისათა, მკურვალითა გულითა და განადლებულითა სულითა ტაბაკმელისა ბეღემ-მყოფელმან მუნ შვა ძე, სწორი ძისა ღმრთისა...“ ([8] 56). ჩვენი დაკვირვების საგანია უნიკალური გამოთქმა, სავსებით ქართული, როგორც თავისი გრამატიკული ფორმით, ასევე სარწმუნოებრივ-იდეოლოგიური სულისკვეთებით - ,ტაბაკმელისა ბეღემ-მყოფელი“, სანდაც, ერთი მხრივ, გამოკვეთილია მემატრიანის მიზანი, გააიგივოს მის მიერვე ადრე, ამავე ტექსტში, ,ქამებისაგან ოხებად თანააღზევებულად“ წოდებული თავისი დედოფალი ბეღემში მშობიარე დედოფალთან, მეორე მხრივ, დაადასტუროს მისტიური რეალობა, რომ სახელმწიფოსათვის და, შესაძლოა, მთელი საქრისტიანოსათვის, ამ მნიშვნელოვან წამს ტაბაკმელაში, თუნდაც დროებით, დასადაგურდა ბეღემის ნათელი. ტაბაკმელა არა მხოლოდ მტაფორულად იწოდა ბეღემად, არამედ რეალურად გახდა ბეღემი.

მემატრიანი იმასაც გვაუწყებს, რომ ტაბახმელა, აქამდე უჩინო ადგილი, იღებს ბეღემის ტვიფარს თავად მშობიარის (სხვა შემთხვევაში, ჩვეულებრივ, პასიურის) შეგნებული ძალისხმევით, რაშიც მონაწილეობს ,განწმედილი გონება“, ,სანთელივით სხეული“, ,მკურვალე გული“ და ,განადლებული სული“. ეს ოხნი ,კაცშირი“ მშობიარე თამარის პიროვნებისა, ერთმანეთთან შარამონიულად შეზავებული, ქმნის იმ პირობას, რომლის შედეგად საერთო ადგილი გარდაიქმნა

წმიდა ადგილად, კერძოდ, როგორც იმჟამის ჩვენი შიშის საკრძალო
ენაზე. ამგვარად, მემატრიანის რწმუნეთ, თამარმა საკუთარი სული-
ერი ძაღების უკიდურესი მოკრების წყალობით თითქმის განდმრთობის
ზღვარზე, თეოსისში, როცა აღეთესვის უორყო მშვიდმდერი და ად-
ეგების უორყო სულიერი (I კორინთ. II, 44), გაბრდვია ტაბაქმედის
პროფანული გარემო და წმიდა-ყო იგი, შეა რა მძე, სწორი ძისა ღმრთი-
სა...

თამარს (როგორც მემატრიანე აღნიშნავს) ბრა მთლადენდი მადლით,
არამედ თავისი წარმოშობით თუ ბუნებით* აქვს დამსახურებული ები-
თეტი ანუ რანგის ჰბეღემ-მყოფელისა, რადგან იგი ნათესავია იმა-
ვე შტოსა - კრესიან-დავიდიან-სოლომონიანთა - რომელსაც ეკათ-
ონის მარიაში, ი მ ბ ი რ ე ე ლ ბ ე ე ლ ე მ შ ი მ შ ი ბ ი,
და კუბარი მისი იოსები. ასე რომ, ტაბაქმედის ნამდვილად იმსახურებს
ბეღემის სახელწოდებას, როგორც იქ შობილი ძე, გიორგი - აღმასა
წოდებას, რაც, თანახმად მემატრიანის განმარტებისა, აფსარათა ენაზე
სოლომონის განმანათლებელს ნიშნავს. ეს კი, როგორც იოანეს სახა-
რებიდან ცოცხთ, ბეღემში შობილი ყრმის უბირველესი ებითეცა
(„ყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა,
მომავალსა სოფლად“ (I, 9)). ამ ებითეცს იმსახურებს ს ხ ე ა
ბეღემში, ტაბაქმედში, შობილიც და აკი თქმულა მასზე: ყრმბ
ახალი, ბირველ საუკუნეთა განწესებული ძედ შეფოსა, შეფედ,
შეილად, ცხებულად დავითიანად (I [5] 57) და მასაც მიაჩნდებენ
ძედენს იმ მოგვთა წაბაძვით (I [5] 57), რომელთაც ბეღემის ბაგა-
ში შობილს მიაჩნდენს ოქრო, გუნდრუკი და შუბრი (მთ. 2, II).

*შდრ. არსენი ბერის სიტყვები დავითზე: „ბუნებით ღმრთი მად-
ლით ღმრთეკმუნლთა შობის“ (I [2] 557).

ბაგრატიონთათვის ბეღღემის მშობლიურობას ის ფაქტიც აძლიერებს, რომ ეს ქალაქი არის მათი ანდრეზული წინაპრის, დავით მეფის, დაბადების და მეფედ ცხების ადგილი, რომელიც ლუკას სახარებაში პირდაპირ იწოდება ქალაქად დავითისა, რომელსა შრქვიან ბეღღემი (2, 4). ქრისტიანული თეოკრატიული სახელმწიფოს უკიდურესი გ ა კ ვ ზ ი გ ე ბ ი ს ხანაში ტაბაკმელა, ბეღღემის კვალზე, შეიძლება მისტიურად შერაცხილიყო ქართველ მეფეთა, სადავითო სახლიდან გამოსულ ყრმათა, შობის ადგილად; ხოლო „ბეღღემი-მყოფელი“ უნდა ყოფილიყო მესიანური აზრის შემცველი ეპითეტი და, ამავე დროს, დავითიანთა სამეფო შტოს უწყვეტი მოდენილობის დასტურს. ვით უმეტეს, თუ იმ პირველი ბეღღემის კარი საყოველთაო მესიის შობის შემდეგ დახშული იქნებოდა.*

ახალ ადგილზე გადანერგული, ძლიერი ანდრეზის გქონე ტოპონიმი თავის მხრივ ქმნის იმ პირველი ანდრეზის ვარაუდებს. მასში დაუნჯებულა ანდრეზზემოქმედებითი ძალი. მხედველობაშია კვლავ ბ ე ზ ე მ ი, ამჯერად სახელწოდება ხევში, მყინვარის კალთაზე არსებული ქვაბისა; აქ იყო ლეგენდარული მონასტერი დავისი ჯაჭვითა და თქმულებებით, ჭეშმარიტად ავრივი, საიდუმლოებით მოცულად ადგილი, რომლის პირველ ხსენებას ვხვდებით ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში („აღწერა სამეფოსა საქართველოსა“). „იტყვიან უფლის აკვანასა, - გვამცნობს XVIII ს. -ის ისტორიკოსი, - და აბრაჰამის კარავსა, მგომასა უსუეტოდ, უსაბლოდ, და სხუათაცა საკვირველთა. ა რ ა მ ე ლ მ ე ცდუმებ“ ([10] 357-8). ანდრეზულად მომართული ხალხის გონი შექმნის თ ქ რ ო ს ა კ - გ ა ნ ს, რომელზედაც ზის მისი მრწემიერი მტრედი [12]; ცხადია,

* ყურადღების ღირსია ტოპოგრაფიული ანალოგია ბაღესტინის ბეღღემსა და ტაბაკმელას შორის; ორივენი თავ-თავისი ეპიფინის დედა-ქალაქების; ბეღღემი - იერუსალიმის, ხოლო ტაბაკმელა - თბილისის მაღალ და სამხრეთით არიან გაშენებულნი.

ოქროს აკვანში უნდა იწვიოს მესიანური იდეალის ამისტადობელი
 ყრმა (ამ ანდრეის ლიტერატურული ფორმანტი ილიას რბაზადობის
 ტბა); ეს ჩვენება ცოცხლობს ხალხის ცნობიერებაში, რაკოც ექს
 იმ პირველი, წამყვანი ბელოვისა, ბელოვი = დევის ქის შიბის
 ადგილი = ხევისურად ანდრეებში ვახარებულად დევის შვილად მინი-
 ფესტაციების ანუ ჯგერ-ხატების სამყაროდ, აქვეა ის, ოქროს
 აკვანში მწიგნობრივ ბავშვი: რბაზა? წაუხვანად ხელოვნულად გერბ-
 ტის დავად, შაუხვანად ბელოვის სახეში, = გვაუწყებს ოქროსად, =
 რაკ შიგვილი, ოქვისად ვახუაშად, საგვად იხვად ის სახელი ვახტან-
 დარა? დამაშობდესად. ზოგ ხატებში ტრადიციული იხვად-დ? ირრად
 ერმანდობიანად, . . . ერადი ოქროს აკვან იხვად-დ? შიგვი ხმაწვილ
 იწვიან: ტრადიტი დამბრუნდესად ოქვილად-დ? იქვეის მარცხედის
 აჭვიდდესად. ვახუა იქილ რაკ წამისუდა, წამოუხვანად ერმ მტრინად
 ხატო. ეს ხატო ნაწილიანე ყარად, რაკ დამიანე შიქო უშობისად. . .
 გუდანის ჯგერის ბელოვსად რაკ შიგვილიან, ის ბელოვი შიგვილად-დ?
 ში ქარში დამბრუნე. . . " ([5] 191): ამ ვახლოვიან ირკვიდა, რაკ
 რბელოვის სახელი? წამოაღვიან ერტის დასაბამი ადგილს, სადაც
 რბადობიან? მარცხად დევისადვის მითხილდობელი ჯგერ-ხატები,
 რამინიც ხშირად მტრისად ადიდ ეუხადობიან ხატის მკადრიც ანუ
 ქადვადის. ხატო ვამოლის ირმადი ბელოვიან (ბელოვი — ბ ე ლ =
 ლ ე ბ ე ში „სახელი ბერისა“) = დევის წამოშობის ადგილიან და
 შიგვის კვლად ბელოვი, დევის ამტვიყნევი სამხარებებში:

რაკ რბავადიან ბელოვიან შიგვილიანე რადი მისტურად ახრად და
 ეს ვახარებობ ნომინატურად ან ადგილად საქარადიან რბ-
 კვად, შიგვი რაკ მხლოდ რბელოვიან და ახრად? ტიტუს, მამხარად
 =====

* ვახუა მტრულად, იტვი შიგვილიანე = გუდანის ჯგერის
 მკადრი და ქადვადი, საქარადი ანდრეების მესიანად.

ჩვენს ისტორიაში სხვა ფაქტო, რომელმაც დასაბამი მისცა საკრალურ ტომონიმიას საქართველოს სახელმწიფოებრივ და რელიგიურ ცენტრებში. იგულისხმება პალესტინური წარმოშობის სახელწოდებების გადმონერგვა ურც მცხეთის, მერე თბილისის ტომონიაში. ეს მოვლენა, რომელსაც, ცხადია, ქართლის მოქცევამ მისცა იმპულსი, მხოლოდ მოგვიანებით შეიქნა რეფლექსიის საგანი. გასული საუკუნის ბირველი ნახევრის რუსი მოგზაური მურავიოვი, ასხენებს რა პალესტინური წარმოშობის მცხეთის მიკროტომონიმებს, ასკვნის: «Палестинские имена они повторяются в Тифлисе. и в других местах Грузии, ибо сердце царей Иверских лежало к воспоминаниям святой земли, откуда прошло к ним просвещение духовное» ([15] 266).

ქვემოთ დავინახავთ, რომ არა მხოლოდ მოგონებები წმიდა მიწისა იყო ამ საყურადღებო მოვლენის მიზეზი. თავისთავად საგულისხმო ეს ფაქტი შეიძლება გამომდგარიყო ქართული ეკლესიის იერუსალიმური წარმომავლობის ერთ-ერთ საბუთად. ამ აზრს აცოცხლებს აკად. კ. კეკელიძე ერთ-ერთ თავის ადრეულ ნაშრომში "К вопросу об иерусалимском происхождении грузинской церкви" ([3] 358-63). ადრეულმა ქართულმა ეკლესიამ, წიქს იგი, მიიღო რა დასაბამი-პალესტინის წმიდა მიწიდან, ტომოგრაფიულადაც კი გადმოიღო თავისი დედას, იერუსალიმური ეკლესიის, ასლი. მცხეთაში და მის მახლობლად მან შექმნა ყველა ძირითადი ბუნქტი, რომელსაც უნდა გაეხსენებინა ქრისტიანისათვის მაცხოვრის ამქვეყნიური ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდები ([3] 362). ამ, შეიძლება ითქვას, გადმონერგვის ძალით იყო შესაძლებელი, რომ მცხეთის საბატარიარქოში გარკვეულ დრომდე მოქმედებდა ტიპიკონი, რომელიც ითვალისწინებდა ღვთისმსახურებას პალესტინის ბეთლემში, ბეთანიში, გეთსიმანიში, თაბორზე, გოლგოთაზე და სხვ. ([3] 361). მცხეთა ქართული იერუსალიმია, - ასკვნის მკვლევარი. დავსძენთ

ჩვენი მხრივ, რომ მცხეთა უფრო ადრე ქართველ ებრაელთა („პური-
 ათა ქართველთა“) მეორე იერუსალიმი გახდა, სადაც პირველად და-
 მკვიდრდნენ ისინი და საიდანაც გაიფანტნენ შემდეგ საქართველოს
 ფარგლებში. მცხეთა შეიქნა მათი მიკროდიასპორის (ერთიანი თემის
 დაშლის და სხვადასხვა კუთხეებში განშლის) საწყისი ადგილი. უნ-
 და ვივარაუდოთ, რომ, რაკი პირველი ქრისტიანები მცხეთაში ებრაელ-
 თა წრიდან იყვნენ გამოსულნი, ისინიც შეიტანდნენ თავიანთ წვლილს
 ქართლის სატახტო ქალაქში პალესტინური სახელწოდებების დანერგვა-
 სა და საყოველთაოდ დამკვიდრებაში. არ არის გამორიცხული, რომ
 ქრისტიანობამდეც იქნებოდა ცდა ებრაელთა წრეში უცხო ადგილების
 გამშობლიურებისა ნაცნობი ტოპონიმების გადმოხერგვიდ. * ასე მო-
 იქცნენ, ანალოგიისთვის რომ გავიხსენოთ, ტოლელში (ესპანეთი)
 დასახლებული ებრაელები, რომლებმაც, ნოსტალგიის დაძლევის მიზნით
 (შინაურულად და უსაფრთხოდ რომ ეგრძნოთ თავი უცხო მიწაზე) ქალაქ
 ტოლელს (რომელიც გააზრებულ იქნა ებრაულ სიტყვად - **טול** -
დო - „შთამომავლობა“) გარშემო გააშენეს დაბები პალესტინური
 წარმოშობის სახელწოდებებით, დასახეს რა ესპანური ტოლელ იერუ-
 სალიმის ხატად ([13] 366-7).

აი, კ. კეკელიძის მიერ აღნუსხული, იმ დროისათვის (1914 წ.)
 შემორჩენილი მიკროტოპონიმები: პირველ რიგში, ისეც **ბ ე თ ლ ე -**
მ ი - სახელწოდება მღვიმისა მტკვრის მარცხენა ნაპირზე; **თ ა -**
ბ თ რ ი - მთა მცხეთის მაღლა, სამხრეთით, მტკვრის მარცხენა მხა-
 რეს; მის საწინააღმდეგო მხარეს, მცხეთის ჩრდილოეთით მაღალი

* ვახტანგ კოტეტიშვილის ცნობით, „მცხეთაში, არმაზის ტყეში,
 დღემდე შენახულია უზარმაზარი მუხა, რომლის ქვეშაც, გადმოცემით,
 აბრაამს გამოეცხადა ქრისტე-ღმერთი... აღბათ ის **მ ა მ რ ე ს**
მ უ ხ ა არის ნაგულისხმევი, „დაბადება“-ში რომ არის მოხსენ-
 ნებული“ ([4] 404).

მთა ე ლ ე ო ნ ი (ანუ „ზეთისხილის მთა“ სახარების ქართული თარგმანის მიხედვით), იესოს სამედიტაციო ადგილი („...და წარვიდა, ვითარცა ჩუქურღბაჲ აქუნდა მთასა მას ზეთისხილთასა“, ლ.22, 39), სადაც ითქვა: „მამაო, უკუეთუ გნებავს თანაწარსლვად სასუმელი ესე ჩემგან, ხოლო ნუ ნებაჲ ჩემი, არამედ ნებაჲ შენი იყავნ!“ (ლ.22, 42); და სადაც „იქმნა ოფლი მისი ვითარცა ცუარი სისხლისაჲ“ (ლ.22, 44); გ ე ო ს ი მ ა ნ ი ა* - ფერღობი არაგვის მარცხენა მხარეს, მცხეთის ვაღმა, იმ დაბა გეთსიმანიის გასახსენებლად, სადაც, მათესა და ლუკას სახარებების თანახმად, მოხდა ზემოთხსენებული ეპიზოდი და სადაც ვერ იფიქსირეს მოციქულებმა, მიუხედავად მიცემული აღიარებისა (მ., 26, 36-43; მრ. 14, 32-40); ხოლო მთას, რომლის ფერღობზე მდებარეობს გეთსიმანიად სახელდებული მცირე ადგილი მიძინების ეკლესიითა და „ქუძუს წყაროთი“ (იერუსალიმური ბეთეზდას ხატად, როგორც კ. კეკელიძე ფიქრობს), ეწოდება გ ო ლ გ ო თ ა** . მის წვერზე დგას ჯვრის ტაძარი გოლგოთისავე სახელწოდების მცირე ეკლესიითურთ (3, 362). დაბოლოს, კ. კეკელიძე ახსენებს ბ ე თ ა ნ ი ა ს, რომელსაც ადგილი უნდა მიეუჩინოთ არა მცხეთის, არამედ მეორე რელიგიური ცენტრის - თბილისის საკრალური ტოპონიმიის წრეში.

მცხეთის საკრალურ შუაგულში დგას საკრებულო ტაძარი სვეტიცხოველი, რომელსაც ზემოლან დაჰყურებს გ ო ლ გ ო თ ა - ჯ ვ ა რ ი . მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ სვეტიცხოველის პირველ მაშენებელს, ვახტანგ გორგასანს, მხედველობაში ჰქონდა იერუსალიმში, სიონის მთაზე (ბორცვზე) მდგარი ეკლესია მოციქულთა სახელობისა,

*მცხეთის ტოპონიმიში გეთსიმანია დაკავშირებულია ქრისტეს ჯვართან ([II] 45).

**მცხეთაში დადასტურებულია გ ო რ გ ო თ ი ს ე რ ი , „ქედი ტყიანი მცხეთის ჩრდილო-დასავლეთით, არაგვის მარცხენა მხარეს“ ([II] 46).

რომელსაც უწოდებდნენ „ეკლესიათა დედას“, რადგან, ტრადიციით, მას მიუძეოდა დასაბამი ყველა ქრისტიანული ტაძრისათვის (3, 359). ამიტომ ეწოდება სვეტიცხოველს **მ ო რ მ ე ტ ი მ ო ც ი ქ უ ლ ი ს** სახელი, იმ პირველ საყდარს კი, მის ადგილზე ძველად არსებულს, - „დიდი სიონი“; მატრიანეში ცკითხულობთ: „ხოლო მცხეთას შეფემან ვახტანგ ალაშენა ეკლესია მოციქულთა სვეტი ცხოველი და უპყრა სვეტსა შინა სამხრით ადგილსა მას, სადა-იგი დაცემულ იყო ეკლესია, რომელ არს **დიდი სიონი** ([8] 198). არც ის არის შემთხვევითი, რომ მცხეთის **დიდი სიონის**, როგორც მემატრიანე გამოთქვამს, დაცემის შემდეგ ვახტანგ გორგასალი სიონს აშენებს თბილისში, სადაც მცხეთიდან გადაინაცვლებს პოლიტიკური და, ნაწილობრივ, რელიგიური* ცენტრი. მეორდება ის მოვლენა, რაც ქართლის გაქრისტიანების პირველ ხანებში მოხდა: როგორც ერთ დროს მცხეთის დიდი სიონის ირგვლივ მოიყარა თავი იერუსალიმურმა ტოპონიმამ, ასევე ახლა საქართველოს ახალ დედაქალაქში ჩნდება იგივე სახელწოდებანი, რომელთა შორის სიონს, რა თქმა უნდა, შეაგული ადგილი უჭირავს, როგორც ყოველი ტაძრის პირველსახეს, ზეცის ხატს, დავითისა და ღვთისმშობლის („ასული სიონიველი“) მშობლიურ ადგილს, რის გამოც ღვთისმშობლის წილხვედრილ და იესეიან-დავითიან მეფეთა ქვეყანაში მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება.

ტრადიციით, ვახტანგს სიონის გარდა თბილისში კიდევ ომბი ეკლესიის აგება მიეწერება ([14]; [17] 168), რომელთა სახელწოდებანი იმეორებს მცხეთის ტოპონიმკურ ვითარებას, თუმცა მათი ფესვებიც წმიდა მიწიდან მოდის. ესენია: **გ ე თ ს ი მ ა-**

*როგორც სომხური წყარო მოწმობს, კირიონ ქართლის კათალიკოსს-ეს მოხდა ტაძრის აშენებიდან დაახლოებით ასი წლის შემდეგ - საქათალიკოსო ტახტი თბილისში, „წმ. სიონის ფარეხში“ გადაუტანია ([7] 43).

ნ ი ა, როგორც იწოდებოდა ჭეტების ტაძარი და მისი მიდამო;
გ ო ლ გ ო თ ა, დღეს უკვე არარსებული „ეკლესია ჯუარის გუშბათი-
ანი, შვეხიერი“, როგორც ვახუშტი გვამცნობს ([10] 335); ბ ე თ
ღ ე მ ი ს ეკლესია; რომელიც სახელს აძლევს მთელს უბანს
(აწინდელი ფეხხაინი).

მბილისს შემორჩა ორონიმი თ ა ბ ო რ ი*, რომელიც ამ სახელ-
წოდებას იღებს პალესტინურ თაბორთან გაიგივების ძალით, იმ მთას-
თან, სადაც ქრისტიანული ანდრეზის თანახმად, მოხდა მაცხოვრის ფე-
რისცვალება. ამის აღსანიშნავად იქ მდგარა თავის დროზე ფერის-
ცვალების ეკლესია, რომელიც შაჰ-აბასს დაუნგრევია ([14] 263).
საგულისხმოა, რომ პალესტინური თაბორის ეკლესიის აშენებასაც
ჩვენი ტრადიცია ქართველებს მიაწერს და კვლავ გორგასლის ღვაწლს
უკავშირებს ([1] 73).

იერუსალიმური წარმოშობის უნდა იყოს სახელწოდება მ. თ ა -
წ მ ი ნ დ ა, რომელიც უნდა გულისხმობდეს კვლავ სიონს,** ანუ
ესქატოლოგიურ ასპექტში მის ფერნაცვალ ხატს, როგორც უმაღლეს
ადგილს მისტიური აზრით, სადაც საბოლოოდ თავი უნდა მოიყაროს
ყოველმა ერმა (ისაია 2,2).

დასასრულ, მბილისს, როგორც იერუსალიმს, აქვს თავისი ბ ე-
თ ა ნ ი ა, სოფელი, რომელიც, თუმცა მოგვიანებით (თამარის ხანაში)
გაშენდა თავისი ტაძრითურთ, მაგრამ, როგორც პ. იოსელიანი წერს,
წარმოიშვა "... из подражания палестинской Вифнии в подножии
масличной, близъ Иерусалима, горы, где совершилось чудо вос-
кресения Лазаря" ([14] 79). აი, რას ვერეტს, და ეს ნიშანდობ-
ლივია, იგივე ავტორი ბეთანიის ღანდშაფტში და რა განცდებს აღ-

*ღერხუმში (ლაილაშის ტემში) არის სოფელი თ ა ბ ო რ ი, ხოლო
მის მახლობელ გორაკზე, ისევე როგორც გოლგოთაზე, - უფლის ჯვრის
სახელობის ეკლესია.

** „ქვ დადევს მუთხედ მის მიერ ზედა ს ი ო ნ ს ა, მ თ ა ს ა
წ მ ი დ ა ს ა მისსა“ (ფს., 2,6).

ძრავს მასში მისი მიდამოები"... эти скалы подобие скал Геф-
симании; этот ключ, как оялоз палестинской Вифанды и речка
Вера, как поток Кедронский, равно напоминают Евангельскую
местность страданий Спасителя, равно наводят мрак печали и
невольно приводят к мысли о гневе небес над опустевшем
местностью. Как будто слышны здесь печальные вздохи Дя-
вида и горький плач Иереми на развалинах Вифании

палестинской" ([14] 80). ქართლის ბეიანიში ისმის პალესტინის
ბეიანიად აღმომხდარი კენესა! აი, იღუმალი ივიციობის განცდა,
აი, სულისკვეთება, რომლის წყალობითაც „წარმართულ“ მიწაზე
წმიდა მიწის სახელები ინერგებოდა, არა მარტოდენ გასახსენებლად
სახარების ამბებისა და სასწაულებისა. არც, უბრალოდ, წაბაძვის
სურვილით, არამედ დაძველებული ადგილების განსახლებლად და გან-
საწმედად, რათა მიწაც ნაზიარები ყოფილიყო იმ ნათელს, რომელიც
მიიღო მისმა მკვიდრმა ხალხმა. როგორც თამარმა ჯანათლებულითა
სულითა ბეიანე-ჰყო ტაბაჰმელა, ასევე ნათლისღებამ მტკვარში,
რომელიც ქართველებისთვის იორდანედ იქცა, „იერუსალემ-ჰყო“ მცხე-
თა-თბილისი მათი მიდამოებიოთრთ და ახალი სახელები დაანათლა
მათ. როგორც საიდუმლო რიტუალის ძალით წმიდა ბარძიშში არსებული
პური და ღვინო ქრისტეს ხორცად და სისხლად გარდაიქმნება, ასევე
ნათლისღება გარდაქმნის ხალხთან ერთად წარმართულ არეს, მისტიკუ-
რად გააიგივებს რა მას თავის პირველსახესთან, - იღუმალი ფაქტი,
რომელმაც ტომონიშიაში პოვა გაცხადება.

მსგავსი სულისკვეთება-განცდა პირველსახისეული ტვიფარის ხილ-
ვისა საკრალური ტომონიშით აღბეჭდილ გარემოში, ქართლის მოქცივის
ხანიდან დაძრული, აღწევს ჩვენს დრომდე. როგორც დავრწმუნდით,
ასეთი სულიერი თვალთა ჰვერტება ბეიანიას და მის მიდამოებს პლა-
ტონ იოსელიანი, ასეთი ჰვერტა თავს იჩენს საერო პოეზიაში, ერთი
შეხედვით თითქოს მოულოდნელად, მაგრამ სავსებით კანონზომიერად,

რადგან ცხოველმყოფელია, როგორც უკვე ითქვა, წმიდა ტრადიციით გაკვრივებული ტოპონიმის ანდრეზული ძალა. ტოპონიმი ინახავს წმიდა ანდრეზს, მას შეუძლია შექმნას აპოკრიფები, ადგილობრივი ლეგენდები.

პოეტ ნიკო სამადაშვილს აქვს ახალი ქართული პოეზიის ფონზე გამორჩეული, უნიკალური თავისი მსოფლგანცდით, ლექსი „ატენის სიონი“ [6], სადაც სადაგი სივრცე ევანგელური ამბების ასპარეზად არის გარდაქმნილი: აქ არის იორდანე - ტანა, რომელიც ჩაუდიოდა „ბნელ სასუფეველს“, აქ ვხედავთ მოციქულებს, რომელთაც გარდატენის კლდეზე (ანუ გეთსიმანიაში მისტიური იჯიგეობის ძალით) „ჩასძინებოდათ ალექშიმ დალიღებს“; აქ ჯერ კიდევ არ არის წაშლილი ქართლის მოქცევის დროინდელი კვალი - „ძირს წმინდა ნინოს ნაფხურები ჰგვანდნენ სისხამზე დაკრეფილ იებს“ (ძველქრისტიანული სიმბოლიკით: ნაფხურები, კვალი - ქრისტეს გზა); ატენის ხეობის არემა-რე განათებულია არაამქვეყნიური, თითქოს **თ ა ბ ო რ ი ს** შექით - „უფლის ნათელი დაბარბაცებდა...“ და როგორც მცხეთა-თბილისში, აქაც **ს ი ო ნ ი**, წმიდა ანდრეზის ძალით, ქმნის თავის გარშემო საკრალურ სივრცეს. ლექსის კულმინაციაში ვკითხულობთ:

„გიმ უკვდავება - წყარო ანკარა
აცისკროვნებდა ირმების ფერღობს...
ქრისტემ ბავშვობა აქ გაატარა
და ღეთისმშობელი უგვიდა ეზოს.“

სწორედ იმის გამო, რომ ატენის საყდარს **ს ი ო ნ ი** ეწოდება, და, როგორც ყოველი სიონი (რომლის რიცხვი ორ თათულამდე აღწევს საქართველოში), ისიც ღეთისმშობლის სახელობისაა (უფრო სწორად: მისი მიძინების), ამ სტრიქონების ავტორი, პოეტი, ტაძრის ეზოში წარმოიდგენს „სიონეველ ასულს“ (გურამიშვილის გამოთქმა), მთავარი სიონის და, კერძოდ, ატენის სიონის ჭეშმარიტ დიასახლისს. აი, რას წერს პოეტი ამ ლექსის პროზაულ ესკიზში: „...იქნებ სე-

ფისკვერთა გაზრდილმა ქრისტემ თავისი ბავშვობა სიონის ეზოში გა-
ატარა და როცა მირონცხებული ღვთისმშობელი ურწყევდა აკვანს, ფეხ-
აკრეფილი ირმები რქებდაყრილ ნისლებიდან ღვთაებრივ იავნანას უს-
მენდნენ: იქნებ . . . სიონის თაღებმორთულ ტაძარში სანაღების შეტი
იფრქვეოდა და ხანშესული მოგვები მძინარე ქრისტეს გეთსიმანიის
ხეობივით მისჩერებოდნენ^ა (ხელნაწერი დაცულია გ.ღვინიძის სახ.
ლიტერატურის მუზეუმში).

დასასრულ, მკითხველის ყურადღებას იპყრობს მოტანილი სტროფის
პირველი ორი სტრიქონი:

აღიო უკვდავება - წყარო ანკარა

აცისკროვნება ირმების ფერდობს . . .^ა

სადაც დასტურდება ტომონიქმნადობის, თუშცა პოეტურ ხილვაში გან-
ხორციელებულის, ერთი კერძო შემთხვევა. ადგილი შესამჩნევია, რომ
ამ ლექსის ფარგლებში ადგილის სახელწოდებად (მიკროტომონიქად) ნა-
გულვები „ირმების ფერდობი“ არის ანაბუჰდი ფსალმუნის სიტყვებისა
- „ღითარცა სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყაღასა“ და, ამავვე
დროს, თავად ტაძრის ჩრდილოეთ ტიშპანზე ამოკვეთილი სცენისა -
წყაროს დაწაფებული ორი ირმისა, რაც, თავის მხრივ, აშკარად ამ
ფსალმუნის ილუსტრაციაა.

პოეტის ხილვები სავსებით გამართლებული და კანონზომიერია,
რადგან სწორედ მსგავსი ხილვებისა და განწყობილებების გამოსაწ-
ვევად დაინერგა და მუდამ ინერგებოდა საკრალური ქრისტიანული ტო-
პონიმი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფოლკლორისტიკის კათედრა

Сакральная топонимия

Р е з ю м е

Исследована топонимия палестинского происхождения, которая "пересаживалась" на грузинскую почву со времен христианизации страны.

Мцхета, средоточие новой религии, уподобляется Иерусалиму – мистический факт, внешним выражением которого являлось повторение названий окрестностей Святого города и местностей, ознаменованных евангельскими событиями. Тем самым сакрализованся и как бы обновлялся языческий древний ландшафт вслед за крещением народа Мцхеты.

Позднее, в связи с перемещением столицы в Тбилиси, здесь, аналогично Мцхете, создаются евангельские топонимы вокруг Сионского храма, средоточия религиозной жизни города.

Устремленность к сакрализации местности посредством ее уподобления священному прообразу можно засвидетельствовать в жизнеописании (XIII в.) царицы Тамары, в том месте текста, где рассказывается о рождении наследника трона. Роженица уподобляется деве Марии, а место рождения царевича Георгия – Вифлеему ("... превратив Табахмелу в Вифлеем, родила там сына, равного сыну Божию"). Подобная тенденция возрождается в XX в. в религиозной лирике поэта Н.Самадшвили, который в атенском храме по названию Сиони зрит будто в мистическом видении евангельский пейзаж.

ლიტერატურა

1. თ. ბ ე რ ი ძ ე, ... და აღმოცენდა თბილისი, თბ., 1977.
2. დიდი სჯულის კანონი, თბ., "მეცნიერება", 1975.
3. კ. კ ე ვ ც ი ძ ე, ეტიუდები, IV, თბ., 1957.

4. ვ. კ. ო. ტ. ე. ტ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ხალხური პოეზია, თბ., 1961.
5. თ. ო. რ. ი. ა. უ. რ. ი., მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967.
6. ნ. ი. კ. ო. ს. ა. მ. ა. დ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი., ბეთანია, თბ., 1973.
7. უ. ხ. ტ. ა. ნ. ე. ს. ი., ისტორია განუყოფისა ქართველთა სომეხთაგან, თბ., 1975.
8. ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955.
9. ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959.
10. ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973.
11. აღ. დ. ლ. თ. ნ. ტ. ი., მცხეთის ტოპონიმია, თბ., 1975.
12. ს. ო. ლ. ყ. ა. ზ. ბ. ე. გ. ი., ყაზბეგის მთა ("ივერია", 1895, № 197).
13. Еврейская энциклопедия, т. VIII, СПб.
14. П. И. О с е л и а н и, Описание древностей города Тифлиса, Тифлис, 1866.
15. М у р а в ь е в, Грузия и Армения, I, СПб, 1848.
16. М у р а в ь е в, Грузия и Армения, III, СПб, 1848.
17. Н а т р о е в А., Мцხეთ и его собор Святи-цховели, Тифлис, 1901.

ფიქრია მაკალათია

-ა სუფიქსის მასშუბსტანტივებელ-მატაპონიმიბელი
ფუნქციისათვის ქართულში*

როგორც აღნიშნულია ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში, -ა სიტყვაწარმოებითი ელემენტი მრავალფუნქციანია: კნინობით სახე - ლებს აწარმოებს, ქონებას აღნიშნავს, მსგავსებას გამოხატავს, საგანს ახასიათებს მისი ნიშან-თვისების მიხედვით, საგანს ან მოვლენას აკონკრეტებს ([1] 24-30).

-ა სუფიქსი დასტურდება საკუთარ სახელებშიც, კერძოდ, ტაპონიმიბში. თ. ზურაბიშვილი წერს: „ტაპონიმიკურ სახელთა საწარმოებელი სხვა სუფიქსებიდან აღსანიშნავია -ა ბოლოსართიც. იგი გეოგრაფიულ სახელებში გვხვდება ძველი ქართულიდან მოკიდებული დღემდე საქართველოს ტერიტორიაზე. მაგალითები: ფარვანა, წუნდა, გულგულა, ღრტილა, ჩიხა, ბობხა, გრძელა, ყვირილა, ნამგალა, თავა, ტანა, თვალა, ტყემალა და სხვა.“

ტაპონიმიკურ სახელებში დადასტურებულ -ა-ს კნინობით ნაწილაკს უწოდებენ და რიგ სხვა სახელებში ის, მართლაც, ამ ფუნქციით იხმარება, მაგრამ გეოგრაფიული სახელების მიმართ ამის თქმა გაჭირვებულია. აქ მას ქონების, მსგავსების, თვისების მნიშვნელობა უნდა უქონდეს“ ([2] 151).

მიკროტაპონიმიბთან ა სუფიქსის ხმარების ორი შემთხვევა დასტურდება:

1. -ა სუფიქსი სტაბილური მაწარმოებელია. იგი ერთვის: ა) მარტივ ფუძეს (ბოსტან-ა, მაღალ-ა...**); ბ) წარმოქმნილ ფუძეს (ბერგ-

*წაკითხულია მოხსენებად ასუ ფილ. ფაკულტეტის XVII სამეცნიერო სესიაზე, 1974 წ.

**საილუსტრაციოდ აღებული გვაქვს რამდენიმე დიალექტური წრის ქართული ტაპონიმიბია, რაც ასუ ტაპონიმიკის ლაბორატორიის არქივში ინახება.

ოულ-ა, თხილ-იან-ა... მოკვეთ-ილ-ა, სა-სვენ-ა...), სადაც, როგორც წესი, სწორედ -ა სუფიქსი მონაწილეობს, როგორც მეორეული სიტყვაწარმოებითი ელემენტი.

2. -ა სუფიქსი ლაბილურად იხმარება მარტივ ან ნებისმიერი წარმოების მრკროტოპონიმებთან (ხევ-ილხევ-ა, ბურ-იან-ილბურ-იან-ა...).

ტოპონიმებთან -ა სუფიქსის ფუნქციის კვლევისათვის საყურადღებოა ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ა. შაპიძის მიერ გამოთქმული ვარაუდი საზოგადო სახელებთან მისი მაკონკრეტებელი ფუნქციის შესახებ. როგორც ავტორი აღნიშნავს: „დაკონკრეტების დროს ხდება აბსტრაქტული სახელის კონკრეტულ სახელად ქცევა“ ([1] 28), რაც, თავის მხრივ, უკვე საკუთარ სახელად ქცევის პერსპექტივას იძლევა. ამდენად, -ა სუფიქსისათვის მაკონკრეტებელი ფუნქცია ნიშანდობლივი ჩანს სწორედ ტოპონიმებში, სადაც საზოგადო სახელის მიერ განვლილი გზა ტოპონიმად ქცევამდე -ა სუფიქსის შემწეობით ასეა წარმოსადგენი: აბსტრაქტული სახელი (ველი...) -> კონკრეტული სახელი (ველ-ა) -> საკუთარი სახელი (ველ-ა).

ამ გზით ჩანს მიღებული ტოპონიმები, რომელთა უძველესი საზოგადო არსებითი სახელია (ხევ-ა, ბოსტან-ა...).

-ა სუფიქსის მაკონკრეტებელი ფუნქციის ძიებისას (როგორც საზოგადო სახელთა, ისე საკუთარ სახელთა, კერძოდ, ტოპონიმთა, დონზე) ანგარიშგასაწევია მისი მასუბსტანტივებელი ფუნქცია, რომელიც, შესაძლებელია, სათავეს სწორედ მისი მაკონკრეტებელი ფუნქციიდან იღებს. -ა სუფიქსის მასუბსტანტივებელი ფუნქცია ერთგვარ „რეაბილიტაციას“ მოითხოვს სხვა ფუნქციათა გვერდით. იგი საზოგადო სახელთა შემდეგ მოდულებშია ხელშესახები: მასდართან (ხილვ-ა, ცემ-ა), სადაც სწორედ ა სუფიქსია, „ზმნურ ფუძეს რომ სახელად აქცევს“ ([3] 213); გაარსებითებულ მიმღებობთან (ნაცარქექი-ა...) ([4] 184; [5] 184).

მსგავსადვე, გორულ-ა-ს ტიპის წარმომავლობის სახელებთან -ა ხმოვნის დართვა იწვევს არა რაოდენობრივ ცვლილებას - მრავლისაგან

ერთის გამოყოფის თვალსაზრისით (შდრ. 1) „ა სუფიქსის საშუალებით მოხდა მითითება გორული წარმოშობის საგანთა სიმრავლიდან ერთ, რომელიმე კონკრეტულად აღებულ საგანზე, ამ შემთხვევაში ვაზის ჯიშზე“ ([I] 28), არამედ თვისობრივ ცვლილებებსაც – ზედსართავი სახელი იტყევა არსებით სახელად, სუბსტანტივად: თუ წარმომავლობის სახელები (გორული, ძალისური, განჯური...) მიუგებს კითხვაზე „როგორი?“, მათგან –ა სუფიქსით გაფორმებული მცენარეთა ჯიშის სახელები კი (გორ-ულ-ა, ძალის-ურ-ა, განჯურ-ა...) არსებითი სახელებია და, შესაბამისად, მიუგებს კითხვაზე „რა?“ ანალოგიურად, ჩხრიალ-ა-ს ტიპის პირველად მასდარებში ა ხმოვნის საშუალებით ის სუბიექტია შემოყვანილი, რომელიც „ჩხრიალებს“. აქაც ჩხრიალ-ა-ს ზმნური ფორმისაგან განასხვავებს ა მასუბსტანტივებელი სუფიქსი; შდრ.: ჩხრიალებს (რას შერება?) -> ჩხრიალი (რა?) -> ჩხრიალ-ა (როგორი რა? ან როგორი ვინ?).

შავ-ა და ჩხრიალ-ა-ს ტიპის სახელები, თუ შეიძლება ასე ითქვას, ატრიბუტივ-სუბსტანტივებია, რომელთა ესა თუ ის ფუნქცია გარკვეულ კონკრეტულ კონტექსტში რეალიზდება; მაგ.: ჩ ხ რ ი ა ლ ა მ ი ე - დ ი ნ ე ბ ა - მიუგებს კითხვაზე: „რა“ (რ ა შ ა . როგორი რა) მიეძინება? შდრ. ჩ ხ რ ი ა ლ ა კ ა კ ა ლ ი (როგორი კაკალი?).

ზემომოყვანილ მოდელებში –ა ხმოვნის მასუბსტანტივებელი ფუნქცია (რაც, საეცებით შესაძლებელია, მაკონკრეტებელ ფუნქციას უკავშირდება) აშკარაა და ანგარიშგასაწევია როგორც საზოგადო სახელთა, ისე ტოპონიმთა კვლევისას, მიდუმეტეს, რომ ანალოგიური მოდელი (მხედველობაში გვაქვს –ა-თი გაფორმებული მიმდებარე და წარმომავლობის სახელები) დასტურდება გეოგრაფიულ სახელებად.

–ა სუფიქსის მასუბსტანტივებელ ფუნქციას ქართული ტოპონი- მური მასალის მიხედვით პირველად შეეხო ს. ჯანაშია ([6]

ა. ჩიკობავას აზრით, მეგრულ ტოპონიმიაში გამოვლენილი ონ-ა რთული სუფიქსის შემადგენელი -ა სუფიქსიც მასუბსტანტივებელი ელ-მენტია ([8] 307).••

-ა სუფიქსის მასუბსტანტივებელ-მატოპონიმებელი ფუნქცია ზელ-შესახებია სწორედ ორმაგი წარმოების ტოპონიმებთან.***

ორმაგი სუფიქსაციისას ტოპონიმთა მიერ განვლილი გზა ორ სიტყვაწარმოებით საფეხურს ვარაუდობს: პ ი რ ე ე ლ ა დ ს (თხილ-იან-ი, ნარ-ოვან-ი, სა-ჩქვეფ-ი), რომელიც ზიარია საზოგადო სახელისა და ტოპონიმისათვის, თანაბრად გასაგებია როგორც საზოგადო სახელის, ისე ტოპონიმის დონეზე და მ ე ო რ ე უ ლ ს (თხილ-იან-ა, ნარ-ოვან-ა, სა-ჩქვეფ-ა...), რომელიც მოცემულ შემთხვევაში ზემოდასახელებულ ტოპონიმთა იდენტურია სემანტიკურადაც და ფუნქციურადაც, ხოლო როგორც საზოგადო სახელი, იმავე შინაარსის გადმოსაცემად მეორეულ სიტყვაწარმოებით მოდელს არ საჭიროებს; მსგავსადევა მარტივ სახელებთანაც: როგორც ტოპონიმი, ვ ე ლ ი ს ვ ე ლ ა ერთი გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელი სახელებია, მაშინ, როცა, როგორც საზოგადო სახელები, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფორმითაც და შინაარსითაც (ველ-ა კნინობითის ფორმაა). ეს კი გვაფიქ-

• არავგის ხეობის ფშავის ტოპონიმთა კვლევისას ჩვენ ვცადეთ -ა ხმოვნის მასუბსტანტივებელი ფუნქციის გამოვლენა ტოპონიმთა რამდენიმე სტრუქტურულ-სემანტიკურ მოდელში ([7] 26-30, 36-39, 52).

••პ. ცხადია ამ მთიანი სამეგრელოს ტოპონიმიაში მრავალი მაგალითით დაადასტურა -ონ-თან წარმოდგენილი -ა სუფიქსის მასუბსტანტივებელ-მატოპონიმებელი ფუნქცია ([9] 50).

•••შდრ.: პ. ჯაჯანიძის აზრი იმერული მიკროტოპონიმის შესახებ: წყალტუბოს რაიონის ტოპონიმების მთავარი თავისებურება ისაა, რომ აქ შეტად ფართოდ არის გავრცელებული კნინობითის -ა სუფიქსიანი წარმოება, -ა როგორც დამოუკიდებელი მაწარმოებელი და -ა როგორც ყველა სუფიქსთან თანმხლები: უკანასკნელ შემთხვევაში იგი უფუნქციოა, ოღონდ უფრო ხალხურობის ელფერს ანიჭებს ტოპონიმებს ([10] 27).

რებინებს, რომ ტოპონიმურ კონტექსტში –ა ხმოვანს მატოპონიმებელი ფუნქცია აქვს, კერძოდ, იგი საზოგადოსახელისეულ ტოპონიმებს გამო-
ყოფს საზოგადო სახელთა ჯგუფიდან და აქცევს მათ კონკრეტულ საკუთარ
სახელებად. –ა სუფიქსის მატოპონიმებელი ფუნქცია განსაკუთრებით
ხელშეასახებია მისი ლაბილური ხმარებისას (თხილ-იან-ილთხილ-იან-ა...).

ამ მხრივ ნიშანდობლივია ისიც, რომ –ა სუფიქსით მხოლოდ საზოგადოსა-
ხელისეული მიკროტოპონიმები ფორმდებიან. არც ერთი შემთხვევა არ
დასტურდება, (ყოველშემთხვევაში, ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალის
მიხედვით) მისი ხმარებისა ოკონიმებთან, მითუმეტეს, უცნობ (ან
უცხო წარმომავლობის) ტოპონიმებთან (შდრ.: ამ მხრივ, მრავლობითის
სუფიქსთა უნივერსალური ხმარების ფაქტი მატოპონიმებელი ფუნქციით)
([11] 115-120).

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ –ა სუფიქსს, გარდა მა-
კონკრეტებელი ფუნქციისა, მასებსტანტიცებელ-მატოპონიმებელი ფუნქ-
ციაც ურანს გეოგრაფიულ სახელებში, რაც იმაში გამოიხატება, რომ ეს
სუფიქსი შეიძლება დაერთოს ნებისმიერი წარმოების საზოგადო სახელს,
რომელსაც ამ გზით გამოყოფს, გამიჯნავს საზოგადო სახელთა სისტემა-
საგან და აქცევს საკუთარ სახელად – ტოპონიმად.

ეს პროცესი სავსებით გასაგები ხდება, თუ გავიხსენებთ ტოპონი-
მიკურ ლიტერატურაში გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ მიკროტოპო-
ნიმები, ახლოს დგანან რა საზოგადო სახელებთან, მათგან განმასხვავ-
ებულ ფორმას ეძებენ და, შესაბამისად, მათი საბოლოო ტოპონიმიკუ-
რი გაფორმებაც მომავალშია მოსალოდნელი ([12] 47).

მიკროტოპონიმებთან ამა თუ იმ სუფიქსის მატოპონიმებელი ფუნქციით
ხმარების ფაქტი აღნიშნულია ტოპონიმიკურ ლიტერატურაში. მხედველობა-
ში გვაქვს მრავლობითის სუფიქსთა მატოპონიმებელი ფუნქციის ძიება
გერმანულ ([12] 310,322), რუსულ ([12] 96) და ქართულ ([11] 115-
120) მიკროტოპონიმიკაში. მსგავსადევე, როგორც ვ. ნიკონოვი აღნიშ-

ნაცვს რუსული ტოპონიმიის მიმართ, კინობოიობის სუფიქსებზე დაკარგეს თავიანთი ამოსავალი ფუნქცია და სანაცვლოდ მხოლოდ ტოპონიმიურობას გამოხატავენ ([12] 96).

სესუ ახალი ქართული ენის კათედრასთან
არსებული ტოპონიმიკის ლაბორატორია

П.Н.МАКАЛАТИА

О топонимизирующей функции суффикса -а -а
в грузинском языке

Р е з ю м е

Засвидетельствованы два случая употребления суффикса -ა
-ა в микротопонимах:

1) -ა -ა стабильный деривационный элемент, присоединяющийся: а) к простой основе (ბოსტან-ა ხოსტან-ა); б) к производной основе (ახილ-იან-ა tkil-ian-ა);

2) -ა -ა лабильно используется в простых, сложных и составных топонимах: (ხევ-ი ხევ-ი № ხევ-ა ხევ-ა... ბურ-იან-ი bur-ian-ი № ბურ-იან-ა bur-ian-ა... შალაროს ხევ-ი შალაროს ხევ-ი № შალაროს ხევ-ა შალაროს ხევ-ა...).

Выясняется, что суффикс -ა (помимо других функций) в географических названиях обладает функцией субстантивации-топонимизации. Заключается она в том, что этот формант может присоединиться к любому аппелятиву и превратить его в собственное имя - топоним.

Этот процесс объясняется общей тенденцией микротопонимов отличаться от нарицательных имен.

ლიტერატურა

1. ა. ბ ა ბ ი ძ ე, -ა სუფიქსის სიტყვაწარმოებითი ფუნქციები: "ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", №1, თბ., 1974.
2. ა. ზ უ რ ა ბ ა შ ე ი ლ ი, ტოპონიმიკის შესწავლისათვის: ქართველურ ენადა სტრუქტურის საკითხები, II, თბ., 1961.
3. არნ. ჩ ი კ მ ბ ა ვ ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.
4. ე. ო ს ი ძ ე, მიმღეობის წარმოება ქართულში. ასუ შრ., ტ. 67, თბ., 1957.
5. ა. მ ა ნ უ ჯ ა ლ ა ძ ე, -ა ხმოვანზე დასრულებული ზოგი სახელის ფუძის აგებულებისათვის ქართულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.
6. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, მრავლობითი რიცხვის -თა/-თ სუფიქსთა ეტიმოლოგიისათვის. შრ., ტ. III, თბ., 1959.
7. ფ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, არაგვის ხევის ფშავის ტოპონიმიკა, I, (საკანდ. დისერტ. მანქანაზე ნაბეჭდი), თბ., 1971.
8. არნ. ჩ ი კ მ ბ ა ვ ა, -ონ სუფიქსი მეგრულში. ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VI, თბ., 1926.
9. ბ. ც ხ ა ლ ა ი ა, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმიკა (საკანდ. დისერტ. მანქანაზე ნაბეჭდი), თბ., 1975.
10. ბ. ჯ ა ჯ ა ნ ი ძ ე, წყალტუბოს რაიონის ტოპონიმები (ხელნაწერი, ინახება ასუ ტოპონიმიკის ლაბორატორიაში).
11. ფ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მრავლობითის სუფიქსთა (-ებ, -ნ) ტოპონიმიკური ფუნქციისათვის, ჟურნ. მაცნე, №4, თბ., 1975.
12. В. А. Н и к о н о в, Введение в топонимику, М., 1965.

ფიქრია მაკალათია

სინონიმური ტოპონიმები ქართული წერილობითი
წყაროების მიხედვით

სინონიმურ ტოპონიმებად მივიჩნევთ ისეთ ორ ან რამდენიმე გეოგრაფიულ სახელს, რომელნიც ტოპონიმური მნიშვნელობით (ე.ი. აღსანიშნ ობიექტთან მიმართებით) ერთმანეთს ემთხვევიან მთლიანად ან ნაწილობრივ, ფორმით კი (მორფოლოგიური აგებულებით, ლექსიკური შედგენილობით ან სინტაქსური შეხამებით)* განსხვავდებიან ურთიერთისაგან.

სინონიმურ ტოპონიმებში უნდა განვასხვაოთ სინქრონიული (რომელნიც ერთმანეთის პარალელურად ასრულებენ თავის ტოპონიმურ, საამისამართო ფუნქციას, მაგ.: ევაკის (ს)ოფელი||ჭალის (ს)ოფელი, მაღარო-ულა||მაღაროსკევი, ხილიანის ქუჩა||ს.ჩიჭოვანის ქუჩა...) თუ დიაქრონიული (რომელნიც სხვადასხვა დროს აღნიშნავენ ერთსა და იმავე გეოგრაფიულ ობიექტს, მაგ.: ოზურგეთი||მახარაძე, კამბეჩოვანი||რუსთავი...) ფორმები.

ტოპონიმთა მორფოლოგიურ ვარიანტაგან სინონიმური ტოპონიმების გამოიყენის მოტივაცია:

I. სინონიმური წყვილები ერთი და იმავე გეოგრაფიული ობიექტის სახელებია (გომ-ი||გომ-ნ-ი... დაღარ-ულ-ი||დაღარ-ულ-ა...). შესაბამისად, იდენტურია მათი სამისამართო ფუნქციაც - ერთსა და იმავე გეოგრაფიულ ობიექტზე მითითება, მაშინ როდესაც იგივე ტოპონიმური წყვილი (გომ-ი||გომ-ნ-ი... დაღარ-ულ-ი||დაღარ-ულ-ა...) სხვა

* ბგერითი შედგენილობით (ფონეტიკური სახით) განსხვავებული გეოგრაფიული სახელების სინონიმურ ტოპონიმებად მიჩნევას, აღმათ, ფორმათა ტრანსფორმაციის ხარისხი შეაპირობებს. ეს საკითხი ცალკე შესწავლას მოითხოვს.

შემთხვევაში (როცა ისინი სრულიად განსხვავებული, დისტანციური გეოგრაფიული ობიექტების სახელებია) შეიძლება მორფოლოგიურ (ან სხვა სახის) ვარიანტებად მივიჩნიოთ და, შესაბამისად, განსხვავებული იქნება მათი ტოპონიმური (სამისამართო) ფუნქციაც - სრულიად განსხვავებული, სხვადასხვა გეოგრაფიული ობიექტის აღნიშვნა.

2. მორფოლოგიურ ვარიანტაგან თითოეული წევრი სრულფასოვანი, სტაბილური წარმოების ენობრივი ერთეული, საკუთარი სახელია, მაშინ, როცა ერთი ობიექტის აღმნიშვნელი სინონიმური ტოპონიმების მორფოლოგიური ფორმანტი ხშირ შემთხვევაში არასტაბილურია, მოცილებადია (გომ-ი||გომ-ნ-ი...).

მ. მორფოლოგიურ ვარიანტაგან თითოეული წევრი, როგორც საკუთარი სახელი, სრულფასოვანი და თანატოლია, რასაც ყოველთვის ვერ ვიტყვი სინონიმური ტოპონიმების ორივე წევრზე: სინონიმურ ტოპონიმთა (გომ-ი||გომ-ნ-ი... დაღარ-ულ-ი||დაღარ-ულ-ა...) წყვილის პირველი ცალი (გომ-ი, დაღარ-ულ-ი...) ჯერ ისევე საზოგადო სახელის დონეზეა გასააზრებელი, მაშინ, როცა წყვილის მეორე ცალი (გომ-ნ-ი, დაღარ-ულ-ა...) -ნ და -ა სუფიქსთა მეშვეობით უკვე გამიჯნულია საზოგადო სახელთაგან, საკუთარ სახელთა კლასშია გადასული (თუმცა ეს სუფიქსები ხშირად ლაბილურია, მოცილებადია) და სხვა.

ტოპონიმთა შესწავლა ტოპონიმური წარმოების თვალსაზრისით (სახელდების მოტივაცია, ტოპონიმთა განვითარების გზები და შესაძლებლობანი, საზოგადო სახელიდან საკუთარ სახელად ქცევის პერსპექტივა და სხვა) თავისთავად აყენებს აუცილებლობას ტოპონიმთა მორფოლოგიური ვარიანტებისაგან სინონიმური ტოპონიმების გამოყოფა-გამიჯნისა. ქართული წერილობითი წყაროები (როგორც ლიტერატურული, ისე საისტორიო) საინტერესო და მრავალსახე სურათს იძლევიან, ერთ

მხრივ, ტოპონიმთა ეტიმოლოგიისათვის*, მეორე მხრივ, ტოპონიმთა ტრანსფორმაციის (ფორმაციის) დასადგენად დიაქრონიულ შრილში ან სინონიმური (თუ სხვა სახის) ტოპონიმების შესასწავლად როგორც სინქრონიული, ისე დიაქრონიული თვალსაზრისით.

ამჯერად ჩვენ გვიანტერესებს მხოლოდ ერთი რომელიმე ძეგლის ფარგლებში დადასტურებული სინქრონიული სინონიმური ტოპონიმები, რაც ხელნაწერთა სხვადასხვა რედაქციების შედარებისას ვლინდება.**

ერთი ძეგლის სხვადასხვა ხელნაწერის მიხედვით გამოვლენილი სინონიმური ტოპონიმები, ერთი მხრივ, ნათელ სურათს გვაწვდის ტოპონიმთა წარმოქმნა-ფორმაციის გასათვალისწინებლად.

ჩვენს ხელთ არსებული საანალიზო მასალის მიხედვით გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:

I. ლექსიკური სინონიმური ტოპონიმები

გუდარეხი - ღვთიშობლისმონასტერი (მას. I), მცხეთა - სვეტიცხოველი (მას. I), საქართველო - ქართლი, ქართლი - კახეთი (მას. I), ქალაქი - ქართლი (აგ. I, 95, 9), ჩრდილოა - მთიულეთი (აგ. I, 121, 25).

აღსანიშნ ობიექტთან (ორიენტირთან) მიმართების თვალსაზრისით ლექსიკური სინონიმური ტოპონიმები ორ ქვეჯგუფად შეიძლება დავყოთ: აბსოლუტური სინონიმური ტოპონიმები (რომელნიც მეტ-ნაკლები სიზუსტით აღნიშნავენ ერთსა და იმავე გეოგრაფიულ ობიექტს. მაგ., ისტორიული ქართლი - საქართველო) და მიმართებითი (ნაწილობრივი) სინონიმური ტოპონიმები (რომელნიც რამდენადმე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც დიდი გეოგრაფიული ობიექტისა და მისი ნაწილის

* ზოგჯერ ტოპონიმთა განმარტების ცდა ძეგლში პირდაპირ არის მოცემული. ამის ნიმუშად ვასახელებთ ტოპონიმ გარეჯა||გარესჯა-ს: „ხოლო ესე წმიდაა მამაა ჩუენი დავით წარვიდა ადგილთა უდაბნოთა და ურწყულთა სჯად თავისა თვისისა, რათაა წუთ ერთითა ჭირითა მოიძოოს საუკუნოა იგი და წარუვალი შეებაა და განსუენებაა, ამისთჳსცა აღირჩია აქა სჯა გარესჯან უდაბნოთა შინა, ამისთჳს ეწოდების უდაბნოსა მას გარესჯა“ ([1] 229).

**საანალიზო მასალა მოხმობილი გვაქვს ძეგლებიდან: [1], [2].

(მცხეთა-სვეტიცხოველი...), ან ზოგადისა და კონკრეტულის (ჩრდილო-მთიულეთი...) აღმნიშვნელი გეოგრაფიული სახელები ?

2. მორფოლოგიური სინონიმური ტოპონიმები

ტოპონიმთა წარმოების გზების გასათვალისწინებლად მეტად საინტერესო სურათს ქმნის მორფოლოგიური სინონიმური ტოპონიმები, რომელთაც ერთმანეთისაგან განასხვავებს სიტყვაწარმოებითი მოდელი: ფორმანტთა დართვა-დაურთველობა, ფორმანტთა მონაცვლეობა და ფორმანტებში ხმოვან-თანხმოვანთა მონაცვლეობა.

ა) ფორმანტთა დართვა-დაურთველობა

ერთი გეოგრაფიული ობიექტის აღსანიშნავად ერთმანეთის პარალელურად დასტურდება სინონიმური ტოპონიმები, რომელთაგან ერთ-ერთ წყვილის ცალს დაერთვის შემდეგი დაბოლოებანი: -ის, -ეთ, -ნ, -ა. ეს სქემატურად ასე გამოიხატება: XII X + -ის*? აწუფი - აწუფისი (მას. I); ბოდი - ბოდისი (აგ. I, 99, 35; IOI, I9; I50, 38); ლარგი-ლარგვისი, ლარგუისი (მას. I); ქუთათი - ქუთათისი; ქუთაისი (მას. I)*? XII X + -ეთ: განძაკი - განძაკეთი - განძაკითი (აგ. I, 3I, 25), გარგალი (||გარგარი) - გარგარეთი (მას. I); კაბერი - კაბერთი (მას. I).

მსგავსი წარმოების სინონიმური წყვილები ტიპურია მხარეთა აღმნიშვნელ სახელებში: აღმოსავალი - აღმოსავლეთი (აგ. I, II7, 29; I37, 3...), დასავალი - დასავლეთი (აგ. I, I2I, I3), ჩრდილო- ჩრდილოეთი (აგ. I, 58, 24).

-ეთ, -ის სუფიქსები ზემომოყვანილ მაგალითებში ლაბილურია, მო-

* ლექსიკურ სინონიმურ ტოპონიმებად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე ი.წ. კალკირებული ფორმები გეოგრაფიული სახელებისა. მაგ.: ვარციხე ||როლოპლისი, ყვირილა||ზოასი და სხვა.

•• X-ით აღვნიშნავთ ისეთ გეოგრაფიულ სახელს, რომელიც დამოუკიდებლადვე არსებობს და ამავე დროს სინონიმური ტოპონიმების წყვილის ცალში საწარმოებელ ფუძედაც გამოიყენება.

••• ზღრ.: უბე (აგ. I, 268, 34) უბისი

ცილებადია, რაც საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ შესაძლებლობა გვეძლევა ამ სუფიქსთა ტოპოფორმანტად ქცევის გზის ფიქსირებისა - ისინი ჯერ საბოლოოდ არ მიჯაჭვიან ფუძეს, არ ქცეულან სტაბილურ მაწარმოებლებად. თუმცა, რა თქმა უნდა, იგივე ფორმანტები სხვა ტოპონიმში მყარ მაწარმოებლებად შეიძლება დადასტურდეს.

-ეთ, -ის ფორმანტთა დინამიურობა, მეორე მხრივ, თვით მათი მორფოლოგიური სემანტიკის იმდროინდელ გამჭვირვალებაზე მეტყველებს (რაც სადღეისოდ -ეთ სუფიქსის მიმართ ძნელი სათქმელია), თანაც კიდევ ერთი დასტურია მათი გათანაბრებისა იდენტურ ენობრივ ასპექტში.* ეს კი რამდენადმე რეალურს ხდის საკითხს ამ დაბოლოებათა არა მხოლოდ ფუნქციური, არამედ, სავარაუდოა, ორგანული (უფრო სწორად, მორფოლოგიურ-სემანტიკური) იგივეობისა, რასაც დეტალურად სხვა ნაშრომში ვეხებით.** აქ კი მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ -ეთ, -ით დაბოლოებანი (ის-ის მსგავსად) ბრუნვის ნიშნისეულ ოდენობად მიგვაჩნია.

სინონიმურ ტოპონიმებთან დასტურდება -ნ და -ა სუფიქსთა ლაბილური ხმარება. X || X + ნ: გომი - გომნი (მას. I), კალური - კალურნი (მას. I), მეტეხი - მეტეხნი (მას. I), პირაქეთსაგარეჯო - პირაქეთსაგარეჯონი (მას. I), ქვაბი - ქვაბნი (მას. I), ჩეკური - ჩეკურნი (მას. I); X || X + ა: დადარული - დადარულა (მას. I), დიდგორი - დიდგორა (მას. I), სახუნდარი - სახუნდარა (მას. I), ქორდი ქორდა (მას. I), ცხოვრეთი - ცხოვრეთა (მას. I), ძვეერი - ძვეერა

* ცნობილია მათი ერთ სიბრტყეზე დაყენება სხვა შემთხვევაშიც, კერძოდ: წარმომავლობის სახელთა წარმოებისას ძველ ქართულსა და ზოგ დიალექტში ტოპონიმისეული -ის და -ეთ სუფიქსი არ გადაყვება. სახელის ფუძეს მაგ.: ობილ-ის-ი -> ობილ-ელ-ი, კახეთ-ი -> კახელ-ი ([3] 169-182). მსგავსი ვითარებაა -ით დაბოლოებიან ტოპონიმებში (ბრეივი->ბრეველი... ([4] 141) შევნიშნავთ, რომ ეს ფაქტი, თავის მხრივ, ადასტურებს ტოპონიმებში -ეთ, -ის სუფიქსთა ლაბილურ ბუნებას.

** ფ. მ. ა. კ. ა. ლ. ა. თ. ი. ა., -ეთ სუფიქსის გენეზისისათვის (ხელნაწ., ინახება ტოპონიმისეული ლაბორატორიაში. ვაკეთხულია მოხსენიებად ტოპონიმისეული ლაბორატორიის საჯარო სხდომაზე 1975 წ.).

(მას. I), წყალშატროანი - წყალშატროანი (მას. I).

სხვა შემთხვევაში როგორც -ნ, ისევე -ა სუფიქსის ფუნქცია, ჩვეულებრივ, ნათელია. ზემოდასახელებულ შემთხვევაში კი (როცა ერთი ობიექტის აღსანიშნავად ორი ტოპონიმური ფორმა-სუფიქსიც და აფიქსიანი-თანაბარუფლებიანია), მიკროტოპონიმის მსგავსად ([5] 115-120), ამ სუფიქსთა მატოპონიმებელი ფუნქციაა სავარაუდო.

-ნ და -ა სუფიქსთა ლაბილური ხმარება სინონიმურ ტოპონიმებში მხოლოდ მე-10 ს-დან მოყოლილებულ ძეგლებში უნდა ჩანდეს, ყოველ შემთხვევაში, ადრეულ ძეგლებში (კერძოდ, ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში) არ დასტურდება. ეს ფაქტი კი შემდეგი თვალსაზრისით არის საინტერესო: როგორც მიიჩნევენ, ადამიანთა გვარების სადღეისოდ არსებული გაფორმება (-ძე, -შვილი, -ურ, -ულ...) შედარებით გვიანდელია და სწორედ მე-10 ს-დან მომდინარე პროცესი უნდა იყოს. ტოპონიმებში -ნ და -ა სუფიქსთა მატოპონიმებელი ფუნქციით ხმარება (განსაკუთრებით საზოგადო სახელის ფუძესთან) ამ საერთო ონომასტიკური პროცესის ერთგვარი ადეკვატური ასახვა ჩანს.

ბ) ფორმანტა ვარიანტული მონაცვლეობა

სინონიმური ტოპონიმები ერთმანეთს უპირისპირდებიან დაბოლოება-ფორმანტის თანხმონითი ან ხმონითი ელემენტის მონაცვლეობით. მსგავს სიტუაციაში ხშირად ძნელი განსასაზღვრია (ჩვენთვის, ყოველ შემთხვევაში), საკმე გვაქვს ფუნქციურ, ორგანულ-მორფოლოგიურ თუ ფონეტიკურ მონაცვლეობასთან. ერასა და იმავე ტოპონიმში მონაცვლეობენ შემდეგი დაბოლოებანი: -ათ -ეთ; ჰერეთი - ჰერათი (აგ. I, 22, 13-14).

-ეთ -ით; განძაკეთი - განძაკითი (აგ. I, 31, 25), კვარხეთი - კვარხითი (მას. I), სამხრეთი - სამხრითი (აგ. I, 91, 8-9), სომხეთი - სომხითი (მას. I).

სომხეთ-სომხით-ის მაგალითს ([4] 141) თუ კახეთ-კუხეთ ტოპონიმთა შინაარსობრივ-სემანტიკურ დიფერენციაციასაც დავუმატებთ [6],

შეიძლება ტოპონიმიკური აბლაუტის საკითხის დაყენება-შესწავლა.

-იჲ : -ის ; დასაველითნი - დასაველისნი (აგ. I, 150, 19).

-იჲჲ - იჲ ფორმანტა ურდიერათობისა და კვალიფიკაციისათვის საინტერესო ინფორმაციის მატარებელია -იჲჲ : -ის ფორმანტა მონაცვლეობის ფაქტი: „ხველისადღე მოვიდეს დასაველითნი იგო...“ შდრ.: „და ხველისა დღესა მოვიდეს დასაველისნი ისინი“ (აგ. I, 150, 19).

ქართულ საენაომეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია ტოპონიმებში -იჲჲ, -იჲ სუფიქსთა მონაცვლეობა ([7] 361[4] 140-141). თუ გავიხსენებთ იმასაც, რამ -იჲ დაბოლოებიანი ტოპონიმებისაგან წარმომავლობის სახელდა წარმოება -იჲ დაბოლოებიან ტოპონიმთაგან წარმოების იდენტურია ([4] 141), შეიძლება გვეცადა -იჲ თანხმონის შემცველ დაბოლოებათა ვარიაციული მოდელის დაშვება: (ა, ი, ი) + (თ) -> -ათ, -იჲ, -იჲ.

მსგავსად, ე თანხმონის შემცველი ხმოვნით განსხვავებული დაბოლოებიანი (-აჲ, -ეჲ, -იჲ) დასტურდება სინონიმურ ტოპონიმებში: ამღღვი-ამღღვი-ამღღვი** (მას, I).

სინონიმურ ტოპონიმებში დასტურდება თანხმონიდი ელემენტების მონაცვლეობა: -იჲ : -იჲ***: ერედი-ერედი (მას, I), მცხეთა-მცხეთა**** (აგ., 45, 4), შდრ.: ტბედი-ტბედი).*****

აკად. არნ. ჩიქობავას აზრით, ეი-იჲ ნაცვალსახელებში გამყოფილი -იჲ სუფიქსი -იჲ-ის დაყრუებული სახეობაა. შესაბამისად, გეოგრა-


* დასაველითნი (მას, I) - შდრ.: დასაველითნი.
** V + ე დაბოლოებისათვის იხ.: მთელი - მთელი (აგ. I), სადაც ე და ი ხმოვნები -იჲ, -იჲ ფორმანტიკული ჩანს. ამ ჩივის შევსება შეიძლება ფაქტი - ფიცი სინონიმური წყვილია.
*** აკად. ს. ჯანაშიას მიერ დასახელებული ვარიანტები: ტყარშეთი II ტყარშეთი, დანშეთი II დანშეთი ([8] 142-155) (შდრ.: ფანასკეთი II ფანასკეთი [9]) აღბადა ვარაუდობს ტყარშეთ შუაღველი ფორმასაც.
**** ამ ტოპონიმში -იჲ-ის გამოყოფას რამდენადმე ხელს უშლის წარმომავლობის სახელდა წარმოება: მცხეთა-იჲ-ი, და არა მცხ-იჲ-ი (შდრ. კახეთი -> კახელი-ი და სხვა).
***** მასალა მოგვაწოდა ბ. ჯორბენაძემ.

ფიჯ სახელთა მწარმოებელი -თ სუფიქსი -ედ მქონებლობის მწარმოებელი სუფიქსის ყრუ ვარიანტად არის მიჩნეული.


• მოკაძაღები შეენიშნავთ, რომ, რადგან ძველ ქართულში თითქმის არ ჩანს სიტყვის ბოლო პოზიციაში თანხმევიანთა დაყრუება (რაც ჩვეულებრივია მხოლოდ შუა პოზიციაში, მაგ., კრეტასამელი), ხომ არ უნდა ჩავთვალოთ -თ, -ედ სუფიქსები დამოუკიდებელ მორფოლოგიურ ლენობებად. ამას გვფიქრობინებს შემდეგი ფაქტები: -ად სიტყვაწარმოებითი ელემენტი (რამელიც, თავის მხრივ, წარმოშობით ცით. ბრუნვის ნიშანია), ინგილოურში -ედ-ის სახით დასტურდება: „ბრტაული -ედ სუფიქსი დაცულია. შემდეგ სიტყვებში: გულ-ედ-ი „გაბედული, უშიშარი“, ზიმ-ედ-ი „არსული“ ([10] 99).

-ედ სუფიქსი ვარიანტი და შესატყვისი ჩანს -ად სიტყვაწარმოებითი ელემენტისა. დასაშვებად გვეჩვენება მქონებლობის არქაული -ედ სუფიქსის ბრუნვისნიშნისეულობაც.

დასასრულ, წარმოვადგინოთ მორფოლოგიურ სინონიმურ ტომონიმებში მონაცვლე დაბოლოებათა სქემას, რაც ერთგვარად დაგვეხმარება მათი ისტორიის გათვალისწინებასა თუ სისტემურ კვლევაში:



სუფიქსთა ისტორიისა თუ ფუნქციის კვლევისათვის გარკვეულ ინტერესს იწვევს სინონიმურ ტომონიმთა დაბოლოებებში ხმოვანთა მონაცვლეობა (რაც, სავარაუდოა, სისტემატურ ხასიათს ატარებს):



* -ად დაბოლოებისათვის შდრ. თ გ ა ლ-ად-ი ო გ ა ლ-ივ-ი ტომონიმთა დამიჩნისპირება წერილობითი წყაროების მიხედვით.

Синонимичные топонимы в грузинских письменных памятниках

Р е з ю м е

Синонимичными являются два или несколько географических названий, которые полностью или частично обозначают один и тот же объект, но отличаются друг от друга по форме (грамматически либо лексически).

В результате сравнения различных рукописей оригинальной литературы выявлены следующие группы топонимов:

а. Лексические синонимы (გუდარეხი gudarexi - ღვთის-შობლის მონასტერი vntišoblis monasteri, მცხეთა mcheta - სვეტიცხოველი sveṭiṣxoveli...)

ბ. Морфологические синонимы, варианты окончания которых представлены по следующей схеме (x обозначает географическое название, которое для его же синонимичного варианта является производной основой):

X//X+ $\left\{ \begin{array}{l} -ის -is(აწუგი aṣupi // აწუგისი aṣupisi...) \\ -ეთ(განჯაკი ganjaki // განჯაკეთი ganjaket...) \\ -ბ -n(მეტეხი meṭexi // მეტეხნი meṭexni...) \\ -ა -a(ცხოვრეთი ṣxovreti / ცხოვრება ṣxoveta...) \end{array} \right.$

Для исследования истории и функции суффиксов определенный интерес вызывает чередование гласных (которое, по видимому, имеет системный характер) в окончаниях синонимичных топонимов:

X//X+ $\left\{ \begin{array}{l} -ავ -av, -ევ -ev, -ივ -iv \\ -ათ -at, -ეთ -et, -ით -it \\ * \\ -ად -ad, -ედ -ed \end{array} \right.$

ლიტერატურა, წყაროები

1. აგ. I - ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდისა მამისა ჩუენისა დავით გარეჯელისაჲ; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1964.
2. მას. I - მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I, გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ, თბ., 1964.
3. А. О н и а н и, Э. С а р д ж в е л а д з е, Против извращения вопросов грузинской топонимики, „მაცნე“, №3, 1971.
4. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953.
5. ფ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მრავლობითის -ებ, -ნ სუფიქსთა მატონიმიკური ფუნქცია, „მაცნე“, №4, 1975.
6. დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ე ლ ი, უჯარმა, თბ., 1966.
7. Н. Я. М а р р, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925.
8. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, მრავლობითი რიცხვის -თა/-თ სუფიქსთა ეტიმოლოგიისათვის, შრ., ტ. III, თბ., 1959.
9. ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1953.
10. ნ. რ თ ს ტ ი ა შ ე ლ ი, სიტყვაწარმოება ინგილოურში. მაცნე, I, თბ., 1972.

ცახტანგ მალრაძე

რეგიონული ტოპონიმის წარმოების საკითხები
(კასპის რაიონის მასალაზე)

კასპის რაიონის ტოპონიმთა წარმოება ზოგადად იდენტურია მთლიანად ქართლის და მიმდებარე რეგიონისათვის დამახასიათებელი ტოპონიმიკური წარმოებისა. იგი მეტნაკლებად იყენებს თითქმის ყველა მაწარმოებელს. ა. შანიძე შენიშნავს, რომ ტოპონიმებში ყოველგვარი მაწარმოებელი შეიძლება იქნეს გამოყენებული. „ზედმიწვენილობა რომ დავიცვათ, უნდა ვთქვათ: ყოველგვარი წარმოების საზოგადო სახელი შეიძლება მიეკუთვნოს რომელსამე დასახლებულ პუნქტს ან ფიზიკურ-გეოგრაფიულ ობიექტს და იქცეს საკუთრად“ ([1] 139).

მაგრამ მაწარმოებელთა სიუხვე და მრავალფეროვნება ნებისმიერობას როდი გულისხმობს. როგორც ტოპონიმიკურ ლიტერატურაშია აღნიშნული, ტოპონიმები მრავალი საუკუნის განმავლობაში უმეტესწილად სტიქიურად წარმოიქმნებოდა. განსაზღვრულ პერიოდში მთელს ტერიტორიაზე მოსახლეობის განსაზღვრული ერთობის პირობებში ლექსიკური მარაგის მხოლოდ უმნიშვნელო, მკაცრად შეზღუდული ნაწილი შეიძლება მოხმარდეს ტოპონიმთა წარმოებას ([2] 22-23). ეს იმას ნიშნავს, რომ ტოპონიმთა საწარმოებლად გამოყენებული ფორმანტების პროდუქტიულობაც და ფუნქციონირების შეხამების უნარიც მკაცრად განსაზღვრულია. კერძოდ, გახსხვავებულია, ერთი მხრივ, სხვადასხვა რეგიონში ერთი და იმავე მაწარმოებლის შეფარდებითი გავრცელებულობა, ხოლო მეორე მხრივ, ერთსა და იმავე რეგიონში სხვადასხვა მაწარმოებლის შეფარდებითი სიხშირე.

კასპის რაიონის ტოპონიმიაში, ისევე როგორც საერთოდ ქართულ გეოგრაფიულ სახელებში, საძი ტიპის წარმოება გაშლიყოფა: პრეფიქ-

სული, სუფიქსური და პრეფიქს-სუფიქსური. „სახელთა წარმოების ძა-
 ლა მარტოოდენ პრეფიქსს ზმნათა ფუძეებიდან შესწევს“ ([3] 54).
 გოგრაფიულ სახელთა ოდენპრეფიქსული წარმოება შედარებით იშვია-
 თია ([4] 140). „ყველაზე ნაკლებად გვხვდება პრეფიქსული წარმოე-
 ბის ადგილთა სახელები. პრეფიქსებისაგან, რომლებიც ტოპონიმურ სა-
 ხელებს აწარმოებს, აჭარაში გვხვდებიან მხოლოდ „ნა“ და „სა“-ს“
 ([5] 36) იგივე ნ ა- და ს ა- გვხვდება ერწო-თანეთის ტოპონი-
 მიაში, მაგრამ მათი „საწარმოქმნო ძალა საკმაოდ შეზღუდულია“ ([6]
 30).

გამონაკლისს ამ მხრივ არც კასპის რაიონის ტოპონიმია წარმოად-
 გენს. შესწავლილ რეგიონში ამგვარი წარმოების მხოლოდ რამდენიმე
 შემთხვევაა: ს ა-ცური, ს ა-ყარი; ნ ა-კაფველები, ნ ა-ტებები
 (ნონიანთ ნ ა-ტები, შუილას ნ ა-ტები, შაშკიკანთ ნ ა-ტები...).

სამაგიეროდ, უხვადაა წარმოდგენილი სუფიქსური და პრეფიქს-სუ-
 ფიქსური წარმოება. კერძოდ, მაწარმოებელთა შორის გვხვდება:

ა.სუფიქსები

-ა: ფიცარ-ა, ფერდ-ა, გრძელ-ა...

-ობ: ჭყანტ-ობ-ი, ფერდ-ობ-ი, წითლ-ობ-ი...

-ობა: კავთ-ობ ბ ა, ღვთიშობლ-ობ ბ ა, კვირაცხოვლ-ობ ბ ა...

-ურ||ულ: ღაცრ-ულ ღ-ი, რუსხმ-ულ ღ-ი, ბარდ-ულ ღ-ი... ნადირა-
 უ ღ-ი, უსტარა-ულ ღ-ი... (გვხვდება როგორც თანხმოვანფუძიან, ისე
 ხმოვანფუძიან სახელებთან).

-ურა||ულა: ღებ-ურ რ ა, ცხირ-ულ ღ ა, ორჭოშნ-ულ ღ ა...

-ეთ: გუდალ-ეთ თ-ი, ჩაჩუბ-ეთ თ-ი, ქვემო ჩოჩ-ეთ თ-ი...

-ათ: შუბ-ათ თ-ი.

-ოთ: გოგ-ოთ თ-ი.

-უთ: გიგ-უთ თ-ი

-ოვან: ტყემლ-ო.ვ ა ნ-ი

-ის(ა): ფაცნ-ის ს-ი, ბოტ-ის ს-ი, ღომ-ის ს ა...

-ნ: რკონ-ი

-ნარ: ფიჭვენ ა რ-ი, ნაძვენ ა რ-ი, ძეძვენ ა რ-ი.

-იან: რცხილ-ი ა ნ-ი, პანტი-ი ა ნ-ი, მუხ-ი ა ნ-ი...

-იულ: თუთას-ი უ ლ-ი, ბაკლიას-ი უ ლ-ი, ხვინჯიას-ი უ ლ-ი

-იან-თ-იულ: ჯავახ-ი ა ნ-თ-ი უ ლ-ი, ღვინ-ი ა ნ-თ-ი უ ლ-ი,

ბატონ-ი ა ნ-თ-ი უ ლ-ი...

-ან-თ-იულ: ღვინა-ა ნ-თ-ი უ ლ-ი, კუტუნა-ა ნ-თ-ი უ ლ-ი,

ჭიჭყინა-ა ნ-თ-ი უ ლ-ი...

ბ. პრეფიქს-სუფიქსები

ნა- --- -ევ: ნ ა-მცხვრ-ე ვ-ი, ნ ა-ზცო-ე ვ-ი, ნ ა-ღარ-
ბაზ-ე ვ-ის წყალი...

ნა- --- -ებ: ნ ა-ფლუზაურ-ე ბ-ი, ნ ა-ხნავე-ე ბ-ი, ნ ა-
ტებ-ე ბ-ი...

ნა- --- -(ი)ვ-არ: ნ ა-ფუძ-ვ-ა რ-ი, ნ ა-კალო-ვ-ა რ-ი,
ნ ა-ტყე-ვ-ა რ-ი.

ნა- --- არ||ნა- --- -აღ: ნ ა-იონჯ-ა რ-ი, ნ ა-კოშკ-ა რ-ი,
ნ ა-თათრ-ა ლ-ის მიწები...

ნა- --- -არ||ნა- --- -აღა: ნ ა-ხაფანგ-ა რ ა, ნ ა-ცხვარ-
ა ლ ა.

ნა- --- -ურ: ნ ა-ბაგ-ურ რ-ის წყალი.

ნა- --- -ეურა: ნ ა-ტბ-ე უ რ ა.

სა- --- -ე: ს ა-ვეღ-ე კალო, სიხანთეული ს ა-აგურ-ე,
ს ა-ქათმ-ე...

სა- --- -ო: ს ა-მტრედ-ო- ს ა-ქარსიძ-ო, ს ა-ქუნქულ-ო...

სა- --- -არ(ა): ს ა-გუბ-ა რ-ი, ს ა-ფუზ-ა რ ა.

სა- --- -ურ: ს ა-თბ-ურ რ-ი.

სა- --- -ეთ: ს ა-სირ-ე თ-ი

±ებ სუფიქსი ხშირად გამოიყენება როგორც მარტივ (ქარგლ-ები,

ფილაქნ-ე ბ-ი), ისე რაულ (დიდი ყან-ე ბ-ი, დიდვაკე-ე ბ-ი) და ნაწარმოებ ფუძეებთან: თეთრობ-ე ბ-ი, ფერდობ-ე ბ-ი, ნასერალ-ე ბ-ი, საყადრე-ე ბ-ი....

გ. მეტყველების ნაწილები

გარდა აფიქსებისა, ტოპონიმთა საწარმოებლად ხშირად გამოიყენება აგრეთვე მეტყველების ნაწილებიც.

1. არსებითი სახელები

ა) ბოლო: ხევი-ბ ო ლ ო ივლიტეს-ბ ო ლ ო, ცეხახების-ბ ო ლ ო...

ბ) თავი: ჩადრის-თ ა ვ ი, კედის-თ ა ვ ი, კოტაკლის-თ ა ვ ი...

2. ზმნიზედა (თანდებულის ფუნქციით)

ა) უკახ: წვერს-უ კ ა ნ, გარაჯს-უ კ ა ნ, სოფლის-უ კ ა ნ ნაკვეთები....

ბ) წინ(ა): სოფლის-წ ი ნ შიწები, წისკვილის-წ ი ნ, კანტორის-წ ი ნ ა ბალი.

3. თანდებულები

ა) -თან: წყაროს-თ ა ნ, მუხას-თ ა ნ, კიბილასეულ ფშან-თ ა ნ ...

ბ) -ზე: ტორტლისპირ-ზე ე, რუჰანჭურა-ზე ე, არბ-ზე ე...

გ) -კენ: კოდისწყაროს-კ ე ნ ბოსტანი, პაიჭაანთ ვენახებისა-კ ე ნ.

დ) -შუა: მტკერის-შ უ ა, ხევთა-შ უ ა.

საანალიზო რეგიონში ყველაზე პროდუქტიული აფიქსებია: -ა, -ებ ს ა-----ო, ს ა-----ე.

ყურადღებას იქცევს ზოგიერთი რეგიონული ხასიათის თავისებურება.

1) -ა სუფიქსი

გეოგრაფიულ სახელებში -ა სუფიქსის დანიშნულების შესახებ გამოთქმულია რამდენიმე მოსაზრება.

ს. ჯანაშია -ა სუფიქსს ტოპონიმების მასუბსტანტივებელ ხმოვნად აღვიდა ([7] 218):

ფ. მაკალათიას აზრით, -ა სუფიქსი გეოგრაფიულ სახელებში ზედ-სართავ სახელთა გაარსებითების გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს. მაგ. მოკვეთილი მამული---> მოკვეთილა მამული---> მოკვეთილა ([8] 34).

მართლაც, რომ შევადაროთ -ა სუფიქსიანი და უსუფიქსო წყვილი - ნიგოზ-ა - ნიგოზი, გორაკ-ა - გორაკი, ჩრდილ-ა - ჩრდილი, ხევის-პირ-ა - ხევისპირი - ცხადი გახდება, რომ პირველი მხოლოდ გეოგრაფიული სახელია, ხოლო წყვილის მეორე ცალკე შეიძლება ფუნქციონირებდეს როგორც საზოგადო, ისე საკუთარ სახელებად.

-ა სუფიქსი დაერთვის მარტივფუძიან, ნაწარმოებ და თხზულ სახელებს. მაგალითად: მარტივფუძიანი: უნაგირ-ა, ჩრდილ-ა, ქედ-ა, ფერდ-ა; ხრიაკ-ა, გრძელ-ა... ნაწარმოები: ჩაკირულ-ა, ნაფუზარ-ა, ფიცრულ-ა, ნატბურ-ა, ნოსტურ-ა... თხზული: ქვახიდ-ა, შავწყალ-ა, კორმინფერდ-ა, ზედაველ-ა, ხეცხმელ-ა...

სანიტერესია, რომ -ა სუფიქსით გაფორმებული ტოპონიმის გვერდით ცხედრბით გაუფორმებელ ფუძესაც: ქედ-ა (ს. სამთავისი) - ქედი (ს. დოესი, წინარეხი); შავწყალ-ა (ს. ქვ. ჩოჩეთი) - დამპალწყალი (ს. ჩობალაური)...

ძარღველური ფორმების მატარებელი ობიექტები ერთმანეთს დაშორებულ სოფლებშია დადასტურებული.

2) -ებ სუფიქსი

თ. ზურაბიშვილის დაკვირვებით, -ებ-იანი მრავლობითის ფორმები თავს იჩენს შედარებით გვიანდელი ხანის ტოპონიმებში. ძველ ქართულს კი საერთოდ თითქმის არ ახასიათებს ამ სახის წარმოება ([4] I 44).

აჭარის ტოპონიმიში დადასტურებული -ებ სუფიქსი ი. სიხარულიძეს შედარებით ახალწარმოქმნილად მიაჩნია. ამჟამად იგი ამ რეგიონის ტოპონიმიში ფართოდ გავრცელებული სუფიქსია ([5] 22).

ფე მკალათიას აზრით, -ებ სუფიქსი საშუალებას იძლევა გაი-
მიჯნოს მკალა- და მკალატობნიშები. ამასთანავე, იცვეთება საზო-
გადო სახელისეული ტობონიშების ტობონიშკურ მოდლებთან გათანაბ-
რების ტენდენციაც ([9] 120)4

როგორც ა. შანიძე შენიშნავს, „ზოგიერთი სახელი მრავლობის
ფორმით არის წარმოდგენილი, მაგრამ მრავლობის ფუნქცია აღარ
აქვს... განსაკუთრებით ხშირია ასეთი ფორმები გეოგრაფიულ სახე-
ლებში“... ([I] 80). ამასვე ადასტურებს კასპის რაიონის ტობონი-
შიური მაგალითებიც: ზედაჯერ-ე ბ-ი, კოშკიტან-ე ბ-ი, თეთრობ-
ე ბ-ი, კოდე-ეებ-ი, შურდულე-ე ბ-ი...4

-ე ბ სუფიქსით ტობონიშების წარმოებისას გარკვეული თავისე-
ბურება იჩენს თავს. კერძოდ, -ე ბ სუფიქსდართული - როგორც თან-
ხმოვან, ისე ხმოვანფუძიანი ტობონიშები - საზოგადო სახელთა წარ-
მოებას მისდევს (ბადე-ე ბ-ი, ბოსტნ-ე ბ-ი, ვენახ-ე ბ-ი, ზერ- ე ბ-ი
თეთრობ-ე ბ-ი... მლაშე-ე ბ-ი, ღუბე-ე ბ-ი, პავლიანთ ტყე-ე ბ-ი,
გაჩიანთ ციხე-ე ბ-ი ...).

ერთი შეხედვით, ამ უკანასკნელის მსგავს მიდღეს გვიჩვენებს ა
სუფიქსით ნაწარმოები ტობონიშები. მაგალითად: გრძელ-ე-ე ბ-ი,
ბორტ-ე-ე ბ-ი, თხერ-ე-ე ბ-ი, ვარცლ-ე-ე ბ-ი, შავწყალ-ე-ე ბ-ი,
მაგრამ ეს სახელები თავდაპირველად -ა სუფიქსით უნდა ყოფილიყო
გაფორმებული, შემდეგ, -ე ბ სუფიქსის დართვის შედეგად, -აე გა-
დაიზარდა -ეე კომპლექსში.

ეს ფონეტიკური მოვლენა სპეციალური ლიტერატურიდან კარგადაა
ცნობილი.

აღნიშნული ფონეტიკური პროცესი ტობონიშიაშიც ადვილი ადასადგე-
ნია. ამასთან, ამოსავალი მხოლობითი რიცხვის ფორმები ყველა შემ-
თხვევაში ამავე რეგიონშია დადასტურებული: მაგ.: გრძელ-ა, ბორტ-ა,
თხერ-ა-ს ხევი, ვარცლ-ა მიწა, ვარცლ-ა ხევი, შავწყალ-ა...4

თუკი -ა ფუძისეულია (მარტივ სახელებში ან კომპოზიტებში), მა-

შინ იგი, ჩვეულებრივ, იკვეცება - ე ბ სუფიქსის დართვის შედეგად (ჭალ-ე ბ-ი, ბაგ-ე ბ-ი, აგურხან-ე ბ-ი, ძველი თელ-ე ბ-ი, დიდი ყან-ე ბ-ი...).

ამ ქვეჯგუფიდან უნდა გამოდგოს ორი წყვილი: ნამგალ-ე ბ-ი (ს. ღოესი) - ნამგალ-ე-ე ბ-ი (ს. ქვ. გომი, ს. თელათგორი), ერთი მხრივ, და დიდვაკ-ე ბ-ი (ს. ჩაჩუბეთი) - დიდვაკ-ე-ე ბ-ი (ს. ქვ. გომი, ს. კავთისხევი), ვაკ-ე-ე ბ-ი (ს. ნოსტე), მეორე მხრივ.

პირველ წყვილში ტოპონიმ ნამგალ-ე ბ-ში დაიკარგა -ა მაწარმო-ებელი, ნამგალ-ე-ე ბ-ში კი მოსალოდნელი ფონეტიკური მოვლენა (აე-ე) მოქმედებდა. ხოლო მეორე წყვილში ტოპონიმ დიდვაკ-ე ბ-ში ფუძისეული -ე ხმოვნის ჩაგარდნა არ იყო მოსალოდნელი და სხვა მაგალითებში არც დასტურდება. ფუძისეული -ე ბუნებრივად რჩება -ე ბ სუფიქსით ნაწარმოებ ტოპონიმ ვაკ-ე-ე ბ-ში, დიდვაკ-ე-ე ბ-ში.

3) სა- --- -ე აფიქსები:

სა- --- -ე პრეფიქს-სუფიქსიც საკმაოდ პროდუქტიული მაწარმოებელი საშუალებაა. მისგან იწარმოება ხელოვნურ ნაგებობათა სახელები, სამეურნეო ტოპონიმია, ბუნებრივი წიაღისეულისა თუ საწარმოო ადგილის აღმნიშვნელი სახელები. მაგალითად: ს ა-ქათმ-ე, ს ა-ლორ-ე-ები, ს ა-თიხ-ე-ები, ს ა-ყავრ-ე-ები...

ს ა- --- -ე აფიქსები ყველა ამ შემთხვევაში დანიშნულების სახელებს აწარმოებს.

4) სა- --- -ო აფიქსები:

საზოგადო სახელებში ეს პრეფიქს-სუფიქსი უფრო პროდუქტიულია, ვიდრე ს ა- --- -ე. ა. შანიძე წერს: ს ა- --- -ო აფიქსი, ს ა- --- -ე აფიქსის მსგავსად, ხშირად აწარმოებს საზოგადო სახელებს. ორივე ეს აფიქსი მნიშვნელობით ტოლფასია, ოღონდ განსხვავება მათ შორის ისაა, რომ ს ა- --- -ო აფიქსს მეტი სასიცოცხლო ძალა აქვს ([I] 134).

გარკვეულ განსხვავებას ხედავს ამ ორ მაწარმოებელს შორის
გ. ახვლედიანი: „ერთი და მეორე წარმოშობით ზედსართავის ფორ-
მებია, მაგრამ ერთ მათგანს (სა-ე“-ს) სუბსტანტივობის ფუნქცია
დაურემიბიძ, ხოლო მეორეს (სა-ო“-ს) ადიექტივობისა“ ([10] 57).

ამგვარი განსხვავება ჩვენს ხელთ არსებული ტოპონიმიური მასა-
ლის მიხედვითაც დასტურდება. ს ა- --- -ე ფორმანტიით ნაწარმოები
სახელი ყოველთვის დამოუკიდებლად გვხვდება. ს ა- --- -ო აფიქსით
ნაწარმოებ სახელებს ხან არსებითი სახელის გაგება აქვს (ს ა-გო-
მურ-ო, ს ა-ნახირ-ო...), ხან კი - ზედსართავისა (ს ა-ყარაულ-ო
გორა, ს ა-ფონდ-ო ვენახები...).

გ. ბელოშვილის მოსაზრებით, „სა- --- -ო აფიქსით ნაწარმოები
ტოპონიმები, როგორც წესი, მხარე-კუთხეების აღმნიშვნელი, უპირა-
ტესად ეთნონიმიური და ანთროპონიმიური წარმოშობის სახელებია: სა-
ქარაიელი, სამეგრელო... საგარეჯო... ([6] 32), მაშასადამე,
ივარაუდება მაკროტოპონიმები, მათ შორის, ოიკონიმებიც.

ჩვენს საინალიზო რეგიონში, სამიოდე გამონაკლისის გარდა (ს ა-
თუხარ-ო, ს ა-კორინთ-ო, ს ა-ქადაგიან-ო), ამგვარი სახელების
წარმოება არ გვხვდება.

ს ა- --- -ო თავისუფლად აწარმოებს მიკროტოპონიმებსაც. ამ
ტოპონიმების სემანტიკური დაჯგუფება შეიძლება:

1. დანიშნულების მიხედვით; ფაქტობრივად გამოყენებულია
სხვადასხვა სემანტიკური ჯგუფის სახელები:
ს ა-ბერ-ო, ს ა-მლოზნ-ო... ს ა-ნახირ-ო, ს ა-ყარაულ-ო გორა...

2. საკუთრება-მქონებლობის მიხედვით; ფაქტობრივად გამოყენ-
ებულია სახელი, გვარი ან ოიკონიმი: ს ა-ოთარ-ო, ს ა-მუხრან-ო,
ს ა-ამილახერ-ო ტყე, ს ა-ოძის-ო...

გ) მიმართულების მიხედვით: ს ა-მთ-ო გზა, ს ა-თეზ-ო გზა
... აქვე უნდა აღინიშნოს ერთი თავისებურებაც: რიგ შემთხვევაში
ს ა- --- -ო აფიქსი ტოპონიმთა წარმოებისას ეწევა სა- --- -ე-ს

მავიგრობას. მაგ. : ს ა-ტივ-ო, ს ა-მტრედ-ო, მამინ როცა სა-
--- -ე მაწარმოებელი ერთვის ამაცე ფუძეებს საზოგადო სახელებში:
ს ა-ტივ-ე, ს ა-მტრედ-ე, თუცა საახალიზო რეგიონში გვაქვს ტო-
პონიშები: ს ა-ყავრ-ე-ები, ს ა-ნერგ-ე, ს ა-ლორ-ე, ს ა-ქათმ-ე.
ხომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ ს ა- --- -ო პრეფიქს-სუფიქსი
ცდილობს ს ა- --- -ე აფიქსებით ნაწარმოები საზოგადო სახელები
განასხვავს გეოგრაფიულ სახელთაგან (თბილისშიც არის ადგილი
რჩეზე, რომელსაც ს ა-ტი-ო ეწოდება და არა მოსალოდნელი ს ა-
ტივ-ე), ანდა იქნებ დიფერენციაცია სემანტიკური ნიშნის მიხედვით
ხდება: ს ა-ტივ-ე, ს ა-ყავრ-ე აღნიშნავს მასალას, ხოლო ს ა-
ტივ-ო, ს ა-მტრედ-ო - მხოლოდ ტერიტორიას, ადგილს, ობიექტს.

საკუთრადღებოა ის ფაქტი, რომ ს ა- --- -ო აფიქსი პირთა სახე-
ლებთან, გვარებთან ან ოკონიშებთან ამჟამად წინა ცითარების ამ-
სახველია: ს ა-ოთარ-ო, ს ა-მუხრან-ო, ს ა-ამილახერ-ო ტყე, ს ა-
ოძის-ო - ყველა შემთხვევაში ობიექტები ადრინდელ მფლობელთა, მე-
პატრონთა სახელს ატარებს და ამ თვალსაზრისით თითქოს ნა- ---
ა რი-ე ცი-ე რ პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოებ სახელებს უთანაბრდება.

კასპის რაიონში მცენარეთა სახელთაგან ტოპონიშების მაწარმოებ-
ლად გამოიყენება ორივე ტრადიციული სუფიქსი: როგორც -ნ ა რ, ისე-
ცე -ი ა ნ.

-ნ ა რ სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიშებია: ფიჭვ-ნ ა რ-ი,
ნაძე-ნ ა რ-ი, შინდ-ა რ-ები (<--- შინდ-ნ ა რ-ები), ძეძე-ნ ა რ-
ებია.

-ი ა ნ სუფიქსის დართვის შედეგადაა მიღებული: მუხ-ი ა ნ-ი,
ძეძე-ი ა ნ-ი, ძეძ-ი ა ნ-ი, პანტი-ი ა ნ-ი, კატრ-ი ა ნ-ი, ჭინ-
ჭრ-ი ა ნ-ი, ნაძე-ი ა ნ-ი, თუთ-ი ა ნ-ი, ფიჭვ-ი ა ნ-ი, ჩაღ-ი-
ა ნ-ი, ტყემლ-ი ა ნ-ი, თხინოლ-ი ა ნ-ი, გრაკლ-ი ა ნ-ები, თუთ-
ი ა ნ-ები, ჯაგ-ი ა ნ-ები.

როგორც დასახელებული მაგალითებიდან ჩანს, ამ ორი სუფიქსის

საწარმოებში ძალა აშკარად არათანაბარია: - ი ა ნ სუფიქსი საგ-
რძნობლად სჭარბობს - ნ ა რ სუფიქსს.

- ი ა ნ სუფიქსის გავრცელებულობა სავარაუდებელს ხდიდა, რომ ამ
ფორმანტს იგივე ფუძეები გამოიყენებდა, რომლებთანაც - ნ ა რ სუ-
ფიქსი გვხვდებოდა. შდრ.: ფიჭვნ ა რ ი (ს. გუდალეთი) - ფიჭვი ა-
ნ ი (ს. ლავროსხევი), ნაძვნ ა რ ი (ს. ქვ. ჭალა) - ნაძვი ა ნ ი
(ს. ცხავერი), ძეძვნ ა რ ეები (ს. თვალადი) - ძეძვი ა ნ ი
(ს. პანტიანი). გასათვალისწინებელია, რომ ეს ერთგვარობის თავი-
დან აცილების, ტერიტორიების გამიჯვნის მიზნით არ ხდება, რადგან
არც ერთი ამ დუბლეტთან ერთ სოფელში არ დასტურდება.

იგივე - ი ა ნ სუფიქსი სხვა სემანტიკის ფუძეებთან შეხამება-
ში გათანაბრებულია ადამიანთა წარმომავლობის სახელთა - ე ლ მაწარ-
მოებულთან. ტოპონიმი ნაკოშკრ-ი ა ნ-თ-უბანი თავის დროზე, ალბათ,
მიღებულია ნაკოშკრ-ი ა ნ (მზ.რ.) ან ნაკოშკრ-ი ა ნ-თა (მრ.რ.)
ფორმებისაგან, ხოლო ნაქალაქ-ი ა ნ-თ-ხევის ამოსავალი უნდა ყოფი-
ლიყო ნაქალაქ-ი ა ნ-ი (მზ. რ.), ნაქალაქ-ი ა ნ-თ ა (მრ.რ.), რაც
იგივე ჩანს, რაც ნაკოშკრ ე ლ ი - ნაკოშკრ ე ლ თა, ნაქალაქ ე ლ ი-
ნაქალაქ ე ლ თა.

ა. შანიძეს მიაჩნია, რომ - ი ა ნ დაბოლოება ზოგიერთ შემთხვე-
ვაში გამოიყენება ჩამომავლობისა და კუთვნილების აღსანიშნავად,
ისიც მხოლოდ მაშინ, თუ ფორმა მრავლობითია. როდესაც ეს ბოლოსართი
დაერთვის ა-ზე გათავებულ ბოლოუკვეციელ სიტყვას, მაშინ პირველი
ხმოვანი დასუსტდება, დაიკარგება ([I] I24) და ცილებთ - ა ნ სუ-
ფიქსს.

ამავე აზრისაა ს. ჯანაშია, რომელიც - ა ნ სუფიქსის უძველეს და
პირვანდელ ფუნქციად თვლის კრებითობას ([II] 41, 47).

ამ ტიპის ტოპონიმები - ხაბარა-ა ნ-ი, კოკლა-ა ნ-ი, ქონდარა-
ა ნ-ი, გაბოუშვა-ა ნ-ი, თოთსა-ა ნ-ი, თუთუა-ა ნ-ი, ნაცვალა-
ა ნ-ი, გუგულა-ა ნ-ი... - წარმოადგენს გვარის ან ოჯახის მეტსახე-

ღისაგან წარმოქმნილ უბნების, ბაღების, სათესების სახელწოდებებს. ამდენად, აშკარაა, რომ ეს ფორმანტი საერთო საკუთრების აღმნიშვნელად გამოიყენება.

ყურადღებას იქცევს კუთვნილების -ე უ ლ სუფიქსიანი მოდელი. ეს სუფიქსი დაერთვის ნათესაობითში დასმულ საკუთარ სახელებს, რომელთა ნარ-თან-იანი მრავლობითის ფორმა მათი კრებილობის შინაარსს აცვლენს. მაგ.: ნიკა-ა ნ-თ-ე უ ლ-ი ვენახები, ნონია-ა ნ-თ-ე უ ლ-ი შიწები...

მაშასადამე: ქართულ ტოპონიმიაში წარმოების სამი ტიპიდან ყველაზე იშვიათია ოდენპრეფიქსული წარმოება. ამ მხრივ გამონაკლისს არც კასპის რაიონის ტოპონიმია წარმოადგენს. ამ მსგავსების ფონზე ყურადღებას იქცევს ამ რეგიონისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი ზოგი თავისებურება.

1. საანალიზო რეგიონში ყველაზე პროდუქტული აფიქსებია:

ა) მასუბსტანტივებელ-მატოპონიმებელი -ა (ჩრდილ-ა);

ბ) მრავლობითის -ე ბ (მლაშე-ე ბ-ი). ხმოვანფუძიან სახელებთან ზოგჯერ ფუძისეული -ე იკარგება (შდრ.: დიდვაკე-ე ბ-ი და დიდვაკე-ე ბ-ი, ნამგალ-ე-ე ბ-ი <-- ნამგალა-ე ბ-ი და ნამგალ-ე ბ-ი);

გ) ს ა- --- -ე (ს ა-ჩალ-ე) და ს ა- --- -ო (ს ა-ქუნქულ-ო).

რიგ შემთხვევაში ს ა- --- -ო ეწევა ს ა- --- -ეს მაგივრობას: ს ა-ტივ-ო, ს ა-მტრედ-ო (შდრ.: იმავე რეგიონში: ს ა-ყავრ-ე, ს ა-ნერგ-ე, ს ა-ქათმ-ე, ს ა-ლორ-ე).

2. მცენარეთა სახელდაგან ტოპონიმების მაწარმოებლად ტრადიციული -ნ ა რ სუფიქსი შედარებით იშვიათია (ნაძე-ნ ა რ-ი, ფიჭე-ნ ა რ-ი). მას გაცილებით სჭარბობს -ი ა ნ სუფიქსი (ნაძე-ი ა ნ-ი, ფიჭე-ი ა ნ-ი, თუთ-ი ა ნ-ი, პანტი-ი ა ნ-ი, რცხილ-ი ა ნ-ი).

3. -ი ა ნ სუფიქსი სხვა სემანტიკის ფუძეებთან შეხამებაში გათანაბრებულია წარმომავლობის სახელდა --ე ლ მაწარმოებელთან

(ნაკოშკრ-ი ა ნ-ა-უბანი, ნაკალაქ-ი ა ნ-ა-ხეცი).

4. -ულ სუფიქსი დაერთვის ნათესაობითში დასმულ საკუთარ სა-ხელებს, რომელთა ნარ-თან-იანი მრავლობითის ფორმა მათს კრები-ობის შინაარს აცვლენს (ნიკა-ა ნ-ა-ე უ ლ-ი ცენახები, ნონია-ა ნ-ა-ე უ ლ-ი მიწები).

საქ.სსრ მეცნიერებათა აკადემია
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

В.А.МАГРАДЗЕ

Вопросы образования региональной топонимии

/-по материалам Каспского района /

Р е з ю м е

1. В географических именах используется любой образователь, нарицательное имя любого образования можно отнести к какому-нибудь населенному пункту или географическому объекту /А.Шанидзе/. Но обилие и разнообразие формантов не означает, что образование топонимов произвольно /В.Никонов/. Это значит, что при образовании топонимов продуктивность и сочетательная способность употребляемых формантов строго ограничены.

2. Из распространенных типов образования грузинской топонимии наиболее редким является префиксальное образование. В этом отношении и топонимия Каспского района не представляет исключения. На фоне сходства привлекают внимание некоторые специфические черты регионального характера.

В анализируемом регионе наиболее продуктивные аффиксы:

ა) субстантивизирующий и топонимизирующий суффикс -ა -ა
(ჩრდილა ორძილა) ; ბ) суффикс множественности

-ობი -ებ (მლაშეობი მლაშეები) ; следует к тому же отметить, что имена с главным исходом в основе иногда теряют коренной главный -ბ -ე , ор.: ცაკეობი vakeebi и დიდებ-

კები didvakebi, ნამგალები namgaleebi, и ნამგალები namgalebi ; B) სა- - -ე sa- - -e (საჩაღე sačale и სა- - -ო sa- - -o (საქუნტელ sakunkulo). В некоторых случаях სა- - -ო sa- - -o заменяет სა- - -ე sa- - -e (სატივო sačivo, სამტრედო samtredo, სრ.: в том же регионе საყავრე saqavre, სანერგე sanerge, საქათმე sakatme, საღორე sačore).

3. Для образования топонимов от названий растений относительно редко встречается традиционный для этого типа образования суффикс -ნარ -nar (ნაძენარი načvარი, ფიჭვნარი pičvარი), однако преобладает суффикс -იან -ian (ნაძვიანი načviani; ფიჭვიანი pičviani). Тот же суффикс -იან -ian в сложных словах другой семантики в функциональном отношении уподобляется форманту -ელ -el - образованию происхождения человека (ნაკოშკრიანბუბანი načvianbubანი, ნაკოშკრიანხახვიანი načvianxaxვიანი).

Привлекает внимание модель с суффиксом собственности -ეულ -eul, присоединяемым к именам в родительном падеже, форма с суффиксами -ც /-ca -n/-t - множественности, которые указывают на их собирательное содержание (ნიკაანთელი ვენახები nikaanteuli venახები, ნონიანთელი შიწები nonianteuli šičები).

ლიტერატურა

1. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ტ. I, თბილისი, 1953.
2. В. А. Н и к о н о в, Введение в топонимику, Москва, 1965.
3. ა. შ ა ნ ი ძ ე, მორფოლოგია, I, ტფილისი, 1930.
4. თ. ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, ტოპონიმიკის შესწავლისათვის. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. II, თბ. 1961,

5. ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, წიგნი I, ბათუმი, 1958.
6. გ. ბ ე დ ო შ ე ი ლ ი, ერწო-თიანეთის ტოპონიმიკა, თბ., 1980.
7. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. III, თბ., 1952.
8. ფ. მ ა კ ა ლ ა თ. ი ა, „ფშავის ტოპონიმიკა“. ტოპონიმიკა, ტ. I, თბ., 1976
9. ფ. მ ა კ ა ლ ა თ. ი ა, „მრავლობითის -ებ, -ნ სუფიქსთა მატოპონიმიკური ფუნქციისათვის“. მაცნე, ენისა და ლიტ. სერია, 1974, №4.
10. გ. ა ხ ვ ე ლ ე ი ა ნ ი, „სა-ო“ და „ერ“-ის მნიშვნელობა, ჩვენი მეცნიერება, თბ., 1923, №2-3.
11. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. III, თბ., 1959.

სერგო მელიქიძე

სინონიმი ბორჯომის ხეობის ტოპონიმიკაში

სინონიმი, როგორც ცნობილია, ერთი და იმავე საგნის ორი (ან მეტი) სახელიანობაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთ საგანს სხვადასხვა ბგერათკომპლექსისაგან შემდგარი სიტყვები ჰქვია. მაგ.: ასული და ქალიშვილი, არაკი და იგავი, აპონტი და შაშხი; ანათემა და წყევლა; ანაცერი და ქატო და სხვ. შესაძლოა ერთ აღსანიშნავ ორზე მეტი აღნიშვნელი ჰქონდეს, მაგ.: გიეი, ხელი, შუშუტო, ცეტი, სულელი და სხვ; ერთი შეხედვით, საკითხი თითქოს გადაწყვეტილია: ერთი საგნის რამდენიმე სახელი არის სინონიმი. მაგრამ ენათმეცნიერებაში სინონიმიკის საკითხი, შეიძლება ითქვას, სადავოა. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ენაში ამჟამად არის ისეთი სიტყვები, რომლებიც ერთ საგანს აღნიშნავენ. ბ. ფორხუა წერს: „ენას ბევრ შემთხვევაში მოეპოვება ორი (ან რამდენიმე) სიტყვა ერთი და იმავე მოვლენის აღსანიშნავად: სინონიმების რეალურობაში ეჭვს ვერ შევიტანთ“ ([1] 34). ე.ი. ენაში არსებობს სინონიმი, მაგრამ მთავარი ისაა, როგორ კვალიფიცირდება იგი, როგორ განესაზღვრავთ მას. არნ. ჩიქობავა აღნიშნავს: „სინონიმები ერთი მნიშვნელობის სიტყვებს ჰქვია, მაგრამ ვერ ეიტყვიან, თითქოს სინონიმებს სავსებით ერთნაირი მნიშვნელობა ჰქონდეთ: ან აღსანიშნი საგნის სხვადასხვა მომენტია სინონიმებს რომ განასხვავებს, ანდა თვალსაზრისი, რომელიც დამოკიდებულებას აღსანიშნისადმი ახასიათებს, ანდა გრძნობითი იერი, რომელსაც სინონიმური სიტყვა იწვევს, ანდა კიდევ დიალექტური სხვაობა სინონიმური სიტყვისა“ ([2] 189). დიალექტური სხვაობა სახელებს შორის ამჟამად: მურყანი და თხმელა; ბუერა, ფურღენა და ოროვანდი; ბავეგი და ბალანა; აწი და ახლა; იხვი და კვატი და სხვ. აქ მოხ-

მომილი ლექსიკური წყვილების სინონიმურობა თითქოს ეცვს არ უნდა იწვევდეს, მაგრამ ხშირად ესეც დასაზუსტებელია, რადგან, ჩვეულებრივ, ერთი კუთხის დიალექტური სახელი რომელიმე კონკრეტული საგნისა, მეორე კუთხის მცხოვრებთათვის გაუგებარია. მაგ.: მატანკალი და ელჩი (შუამავალი, გამრიგებელი); საქმე (ჯავახ.) და ტახტი; ახორი (ჯავახ.) და ბოსელი და სხვ. მათ აღმათ სინონიმების პრეტენზია არ ექნებათ მანამდე, სანამ სალიტერატურო ენაში არ დაიმკვიდრებს ყველა ფორმა თავის ადგილს. მაგრამ როგორ შევაფასოთ ისინი, როცა ეს წინააღმდეგობაც გადალახულია? დღეს ლიტერატურაში თიქმის თანაბარი მნიშვნელობით იხმარება: იფანი და კობიტცი; გოგრა და კვახი; კომში და ბია; კაკალი და ნიგოზი; ჩუმი და წყნარი; ქალი, დედაკაცი, დიაცი; კაცი, მამაკაცი და სხვ. სინკრონიულ ასპექტში კვლევისას ეს სიტყვები მართლაც სინონიმებად წარმოგვიდგებიან, მაგრამ, თუ გაცივალისწინებთ დიაქრონიული განვიითარების საფეხურებს, ამ სიტყვათა სინონიმებად ქცევის, მათი სემანტიკური დაახლოების მრავალ ნიშანს აღმოვაჩინებ.

როგორც წესი, სინონიმებზე დაწერილ ნაშრომებში უპირველეს ყოვლისა განიხილება საკითხი: არსებობს თუ არა ერთი და იმავე საგნის, მოქმედების, ავისების და ა.შ. იდენტურად აღმნიშვნელი, მაგრამ ბგერითი შედგენილობით განსხვავებული სიტყვები? და თუ არსებობს, რა სხვაობაზე შეგვიძლია თვალი დავხუჭოთ ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რა მსგავსებაა აუცილებელი, რომ ორი ლექსიკური ერთეული სინონიმებად იქნეს მიჩნეული? ([3] 253).

უბრალო დავკვირვებითაც ნათელია, რომ სინონიმის საკითხი ენაში ყურხნობით არცაა საბოლოოდ გარკვეული და, რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ქართულს არ ეხება.

როგორაა წარმოდგენილი სინონიმის ტოპონიმიში? ბუნებრივია, ტოპონიმიცა ლექსიკოლოგიის დარგია და ის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, რაც საზოგადო სახელებს ახასიათებს, მეტნაკლებად ტო-

პონიშიაშიც იჩენს თავს, მაგრამ ამავდროს რამდენადმე გამსხვავებულ ციფრებს წარმოაჩენს: ხშირად საკუთარი სახელის მნიშვნელობა, მისი სემანტიკა უფრო მეტად დაბინდულია, ე.ი. სიტყვის მნიშვნელობა პასიურ მდგომარეობაშია, ობიექტი (აღსანიშნი) კი ყოველთვის გამოკვეთილია, მყარია. ობიექტის სახელის, მისი მნიშვნელობის და შერქმევის მიზეზების დადგენა მოითხოვს დამატებით ძიებას. ენაში ყოველთვის ჩანს სინონიმური სიტყვების მნიშვნელობები და მათი მიმართება აღსანიშნთან. მაგ. პლევრიტი და ჭვალა არის თუ არა სინონიმები? ამის დადგენა შეგვიძლია; ბ. ფოჩუა აღნიშნავს „ამ შემთხვევაში თუმცა ობიექტი ერთია (აქა და ეს და ავადება“), საგანი სხვადასხვა გვაქვს (პირველი ანთების პროცესს აღნიშნავს, მეორე - ტკივილის გრძნობას)“ ([I] 31). ე.ი. საგნობრივი მიმართებაც ცნობილია, სიტყვების სემანტიკაც ვიცით. ტოპონიმიში სიტყვა, მას შემდეგ, რაც იქცევა საკუთარ სახელად, ხშირად კარგავს ადრინდელ მნიშვნელობას. მაგ., ტოპონიმურ წყვილებში: დემოთიზმითია (ციხე), კეცხოელი კეჩხოზი (ნასოფლარი), ბავინეთი სონეთი (ნასოფლარი) და სხვ. წარმოდგენილია მხოლოდ საბელები და ობიექტები. მათი ურთიერთსაგნობრივი მიმართება და მნიშვნელობები არ ჩანს. მნიშვნელობათა დადგენა კი შემდეგი კვლევა-ძიებით შეიძლება და შემდეგ გაიკვევა მათი რეალური სინონიმურობის საკითხი. ამჟერად კი, აღნიშნული წყვილები, რადგან თითო ობიექტს აღნიშნავენ, ცხადია, სინონიმებად გვევლინებიან.

სამეცნიერო ლიტერატურაში ტოპონიმური სინონიმები სხვადასხვა სახელებითაა წარმოდგენილი. ვ. ნიკონოვი მათ უწოდებს: „თანაარსებული სახელწოდებები“, „მრავალსახელიანი ტოპონიმები“, „ტოპონიმური სინონიმია“; ე. უხმილინა: „ტოპონიმური ვარიანტები“, „ლექსიკური ვარიანტები“, „პარალელური სახელები“ და სხვ.

„ტოპონიმურ სინონიმებად მივიჩნევთ ისეთ ორ ან რამდენიმე გეოგრაფიულ სახელს, რომელიც თავისი ტოპონიმური მნიშვნელობით (ე.ი.

...ზს გეოგრაფიულ ობიექტთან მიმართებით) სხვა ტოპონიმს ემ-
ახევა მდლიანად ან ნაწილობრივ, ფორმით კი განსხვავდება მის-
გან“ (ფ. მაკალათია)*. ასევე, სამეცნიერო ლიტერატურაში სინონი-
მურ ტოპონიმთა სახეები და მათი წარმოქმნაც შეტნაკლებად გან-
სხვავებულადაა წარმოდგენილი. ჩვენ ამჟერად განვიხილავთ ბორჯო-
მის ხეობის სინონიმური ტოპონიმის რამდენიმე საკითხს.

სინონიმიანზე მსჯელობისას ხშირად მიუთითებენ ორენოვნებაზე.
სინონიმური წყვილი იქმნება მაშინაც, როცა ერთსა და იმავე ტერი-
ტორიანზე სხვადასხვა ეროვნების ხალხი სახლობს. ცხადია, ორივე
ეროვნების ენანზე წარმოიქმნება ადგილთა სახელები და ისინი ყოველ-
თვის რადი არიან სინონიმები. ამ შემთხვევაში მრავალი მომენტია
გასათვალისწინებელი. ობიექტი შეიძლება იყოს ერთი, მაგრამ აღმნი-
შენელი განსხვავდება მხოლოდ ენობრივად. საგნის სახელის მნიშვნე-
ლობა ერთია, მაგრამ, როცა საგანთან მიმართება იცვლება, სახელიც
სხვადასხვაა:

ა) ტოპონიმი ქართული ყალიბით არის ნაწარმოები. პარალელური
ფორმის პირველ ვარიანტში მსახლვრელი რუსული სიტყვაა, საზღვრუ-
ლი - ქართული, მეორეში კი ორივე წევრი ქართულია. აღსანიშნი ობი-
ექტი ერთია - ღელე. ფორმადი „საბაჩნაიას ღელე“ მსახლვრელი აშკა-
რად მარგმნილი ჩანს აბორიგენთა ენიდან (ქართულიდან). მოსახლე-
ობა იყენებს ორივე ფორმას.

ბ) მსახლვრელი ორივე შემთხვევაში უცხოენოვანია, საზღვრული
კი - ქართული, მაგრამ სხვადასხვა მნიშვნელობის: ბალაგნების გზა||
ბალაგნების ბილიკი. ობიექტი ერთია, საგანი - სხვადასხვა: ერთ შე-

* ფ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა „სინონიმური ტოპონიმები ქართული პა-
გეოგრაფიული ძეგლების მიხედვით“. წაკითხულია პირველ რესპუბლი-
კურ ონიმასტიკურ კონფერენციანზე 1980 წლის 28 თებერვალს. ხელნა-
წერი ინახება ასუ ტოპონიმიკის ლაბორატორიანში.

მთხვევაში - გზა, მეორე შემთხვევაში - ბილიკი. ამიტომ აღმნიშვნელიც განსხვავებულია.

გ) ტოპონიმები სხვადასხვაენოვანია, შინაარსი - იდენტურია სარღაველურაგირა; ქარლუჯენშპანტნარი; ჰაღლისსანახირე... ზშირად უცხოური სიტყვაც ქართული აფიქსებითაა გაფორმებული: ნახანძრილი ნაპატრალი, ბასეინები, ნაბუტკარი, ნაქობარი, ნაპალატკარი და სხვ.

დ) უცხოურ ენაზე ტოპონიმი ერთსიტყვიანია, ქართულად - ორსიტყვიანი. მნიშვნელობები განსხვავებულია, აღსანიშნი ერთი და იგივეა: იშოპათილდელის ყანა, გოგასციხის აფებები, ბასეინები, ზოგჯერ უცხოენოვანი ვარიანტის შინაარსი გასაგებია, ქართულენოვანისა კი - დაბინდული: ჯინჯიგორის წყარო, შალდიგ სვადონ („ჭიანჭველების წყარო“).

ე) უცხოენოვანი ცალეულის მნიშვნელობა სრულიად განსხვავებულია ქართული ვარიანტის მნიშვნელობისაგან: სტრაშნი აკობი, ნაფოშტარი მიწები, ლაგერი, ლდელის სათივებები და სხვ.

როგორც ზემომოტანილი მაგალითებიდან ჩანს, ტოპონიმიკური სინონიმის შემთხვევაში ობიექტი, აღსანიშნი ყოველთვის ერთია, მაგრამ აღმნიშვნელთა საგნობრივი მიმართება შეიძლება იყოს ერთმანეთთან დაახლოებული ან საკმაოდ განსხვავებული.

როდესაც სინონიმიაზე ვლაპარაკობთ, აუცილებელია გავითვალისწინოთ ისტორიული ვითარება. ეს უფრო მეტად საჭიროა ტოპონიმიაში, რადგან იგი ავლენს უამრავ თავისებურებას, რომელთაც ანგარიში უნდა გაეწიოს.

ცნობილია, რომ, ჩვეულებრივ, ობიექტის სახელიც იცვლება მოვლენების კვალდაკვალ, სოციალური ძვრების შედეგად. ეს, რა თქმა უნდა, სადავო არ არის; ზოგი სახელი დავიწყებას ეძლევა, ზოგის გვერდით კი ჩნდება ახალი სახელი, რაც სოციალური პროცესია და კანონზომიერად მიმდინარეობს. ეს განსაკუთრებით ეხება მიკროტოპონიმებს, სადაც

სინონიმური ტოპონიმის წარმოქმნის მიზეზებიც ადვილი გასარკვე-
ვია. მაგრამ, როდესაც ისტორიული ადგილების სახელებთან გვაქვს
საქმე, დიდი სიფრთხილეა საჭირო (უპირველეს ყოვლისა, მათი ჩაწე-
რის, კლასიფიკაციისა და კვლევის თვალსაზრისით).

ავიღოთ ტოპონიმები: „აორის მხარე“ და „ბორჯომის ხეობა“.
დღეს ეს უკანასკნელია დამკვიდრებული. არის თუ არა ეს ორი სახელ-
წოდება ერთმანეთის მიმართ სინონიმური? ცხადია, არა!

სინონიმური ტოპონიმები ერთდროულად უნდა იხმარებოდეს. აქ კი
„აორის მხარეს“ იშვიათად ხმარობენ, მისი ხმარება სპორადულია. მე-
ორეც, დღემანდელი „ბორჯომის ხეობა“, რომელიც მოიცავს მტკვრის
ორივე მხარეს, იწყება ტაშისკართან და მთავრდება აწყურის მისად-
გომებთან. „აორის მხარე“ კი მოიცავდა თვით ძველი „ხეობის“ ნაწილს,
სადგერისა და გუჯარეთის ხეობებს და ბაკურიანის არეალს. როგორც
ცხედავთ, ტერიტორიულად ძალზე განსხვავებული არეალებია და მათი
აღმნიშვნელი სახელწოდებების სინონიმებად მიჩნევა, რა თქმა უნდა,
არ არის სწორი. ასევე, ტერმინი „ხეობა“ უფრო ხშირად იხმარება
„ბორჯომის ხეობის“ პარალელურად, მაგრამ აქაც დასაზუსტებელია ჯერ
მათი ტერიტორიული შეფარდება, ხოლო, მეორე მხრივ, თვით სახელწოდე-
ბები: „ხეობა“ გეოგრაფიული ტერმინია და მთელი არეალის საკუთარ
სახელადაა ქცეული. ბორჯომის ხეობა კი დაერქვა ქალაქის სახელწოდე-
ბის მიხედვით. ე.ი. მივიღეთ, რომ ობიექტი ერთი და იგივეა, აღმნი-
შვნელის საგნობრივი მიმართება კი - განსხვავებული (ერთ შემთხვე-
ვაში აღმნიშვნელი დასახლებულ პუნქტს უკავშირდება, მეორე შემთხვე-
ვაში კი ზოგადი ტერმინია). უფრო მისაღებია ამ არეალის სხვა სა-
ხელწოდება - რუსული „ბორჯომსკოე უშჩელიე“ და ქართული „ბორჯომის
ხეობა“. აქ ყველაფერი თითქოს რიგზეა: ობიექტი ერთია, საგნობრივი
მიმართება ერთნაირი, აღმნიშვნელი კი - სხვადასხვა. მაშასადამე,
თარის მხარე||ბორჯომის ხეობა და ხეობა||ბორჯომის ხეობა არაზუსტი
სინონიმებია.

ავილთ სხვა შემთხვევა: იქ, სადაც დღეს ქალაქი ბორჯომი მდებარეობს, ისტორიულად იყო სოფელი ნუა. გამოდის, რომ ისტორიული თვალსაზრისით ნუა და ბორჯომი სინონიმური წყვილია. თავი რომ დავანებოთ იმ ფაქტს, რომ სახელწოდება „ნუა“ დღეს აღარ იხმარება, მეორე უხერხულობაც იქმნება: „ნუა“ არასდროს არ იქნებოდა „ბორჯომის“ სინონიმი, რადგანაც ქალაქმა არსებობა მდინარეების მტკვრისა და ბორჯომულას ნაპირებზე დაიწყო და შემდეგ შეიერთა სოფელი თუნასოფლარი „ნუა“. გარდა ამისა, ქალაქმა დაიკავა რიგი სოფლების - ეშმაკთბნის, ფაფის, ყვერბილის ტერიტორია. ასე რომ, ნუა გახდა ბორჯომის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი და მათი სინონიმურობის შესახებ ლაპარაკიც კი ზედმეტია.

არის ასეთი შემთხვევებიც: წალცერთან იყო სოფელი უზნარიანი, იქვე არის ურზნის ციხე. დღეს აღარ არის სოფელი, ციხე დარჩა. ორივე სახელი - „უზნარიანი“ და „ურზნის ციხე“ შერჩა ციხეს. მიიჩნევა თუ არა ეს სახელები სინონიმებად? დიაქრონიულ ასპექტში, რა თქმა უნდა, ისინი ორი სხვადასხვა ტოპონიმი, დღეს კი, ვფიქრობთ, სინონიმებად უნდა მივიჩნიოთ, რადგან ერთ-ერთმა აღმნიშვნელმა შეიცვალა მისათითებელი ობიექტი და ციხის სახელად იქცა. ორივე აღმნიშვნელის ობიექტი ერთი და იგივეა.

როგორაა საქმე ობიექტისადვის ახალი სახელის შერქმევის დროს? მაგ., სოფელს ჰქვია „ღვთისმშობელი“, იმავე პუნქტს შეარქვეს „აი-დაროვი“ (რევოლუციონერი იყო ამ სოფლიდან). ჩათვლება თუ არა სინონიმებად ეს სახელები? ობიექტი, აღსანიშნი ერთია, მაგრამ სახელები აღნიშნავენ სხვადასხვა ნიშანს სოფლისას, ამიტომ აღსანიშნებიც მკვეთრად განსხვავებულია. ამ შემთხვევაში სინონიმის ერთი ნიშანი საერთოა, მაგრამ აბსოლუტურად ზუსტი სინონიმი არ გვაქვს. ამავე რიგისაა: ალანთა||ვერანა (ნასოფლარი); ომანეთი||სათივე-

ები (ნასოფლარი); გვარამაძეების წყარო||ნასოფლარის წყარო; სა-
განის უბანი||წიფელხევა (უბანი ახალდაბისა); რვა მარტი||სარმა-
ნიშვილების კარი და სხვ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ახალი ქართული ენის კათედრასთან
არსებული ტოპონიმიკის ლაბორატორია

С.И.МЕЛИКИДЗЕ

Синонимия в топонимии Боржомского ущелья

Р е з ю м е

В статье рассмотрены некоторые вопросы образования
синонимных топонимов: двуязычие, диахронный, синхронный
аспекты и др.

ლიტერატურა

1. ბ. ფოჩხუა, ქართული ლექსიკოლოგია, თბ., 1952.
2. არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.
3. კ. ჯორჯაძე, სინონიმთა საკითხისათვის. თბილისის უნივერსიტეტის შრომები, № 8-9 (№155-156), პუ-
ბლიკატორული მეცნიერებანი, თბილისი, 1974.

ნიკო ოძინაშვილი

ნასოფლარ ატენის ლოკალიზაციისათვის

გორის რაიონის სოფელი ატენი და ატენის ხეობა ცნობილია. როგორც სოფლის, ისე ხეობის წარსული მეცნიერულად შესწავლილია. მოცემულია სახელწოდების ეტიმოლოგიის ცდაც ([1] 33).

ამ სტატიაში საუბარი გვექნება ატენის სეხნია ტოპონიმზე, რომელსაც წერილობითი წყაროები მიუთითებენ ისტორიულ ქსნის საერის-დავოში, ისრაღისხევში. 1771 წელს ეს კუთხე იწოდებოდა იოჰან ანტონ გოლდენშტედტმა, რომელმაც დაგვიტოვა საინტერესო აღწერილობა. მოგზაური და მცველევარი ერაჯან წერს: „ახლების გარშემო, მეჯუდაზე მდებარეობს... ქართული სოფლები: დავითიანთკარი, წოდვეცი, ატენი, ჯავახკარი, ისრაღი და სალკენთკარი“ ([2] 97). შეუძლებელია უცხოელ მოგზაურს ტენდენციურობა დავაბრალთ. მან მოგვცა მეჯუდის ხეობის ზემო ნაწილის ზუსტი აღწერილობა და დაასახელა სოფელი ატენიც.*

ისრაღისხევის ატენი შემდგომი ხანის ქართულ წერილობით წყაროებშიც არის მოხსენიებული. მეფე ერეკლე მეორის ბრძანებით ორჯერ - 1774 და 1781 წლებში - მომხდარა „ქსნის ხეობის სტატისტიკური აღწერილობა“. აღნიშნული მასალები ქსნის ხეობაში მოგზაურობისას 1908 წელს სოფელ-იკოაში აღმოაჩინა ექვთიმე თაყაიშვილმა და პირველად მანვე გამოაქვეყნა (იხ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 45, თბ., 1951). 1781 წლის „აღწერაში“ ჩამოთვლილია ქსნის ხეობის სოფლები და მიმოიხილება კომლთა რაოდენობა. მეჯუდაზე, ისრაღის ხეობის სოფელ ატენში, იმ დროს უცხოვრია 19 კომლა.

*ვახუშტი ბაკრატიონის „აღწერაში“ ისრაღისხევის ატენი არაა დასახელებული, ხოლო გორის რაიონის ს. ატენი აღწერილია.

უფრო ადრინდელ (1774 წლის) „აღწერაში“ აღნიშნულია ატენის მცხოვრებთა გვარებიც - სალუქაშვილები, ელიაურები, ასტამაძეები, ხახაშვილები.

ამრიგად, უდავო ფაქტია, რომ ისროლისხევში სოფელი ატენი არსებობდა. დასადგენია, სახელდობრ, სად იყო იგი? მხოლოდ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით ამისი გარკვევა ძნელია. ადგილზე მისვლით, მხარის გაცნობითა და ზემოქსიტყვიერი მასალების გათვალისწინებით ასეთ დასკვნამდე მივედით: დღევანდელი ისროლისხევის დასავლეთით, მდ. ისროლისხევის მარჯვენა ნაპირზე, ტყეში და ახოებში დღესაც არის ნასოფლარები: დავითიანთკარი, ნადირაანთკარი და ნინიკაანთი. სოფელ არტევეში მცხოვრებ 80 წლის კოლა დვალისშვილისა და გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევში მცხოვრებ ღრმად მოხუც დავით გინტურის გადმოცემით, იმავე ისროლისხევის მარჯვენა ნაპირზე მათი ბაბუებისა და მამების დროს ცხოვრობდნენ ასტამაძეები და ხახაშვილები. ისინი სახლობდნენ დღესაც კარგად შემონახული ღვთისმშობლის ეკლესიის გარშემო და თავიანთ სამოსახლოს ხახაანთკარს უწოდებდნენ. 1774 წლის „აღწერით“ კი ისროლის ხეობის სოფელ ატენში ხახაშვილები და სხვა ზემოთ დასახლებული გვარის მატარებლები ცხოვრობდნენ. დღესაც ეკლესიის დაბლა, ტყეში მდებარე ახოებს ხახაანთ ახოებს ეძახიან.

ღვთისათვის მეჯვრისხევში ცხოვრობს 7 კომლი, გვარად ციცაგები. ისინი თავიანთ უბანს ხახაანთს უწოდებენ. იქვე მცხოვრები კოლა და დიმიტრი ციცაგების გადმოცემით, მათი წინაპრები ცხოვრობდნენ დღევანდელი ისროლისხევის წყლის მარჯვენა მხარეს ღვთისმშობლის ეკლესიის გარშემო და არა ციცაგაანთკარში, რომელიც დღეისათვის შედის ცხინვალის რაიონში.

ამრიგად, ისტორიული სოფელი ატენი მეჯუდას ხეობაში სავარაუდოდ აღნიშნული სოფელ ისროლისხევის გაღმით, მდინარე ისროლისხევის მარჯვენა მხარეს, ღვთისმშობლის ეკლესიის დაბლა, მდინარეიდან ხუთასიოდე მე-

ტრის მოშორებით, სადაც მრავლად არის საცხოვრებელი სახლების ნაშთები.

სტენია ტომონიშები ჩვეულებრივი მოვლენაა. ორი ატენის არსებობაც არაა გასაკვირი. ორივეგან - ისროლისხევშიც და ტანას ხეობაშიც - მორუხო ფენის კლდის მასივებია. დასახელებულ ადგილებში ძველი დროიდანვე ცხოვრობდა და ცხოვრობს ქართულენოვანი მოსახლეობა. ს. მაკალათიას აზრით, ტანა და ატენი ნაწარმოებია „ტინი“ სიტყვისაგან. ს.ს. ორბელიანი აღნიშნავს: „ტინი არს კლდე დიდი, მაგარი და დაუმშხალველი.“ ეს განმარტება ზედმიწევნით მიესადაგება ისტორიულ სოფელ ატენს და მის მდებარეობას მეჯუდას ხეობაში.

ცხინვალის რაიონი

ქემერტის რეაწლიანი სკოლა

Н.В. ОТИНАШВИЛИ

К вопросу о локализации селища Атены

Р е з ю м е

В статье высказывается предположение, что с. Атены, упомянутое в исторических источниках, находилось напротив с. Исролиسخеви, на правом берегу реки того же названия, ниже Богоматерской церкви.

ლიტერატურა

1. ს. მაკალათია, ატენის ხეობა, აბ., 1957.

2. გიულდენშტედტი ს მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, აბ., 1962.

უზანგ სალხუციშვილი

ტოპონიმ „აკრიანის“ ეტიმოლოგიისათვის*

საქართველოს ერთ-ერთ უძველეს და უდიდეს სოფელს მ ა კ რ ტ უ ლ ო ს ადრე აკრიანი რქმევია (ამას ზეპირი გადმოცემაც გვი-
დასტურებს, ოღონდ რას ნიშნავს ეს სახელი, დღეს აღარავის ახსოვს).

ისტორიკოსი აკაკი შათიაშვილი სოფლის სახელწოდებასთან დაკავ-
შირებით წერს: „მატერიალური კულტურის ძეგლთა და ისტორიულ წყა-
როთა შესწავლის შედეგების გაანალიზებით გამომდინარეობს დასკვნა,
რომ მარტყოფი, როგორც დასახლებული პუნქტი, არსებობს სულ ცოტა
ახ.წ. I-II საუკუნეებიდან. ამ დროიდან VI ს. შეახანებამდე მას
ეწოდებოდა აკრიანი, VI საუკუნიდან XIV-XV საუკუნეებამდე მარტო-
მყოფი, ხოლო XV საუკუნიდან დღემდე მარტყოფი“ ([1] 9).

ავტორს სოფლის, და აგრეთვე მთის, ძველი სახელწოდების - ა კ რ ი ა ნ ი ს - ახსნა არ უცდია. ოღონდ მას ვიარჩნია, რომ „ეს სა-
ხელი იაღწნოს მთის ამ უბანს სოფლის ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ი ს (ხა-
ზი ჩვენია - ავტ.) - აკრიანის - მიხედვით უნდა მიეღოს“ ([2] 102-
103). მკვლევარს ასეთი დასკვნის საფუძველს აძლევს ის, რომ შემ-
დეგში სოფლის სახელწოდების შეცვლასთან ერთად შეიცვალა მთის სა-
ხელიც. ე. ი. ძველი: ა კ რ ი ა ნ ი, ა კ რ ი ა ნ ი ს მ თ ა
შეიცვალა ახლით: მ ა რ ტ ყ ო ფ ი, მ ა რ ტ ყ ო ფ ი ს მ თ ა
([2] 102-103).

გამორჩენილი ისტორიკოსი პლატონ იოსელიანიც სოფლის ადრინდელ
სახელად ა კ რ ი ა ნ ს აცხადებს. მაგრამ ავტორს ცერ დავეთან-
ხმებით იმაში, თითქოს ეს სახელი ბერძნული „აკროსისაგან“ მო-

* წაკითხულია 1975 წლის 27 თებერვალს ტოპონიმიკის ლაბორატორი-
ის საჯარო სხდომაზე.

მდინარეობდეს და იგი სოფლისათვის ღაცამეტ სირიელ მამათაგანს
 ა ნ ტ ო ნ ს ეწოდებიანს ([3] 208). ჯერ ერთი, მამა ანტონის
 ცხოვრებაში ვკითხულობთ, რომ ანტონის მიერ სამოღვაწეოდ არჩეულ
 ადგილზე „ყო მთა უდადი და სერტყიანი, და იყო ქალაქი ცითარ ერთ
 მილიონ, მცირე“ ([4] 213) ეს დასახლებული პუნქტი, რომელსაც ის-
 ტორიკოსი ქ ა ლ ა ქ ს უწოდებს, ცფიქრობთ, უსახელო არ იქნებოდა
 მეორეც, როგორც სხვა საისტორიო წყაროც გვეუბნება, ა ნ ტ ო ნ
 მ ა რ ტ ო მ ყ ო ფ ე ლ ი ს მიერ დაარსებული მონასტრის ტერიტო-
 რიაზე მეხუთე საუკუნეშივე მდგარა ტაძარი, რომლის აგებასაც
 ც ა ხ ტ ა ნ გ გ ო რ გ ა ს ა ლ ს მიაწერენ. „მეფესა ვახტანგს
 ეწყო შემკობად ტაძრისა ღმრთეებისა, და აღეშენა და განეშენებინა
 ყოველთავე საქებელისა და ქვეულებითა ზედან თავსა მარტყოფისასა,
 და განეჩინა საეპისკოპოზოდ, და მის ხარისხსა ზედან მჯდომარ ექ-
 მნა ეპისკოპოზად ბერი ერთი“ ([5] 352) შემდეგში კი ვახტანგ მე-
 ფის მიერ აგებული ტაძარი „მოექცა ანტონ მარტომყოფელის მიერ და-
 არსებული მონასტრის ერთიან კომპლექსში და მისი ძირითადი საფუძ-
 ველი გახდა“ ([1] 10).

ტომონიმი ა კ რ ი ა ნ ი შედგენილობის მიხედვით ზედსარაგვია.
 მასში - ი ა ნ ქონების მაწარმოებელი სუფიქსი გამოიყოფა. რას
 ნიშნავს ა კ რ ა? საბას განმარტებით „ა კ რ ა ესე არს ზღვის
 პირი კლდოვანი მყის ღრმა დაწყებასაცე თანა“ „ ა კ რ ა, ა კ ა -
 რ ა ზღვის პირი კლდოვანი, ქედი ზღვაზედ წარზიდული, მხც“, -გან-
 მარტავს ნ. ჩუბინაშვილი. ა კ რ ა, ა კ ა რ ა მარტო „ზღვის პირი
 კლდოვანი“ არ არის, ის შეიძლება „მდინარის კლდოვანი პირიც“ იყოს.
 აი, რას ამბობს ნ. ჩუბინაშვილი, როცა კლდის სახეობებს ჩამოთვლის:
 „ა ლ დ ე მთა ანუ გორა მრთლად ქუსა, камень, каменная гора,
 скала. სახენი ამისნი არიან: ტ ი ნ ი ფრიად მაგარი, აღმა
 ამართული; ს ა ლ ი და ქ ა რ ა ფ ი ვრცელი და მაღალი, ნიამორ-
 თაგანცა ძნიად სავალი; თ ი რ ი ლბილი და ადულ სათალი, რომლისაც

ნატებს ეწოდება მ ჳ ა დ ა ქ ვ ა და იხმარება საღვთისმეტყველო
კ ო ნ ც ხ ი, ა კ რ ა თუ ა კ ა რ ა გრძლად წაშვერილი ზღვა-
თა და მდინარეთა შინა შესული“. როგორც ვხედავთ, სიტყვა ა კ რ ა,
ა კ ა რ ა კლდეს უკავშირდება. მაშასადამე, ა კ რ ი ა ნ ი
ნიშნავს კ ლ დ ი ა ნ ს, კ ლ დ ო ვ ა ნ ს . შეესაბამება თუ არა
ასეთი სახელწოდება ჩვენს ობიექტს? სავსებით შეესაბამება, რად-
გან ამ მთის დასავლეთი ფერდობი მთლად კლდოვანია და ლ ვ თ ა-
ე ბ ი ს მ ო ნ ა ს ტ ე რ ი ც ა და ა ნ ტ ო ნ ი ს კ ო შ-
კ ი ც მაღალ კლდეებზეა დაშენებული. ამის შესახებ აკ. მათიანი-
ლი წერს: „... ტინის სიმაღლე ზოგან 10-15 მეტრს აღწევს. იგი აღ-
მოსავლეთიდან დასავლეთისაკენ თითქმის 3 კმ-ზე მიემართება“ ([6] 2)
და ბ ი რ ი ხ ე ვ შ ი -მდინარე ნ ო რ ი ხ ე ვ ი ს სათავეში ჩა-
დის.

მეტად საინტერესოა, რომ ეს ტომონიმი საისტორიო წყაროში
ა კ ა რ ი ა ნ ი ს ფორმითაც გვხვდება. კახეთიდან გამობრუნებული
ა ნ ტ ო ნ ი „აღმოვდა მთათა მათ, რომელნიცა პირველ გარდევლენს
და მიიწია კუალად მახლობელად ი ო ვ ა ნ ე ს ა (ზედაზნელისა -
უ. ს.), მოძღერისა თვისისა, მტვირთველი მჭართა ხატისა მის ყოფ-
ლად წმიდისა და დაადგრა მთასა ამას, რომელსა ცხოვრება ამის ნე-
ტარისა მ თ ა დ ა კ ა რ ი ა ნ ა დ უწოდეს“. ([5] 368).

ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: მ ა რ ტ ყ ო-
ფ ი ს ძველი სახელწოდება ა კ რ ი ა ნ ი მომდინარეობს ამავე
სახელწოდების მთისგახს, ე.ი. იყ ო ა კ რ ი ა ნ ი (←- ა კ ა-
რ ი ა ნ ი) მ თ ა (-კლდიანი, კლდოვანი მთა), შექმდეში კი, ან
იმავე დროს, ეს სახელი ამ მთის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთებზე
მდებარე სოფელსაც უწოდეს (უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელი მარ-
ტყოფი სამი-ოთხი კილომეტრითაა დაშორებული ძველ ადგილ-სამყოფელს).

განსახილველი ობიექტის სახელად გვიანდელ წყაროებში „ა კ რ ი-
ა ნ ი ს მ თ ა“ გვხვდება. გ. საბინინის მიერ შედგენილ „საკარ-

თველს სამოთხის“ ერთ-ერთ შენიშვნაში ვკითხულობ, რომ ა ნ -
ტ ო ნ მ ა „... დაუტევებ ადგილი იგი თუსი და მიემთხვა მთასა აკ-
რიანისასა ანუ აწინდელ მარტყოფისასა ([7] 299). ასევე შეედომას
უშვებს ეპისკოპოსი კ ი რ ი ო ნ ი, როცა წერს, „... ანტონი წა-
ვიდა განსამარტოებლად აკრიანის მთაზედ, რომელიც უტეხის და გა-
უვალის ტყით იყო დაფარული... თვით მთას დაერქვა მას აქეთ მთა
მარტყოფისა ([8] 99).

უფრო ჭაღრინდელ წყაროებში ყველგან მ თ ა ა კ რ ი ა ნ ი
გვხვდება და არა - ა კ რ ი ა ნ ი ს მ თ ა. ანტონის ცხოვრებაში
ვკითხულობ, რომ იგი დაემკვიდრა „შინაგან მთათა აკრიანთა“ ([4]
213). ამ ობიექტს რომ ა კ რ ი ა ნ ი ს მ თ ა რქმეოდა, მაშინ
ავტორი ასე დაწერდა: „შინაგან მთათა აკრიანისათა“. ჩვენს ნათ-
ქვამს „ღმრთაების გუჯარც“ ადასტურებს: „ხოლო ესე წმიდა (ა ნ -
ტ ო ნ ი - უ.ს.) დაადგრა სრულიად მთასა ამას აკრიანად (და არა
ა კ რ ი ა ნ ი ს ა დ - უ.ს.) კმულსა ([5] 369).

როგორც ჩანს, გვიანდელი ავტორებისათვის გაუგებარია სიტყვა
„ა კ რ ი ა ნ ი ს“ მნიშვნელობა და ამიტომაც ხმარობენ ასეთ შეუ-
საბამო ფორმას. აქ ერთი რამ არის კიდევ გასათვალისწინებელი.
„შინაგან მთათა აკრიანთა“ გვიანდელ წყაროებში რატომღაც მხოლობი-
თი ფორმიტაა გადმოცემული და, როგორც ვხედავთ, ზოგი „მ თ ა,
ა კ რ ი ა ნ ს“ წერს, ზოგიც - „ა კ რ ი ა ნ ი ს მ თ ა ს“.
მაგრამ ობიექტის შესწავლით მტკიცდება, რომ ანტონის ცხოვრებაში
შემთხვევით არ არის ნახმარი მრავლობითი ფორმა. იგი სამ მთას მა-
ინც გულისხმობდა: დღევანდელ მ ა მ ა ა ნ ტ ო ნ ი ს ს ე რ ს,
მის ჩრდილოეთით 70-80 მეტრის დაშორებით მდებარე მადალ-მთას,
ე.წ. „შ ვ ი ნ დ ა ძ ი ს გ ა დ ა ს ა ხ ე ჯ ს“ და სამხრეთით
0,5-I კმ-ზე მდებარე ქ ვ ა კ ი ბ ი ს ე რ ს, რომელთაც ასევე
კლდოვანი კალთები აქვთ. აქ ისიცაა აღსანიშნავი, რომ ქვაკობისე-
რის სამხრეთ კალთებზე მდებარე ტყეს ფ ხ ა კ ა ეწოდება.

ფხაკაკი თანამედროვე სალიტერატურო ენაში და აგრეთვე ბევრ დიალექტში კლდიან ადგილს ნიშნავს.

აკრაიასაკრასრა კავშირი აქვს ბერძნულ აკრასთან (вершина; мыс; край, конец, предел Дрeвнегрeч.-рус.словарь, I, М., 1957г.) ჯერჯერობით ვერ ვიტყვით და ეს ჩვენს მიზანს არც წარმოადგენს. თუმცა კი, ეს სიტყვა ქართული რომ არ იყოს, ჩვენი დიდი ლექსიკოგრაფები ჩვეული სიზუსტით მიუთითებდნენ მის სადაურობას. აქ ერთი რამ უეჭველი ჩანს, აკრა აკრას-შეკუმშული ფორმაა და მას საერთო უნდა ჰქონდეს ისეთ სიტყვებთან, როგორცაა: კაკაკი, კაკაკოვანი - წყლტუ კლდოვანი (რაც თანამედროვე ქართული სალექსოვანს ნიშნავს), გამოკაკაკვლა (ნიადაგის გაწმენდა ქვისაგან). კერკეტოაკრიკიტი (მაგარი, მტკიცე) და სხვა. შდრ. აგრეთვე სვანური კა „ბრტყელი ქვა“, კაკერა „კერიის ქვა“, კაკვრ „ქვები“.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ახალი ქართული ენის კათედრასთან არ-
სებული ტომონიმიკის ლაბორატორია

У.Д.САЛТУЦИШВИЛИ

К этимологии топонима Акриани

Резюме

В статье дана этимология древнего названия Марткопи - Акриани.

По нашему мнению, "Акриани" აკრაიანი *aktiani* происходят от древнегрузинского нарицательного слова *აკრა//აკარა*, აკრა//აკარა *აკრა//აკარა* "скалистое место, каменная гора".

ლიტერატურა

1. აკ. შ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი, მარტყოფის წარსული და აწმყო, თბ., 1971.
2. აკ. შ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი, მარტყოფის ისტორიიდან. მაცნე, № 3, 1963.
3. П л а т о н И о с е л и а н и, Описание Марткопского МОНАСТЫРЯ. პ. რ ა ტ ი ა ნ ი, ვეფხისტყაოსნის ავტორის გინაობისათვის, თბ., 1969.
4. ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955.
5. ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965.
6. აკ. შ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი, მარტყოფის მონასტერი, თბ., 1963.
7. გ. ს ა ბ ი ნ ი ნ ი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურდი, 1882.
8. ე ბ ი ს კ თ ბ თ ს ი კ ი რ ი თ ნ ი, ცხოვრება და მოქალაქეობა ღირსისა მამისა ანტონ მესვეტისა, საკვირველმოქმედისა მარტყოფელისა, თბ., 1899.
9. ი ლ ი ა ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

მანანა სანაყოთი

ჩრდილოეთ ოსეთის ზოგიერთი ტოპონიმის
შესახებ

1971-75 წლებში გამოვიდა ა.ცაგაევას წიგნი „ჩრდილოეთ ოსეთის ტოპონიმია“ ორ ნაწილად. პირველ ნაწილში წარმოდგენილია ჩრდილოეთ ოსეთის ტოპონიმების სტრუქტურულ-ლინგვისტური ანალიზი, მათი სემანტიკური კლასიფიკაცია და ენობრივი ფენები. მეორე ნაწილი წარმოადგენს ტოპონიმთა ლექსიკონს. მასში შესულია 8326 ერთეული. ავტორისავე თქმით, ამ ტოპონიმთაგან 721 აუხსნელად უნდა ჩაითვალოს. იგი ამბობს: „დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ ოსეთის ამოუხსნელი გეოგრაფიული სახელწოდებების უმრავლესობა განეკუთვნება არა მარტო ოსური ენის უძველეს ფენას, არამედ იმ ტომთა ენებსაც, რომლებითაც დასახლებული იყო კავკასია ირანელების მოსვლამდე. ლინგვისტური მეცნიერების განვითარების დღევანდელ ეტაპზე ისინი შეადგენენ ამოუხსნელ ფენას ჩრდილო ოსეთის ტოპონიმიაში“ ([I] 161).

ჩვენ შევისწავლეთ ეს ე.წ. ამოუხსნელი ტოპონიმები და, ვფიქრობთ, ბევრ შემთხვევაში ხერხდება მათი წარმომავლობის ახსნა. რიგი ამ ტოპონიმებისა თვით ოსურისავე ნიადაგზე იხსნება, ერთი ნაწილი კი ქართული წარმოშობისად მიგვაჩნია.

ჩვენ ქვემოთ ზოგიერთი ასეთი ტოპონიმის შესახებ გვექნება მსჯელობა.

I. perani . დიგორის ხეობაში სოფ. ლეზგორს ჩამოუდის მდინარე, რომელსაც ეწოდება perani don <-perani+don „წყალი“. სიტყვასიტყვით „პერანი წყალი“. როგორც ვხედავთ, perani აქ გაურკვეველ სიტყვად ჩანს.

ჩვენი აზრით, perani ქართული სიტყვაა: „პერი“ ძველ ქართულში და ზოგიერთ მთის დიალექტში ნიშნავს „ქაფს“. ამგვარად,

perani -ში გამოიყოფა per -ძირი და -an სუფიქსი, რომელიც ასე-
ვე ქართულია.

ცნობილია, რომ ტომონიმურ სახელთა საწარმოებლად ძველი ქართუ-
ლიდანვე იყო გავრცელებული ნ. სუფიქსი ხმოვნისანი ვარიანტებით:
-ან (ძირითადი), -იან, -ოვან, -ევან ([3] 145). ამრიგად, per-a-
ni don ნიშნავს „ქაფიან მდინარეს“. ამ მოსაზრებას ის ფაქტიც
უჭერს მხარს, რომ ამავე ხეობაში სოფ. ხარესს ჩამოუდის მდინარე
ირაფის მთავარი ტოტი, რომელსაც ეწოდება finkჰ don, სადაც finkჰ
(ისევე როგორც don) ოსური სიტყვაა და ნიშნავს „ქაფს“. ამრიგად,
finkჰ don ნიშნავს „ქაფიან მდინარეს“. ეს კი იმის დამადასტურე-
ბელია, რომ მდინარეს, რომელსაც perani (don) ეწოდება, ოსების
ამ ადგილზე დასახლებამდე უკვე ჰქონდა ეს სახელწოდება. perani
წარმოშობით მსახლერელია, მეორე კომპონენტიც ქართული უნდა ყოფი-
ლიყო, მაგრამ დაკარგულია. შემდეგში perani-ს ოსებმა ოსური სიტ-
ყვა don „წყალი“, „მდინარე“ დაურთეს.

2. yoryani ხრამის სახელწოდებაა სოფ. ზარომაგში.

yoryani, ჩვენი აზრით, ქართული სიტყვაა, ისეთივე კონსტრუქცი-
ისა, როგორისაც perani. მასში გამოიყოფა yory ძირი და -an
სუფიქსი. yory იგივეა, რაც ქართული „ღორღი“. მაშასადამე, yo-
ryani ნიშნავს „ღორღიანს“. ასეთი წარმოების ტომონიმი ხშირია საქა-
რთველს ტერიტორიაზე, განსაკუთრებით მთის რაიონებში. შდრ.: ღორ-
ღიანაა - სათიბის სახელწოდება ხევში, სოფ. ფანშეტში ([4] 27).

3. nayora საძოვრის სახელწოდებაა სოფ. თიბთან (თუალეთი).

ჩვენი აზრით, იგი ქართული სიტყვაა. მასში გამოიყოფა na- პრეფიქ-
სი და yor ფუძე: nayora <--ნა+ღორ(ღვარ-); შდრ. ხევის ტომონიმი
ნაღორევა ([4] 21).

4. satauma მდინარის სახელწოდებაა სოფ. დიდინაში (დიგორის
ხეობა). ამავე ხეობაში satauma ეწოდება საძოვარს სალდარის მთის
კალთებზე სოფელ ზადალესკაში.

სათუაჲ ქართული სიტყვა უნდა იყოს. იგი ასე დაიშლება: სა-
თუმ-ე, სადაც თუმ<--თუნ, ე.ი. satume <-- „სათუნე“ („ადგილი,
სადაც ჭურჭელს წევდნენ“). თუნი ქართულში ნიშნავს „ჭურჭლის გა-
მოსაწვავს“ ([5] 142). satuma -ში e დაკარგული ჩანს.

5. ადჭერჲაჲჲ კომ სახელწოდებაა საძოვარი ხეობისა სოფ. წე-
ის მიდამოებში (ალაგირის ხეობა). ამ ტოპონიმში კომ ოსური სიტყვაა და ნიშნავს „ხეობას“, ხოლო ადჭერჲაჲჲ ასე დაიშლება: ად-
ჭერჲაჲჲჲ; ეს უ (ჯ) ოსურში ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია, რომ-
ლის წინ ხმოვანფუძიან სახელთან ჩნდება ქ ხმოვანთგასაყარი. ავით
ადჭერჲაჲ კი ჩვენ ქართულის „საკერპე“ გვგონია: ქართულის კ
ოსურში ჳ-დ არის გადასული, რაკი ოსურში მოქმედებს აფრიკატი-
ზაციის კანონი. ამრიგად, ადჭერჲაჲჲჲ-ქარო. „საკერპე“, რაც ნიშ-
ნავს „სამსხვერპლოს“ ([6] 398).

ჩვენ ზემოთ ხუთი ტოპონიმი განვიხილეთ. ხუთივე ნაწარმოები
ქართულისავე აფიქსებით (-ან, ნა-, სა-ე) და ეს უფრო დამაჯერებ-
ბელს ხდის იმას, რომ ეს ტოპონიმები ქართული წარმომავლობისაა.
მსგავსი გეოგრაფიული სახელწოდებანი სხვადასხვა ბევრია.

არც ერთი ზემოაღნიშნული ქართულ სიტყვათგანი არ განეკუთვნება
ოსური ენის ლექსიკურ ფონდს და, ამრიგად, აქ სიტყვათა ნასესხობა-
ზე არ შეიძლება ვარაუდის დაშვება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ახალი ქართული ენის კათედრასთან
არსებული ტოპონიმის დაზოგადება

О некоторых топонимах Северной Осетии

Р е з ю м е

В данной статье рассмотрены некоторые топонимы грузинского происхождения, засвидетельствованные в Северной Осетии :

1. პერაბი დონ *perani don* название реки < груз. პერაბი *periani* "пенистый"; 2. დორღიანი *yoryiani* - название оврага < груз. დორღიანი *yoryiani* "место, изобилующее щебнем"; 3. ნადორა *nauroa* название пастбища < груз. ნადვარევი *nauvrevi* "место, где прошел поток"; 4. სათუმე *satumē* название поля < груз. სათუმე *satumē* "место для обжига глиняной посуды"; 5. საჭერჭაი კომ *sačerpaŷ kom* название пастбища < груз. საკერპე *sakerpe* "место, где стояли идолы".

ლიტერატურა

1. А.Дз.Ц а г а е в а, Топонимия Северной Осетии, I, Орджоникидзе, 1971.
2. А.Дз.Ц а г а е в а, Топонимия Северной Осетии, II, Орджоникидзе, 1975.
3. ა. ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ღ ი, ტოპონომიკის შესწავლისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბ., 1961.
4. ვ. ი თ თ ნ ი შ ვ ი ღ ი, ხევის ტოპონომიკა, თბ., 1971.
5. ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა თ რ ბ ე ღ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, ტფილისი, 1928.
6. ა. ნ ე ი შ ა ნ ი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1961.

აბესალომ ტულუში

კვლავ ზუგდიდის ეტიმოლოგიისადვის

ზუგდიდი ქართულ და უცხოურ საისტორიო წყაროებში ორგვარი ფორმით გვხვდება: ზუგდიდი და ზუბდიდი. მეგრელები მას ზუგიდს უწოდებენ.

ზუგდიდის ეტიმოლოგია დიდი ხანია იბყრობს მეცნიერთა ყურადღებას. გამოთქმულია რამდენიმე მოსაზრება. ჩვენი მიზანია განვაშტაციოთ ერთ-ერთი მათგანი. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, გავეცნოთ სათანადო წყაროებს.

„ზუბდიდი“ მოხსენებულია: ლევან II დადიანის მიერ 1636 წელს რუსეთში გაგზავნილი ელჩის გაბრიელ გიგენავას მიერ რუსულ ენაზე შედგენილ მოხსენებაში ([1] 149); ამ ელჩობის საპასუხოდ 1640 წელს სამეგრელოში ნამყოფი რუსი დესპანის ფეოლოტ ელჩინის ჩანაწერში* ([1] 157; [2] 37); ქუთათელი ეპისკოპოსის ტიმოთე გაბაშვილის მიერ 1737 წელს შედგენილ იმერეთის სამეფოს რუკაზე ([3] 193); იმერეთის მეფის სოლომონ პირველის მიერ 1778 და 1779 წლებში გათმულ საბუთებში ([4] 248); ამავე მეფის ბრძანებით ნადავლ ზარბაზანზე ამოკვეთილ წარწერაში ([5] 367); 1818 წელს გადაწერილ ვახუშტის „აღწერაში“ (H-934). „ზუბდიდი“ გვხვდება ბესარიონ გაბაშვილის პოემაში „რუხის ბრძოლა“ და დავით ბაგრატიონის „ქაქავი-რთველოს ისტორიაში“ ([7] 31); იოჰან გიულდენშტედტი კი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ოდიშის სატახტოს ჰქვია „ზუბდიდი და არა ზუგდიდი“ ([8] 324)... მაგრამ წყაროთა უმეტესობაში სამეგრელოს მთავარ ქალაქს „ზუგდიდი“ ეწოდება. მათ შორის უძველესია 1621 წელს შედგენილი „აფხაზეთის საკათალიკოსოს გამოსავლის მოსაკრებლობის დავ-

*ელჩინი ზუგდიდს „ზუჟუადიტ“-საც უწოდებს.

თარი“ ([9] 419), აგრეთვე ლევან II დადიანის ხელიდან გამოსული საბუთები ([10]84; [11]34-35; [12]101). „ზუგდიდს“ უწოდებს ოდიშის სატახტოს 1662 წელს სამეგრელოში ნამყოფი ქართველი პოეტი ფეშანგი (იხ. „შაჰნავაზიანი“), იმერეთის მეფედ ნამყოფი არჩილი [13]126), XVIII საუკუნის სწავლული ბერი ეგნატაშვილი და ამავე საუკუნის ანონიმი ქართველი მემბტრანე ([14]361, 534), დიდი ქართველი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი ([15]450, 778, 817, 836), ისტორიკოსი ნიკო დადიანი ([16]144, 157, 162), ცაიშელი ეპისკოპოსი გრიგოლ ჩიქოვანი ([5]512), ოდიშის მთავარი ლევან V დადიანი ([17] 97), იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოზი [18], იტალიელი კათოლიკე მისიონერი არქანჯელო ლამბერტი ([19]32). იტალიელი მოწესის ქრისტეფორე დე კასტელის მიერ შედგენილი რუკაზეც „ზუგდიდი“ იკითხება. ვარიანტი „ზურგდიდი“ დადასტურებულია „საცაიშლოს დაცთარში“ ([9] 470) და 1808 წელს გადაწერილ ვახუშტის თხზულებაში [20]. პირველი მეცნიერი, რომელმაც სცადა ტოპონიმ „ზუგდიდის“ ახსნა, იყო ცნობილი ფრანგი მოგზაური დიუბუა დე მონპერე. მისი აზრით, „ზუგდიდი“ წარმოსდგება „ზუბდიდიდან“, ხოლო ზუბდიდი უკავშირდება აფხაზეთის სოფელ ღიხნის მეგრულ სახელწოდებას - ზუფეს ([21]248).

მარი ბროსემ კი ტოპონიმი „ზუგდიდი“ დაუკავშირა ბორცვის, გორაკის აღმნიშვნელ მეგრულ ზურგაზუგ სიტყვას და დაასკვნა, რომ „ზუგდიდი“ ნიშნავს „დიდ გორას“. მეცნიერი იმასაც აღნიშნავს, რომ მის შეხედულებას იზიარებენ გრიგოლ და კონსტანტინე დადიანები ([19]20). მარი ბროსეს მოსაზრებას მხარი დაუჭირეს პლატონ იოსელიანმა [22], დიმიტრი ბაქრაძემ [23]356), ნინო ხოშტარიამ ([24]208), მ. პაჭკორიამ ([25]51).

ნიკო. მარი „ზუგდიდის“ პირველ კომპონენტს უკავშირებდა ეთნონიმ სკვიოს: სკუთაჰსგუჰსუგაზუგ ([26]31), ხოლო სერგი შაკალათიას აზრით, ზუგდიდი ნიშნავს დიდ სიმაგრეს ([27]153). ელ. ცხაკაია დაეყრდნო „ზუგია“ სიტყვის სულხან-საბასეულ განმარტებას და „ზუგდი-

ღი“ ახსნა როგორც „დიდი სასაკმეველ“. თუმცა მკვლევარი ასევე შესაძლებლად მიიჩნევს, რომ ზუგდიდი მომდინარეობდეს სუცი („გორაკი, ბორცვი“) ან ზუგი („ციხე-სიმაგრე“) სიტყვებისაგან [28]. შ. მესხიამ სცადა დიუბუასეული მოსაზრების დასაბუთება. მან ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ დასავლეთ საქართველოში ხუთ სოფელს ერქვა ზუბი. აქედან გამომდინარე, ერთი მათგანისათვის, რომელიც მოსახლეობის სიმრავლითა და მდებარეობით გამოირჩეოდა, ხოლო შემდეგ სამთავროს სატახტო ქალაქადაც იქცა, შეიძლებოდა ეწოდებინათ ზუბდიდი. მაგრამ რადგანაც მეტყველებაში გღ კომპლექსი უფრო ასატანია, ვიდრე ბღ, მივიღეთ ზუგდიდი. XIX საუკუნიდან „ზუგდიდი“ საბოლოოდ სძლევს „ზუბდიდს“ და მის ადგილს იკავებს [4]. დიუბუა-მესხიასეული ეტიმოლოგია ვაიწიარა ც. ქირიამაც [29].

რამ განაპირობა გიულდენშტედტის კატეგორიული განცხადება, რომ ოდიშის სატახტოს ეწოდება „ზუბდიდი და არა ზუგდიდი“? იოჰან გულდენშტედტი თვითონ აღნიშნავს, რომ ვერ იმოგზაურა გურიასა და სამეგრელოში და ცნობები ამ მხარეთა გეოგრაფიისა და ხალხის შესახებ სწავლად იმერეთშივე შეკრიბა ([30] 155). თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თიბქმის ყველა ქართულ წყაროს, სადაც ზუგდიდი ზუბდიდად არის მოხსენიებული, იმერეთის სამეფო კარზე მივყავართ; ძალაუფლებურად გავვიჩნდება აზრი: ხომ არ მიუთითებს ეს გარემოება იმაზე, რომ რამდენიმე ზუბის არსებობის გავლენით სწორედ იმერეთის სამეფო კარზე წარმოიშვა მოსაზრება - „ზუბდიდი და არა ზუგდიდი“. ოდიშელი ან სამეგრელოში ნამყოფი არაოდიშელი მოღვაწეები ოდიშის სატახტო ქალაქს მხოლოდ და მხოლოდ ზუგდიდის სახით იცნობენ.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ძველი ზუგდიდი გაშენებული უნდა ყოფილიყო მაცხოვრის გორაზე, სადაც დგას კიდეც XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე აგებული ეკლესია „მანცხვარკარი“. ამ ეკლესიიდან სამასიოდე ნაბიჯზე შემორჩენილია ციხე-სიმაგრის ნაშთები, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი ჯიხას („ციხე“)

უწოდებენ.

უკი. ზუგდიდი თავდაპირველად გორაზე მდებარეობდა, ადგილი შე-
საძლებელია, მას თავისი სახელი თავისივე მდებარეობის გამო მიეღო.

ზუგისზურგი დღევანდელ მეგრულში არ იხმარება. იგი განდევნა მი-
სმამე ვარაიანტმა სუკისსურკი (ზ-ს და გ-კ ბგერათა მონაცვლეობა შე-
საძლებელია: კათალიკოსი - კათალიკოზი, ბაძგარია - ბაწყარია).

ზუგისზურგ რომ მართლაც ბორცვს, გორას ნიშნავს, ამას ადასტურებს
სამეგრელოსა და გურიის ტოპონიმიკური მასალა, რომელიც ძირითადად
გ. ელიავასა [31] და ი. სიხარულიძის ([32] 74-154) პუბლიკაცი-
ებიდან ამოვეყრბეთ:

„ზურგა“ - მალლობი ს. გეზათში

„ზურგა“ - ბორცვი კადარში, ძვ. აბაშასთან

„დიხაზურგა“ - ოთხ ბორცვს ჰქვია ს. წყემში

„დიხაზურგა“ - გორაკი ქ. აბაშის მიდამოებში

„დიხაზურგა“ - ბორცვი ს. მარანში

„დიხაზურგა“ - ამალღებული ადგილი ს. ქოლობანში

„დიხაზურგა“ - სამ სხვადასხვა ბორცვს ჰქვია ზანაში

„დიხაზურგა“ - მთაგორიანი სოფელი გალის რაიონში

„დიხაზურგა“ - მიწაზვინული ს. ვედიკარში

„დიხაზურგა“ - გორა გეჯეთში

„ზუგა“ - მალლობი ს. წყემში

„ზუგა“ - ამალღებული ადგილი ს. ნაესაკოში

„ზუგა“ - ამალღებული ადგილი ს. სუჯუნში

„ზუგა“ - მიწაზვინული სუჯუნაშივე

„ზუგა“ - გორა ვედიკარში

„ზუგა დიხა“ - ბორცვი ონოღიაში

„ზუგა“ - ბორცვი ღებანდრაოში

„ზუგა“ - ამალღებული ადგილი ნაჯახაოში

„ნათურქუ ზუგა“ - ბორცვი ბანძაში

„ზუგუ“ - საძოვარი გეგუთში

„აქაქელური ზუგა“ - გორა მუხურჩაში

„საუზურგი“ - მთა ლაზეთში, ხოფასთან

„ზურგა“ - გორა ჯურყვეთში

„ზრუგეთი“ - გორა აცანაში

„შუაზრუგეთი“ - გორა აცანაში

„ჭადიზრუგი“ - გორა აცანაში

„ორაგზურგი“ - გორა აცანაში

„ცხენიზრუგა“ - გორა ზემოხედაში

„ჯვარიზრუგი“ - გორა ზედაყველში

„ზურგია“ - გორა მუხურში

„ზურგეთი“ - მთაგორიანი ქალაქი გურიაში...

როგორც ვხედავთ, ყველა შემთხვევაში ზუგ||ზურგ ფუძიანი ტოპონი-
მი აღნიშნავს გორას, ბორცვს, საერაოდ, ამალღებულ ადგილს. ამავე
მნიშვნელობით ზუგ დღესაც იხმარება სვანეთში.

მაშასადამე, ზუგდიდის||ზურგდიდი მეგრულად დიდ ბორცვს ნიშნავს.
ასე ეწოდებოდა ბორცვს, რომლის სახელი შემდეგ მიიღო აქვე გაშენე-
ბულმა ქალაქმა.

ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული
მუზეუმი

А.Г. ТУГУШИ

Еще раз об этимологии *აქაქელური ზუგა*

Р е з ю м е

Из многочисленных этимологий названия "Зугдиди" (город в
Западной Грузии) наиболее верным является соображение Мари
Броссе, в котором упомянутое название возводится к мегрель-
скому зуг//зург "гора" и диди "большая". В статье приводятся
дополнительные материалы, закрепляющие это положение.

ლიტერატურა

1. М. Полиевктов, Материалы по истории грузино-русских взаимоотношений. Тб., 1937.
2. М. Полиевктов, Европейские путешественники XIII-XVIII веков по Кавказу. Тб., 1935.
3. შ. ბუჩუაძე, ლიხთიმერეთის 1737 წლის რეკა. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, თბ., 1959.
4. შ. მესხია, „ზუვლიდი“ თუ „ზუმლიდი“. კრებული „ორიონი აკაკი შანიძეს“, თბ., 1967.
5. თ. ყორღანია, ქრონიკები, ტ. III, თბ., 1967.
6. მ. ნიკოლეიშვილი, ისტორიული მასალები. „ქუთაისის მუზეუმის მასალები“, III, 1978.
7. Давид Багратиони, История Грузии. Тб., 1971.
8. გიულდენშტედტი ს მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, თბ., 1962.
9. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბ., 1970.
10. С. Какбадзе, Грузинские документы Института народов Азии. М., 1967.
11. მ. ნიკოლეიშვილი, XVII საუკუნის ისტორიული მასალები ქუთაისის მუზეუმში. „მასალები“, თბ., 1971.
12. M. Brosset, Rapports sur un Voyage Archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, St. Petersburg, 1849 (Ann. Rapport)
13. „არჩილიანი“, თბ., 1937.
14. ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959.
15. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973.
16. ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, თბ., 1962.
17. ც. ქირია, შ. სარია, მასალები საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1967.

18. აბ. ტ უ ლ უ შ ი, ზუგდიდის წარსულიდან, გაზეთი „მებრძოლი“, 1974, 5. 03.
19. ა რ ქ ა ნ ე ე ლ ო ლ ა მ ბ ე რ ტ ი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938.
20. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ხელნაწ. № 104.
21. Dibois de Montpéreux, Voyage autor du Caucase, t.I, Paris, 1839.
22. ზუგდიდის აღწერა. ხელნაწერის დედანი დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (ფონდი № 3070, 311), ხოლო პირი - ზუგდიდის მუზეუმში (ლიტ. არქივი, საბუთი № 1905).
23. Д. Б а к р а д з е, Кавказ в древних памятниках христианства, "Записки общества любителей кавказской археологии", кн. I, 1875.
24. ნ. ხ ო შ ო ბ ა რ ი ა, დიხა-გუძუბა, საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. V, № 2, 1944.
25. მ. პ ა გ ე კ ო რ ი ა, ფურცლები კოლხეთის ისტორიიდან, თბ., 1974.
26. Н. Я. М а р р, Избранные работы, т. 5, 1935.
27. ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1944.
28. ელ. ც ხ ა კ ა ი ა, ზუგდიდის ისტორიული წარსულიდან, გაზეთი „მებრძოლი“, 1958, 3, 10.
29. ც. ქ ი რ ი ა, რატომ ქვია ჩვენს ქალაქს ზუგდიდი? გაზ. „მებრძოლი“, 1963, № 77.
30. გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, თბ., 1964.
31. გ. ე ღ ი ა ვ ა, აბაშისა და გიგეშკორის რაიონის ტოპონიმოცა, თბ., 1977.
32. ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, მასალები გურიის ისტორიული გეოგრაფიისათვის, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებუ-ლი“, IV, თბ., 1971.

თეთრი უფროგაიძე

თუშეთი და არა მთაწმეთი

კავკასიონის მთავარ ქედზე თუშეთი დასახლებულ ტერიტორიას თუშეთი (მ თუშეთი) ეწოდებოდა ძველს საისტორიო ძეგლებში [1] და ეწოდება დღესაც.

გვიან თუშეთის პარალელურად გაჩნდა ტოპონიმი მ თ ა მ უ შ ე - თ ი (ორთგრაფიული ვარიაციებია: მ თ ა - მ უ შ ე თ ი. მ თ ა მ უ შ ე თ ი), რომელიც გაუმარტლებელია სახელების ყველა ასპექტით.

თუშები მე-17 საუკუნიდან იწყებენ კახეთში საქონლის გამომართვას, შემდეგ კი თანდათანობით სახელებიან კიდეც მე. აღაზნის მარცხენა მხარეს - აღავერდის მოპირდაპირედ, აღენის ველზე. თუშთა კახეთში ჩამოსახლება არსებითად მე-20 საუკუნის მეორე მეოთხედში დამთავრდა. ამჟამად თუშეთი დასახლებულია სოფლები: ქვემო აღვანი, ზემო აღვანი (ახმეტის რაიონი) და ნაწილობრივ ლალისყური (თელავის რაიონი). ამ ხანგრძლივი მიგრაციის პერიოდში თუშებს თუშეთისათვის თავი არასოდეს დაუნებებიათ - მცირერიცხოვანი მუდმივი მოსახლეობის გარდა, გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე თუშთა უმეტესობა დღესაც თუშეთში საქმიანობს ან ისვენებს მამა-პაპათა დატოვებულ კერაზე.

სახელი მ თ ა მ უ შ ე თ ი გვიან გაჩნდა, ჩვენს საუკუნეში, იმასთან დაკავშირებით, რომ თუშები თუშეთშიც ცხოვრობენ და კახეთშიც. მოვიყვანო ამ თვალსაზრისით საყურადღებო ადგილს ს. მაკალათიას „თუშეთიდან“: „თუშები მომთაბარე ხალხია და მათი მოსახლეობაც მოძარცვია. ზაფხულში თუშები მთაში ბინადრობენ, ზამთარში კი ბარში ჩამოდიან და ცხოვრობენ კახეთში აღენის ან აღვანის ველზე,

სადაც გაშენებულია მათი ორი დიდი სოფელი ქვემო და ზემო ალვანი. ა მ ი ტ ო მ, თ ა ვ ი ს ი გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი მ ლ ე ბ ა - რ უ ო ბ ი თ, თ უ შ ე თ ი ო რ ა დ ა რ ი ს გ ა წ ყ ვ ე ტ ი - ლ ი : მ თ ა თ უ შ ე თ ი . დ ა ა ლ ვ ა ნ ი (ხ.ჩ. - თ.უ.). მაგრამ თუშურ მოსახლეობის ისტორიულ-გეოგრაფიულ ტერიტორიად დღე-სადაც ითვლება მათაუშეთი, სადაც მათი ძველი სოფლებია გაშენებული“ [2].

ეს მსჯელობა ტიპურია მათთვის, ვინც იყენებს ტოპონიმ მ თ ა - თ უ შ ე თ ს.

ზემოთ ხაზგასმით წარმოვადგინეთ მსჯელობის ის ნაწილი, სადაც თ უ შ ე თ ი ე წ ო ლ ე ბ ა თ უ შ ე ბ ი თ დ ა ს ა ხ ლ ე - ბ უ ლ ტ ე რ ი ტ ო რ ი ა ს კ ა ვ კ ა ს ი ო ნ ი ს მ თ ა - ვ ა რ ქ ე დ ზ ე დ ა კ ა ხ ე თ შ ი იმის გამო, რომ თუშები ამჟამად ორივეგან სახლობენ. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ თ უ - შ ე თ ი გამოიხატა ორი ტოპონიმით - მ თ ა თ უ შ ე თ ი თ ა დ ა ლ ვ ნ ი თ. ახალმა ტოპონიმმა მ თ ა თ უ შ ე თ ი მ ა მ ნ ი შ ე ნ ე - ლ ო ბ ი თ გადაფარა დღემდე თ უ შ ე თ ა დ ცნობილი ტერიტორია. ტ ო - პ ო ნ ი მ მ თ ა თ უ შ ე თ ი ს გვერდით გაფართოვდა თ უ შ ე თ ი ს გეოგრაფიული მნიშვნელობა - გარდა ძველი თუშეთისა (ტერიტორია კ ა - ვ კ ა ს ი ო ნ ი ს მ თ ა ვ ა რ ქ ე დ ზ ე), მოიცვა კახეთის ნაწილიც (თანაც არა- მოსაზღვრე!).

ასეთი ცვლილებები გაუმართლებელია, რადგან თუშთა მომთაბარული ცხოვრების წესი კახეთს თუშეთად ვერ აქცევს და, მაშასადამე, ალ-ვანი ვერასოდეს შევა თუშეთში (ასე ხომ თბილისის ახლოს ხევსურე-ბიო დასახლებული სოფ. გამარჯვება ხევსურეთად უნდა გამოვაცხადოთ!).

თუშეთს, როგორც ტოპონიმს, მნიშვნელობა არ შესცვლია და საჭირო აღარ არის ახალი ტოპონიმი მ თ ა თ უ შ ე თ ი .

უთუოდ საყურადღებოა თუშთა მიგრაციის ასახვა მათ მეტყველებებაში: უბირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ თუშთა ლექსიკაში დღემდე არ არსებობს ტოპონიმი მათაუშეთი. თუში, როცა თუშეთში მიდის, ასე

ამბობს: „თუშეთ წავადრი“ (თუშეთში მივდივარ), ხოლო როცა თუშეთიდან ალვანში მოდის, ასე: „ალონ (ალვანში) წავადრი“ ე.ი. ალონს (ალვანში) მივდივარ, ან ასე: „კახეთ წავადრი“ (კახეთში მივდივარ. ვ ა რ ა უ დ რ ბ ს ა ლ ვ ა ნ ს),

ალვანში მიმავალი თუში არ იტყვის თუშეთში მივდივარო, აქაოდა თუშები ალვანში ცხოვრობენო; თუშეთიდან ალვანს მიმავალი თუშის ნათქვამი - „კ ა ხ ე თ წ ა ვ ა ლ რ ი“ კი ჩვეულებრივი გამოთქმაა, მაშასადამე, ა ლ ვ ა ნ ი თ უ შ ი ს თ ვ ი ს კ ა ხ ე თ ი ც ა რ ი ს.

ყურადღებას იპყრობს კიდევ შემდეგი თუშური სიტყვები: კ ა ხ ე თ რ ა ჯ , კ ა ხ უ რ ა ყ რ ი და თ უ შ უ რ ა ყ რ ი. ერთ ლექსში თუში მწყემსი ჩივის:

„მწყემსობამ დამასწულა, მუდმივ ცხვის შეილობამაც...
უდროოდ კახეთობამაც, საპალნის ზიდილმანაც“

ლექსის „უდროოდ კახეთობა“ მ თ ი დ ა ნ ა ლ ვ ა ნ შ ი წ ა რ ა მ ა რ ა ს ი ა რ უ ლ ს ნ ი შ ნ ა ვ ს ც ხ ე ნ ე ბ ი ს ჯ ო გ ი თ , რ ო მ დ ი თ ა ც ყ ვ ე ლ - მ ა ტ ყ ლ ს ე ზ ი დ ე ბ ო დ ნ ე ნ (ა მ ა ს უ კ ა ვ შ ი რ დ ე ბ ა „ს ა პ ა ლ ნ ი ს ზ ი დ ი ლ ი“).

თ უ შ უ რ ა ყ რ ი ს თუშია, რომელიც მუდმივად თუშეთში ცხოვრობს, ზოგჯერ ისიც, ვინც ლაპარაკის დროს თუშეთშია.

თ უ შ უ რ ა ყ რ ი ს საპირისპიროა კ ა ხ უ რ ა ყ რ ი , რომელიც ალვანის კახეთის მკვიდრ თუშს ნიშნავს ან იმას, ვინც ლაპარაკის დროს ალვანში, კახეთში იმყოფება. კ ა ხ უ რ ა ყ რ ი მხოლოდ თუშზე ითქმის, არათუში კახი იქნება და არა კახურაყრი?

როგორც ჩანს, თვით თუშთა გაგებიდაც გაუმართლებელია ტოპონი-

მი მ თ ა თ უ შ ე თ ი , გაუმართლებელია აგრეთვე თ უ შ ე -

* საქარაველოში, მეზობელი მთის ტომების გარდა, ადრე თუშები არჩევდნენ კ ა ხ ს ა და ი მ ე რ ე ლ ს; აღმოსავლეთ საქარაველოდან ყველა კ ა ხ ი ი ყ ო , დასავლეთიდან - ყველა ი მ ე რ ე ლ ი .

თ ი ს გაფართოებული მნიშვნელობით ხმარებაც (აღვანსაც რომ მოიცავდეს).

საქ.სსრ მეცნიერებათა აკადემია
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ფ.გ.უტურგაიძე

Тушети или Мтатушети?

Р е з ю м е

Эти же географическими названиями в настоящее время имену-
ют часть Восточной Грузии на склонах Большого Кавказа, кото-
рая населена тушинами.

В исторических источниках с древних веков встречается лишь
название Т у ш е т и; сами тушины свой край называют не иначе,
как Т у ш е т и. Топоним М т а т у ш е т и параллельно с Т у -
ш е т и стали употреблять с начала XX века.

Название М т а т у ш е т и ("нагорный Тушети") не оправ-
дано, так как оно подразумевает другое название с противопо-
ложным значением - "равнинный Тушети". Для этого нет никако-
го основания (на низменности тушины живут в Кახети), следо-
вательно правильным является название Т у ш е т и.

ლიტერატურა

1. კარლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955; ტ. II, თბ., 1959;
ვ ა ხ ე შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1971;
გოულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, თბ., 1962.
2. ს ე რ გ ი მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, ტფილისი, 1933.

მიხეილ ქამადაძე

პრეფიქს-სუფიქსური წარმოება ზემო აჭარის

ტოპონიმიაში

საზოგადოდ, ოდენპრეფიქსული წარმოება ქართულ ტოპონიმიაში შეზღუდულია, რადგან წინავითარების ნ ა- და დანიშნულების ს ა- თავსართები სუფიქსებთანაა უფრო პროდექტიული.

ზემო აჭარის ტოპონიმიაში პრეფიქს-სუფიქსებით გაფორმებული სახელწოდებები საკმაოდ ხშირად დასტურდება. პრეფიქსებად ძირითადად წინავითარების ნ ა- და დანიშნულების ს ა- თავსართები გვხვდება.

დანიშნულების შინაარსის მქონე გეოგრაფიული სახელების მაწარმოებელ აფიქსთა შორის ყველაზე ხშირად გვხვდება ს ა- - -ე+ა ფორმანტის დისიმილირებული ფორმა ს ა- - -ი ა, რომელსაც ზოგჯერ დაერთვის სახელობითი ბრუნვის ნიშანი -ი (->ა): ს ა-ჯ ი ნ ჭ-რ-ი ა <სა-ჯინჭრ-ე-ა (სახნავი, პაპოშვილები)? ს ა-მ ა რ ვ-ი ა (სათიბი, გოგაძეები); ს ა-გ ვ ე ლ-ი ა-ა (სათიბი, ნაღვარევი); ს ა-ს წ ო რ-ი ა-ა (სათიბი, კარაპეტი); ს ა-ლ ე რ წ მ-ი ა (ტყე, ჭალა); ს ა-შ ხ ა მ-ი ა (სათიბი, ვანი); ს ა-მ ტ რ ე დ-ი ა (სახნავი, ბოლაური); ს ა-ბ ე რ წ-ი ა (საძოვარი, დღვანი); ს ა-ჯ ო გ-ი ა-ა (საძოვარი, გორგაძეები); ს ა-ხ ვ ა რ თ ქ ლ-ი ა** (საძოვარი, კვატია); ს ა-კ ა უ-ი ა (სახნავი, ხიხაძირი); ს ა-დ ა თ ვ-ი ა-ა (სათიბი, თაგო) და სხვ.

ს ა- - -ი ა (<ს ა- - -ე-ა) აფიქსებით გაფორმებული ტოპონიმები საკმაოდ სიხშირით დასტურდება საქართველოს სხვა რეგიონების გეოგრაფიულ ნომენკლატურაშიც: საბაწრია, სადათვია, საკატია, სა-

* ფრჩხილებში მოთავსებული მეორე სიტყვა სოფლის სახელწოდებაა.

** ხვართქლა - ერთგვარი ბალახი.

კენჭია... ლეჩხუმში [1]; საკიბია, სანისლია, საქორია... რაჭაში [2], [3]; ამ ტიპის წარმოება გვხვდება აგრეთვე ერწო-თიანეთის [4], ფშავის [5], მთულეთ-გულამაყრის [6]... ტოპონიმიაში.

ზემო აჭარის ტოპონიმიაში დანიშნულების სახელებს აწარმოებს აგრეთვე ფორმანტები: ს ა - - -ო; ს ა - - -ე; ს ა - - -ე ლ; ს ა - - უ ლ-ა; ს ა - - -ე თ; ს ა - - -ო -ა; ს ა - - -ე ბ; ს ა - - -ურ ... საერთოდ, ეს ა-ო წარმოება აღნიშნავს დანიშნულებას, განზრახვას, მიკუთვნებას * ([7] 5 9). შენიშნულია, რომ პრეფიქს-სუფიქსებიდან ს ა - - -ო მაწარმოებულს მეტი სასიცოცხლო ძალა აქვს. იგი, ამავდროულად, პროლექტიულობითაც გამოირჩევა. ს ა - - -ო პრეფიქს-სუფიქსი ხშირად დაერთვის ეროვნულ-ტომობრივ, საკვარეულო, ან რომელიმე მფლობელის სახელს; სა-ქარაველ-ო, სა-ორბელ-ო, სა-ბარათიან-ო... ([8] 137). ზემო აჭარაში ანალოგიური ტიპის მხოლოდ ერთი გეოგრაფიული სახელწოდება დასტურდება: ს ა - - - ა ყ ე ლ-ო (სოფლის უბანი, ჭალა). დანარჩენ შემთხვევაში აღნიშნული ფორმანტი ტოპონიმებს აწარმოებს საზოგადო სახელისაგან: ს ა - - - ტ ბ ა-ო (ღეღე, ოქტომბერი); ს ა - - - დ ა ვ-ო (სათიბი, რიყეთი); ს ა - - - ხ ა რ ა ტ-ო (სახნავი, აგარა); ს ა - - - ვ ა ჭ რ-ო (სათიბი, ვანაძეები); ს ა - - - მ ა რ ი ლ-ო (საძოვარი, მახალაკიძეები); ს ა - - - მ ა რ ხ ი ლ-ო (სახნავი, ჭერი); ს ა - - - კ ა რ-ო (სახნავი, გორგაძეები) და სხვ.

ს ა - - - -ო და ს ა - - - ე მაწარმოებლები ფენქციით ძალზე ახლოსაა ერთმანეთთან. ეს აფიქსები საკვლევ ტერიტორიაზე მხოლოდ მიკროობიექტების სახელწოდებებთან გვხვდება. აღნიშნული ფორმანტები ზოგჯერ ერთი და იმავე ფუძიდან აწარმოებს ტოპონიმებს, მათ ურთიერთშენაცვლებას არავითარი ცვლილება არ შეაქვს სახელწოდების შინაარსში. მაგალითად, სიტყვების ს ა - - - მ ა რ ი ლ-ე (სოფლის უბანი, ხიხაძირი) და ს ა - - - მ ა რ ი ლ-ო (საძოვარი, მახალაკიძეები) სემანტიკური იგივეობა ეჭვს არ იწვევს.

დანიშნულების ს ა - - - ე პრეფიქს-სუფიქსი გავრცელების მხრივ

ს ა- - -ი+ა მაწარმოებლის შემდეგ ს ა- - -ო აფიქსების გვერ-
დიდაა: ს ა-თ ი ხ-ე (სოფლის უბანი, ყინჩაური); ს ა-ნ ა ხ შ ი-
რ-ე (სათიბი, ნამონასტრევი); ს ა-კ ი ბ ო რ ჩ ხ ლ-ე- (სათიბი,
პაქსაძეები); ს ა-ლ ა ნ ქ რ-ე (სახნავი, კორტოხი); ს ა-თ უ შ-ე*
(სათიბი, დარჩიძეები); ს ა-ჩ ი ტ-ე (ტყე, ჭერი) და სხვ.

საქართველოს სხვა რეგიონების ტოპონიმის მსგავსად ზემო აჭარის
გეოგრაფიულ ნომენკლატურაში დანიშნულების მაწარმოებელ აფიქსთაგან
სწორედ განხილული სამი (ს ა- - -ი ა, ს ა- - -ო, ს ა- - -ე)
ფორმანტია ყველაზე პროლექტიული. სამივე მხოლოდ მიკროერთეულების
მაწარმოებლად დასტურდება. მიკროტოპონიმებს აწარმოებს აგრეთვე:

ა. ს ა- - -ე თ- : ს ა-გ ვ ე ლ-ე თ-ი (სათიბი, ჩაო); ს ა-
ჯ ვ ე რ-ე თ-ი** (სახნავი, დანისპარაული); ს ა-ფ ი ლ-ე თ-ი,
ს ა-ყ ა ვ რ-ე თ-ი. (სათიბები, ძირკვაძეები); ს ა-ვ ა ნ-ე თ-ი
(სათიბი, მენხალაშვილები) და სხვ.

ბ. ს ა- - -უ რ- (II ს ა- - -უ ლ-), ს ა- - -უ რ - ა (II ს ა-
- -უ ლ -ა) : ს ა-ბ ა დ-უ რ-ი, ს ა-ც ე რ-ა-უ ლ-ი (სათიბი, სა-
ხნავი, ვანაძეები); ს ა-კ ა მ ბ ე ჩ-უ რ-ა (ტყე, მთის ნაწილი);
ს ა-ქ ა რ-უ ლ-ა (სოფლის უბანი, კვატია) და ა. შ.

გ. ს ა- - -ა: ს ა-გ ი გ ე ნ-ა***. (ღელე, ოქტომბერი); ს ა-
ყ ე ვ ა რ-ა-ა (სათიბი, აგარა); ს ა-კ ო რ წ ი ა ლ-ა-ა (საძოვა-
რი, ფშრუჯაული)... ს ა- - -ა პრეფიქს-სუფიქსი ტოპონიმებს უპი-
რატესად ზმნური ფუძეებიდან აწარმოებს.

დ. ს ა- - -ე ლ- : ს ა-თ ი ბ-ე ლ-ი (სახნავი, კორტოხი); ს ა-
ბ ა ნ-ე ლ-ი (ტბა, წაბლანა)...

ე. ს ა- - -ე ლ-ა : ს ა-რ ე კ-ე ლ-ა-ა (სოფლის უბანი, კორტოხი);
ს ა-მ წ ყ რ ე ვ-ე ლ-ა (ტყე, ლურტა) და სხვ.

*თუშს უმეტესად ზამთარში აკეთებენ: მოჭრილ ხეებს შეკრავენ,
ზედ ფიჩხს ან თივას დატვირთავენ და დაღმართში ჩამოაცურებენ.

**ჯგვერი - უხეში ბურქი ან ძაღო.

***გიგვინი - ხმამაღალი სიცილი. ამ შემთხვევაში-ღელის ხმაური.

ვ. ს ა - არ, ს ა - - - არ - ა - ს ა - თ ი ხ - ა რ - ი (სახნავი, ჩაო);
ს ა - წ უ მ პ - ა რ - ა (საძოვარი, კობალთა)...

უნდა აღინიშნოს, რომ ს ა - ა, ს ა - ე ლ აფიქსებით ნაწარმოებები ტოპონიმები წარმოშობით ვნებითი გვარის მომავალდროიანი მიმღობითი ფორმებია.

დანიშნულების ს ა - ე მაწარმოებელს ხშირად ემატება მრავლობითის - ე ბ სუფიქსი* და ვლუბულობთ ს ა - ე + ე ბ - ს. ზემოაჭარულ მეტყველებაში ს ა - ე - ე ბ > ს ა - - ი - ე ბ. ორი ერთნაირი აფიქსისეული ხმოვნის შეხვედრის შედეგად დისიმილაცია მოსდის ერთ-ერთს, ჩვეულებრივ, წინამავალს. მაშასადამე, ბოლოკიდური - ი - ე ბ < ე - ე ბ მრავლობითის - ე ბ - ისა და აფიქსისეული ე - ს შეხვედრის პირობებში (შდრ. [9] 30). შენიშნულია, რომ აჭარულში - ე ე > ი ე > ა ე ტენდენცია ბოლომდეა გატარებული ([10] 95). დავასახელებთ რამდენიმე ტოპონიმს: ს ა - ე ა რ - ა - ე ბ - ი (ქსა-კარ-ი-ებ-ი-ქსა-კარ-ე-ებ-ი) (სახნავი, ქედლები); ს ა - ე ე ც - ა - ე ბ - ი (სათიბი, წინწყალაშვილები); ს ა - ე ი ტ რ - ა - ე ბ - ი (საძოვარი, კარაპეტე); ს ა - ხ უ ნ დ - ა - ე ბ - ი (სათიბი, წინწყალაშვილები)... და სხვ.

ქართველურ ენებში ნ ა - პრეფიქსი ცნობილია როგორც ნამყოს მიმღობის მაწარმოებელი. ზემო აჭარის ტოპონიმიაში დანიშნულების ს ა -, ასევე წინავითარების ნ ა - მაწარმოებლები სუფიქსებთანაა პარალელური, როგორც ეს ქართულ ტოპონიმიაშია საერთოდ.

პარალელური მაწარმოებლები ნ ა - - ა რ და ნ ა - - - ე ვ - გეოგრაფულ სახელწოდებებში გვიჩვენებენ, თუ რას წარმოადგენდა ეს ადგილი ადრე, რა იყო იქ, ან რა მოხდა. „ნ ა - ა რ და ნ ა - ე მ ერთია ფენქციით, მაგრამ ერთ ფეძესთან შეიძლება ერთი წარმოება იყოს დამკვიდრებული, მეორესთან კი - მეორე“ ([8] 133).

*სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მრავლობითის - ე ბ სუფიქსი ზოგჯერ ტოპონიმით აღნიშნული ადგილის სიდიდეზე მიუთითებს ([11] 110-111).

საკვლევი ტერიტორიაზე ნ ა - - - ე ვ - - და ნ ა - - - ა რ (11 ნ ა -
 - ა ლ) წინა ვითარების შინაარსის გამომხატველი სახელწოდებების
 საკმაოდ დიდ ნაწილს აწარმოებს: ნ ა - ჯ ი ხ უ რ - ე ვ - ი (სოფლის
 უბანი, ინწკირვეთი); ნ ა - კ ა ნ ა ფ - ე ვ - ი (სოფლის უბანი, ნე-
 ნია); ნ ა - ლ ი ლ - ე ვ - ი (სათიბი, ირემაძეები); ნ ა - ა ფ რ -
 ე ვ - ი (საძოვარი, დიდაჭარა); ნ ა - ჯ ე ვ ა რ - ე ვ - ი (გზა,
 წაბლანა); ნ ა - ჭ ა ხ ტ - ე ვ - ი* (სათიბი, ვერხვანა); ნ ა -
 ღ ვ ა რ - ე ვ - ი (სათიბი, ცინარეთი); ნ ა - ხ ა ლ ხ მ -
 ე ვ - ი** (სათიბი, კალოთა); ნ ა - ს ა ხ ლ - ე ვ - ი (სახნავი,
 ტომაშეთი) და ა.შ.

ნ ა - - - ა რ . მაწარმოებელი ხშირად გვხვდება იმავე ფუძესთან,
 რომლისგანაც ნ ა - - - ე ვ . აწარმოებს ტოპონიმებს: ნ ა - ს ა ხ ლ -
 ა რ - ი (საძოვარი, კარაპეტი); ნ ა - ს ა ყ დ რ - ა ლ - ი (საძოვარი,
 ძმაგულა); ნ ა - ძ უ რ წ - ა ლ - ი*** (სათიბი, მანიაკეთი);
 ნ ა - ჭ ე ვ ა ვ - ა რ - ი . (სათიბი, ინწკირვეთი)...

ნ ა - - - ე ვ - და ნ ა - - - ა რ (11 ნ ა - - - ა ლ -) პრეფიქს-
 სუფიქსებს ზოგჯერ დაერთვის -ა ფორმანტი: ნ ა - ჭ უ რ - ე ვ - ა
 (სახნავი, ნენია); ნ ა - ს ა ხ ლ - ე ვ - ა - ა (სახნავი, მინ-
 თაძეები); ნ ა - გ ვ ი მ რ - ა ლ - ა (საძოვარი, ტაბახმელა) და ა.შ.

ნ ა - - - ე ბ - : ნ ა - ფ ლ ა ტ - ე ბ - ი (სახნავი, გოდგაძეები);
 ნ ა - კ ა ფ - ე ბ - ი (სათიბი, მეხალაშვილები); ნ ა - ყ ა ვ რ -
 ე ბ - ი (სახნავი, კვატია); ნ ა - ჩ ა მ უ რ - ე ბ - ი (სახნავი,
 ოლადაური) და სხვ.

საერთოდ, ზემოაჭარულ მდებარეობაში მრავლობითის -ე ბ - სუფიქსი
 განსაკუთრებული ინტენსივობით ხასიათდება. ეს ვითარება აისახება
 მხარის ტოპონიმიაშიც.

საკვლევი ტერიტორიაზე ნ ა - - - ე ბ პრეფიქს-სუფიქსიანი სა-

*ჭახტვა - გარკვეული წესით ხეების დაწყობა.
 **ნალხამი - შემოღობილი ადგილი, სადაც საჭონელს ამწყვედვენ.
 ხალხამს, ჩვეულებრივ, სახლის, იაილის (სახლი საზაფხულო საძოვარზე)
 გვირდით (სახურავის გარეშე) შემოვლით ვაქვან.
 ***ძურწა ერთგვარი ბალახის სახელწოდებაა.

ხელები საკმაო რაოდენობით დასტურდება. ასეთი ტიპის ფორმებში - ე ბ სუფიქსი ფუნქციურად თავისუფლად ენაცვლება - ე ვ - ს და იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მისი ფარდობაა. ნ ა - - - ე ვ - და ნ ა - - - ე ბ - აფიქსებიანი სახელები სემანტიკურად ახლოს დგას ერთმანეთთან, ორივე წინა ვითარებას გამოხატავს. ამის უფრო ნათელსაყოფად დაეიმოწმებთ საქართველოს ზოგიერთი რეგიონის ტოპონიმების მონაცემებს: ნ ა - ფ ა რ ე ხ - ე ბ - ი (ღერხუმი) ([3] 237); ნ ა - ბ ო გ ი რ - ე ბ - ი, ნ ა - ბ ო ს ლ - ე ბ - ი, ნ ა - მ ა რ ნ - ე ბ - ი [2]; ნ ა - ს ო ფ ლ - ე ბ - ი, ნ ა - ლ ო ბ ი - ე ბ - ი (წყალტუბოს რ.) ([11] 115); ნ ა - ვ ა ნ - ე ბ - ი [13]... ანალოგიურ ფორმებში უდავოდ წინა ვითარებაა გამოხატული.

ზემო აჭარის ტოპონიმიში დასტურდება ასეთი პარალელური ფორმები: ნ ა - წ ი ს ქ ე ი ლ - ე ბ - ი, ნ ა - წ ი ს ქ ე ი ლ - ე ვ - ი, ნ ა - ს ა ხ ლ - ე ბ - ი, ნ ა - ს ა ხ ლ - ე ვ - ი... ამ სახელებში ნ ა - - - ე ბ - და ნ ა - - - ე ვ ფორმანტები წინა ვითარებას გამოხატავს.

შენიშნულია, რომ წინა ვითარების სახელების საწარმოებელი - ე ვ სუფიქსის ნაცვლად ნახმარი - ე ბ მიმღეობის ფორმებიდან მომდინარეობს. ამის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად მიჩნეულია ვნებითი გვარის ნამყო ღროს ნ ა - პრეფიქსიანი მიმღეობებისა და წინა ვითარების სახელების სემანტიკური სიახლოვე [14] 151].

საკვლევო რეგიონის ტოპონიმიში ნ ა - პრეფიქსი წინა ვითარების საწარმოებლად სხვა სუფიქსებსაც იყენებს: ნ ა - - ა : ნ ა - ყ ი - დ - ა - ა (სახნავი, ღურტა); ნ ა - კ ა ფ - ა - ა (სახნავი, ნა-მონასტრევი); ნ ა - - უ რ : ნ ა - დ ა ბ - უ რ - ი (სოფლის უბანი; ხიხაძირი); ნ ა - - ე ვ ა ე ბ : ნ ა - ა ს ლ - ე ვ - ე ბ - ი (სათიბი, შუბანი); ნ ა - ს ა ხ ლ - ე ვ - ე ბ - ი (სათიბი, ტბეთი); ნ ა - ბ ე ლ - ე ვ - ე ბ - ი (სახნავი, როყეთი); ნ ა - - - ა რ ა ე ბ : ნ ა - ა ს ლ - ა რ - ე ბ - ი (სახნავი, ტაკიძეები); ნ ა - გ ო მ -

ა რ - ე ბ - ი (სათიბი, მუხალაშვილები); ნ ა - ფ ე ტ ვ - ა რ -
ე ბ - ი (სახნავი, ჯაბნიძეები); ნ ა - ლ ო მ - ა რ - ე ბ - ი
(სათიბი, კარაპეტი) და სხვ.

ზემო აქარის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში იშვიათად დასტურდება
ისეთი საინტერესო ფორმებიც, რომლებშიც ერთდროულად წინავითარების
ნ ა - და დანიშნულების ს ა - პრეფიქსები ჩანს: ნ ა - ს ა - ლ გ ო -
მ - ე ვ - ი (სათიბი, აგარა); ნ ა - ს [ა] - კ ა ნ ა ფ ვ - ა რ - ი
(სახნავი, უჩხო) და სხვ.

საკართველოს სხვა რეგიონების ტოპონიმიშიც გვხვდება ისეთი
შემთხვევები, როცა ერთ პრეფიქსთან რამდენიმე სუფიქსი მონაწილე-
ობს გეოგრაფიული სახელწოდების გაფორმებაში. მაგ.: ნ ა - ლ ვ ა რ -
ე ვ - ა, ნ ა - გ უ ბ - ა რ - ა, ნ ა - ც ხ ვ რ - ე ვ - ე ბ - ი
(ფშავი) ([5] 58-59); ნ ა - ბ ა შ ბ - ა რ - ე ბ - ი, ნ ა - მ ა ლ -
ა რ - ე ბ - ი (წყალტუბოს რ.) ([11] 115); ნ ა - ფ ე ტ ვ - ა რ - ა,
ნ ა - ფ ე ტ ვ - ა რ - ა, ნ ა - ქ ე რ - ა ლ - ა, ნ ა - ს ვ ი ლ -
ა რ - ა (ერწო-თიანეთი) ([4] 71); ნ ა - ა ს ლ - ა რ - ე ბ - ი,
ნ ა - ფ ე ტ ვ - ა რ - ა (მთიულეთ-გუდამაყარი) ([6] 162)...

ზემო აქარის ტოპონიმიში დადასტურებულ წინავითარების შინაარ-
სის მქონე სახელწოდებებში ხშირად გვხვდება -ვ თანხმოვანი, რომ-
ლის ფუნქცია ზოგჯერ გაურკვეველია: ნ ა - ქ ო ხ - ვ - ა რ - ი,
ნ ა - კ ა ნ ა ფ - ვ - ა რ - ი, ნ ა - ა ხ - ვ - ე ვ - ი, ნ ა -
კ ა ლ - ვ - ე ვ - ი და ა.შ.

ა. შანიძე შენიშნავს, რომ „ზოგ შემთხვევაში ე ვ სუფიქსს
-ა რ - ი დართვია და ხმოვნის ამოდების გზით (ე) ვ - ა რ - ი გაცემე-
ბულა: ... ნ ა - ც ი ხ - ვ - ა რ - ი (ნაციხ-ევ-არ-ი)“... ([8] 134).
ჩვენი მასალის მიხედვით, ვ ყოველთვის -ე ვ სუფიქსის ნაშთი არაა.
მაგალითად, ტოპონიმებში ნ ა - კ ა ლ - ვ - ე ვ - ი, ნ ა - ა ხ -
ვ - ე ვ - ი ვ თანხმოვანი აფიქსისეული ხმოვნის წინ ფუძისეული
ო - ს დასუსტების შედეგია (ნ ა - კ ა ლ ო - ე ვ - ი > ნ ა - კ ა ლ ე -

ე ვ-ი > ნ ა-კ ა ლ ვ- ე ვ-ი; ნ ა-ა ხ ო-ე ვ-ი > ნ ა-ა ხ ჭ-ე ვ-ი
> ნ ა- ა ხ ვ- ე ვ-ი).

ზემო აჭარაში (ხულოსა და შუახევის რაიონები) 160-ზე მეტი დი-
დი და პატარა სოფელია. აღსანიშნავია, რომ აქაური ოიკონიმების
პრეფიქს-სუფიქსური გაფორმება შეზღუდულია. ასეთი წარმოების მხო-
ლოდ რამდენიმე სოფლის სახელწოდება დასტურდება: ნ ა-გ ო მ-ა რ-ი,
ნ ა-ღ ვ ა რ-ე ვ-ი, ნ ა-მ ო ნ ა ს ტ რ-ე ვ-ი, ს ა-ც ი ხ-უ რ-ი.
რაც შეეხება ზემოთ განხილულ მასალას, იგი მთლიანად მხარის მი-
კროტოპონიმის სფეროდანაა აღებული.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია
ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი
ინსტიტუტი

М.Р.КАМАДАДЗЕ

Префиксально-суффиксальное образование в топо-
нимии Верхней Аджарии

Р е з ю м е

Префиксально-суффиксальное образование достаточно часто
встречается в топонимии Верхней Аджарии. В качестве префикса
встречается *ნა-*на, выражающее обстоятельство в прошлом, и *სა-*
ვა-— префиксы незначения, а суффиксы при этом бывают разные:
ა) Самыми продуктивными являются *სა-* --- *-ია* *ვა-* --- *-ია*
სა- --- *-ი* *ვა-* --- *-ო*, *სა-* --- *-ე* *ვა-* --- *-ე*; встречаются также
სა- --- *-არ* *ვა-* --- *-არ*, *სა-* --- *-არა* *ვა-* --- *-არა*, *სა-* --- *-ურ*
ვა- --- *-ურ*, *სა-* --- *-ავა* --- *-ა*, *სა-* --- *-ელ* *ვა-* --- *-ელ*.
К суффиксам незначения *სა - ე* *ვა - ე* иногда прибавляется
суффикс множественности *-ებ* *-ებ* (который часто указывает ве-
личину объекта) и получаем *სა - ე-ებ* *ვა - ე-ებ* (с диссими-

ლაციის სა--ი-ობ- ვა -- i -ებ-).

ბ) Форманты ба- -- -ოვ- на- -- -ავ, ба- -- -არ- на- -- -არ-,
ბა - იბა - ებ-образуют значительную часть географических
названий, выражающих обстоятельства в прошлом. Суффикс -ებ-
-ებ- в именах предшествующего обстоятельства происходит из
причастной формы.

Префиксально-суффиксальное образование в основном харак-
терно для микротопонимии Верхней Аджарии, а в названиях де-
ревень встречается редко.

ლიტერატურა

1. მ. ა ლ ა ც ი ძ ე, ლერხუმური ლექსიკონი, თბ., 1938.
2. მ. ჩ ი ქ თ ვ ა ნ ი, ტოპონიმიკური ლექსიკონი, თსუ შრომები,
ტ. IX, 1939.
3. მ. ჩ ი ქ თ ვ ა ნ ი, ტოპონიმიკურ სახელთა წარმოება ლერხუმური
მასალების მიხედვით. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო
პედინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1949.
4. გ. ბ ე დ თ ვ ი ლ ი, ერწო-თიანეთის ტოპონიმიის ძირითადი
საკითხები, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1974.
5. ფ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ფშავის ტოპონიმიკა. „ტოპონიმიკა“,
I, თბ., 1976.
6. გ. ხ თ რ ნ ა უ ლ ი, მთიულეთ-ჯუღამაყრის ტოპონიმიკა, საკან-
დიდატო დისერტაცია, თბ., 1974.
7. გ. ა ხ ც ლ ე დ ი ა ნ ი, „აა-ო“ და „ურრ“-ს მნიშვნელობა,
ჩვენი მეცნიერება, ტფილისი, 1923, № 2-3.
8. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I,
თბ., 1973.
9. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკური პრო-
ცესები ქართულ დიალექტებში და ზან-^აში, იკე, I, თბ., 1946.

10. შ. ნ ი ე ა რ ა ძ ე, აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1975.
11. პ. ჯ ა ჯ ა ნ ი ძ ე, წყალტუბოს რაიონის ტოპონიმები, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ენისა და ლიტ. სერია, № 3, 1976.
12. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, შრომები; III, თბ., 1979.
13. ი. მ ა ი ს უ რ ა ძ ე, მასალები სამცხის ტოპონომიკიდან. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, XVII, 1963.
14. თ. ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, ნა --- ეგ - და ნა- აფიქსებით სახელაა წარმოებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები. წიგნი პირველი, თბ., 1977.

რუსუდან ცუცქირიძე

არქაული და ნასესხები ლექსიკა კასპის
რაიონის ტოპონიმიაში

ენაში აირეკლება ისტორია და თავგადასავალი ერისა. მის ლექსიკურ ერთეულებში შესაძლებელია დაციხახხო ისტორიული მოვლენების კვალი.

გარდა ამისა; ტოპონიმიაში აშკარად ჩანს ენის შესაძლებლობანი დიაქრონიული ასპექტით: სიტყვაწარმოების ნაირგვარობა, ენის სისხარტე და მოქნილობა.

ამეამად კასპის რაიონის ტოპონიმიიდან გამოვყოფთ ძველი ქართული ენის ლექსიკას, ხასესხებსა და მშობლიურ ენაზე აღმოცენებულს, რომელიც ტოპონიმებს შემოუნახავთ ზოგჯერ უცვლელად, ზოგჯერ კი - გარკვეული ფონეტიკური ცვლილებით:

დ ი ლ ა გ ნ ე ბ ი - ტყე და სალოცავი სოფ. ცხავერთან. ეს ტოპონიმი **დ ი ლ ა გ** ფუძისაგან მომდინარეობს. ფუძის მომდევნო ნ მრავლობითობის ფორმანტია წარმოშობით. დროთა ვითარებაში ფუძესაც და მწარმოებელსაც დაუკარგავთ დამოუკიდებელი გაგება, ხალხს **დ ი ლ ა გ ნ** ფუძედ აღუქვამს და ზედ მრავლობითის ფორმანტი - ე ბ დაურთავს. ამის წყალობით სიტყვაში მრავლობითის ორი ნიშანი აღმოჩნდა ერთდროულად - ერთი (-ნ) უფუნქციო, მეორე (-ებ), ფუნქციის მქონე.

იღ. აბულაძეს **დ ი ლ ა გ** დადასტურებული აქვს ძველი ქართული ენის ლექსიკონში [1].

ლ ა ვ რ ა (ბერძნ. Λαύρα) ეკლესიის და მისი შემოგარენის სახელია კავთისხევის მახლობლად.

- ს.-ს. ორბელიანის მიხედვით, ლავრა ესე არს მონასტერი არა,

მრავალ-საკრებულო არამედ რაოდენთა (მონაზონთა ოდენ) სადგომი“ [2].
ეკლესიის მოცულობა გვიჩვენებს, რომ იგი არ იყო გათვალისწინებული
„მრავალ-საკრებულოდ“.

ეს ტოპონიმი საფუძვლად დაედო მეორეულ ტოპონიმებს: ლ ა ვ რ უ-
ლ ა (მდინ.) ლ ა ვ რ ი ს ხ ე ვ ი რ (ხევი, რომელსაც ეს მდინარე ქმნის),
ლ ა ვ რ ი ს ტ ყ ე, დაპოლოს, სოფელი ლ ა ვ რ ი ს ხ ე ვ ი.

ლ ა კ ვ ა (ლათ. lacina „ორმო“) ხეცია ახალქალაქის მახლობლად.
საბა განმარტავს: „ლაკვა ლათინთა ენითა წყალს ეწოდების, ხოლო ჩვე-
ნთა წერილთა შინა ჯერდმულად უჩენიათ“. ამ სიტყვას იგი კვლავ უბ-
რუნდება „მთხრებლის“ ბუღეში და მნიშვნელობა უფრო ცხადი ხდება:
„ჰვა არს მთხრებლი კლდისა ანუ ნაგები წყალთათვის სადგომლად, ვი-
ეთნი ლ ა კ ვ ა ს უკმიზენ“ [2].

მაშასადამე, ლ ა კ ვ ა წყალთანაა დაკავშირებული, ნახმარია თხ-
რილის (რაშიც წყალი დგას) მნიშვნელობით. ამავე სიტყვიდან წარმო-
შობილად გვესახება ჰიდრონიმი ლ ა კ მ ე ა (წყარო) იმავე არეალში.

გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის
პედაგოგიური ინსტიტუტი

Р.Л. ЦУЦКИРИДЗЕ

Архаическая и заимствованная лексика
в топонимии Каспского района

Р е з ю м е

В статье анализируются топонимы: დილაგნები dilaganebi
(← დრ. გრუზ. დილაგ dilag), ლავრა lavra (← греч. ლავრა lavra),
ლაკერა lakera (← დრ. გრუზ. ლაკვა lakva).

ლიტერატურა

1. ი. ა ბ ე ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
2. ს. - ს. ო რ ბ ე ღ ი ა ნ ი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1966.

ამბაკო ჭკადუა

ტოპონიმიკურ შესატყვისობათა ძირითადი პრინციპები
(ქართველურ ტოპონიმთა მონაცემების მიხედვით)

I. I. გეოგრაფიული ობიექტის სახელდება შემთხვევით არაა ნაკარ-
ნახევი. მას საფუძვლად უდევს რაიმე ობიექტური მიზეზი. აქედან
გამომდინარე, თითოეული გეოგრაფიული სახელის წარმოქმნა და გარე-
ნა გარკვეულ ისტორიულ კანონზომიერებასთანაა დაკავშირებული.
თვალსაჩინოებისათვის მოვიგონოთ ცნობილი ტოპონიმ **მ ბ ი ლ ი-**
ს ი-ს ბიოგრაფია, რომელიც ყველაზე ცოტა 1500 წლის ისტორიას მა-
ინც ითვლის. ლეგენდის მიხედვით, ადგილის აღმოჩენა შემთხვევითო-
ბას მიეწერება, მაგრამ სახელდების მიზეზი აბსოლუტურადაც კანონ-
ზომიერი და ლოგიკურია - გეოგრაფიული სახელი თბილი წყლების არ-
სებობამ წარმოშვა, სახელწოდება ადგილისა სწორედ ამ მიზეზით არის
გაპირობებული. მისი გრამატიკული და სინტაქსური სტრუქტურა სახელ-
დების საერთო-ტოპონიმიკურ ნორმებს ზუსტად იცავს, ხოლო უძველესი
ტოპონიმიკური ფუძის ფონო-მორფოლოგიური ცვლილება ენის განვითარე-
ბის, მისი ქრონოლოგიური ევოლუციის კანონზომიერებითაა გამოწვე-
ული. მაინც, როგორ გარინდა სიტყვა **მ ბ ი ლ ი ს ი?** რა გზა გამო-
იარა მან „დაბადებიდან“ დღემდე?

როგორც ცნობილია, ტოპონიმი თბილისი ნაგენეტიკური სახელია. სა-
ხელდების სემანტიკურ და ეტიმოლოგიურ-ეტიმოლოგიურ საფუძველს წარ-
მოადგენს ატრიბუტივი **მ ბ ი ლ-**. ისტორიული თვალსაზრისით იგი
საზღვრულზღვარდნობის სიტყვაა, რომელსაც მოჰყვლია მსაზღვრელის
მნიშვნელობის შეცვლაც და ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტის მსაზ-
ღვრელის ფუძესთან შეხორცებაც. საბოლოოდ კი მივიღეთ ტიპური ქარ-
თული წარმოების ტოპონიმი **მ ბ ი ლ ი ს ი**. ე.ი. ამ კონკრეტულ

შემთხვევაში სახელდების ფონო-მორფოლოგიური, სინტაქსური თუ ეტი-
მოლოგიური პრინციპები დაცული და გამართლებულია. კანონზომიერია
სახელდების სემანტიკური და ეტიმოლოგიური მხარეც.

როგორც ტოპონიმიკური, ისე ლინგვისტური დონის ეტიმოლოგიური
კვლევა ტოპონიმს შლის თ ბ- ძირეულ მოწმეებად, -ი ლ დეტერმინანტ
სუფიქსად და -ი ს-ი მაწარმოებელ ელემენტებად. მაგრამ მკვლევა-
რი-ეტიმოლოგი ამ დონეზე ვერ გაჩერდება. სპეციალისტების აზრით,
თ ბ- მთელი რიგი კომბინატორული ცვლილებების შედეგად მიღებული
მორფემაა, სახელდობრ: ს. -ქართვ. *ტ ე ფ->*ტ ფ->თ ბ-. აქედან
გამომდინარე, ფონოლოგიურ და მორფოლოგიურ კანონზომიერებებზე დაყ-
რდნობით, ტოპონიმ თ ბ ი ლ ი ს ი-ს არქეტოპოფიძის რეკონსტრუქ-
ციაცაა შესაძლებელი: *ტ ე ფ ი ლ ი ს ი>ტ ფ ი ლ ი ს ი>თ ბ ი-
ლ ი ს ი?

ტოპონიმიკურ დონეზე ეტიმოლოგიური ძიებანი თ ბ ი ლ ი ს ი-ს
შესახებ აქ შესაძლებელია დამთავრდეს, მაგრამ ლინგვისტის საკ-
ვლევია არე უფრო შორს მიდის? * ს. -ქართვ. *ტ ე ფ- ფიქც ფრანც
ბოპიდან მოყოლებული ანალოგიური შედგენილობისა და მნიშვნელობის
ინდო-ევროპულ * *tep* -ს უკავშირებენ ([2] 27, 75...) და ამგვარი
ვარაუდი ენამეცნიერებისათვის კანონზომიერად უდერს, მაგრამ აქ
სრულიად გამორიცხულია მტკიცება იმისა, თითქოს თ ბ ი ლ ი ს ი
(<ტ ფ ი ლ ი ს ი>*ტ ე ფ ი ლ ი ს ი), როგორც გეოგრაფიული სახელი,
ინდო-ევროპული წარმომავლობისა იყოს. სრულიად მოსალოდნელია, რომ

* ქართული ენის უძველეს ძეგლებში კუმშუკას, როგორც ფონეტიკურ
პროცესს, დასრულებული სახე არაა აქვს. ტოპონიმ თ ბ ი ლ ი ს ი-
სავე ასაკის „მუშანიკის წამებაში“ შეუკუმშავი ფორმების არა ერთი
და ორი მაგალითი დასტურდება. მაგ.: მუშანისაჲ, ქუეყანისა, ნა-
კვალად მტერისათა, სადღებელად და სხვ. ([1] 13, 51, 35, 46).
კვლევის ტოპონიმიკური და ლინგვისტური დონეების ზღვარი გან-
სხვავებულიად გააქვს წარმოდგენილი. რა თქმა უნდა, ორივე შესაძლე-
ბლობა ლინგვისტის ცოდნას ექვემდებარება, მაგრამ თვით ტოპონიმის -
როგორც გეოგრაფიული სახელის (და არა აპელატურის) - ანალიზი გუ-
ლისხმობს მხოლოდ გეოგრაფიული სახელის, ტოპონიმის (და არა აპელა-
ტივის) ისტორიას, მის რელატიურ ქრონოლოგიას.

ს. -ქართვ. *ტ ე ფ- ფუძის ანალოგიური შინაარსის ინდო-ევროპ. ფუძესთან შეხვედრა ჯერ კიდევ მცირე აზიაში მათ ურთიერთობას განესაზღვრა (შდრ. ძვ. ინდ. táp- „ანთია, ათბობს“, ლათ. tep-idus „თბილი“, სლავ. tep-1- „თბილი“ და სხვ. [3] 237, 322; [4] 364; [5] 52, ქართ. თარგმ. გვ. 49), მაგრამ ეს შესაძლო კავშირი აბელატივის დონეზეა სავარაუდებელი, ხოლო ტოპონიმისათვის როგორც ამოსავალი ფუძე თ ბ ი ლ- (←ტ ფ ი ლ-←*ტ ე ფ ი ლ-), ისე თვით ტოპონიმი თ ბ ი ლ ი ს ი (←ტ ფ ი ლ ი ს ი←*ტ ე ფ ი ლ ი ს ი) მხოლოდ და მხოლოდ ქართულია.

უხუცესი ტოპონიმ თ ბ ი ლ ი ს ი-ს ამგვარი სახე ბედნიერი შემთხვევაა მკვლევართათვის, მაგრამ უმეტესი ნაწილი უძველესი ტოპონიმებისა მაინც ბუნდოვანია. ამიტომ, როდესაც ჩვენ ვიწყებთ რომელიმე ტოპონიმის შესწავლას, მისი თავისებურებების გამოვლენას, არქაული თუ თანამედროვე სახის ჩვენებას, აუცილებელია კვლევის როგორც სინქრონიული, ისე დიაქრონიული მეთოდების გამოყენებით კომპლექსური, ერთი მხრივ, ტოპონიმიკური, ლექსიკური, სემანტიკური, ეტიმოლოგიური, ეტიმოლოგიური, ფონო-მორფოლოგიური, სინტაქსური და, მეორე მხრივ, ისტორიული, ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული და ასე შემდეგ - ანალიზი.

ბუნებრივია, რამდენადაც ტოპონიმი ძველი წარმოშობისაა, იმდენად ძნელი იქნება მისი მეცნიერული ჭვრეტაც. შორეული წარსულიდან დღემდე ტოპონიმს, შესაძლებელია, უამრავი სხვადასხვა სახის ცვლილება განეცადა. მაშასადამე, ხდება ისე, რომ ბევრი გეოგრაფიული სახელი, რომელიც თავისი წარმოშობის პირველ ეტაპზე სრულიად გარკვეული და ნათელი სემანტიკისა იყო, დროთა განმავლობაში შეიცვალა და ჩვენამდე მოაღწია ან სრულიად გაუგებარმა, ან ძნელად გასარკვევი ფუძის მქონე ერთეულმა და მეცნიერთათვის ამგვარი ფუძის ან ძირის მქონე ტოპონიმები ან გამოცანებად, ან სავარაუდო ერთეულებად რჩებიან. ამგვარი ტოპონიმების კვლევა განსაკუთრებული

სიწმინდით უნდა მიმდინარეობდეს, რადგან ქრონოლოგიური ევოლუციის, განვითარების მრავალგვარი საფეხურის გავლის შედეგად ამა თუ იმ ტოპონიმის თავდაპირველი სახე შეიძლება ისე შეიცვალოს და გადასხვაფერდეს, რომ სულ სხვა სიტყვის აგებულებას დაემსგავსოს და მნიშვნელობაც სულ სხვა მიეანიჭოს. მაგალითები ამისა მრავალგვარია (შედრ.: ე ს ტ ა ტ ე წ მ ი დ ი ს სახელობის ეკლესია ე რ თ ა წ მ ი ნ დ ა-დ გადააზრიანდა).

I.2. ტოპონიმების კვლევა შედარებითი ხასიათისა უნდა იყოს, რომელიმე სახელის იზოლირებულად, გნებავთ, ერთი რეგიონის ფარგლებში, ძიება სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს. შედარებითი კვლევა მიზანშეწონილია ყველა სახის ტოპონიმისათვის, განსაკუთრებით კი ისეთი ტოპონიმებისათვის, რომელნიც ან საერთოდ უცნობი სემანტიკის მქონენი არიან, ანდა მათი შინაარსი საეჭვო და ბუნდოვან შთაბეჭდილებას ტოვებს. ტოპონიმთა შესწავლის ამგვარი მეთოდი, ბუნდოვანი თუ უცნობი სემანტიკის, მაგრამ მსგავსი ფუძის ან ძირის მქონე ტოპონიმებთან მიმართებით, გულისხმობს არა მარტო მონათესავე ენოსთა ტერიტორიებზე დამოწმებული ტოპონიმების საერთო ტოპოფორმების (ტოპოტიპების) გამოვლენას, არამედ მომიჯნავე სხვაენოვანი ტერიტორიების ტოპონიმების სტრუქტურულ, სემანტიკურ, ეტიმოლოგიურ თუ სხვა სახის ლექსიკური და ენობრივი მოვლენების გავაღიწინებასაც. გაურკვეველი სტრუქტურისა და სემანტიკის მქონე ტოპონიმების იზოლირებულად განხილვა, მათი ანალიზი მხოლოდ ადგილობრივი მონაცემების მიხედვით უფრო ცალმხრივ ხასიათს მიიღებს და ამგვარ ინტერპრეტაციას მეცნიერული ღირებულებაც ნაკლები ექნება.

მაშასადამე, იმისათვის, რომ უფრო სრული და ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას ამა თუ იმ ტოპონიმის ძირისეული თუ ფუძისეული, ან სადერივაციო მორფემების ისტორიის შესახებ, საჭიროა შესადაარებლად მოვიშველიოთ არა მარტო ისტორიულად მონათესავეენოვანი ტერიტორიების ტოპონიმიკური მონაცემები, არამედ აგრეთვე გავითვალის-

წინათ არამონათქვამი ვიყავი, მაგრამ მომიჭნავე ტერიტორიების
ტოპონიმების სტრუქტურული, სემანტიკური-ეტიმოლოგიური და მორფოლო-
გიური-სინტაქსური თავისებურებანი.

I.3. წინამდებარე გამოკვლევა ქართული ტოპონიმების ისტორი-
ის შესწავლის ერთ ასპექტს ეხება მხოლოდ. საკითხის დასმის წესით
აქ წამოყენებულია მოგონიერი მოსაზრება გენეტიკური და კავშირებული
ფორმებისა და ძირების მქონე ტოპონიმების კომპლექსური ხასიათის
კვლევა-ძიების შესახებ, რომელსაც ტოპონიმის ეტიმოლოგია
შეესაბამება. მოვლენების ამგვარ საკითხ-
ებში ქართული ტოპონიმების სტრუქტურულ-მოდულიზაციის შესწავ-
ლაში გაგვიმახვილებინა ყურადღება.

ირაკლი, რომ ქართული ტოპონიმების სტრუქტურულ-ტოპოლოგიურ
და ისტორიულ-მოდულიზაციის კვლევა-ძიებას შეუძლია უფრო ღრმად ჩაგვა-
ხედოს ამა და იმ მოვლენის შიგნით, წარმოაჩინოს ის ძვირფასი მა-
სალა ს. - ქართული ფორმებისა, რომლის მიხედვითაც უფრო დაბე-
ჯილებით იქნება შესაძლებელი აქამდე ამოუცნობის ან კომპლექსური
დასმული ბევრი საკითხის გამოვლენა და გადაჭრა.

I. 4. ქართული ტოპონიმების საზღვარში ძალიან ბევრი საკითხი
ჯერ კიდევ მიუხილველად შესწავლასა და გარკვევას მოეძიოს. "ტოპონიმი-
კური შესატყვისობები" ამ დღის სამუშაოს ერთ-ერთი საკითხის გარ-
კვევას შეეცდება. საკითხის ამგვარი დასმა გამართლებული უნდა
იყოს, საილუსტრაციო მსჯელობა უფრო ქვემოთ იქნება წარმოდგენილი,
რადგან აქ აღბაჟი ურიგო არ იქნება სხვა ტერმინის - "ტოპონიმიკური
შესატყვისობა"-ს - შესახებ დამატებითი თარიღი სიტყვა ვაქვამ:

ტოპონიმიკური შესატყვისობა სამუშაო ტერმინია. ძირითადად იგი

ტოპონიმიკური შესატყვისობა უნდა მივიჩნიოთ თეორიულ-კლასიკური
კვლევის ერთ-ერთ ელემენტად, რომელიც უფრო ნათლად წარმო-
აჩინოს გენეტიკური და კავშირებული ეტიმოლოგია ტერიტორიებზე დადასტურე-
ბული შესაძლებელი ტოპონიმების ფორმისა და სადერივაციო ელ-
ემენტების დიფერენციალისა და ინტეგრაციის შედეგად შედგენილი ნიშან-
შესატყვისობის, საერთო და განსხვავებული სტრუქტურული და ტოპოლოგიური
მოდულებს...

ემყარება ამა თუ იმ ტოპონიმისათვის დიაქრონიულსა და სინქრონიულ ჭრილში გამოვლენილ საერთო ამოსავალ ტოპონიმიკურ, ძირისეულ ან ფუძისეულ მორფემებს. რა თქმა უნდა, ტოპონიმიკურ შესატყვისობათა პრინციპში საანალიზო ფუძე-ძირების თანმხლები საერთო წარმოშობის ფლექსიურ-დერივაციული აფიქსები იგნორირებულად არ იგულისხმება.

ტერმინი „ტოპონიმიკური შესატყვისობა“ ზუსტად ვერ ასახავს ენათმეცნიერებაში მიღებულ გენეტურად ერთი ოჯახის ენათა ისტორიულ-შედარებითი მეთოდებით შემუშავებულ ბგერათა, მორფმათა თუ სხვა სახის მოდელების რეგულარული შესატყვისობების პრინციპებს. ტოპონიმიკურ ენაზე „შესატყვისობა“ გაგებულ უნდა იქნას არა მხოლოდ მისი ისტორიზმით, არამედ იგი უნდა ასახავდეს ქრონოლოგიის რომელიმე დონის კანონზომიერ შესაბამისობას, თანაფარდობას, ამოსავალში ერთი და იმავე ოდენობის შემცველობას. ტოპონიმიკურ შესატყვისობათა კრიტერიუმად აღებულია მონათესავე ენების (რუს. დიალექტების, კილოკავების, თქმების) გარემოცვაში დამოწმებული ყველა ტოპონიმის ვარიანტისათვის ერთი საერთო ამოსავალი ფორმა. ე.წ. თუ ტოპონიმის სახელდებისათვის ამოსავალი ძირი ან ფუძე, რაგინდ წარმომავლობისა იყოს იგი, იზმარება ორი ან მეტი მონათესავე ენის მატყველებაში როგორც აპელატივი, ან განმეორებადია და ლოკალიზებულია შესადარებელ ენათა რეგიონების ტოპონიმებში (რუს. ტოპოფუძეებში ან ტოპოძირებში), განიხილებიან როგორც სინქრონიული ერთეულები და ტოპონიმიკური შესატყვისობების პრინციპებს აკმაყოფილებენ; ტოპონიმიკური შესატყვისობებისათვის მთავარია არა მხოლოდ არქეტიპის, საერთო ამოსავალი ძირისა თუ ფუძის ისტორიული გზა, მათი წარმომავლობის დადგენა, მათი წმინდა ლინგვისტური ეტიმოლოგიური ძიებანი, არამედ - მონათესავე ენათა ტერიტორიებზე არსებული ერთი და იმავე ფუძის ან ძირის შემცველი ტოპონიმების საერთო ამოსავალი მორფემის სემანტიკურ-ეტიმოლოგიური მხარე, მისი ტოპონიმიკური ეტიმოლოგიის პრინციპების დაკმაყოფილება და საანა-

ლიზო ტოპოერთეულების შედარებითი ფონო-მორფოლოგიური და სინტაქსური მოვლენების საერთო და განმასხვავებელი ნიშნების წარმოჩინება. მაშასადამე, ტოპონიმიკურ შესატყვისობად შეიძლება მივიჩნიოთ ერთი და იმავე ფუძე-ძირის შემცველი გეოგრაფიული სახელები, რომელთა დამოწმება ხერხდება ორი მონათესავე ენის (რუსი. დიალექტის, კილოკავის, თქმის) ტოპონიმიში მაინც და, როგორც ტოპონიმები, უფლებამოსილნი არიან იმავე ენაში (დიალექტში, კილოკავში, თქმაში), რომელშიაც ისინი დასტურდებიან.

I.5. როგორი კრიტერიუმი უნდა გამოიყენოს შესადარებელ ტოპონიმებს, რომ კანონზომიერი ტოპონიმიკური შესატყვისობა მოგვცეს?

იმისათვის, რომ შესადარებელ ერთეულთა რეგულარული მიმართებების გარკვეული წესი ჩამოყალიბდეს, საჭიროა პირველ რიგში თითოეული შესადარებელი რეგიონის ტოპონიმიის სტრუქტურული მოვლენების შესწავლა და დადგენა; შესადარებელი ერთეულების ძირისეული თუ ფუძისეული მორფემებისა და მათი სადერივაციო ელემენტების ნათელყოფა და შემდგომ, შეძლებისდაგვარად, საერთო ამოსავალი ტოპოარქეტიპის რეკონსტრუირება ისე, რომ ტოპოარქეტიპი ექვემდებარებოდეს სახელების სემანტიკურ-ეტიმოლოგიური და ეტიმოლოგიური პრინციპების ზოგად კანონზომიერებას. აქედან გამომდინარე, შესატყვისი ტოპოფუძეები უნდა დაიძებნოს მხოლოდ გენეტურად დაკავშირებულ ენოსთა ტერიტორიების ტოპონიმიში, სადაც საერთო შეიძლება იყოს არა მარტო ტოპონიმის ფუძე ან ძირი, არამედ - მთლიანად ტოპონიმი.

საერთო ფუძე-ტოპონიმები ქართველურ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში საკმაოდ ბევრია. მათი წარმოშობის ასაკის უთუოდ სხვადასხვაა, მაგრამ სინქრონული კვლევის დონეზე, ასაკისა და წარმოშობის მიუხედავად, ამგვარი ტოპონიმები „შესატყვისობათა“ კანონებს აკმაყოფილებენ. ასეთებად მიგვაჩნია, მაგალითად, ს.-ქარვ. ფუძე-ტოპონიმები: ჭ ა ლ ა (მახარაძის რ.): ჭ ა ლ ა (აფხაზ. ასსრ) : ჭ ა ლ ა (ლანჩხ. რ.) : ჭ ა ლ ა (სარჩხ. რ.) : ჭ ა ლ ა (ონის რ.)

ჭ ა ლ ე (შესტიის რ.) : ჭ ა ლ ე (წალენჯ. რ.) ; ა ბ ა ნ ო (ქა-
რელის რ.) : ა ბ ა ნ ო (ყაზბეგის რ.) : ა ბ ა ნ ო (სამხ. ოსეთის
ა.ო.) : ა ბ ა ნ ო (შესტიის რ.); ხ ე ვ ი (ორჯონიკიძის რ.) :
ხ ე ვ ი (ჩოხატ. რ.) : ვ ე ვ ი (დუშეთის რ.) : ვ ე ვ ი (შესტიის
რ.) : ხ ე ი თ ი (ონის რ.) : ხ ე ი თ ი (მცხეთის რ.) : ხ ე-
თ ა (ხობის რ.) : ვ ე ა შ დ (შესტიის რ.)...

ტოპონიმიკური შესატყვისობების თვალსაზრისით საინტერესო მა-
სალას იძლევა ისეთი გეოგრაფიული სახელები, რომელთაც საერთო აქვთ
მხოლოდ ძირი ან ფუძე, განსხვავებას, ე.ი. არაშესატყვისს, ქმნის
საწარმოებელი ელემენტები. მაგალითად, ს.-ქარავ. ფუძე-ტოპონიმები:
ტ ბ ა (ბორჯ. რ.) : ტ ბ ი ს ი (თეთრი წყაროს რ.) : ტ ბ ე თ ი
(აფხაზ. ასსრ.) : ო ტ ო ბ ა ი ა (აფხაზ. ასსრ.) : ტ ო ბ წ რ
(შესტიის რ.) : ტ ყ ე მ ა ლ ა (ქარელის რ.) : ტ ყ ე მ ლ ა ნ ა
(ახალციხის რ.) : ტ ყ ე მ ლ ო ვ ა ნ ა (ჭიათურის რ.) : ყ უ მ უ-
რ ო ნ ი (განის რ.) : ყ უ მ უ რ ე შ ი (აბაშის რ.) და სხვ.

1.6. რომელიმე ტოპონიმის ლინგვისტური ეტიმოლოგია, მისი სავა-
რადო ამოსავალი ფორმის პოსტულირება ყოველთვის არ შეიძლება ნი-
შნავდეს ტოპონიმიკური შესატყვისობების დადგენას. მოყვანილი მა-
გალითების მიხედვითაც ნათელი ხდება, რომ ტოპონიმიკური კვლევის
დონეზე ს. -ქარაველურად მიჩნეული ტოპონიმის ფუძე-ძირი, ეტიმოლო-
გიურად თუნდაც რომ სხვა, არაქარაველურენოვანიც იყოს, როგორც ტო-
პონიმი, ს.-ქარავ. ტოპონიმთა მწყობრში დგება და ასახავს ქარ-
აველურ ტოპონიმიკურ სისტემას. ამდენად, ტოპონიმიკურ შესატყვისო-
ბათა დონეზე მონათესავეენოვანი ტერიტორიების ტოპონიმიში შესა-
ტყვის ერთეულად ჩაითვლება ის გეოგრაფიული სახელი, რომელიც რადაც
ინფორმაციის შემცველია და აქვს სოციალური სანქცია იმავე ენის
(*ჩხაპ. დიალექტის, კილოკავის, თქმის*) ტოპონიმიში, რომელშიაც
იგია დადასტურებული. მაგალითად, სამეგრელოში დადასტურებული
შ ქ ე რ დ-/შ ქ ე დ- ძირისეული მორფემების მატარებელი გეოგრაფი-

ული სახელები, ისტორიულად თუნდაც რომ სვანისებები იყოს და სვანურის ადრინდელ სუბსტრატს წარმოადგენდეს, მაინც ისინი სინქრონიულ ასპექტში განიხილებიან. თუკი ამგვარი სახელები აპროგიენულ ტოპონიმთა კალიბში დგებიან, ჩვენი აზრით, ადსტრატული, სუბსტრატული, სუპერსტრატული თუ ნასესხები ტოპონიმების ინტერპრეტაციაც წმინდა ტოპონიმიკურ დონეზე უნდა გადაწყდეს. ტოპონიმიკურ შესატყვისობათა ფორმულირება, მათი ანალიზი კვლევის ტოპონიმიკურ დონეს არ უნდა ვასცილდეს და მის თანადროულ (სინქრონიულ) ვიზირებას უნდა ასახავდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში კვლევა არაობიექტურ სახეს მიიღებს. მეგრ. შ ქ ე რ დ ი / შ ქ ე დ ი ე ნ ლ ე შ ქ ე რ დ ა / ლ ა შ ქ ე . თ ა / ო შ ქ ე დ ე რომ სვანური ტოპონიმებიანო, დღეს ამას არავინ იტყვის. სვანისებებად ჩაივლება მათი ძირისეული მორფემები და არა დეიო ტოპონიმები.

1.7. ტოპონიმიკა ლექსიკოლოგიის (ლექსიკოლოგიის) სპეციფიკური ნაწილია და იგი, უპირველეს ყოვლისა, ენათმეცნიერებამ უნდა შეისწავლოს. თვით ტოპონიმი, როგორც ლექსიკური ერთეული, ენობრივ ცვლილებებს (ფონეტიკურსა და მორფოლოგიურს) ძირითადად ისევე ექვემდებარება, როგორც ჩვეულებრივი საზოგადო არსებითი სახელი. ე.ი. ტოპონიმი ფუძეთა შედგენილობის მიხედვით შეიძლება იყოს: თანხმოვანფუძიანი, ხმოვანფუძიანი, კვეცადი და უკვეცადი, კუმშვადი და უკუმშველი, ხოლო საწყის ფორმებზე რომელიმე ფლექსიურ-დერივაციული ელემენტების დამატება იწვევს ფუძეძირების კანონზომიერ გრამატიკულ და, აქედან გამომდინარე, ფონეტიკურ ცვლილებებს. ასევე, ტოპონიმიში ფართოდ არის გავრცელებული სახელდება სინტაქსური კონსტრუქციით. გვხვდება ე.წ. სინტაქსური ჯგუფები, ე.ი.: ნაგენტივარი (მართულ-შეთანხმებელი); თ ბ ი - ლ ი ს ი, ქ უ თ ა ი ს ი, ც ა ბ ა უ რ თ ა.; გენიტურს აზდერედიანი; ც ი ხ ი ს ძ ი რ ი, ლ ი ს ი ს ტ ბ ა, ბ ე ბ რ ი ს ც ი ხ ე... ატიბუტულმსაზღვრელიანი; ა ხ ა ლ დ ა ბ ა, დ ი ლ ი

ლილო, ქვემოთ ქართლი და სხვა სახის სტრუქტურული მოდელები, რომელთა შესწავლა და ვაანალიზება აუცილებელია მონათვე-სავე ენათა ტერიტორიაზე განლაგებულ ტოპონიმებთან მიმართებით, რის შედეგადაც მოსალოდნელია, ჩამოყალიბდეს მწკობრი შესადარებელი ერთე-ლების შესატყვისი ფორმები..

1. მ. შესატყვისი ფორმების სწორი ანალიზისათვის ერთადერთ უტყუ-აზ გზამკვლევადაც კვლევის ლინგვისტური მეთოდი მიგვაჩნია. მკაცრი ენობრივი პასუხედურების ჩატარება საშუალებას მოგვცემს, თვალყერი ვადევნოთ როგორც ტოპონიმის ევოლუციას, ისე ფუძე-ძირებისა და სა-დერივაციო აფიქსების ქრონოლოგიურ რელაციას. ენობრივი კანონზომი-ერებების გათვალისწინების გათვალისწინებით შეუძლებელია ვიყოთ ზესტი ტოპო-ნიმების არა მარტო ფონო-მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურე-ბების მიმართ, არამედ - ამა თუ იმ ტოპონიმის სემანტიკური და ეტი-მოლოგიური ინტერპრეტაციების დროსაც.

გეოგრაფიული სახელების შეფარებითი კვლევისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ფლექსიურ-ფერივაციული აფიქსების წვლილზე შესადარებელი ერთეულების ვაფორმება-ჩამოყალიბებაში. ფლექ-სიურ-დერივაციული აფიქსების დისტრიბუციული ანალიზი, მათი სინქრო-ნიული და დიაქრონიული ინტერპრეტაციები უფრო ღრმად ჩავაწვდენს საძიებელი ობიექტების სინამდვილეში, უფრო ნათლად წარმოგვადგენი-ნებს მათ ფონომორფოლოგიურ, სემანტიკურ და ლექსიკურ გრადაციებს აპელატივიდან ტოპონიმიზაციამდე. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ტო-პონიმიკურ შესატყვისობათა პრინციპებით გენეტურად მონათესავე ენა-თა ტერიტორიებზე განლაგებული ტოპონიმების შედარებითი კვლევა-ძი-ება გაგვამახვილებინებს ყურადღებას იმაზეც, რომ ესა თუ ის ტო-პონიმი განვითარების, ფორმაცვალებადობის კანონზომიერებებს პრინ-ციპში ისევე ექვემდებარება, როგორც ჩვეულებრივი საზოგადო სახელი - აპელატივი.

2.1. ჩვენ ზემოთ შევეცადეთ თეორიული სახე მიგვეცა ტოპონიმი-

კური შესატყვისობების პრინციპებისათვის. უფრო ნათელყოფისათვის კი წარმოვადგენთ საილუსტრაციო მასალას ქართველური ტომონიმიდან.

თანახმად საერთოდ მიღებული ზოგადი კლასიფიკაციისა, ქართველური ტომონიმებიც ძირითადად სამ სტრუქტურულ მოდელს კმნის:

ა. გეოგრაფიული სახელები ნულოვანი ტოპოაფიქსაციით, ე.ი. პირველადი, არამარკირებული ტომონიმები: ქართ. ტ ბ ა (სოფ.), გ ო რ ი (ქალაქი)... მეგრ. ჯ ვ ა რ ი (დაბა), ლ ი ა (სოფ.)... სვან. კ ა ც ხ (სოფ.), შ გ ე დ (სოფ.)... ბ. სხვადასხვა სახის მატომონიმიზირებული (რესპ. დერივაციული) აფიქსებით შედგენილი გეოგრაფიული სახელები, ე.ი. წარმოქმნილი, მეორეული, მარკირებული ტომონიმები: ქართ. თ ბ ი ლ ი ს ი (აბილ-ის-ი - ქალაქი); ს ვ ა ნ ე თ ი (ასვან-ეთ-ი - ტოპოენონიმი), ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო (ასა-ქართველ-ო)... მეგრ. ბ უ ლ ო ნ ი (ბულ-ონ-ი - ტყე, მთა, არყნარი; მეგრ. ბული „ბალი“ („მთის არყი“), ო ქ ყ ო ნ ე (აო-ჭყონ-ე - „ტყე, მუხნარი“, ჭყონი „მუხა“)... სვან. ტ უ ი ბ ე რ (ტუიბ-ერ - ხეობა, ტუიბ „ხეობა“), ლ ა ფ ს ყ ა ლ დ (ლა-ფსყალდ - სოფელი, ბასყ „მარწყვი“). გ. რთული შედგენილობის გეოგრაფიული სახელები, ე.ი. კომპოზიტური და სინტაქსური ჯგუფები: ქართ. ა ხ ა ლ ქ ა ლ ა ქ ი (აახალქალაქი - ქალაქი, „ახალი ქალაქი“), ა ლ ა ზ ნ ი ს ვ ე ლ ი... ზან. ო რ ა მ რ ი რ ე (აო რ ე-მჩირე - საკურორტო ქალაქი, ოჩე (მეგრ.) „დიდი მინდორი“, მჩირე (ვან.) „ფართო“, ჯ ვ ა რ ზ ე ნ ი (ჯ ვ ა რ - ზ ე ნ ი -დაბა, ჯვარი „ჯვარი“ („ჯზათა გადაკვეთა“-ს მნიშვნელობით?), რზენი „მინდორი“)... სვან. ე ი ბ ე შ უ ა ნ (ზეიმო სვანეთი“ - ეიბე „ზეიმო“, შუან „სვანეთი“), ა ხ ა ლ შ ე ნ (აახალ-შენ - დასახლებული უბანი, ახალ - „ახალი“ შენ - „შენი, დასახლება“)...

2.2. თითოეულ ზემოხსენებულ სტრუქტურულ მოდელს შესაძლებელია თავდავისი შესატყვისისი ფორმები აღმოაჩინდეს მონათესავე ენოვანი ტერიტორიების ტომონიმიში, მაგრამ აქ ერთი საკითხი იჩენს თავს:

ყოველ რეგიონში მოსალოდნელია, გარდა აბორიგენული ტოპონიმებისა, აღმოჩნდეს ადსტრატული, სუბსტრატული, სუპერსტრატული და სესხების გზით დამკვიდრებული სრულიად სხვაენოვანი ტოპოერთეულებიც. გამოცხობთ ამგვარი წარმოშობის ტოპონიმები შესატყვისობათა სისტემიდან, თუ რაიმე კვალიფიკაცია დაეძებნოს მათ და ისეთივე რანგის კვლევის ობიექტად ვაქციოთ, როგორცაა სხვა ქართველური ტოპონიმები?

რა თქმა უნდა, ყველა ტოპონიმი არ გამოდგება ჩვენი პრობლემის ნათელსაყოფად. ტოპონიმიკურ შესატყვისობებზე მსჯელობა მეცნიერულ საფუძველს მოკლებული იქნება; თუ ვერ იქნა იგი მკაცრად განსაზღვრული ზოგადი სახის სათანადო დებულებებით. ამიტომ, როდესაც ლაპარაკია არა მარტო საკუთრივი წარმოშობის ტოპოფუძეებზე, არამედ საერთოდ საკვლევი რეგიონის ტოპონიმიზე, არ ვიქნებით მართალნი, თუ რომელიმე სახელს თავის კუთვნილ ადგილს ვერ მივუჩინებთ.

2.3. შესაღარებელი ერთეულების ს.-ქართველური კვლევის დონე პირველ ეტაპზე სინქრონიულ ხასიათს ატარებს. ამდენად, ყველა ტოპონიმი, მიუხედავად მოცემულ რეგიონში მისი წარმომავლობისა და ხნოვანებისა, კვლევის სინქრონიულ ვერსიაში სრულფასოვანია და, თუ ერთ-ერთ შესაღარებლად აღებულ ერთეულს რომელიმე მონათესავე რეგიონის ტოპონიმიში აღმოაჩნდება საერთო ტოპონიმიკური ან საერთო აპელატიური ფუძე-ძირი, ტოპონიმიკურ შესატყვისობათა ჩვენეულ ინტერპრეტაციას დააკმაყოფილებს. მაგრამ შესატყვისობებისათვის მიუღებელია არამონათესავეენოვან ეთნოსთა ტერიტორიების ტოპონიმები, რომელთა მსგავსება მხოლოდ სემანტიკური და ეტიმოლოგიური ნიშნებით გამოიხატება. ასევე, შედარებისათვის მიუღებელია ეტიმოლოგიურად სხვადასხვა საფუძვლის მქონე ტოპოფუძეებისა თუ ტოპოძირების ერთი წარმომავლობისად მიჩნევა, რომელთა მატერიალური მოცემულობები (მოსალოდნელია ლექსიკური და ფონო-მორფოლოგიური მსგავსებაც) სრულიად შემთხვევითია. ამოფორმული ტოპონიმების, რომელთა წარმოშობის

საფუძველს სულ სხვა მიზეზი განაპირობებს და ამის გამო მსგავსებაც სრულიად მოჩვენებითია, შედარებითი კვლევა და ანალიზი მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია და მას ღირებულებაც არავითარი არ შეიძლება ჰქონდეს. მატერიალურად მსგავსი ტომონიმები დედამიწის თითქმის ყოველ კუთხეში შეიძლება დაიქვნოს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს მათ გენეტურ კავშირს. არავითარი.საერთო წარმოშობა და ნათესაობა. არ შეიძლება ჰქონდეს ისეთ გეოგრაფიულ სახელებს, როგორცაა, მაგალითად: **თ ბ ი ლ ი ს ი** საქ. სსრ დედაქალაქი - **ტ ე პ ლ ი ც ე** საკურორტო ქალაქი ჩეხოსლოვაკიაში, **ხ ე თ ა** მდინარე და დასახლებული პუნქტი საქართველოში - **ხ ე თ ა** მდინარე კრასნოიარსკის ოლქში, **ხ ი დ ა** მთის საძოვარი და გადასასვლელი საქართველოში - **ხ ი დ ა** მთის ქედი იაპონიაში, **ბ უ ლ ო ნ ი** ტყისა და საძოვარი მთის სახელი საქართველოში - **ბ უ ლ ო ნ ი** ცნობილი პარკი საფრანგეთში და სხვ.

შესაძლებელია, ანალოგიურ ვითარებაში სემანტიკური და ეტიმოლოგიური ახლოობა, გნებავეთ - ადეკვატურობა, იგრძნობოდეს, აპელატიურ დონეზე ძირისეული და ფუძისეული მასალის ეტიმოლოგიაც საერთოს პოულობდეს (მაგ. **თ ბ ი ლ ი ს ი - ტ ე პ ლ ი ც ე**), მაგრამ ეს არ ნიშნავს მათ გენეტურ კავშირს ტომონიმიკური თვალსაზრისით და, ამდენად, გამოირცხულია მათი შედარებითი კვლევა და ტომონიმიკურ შესატყვისობაში სისტემაში ჩართვაც:

3.1. როგორც აღნიშნული იყო, ტომონიმიკურ შესატყვისობაში ძირითად საფუძველს წარმოადგენს შედარებითი ანალიზის შედეგად გამოვლენილი გენეტურად ერთი ფუძის ან ძირის გეოგრაფიული სახელები,

* სამწუხაროდ, ზოგიერთი მკვლევარი შემთხვევით დამსგავსებელი ტომონიმების სახელებსაც გულუბრყვილოდ წსნის და ყოველგვარ საფუძველს მოკლებულ ეტიმოლოგიებს გეთავაზობს. ნიშუშისათვის გამოდგება ისტ.მეცნ.კანდ. ვ. სკურლატოვის სტატია „След светносных“, რომელიც დაიბეჭდა კრებულში: Тайны веков, №1, 1978. მისი აზრით, **თ ბ ი ლ ი ს ი** და **გ ო რ დ ი** სლავური წარმოშობის ტომონიმები ყოფილან.

ამგვარ ოპუნებს, ჩემი აზრით, რედაქცია მკაცრ კონტროლს უნდა უწევდეს, რათა იგი მეცნიერული კვლევისათვის საზიანო არ იყოს.

რომლებიც დამოწმებულია ერთენოვანი ან ისტორიულად საერთოენოვანი ტერიტორიების ტოპონიმიში. იმისათვის, რომ შესაძარებლად აღებული ერთეულების კვლევა-ძიებამ, მათმა ანალიზმა ტოპონიმიკურ შესატყვისობათა სისტემაში უფრო გარკვეული, ნათელი და მწყობრი სახე მიიღოს, საჭირო იქნება შესაძარებელი ერთეულების ქრონოლოგიური და სტრუქტურულ-ტოპოლოგიური თანმიმდევრობით განხილვა, მათი თვალსაჩინოებითი მონაცემების ჩამოყალიბება მიზანშეწონილად მიჩნეული ბუდეების მიხედვით.

ტოპონიმიკური და, საერთოდ, ონომასტიკური კვლევის სფეროში, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ანალოგიური მუშაობა არ ჩატარებულა. ეს არის დასაწყისი იმ დიდი შრომატევადი სამუშაოსი, რომელმაც შემდგომ ისტორიულ-შედარებითი ტოპონიმიკის კვალიფიკაცია უნდა მიიღოს. ამდენად, ქვემოთ შემოთავაზებული ტოპონიმიკურ შესატყვისობათა ექვსივე ჯგუფი არის თეზისების მაგვარი და მას სისრულის პრეტენზია სრულებითაც არა აქვს. აქ მხოლოდ და მხოლოდ საილუსტრაციოდ წარმოდგენილი მაგალითების გარშემოა საუბარი და ისიც ძალიან შემჭიდროებულად და არასრულად; ჩვენი თვალსაზრისის დასაკმაყოფილებლად მოცემული შედარებითი ინტერპრეტაციები საკმარისად გვეჩვენება. ცვალოთ ილუსტრირება ქართველური ტოპონიმიის მაგალითებზე:

1. შესაძარებლად აღებულ ტოპოერთეულებში როგორც ფეძისეული (რესპ. ძირისეული) მორფემები, ისე სადერივაციო აფიქსები მოსალოდნელია იყოს ს. -ქართვ. ფეძე-ენის ისტორიული რეფლექსები:

ა) ქართ. ტ ბ ა : ზან. ტ ო ბ ა : სვან. ტ ო ბ / ტ შ ი ბ

ბ) ქართ. ტ ბ ის ი : ზან. ტ ო ბ ა შ ი / ტ ო ბ ე შ ი / ტ ი ბ ა შ ი : სვან. ტ შ ე ბ ი შ / ტ ე ბ ო შ / ტ შ ი ბ ი შ.

ჩამოთვლილი არამარკირებული (ა ჯგუფი) და მარკირებული (ბ ჯგუფი) ქართველურ ტოპონიმიკურ სახელთა წარმოქმნა დაკავშირებულია ადგილის გეოგრაფიულ გარემოსთან, მის რელიეფთან. სახელდებისა-

თვის კი გამოყენებულია საზოგადო სახელები, ადგილობრივი (ლოკალური) ტერმინები : ს. -ქართ. ტ ბ ა, ს.-ზან. ტ ო ზ ა, ს. -სვან. ტ ო ზ 1d., რომელთა ამოსავალ არქეტიპად მიღებულია ს.-ქართველური საზოგადო სახელის ღონისათვის რეკონსტრუირებული *ტ ა ბ-. რეკონსტრუირება პირობითად ნახმარი ტერმინია, რადგან ქართულ ტოპონიმიში ტ ა ბ- ძირი აღდგენის გარეშეც გვხვდება. კომპოზიტური შედგენილობის გეოგრაფიულ სახელებში დადასტურებული ტ ა ბ ა (ტაბახმელა, ტაბაწყური) იგივე ფუძე-ძირია, რაც საზოგადო სახელებისათვის აღდგენილი *ტ ა ბ-.

ხსენებულ პარადიგმებში სახელების როგორც სემანტიკურ-ეტიმოლოგიური მხარე, ისე ეტიმოლოგიური პრინციპები კანონზომიერია, ტოპონიმიკური ფუძეები ქართველური წარმოშობისაა და ქართველური ენებისათვის დაშვებულ რეგულარულ ხმოვანთშესატყვისობებს ვადმოგვცემენ (ს. -ქართ. *ა : ს.-ქართ. ა : ს. -ზან. ო : ს.-სვან. *ა. სვანურში ინტერკონსონანტურ პოზიციაში ბაკისმიერ ბ -ს გავლენით ა>ო>უ პროცესი დასაშვებია, ხოლო ო-ს ან უ-ს უმლაუტის შედეგად მიღებული უე და უი კომპლექსები სვანურში *ტ ა ბ-ე ან *ტ ა ბ-ი ფორმებს გაცაკარულებინებს, უე და უი კომპლექსებში დელაბიალიზაციაც ბ -ს მიეწერება, სემანტიკური ღიფერენციაციაც ტ უ ე ბ / ტ უ ი ბ („ხევი, ხეობა“) სიტყვებისა მეორეულია, ეტიმოლოგიურად ორივე ფორმა ს.-ქართ. *ტ ა ბ-ს უკავშირდება.

გ) ქართ. ნ ა მ ე წ ყ რ ი : მეგრ. ნ ა მ ი ჭ ყ ო რ ი || ნ ა - მ ი ჭ ყ ო რ ი : სვან. ნ ა ფ შ ყ ო რ / ფ უ შ ყ უ ი რ / ფ ი შ ყ ო რ.

თანამედროვე მეგრულსა და სვანურში შესადაარბელი ტოპონიმები დესემანტიზირებული ფუძეების შემცველი ლექსიკური ერთეულებია, რაც გამოწვეულია მათი რელატიური ქრონოლოგიითა და კომბინატორული ბგერათცვლილებებით. ისტორიულად მეგრული და სვანური ტოპონიმები ნ ა მ ე წ ყ რ ი-ს რეფლექსს წარმოადგენენ, ოღონდ არა ტოპონიმი-

კურ, არამედ წმინდა აპელატიურ დონეზე (შდრ.: წინავეთარების, ანალოგიური მორწლოგიური კონსტრუქციის ქართული დიალექტური ტოპონიმები: ნ ა მ ე წ ყ რ ი (ღრხ.), ნ ა გ უ თ ნ ი (აჭარ.), ნ ა მ ა რ ნ ი (იმერ.), ნ ა ს ა ყ დ რ ი (აჭარ.), ნ ა ს ა ხ ტ რ ი (ღრხ.), ნ ა ბ ო ს ტ ნ ი (აჭარ.) და სხვ.).

გეოგრაფიული ობიექტის სახელდება გაპირობებულია რელიეფის გეომორფოლოგიური ნიშნების მიხედვით. ქართველურ გეოგრაფიულ ტერმინებს საფუძვლად უდევთ ს.-ქართვ. აპელატიური მორფემები: ს. -ქართვ. *წ ყ ა რ- : ს. -ქართ. წ ყ ე რ- : ს. -ზან. *ჭ ყ ო რ- : ს. -სვან. *შ ყ ო რ- „წყარო“.

მაშასადამე, ტოპონიმების ძირისეული (ფუძისეული) მორფემებიცა და სიტყვაწარმოებითი ელემენტებიც ს. -ქართველურია. მათი ალონიმიზაცია და საკუთარ სახელებად ქცევა მოსალოდნელი იყო ქართველური ენების „ავტონომიზაციის“ შემდეგ. ნიშანდობლივი აქ ისიც არის, რომ სახელდებისათვის აუცილებელი ყველა პირობა: სემანტიკურ-ეტიმოლოგიური, ეტიმოლოგიური თუ ფონომორფოლოგიური - კანონზომიერების ფარგლებს არ სცილდება.

II. შესაძარბელ ტოპოერათელებში საერთო ამოსავალი არქექტიპის ისტორიული რეფლექსი შეიძლება აღმოჩნდეს ძირისეულ ან ფუძისეულ მორფემებში, ხოლო ტოპომაწარმოებელ აფიქსებად - ადგილობრივი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ელემენტები. მაგ.:

ა) ქართ. ს ა დ ა თ ვ ი ა : მეგრ. ო თ უ ნ თ ე : სვან. ლ ა - დ შ დ წ ვ რ ი ლ

ჩამოთვლილ გეოგრაფიულ სახელებს სახელდებისათვის გამოუყენები-ათ ს. -ქართვ. აპელატივ *დ ა თ უ- ფუძის ცნობილი ქართველური რეფლექსები: ს. -ქართ. დ ა თ ვ- : ს. -ზან. თ უ ნ თ- : ს. -სვან. დ ა შ დ წ ვ.

სახელდების ტოპონიმიკური პრინციპი დაცულია - იგი სახელდების საერთო-ქართველურ წესებს ექვემდებარება, ხოლო ფონეტიკური ნაირ-

სხვაობა ენათა დიფერენციაციის შემდგომ მომხდარი კომბინატორული ცვლილებების შედეგია.

ბ) ქართ. ს ა ბ ლ ე / ბ ა ლ ნ ა რ ი : მეგრ. ბ უ ლ ო ნ ი /
ბ უ ლ ი შ ი : სვან. ლ ე ჰ ბ ე რ / ჰ ე ბ უ ლ

სახელდების სემანტიკურ-ეტიმოლოგიური და ეტიმოლოგიური საფუძველი ს. -ქართველურია. ძირისეული ელემენტები : ქართ. ბ ლ (< ბ ა ლ -), მეგრ. ბ უ ლ - (< * ბ ო ლ - < * ბ ა ლ -), სვან. ჰ ბ - (< * ჰ ე ბ უ < * ჰ ე - ბ ა ლ -) „ბალი“ (*Cernuus avium* - წარმოადგენენ ს. -ქართველური * ბ ა ლ - ფორმის ქართველურ რეფლექსებს. ფონეტიკური სხვაობა დასაშვებ ნორმებს არ სცილდება.*

III. შესადარებელი რეგიონების ტოპონიმიკაში გეოგრაფიულ სახელთა ძირისეული ან ფუძისეული მორფემები შესაძლებელია იყოს: 1) საერთო, ძირითადი ლექსიკური ერთეულები, 2) აღსტრატული, 3) სუბსტრატული და 4) სუპერსტრატული ან 5) ნასესხები ერთი ენიდან მეორეში აპელატიურ ან ტოპონიმიკურ დონეზე. ერთმანეთის განმასხვავებელ ნიშნებად ამ შემთხვევაში მოსალოდნელია შეგვხვდეს ადგილობრივი სადერივაციო აფიქსები. მაგალითად:

ა) ქართ. ს ა ნ ი ო რ ე : მეგრ. ო ნ ი ო რ ე : სვან. ნ ი ჟ - რ ზ ნ ი ე რ

საერთო სემანტიკურ, ეტიმოლოგიურ და ეტიმოლოგიურ ფუძედ გამოიყოფა ს. -ქართვ. * ნ ი ო რ - (*Allium sativum* ან *Allium victorialis* და იგი საერთო-ქართველურ ღონეს უნდა ასახავდეს. ამ ვარაუდის წამოყენებას მხარს უჭერს ნიორის, როგორც კულტურული მცენარის, არაერთჯერადი ხსენება ქართული ენის უძველეს ძეგლებში (მაგ.: გელათის ბიბლია, ძველი ადღქმა (ბიბლია) და სხვ. ([9] 657, [10]).

*მეგრულსა და გურულ დიალექტში ბ უ ლ - / ბ ა ლ - აღნიშნავს არა მარტო „ბალს“ (*березня* არამედ მთის არყსაც (*Betula* - იხ. ([6] 12).
სვან. ჰ ბ - ს სხენანიირი სემანტიკური და ფონეტიკური ახსნაც აქვს. ამის შესახებ იხ.: ([7] 825; [8] 247).

ბ) ქართ. (ღერხ.) ლ ე შ კ ე დ ა : მეგრ. ლ ა შ ქ ე რ დ ა /
ო შ ქ ე დ ე : სვან. შ გ ე ლ / შ კ ე ლ / შ გ ჯ დ უ ჳ რ

სახელდების სემანტიკურ და ეტიმოლოგიურ საფუძველს ყველა ტოპონიმისათვის წარმოადგენს ს. -სვან. საზოგადო სახელი შ გ ე ლ / შ კ ე ლ („ჩრდილი“, „ჩრდილიანი ადგილი“), რომლის თავდაპირველი ამოსავალი უნდა ყოფილიყო ს. -ქართველურისათვის არეკონსტრუირებული *ჩ ე რ დ- („ჩრდილი“) პრაფორმის კანონზომიერი ფონეტიკური და სემანტიკური რეფლექსი *შ გ ე რ დ- ([II] IOI-IO3).

სამეგრელოსა და ღერხუმის ტერიტორიებზე სვანურის ნაკვალევი მეცნიერთათვის დიდი ხანია, რაც ცნობილია. მოხმობილი ტოპონიმები ამისი დამატებითი დადასტურებაცაა. მაშასადამე, ისტორიული თვალსაზრისით ქართულსა (ღერხ.) და მეგრულში ადგილთა სახელები: ლ ე შ კ ე დ ა, ლ ა შ ქ ე რ დ ა / ო შ ქ ე დ ე - წარმოადგენენ სუბსტრატულ ფენას.

ამ რიგის ტოპონიმები კვლევის ორჯვარ მიდგომას საჭიროებენ - დიაქრონიულსა და სინქრონიულს. სინქრონიულ ჭრილში ლ ე შ კ ე დ ა / ლ ა შ ქ ე რ დ ა / ო შ ქ ე დ ე ტიპის ტოპონიმები განიხილებიან, როგორც ადგილობრივი გეოგრაფიული სახელები.

გ) ქართ. ს ა კ ა ლ მ ა ხ ე : მეგრ. ო კ ა ლ მ ა ხ ე : სვან. ლ ე კ ჯ ლ მ ჳ ხ ი

სემანტიკური და ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, სახელდების პრინციპი საერთო-ქართველურია. სამივე სახის ტოპონიმი ერთი და იმავე მნიშვნელობისა და გამჭვირვალე ეტიმოლოგიის შემცველია და ნიშნავს: ადგილი, სადაც კ ა ლ მ ა ხ ი იცის, საკალმახე ადგილი.

ტოპონიმებისათვის ამოსავალი ფუძე კ ა ლ მ ა ხ - (Balmo trette) მეგრულ-სვანურში ქართულიდან სესხების გზით შესული სიტყვაა და იგი დღესაც ცოცხალი ლექსიკური ერთეულია. აღონიმიზაცია და ფონეტიკური სხვაობა ლოკალურია. სვანურში ინტერკონსონანტურ პოზიციაში ა > ჯ (*ლეკალმჳხი>ლეკჯლმჳხი) ლე- პრეფიქსის გაც-

ღენიო იხსნება.

დ) ქართ. ცხემლოვანი/ცხინველი/ცხმო-
რიანი/სახუმია: მეგრ. ცხემურონი/ცხი-
მურონი/ცხემურეში, ჭან. ცხემურეფუნა:
სვან. ცხუმელთრ/ცხუმელა/ცხუმჭრ/ლე-
ცხუმეოკ

სემანტიკური, ეტიმოლოგიური და ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, სა-
ხელდების პრინციპები აქაც საერთო-ქართვულურია. სინქრონიული
კვლევის დონეზე ისინი აპელატიურ მნიშვნელობას მოკლებული ადგი-
ლობრივი ხასიათის საკუთარი გეოგრაფიული სახელებია, თუმცა სა-
ხელდების დროს ადგილის სწორედ ამ გეობოტანიკური ტერმინებით
მონათვლა მოტივირებული იყო. მოტივაციის საფუძველს წარმოადგენდა
იმ ადგილებში „რცხილას“ (*Carpinus caucasica*) არსებობა.

მოსმოხილ ტომონიმებში ფუძისეულ მორფემებად გამოიყოფა: ქართ.
ცხემელ-/ცხინველ-/ცხმოო-; ზან. ცხემურ-/
ცხიმურ-; სვან. ცხემ-/ცხუმ-/ცხუმე-.

საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის წყაროებში დასტურდება
ქართული ტომონიმების უფრო ძველი ფორმები: ქრცხილვანი,
ქცხილვანი, ქრცხინველი, ცხინვალი ([12]
1082-83). სემანტიკურ და ეტიმოლოგიურ საფუძველს, როგორც ახალი,
ისე ძველი ფორმებისათვის, წარმოადგენს ძვ. ქართული გეობოტანი-
კური ტერმინი ქრცხემელ- ან ქრცხილ- (*Carpinus*
caucasica) „ქართლის ცხოვრებაში“ დამოწმებული სახელების მიხედ-
ვით შესაძლებელი ხდება ხსენებული ქართული ტომონიმების ევლუ-
ციის თვალყურის მიდევნება:

*ქრცხილვანი>ქრცხილვანი $\begin{cases} \rightarrow \text{ქცხილვანი} > \text{ცხილვანი} > \text{ცხინვალი} \\ \rightarrow \text{ქრცხინვალი} > \text{ქცხინვალი} > \text{ცხინვალი} \end{cases}$

(შდრ. ანალოგიური პროცესი: მუხნარი>მუხრანი - (ნ - რ)-ს მე-
ტათეზით > (რ - ნ). მაშასადამე, აღონიმიზაცია, მომხდარი ქარ-

თუღსავე ნიადაგზე, გამოწვეულია ტოპოფედიშივე რიგი კომბინატო-
რული პროცესებით: თავიკდურ პოზიციაში თანხმოვანთა გამარტივებასა
და სადერივაციო მორფემების ზეგავლენას მოჰყვება ტოპონიმების ამო-
სავალი ფორმის ვარიანტულობაც და ფონეტიკურად დასაშვები ცვლილე-
ბებიც.

უფრო რთული ვითარებაა ქართველური ტოპონიმებისათვის საერთო
ამოსავალი ფორმის რეკონსტრუირება. ცხადია, რომ ყველა მათგანი-
სათვის ამოსავალია რომელიღაც ს. -ქართვ. აპელატიური ფუძე. გ.
კლიმოს ამოსავალ ფორმად აღებული აქვს რეკონსტრუირებული
*ქ : ც ხ ჯ მ ლ- ([8] 200). ქართლისათვის ამგვარი რეკონსტრუი-
რება შეიძლება დასაშვებებიც იყოს, მაგრამ ს. -ქართველურისათვის
ამოსავალი ფუძის ამნაირად აღგენა წინააღმდეგობას ხვდება. ნა-
კლებსარწმუნოა, რომ ყველა ქართველურ ენაში ამოსავალ ფორმას ერთ-
ნაირი ცვლილება განეცადა, განვითარების ერთნაირი გზა გაეარა და
ზანურ-სვანურსაც ისეთივე გამარტივებული თავიკდური პოზიცია მი-
ეღო, როგორც ქართლს, და არ განხორციელებულიყო რეგულარულ ბგე-
რამიზმარებათა ის პრინციპი, რაც ს. -ქართველური ფორმებისათვისაა
დამახასიათებელი. უფრო სხვანაირი მიდგომა გვეჩვენება სწორად. სა-
ხელდობრ, ქართველურ ენებში ერთნაირი აპელატიური და ტოპონიმიკური
ფუძეების არსებობა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ვარაუდის დაშვების
საშუალებას იძლევა: პირველი: ზანურ-სვანურმა ენებმა საძიებელი
ფუძეები ქართულიდან შეიძვისა სესხების გზით აპელატივის დონეზე
მას შემდეგ, რაც ქართველურ ბგერათშესატყვისობათა კანონზომიერი
მიმართებები : ს. ქართვ. *ც : ქართ. ც : ზან. ჩ : სვან. ჩ
(> შ) ; ს. -ქართვ. *ე : ქართ. ე : ზან. ა : სვან. ე. (ა) დასრუ-
ლებული იყო. აქედან გამომდინარე, ტოპონიმიზაციაც თითოეულ რეგი-
ონში ინდივიდუალურია. მეორე: ქართული ფორმების ანლაუტში ბგერათა
თავმოყვარეობა პრონოლოგიურად გვიანდელია, განვითარების შემდგომ სა-
ფეხურს ასახავს ქართლისათვის ნიადაგზე, ხოლო ზანურისა და სვანუ-

რის ვითომ გამარტივებული ფუძეები ქართულის ჩვენამდე მოღწეულ ვითარებას წინ უსწრებდა. ე.ი. შესაძარბებელ ერთეულთა მიერ კომპონენტის ფონმატური იგივეობა უფრო უწინარესი სახის მაჩვენებელია და ასახავს დიფერენციალურ ს. -ქართველურ დონეს. ამ ცარაუდის მიხედვით, ძვ. ქართული ქ რ ც ხ ე მ ლ- (კომბნელო, კეთილ-ჩრდილოვანი ხე* - საბა) თუ ქ რ ც ხ ი ლ- (ხე უთეთრესი და ვერა კეთილ-ჩრდილოვანი* - საბა) რთული შედგენილობის ფუძეებია: *

*ქრ-ცხემლ-, *ქრ-ცხილ-, სადაც თავკიდური ქრ- რედუცირებული ძირი ჩანს, რომელიც ოდესღაც რაიმე შინაარსის მატარებელი უნდა ყოფილიყო:

ასეა თუ ისე, ქართველური ტოპონიმების საერთო ამოსავალ ფუძედ ჩვენამდე მოღწეული ძვ. ქართულის მონაცემები არ გამოადგება. ტოპონიმიკურ დონეზე ს. -სვანურისათვის ამოსავალი იქნება *ც ხ უ მ-, ს. -ზანურისათვის - *ც ხ ე მ-, ს. -ქართულისათვის - *ქ რ ც ხ ე მ ლ-, ხოლო აღნიშნული თითოეული რეგიონის დიალექტური (კილოკავური ან აქმის) ტოპონიმიისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური თუ მორფოლოგიური პროცესებით უნდა აიხსნას.

როგორც ვაკვრით აღვნიშნეთ, ზანურ-სვანურის ტოპონიმიაში ჩვენთვის საინტერესო ფუძის კანონზომიერი შესატყვისი ფორმები არ დასტურდება, მაგრამ ზანურ-სვანურენოვანი ტერიტორიების მიღმა, სვანეთის მომიჯნავედ მდებარე ეთნოტოპონიმ ლ ე რ ხ უ მ-ში ქართველური ფონეტიკური მიმართებების კანონზომიერებას ამჩნევენ. თუ დავყვარდნობით ცნობილ დებულებას, რომ ოდესღაც ლერხუმის (ყოფილი თავკერის) ტერიტორიაზე სვანური მოდგმის ტომი ცხოვრობდა, საკამათო არ შეიძლება იყოს ლ ე რ ხ უ მ-ში სვანურის ისტორიული რეფლექსის დანახვა.

*ც - ცხოზიციაში სონორ ფონმათა შემცველ ანალოგიურ შემთხვევებს ს. -ქართვ. დონეზე მარცვლოვანი ჭ ლ ჭ ლ ე ლ ე მ ე მ ე ტების არსებობით ხსნიან (იხ. [13] 94-99).

ფუძისეული ლ ე რ ხ უ მ-ის, როგორც ფონეტიკურად, ისე მორფოლოგიური ინვენტარიითა და სემანტიკური თვალსაზრისით, სვან. ლ ე ც ხ უ მ-ის ვარიანტია და ნიშნავს „რცხილნარს“. ლ ე რ ხ უ მ-ში ლ ე-სვანური დანიშნულების პრეფიქსია და ქართ. ს ა-ს მორფოლოგიური ექვივალენტი, ხოლო რ ხ უ მ- უფრო ძველი ც ხ უ მ-ის ალმორფია. ც ხ უ მ->რ ხ უ მ- ფონეტიკურად კანონზომიერია.* წინასიბილანტური ც აფრიკატის უკანასიბილანტურ რ აფრიკატი გადაწევა რელატიური ქრონოლოგიით აიხსნება და იგი განვითარების უფრო გვიანდელ პროცესს ასახავს. ისე კი - ერთგვაროვან ფონეტიკურ გარემოცვაში ც-ს გადასვლა რ-ში უცხო არაა ქართულ-სვანური ენებისათვის ცალ-ცალკე. ძველ ქართულშივე პარალელურად იხმარებოდა ფ რ ც ხ ი ლ ი და ფ რ რ ხ ი ლ ი; ანალოგიური ვითარება გვაქვს ერთ უძველეს სვანურ გვარში:

ცხუმიანი $\begin{cases} \rightarrow \text{ცხუმიანი} \\ \rightarrow \text{ჩხუმიანი} \end{cases}$ ჩხუმიანი > ჩხუმიანი*²

ცნობილია, რომ სხვა ენობრივ გარემოცვაში ადგილობრივი ენა განიცდის გავლენას, ხდება გრამატიკული თუ ლექსიკური ხასიათის ცვლილებები. ბუნებრივია, ადგილობრივი გეოგრაფიული სახელებიც გამონაკლისს არ წარმოადგენენ და ძალაუვნებურად ეგუებიან მოსულთა ენობრივ თავისებურებებს. საამისო მასალა საკმაოდ ბევრია. შედარებისათვის მოვიხმობთ ორიოდ მგაღიხს: თათრული ს ა რ უ-ს უ. რუსული „ტარიცა“ სიტყვის საფუძველზე „ც ა რ ი ც ი ნ-ად იტვა; ესტონური ს ა ა რ ე („სააგარაკო კარმიდამოს მნიშვნელობით“)³ რუსულისავე მიხედვით გადააზრიანდა და მივიღეთ ც ა რ ს კ ო ე

* ლ ე რ ხ უ მ-ის ეტიმოლოგია სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ საკამათოა. ჩემი აზრითაც, იგი სვანური წარმოშობისაა. მ. ჩიკოვანისა და მ. ქალდანის გამოკვლევები ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელების შესახებ ზედმიწევნით ადასტურებენ ლ ე რ ხ უ მ-ის სვანურ წარმოშობას (იხ. [14] 239-40; [15] 67-79).

² აღეს რ ხ ვ ი მ ი ა ნ ი გვხვდება მხოლოდ, მაგრამ XIII საუკუნის სვანეთის საისტორიო ძეგლებში დასტურდება როგორც ც ხ უ მ ი ა ნ ი / ც ხ ვ ი მ ი ა ნ ი, ისე რ ხ უ მ ი ა ნ ი და რ ხ ვ ი მ ი ა ნ ი (იხ.: [16] 119-120, 123, 129, 132-138, 144, 149).

ს ე ლ ო (დღევანდელი პუშკინი)... საქართველოს ისტორიაში ცნობილი პუნქტი კ ლ დ ე-კ ა რ ნ ი თურქელის გავლენით იცვლება გ ო დ ა კ ლ ი ა რ-ად. მსგავსივე ბედი ეწია ჩვენთვის საინტერესო ძველ ქართულ ტომონიმ ც ხ ო მ-ს ც ხ უ მ-ს.

რადგანაც თურქული თავკიდურ პოზიციაში თანხმობანთა თავმოყრას ვერ იტანს და მას არც ც აფრიკატი გააჩნია, ც ხ ო მ ი თ ე ც ხ უ-მ. ე ს ო ხ უ მ ა დ წარმოგვედგინა, ხოლო მოგვიანებით რუსულის გავლენას დაექვემდებარა და ს უ ხ უ მ ა დ ა ც მოგვევლინა* და დღეს - ეს უძველესი ქართველური ტომონიმი ც ხ ო მ ი - თვით ქართველურ მიტყვევებაშივეა თურქულის გავლენით რეინტერპრეტირებული. ს ო ხ უ მ ი / ს უ ხ უ მ ი ტომონიმიკური კვლევის სინქრონიული შრილისათვის კვალიფიცირდება, როგორც უძველესი ნაშთი ქართველური ტომონიმიისა, როგორც სუბსტრატი სათანადო რეგიონის ტომონიმიაში, ხოლო საერთაშორისო არენაზე ალონიმების სახით გვევლინებიან და კვალიფიცირდებიან, როგორც ადაპტირებული ტომონიმები.

IV. შესაძლებელია, რომ შესადაარებული ტოპოგრაფიული სახელებების პრინციპები სემანტიკურ-ეტიმოლოგიური და ეტიმოლოგიური თვალსაზრისით ნათელი არ იყოს, მაგრამ მათში შეინიშნებოდეს ერთგვაროვანი ლექსიკური, ფონო-მორფოლოგიური და ტიპოლოგიური სტრუქტურა და, რაც მთავარია, ასახავდეს ისტორიულად დამოწმებულ ფონეტიკური შესატყვისობების კანონზომიერებებს როგორც ფუძე-ძირებსა და სადერივაციო ელემენტებში, ასევე (ზოგჯერ მაინც) - ორივე ტოპოგრაფიულ ტიპში. მაგალითად:

ა) ქართ. დ ე რ ც ე ლ ი : მეგრ. დ ა რ ჩ ე ლ ი : სვან. დ ვ-რ ჩ ჭ

ძირულ მორფემებად შეიძლება გამოიყოს ქართულში დ ე რ ც-, ხოლო

*უცხო ენათა გავლენით თუ ასიმილაციით გეოგრაფიულ სახელთა გადასხვაფერების შესახებ იხ. : ([17] 117; [18] 185-205; [19] 24; [20] 346).

მეგრულ-სვანურში-ფონეტიკურ რეფლექსებად მიჩნეული დ ა რ რ-,
დ ვ რ რ-. ძირისეულ ნაწილში ამგვარი კანონზომიერი ვითარება შე-
მთხვევითად ვერ ჩაითვლება. მაშასადამე, ოდესღაც ამ ფუძეებს ნა-
თელი შინაარსი უნდა ჰქონოდათ. სვანურში ბოლოკიდური -ჟ სონანტი
ს. -ქართვ.-ე ლ სუფიქსის შესატყვისი ჩანს. მეგრულში მოსალოდნე-
ლი ს. -ქართვ.-ე ლ : ზან. უ არა გვაქვს, რაც ამგვარი მიმართებ-
ვის ქრონოლოგიური განაწილებით უნდა აიხსნას (ე. ი. სამეგრელოში
სახელდების ბროცესი -ე ლ-უ-ზე ან უწინარესია ან მომდევნო).

მართალია, ფუძისეული შორფემების ეტიმოლოგიზაცია ჯერჯერობით
არ ხერხდება, არაა ნათელი სემანტიკური და ეტიმოლოგიური ვითარე-
ბანი, მაგრამ გვჯერა იმისა, რომ შესადარებელი ტოპონიმების სემან-
ტიკურ-ეტიმოლოგიური თუ ეტიმოლოგიურად მხარე ქრონოლოგიის რომელი-
ღაცა დონეზე, სახელდების დროსაც კი, საერთო-ქართველური იყო.

ლერხუმის ტოპონიმიაში სვანურის კვალი კარგადაა შემონახული
და ეს სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია. ტოპონიმ დ ე რ რ ი-ც
სვანური დ ვ რ რ ჟ-ის ფონეტიკურ ვარიანტს წარმოადგენს და ამ-
დენად იგი სვანურის სუბსტრატია ლერხუმში, ხოლო სვანეთში დამო-
წმებული ტოპონიმი დ ვ რ ც ი ნ ქართული დ ე რ ც ე ლ-ის ალო-
ნიმი ჩანს და მასში ქართულ-სვანური ენობრივი ერთიანობის კვალია
საძებარი. ფონეტიკური სხვაობა მეორეულად უნდა მივიჩნიოთ - არ-
ტიკულაციურად ახლო მდგომი სონორი ბგერების მონაცვლეობა დასაშვებ-
ია (შდრ. : ლ/ნ-სა და ე/ი-ს ჩანაცვლების მაგალითები: ქართ.

ფსელ-სვან. ნვსენ, ქართ. ძველ-სვან. ჯჟინ-, ქართ. ლეკვერ-
ახი - სვან. ლეკურახი (ბქვ.) ნეკურახი, სვან. ლიც/ნიც „წყალი“,
ქართ. მიჭეჭი - სვან. მიჭიჭ, ქართ. მი - სვან. მი და სხვ.).

ამგვარად, დ ე რ ც ე ლ ი ს ალონიმიზაცია დასაშვები ფონე-
ტიკური ცვლილებების მიხედვით შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:

ს. - ქართვ. *ღერცელ-

- სვან. *ღერჩეუ-ღვრჩუ
- სვან. *ღვრცელ-ღვრცინ
- ქართ. ღერცელი
- მეგრ. *ღარჩალიღარჩელი.*

ბ) ქართ. ო დ ე თ ი / ო დ ი ს ი : მეგრ. ო დ ი შ ი : სვან. შ ე დ ტოპონიმებში ძირი'იელ ედემენტად ო დ- გამოიყოფა, ხოლო სვან. შ ე დ ო დ მორფემის უმლაუტირებული ვარიანტია: ქართ. -მეგრ. ო დ-ი>სცან. ზ დაუ ე დ (ზდრ. ქართ. ორბ-ი> სვან. შებრ...).

შესადარებლად მოხმობილი ტოპონიმების სახელდების პრინციპი ნათელი არაა და ამდენად იგი შემდგომ კვლევა-ძიებას მოითხოვს. აქ დასა- შვებად მიგვაჩნია მხოლოდ ის, რომ თავის დროზე ამ ტოპონიმებს სა- ერთო ნიშან-თვისება ჰქონდათ, ასახავდნენ სახელდების საერთო-ქარ- თველურ პრინციპებზე დამყარებულ კანონზომიერებებს და სახელდები- სათვის გამოყენებული ფუძეც ნათელი შინაარსისა და საერთო-ქართვე- ლური ლექსიკის წარმომადგენელი გახლდათ.*

გ) ქართ. ე წ ე რ ი : მეგრ. ა ჭ ა რ ა : სვან. ჰ ე ც ე რ / ა ი ც ე რ

საერთო არქეტიპად შეიძლება დავუშვათ *ხ ე წ ე რ-. მეგრულ-სვა- ნურ-ქართული თანამედროვე ტოპოფუძეები სავარაუდოდ დაშვებული ამო- სავალი ფორმის ალონიმებად უნდა წარმოვიდგინოთ. მართალია, ეტიმო- ლოგიური, სემანტიკური თუ ეტიმოლოგიური თვალსაზრისით სახელდების პრინციპი ნათელი არაა და შემდგომ კვლევას მოითხოვს, მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ქრონოლოგიის რომელიმე დონეზე, კერძოდ კი - სახელდების პროცესში, მათ ჰქონდათ ნათელი სემანტიკა და სახელ- დებაც მოტივირებული იყო. ხსენებული ფუძეების ეტიმოლოგიზაცია არ ხერხდება, მოსაზრებაც ჰიპოთეტურია, მაგრამ ბგერათმომართებათა .

*სვანურში ე / ა-ს მონაცვლეობის ფონეტიკური შესაძლებლობის შესა- ხებ იხ. [21] 55, ხოლო ქართ. ე : ზან. ა>ე მუშაულებელი ი ა ნ ე ხმოვნების წინ ანალოგიურად: ქართ. ე ა ც ე მ ბ ი : მეგრ. *ე ო - რ ა ზ ი ა ც ო რ ი ე წ ი -სა (იხ. [13] 160-61).

**შესადარებელ ერთეულებში არაა ჯანხილული ტოპონიმი ჰ შ დ ი შ. ქართველურ ტოპონიმიში დამატებითი მასალის მოპოვების შემდეგ ვეარაუდებ შესაფერისი ისტორიულ-შედარებითი გამოკვლევის ჩატარებას.

რეგულარული ხასიათი მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ მათ საერთო-ქართველური საფუძველი უდევთ ამოსავლად.

სვანეთის ტოპონიმიაში დასტურდება **ა ე წ უ რ ი შ**, რომელიც **ჰ ე ც ე რ / ა ე ც ე რ**-ის წინამორბედი უნდა იყოს ბალსზემოური სვანეთის ტოპონიმიაში და ქართულ-სვანური ერთიანობის ეპოქას უნდა ასახავდეს. ასევე, საყურადღებოა ზუგდიდის რ-ნის ერთ-ერთი სოფლის სახელწოდება **ხ ე ც ე რ ა**, რომელშიც სვანურის კვალია მოსალოდნელი, და ლერხუმის ტერიტორიაზე დამოწმებული **ა ჭ ა რ ა**, რომელიც ზანურის ფენაზე მიგვანიშნებს. მეგრულენოვან ტერიტორიებზე საკმაოდ გავრცელებული სახელია **ე წ ე რ ი / ე ნ წ ე რ ი**. დასაშვებია ის, რომ **ე წ ე რ ი** ან წარმოდგენს სვანურის სუბსტრატს, ან სესხების გზითაა შემოსული ქართულენოვანი ტოპონიმებიდან, ხოლო **ე ნ წ ე რ ი** მეგრულის ნიადაგზე წარმოქმნილი ალონიმია. მოუხედავად ამისა, ტოპონიმოკური კვლევის დონეზე ყველა მათგანი განიხილება, როგორც ადგილობრივი გეოგრაფიული სახელი და ტოპონიმოკურ შესატყვისობადაა მოდელის კანონზომიერ წევრებად ჩაითვლებიან?

დ) ქართ. **კ ა ხ ე თ ი / კ ა ხ უ რ ი / კ ა ხ ა რ ე თ ი** : მეგრ.

კ ა ხ ა თ ი / კ ო ხ ო რ ა : სვან. **კ ა ხ ჯ რ / კ ზ**

ხ ი შ / კ ა ხ რ ჯ რ / კ . ა ხ ჯ ლ . . .

ყველა მათგანისათვის საერთო ამოსავალ ფუძედ თავისუფლად გამოიყობა ***კ ა ხ**-. კახეთის ეთნოტოპონიმოლოგია გვიანდელი უნდა იყოს. ისიც დროის გარკვეულ მონაკვეთში ისეთივე ჩვეულებრივი ტოპონიმი უნდა ყოფილიყო, როგორც სხვა ჩამოთვლილი სახელწოდებები. საყუ-

*ქართულის დიალექტებში **ე წ ე რ**-სიტყვას სხვადასხვა განმარტება ეძებნება: 1. **ე წ ი რ ა** აჭარ. „გვიმრა“ ([22]; 2. **ე წ ი რ ი** გურ. „ენაყოფო მიწა“, ეწერის მოლაქაი (სამკურნალო ბალახია) - [23]; 3. მწირი, უნაყოფო მიწა, გამოფიტულ - გამორეცხილი, მცირემოსავლიანი. ეწერის გვიმრა (გვიმრის სახეობაა); გურ., იმერ.: დაბლობი ადგილი, დაფარული ბუჩქით, ისლით და მისთ.; ძვ. „მცირე ბუჩქი, მორჩილი ტყე, მცირე ჭალა“ ([24]; მაღალი მთის ბალახია, სახლების სახურავად ხმარობენ, ([25], [26]; **ე წ ი რ ი** (ხე) ხშირი ჭალა ველოვან-ნისლოვანი ([25]; 4. **ე წ ე რ ი / ე ნ წ ე რ ი** перелазной, ильбенский, пѣсок, пещаникъ ([26]). ი. ქაეძარაძის ვარაუდით, **ე წ ე რ ი** თავდაპირველად წითელ მიწას ნიშნავდა ([27] 386).

რადღებოდ გვეჩვენება ის, რომ კ ა ხ- ძირისეული მორფემის შემცველი ადგილთა სახელები საერთო-სვანურის ტოპონიმიაში საკმაოდ ხშირი და მრავალფეროვანია. მათი აღონიმიურობა სვანურისავე ნიადაგზე ხდება ნათელი.

ქართულში (ადიგენის რ-ში) ერთ-ერთი სოფლის სახელად დასტურდება კ ა ხ ა რ ე თ ი. რომლის ფუძისეული კ ა ხ ა რ- და სვანური რედუცირებული კ ა ხ რ- (<°კ ა ხ ა რ) ერთი და იგივე ჩანს. თუ ეს ასეა, მაშინ შესაძლებელია მათივე კანონზომიერი შესატყვისი იყოს მეგრ. კ ო ხ ო რ ა (სოფელია გალის რაიონში).


ქართველურენოვან ტერიტორიებზე კ ა ხ- ძირისეული მორფემის ამგვარი გავრცელება იმაზე მიგვანიშნებს, რომ იგი საერთო-ქართველურში აპელატური ელემენტი იყო და, მაშასადამე, სახელების საფუძველიც, როგორც ეტიმოლოგიური, ისე სემანტიკურ-ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, საერთო-ქართველური უნდა ყოფილიყო.

ე) ქართ. ხ ე ი თ ი / ხ ე ო თ ი : მეგრ. ხ ე თ ა : სვან. ჭ ე / ქ ე უ რ ა / ქ ვ ა შ დ

დესემანტიზირებული ტოპოფუძეებია, მაგრამ, რადგანაც ყველა მათგანი ტერიტორიულად მდინარის გასწვრივ, ხეობებში მდებარეობს, საერთო ამოსავალ არქეტებად შეიძლება დაშვებულ იქნეს °ქ ე- < °ქ ე ე-, რომელსაც „ნადვარების“, „დეღეს“, „ხეობის“ მნიშვნელობაც უკონდა და ადმინისტრაციული ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინიც იყო ძველ საქართველოში. იგივე მნიშვნელობა დღესაც შემორჩენილი აქვს სვანურს. XIII-XIV საუკუნეების სვანეთის საისტორიო ძეგლებში დასტურდება გამოთქმა: „ერთობლივი ქევი“, „ზემო ქევი“, (=ბალს-ზემოური სვანეთი), „ქვემო ქევი“ (=ბალსქვემოური სვანეთი - [16] მ); სვანური გამოთქმა „ჟიბე ქეუ“, „ჩუბე ქეუ“ ნიშნავს: ზემო ხევის საზოგადოება, ქვემო ხევის საზოგადოება (ზღრ.: კეუთე ლიზი „საზოგადოებაში გასვლა“, ქეუდ ზდკუიჰ „საზოგადოებამ გაიგო“, გადატანით - „მთელმა ქვეყანამ გაიგო“. ასევეა ქართულშიც: ხ ე ვ ი


გვხვდება, როგორც: 1. გეოგრაფიული ტერმინი, 2. ტოპონიმი, 3. ტოპონონიმი (ზღვ. ხევსური-ხევსურ-ეთ-ი-ე-ხევ-ის-ურ-ეთ-ი).

თუ ტოპონიმის აპელაცივ კ ე ვ -თან დაკავშირება გასაზიარებელია, მაშინ ნათელი იქნება სახელდების პრინციპიც როგორც სემანტიკური, ისე ეტიმოლოგიური თვალსაზრისით და მათი წარმომავლობაც საერთო-ქართულურ დონემდე მიიყვანება, ხოლო მათი ტოპონიმიზაცია და შემდგომ ალონიმიზაცია მოსალოდნელია ქრონოლოგიურად დიფერენცირებული დონეების ასახვით წარმართულიყო, სახელდობრ, ასე:



უძველესი ტოპონიმ კ ე ვ -ს მრავალსახეობა რომ უფრო სარწმუნო იყოს, თვალსაჩინოებისათვის მოვიხმობთ ერთი ტოპონიმიკური ფიქსაცია სრულიად ახლად შექმნილი ქართველური გეოგრაფიული სახელები და თვალის გადავაცლოთ მათ ევოლუციას: სოფელ კ ვ ა შ დ-ს ჩამოუდის მდინარე, რომლის სახელწოდებაც მეტონიმიური წარმოშობისაა - პიდროტიმონად სოფლის სახელია აღებული, რომელსაც დაემატა პიდროფორმანტი -უ რ ა /-2 რ ა და მივიღეთ მდინარის სახელწოდება კ ვ ა შ დ ჯ რ ა (ქართ. ხაიშურა). სპეციალურ ლიტერატურასა და ტოპოგრაფიულ რუკებზე მდ. კ ვ ა შ დ ჯ რ ა ტ ყ ე ი შ ი / ა ხ ე ი შ ი -თ არის აღნიშნული (იხ. [29] 134). რა თქმა უნდა, შეცდომია დაშვებული. ამგვარი სახელები სვანურის სინამდვილეში არ არსებობს და ამდენად იგი არასწორადაა აღქმული და შემდგომ - გადატანილი სახელმძღვანელოებსა თუ რუკებზე, მაგრამ ფონეტიკური თუ ფონოლოგიური თვალსაზრისით - საინტერესოდ ტრანსფორმირებული, რომელმაც ნამდვილ ციფრებაში ჩაუხედავი მკვლევარი შესაძლებელია კუროზულ დასკვნამდეც კი მიიყვანოს.

ქ ა შ დ-ს ქართულად ხ ა ი შ ი ჰქვია, ხოლო მეგრულად - ხ ე შ ი. ქართულის გავლენით სვანი ახალგაზრდები ხ ა ი შ-საც ხმარობენ, მეგრულში კი მან თითქმის ისეთივე რეინტერპრეტაცია განიცადა, როგორც - ხ ე ი თ-ში. კერძოდ:



როგორც ვხედავთ, ქართ. ხ ა ი შ ი და მეგრ. ხ ე ი შ ი / ხ ე - ა შ ი / ხ ე შ ი სვანურისათვის სრულიად ახლად შეძენილი ტოპონიმიკური ერთეულებია, რომელთა ხმარების არც შეზღუდულია და განსაზღვრული, და, მაშასადამე, ქ ა შ დ ტოპონიმისაგან კომბინატორული ცვლილებებით მიღებული ალონიმები ხ ა ი შ ი / ხ ე შ ი თუ ტ ყ ე ი შ ი / თ ხ ე ი შ ი ცოცხალი ილუსტრაციაა ერთი ენის ამოსავალი ფორმის ფონეტიკური გარდასახვისა სხვადასხვა (მონათესავე თუ არამონათესავე) ენის გარემოცვის პირობებში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: „შესატყვისობათა“ მე-4 მუხლის გარშემო შეიძლება განმარტების სახით ორიოდ სიტყვა ითქვას: ქართველური ტოპონიმიიდან ერთ-ერთ ყველაზე რთულ, მაგრამ მეტად საინტერესო საკვლევ-ვაძიებო საკითხს სწორედ ის გეოგრაფიული სახელები წარმოადგენენ, რომელთა ფიქსირებული თუ ძირისეული მორფემები სემანტიკურად ბუნდოვანია და ეტიმოლოგიზაციას არ ექვემდებარებიან. ამ ეთარებაში განაპირობა ის, რომ მე-4 ქვეჯგუფის შესადარებელი ერთეულების სრული ანალიზი, მათი ლინგვისტური ეტიმოლოგია ბოლომდე არაა მიყვანილი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს აქ ცწყვეტდეთ ძიებას. მათ/მიმართ გარკვეული აზრი გვაქვს და იგი უსაფუძვლო არ ჩანს. მაგალითად, ტოპონიმშესატყვისობადად მიჩნეულ სახელებში, როგორცაა, მაგალითად: ქართ. კ ა ხ ა რ ე თ ი, მეგრ. კ ო ხ ო რ ა, სვან. კ ა ხ რ ჳ რ (<° კ ა ხ ა რ ჳ რ) - ფიქსირულ ელემენტებად გამოცხადით კ ა ხ ა რ-, კ ო ხ ო რ-, კ ა ხ რ-, რაც მხოლოდ ტოპონიმიკური კვლევის რომელი-

ღაც საფეხურისთვის არის გამარჯვებულად მიჩნეული. შემდგომი ანა-
ღიზი ქართულ-სვანურ კ ა ხ - და მეგრ. კ ო ხ - ძირისეულ ელემენ-
ტურშიც ხ-ს ან ხ-ს ხმოვნის თანხლებით გამოვავაყოფინებს, ეს ხ კი
იმავე ფუნქციისა უნდა ყოფილიყო, რაც საქართველოს ისტორიული გე-
ოგრაფიის წყაროებში მოხსენიებული: ტაო - ტაოხი, *ღია - ღიაოხი
ღიაუხი, *კოლ - კოლხი კოლხეთი, *ჭორ - ჭოროხი, ჯავა - ჯავათი -
ჯავახეთი და სხვა ამგვარ სახელებში დაცული ხ (შდრ. აგრეთვე:
კაუხეთი, კუხეთი, კოხეთი).

რა თქმა უნდა, თითოეული გეოგრაფიული სახელის არა მარტო ტოპო-
არქეტიპის, არამედ საზოგადო სახელის ამოსავალი ფორმის სათანადო
დონეზე აღდგენა და მისი მნიშვნელობის დადგენა, მეტად საჭირო და
აუცილებელია, მაგრამ ასეთი შორეული ანაღიზი ჩვენს მიზანს ამჯე-
რად არ შეადგენს. შემოთავაზებული ტოპონიმიკური ინტერპრეტაციები
„შესატყვისობათა“ მე-4 ქვეჯგუფის საილუსტრაციო მასალაა მხოლოდ.
ყურადღება ძირითადად იმის ჩვენებაზეა გამახვილებული, რომ ქარ-
თველურ ტოპონიმიაში უამრავია განმეორებადი ტოპონიმიკური ფუძე-
ძირის შემცველი სახელები და ისინი ქმნიან ერთნაირ სტრუქტურულ
მოდელებს და უმეტეს შემთხვევაში დაცულია ფონეტიკურ შესატყვისობადა
კანონზომიერებანი. რადგანაც ამგვარი ტოპონიმიკური მასალა ზოგად-
ქართველური ყალიბისა ჩანს და ქმნის მწყობრ სტრუქტურულ და გრა-
მატიკულ სისტემას, არა გვაქვს უფლება მისი არსებობა ქართულ-ზა-
ნურ-სვანურ ტოპონიმიაში შემთხვევითობად მივიჩნიოთ. პირიქით, ის
უნდა ასახავდეს ქართველური ტოპონიმიის რელატიური ქრონოლოგიის
გარკვეულ დონეს.

V. მონათესავეენოვანი ტერიტორიების ტოპონიმიაში შესადარებლად
აღებული ძირისეული ან ფუძისეული მორფემები დასაშვებია იყოს
უცხოენოვანი (არაქართველური) წარმომავლობისა. ამდენად, მადი ტო-
პონიმიზაცია საგულეებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც სესხების გზით
შემოღწეულმა საზოგადო სახელებმა იურიდიული უფლება მოიპოვეს შე-

სადარებლად აღებული რეგიონების სამეტყველო ენაში.

ქართველური ენები ერთსა და იმავე ფუძის ან ძირის შემცველი უცხოენოვანი სიტყვებით საკმაოდ მდიდარია. ქრონოლოგიურად ისინი სესხების სხვადასხვა საფეხურს ასახავენ და ზოგი მათგანი ისე შეუსისხლხორცებია ენას, რომ გენეტურად დაკავშირებულ ენათათვის დამახასიათებელ ფონეტიკურ კანონზომიერებებსაც კი გვაძლევენ. ნიშანდობლივია ის, რომ ზოგჯერ ამგვარი უცხო ვითარება ტოპონიმიაშიც იჩენს თავს. მაგალითად: არაბულიდან სესხების გზით ქართულში დამკვიდრდა სიტყვა ნ ა დ ი („მამიდადი“), რომელმაც კანონზომიერი ვოკალური შესატყვისობა მოგვცა ზანურში (შდრ.: მეგრ. ნ ო დ იჟ; ქან. ნ ო დ ე რ ი), ხოლო მეგრული ვახმოვანებით შესულა სვანურშიც (ლხმ. კილოკავში) - ნ ო დ ი d., რომლის უფრო გვიანდელ საფეხურს უნდა ასახავდეს ნაგენეტივარი ტოპონიმი ნ ო დ ჯ შ (მესტიის რ.).

რადგანაც ერთი და იმავე უცხოენოვანი ელემენტის არსებობა ქართველურ ენებში ეჭვს არ იწვევს, ბუნებრივია ქრონოლოგიის შედარებით გვიანდელ საფეხურზე მათი თანაარსებობა ტოპონიმიაშიც. საილუსტრაციოდ მოვიხმობთ რამდენიმეს:

ა) ქართ. ნ ა ქ ა ლ ა ქ ე ვ ი: მეგრ. ნ ო ქ ა ლ ქ ე ნ ი: სვან. ნ ა ქ ლ ა ქ უ .

საერთო ამოსავალი ფუძეა აპელატივი ქ ა ლ ა ქ-, რომელიც დამოწმებულია ქართული ლიტერატურის უძველეს ძეგლებში [10]. იგი შემოსულია სირიულიდან და მას თავდაპირველად „ზღუდის“, „ციხე-სიმაგრის“ მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ([30] 40). მეცნიერთა ვარაუდით, „ციხე-ქალაქი“, რომელმაც შეცვალა იგივე მნიშვნელობის ძველი ქართული „ზღუდერი“ ([31] 70-82), ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის შუახანებისათვის ადგილობრივ შექმნილი ტერმინია ([32] 160). საყურადღებოა, რომ ქართველურ ტოპონიმებში, მაგალითად, სვანურში, ჩანს „ქალაქ-“ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა. ამას

მხარს უჭერს არქეოლოგიური მონაცემებიც, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ისტორიული ვითარების უძველეს ეტაპზე სახელდებისათვის აუცილებელი პირობები ამ ტოპონიმებს საერთო-ქართველური ჰქონდათ:

ბ) ქართ. მ.ო.ე.ღ.ა.ნ.ი/მ.ე.ი.ღ.ა.ნ.ი/მ.ა.ი.ღ.ა.ნ.ი ;
მეგრ. მ.ა.ი.ღ.ა.ნ.ი/მ.ე.ე.ღ.ა.ნ.ი/მ.ე.ღ.ა.ნ.ი/მ.ო.ე.ღ.ა.ნ.ი ; სვან. მ.ჰ.ა.ღ.ჰ.ნ

სახელდების სემანტიკურ-ეტიმოლოგიური და ალონიმური ვითარება ქართველური ტოპონიმებისა ადგილობრივ ნიადაგზე იხსნება. სახელთა წარმოქმნას საფუძვლად დასდებია არაბულ-სპარსულ-თურქულიდან სესხების სხვადასხვა ზნით დამკვიდრებული სიტყვა მ.ა.ი.ღ.ა.ნ „მინდორი“. ჩანს, რომ საზოგადო სახელის საყოველთაო ხმარების ტრადიციამ განაპირობა მისი ტოპონიმიზაციაც. სახელის ვარიანტულობა დიალექტური თავისებურებებით უნდა აიხსნას.

XI საუკუნემდე მოღწეულ წერილობით ძეგლებში ეს სიტყვა არ დასტურდება. სამაგიეროდ, უკვდავი რუსთველის „ვეფხისტყაოსანში“ უკვე ფონეტიკურად ადაპტირებული მ.ო.ე.ღ.ა.ნ- ფუძე IO-ჯერ გვხვდება, რაც იმისი მაჩვენებელია, რომ მ.ო.ე.ღ.ა.ნ - სიტყვას ქართველურ მეტყველებაში წინ უსწრებდა მ.ა.ი.ღ.ა.ნ-/მ.ა.ე.ღ.ა.ნ-/მ.ე.ი.ღ.ა.ნ- ფუძეების არსებობა?*


*საინტერესოა შედარება : ც.ი.ხ.ე. - ა.ხ.ა.ღ. - ც.ი.ხ.ე. , ქ.ა.ღ.ა.ქ.ი. - ა.ნ.ა.ღ. - ქ.ა.ღ.ა.ქ.ი. შესაძლებელია, ამ ტოპონიმების სახელდების დროს „ციხე“-სა და „ქალაქი“-ს შემორჩენილი ჰქონდათ თავდაპირველი მნიშვნელობა: „ციხე-სიმაგრე“, „თავდაცვითი ნაგებობა“, „ზღუდერი“. შდრ.: 1957 წ. გამოცემული „ვეფხისტყაოსანიდან“: „ქალაქი შექონდა მაგარი“ (149, 859), „ყარი ქალაქთა უომრად გავადრინეი“ (465), „ციხეს ეზო ეზომ მაღალსა“ (1300), „ციხისა კარნი დახშულნი“ (1278), ან: „ღია გვაქმს ციხე-ქალაქი“ (199), „ჩვენ მოგყუდო ციხე - ქალაქი“ (423).

მ.ო.ე.ღ.ა.ნ-/მ.ა.ი.ღ.ა.ნ- ფუძეებს საბას ლექსიკონი არ იტანობს. გვხვდება მ.ე.ე.ღ.ა.ნ.ი და მ.ე.ე.ღ.ა.ნ.ი. „მ.ე.ე.ღ.ა.ნ.ი“ - მედიდანი სხუთა ენაა, ქართულად შერე და მინდორი და ფორე ჰქვიანა“- განმარტავს ლექსიკოგრაფი. დ. ჩუბინაშვილის „ქართულ ლექსიკონში“ - დასტურდება: მ.ე.ი.ღ.ა.ნ.ი, მ.ა.ე.ღ.ა.ნ.ი, მ.ო.ე.ღ.ა.ნ.ი, განმარტებით - „მინდორი, ფორე, შერუდე, საბასპარტო, ПЛОУЩАДЬ“. მ.ა.ი.ღ.ა.ნ.ი/მ.ე.ი.ღ.ა.ნ.ი საკმაოდ გავრცელებული სიტყვაა ინდ. - იეროზ. ენებში ([33],[34] 86-92).

აქედან გამომდინარე, რუსთველის ეპოქისათვის ერთადერთი სალიტერატურო ფორმა უნდა ყოფილიყო ა ცოკალის ლაბიალიზაცია (მ ლაბიალის გაცეცხვით) მიღებული სიტყვა მ ო ე დ ა ნ ი, ხოლო ქართულურმა დიალექტებმა უფრო უწინარესი ვითარება შეინარჩუნეს, რაც შემდეგ ტოპონიმიაშიც აისახა.

ზანურ-სვანურში მ ა ი დ ა ნ / მ ე ი დ ა ნ ი ან მ ო ე დ ა ნ ი საყოველთაო ხმარების სიტყვები არაა. ისინი, შეიძლება ითქვას, ტოპონიმიკური ფუძეებია მხოლოდ.

როგორც ითქვა, სესხება ჩვენთვის საინტერესო ფუძეებისა ქართულურ ენებში შესაძლებელია მომხდარიყო არაბულ-სპარსულ-თურქულის გზით და სხვადასხვაენოვან ეთნოსათვის დამახასიათებელი დიალექტური ვარიანტებითვე დამკვიდრებულიყო ქართველური ენების დიალექტებში, ე. ი. გავრცელებულიყო, როგორც გეოგრაფული ტერმინი აბელატივის დონეზე, მაგრამ ვერ გამოვრცხავთ იმასაც, რომ ნასესხები ფუძის ნაირსახეობა, რომელთა რიცხვი საკმაოდ ბევრია, თვით ქართველური ენებისა და მათი დიალექტების ფონეტიკურად დასაშვები პროცესების შედეგიც იყოს და ქრონოლოგიურად შედარებით გვიანმომხდარი მათი აღონიმიზაციაც შეიძლება (ამოსავალი ტოპოარქტივის დაშვებით). ასე წარმართულიყო:




გ) ქართ. ნ ა კ ა ნ ტ ო რ ვ ა ლ ი : მეგრ. ნ ა კ ა ნ ტ ო რ : სვან. ნ ა კ ა ნ ტ ო რ .

სახელდების პრინციპი, როგორც სემანტიკურ-ეტიმოლოგიური, ისე ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, გამჭვირვალეა. ასევე, პრინციპი სახელდებისა საერთო-ქართველურია. სახელთა საწარმოებელ ფუძედ აღებულია რუსულის მეშვეობით შემოსული სიტყვა კ ა ნ ტ ო რ ა [36]

(ზდრ.: რუს. КОТОРА, გერმ. Kontor, პოლანდ. (ნიდერლანდ.)
 Kontoor < ფრანგ. contoir „დახლი“, „კანტორა“ [37], [38]).
 აღნიშნულია ქართველური (დიალექტური) ტომონიმებისათვის დამა-
 ხასიათებელი თავისებურებებიცაა გამოწვეული. ყველა მათგანში გა-
 მოყოფა წინაგითარების ნ ა- პრეფიქსი. ნულვანო სუფიქსაცია
 გვაქვს მეგრულ-სვანურში, ხოლო აჭარულში მინდვრის სახელწოდებად
 დადასტურებული ნ ა კ ა ნ ტ ო რ ვ ა ლ ი. ორმაგი სუფიქსაციის
 შედეგად ფონო-მორფოლოგიურ კანონებს დაქვემდებარებული სახელია.
 ქართველური დიალექტების ტომონიმიაში ანალოგიური წარმოების გეო-
 გრაფიული სახელები საკმაოდ უხვია. შედარებისათვის მოვიხმოთ ორი-
 ლდე მაგალითი ამავდრეგიონის ტომონიმიდან: აბელატივი კ ა ნ ა-
 ფ ი - ტომონიმები: ნ ა კ ა ნ ა ფ ე-ც ია* ნ ა კ ა ნ ა ფ ე-
 არ-ი> ნ ა კ ა ნ ა ფ ვ ა რ ი. (ე ვოკალის რედუქციით), აბელატივი
 ქ ე რ ი - ტომონიმები: ნ ა ქ ე რ ა ვ ია* ნ ა ქ ე რ ა ვ-არ-ი>
 *ნ ა ქ ე რ ვ ა რ ი> ნ ა ქ ე რ ვ ა ლ ი (ა ვოკალის რედუქციითა
 და რ-ს დისიმილაციით - [39], 175-76). ანალოგიური ფონეტიკური და
 მორფოლოგიური პროცედურების გზითაა მიღებული ნ ა კ ა ნ ტ ო რ-
 ვ ა ლ ი ცე: კ ა ნ ტ ო რ ა - *ნ ა კ ა ნ ტ ო რ ე ვ ია* ნ ა კ ა-
 ნ ტ ო რ ე ვ ა რ ია* ნ ა კ ა ნ ტ ო რ ვ ა რ ი> ნ ა კ ა ნ ტ ო რ-
 ვ ა ლ ი.

მაშასადამე, ტოპარქეტიზად ს.-ქართველურში შეიძლება დაშვებულ
 იქნეს *ნ ა კ ა ნ ტ ო რ-, რომლის აღნიშნულია შემდეგ სახეს
 გვიჩვენებდა:



დ) ქართ. ნ ა კ ა რ ტ ო ფ ი ლ ა რ ი : მეგრ. ნ ა კ ა რ ტ ო-
 ფ ი ლ : სვან. ნ ა კ ა რ ტ ო ბ ი ლ ო რ

გეოგრაფიული სახელების წარმოქმნის პრინციპი საერთო-ქართული ყალიბისაა. ზანურ ტომონიმიაში იგი შედარებით უფრო ახალი წარმონაქმნი ჩანს. ეს იმიტომ, რომ კარტოფილი ზანურენოვან ტერიტორიებზე არ მოჰყავთ, რასაც, ალბათ, აგრობოტანიკური მიზეზებიც განაპირობებს.

მონხობილი ტომონიმებისათვის საერთო ამოსავალი ტომოფუძეა ფართოდ ცნობილი კულტურული მცენარის ბოტანიკური ტერმინი კ ა რ ტ ო ფ ი ლ - (Solanum tuberosum). ვარაუდობენ, რომ იგი რუსულის მეშვეობითაა ქართველურ ენებში შემოღწეული (შედრ.: карто-
филъ, გერ. Kartoffel, იტალ. tartufolo [36],[37],[40]).

ქართულ-სვანურენოვანი ტერიტორიების ტომონიმიაში დამოწმებული აღონიმური გეოგრაფიული სახელები: ქარო. ნ ა კ ა რ ტ ო ბ ი ლ ა რ ი, სვან. ნ ა ქ ა რ თ ო ბ ი ლ და სხვ. - აკუსტიკურ-ფონეტიკური ხასიათის ცვლილებებით გამოწვეული ფორმებია.

სვანური ენის კილოკავებში „კარტოფილ“-ს გ ა რ დ უ ი შ ი ც უ ქვია. იგი უშუალოდ რუსულის დიალექტური картышъ -ს ფონეტიკური ვარიანტი ჩანს; რუს. (დიალექტ.) картышъ > სვან. *გარდუში> გარდუში.

სვანურ მენტყველებაში რენინტერპრეტირებული, მაგრამ უფლებამოსილი, გ ა რ დ უ ი შ ი ნ ა - წინავითარების პრეფიქსით გეოგრაფიულ ნომენკლატურაშიც მკვიდრდება: ნ ა გ ა რ დ უ ი შ ი („ნაკარტოფილარი“):

--*სენენენინ-წინთ-შემოსული გარენობრივი სამყაროს ფუძე-ძირები ქართველური ენების დიალექტების ლექსიკაში გარკვეულ ადგილს იჭირენ და ისინი ნშირად ისე შეესისხლბორყვებია ხოლმე ადგილობრივ გარემოს, რომ შეუიარაღებელმა თვალმა შესაძლებელია ვერც კი გაარჩიოს ადრე თუ გვიან შეძენილი ლექსიკური ერთეულები ძირითადი ფონდის ლექსიკური ერთეულებისაგან. „მოზიხაურებელი“ ლექსემები იურიდიულ უფლებას პოულობენ, უპირველეს ყოვლისა, ჯერ სამენტყველო ენის სისტემაში, ეგუებიან რა ადგილობრივ ფონო-მორფოლოგიურ თუ სინტაქსურ და ლექსიკურ თავისებურებებს, და ამის შემდეგ, დროის რომელიცაა მონაყვეთში, სათანადო რეგიონის ტომონიმკურ სისტემაშიც „სახლდებთან“ ახალი და უახლესი ლექსიკური ერთეულების (ამელატიურისა და ტომონიმკურის) ქრონოლოგიური მიმდევრობების მიხედვით შესწავლა, მათი ფონო-მორფოლოგიური და ლექსიკურ-სემასიოლოგიური კვლევა-ძიება საყურადღებოდ შედეგს მოგვცემდა, მაგრამ ამჯერად იგი სცილდება

VI. შესაძლებელია, რომ შესადარებლად შერჩეული ტოპონიმების მორფოლოგიური და სინტაქსური მოდელები (resp. სტრუქტურული სახე) ასახავენ იმ ზოგად კანონზომიერებებს, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ გენეტურად დაკავშირებული ენებისათვის.

მაგალითად:

ა) ქართ. ბ ა ლ ი ს ხ ი დ ი : მეგრ. ბ უ ლ ი შ ხ ი ნ ჯ ი

ბ) ქართ. ც ხ რ ა წ ყ ა რ თ : მეგრ. ჩ ხ თ რ ღ წ ყ უ

ორივე რიგის საილუსტრაციო მაგალითებისათვის როგორც სახელდების პრინციპი, ისე მისი ფონეტიკური მხარე კანონზომიერია და ნათელი. მეგრული ტოპონიმების მნიშვნელობა ემთხვევა ქართული ტოპონიმების მნიშვნელობას : ქართ. (გურ.) ბ ა ლ ი და მისგან მიღებული მეგრ. ბ უ ლ ი არის ან ბალი (ყვეყვეყ, Cerasus avium) ან არყი (Betula); ხოლო მეგრ. ხ ი ნ ჯ ი ქართ. „ხიდის“ ფონეტიკური შესატყვისია (ნ-ს განვითარებით ხშული ბგერის წინ). ასევე, ზუსტი ფონეტიკური შეფარდებაა მეორე შემთხვევაშიც : ქართ. ც ხ რ ა : მეგრ. ჩ ხ თ რ თ ; ქართ. წ ყ ა რ თ : მეგრ. წ ყ უ (←*წყურ-).**

ჩვენი ინტერესების სფეროს და „შესატყვისობა“ მე-5 ქვეჯგუფის შინაარსის გაგებისათვის საილუსტრაციოდ მოხმობილი ტოპონიმების ზოგადი ინტერპრეტაცია საკმარისად გვეჩვენება. ქართული ენის გურულ კილოში „ბალი“ და მეგრულში „ბული“ აღნიშნავენ როგორც „ბალს“, ისე – „მდის არყსაც“ (იხ. [6] 12). ამ ტოპონიმმა ანალიზი სხვა მხრივაცაა საინტერესო: I. სპეცი-ალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ისტორიულად სახელთა ერამარცვლიანი ფუძეები უკუმშველი იყო“ ([41] 183). „ბალ“ – ფუძის უკუმშველობაც სწორედ ამასვე აღასტურებს და მიგვანიშნებს იმაზეც, რომ ამ ტოპონიმის სახელდების პროცესი წინ უსწრებდა ერამარცვლიან ფუძეთა უკუმშვის ჩამოყალიბებას. 2. „ცხრა“ გამოჩენილი რიცხვია ქართულურ ზემირსიტყვიერებაში. მოვიგონოთ: „ცხრა შთა“, „ცხრა ძმა“, „ცხრა კარი“, „ცხრა კლიტული“ და ა.შ. ამიტომ ც ხ რ ა წ ყ ა რ თ-სა და ჩ ხ თ რ ღ წ ყ უ-ში შემთხვევითი დამთხვევის გარდა შესაძლებელია გამოორიგებოს წ ყ ყ ა რ თ არსებობა. ქართ. „ცხრა“ და მისი ფონეტიკურ – სემანტიკური შესატყვისი მეგრ. „ჩხორო“ აქ წყაროთა რაოდენობაზე კი არ მიგვიფიქრებს, არამედ გვაქვს ქართველური უძველესი ფიგურალური გამოთქმა, რომელიც ამა თუ იმ ტერიტორიაზე არსებულ კარგ წყაროთა სიმრავლეს აღნიშნავს ზოგადად.

მაშასადამე, ზემოხსენებულ მაგალითებში მკაცრად აჩის დაცული ყველა ის პირობა, რომელიც „შესატყვისობაა“ მე-6 ქვეჯგუფისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. ესენია : სახელდებისათვის დამახასიათებელი საერთო და სპეციფიკური ნიშნები, სინტაქსური მიმართებები წყვილებს შორის და რთული სახელის ორივე კომპონენტისათვის ფონოლოგიურ მიმართებათა კანონზომიერება. ირკვევა, რომ ამგვარი პრინციპებით შეჯერებული რთული სახელების არსებობა შესაძარბელი ტერიტორიების ტოპონიმიაში შემთხვევითი არაა. მიკროტოპონიმია ამის მრავალ მაგალითს გვაწვდის.

შესატყვისობათა ამაცე ქვეჯგუფის პრინციპებით განიხილებიან. შედარებით გვიან წარმოქმნილი ტოპონიმებიც, რომელთა სახელდებაც მოტივირებულია საერთო-ტოპონიმიკური ნიშნებით :

ა) ქართ. შ ა ვ ი . ღ ე ლ ე : მეგრ. შ ა ვ ი ღ ე ლ ე / შ ა ვ ი ღ ე ლ ე : სვან. შავი ღ ე ლ ე / შაჟღელე ;

ბ) ქართ. ა ხ ა ლ-შ ე ნ ი : მეგრ. ა ხ ა ლ-შ ე ნ ი : სვან. ა ხ ა ლ-შ ე ნ

მეგრული და სვანური ფორმები ქართ. „შავი ღელე“-სა და „ახალ-შენი“ს ზუსტი შესატყვისობებია, ფონეტიკური სხვაობა ნიუანსურია და მიორეული. ამდენად, მათი აღონიშურება ადგილობრივია და კვალიფიცირდებიან, როგორც ქართულიდან მეგრულ-სვანურში სესხების გზით დამკვიდრებული ტოპონიმიკური ფუძეები.

4. შემოთავაზებული მსჯელობების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ : ქართველურენოვანი ტოპონიმიის მასალებზე დაყრდნობით წარმოადგენილია ე.წ. ტოპონიმიკურ შესატყვისობათა ექვსი ამოსავალი დებულება. თითოეული მათგანისათვის შერჩეულია საილუსტრაციო მასალა, რომელსაც თან ახლავს ზოგადი ხასიათის, ძირითადად ტოპონიმიკური და, საჭიროებისამებრ, ლინგვისტური ინტერპრეტაციები, ხოლო შესაძარბელი ერთეულების ანალიზი მოთხოვნილების მიხედვით სინქრონიულ-დი-აქრონიული კვლევის მეთოდებს ეყრდნობა.

აკმაყოფილებს თუ არა შემოთავაზებულ და წაშოყენებულ დებულებებს თანმხლები მსჯელობები? ნაშრომი საკითხის წესითაა დაწერილი. ათათუელი დებულება საილუსტრაცია და ამდენად მგონია, რომ ტომონიმიკური კვლევის თანამედროვე დონის თვალსაზრისით ჩვენს ჩანაფიქრს სწორად გადმოსცემს.

საცსებრი ნათელია, რომ ყოველი ახლად წამოჭრილი საკითხი მოთხოვს ზედმიწევნით შემოწმებას, დახვეწას და სრული ფორმით მას შემდეგ უნდა ჩამოყალიბდეს, როცა ყოველმხრივ დაზუსტებულად იქნება წარმოდგენილი, მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ საბოლოო სახე რომელიმე ახლად დაბადებული საკითხისა თანდათანობით, დროთა ვითარებაში შემოწმება-დაზუსტების შედეგადაა მოსალოდნელი.

„ტომონიმიკური შესატყვისობა“, როგორც აღნიშნულიც იყო, ჯერჯერობით სამუშაო ტერმინია მხოლოდ. მისი ფუნქციონალური დატვირთვა კი საკმაოდ შრომატევადია და იგი სწორ მეთოდოლოგიურ კვლევა-ძიებით სამუშაოს საჭიროებს.

საკითხთა წამოყენება მათში მოცემული სავარაუდო დებულებების გადაჭრას არ ნიშნავს. ჩვენ მიერ ჩამოყალიბებული შესაძლო ტომონიმიკური შესატყვისობებიც იმის გარანტიას არ იძლევიან, რომ ყველაფერი რიგზე იყოს. საბოლოო მიზანი ამჯერად არც იყო დასახული. დასაზუსტებელი, ჩამოსაყალიბებელი და შესავსები თანდათან გამთავრება და თავის დროზე კუთვნილ ადგილსაც დაიჭერს. ერთი კი გვწამს: მონათესავეენოვანი ტერიტორიების ტომონიმიკურ მასალებზე ისტორიულ-შედარებითი თუ სტრუქტურულ-ტოპოლოგიური თვალსაზრისით მუშაობა შეტად სასარგებლო იქნება ამა თუ იმ ენის ისტორიისათვის; ისტორიულად ერთნაირი ფიქვ-ძირების შემცველი ტომონიმების ისტორიულ-შედარებითი და სტრუქტურულ-ტოპოლოგიური ინტერპრეტაციებისას უფრო სარწმუნოდ გამოიკვეთება შესადარებელი ლექსემების ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სინტაქსური შედგენილობა, მათი ცვალებადობა და საერთო ტომონიმიკური მოდელები; უფრო თვალსაჩინო ხდება სახელ-

მდებ ეთნოსთა ვინაობაც, მეტი შუქი მოეფინება გენეტიკურად დაკავშირებულ ტოპონიმების ქრონოლოგიურად დიფერენცირებულ დონეებს და ა.შ. შემოთავაზებული დებულებების დამადასტურებელი ფაქტობრივი მასალა თუ ვრცელი მსჯელობები მთელ ნაშრომში იგრძნობა, აქ კი ზემოთ მოცემულ განსაზღვრებებს დასკვნის სახით დავუმატებთ: თუ მონათესავე ენოვანი ტერიტორიების ტოპონიმიიდან შესადარებლად შერჩეული ერთეულები ისტორიულ-შედარებითი ან სტრუქტურულ-ტოპოლოგიური კვლევის დონეზე დააკმაყოფილებენ შემოთავაზებულ ტოპონიმიკურ შესატყვისობათა ერთ-ერთ პრინციპს, განიხილებიან როგორც სრულუფლებიანი შესატყვისი მოცემულობები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ახალი ქართული ენის კათედრასთან
არსებული ტოპონიმიკის ლაბორატორია

Основные принципы топонимических соответствий
/по материалам картвельской топонимии/

Р е з ю м е

1. Общеизвестно, что история топонимов тесно связана с историей той этнической /геогр-языковой/ группы, на территории которой они локализованы. Поэтому всестороннее изучение топонимов одной языковой территории в ходе их исторической эволюции и вопросы взаимоотношения с топонимами исторически родственных языковых территорий имеют важное значение не только для истории генетически родственных племен, но и для выполнения исключительно важной роли в уяснении многих нерешенных вопросов истории территориально смежных к ним иноязычных народов.

2. Поскольку топонимы /геогр.топонимы - корневые или деривационные/ претерпевают в процессе своего существования неоднократные изменения и перемещения в пространстве и во времени, их изучение и анализ должны проводиться со строгим учетом хронологической последовательности ступеней их развития.

3. Более полное освещение истории происхождения и развития топонимов и их отдельных частей достигается совокупным и системным рассмотрением топонимических и лингвистических модификаций. Под комплексным характером исследования топонимов понимается сумма сведений о семантико-этимологических, этимологических, фоно-морфологических, синтаксических и лексических поведениях сравниваемых топонимов родственных языковых территорий.

4. При изучении тех или иных особенностей топонимов род-

ответственных языковых территорий должны применяться как синхронические, так и диахронические методы исследования.

5. Топонимы должны изучаться структурно-типологическими и сравнительными или же сравнительно-историческими методами исследования.

6. Сравнимыми единицами могут быть лишь топонимы генетически родственных языковых территорий, где общими могут оказаться не только топоморфемы /корневые или деривационные/, а топоосновы и топонимы в целом.

7. Для более удачного урегулирования комплексного изучения топонимов генетически общих этнических территорий обязательным условием кажется четкое формулирование принципов т.н. топонимических соответствий. Это значит: систематизировать и проиллюстрировать семантику и этиологию сравниваемых единиц; проанализировать фоно-морфологические, синтаксические и лексические особенности; проследить градации от апеллятива до топонимизации, от топоархетипа до новейших преобразований того или иного онима.

8. Возраст и происхождение сравниваемых топонимов могут быть разными, но если топонимы адстратного, суперстратного, субстратного происхождения или же топонимы с заимствованными основами /корнями/ закрепились и со времени своего возникновения являются типичными местными географическими именами, то они удовлетворяют требованиям топонимических соответствий и, на синхронном разрезе их исследования, считаются местными географическими названиями.

9. Поэтому: независимо от их происхождения, независимо от времени их возникновения, независимо от их фонетической или

семантической дифференциации, интерпретации в первую очередь должны решаться только на топонимическом уровне того языка /говора, диалекта/, где они констатируются, и топонимические соответствия должны отражать ту картину, которая свойственна данному периоду, учитывая всю специфику топонимов исследуемого региона /ареала/..

Ю. Критерии топонимических соответствий должны строго ограничиваться, а именно:

а) в качестве соответствий не привлекаются имена инотерриториальной и иноязычной среды, если они не узаконились в топонимии сравниваемых регионов;

б) в качестве соответствий не включаются омоформные топонимы /даже одинаковой семантикой и этимологией разноязычных территорий/, созвучие которых объясняется лишь случайным совпадением /ср. в русск. транскрипция: Х и д а горное пастбище в Грузии - Х и д а горный хребет в Японии/;

в) для установления генезиса и этимологизации топонима необходимо выяснить принадлежность деривационных элементов. Общность или же генетическая связь основ или корней топонимов неродственных языковых территорий не пригодны для сравнительного анализа, так как они не удовлетворяют критериям топонимических соответствий, например: корневые морфемы Тбилиси /столица Грузии/ и Теплице /курорт в Чехословакия/ генетически связаны друг с другом /ср. и.-е. + *ter-*/, идентична и семантико-этимологическая сторона наименования, но с точки зрения топонимики эти географические имена разного происхождения и их именодатели являются представителями разных этносов. Этимологический анализ преформ, установление происхождения апеллятивов целесообразны лишь на уровне лин-

гвистического исследования и географические имена аналогичного происхождения не могут входить в систему топонимических соответствий.*

* Данное положение в сокращенном виде было напечатано в сб. "Ономастика Кавказа" /Орджоникидзе, 1980/. По технической причине в иллюстративном материале были допущены неточности. Ниже мы публикуем печатки и исправления:

Стр.	строка		напечатано:	должно быть:
	св.	сн.		
I47		II	Tba,	ṭba,
I47		10	ʒvari, Kăcx	ṣvari, Kăcx
I47		9-6	Qwimb, Ose-t-i	Qwimb, Os-et-i
I47		3	Ocqone (<O-cqon-e)	Očqone (<O-čqon-e)
I47		2	cqon-i, Twiber (< Twib-er), twib	čqon-i, ṭwiber (< ṭwib-er), ṭwib
I47		I	Lapsqald (<La-psq-ald), bäsq	Lapsqald (<La-psq-ald), bäsq
I48	4		Ocamcire (<Ocemcire), oce	Očamčire (<Oče-mčire), oče
I48	5		mcire, ʒvarzeni (<ʒvar-	mčire, ʒvarzeni (<ʒvar-
I48	6-7		ʒvar-i, ʒibe, Šwān, ʒibe Swan	ṣvar-i, ʒibe Šwān, ʒibe Šwān
I48	8		Mestiā Calaj	Mestiā Čalāj
I48		8-7	Tba: Toba: Tob, Tbisi; Tobesi: Twebis/Tebis	ṭba: ṭoba: ṭob, ṭbisi; ṭobeši: ṭwebiš/ṭebiš
I48	20		ЭТИЛОГИЧЕСКИМ	ЭТИЛОГИЧЕСКИМ
I49	I-2-3		tba, toba, tob > tweb, + tab-	ṭba, ṭoba, ṭob > ṭweb, + ṭab-

Стр.	строка		напечатано:	должно быть:
	св.	сн.		
I49	8		Namesqre:Napioqori// Napiokori:Napsqor/ Pusqwer/Pisqor	Nameçqri:Napiçqori// Napiçkori:Napçqor/ Puçqwer/Piçqor
I49	I2-I4		namecqr-i, Namarnu	nameçqr-i, Namarni
I49	I6-I7		+oqar-i+oqor-i+sqor-	+çqar-i+çqor-i+şqor-
I49	24		Ladswāril/Latsdwaril	Ladşdāril/Latşdwaril
I49		24	dāsdw	dāşdw
I49		20	Bulisi	Bulişi
I50	9-I0		Leskeda:Laskerda/ Oskede:Sged/Sgädwar/ Sked	Leşkeda:Laşkerda/ Oşkede:Şged/Şgädwār/ Şked
I50	I2-I4		+sgerd-, +cerd-	+şgerd-, +çerd-
I50	I5-I6		+sgerd-/sged-	+şgerd-/şged-
I50	2I-24		Sakalmaxe:Okalmaxe: Lakəlmāxi, kalmāx-	Saşalmaxe:Oşalmaxe: Laşəlmāxi, kaşalmāx-
I50		20	Cxemuresi:/Cxamār	Cxemureşi:/Cxaşmār
I50		3	ordil-	şrdil-
I5I	8-II		Leoxumi	Leşxumi
I5I	I2		oxum-	şxum-
I5I	I8		Cxum-iani>Cwxim-iani >Cwximiani	Şxum-iani>Şwxim-iani >Şwximiani
I5I		I3	Darceli: Dārow	Darşeli: Dārow
I5I	II-I2		+dāro-, +dāro-	+darş-, +darş-
I5I		22	Сваря "основной"	сваре "оостровнай"
I52	I-2-8		Deroi, Dārow, Odisi	Derşi, Dārow, Odişi
I52	I5-I7		Eçeri: Açara, +eçer-	Eşeri: Aşara, +eşer-
I52		24-2I	Jeçeris, Açara	Jeşeriş, Aşara
I52		I9	Kaxeti:Kaxati:Kaxura/	Kaşeti:Kaşati:Kaşura

Стр	Строка		напечатано:	должно быть:
	св.	сн.		
I52		I9	Kaxar / Kāxis	Ḳaxar / Ḳaxiṣ
I52		I7-I3	+kax-, Qājsd	+Ḳax-, Qājṣd
I53		20-18	Nakantorvali:Nakan- tor:Nakantor,kanto- ra	Naḳaṭorvali:Naḳan- tor:Naḳaṭor,ḳaṭora
I53		I6	Nakartopilari:Nakar- tābilar	Naḳaṭopilari:Naḳar- ṭābilar
I53		I3-8	kartopil-,Nakartobi- lari	ḳaṭopil-,Naḳaṭo- bilari
I53		3-2	Nagardwis, ḡardwis	Nagaṛwiṣ, ḡardwiṣ
I54	5-6		Bulis Xinji,Cqaro: Cxoro Cqu	Buliṣ Xiṅji,Ḷqaro: Ḷxoro Ḷqu
I54	IO-II		/xinj-1,cxoro,cqaro/ cqu	/xiṅj-1,Ḷxoro,Ḷqaro/ Ḷqu
I54	22-23		Savi,sav-1,Sawyele	Ṣavi,ṣav-1,Ṣawyele
I54	25-26		Axalseni,sen-1, Axalsen	Axalṣeni,ṣen-1, Axalṣen

ლიტერატურა

1. ი ა კ მ ბ ც უ რ ტ ა ც ე ლ ი, მარტივილობაა შუშანიკისი.
ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვეცვა,
ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ი. აბულაძემ
თბ., 1938.
2. Fr. B o p p, Die kaukasischen Glieder des indoeuropäischen
Sprachstammes. Berlin, 1847.
3. ბ რ ნ. ჩ ი ქ მ ხ ა ც ა, ჟანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი
ლექსიკონი, თბ., 1938.
4. В. Г о р я ш в, Сравнительно-этимологический словарь о.я.,
Тифлиси, 1896.
5. H. V ö g t, Structure phonémique du Géorgien, Oslo, 1958.
(ქართული თარგმანი: „ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა“,
თბ., 1961).
6. ა. შ ა მ ა შ ე ც ი ლ ი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961.
7. H. M a r p, Яфетические названия деревьев и растений
(Pluralia tantum), II, "Известия" АН, Петроград, 1916.
8. Г. А. К л и м о в, Этимологический словарь картвельских
языков, М., 1964 .
9. ივ. ფ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია,
II, თბ., 1935.
10. ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
11. ა. ჭ კ ა ლ ე ა, ჩადილ- ენების შემსველი ს. - ქართველური
ტოპონიმები, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ.,
1976, № 3.
12. „ქართლის ცხოვრება“, IV. თბ., 1973
13. თ. ზ ა შ ე რ ე ლ ი ძ ე, გ. შ ა ჭ ა ც ა რ ა ნ ი, სონანტთა
სისტემა და აბლაური ქართველურ ენებში, თბ., 1965.

14. მ. ჩ ი ქ ი ვ ა ნ ი, ტოპონიმიკურ სახელთა წარმოება ლერ-
ხუმური მასალების მიხედვით, ა.ს.პუშკინის სახ.პედ.
ინსტიტუტის შრ., VII, თბ., 1949.
15. მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, ლერხუმის გეოგრაფიულ სახელთა - იშ(//3)
სუფიქსის საკითხისათვის, ქესს, III, თბ., 1963.
16. პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, II,
თბ., 1941.
17. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, III, თბ., 1963.
18. ს. ჯ ი ქ ი ა, სამცხე-საათაბაგოს ტოპონიმიკის და ისტორიული
გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხები, თსუ შრ., თბ., 1950.
19. В.А.И и к о н о в, Введение в топонимику, М., 1965.
20. В.А.И и к о н о в, Краткий топонимический словарь, М., 1966.
21. მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, სვანური ენის ფონეტიკა, I, თბ., 1969.
22. ალ. ლ ო რ ნ ტ ი, ქართულ კლო-ტემათა სიტყვის კონა, თბ., 1974
23. გ. შ ა რ ა შ ი ძ ე, გურული ლექსიკონი („ქართველურ ენათა
ლექსიკონი“, I), თბ., 1938.
24. ქეგლ, ტ.3, პრაფ. არნ.ჩიკობავას საერთო რედაქციით, თბ., 1953.
25. ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ე ი ლ ი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961.
26. И.К.И ш и д з е, Грамматика мингрельского /иверского/
языка, СПб., 1914.
27. იე. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ეტიმოლოგიური შენიშვნები, იკე, XI,
თბ., 1959.
28. ს. ჯ ი ქ ი ა, გურჯისტანის ცილაიეთის დიდი დაცთარი, III,
თბ., 1958.
29. დ. მ ა რ უ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია,
თბ., 1964.
30. И.А.Д ж а в а х и ш в и л и, Государственный строй древ-
ней Грузии и древней Армении, I, кн. VIII, Тб., 1950.
31. ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქები შერდალურ საქართველოში, I, თბ.
32. ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქა-
რთველოში, I, თბ., 1963.

33. Словарь современного русского литературного языка, IУ,
М., 1957.
34. А.Г.Преображенский, Этимологический словарь
русского языка, II, М., 1967.
35. А.Н.Квачелин, Слово ма и д а н в истории русско-
го языка. См. кн. "Этимологические исследования по
русскому языку", вып. VII, М., 1972.
36. ლეგლ, ტ-4, პრლგ. არხ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1955.
37. М.Ф.Васмер, Этимологический словарь русского языка.
II, М., 1967.
38. Meyers neues Lexikon, v, Leipzig, 1964.
39. ი. ს ი ხ ა რ ჯ ლ ი ძ ე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს
ტოპონიმია, II, თბ., 1959.
40. Meyers neues Lexikon, iv, Leipzig, 1962.
41. თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა,
თბ., 1976.

ზურაბ ჭუმბურიძე

ტოპონიმიკური ძიებანი

კ რ ო ბ ა ნ ი

ქართლში, თეძმის ხეობაში, ცნობილია ძველთაძველი სოფელი და მონასტერი რ კ ო ნ ი ს სახელწოდებით, რომლის ძველი ფორმაა კ რ კ ო ნ ი. XI საუკუნეში აქ შეუდგენიათ ერთი საბუთი, რომელიც რკონის სიგელის სახელით არის ცნობილი და ფრიად საყურადღებო დოკუმენტს წარმოადგენს. ბუნებრივია, ამ მონასტრისა და სოფლის ხსენება შემდგომაც არაერთგზის გვხვდება ძველ სიგელ-გუჯრებში.

ვახუშტი ბაგრატიონი რკონს ასე ახასიათებს: „... ამის სამხრით, ზემოთ თეძმის მდინარესა ზედა, არს კრკონს მონასტერი გუმბათიანი, ფრიად მაგარსა და შეუაღს ადგილს. აქა არს ლითონი ბრპენისა მრავალი, იტყვან ვერცხლსაცა. ზის წინამძღუარი. აქამომდე არს თეძამი ვენახ-ხილითა ნაყოფიერი“ ([I] 341-342).

სამწუხაროდ, ჩანს, იქ ამჟამად აღარავინ სახლობს და ეს „ვენახ-ხილითა ნაყოფიერი“ ადგილი ნასოფლარად არის ქცეული, ამიტომ ის ნახსენებიც არ არის „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის“ ცნობარში.

როგორც აკად. ა. შანიძემ აღნიშნა, რ კ ო ნ ი ანუ კ რ კ ო ნ ი მრავლობითი რიცხვის ფორმაა რ კ ო (ძვ. კ რ კ ო) სიტყვისა და „მუხებს“ ნიშნავს ([2] 136). ა. შანიძესვე აქვს აღნიშნული, რომ რ კ ო და მ უ ხ ა ერთი იმ იშვიათ წყვილდაგანია ქართულ ენაში, როცა მცენარეს სხვა სახელი ჰქვია და ნაყოფს - სხვა. ჩვეულებრივ, როგორც ცნობილია, მცენარისა და მისი ნაყოფის სახელი ერთი და იგივეა: წაბლი, მანტა, ვაშლი, მსხალი, ლეღვი და სხვა.

ასევე უნდა ყოფილიყო ძველად რკოსა და მუხატა; სხედასხეა დია-
ლექტში აღბაა ორივე აღნიშნავდა მცენარესაც და ნაყოფსაც. რ კ ო
მართლაც დასტურდება ორივე მნიშვნელობით ძველ ტექსტებში; მაგა-
ლითად: მხემთა მთათასა უზორვიდენ და ბორცუთა ზედა დასწუვიდენ
რკოსა ქუეშე და ხესა ჩრდილოანსა (ოსე 4, 13MT).

ამჟამად, რომ აქ რკოს ხის მნიშვნელობა აქვს და არა ნაყოფისა.
„ამის მიხედვით შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ძველად ზოგ ქარ-
თულ კილოში ხის აღსანიშნავად რკოც იხმარებოდა, ოღონდ შემდეგ,
რკოც კილოთა უმრავლესობაში საბოლოოდ მ უ ხ ა მ მოიკიდა ფეხი,
რკოს მნიშვნელობა დაეიწროვდა და მარტო ნაყოფის აღსანიშნავად იქ-
ნა გამოყენებული... რკოს ორგვარი მნიშვნელობა (ნაყოფისა და ხი-
სა) გვაფიქრებინებს, რომ. მ უ ხ ა ს ა ც თავის დროზე ორგვარი
მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, რომელთაგანაც დღეს მხოლოდ ერთია ცნო-
ბილი (ხისა)* ([3] 3).

ა. შანიძის აზრით, რ კ ო (კ რ კ ო) საერთოა მუხის აღმნიშ-
ვნელ ინდოევროპულ ძირთან (კ ვ ე რ კ უ ს). როგორც გ. კლიმოვი
ფიქრობს, ამ ძირის რეკონსტრუირებული ფორმა ქართულ-ზანური ერთო-
ბის დროინდელია ([4] II6). სვანურში ეს ძირი არ დასტურდება. არ
გვხვდება ის არც ჭანურში. მეგრულშია კ გ, კ ი, სადაც თავკიდურა
რ დაკარგულია (შეადარეთ: რქა --->ქა; ხარის სახელებია: ქ ა გ ი-
ლ ა <--- რქაგილატახილი „რქამოტეხილი“, ქ ა ბ ო რ ჯ ღ ა <---
რქაბორჯღალი).

აღსანიშნავია, რომ როგორც მ უ ხ ა, ისე რ კ ო ხშირად არის
გამოყენებული ქართულ ტოპონიმიაში. განსაკუთრებით ბევრი ტოპონი-
მია ნაწარმოები მ უ ხ ა-საგან: მ უ ხ რ ა ნ ი (მცხეთის რ.),
მ უ ხ რ ა ნ -თ ე ღ ე ი (გარდაბნის რ.), მ უ ხ ი ა ნ ი (წყალ-
ტუბოს საქ.), მ უ ხ ნ ა რ ი (გაგრის საქ.), მ უ ხ ა თ ი (თეთრი
წყაროს რ.), მ უ ხ ა უ რ ი (ზნაურის რ.), მ ო ხ ი ს ი (თეთრი
წყაროსა და ქარელის რ.), მ უ ხ ა თ გ ვ ე რ დ ი (მცხეთის რ.),

დ ი დ მ უ ხ ა (ზნაურის რ.), ც ხ რ ა მ უ ხ ა (ხაზურის რ.),
ჯ ვ ა რ თ მ უ ხ ა (ხაზურის რ.), მ უ ხ ა თ წ ყ ა რ თ (მცხეთის
რ.), მ უ ხ ა ე ს ტ ა ტ ე (ქობულეთის რ.) და სხვანი. კ რ კ ო ო ო
რ კ ო-საგან არის წარმოქმნილი როგორც კ რ კ ო ნ ი და რ კ ო ნ ი,
ასევე კ ო ნ დ ი დ ი (ქობულეთის რ.). შესაძლოა, ამავდროულად
ენოდეს კურორტის სახელწოდება კ ო ჯ ო რ ი ც (მოდებულია რ კ ო-
ჯ ვ ა რ-ისაგან, ე.ი. „მუხის ჯვარს“ ნიშნაგს ([5] 205-209), ჩვე-
ნი აზრით, ამ ტოპონიმთა წყებას მიეკუთვნება აგრეთვე სოფლის სა-
ხელი კ რ ო ბ ა ნ ი.

სოფელი კრობანი ქარაღშია, ძამის ხევში, შედის ეხიჯვრის სა-
სოფლო საბჭოში (ქარელის რ.). ისტორიულად ის საციციანოს ეკუთვნო-
და და არაერთხელ იხსენიება XVII-XVIII საუკუნეთა სიგელ-გუჯერებში.
სახელდობრ, ციციშვილების გაყრის საქმეზე შედგენილ განჩინებაში,
რომელიც 1664-1673 წლებს განეკუთვნება, ნათქვამია: „ქ. მისცა
ფარსადან საუარესოდ ციცის და ქაიხოსროს კ რ ო ბ ა ნ ს პაატა
მეგრელი, დღეს რისაც მამულის მქონე იყოს“ ([6] 130); „ქ. მის-
ცა ფარსადან საუარესოდ ციცის და ქაიხოსროს კ რ ო ბ ა ნ ს მა-
მუკა ლლია, დღეს რისაც მამულის მქონე იყო“ (იქვე).

ედიშერ და პაპუნა ციციშვილების გაყრის საქმეზე 1701-1703
წლებში შედგენილი განჩინება გვაუწყებს: „ქ. ერთ წილად ყინცვისს
უღნიაშვილი ბერი, ამხეზე აძევს კ რ ო ბ ა ნ ს (ხელნ. კარბანს).
ათასშვილის მამული, რისაც კ რ ო ბ ა ნ ს მქონებელი ყოფილიყოს,
ერგო ედიშერს“ [7]. „ქ. ერთ წილად კ რ ო ბ ა [8] ს ლლიასშვი-
ლი დომელა და ყინცვისს კაკაშვილი კაკილა, რისაც მქონები იყოს,
ერგო პაპუნას“ (იქვე).

ნარატულ წყაროებში საციციანოში, ძამის ხევში, იხსენიება სო-
ფელი კ რ კ ო ნ ი, რომელიც სხვა საბუთებით იგივე კრობანია
([8] 129). ამის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კ რ ო ბ ა ნ
ნ ი ს ამოსაძალი ფორმა უნდა იყოს კ რ კ ო ნ უ ბ ა ნ ი, რაც

მნიშვნელობით „მუხათუბანს“ უდრის.

საერთოდ, უ ბ ა ნ ი ხშირად გვხვდება ინდიკატორად ახლომახლო სოფლების სახელებში: გ უ ლ ი კ ა ა ნ თ-უ ბ ა ნ ი, თ ა თ ა ნ ა-
ა ნ თ-უ ბ ა ნ ი, ს უ ქ ა ნ ა ა ნ თ-უ ბ ა ნ ი, ო რ თ-უ ბ ა ნ ი;
კ ო დ ა-ვ ა რ დ ი ს-უ ბ ა ნ ი და სხვანი. წყაროებში ძამისა ხევ-
შივე კრკონის მახლობლად დასახელებულია სოფელი ო ს ი, რომელიც
დღეს ცნობილია ო ს თ უ ბ ნ ი ს სახელით (იქვე).

კ რ კ ო ნ-უ ბ ა ნ-ის ანლაუტში თავმოყრილ თანხმომანთაგან და-
კარგულა მეორე კ (პირველი კ-ს დაკარგვა და შემდგომ შეტათვისი
რ კ ---> კ რ ნაკლებად სავარაუდებელია). კომპოზიციის პირველ ნა-
წილში დაკარგულა აგრეთვე ნ, რის შედეგადაც ორი ბაგისმიერი ხმოვ-
ნის შეხვედრისას უ-ც დაკარგულა. ასეთ შემთხვევაში თითქოს უფრო
მოსალოდნელი იყო ო-ს დაკარგვა, მაგრამ უ-ს დაკარგვაც არ არის
იშვიათი. ტოპონიმებში ამის ნიმუშებია: კ ა ლ ო-უ ბ ა ნ ი--->
კ ა ლ ო ბ ა ნ ი, ზ ე ნ ა-უ ბ ა ნ ი---> ზ ე ნ ო ბ ა ნ ი (ასე
შქვია სოფლებს ვანის, ჩოხატაურის, გულრიფშის რაიონებში), ქ ვ ე-
ნ ა-უ ბ ა ნ ი ---> ქ ვ ე ნ ო ბ ა ნ ი (ჩოხატაურისა და გულრიფ-
შის რაიონებში), შ უ ა უ ბ ა ნ ი---> შ უ ბ ა ნ ი (მაიაკოვსკის,
ჩოხატაურის, შუახევის რაიონებში).

ამრიგად, ჩვენთვის ამჯერად საინტერესო ტოპონიმის ფონეტიკურ
ცვლილებათა გზა ასე წარმოგვიდგება: კ რ კ ო ნ-უ ბ ა ნ ი--->
კ რ ო ნ უ ბ ა ნ ი---> კ რ ო ნ ო ბ ა ნ ი---> კ რ ო ო ბ ა ნ ი--->
კ რ ო ბ ა ნ ი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ძველი ქართული ენის კათედრა

Топонимические разыскания

Кробани

Р е з ю м е

Исходной формой названия села Кробани (Карельский р-н, Хехиджварский сельсовет), неоднократно засвидетельствованного в исторических документах XVII-XVIII вв., является Кркон-убани со значением "дубовый участок", "дубняк".

Нынешняя форма топонима возникла в результате следующих фонетических видоизменений: კრკონ-უბანი Krkon-ubani - კრონუბანი Kronubani - კრონობანი Kronobani - კროობანი Krooba-ni - კრობანი Krobani.

ლიტერატურა

1. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, IV, 1973.
2. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.
3. ა. შ ა ნ ი ძ ე, ეტიმოლოგიური ძიებანი, I, რკ და მუხა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია. მოხსენებათა თეზისები, 1947.
4. Г.А.К л и м о в, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964.
5. მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, კოჯორი. კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966.
6. ქართული სამართლის ძეგლები. ი.ლოიძის რედაქციით, IV, თბ., 1972.
7. საქართველოს სსრ მეცნ.აკადემიის კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი №1636. შტრ. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის I წიგნი. გამოსაცემად მოამზადეს ზ.ალექსიძემ და შ.ბურჯანაძემ, 1964.
8. დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ფოლკლორული საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955.

კობა ხარაძე

საქართველოს ძველი ტოპონიმების კვლევის
ასპექტები

გეოგრაფიული სახელწოდებანი მრავალფეროვანია. ისინი მრავალსა-
უკუნოვანი ქართული კულტურის პროდუქტებია. საქართველოს ლანდშაფ-
ტის მრავალფეროვნება, მოსახლეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული კომ-
პლექსურობა, მეზობელი ტომების გაცდენა საუკუნეების მანძილზე ამ-
დიდრებდა და ცვლიდა ქართულ ტოპონიმიას, რაც ერთობლივად განვითა-
რება-გართულებისაკენ იყო მიმართული.

ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდება ყალიბდებოდა ათასეული წლის
მანძილზე. ერთი ჩვენს დრომდე შემორჩენენ, ზოგმა სახე იცვალა,
ხალ ზოგც გაქრა ახალ სახელწოდებათა შემოქმედების შედეგად.
ჩვენს დროშიც იქმნება ახალი ტოპონიმები, რაც გაპირობებულია ბუ-
ნებრივი და ისტორიული აუცილებლობით. სწორედ ეს პირობები უნდა
იყოს გათვალისწინებული ტოპონიმების კვლევისას. გეოგრაფიული სა-
ხელები ცოცხლობს, იცვლება ფორმით, ზოგჯერ შინაარსითაც, ზოგჯერ
კი უცვლად ქრება. მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა სხვადასხვაა.
განსაკუთრებით სტაბილურიც დიდ მდინარეთა და ქალაქთა სახელები,
მაგრამ უცვლელი არც ისინია. საქართველოშიც მრავალია ქალაქი და
მდინარე, რომელთაც სახელები გამოცვალა. მაგალითად, ფაზისი (რე-
ონი), ლომიკი (თრგვი) და სხვ. ასევე, ერთი საუკუნის განმავლობა-
ში რამდენჯერმე შეიცვალა დასახლებული პუნქტის - ხ ა რ ა დ ა უ ლ ი
ს სახელწოდება, ისტორიულად ხ ა რ ა გ ა უ ლ ი (ხარაგაული,
ხარაგაული) ერქვა. გასულ საუკუნეში ბ ე ლ ე ზ ო რ ი ეწოდა. საბ-
ჭოთა ხდენისუფლების დროს კვლავ ხარაგაულის სახელი დაუბრუნდა, ხალ
1949 წლიდან ო რ ჯ ო ნ ი ე დ ი ს სახელს ატარებს.

საქართველოს ძველი ტომონიმების მნიშვნელოვანი ნაწილი დაცულა იბერიისა და კოლხეთის ადრინდელ წყაროებში, ანტიკური სამყაროსა და შემდგომი ხანის უცხოელი მოგზაურების, ისტორიკოსების, ფილოლოგების, გეოგრაფების, ბუნებისმეტყველებისა და მწერლების შრომებში. ამასთან, საქართველოს უძველესი გეოგრაფიული სახელწოდებების ერთი ნაწილი მხოლოდ უცხოურ წყაროებშია შემორჩენილი. ჩვენი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნის შემდეგ საქართველოს ტომონიმები ქართულ ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროებშიც არის დამოწმებული. ამ მხრივ აღსანიშნავია: ავოგრაფიული ძეგლები, მემტრანთა ჩანაწერები, სიგელ-გუჯრები, საეკლესიო და სამოქალაქო საბუთები, მხატვრული ნაწარმოებები, ეპიგრაფიკული ძეგლები, სამართლის კანონები, მოსახლეობის აღწერათა მასალები, კარტოგრაფიული წყაროები და სხვა, მნიშვნელოვანია აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნის მოგზაურთა შთაბეჭდილებები, სამამულო და უცხოური კარტოგრაფიული ნაშუქები, რომელთა საკმაო ნაწილი მხოლოდ ხელნაწერების სახით არის შემორჩენილი. ხელმისაწვდომი პირველადი წყაროებიდან ამოიკრება 15 ათასამდე ძველი ქართული ტომონიმი, შეუდარდა თანამედროვე პირობებში ხმარებულ შესაბამის სახელწოდებებს და გაკეთდა ზოგი დასკვნა,

საქართველოს თანამედროვე ტომონიმების დიდი ნაწილი ძველთაძველია და ჩვენამდე უცვლელად არის მოღწეული, რაზედაც ხშირად თვით სახელწოდების წარმოშობა მიგვითითებს, ახლანდელი დასახლებული პუნქტების სახელწოდებების 94,5% - XIX საუკუნის ბოლომდეა შექმნილი, ხოლო 68% - XVIII საუკუნის ბოლომდე.

საუკუნეების მანძილზე ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მომხდარი მოვლენები უძებნადა გეოგრაფიული სახელების ცვლილებას ან გაქრობას იწვევდა ხალხურ მეტყველებაში. ასეთ სახელწოდებებს კი ხშირად წერილობითი ძეგლები ინახავდნენ - იქნებოდა ეს მატრიანე, გეოგრაფიული აღწერილობა, რუკა, საბუთი თუ სხვა, XVIII საუკუნის მი-

წერულსა და XIX საუკუნის მანძილზე კავკასიის ტერიტორიაზე ჩატარდა მსხვილმასშტაბიანი ტოპოგრაფიული აგეგმვები, რითაც არსებობა შეუნარჩუნეს ბევრ სახელწოდებას. ამასთან, ქართული ენის არცოდნის გამო ტოპოგრაფებმა ბევრი სახელი დაამახინჯეს, ზოგი უმართებულოდ გამოიყენეს ობიექტების მიმართ. გარდა ამისა, ზოგი ძველი ტოპონიმის ფუძემ რამდენადმე ცვლილება განიცადა და ამჟამად განსხვავებული სახით გვევლინება. ზოგან აზრიც დაკარგულია, რაც გამოწვეულია სახელწოდების თანდათანობითი ცვლილებებით, ან უცხო ენის გავლენით. ამიტომ მათი წარმომავლობის გარკვევა ხშირად დიდ სიძნელეს იწვევს (საერთოდ, შინაარსის გარეშე სახელწოდება არ არსებობს, ამიტომ საჭიროა სახელწოდების საწყისი ფორმის დადგენა; ამის მაგალითია: ფარსმანაყანევი --> ფარცხანაყანევი; მროწლეთი --> ბროწლეთი და სხვა); საერთოდ, დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა 16,4 % ამგვარადაა სახეცვლილი.

საქართველოს ზოგი გეოგრაფიული სახელწოდების შეცვლა ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მრავალჯერ მომხდარა; ეს ცვალებადობა უფრო მეტად გამოწვეული იყო უცხო ქვეყნების გავლენით და საქართველოში მათი პერიოდული ბატონობით. სწორედ ამან გამოიწვია ძველი გეოგრაფიული სახელწოდებების მნიშვნელოვანი სახეცვლილებანი და ახალი გეოგრაფიული სახელების დამკვიდრება. ყოველივე ამის გამო გეოგრაფიული სახელწოდებების კვლევა ეტიმოლოგიური და ლოკალიზაციური თვალსაზრისით მეტად რთული და თავისებურია. ამ წერილში ძირითადად ლოკალიზაციის ხერხებით შემოვიფარგლებით.

საქართველოს ძველი ტოპონიმების ლოკალიზება უნდა წარმოებდეს კომპლექსური მიდგომით. უპირველესი რიგის ამოცანაა ძველი საკულტო და სამხედრო (თავდაცვითი) მნიშვნელობის ნაგებობების, ნასოფლარების, საცხოვრებლად გამოსადეგი გეოგრაფიული ადგილების, თანამედროვე დასახლებული პუნქტების და სხვათა განლაგება-შედარება. საკულტო ნაგებობების თუნდაც უმნიშვნელო ნარჩენები საბუთია

ამ ადგილას ოდესღაც სოფლის არსებობისა. ნაგებობის სიძველის მიზნებით დგინდება დასახლებული პუნქტის ხნოვანება (გათვალისწინებული უნდა იყოს საკულტო ნაგებობის თავდაპირველი სახე), ხოლო მოცულობის მიხედვით - დასახლების გავრცელება. ზოგი საკულტო ნაგებობის ლაპიდარული წარწერა გვამცნობს ადგილის სახელწოდებასაც; განსხვავებული მდგომარეობაა ციხეების სახელწოდების დადგენა-კვლევის დროს. საქმე ისაა, რომ ციკლოპური ციხეები ქალაქთან მდებარეობდა და ამიტომ დღეს მათი ნარჩენები ძველ ნაქალაქართან არის შემორჩენილი. შუა საუკუნეებში ციხეებს ძირითადად მიუვალ ადგილებზე აგებდნენ და ამიტომ ციხის სახელწოდება ზოგჯერ არ ემთხვევა ახლო დასახლებული პუნქტის სახელს; გვიანფოდალურ ხანაში კი ციხე-გალავნები შიგ სოფლებშია აგებული და ძირითადად იმავე სოფლის სახელს ატარებს. ძველი დასახლებული პუნქტების ადგილმდებარეობა შეიძლება გარკვეულ იქნას ნასოფლართა მიხედვით, ნასოფლარის სიდიდის, განლაგებისა და ბუნებრივი პირობების თავისებურებათა გათვალისწინებით. გვხვდება ისეთი ადგილები, სადაც გარეგნული ნიშნების მიხედვით საცხოვრისის არავითარი კვალი არ შეიმჩნევა, მაგრამ ღრმა არქეოლოგიური შესწავლა ავლენს ძველი დასახლებული პუნქტის არსებობას. გარდა ამისა, დამატებით უნდა გამოვლინდეს ლოკალიზაციის სხვა ნიშნები, როგორცაა: რელიეფი, მდინარე, დასახლებული პუნქტის დაშორება, მასშტაბი და სხვა.

ძველი გეოგრაფიული სახელწოდების კვლევისას განსაკუთრებულ როლს ასრულებს კარტოგრაფიული მასალები. ევრაფიითარი აღწერა ევრ შიცივის ძველი ტოპონიმების კვლევაში რუკების გამოყენებას. სხვადასხვა საუკუნეებში და წლებში დამზადებულ რუკების შედარება საშუალებას გვაძლევს სახელწოდებათა ცვალებადობას მივადევნოთ თვალი (უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ზოგჯერ დამახინჯებით არის მოცემული სახელწოდება). ზუსტ ტოპოგრაფიულ საფუძველზე დამუშავებული რუკა კი გეოგრაფიული სახელწოდების ლოკალიზაციისათვის

შეტად საიმედო საყრდენია.

ძველი და თანამედროვე კარტოგრაფიული ნამუშევრების გამოყენებასთან ერთად, ყურადსაღებია აეროფოტომასალების ამოშიფვრა, რის საფუძველზე შეიძლება არა მარტო დასახლებულ პუნქტთა გავრცელების, არამედ ნასოფლართა განლაგებისა და ხასიათის გარკვევაც. საქართველოს ერთ-ერთ რაიონზე ჩატარებულმა ამ ექსპერიმენტმა კარგი შედეგი გამოიღო. ამეხამად ტყეში ჩაფლული, მიუვალ ადგილებში მდებარე შეუმჩნეველი ნაგებობის უმნიშვნელო ნაშთები, საცხოვრებლად გამოსადეგი ადგილები, რომლებიც შეიძლება ვერც მოძებნო ადგილზე, ან სრულიად არ იცოდეს ადგილობრივმა მოსახლეობამ, აღნიშნული მასალების ამოშიფვრისას ძვალნათლივ გამოჩნდება.

ძველი გეოგრაფიული სახელწოდების ლოკალიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხერხს წარმოადგენს ადგილობრივ მოსახლეობაში შემორჩენილი ცალკეული ადგილების, უბნების და მისათანების სახელწოდებები, რომლებიც ხშირად ძველი დასახლებული პუნქტების სახელებს წარმოადგენენ. ზოგჯერ გვხვდება ისეთი ტოპონიმებიც, რომლებიც დამახინჯებულია და საკმაო დაკვირვებაა საჭირო საწყისი ფორმის დასადგენად. ამის მაგალითები საკმაოა; ბოლნისის რაიონში ერთ-ერთ ნასოფლარს, სადაც ახლა საზაფხულო საძოვრებია, ადგილობრივი მოსახლეობა ს ა რ გ ი ნ ა ს უწოდებს. ეს სახელწოდება განყენებულად არაფერს ნიშნავს, არც რომელიმე ენაზეა რაიმეს მთქმელი; მაგრამ ბუნებრივი პირობებისა, ადგილმდებარეობისა და კარტოგრაფიული ნამუშევრების მიხედვით, იგი ძველი დასახლებული პუნქტი ს ა რ კ ი ნ ე თ ი ა. თურქულ მითყვევებაში კ შეიძლება გადავიდეს ბ ა ნ ქ ბ გ ე რ ა შ ი, რადგან კ ძირითადად რბილად გამოითქმის. იგივე დასახლებული პუნქტი ამ სახელით რამდენიმე იყო. ამ სახელწოდების წარმოშობა, რა თქმა უნდა, რკინის მოპოვებასა და დამუშავებასთან არის დაკავშირებული. სა----ეთ ბრფიქს-სუფიქსი კი ქართულ გეოგრაფიულ სახელწოდებებში საკმაოდ გავრცელებულია (შდრ.:

საბარკლეთი, საკვირეთი, სამღერეთი, სასირეთი, საქორეთი და სხვ.), ამასთან, ადგილზე დაკვირვებით გამოვლინდა რკინის მადნის გამოსაღებიც.

მიუხედავად ამისა, ეს ხერხი ყოველთვის არ გამოდგება. ამის მაგალითია ბ ე შ თ ა შ ე ნ ი (წალკის რ.). ამ ადგილზე ძველად არსებობდა ბ ე შ ქ ე ნ ა შ ე ნ ი (ბეშქენაშენი), რომელიც მრავალ ძველ ისტორიულ საბუთშია მოხსენიებული. XIX საუკუნის 30-იან წლებში აქ, ნასოფლარზე, დასახლდა თურქეთიდან გადმოსახლებული მოსახლეობა და ადგილს დაარქვა „ბ ე შ თ ა შ“ (ასე უწოდებს ახლაც ადგილობრივი მოსახლეობა, ხოლო ბეშთაშენი გაქართულებული ფორმაა). დასახლებული პუნქტი „ბეშთაშ“ მდებარეობდა თურქეთში, კერძოდ, ერზურუმის ვილაიეთში, საიდანაც მივიდა აღნიშნული მოსახლეობა. „ბეშთაშ“ ხუთ ქეას, ხუთ კლდეს ნიშნავს. ზოგს მიაჩნია, რომ ბეშთაშენი ბეშქენაშენის დამახინჯებული ფორმაა, რაც სწორი არ არის და, უბრალოდ, სახელწოდების მიმსგავსებასთან უნდა გვეკონდეს საქმე ([1] 66).

გეოგრაფიული სახელწოდების ლოკალიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხერხად შეიძლება ჩაითვალოს ადგილობრივი გეოგრაფიული პირობების გათვალისწინება, როგორც ცალკეული კომპონენტებისა, ისე მთლიანად ლანდშაფტისა. ამის მაგალითებიც საკმაოა. ძველ წერილობითი მდებარეობდა დასახლებული პუნქტი ჩ რ დ ი ღ ი ს უ ბ ა ნ ი. ახლა ამ ადგილს შ ი ბ ხ ა კ ი ვქვია. აქ ძველი სახელწოდების ლოკალიზაცია არ გაჭირდება, თუ ადგილობრივ პირობებს გაცივებულს წინებთ. საქმე ისაა, რომ აღნიშნულ დასახლებულ პუნქტს სამხრეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთით აკრავს საკმაოდ დამრეცი და მაღლა აზიდული ბორცვი, რის გამოც სოფელს დღის საკმაოდ მონაკვეთში ჩრდილო ადგას. ამდენად, გარკვეულია როგორც ლოკალიზაცია, ისე ეტიმოლოგია. ამის მაგალითია აჭრეთვე ქვა-თეთრ-ის-ი დმანისის რაიონში ([2] 217).

გეოგრაფიული სახელწოდების ლოკალიზაციისა და ეტიმოლოგიისას აუცილებელია ლიტერატურული და ისტორიული წყაროებისათვის კრიტიკული თვალთ შეხედვა. ვახუშტის თხზულების სამ გამოცემაში (ბროსეს, ჯანაშვილის, ლომოურ-ბერძენიშვილის) ვკითხულობთ: „...მას ზემორ (იგულისხმება: აბიბოს ნეკრესელის მონასტერი - კ.ხ.), საპონაურისა და ცხვრისის ხევი გამოსდის თორის მთას, მიერთვის ქვიას თეზის ხრამსა შინა, პირისპირ კოხაჯის-ხევის. ქვემორ სამხრიდან ერთვის ქვიას ავლადისხევი, გამოსდის ხევ-ღრმის ხრამსა...“ მოტანილ ციტატაში წერტილი თავის ადგილას არ ზის, რადგან სიტყვები „პირისპირ კოხაჯის-ხევისა“ არ შეიძლება საპონაურ-ცხვრისის ხევის ეხებოდეს. ორივე მდინარე ქვიის მარცხენა შემდინარეებია, ამიტომ მათი შესართავები ერთმანეთის პირისპირ შეუძლებელია იყოს. წერტილი რომ მართებულ ადგილას გადავიტანოთ, სხვა აზრს შივილებთ და ლოკალიზაციაც სწორი იქნება“ „...მას ზემორ, ს ა პ ო ნ ა უ რ ი ს ა და ც ხ ვ რ ი ს ი ს ხ ე ვ ი გამოსდის თორის მთას, მოერთვის ქვიას, თეზის ხრამსა შინა. პირისპირ კოხაჯის ხევისა ქვემორ, სამხრიდამ ერთვის ქვიას ა ვ ლ ა დ ი ს ხ ე ვ ი, გამოსდის ხევ-ღრმის ხრამსა...“ მართლაც, ვახუშტის რუკაზე კოხაჯის ხევისა და ავლადის ხევის შესართავები ერთმანეთის პირდაპირაა ნაჩვენები ისე, რომ ავლადის ხევის შესართავი ქვიის დინების შიხედვით შედარებით ქვემოთ მდებარეობს. ახალ გამოცემაში წერტილი საერთოდ ამოღებულია, მაგრამ ამით აზრი არ შეიცვალა.

ზოგჯერ ისტორიულ წყაროებში დაშვებული უზუსტობა ახალი შეცდომის საფუძველი ხდება. ვახუშტის რუკაზე და „აღწერის“ ტექსტში აღნიშნულია, რომ შიდა ქართლში მდებარე ს უ რ ა მ ი ს წ ყ ა ლ ი მტკვარს ოსიანურს ზემოთ შეერთვის. სინამდვილეში, სურამის წყალი (სურამულა), იერთებს რა ტილიანსა და ალისფრონეს, უერთდება ფციის ფრონეებს, რომლის მტკვართან შესართავიც ქარელის ახლოსაა. ეს შეცდომა აიხსნება იმით, რომ ვახუშტის რუკაზე სურამულას ქვემოთ (განედური) მონაცვეთი მტკვრის ტოტადაა გამოსახული. ზოგ ავტორს

((3), [4]) მიაჩნია, რომ 250-წლიან პერიოდში მტკვრის კალაპოტის
ერამა ტოტმა შეიცვალა მიმართულება. ამ მოსაზრებას ზოგი ავტორი
((5), 521; [4] რედაქტორის შენიშვნა, გვ. 144) არ იზიარებს და
აღნიშნავს, რომ „აქ საქმე გვაქვს ვახუშტის რუკების საფუძველად
დადებულ ტოპოგრაფიული აგეგმვის ან თვით რუკის შედგენის დროს
დაშვებულ შეცდომასთან“. ამასთან, ჩვენ ხელთ არსებულ XVIII სა-
უკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის ყველა რუკაზე მდ. სურამულა თანა-
მედროვე მოხაზულობით არის აღნიშნული. ამდენად, ვახუშტისა და
შემდეგი რუკების შედგენის პერიოდი 250 წლით კი არ განსხვავდე-
ბა, არამედ 40-50 წლით.

ძველ ტოპონიმთა ლოკალიზაციის ერთ-ერთ ხერხად უნდა ჩაითვალოს
დასახლებულ პუნქტთა (ნასოფლართა) ისტორიული გეოგრაფიის საკითხე-
ბის გათვალისწინება; კერძოდ, დასახლების ისტორია, მიგრაცია, მა-
ტერიალური და კულტურის ნაშთების თავისებურებანი და სხვა. მნიშ-
ვნელობა აქვს არა მარტო სახელწოდების იდენტიფიკაციას, არამედ
ობიექტის პირვანდელი მდებარეობის დადგენასაც. მდ. მაშავერის
მარცხენა მხარეზე რამდენიმე ნასოფლარია; ყველა მათგანში ძველი
საკულტო ნაგებობის ნაშთია შემორჩენილი. ერთ-ერთი მათგანია
ო რ ს ა ყ დ რ ე ბ ი, რომელიც სოფ. ბალიჭის (ბოლნისის რ.) მოპო-
დაპირვე მხარეზე მდებარეობს. აქ საკმაოდ მოზრდილი ნასოფლარია,
სადაც ერთმანეთის ახლო მდებარე ორი ეკლესია დგას. სწორედ ამიტომ
შეუტკმევიათ ამ ადგილისათვის ორსაყდრები; წარსულში კი იგი სულ
სხვა სახელით უნდა ყოფილიყო ცნობილი. ლიტერატურული და ისტორიული
წყაროების საფუძველზე დგინდება, რომ ამ ადგილზე დასახლებული პუნ-
ქტი ა ხ ა ლ შ ე ნ ი მდებარეობდა. საქართველოში ასეთი სახელ-
წოდების პუნქტი ამჟამად ორ ათეულამდეა. ეტიმოლოგიაც გარკვეულია.
მაგრამ ინტერესს იწვევს თვით ამ სახელწოდების შეტკმევის ისტორია.
აქ მდგარი ეკლესიები გვიანი შუასაუკუნეებისაა. მეცნიერთა ([6]
29) განსაზღვრით, ეკლესიის კედლებში ჩაყოლებულია ადრინდელი,

კერძოდ, VI-VII საუკუნეების ქვების ფრაგმენტები (ოთხწახნაგოვანი სტელის ფრაგმენტები ტალღოვანი ვაზის რტოს ჩუქურთმებით). ეს გარემოება მიგვიბრუნებს იმაზე, რომ ისინი აქ სხვა ადგილებიდან არის მოტანილი. თვით მოსახლეობა აქ გვიან შუა საუკუნეებში უნდა მოსულიყო და ამ ადგილზე შეექმნა ახალშენი. იგი მოხსენებულია XVII-XVIII საუკუნეების რამდენიმე ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროში. აღსანიშნავია, რომ ამ ადგილიდან 2-2,5 კმ-ის დაშორებით, მოპირდაპირე მთის ფერდობზე, შეიმჩნევა ძველი ნასახლარები და ეკლესიის ნანგრევები. კანონზომიერი იქნება თუ ვიგულისხმებთ, რომ ახალშენის მოსახლეობა თავდაპირველად სწორედ აქ ცხოვრობდა; შემდგომში, შემოსევების დროებით შეწყვეტის დროს, აღნიშნული მთის ფერდობიდან, სადაც ცხოვრების პირობები არახელსაყრელი იყო, სოფლის მოსახლეობამ გადაწყვიტა მდინარის ახლოს დასახლება (აქვეა დარჩენილი ძველი სარწყავი არხის ნაშთები). თავდაპირველი მიტოვებული სოფლის სახელწოდება დავიწყებას მივცა; იგი არც ვახუშტის შრომებშია აღწესდებული. ხუთვერსიან რუკაზე „დანგრ. სამაგლება“ აწერია, ახლანდელ რუკებზე კი აქვე მდებარე მთას - „მ. ა ს ი - ა ვ ღ ე ბ ა“. სინამდვილეში უნდა იყოს „ა მ ა ღ ღ ე ბ ა“. სწორედ ამ ნასოფლარიდან თავის დროზე უნდა წამოეღოთ ზემოთ ხსენებული ეკლესიის ჩუქურთმიანი ქვები და ჩაერთოთ ახალშენის ეკლესიაში. ძველი ნასოფლარიდან მოტანილი ჩუქურთმიანი და ლაპიდარული წარწერიანი ქვების ჩართვა ახალ დასახლებულ ადგილებში აგებულ საკულტო ნაგებობებში საკმაოდ ხშირი მოვლენაა. ასევე, დასახლებულ პუნქტებში მოსახლეობის ასეთი მიგრაცია არა თუ ძველად, არამედ ამჟამადაც ხშირად ხდება. ამრიგად, ირკვევა, რომ ახლანდელი ნასოფლარი „ორსაყდრები“ ძველი სოფ. ახალშენია, რომელიც გვიან შეასაუკუნეებში გავრცელდა და XVIII საუკუნის შუა წლებში ნასოფლარად იქცა.

აქ წარმოვადგინეთ ძველი ტოპონიმების ლოკალიზაციის რამდენიმე ხერხი. დავეკმაყოფილოთ მცირე საილუსტრაციო მასალით. რა თქმა უნდა, გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლოკალიზაციის სხვა ხერხებიც შეიძლება იქნას გამოყენებული ტოპონიმიკური კვლევა-ძიების პროცესში.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია
ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის
ინსტიტუტი

К. П. ХАРАДЗЕ

Аспекты исследования древних топонимов Грузии

Р е з ю м е

Локализация древних топонимов Грузии должна осуществляться комплексным подходом. Важным способом является расположение и сравнение древних культовых и оборонительных сооружений, селищ, пригодных для жилья географических местностей, современных населенных пунктов, принимается во внимание также рельеф реки, удаленность населенных пунктов, масштаб и т.д.

При исследовании древних названий особая роль принадлежит картографическим материалам, а также дешифрованию аэрофотоматериалов, благодаря которым становится возможным определение как распространения населенных пунктов, так и расположения и характера заброшенных селищ. Имеет особое значение также выявление среди местного населения древних названий отдельных мест, участков и тому подобных, в которых нередко кроется правильное название древних населенных пунктов. Однако иногда встречаются и такие названия, в кото-

рых фигурируют искаженные формы древних топонимов, требующие
детального анализа для выявления начальной формы.

Учет местных географических условий, как отдельных компо-
нентов, так и ландшафта в целом, играет важную роль в локали-
зации географических названий. Следует также критически под-
ходить к литературным и историческим памятникам. Иногда не-
точности в письменных источниках становятся причиной новых
ошибок. Следует также принять во внимание процессы миграции,
историю заселения, особенности материальных и культурных ос-
татков, а также начальное их месторасположение.

Помимо вышеуказанных способов можно применить и другие
способы локализации географических названий.

ლიტერატურა

1. კ. ხ ა რ ა ძ ე, თრიალეთის ძველი ქართული ტოპონიმები. შაცნე-
ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტო-
რიის სერია, 1972, № 2.
2. კ. ხ ა რ ა ძ ე, ზურტაკეტის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები.
საქართველოს ბუნებრივი რესურსები და მათი კვლევის მეთო-
დები, თბ., 1979.
3. Ш. Ц х о в р е б а ш в и л и, К вопросу об изменении ус-
тья реки Сурамулы, Известия ВГО, т. 85, вып. I, 1953.
4. შ. ც ხ ლ ვ რ ე ბ ა შ ვ ი ღ ი, აკარა-თრიალეთის მთაგრები-
ლის გეომორფოლოგია, ნაწ. I, თბ., 1978.
5. Л. И. М а р у а ш в и л и, Современные географические про-
цессы. Геоморфология Грузии, Тб., 1971.
6. ლ. მ უ ს ხ ე ღ ი შ ვ ი ღ ი, არქეოლოგიური ექსკურსიები, თბ.,
1941.

გიგი ხორნაული

კარტოგრაფიული მასალა როგორც წყარო
ქართული ტოპონიმის შესასწავლად

საქართველოს ტოპონიმის შემსწავლელთათვის ძველ წერილობით ძეგლებთან ერთად, რა თქმა უნდა, დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია რუკებსაც. მათი დახმარებით შესაძლებელი გახდებოდა სახელწოდებათა ცვლილებისათვის თვალის გადავლება ისტორიის მანძილზე (ფონეტიკური ცვლილებანი თუ ერთი სახელწოდების სხვა სახელწოდებით შეცვლა). ამ მიზნით ბედხიერება იქნებოდა, სხვადასხვა ეპოქისა და დროის რუკები რომ მოგვეპოვებოდეს, ქართველების მიერ შედგენილი ქართულ ენაზე.

სამწუხაროდ, ამ მხრივ ძალზე ღარიბები ვართ. უძველესი რუკა, რაც მოგვეპოვება, ეს არის XVIII საუკუნეში ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილი საქართველოს ატლასი. ეს რუკები ძვირფასია იმ მხრივაც, რომ, ახლანდელი რუკებისაგან განსხვავებით, გარდა გეოგრაფიულ ობიექტთა სახელებისა, მასზე დატანილია ეთნონიმები და ეთნოტოპონიმები (ქისტეთი, ძურძუკი, კეცსური, ფშავი, ოცეთი, სვანეთი, ყიქეთი, სამცხე, ქარაღი, კახეთი, ოდიში და სხვ.). იგი ძვირფასი წყაროა ტოპონიმის შესწავლის თვალსაზრისითაც (გარდა იმ დიდი მნიშვნელობისა, რაც მას აქვს ტოპონიმის მომიჯნავე მეცნიერებისათვის: გეოგრაფიისა და ისტორიისათვის). ბევრი სახელწოდება მხოლოდ ამ რუკაზედაა შემორჩენილი. ზოგ შემთხვევაში აღარც გეოგრაფიული ობიექტი (სოფელი) შემოგენახა და აღარც მისი სახელი.

მნიშვნელობა ამ ატლასისა უდაოდ დიდია, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტოპონიმთა შესწავლის თვალსაზრისით ხშირ შემთხვევაში სანდო არ არის. გარდა იმისა, რომ ბევრი სახელწოდება გამოჩენილია

(მაგ., მთელი ფშავის, ხევსურეთის, გუდამაყრის), შეტანილი სახელწოდებანი გაქრული ხელით არის მიწერილი და ამოკითხვა ჭირს. ზოგი ტოპონიმი კი დამახინჯებულია. მაგალითად, მთიულეთში, ხადის ხეობის სათავეში, ამჟამადაც არის სოფელი წ ე რ ე. ვახუშტის რუკაზე ამ სოფელს მიწერილი აქვს ც ი კ ა რ ა. აშკარაა, ამ შემთხვევაში ვახუშტი ბაგრატიონს რაღაცა რუსული წყაროთი (რუკით) უსარგებლია, რადგან წკერე სწორედ რუსულად გამოითქმის ციკარად.

ფშავ-ხევსურეთ-გუდამაყარი ვახუშტის რუკაზე თეთრ ლაქად არის დარჩენილი. ჩანს, ამ ქნელად მისადგომი კუთხეების შესახებ არც რესებს ჰქონდათ ტოპოგრაფიული ცნობები და ვერც თვით ავტორმა მოიძია. უინვალს ზემოთ მთელი ამ სამი ხეობის ტერიტორიაზე სულ სამიოთხი ტოპონიმი მინიშნებული და ისიც გაუგებრად (ხარკვი, საშიში.). ფშავის არაგვს კი თეფრი არაგვი აწერია, მაშინ როცა თეფრი არაგვი მთიულეთშია.

ვახუშტი ბაგრატიონის ატლასი უძვეეს საფუძვლად 1923 წელს გამოცემულ საქარველოს ისტორიულ რუკას. სხვაობა მაინც არის და ეს სხვაობა იმაში მდგრძარეობს, რომ მცდარად ამოკითხულ სახელწოდებაში ან სულ სხვა შინაარსია ჩადებული ანდა სულ გაუგებარია. მაგალითად, მთიულეთის სოფელი ძ მ ი ა ნ ი (რომელიც ღღესაც ამ სახელით არსებობს) გადმოტანილია ს ო რ ი ა ნ ა დ, ჩ ო ქ უ რ ი - რ ო ჩ - ა დ, ა რ ა კ ე ვ თ ი - არკვეთად, ც ი კ ა რ ა (წკერე) - ეკლესიად, ს ა მ ო ც კ ო შ კ ო ვ ა ნ ი - სამოც ქობად, კ ე ვ შ ა - კევეშად და სხვ.

მთელი რიგი გეოგრაფიული ბუნქტებისა მითითებულია სულ სხვა ადგილას. მაგალითად, სოფელი მ კ ი რ ვ ა ლ ი ფასანაურთან საკმაოდ შორს არის, ამ რუკაზე კი ფასანაურთან ახლოს არის აღნიშნული.

გაუგებარია, რატომ არის ლატანილი ისტორიულ რუკაზე ზოგი ისეთი გეოგრაფიული ობიექტი, რომლებიც ვეიან გარჩნდა. ასეთებია, მაგალითად, ფასანაური, ქვეშეთი. არც ერთი მათგანი არ გვხვდება ვახუშ-

ტის მიერ შედგენილ ატლასზე. ისინი მხოლოდ XIX საუკუნეში საქართველოს რუსეთთან შეერთებისა და სამხედრო გზაზე მიმოსვლის გაცხოველებასთან დაკავშირებით აღმოცენდნენ.

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში კავკასიის სამხედრო ოქის ტოპოგრაფიულ განყოფილებას შეუდგენია მთელი კავკასიის დაწვრილებითი ტოპოგრაფიული რუკები. ეს რუკები ძალზე დეტალურია, იმდენად, რომ თითოეული წყარო, ეკლესიისა თუ ციხის ნანგრევიც კი არის ზედ აღნიშნული. მართალია, ასევე დაწვრილებით არ არის (და შეუძლებელიც იქნებოდა) ყველა ტოპონიმი შეტანილი, მაგრამ მაინც საკმაოდ ბევრია. სახელწოდებანი, ბუნებრივია, რუსულად არის აღნიშნული და ამიტომ ხშირ შემთხვევაში ფონეტიკურად სახეშეცვლილი ან დამახინჯებულია. განსხვავებული ბგერები მიახლოებითი სიზუსტით არის გადმოცემული, ისევე, როგორც ეს დღესაც ხდება: ქართულ ღ-ს შეესატყვისება რუსული Г, გ-ს - Ф, ყ-სა და კ-ს - К , წ-ს - Ц და სხვ.: კაწალხევი - Кацалхеви , ჭანჭახი - Чанчახи , ამღა - Амга , ყოფრა - Копча , ლიქოკი - Ликоки და ა.შ.

ეს შესატყვისაობა ბოლომდე არ არის დაცული. მართალია, ყ-ს - К შესატყვისება , მაგრამ ზოგ შემთხვევაში ყ X-თი გადმოცემული: ჩარგლის წყადი - Чаргалис-цхали . რუსული ჩვეულებრივ შესატყვისება ქართულ ყ-სა და კ-ს: კმოსტი - Кмости, აყნელი - Ақнели , მაგრამ ზოგ შემთხვევაში X-თი გადმოცემულია ხ და გ: ხახმატის მთა - Какматис мта , ელიაგზა - Элиагза . რუკის შემდგენლებს გაურჩევიათ ქართული ხ და გ: ხ გადმოცემულია X-თი, ხოლო კ- KX-თი: ხილიანა - Хилиана , კომის თავი - Комис-тави , ბაკია - Бакхия . მაგრამ ეს პრინციპი ვერც აქ გაეტარებიათ ბოლომდე: კ გადმოცემულია ხან X-თი, ხან K-თი: კმელტა - Кмел-тба , ოკერქევი - Окерхевя , ხახმატის მთა - Какматис мта , ჯაჯმატი - Хажмати , ჯარმაჯადი - Хармахади .

ბევრი სახელწოდება დამახინჯებულია. ასეთ დამახინჯებებს ზოგ

შემთხვევაში მოეპოვება ახსნა. ასე მაგალითად, გეოგრაფიული სახელების ერთი ნაწილის გადმოცემისას დაშვებულია შეცდომა, რომელიც არასწორი აკუსტიკური აღქმით უნდა აიხსნას: **Куднис мта** - ქუდინისლა, **Чапкара** - ჭაფნაგა, **Шашури** - საშუბი, **Саптисисцеври** - საფსიტისწვერი, **Цакурта** - ცაბაურთა, **Бобрис-пихе** - ბებრის ციხე, **Секурвант** - სოყურვანი, **Бедоинио** - ბედონი. არის დამახინჯებები, რომლებიც აშკარად ხელნაწერიდან, ჩანაწერიდან არასწორი ამოკითხვის შედეგი ჩანს: **Жевша** - ხევშა (**Хевша**), **Бивилиани** - ბიბილიანი (**Бибиллиани**), **Магваили** - მაღაწალი (**Магацали**), **Мзаскана** - მზისყანა (**Мзискана**).

ამგვარად დამახინჯებული გეოგრაფიული სახელები ბევრია და ისიც აშკარაა, რომ ისინი, მართლაც, დამახინჯებულად არიან გადატანილი რუკაზე.

ამათ გარდა, რუკაზე აღნიშნული ზოგი გეოგრაფიული სახელი საგრძნობლად განსხვავდება დღევანდლისაგან, მაგრამ ეს სხვაობა მიუთითებს ტოპონიმის იმდროინდელ სახეზე, იმაზე, რომ ეს ტოპონიმი მაშინ ასე იხმარებოდა, შემდეგ კი შეიცვალა. ერთეული რომ იყოს ასეთი შემთხვევა, მაშინ ძნელი იქნებოდა რაიმეს მტკიცება, მაგრამ აქ ერთგვარი სისტემა ჩანს. ტოპონიმებს - **კ ვ ე კ ვ ე ნ რ ა**, **ჭ თ რ მ ე შ ა**, **ფ ხ ი ტ უ** - დღევანდელ ხმარებაში ბოლოში მარცვლები აქვს დამატებული: **კ ვ ე კ ვ ე ნ რ ა ვ ი**, **ჭ თ რ მ ე შ ა ვ ი**, **ფ ხ ი ტ უ რ ი**. გვაქვს სანპირისპირო მოვლენაც - გამართივება მარცვლის ამოვარდნის შედეგად: **ბინდილაურთა** → **ბინდაურთა**.

რუკისთვის ერთი ფვალის გადავლებითაც ნათელია, რომ ღუშეთის რაიონის ბარის სოფლის სახელებს იმ დროს თითქმის მასობრივად ემატებოდა ინდიკატორი კარი (ჩანადირჯარი, ნაგლიანთკარი, შაბურანთკარი და სხვ.): თითოეულ სახელი ვხვდებმა „კარის“ გარეშე: **ბ თ დ თ რ ნ თ**, **ყ ვ ა ვ ი ლ ი**, **ა შ ი** და სხვ. დღეისათვის საგრძნობლად შეცვლილია ვითარება. დიდ უმრავლესობას ამ სახელებისას

ჩამოცილებული აქვს „ყარი“: ჩანადირები, საშაბურო, ნაგლიანი.

ამ რუკებმა შემოგვინახა აგრეთვე ზოგიერთი გეოგრაფიული ობი-
ექტის ძველი სახელი. მაგ.: გუდამაყარში სოფელს რქმევია ჭ ი მ-
შ ო, ახლა ჰქვია თ ო რ ე ლ ა ნ ი, ერქვა ბ ა კ უ რ ხ ე ვ ი-,
ჰქვია ს ი ჯ ა ნ ი ა ნ ი და სხვ.

1931 წელს გამოცემული საქართველოს რუკა, რომელზეც სოფლები
და სხვა წვრილ-წვრილი ობიექტებიც არის აღნიშნული, შედგენილია
ამ რუსული რუკების საფუძველზე. იმ აღრევებს, რაც რუსულ რუკებზეა,
ემატება რუსულიდან ქართულად გადმოტანის დროს დაშვებული შეცდომე-
ბიც და სახელწოდებათა დამახინჯება კიდევ უფრო შორს არის წასული.

რუსულ რუკებზე ყ-თი გადმოცემულია ქართული ჭ, მაგრამ ხომ
გვაქვს ქართული ჩ-ც, ე. ი. როცა ყ-ს ჩ შეესატყვისება და არა ჭ.
ზოგ შემთხვევაში, ჩანს, ეს აღარ გაუთვალისწინებიათ რუკის შემ-
დგენლებს და სადაც რუსული ყ უნახავთ, ის ქართული ჭ-ს შესატყვისად
მიუჩნევიათ. ამგვარად „თარგმნილ“ სახელებში რუსულად სახეშეცვლილ
ტოპონიმს ქართულად კიდევ სხვაგვარად უცვალეს სახე, იმის ნაცვლად,
რომ თავისი სახე დაებრუნებინათ; მაგალითად, უკანაფშავში სოფელ
მუქუს ჩამოუდის პატარა ხევი - ჩ ა ქ ი ს ხ ე ვ ი (მთას ჰქვია
ჩ ა ქ ი, საიდანაც ეს ხევი ჩამოედინება). რუსულ ტოპოგრაფიულ რუ-
კაზე, როგორც ეს 'მოსალოდნელიც იყო, ქ ჩ-თი გადმოსცეს და მივი-
ღეთ ЧАКИ და ЧАКИС ХЕВИ . ქართული რუკის შემდგენლებს ამ სახელ-
წოდებათა გადმოტანისას 'მიუჩნევიათ, რომ ყ-ს აუცილებლად ჭ შეესა-
ტყვისებოდა (შდრ.: ჭირი - ЧИРИ , კოჭოხი - КОЧОХИ და ა.შ.). ამ
მიზეზით ჩ ა ქ ი იქცა ჭ ა კ ა დ, ხოლო ჩ ა ქ ი ს ხ ე ვ ი -
ჭ ა კ ი ს ხ ე ვ ა დ.

მსგავს ვითარებასთან გვაქვს საქმე სხვა შემთხვევებშიც: სო-
ფელს ეწოდება ლ ი ქ ო კ ი, რუსულ რუკაზეა ЛЯКОКИ, ქართულზე გად-
მოუტანიათ ლ ი ქ ო ქ ი; ქ ა ჩ უ ციხეა შატლთან. რუსულ რუკაზეა
Качу , ქართულზე - კ ა ჭ უ; სოფლის სახელი გ უ რ ო რუსულ

რუკაზე ასევეა - Typo. რაკი ქართულ ღ-ს რუსულში შეესატყვი-
სება, ამდგარან და გადმოუტანიათ ლ უ რ ო .

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კ რუსულ რუკაზე ძირითადად XX-თია
გადმოცემული. ქართულად სახელწოდების გადმოტანისას საჭირო იყო
მისი ხ-თი შეცვლა. „საქართველოს რუკის“ შემდგენლებს კი კბ გა-
დმოუტანიათ, რის შედეგადაც გაჩნდა ასეთი სახელწოდებანი: კ ბ ო -
ნ ი, ბ ა კ ხ ი ა. ზოგჯერ კბ გვაქვს: კ ხ ო ნ ი ს ჭ ა ლ ა .

რუკების მიხედვით სახელწოდებათა კვლევისას გასათვალისწინე-
ბელია ისტორიული ვითარება და ტოპონიმა წარმოების სისტემა. ცალ-
კე ამოღებამ ამა თუ იმ სახელწოდებისა, შეიძლება შეცდომა დაგვა-
შვებინოს. მაგალითად, 1931 წლის რუკაზე გვაქვს სახელწოდება
„მ. ჩ ი ჩ ო ს“. აშკარაა, რომ აქ შეცდომაა, რადაც აკლია, მაგ-
რამ რა? ამისი გარკვევა შესაძლებელი ხდება იქვე აღნიშნული სხვა
სახელწოდებების მიხედვით - უ ბ ი ს თ ა ვ ი, ს ა ს უ ე თ თ ა -
ვ ი, ხ ო მ ი ს თ ა ვ ი, ე.ი. უნდა გვექონდეს „მ. ჭ ი ჩ ო ს თ ა -
ვ ი“ და, მართლაც, ამ მთას დღესაც ასე უწოდებენ. ასევე შეიძ-
ლება სოფლის სახელებს აკლდეს „ყარი“.

ტოპონიმა აღწერის დარქარება კიდევ იმიტომაც არის საჭირო,
რომ რუკაზე შეტანილი მცდარი სახელები გავასწოროთ. თუ დაგვეკარგა
ის მიკროტოპონიმები, რუკაზე ვეღარ შევასწორებთ, თუ გაქრა სახელ-
წოდება ჩ ა ქ ი ს ხ ე ვ ი, რუკაზე დაგვრჩება ჭ ა კ ი ს ხ ე -
ვ ი .

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ახალი ქართული ენის კათედრასთან .
არსებული ტოპონიმიკის ლაბორატორია

Г.И. ХОРНАУЛИ

Картографический материал как источник для
изучения грузинской топонимии

Р е з ю м е

Важным источником для изучения грузинской топонимии является детальная карта Кавказа, составленная топографическим отделением Кавказского Военного Округа. Надписи сделаны на русском языке. В них отразились фонематические особенности обоих языков: грузинские $\text{q}, \text{z}, \text{c}, \text{d}, \text{v}$ в русском переданы соответственно: г, ч, к, ц, х и т.д. Но во многих случаях географические названия искажены по причине неточного акустического восприятия и неточной записи.

Все это не было учтено составителями детальной карты ГССР (карта была составлена на основе русских картографических материалов и издана в 1930 г.), что и привело к умножению искажений. Например: русское ч(щ) сочли за грузинское c , а русское к - за d к. В результате этого грузинское географическое название $\text{Kodj} \text{ } \check{\text{c}}\text{ak}i$ (гора в Пшави) на русскоязычной карте было передано как "чаки", а на упомянутой выше карте ГССР получило форму $\text{Kodj} \text{ } \check{\text{c}}\text{ak}i$. Подобных случаев немало. Таким образом, следует соблюдать большую осторожность при использовании топографических материалов с целью топонимических исследований.

შუქია აფრიდონიძე

ზანური ანთროპონიმის ზოგიერთი საკითხისათვის
(კვლავ ჯ ა კ ო ბ ი ა , ე ო რ დ ა ნ ი ა ტიპის
გვარების შესახებ)

საბას, კიტყვის კონაში* დამოწმებული და შესხიზმებად (?) კვა-
ლიფიცირებული ზმნური ფორმები ც უ ა რ ე ბ ი, ე ა რ ე [1] გ.
ახლელდინამა ვ ი ა რ ე ბ ი, ი ა რ ე ზმნების ფონეტიკური ტრან-
სფორმაციის შედეგად მიიჩნია: ჯერ უნდა მომხდარიყო ზმნური ფუძის
თავკიდური ღ-ს გაუმარცვლობა, შემდეგ კი მისი პალატალიზაცია:
ი ა რ ე → ა ა რ ე → ე ა რ ე ([2] 80).

ამავე ფონეტიკური პროცესების* რეზულტატადაა მიჩნეული შეგრული
გვარები: ჯ ა კ ო ბ ი ა ([3] 220, [2] 80), ე ვ ა ნ ი ა, ე ო რ-
დ ა ნ ი ა ([2] 80), ჯ ო ბ ა ც ა [4], ჯ ო მ ი დ ა ვ ა, ჯ ა კ ო-
ნ ი ა ([5] 614).

შეგრული გვარების მაწარმოებელი -ია და -უა სუფიქსები, გარდა
თანხმოვნებისა ანთროპონიმული ფუძის აუსლაუტში**, დაერთვის ღ ხმო-
ვანსაც და იძლევა შესაბამისად -ა-ია და -ა-ვა (← -ა-უა (?))
დაბოლოებებს. ***

* ზოგიერთი ფონეტიკური პროცესის თაობაზე მიღებული კონსულტაცი-
ისათვის მადლობას მივახსენებთ პროფ. თ. უურუაძის, რომელიც ამ
წერილს ხელნაწერში გაეცნო. სადავო დებულებებისათვის პასუხისმგებ-
ლობა, ცხადია, ავტორს ეკისრება.

** ეგვივე -ია და -უა სუფიქსები, როგორც ცნობილია, შეიძლება
კნინობით პირთა სახელებსაც აწარმოებდეს (მაგ., გოგ-ია, ბერ-უა
[6] 29); მაგრამ ა რ ა ზ ა ნ უ რ გარემოში! ალბათ, სწორედ
ამიტომ გახდა შესაძლებელი, რომ აღნიშნულმა სუფიქსებმა იკისრეს
ზ ა ნ უ რ გ ვ ა რ თ ა წარმოება, და პირიქით: აღმოსავლეთ სა-
ქარაველოში, სადაც პირთა სახელების კნინობით ფორმებში -ია და -უა
ბოლოსართები ძალზე ხშირია, გვარების საწარმოებლად მათ აღარ იყუ-
ნებენ. იდენტური სუფიქსების განსხვავებული ფუნქციები და არეალი,
როგორც ჩანს, ერთ-ერთი გამოვლენაა სახელისა და გვარის გამიჯვნის.
ტენდენციისა.

*** -აეა-ს სხვაგვარი დაშლისათვის და საერთოდ ამ ელემენტის შე-
სახებ უფრო დაწერილებით იხ. ([7] 67-73).

აღნიშნული გვარების ამოსავალი ბერძნულიდან (ან ბერძნული გზით ძველებრაულიდან შემოსული) ნასესხები მამაკაცთა სახელები: ი ა კ ო ბ, ი ვ ა ნ ე (← ი ო ა ნ ე), ი ო რ დ ა ნ ე, ი ო ბ ი, დ ი ო მ ი დ ე და საზოგადო სახელი დ ი ა კ ო ნ ი. იგივე პროცესია ნავარაუდები გურულ გვარში ლ ო ბ უ ა ნ ი ძ ე ო ბ ჯ ა ნ ი ძ ე ([8] I20), რომელიც, ჩვენი აზრით, შესაძლებელია მეტსახელ ლ ო ბ ი ა ნ ა-საგან მომდინარეობდეს (იხ. ლ ო ბ ჯ ა (ლ ო ბ ჯ ა: ლ ო ბ ი ო) [9] 27).

მაშასადამე, ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, აღნიშნული ფონეტიკური პროცესები ა) ა რ ე ა ლ უ რ ა დ და ლ ი ნ გ ვ ი ს ტ უ რ ა დ ა ც შეზღუდულია (ზანურის წიაღში ან ზანურის გავრცელების არეალშია აღმოცენებული)* და ბ) თ ე მ ა ტ უ რ ა დ ა ც (უფრო ზუსტად, სემანტიკურად): მხოლოდ გვარებად გაფორმებულ ზანურ ანთროპონიმებში დასტურდება. ამ უკანასკნელებს გვარების დაბოლოებით და არაპალატალიზებული ანლაუტით უპირისპირდებიან სხვა ქართული (იგულისხმეთ: არაზანური) გვარები, რომლებიც ძირითადად ძე და შეილ-ით იწარმოებიან. მაგ., ჯაკობია - იაკობიძე, იაკობაშვილი; ევანია-ივანიძე, ივანიშვილი; ურდანია - იორდანიშვილი; ჯობავა - იობიძე, იობაშვილი; ჯაკონია - დიაკონიძე (შდრ. აგრეთვე დიაკვიშვილი).

საინტერესოა, რომ იმავე ზანურში, სახელდობრ, მეგრულში, პირთა სახელებად ფუნქციონირებისას აღნიშნული გვარების ამოსავალი სახელები კვლავ არაპალატალიზებული სახით გვევლინება: ი ა კ ო ბ, ი ვ ა ნ ე... იგივე ვითარებაა გვარის საზოგადო სახელად ფუნქცი-

* თ. გონიაშვილს შენიშნული აქვს, რომ იო→ეო, ია→ეა პროცესი მხოლოდ დასავლურ ქართულ დიალექტებშია დადასტურებული, რასაც მეცნიერი ხსნის ამ კილოთა მგრძნობიარობით აღნიშნული პროცესისადმი ([8] I19).

ონირებისას (მეგრ. დ ი ა კ ო ნ ი „მსახური“ ← ბერძნ. $\delta\epsilon\acute{\alpha}\kappa\omicron\nu\sigma$).

ნიშანდობლივია ისიც, რომ იოტაცია და შემდეგ პალატალიზაცია^o ხდება არა ნებისმიერი ხმოვნის წინ, არამედ ა და ი-ს წინ (თეორიულად მოსალოდნელია უ-ს წინაც), ი-ს მომდევნოდ გამოირიცხულია წინა რიგისავე პალატალური ხმოვნები ე და ი.

სწორედ ამიტომ ნაკლებ სარწმუნოა ე ვ ა ნ ი ა-ს მიღების ასეთი გზა: ი ო ა ნ ე → ი ო ვ ა ნ ე → ი ვ ა ნ ე → *ე ი ვ ა ნ ე → ე ვ ა ნ ი ა ([8] II9). უფრო დამაჯერებელი ჩანს მისი მიღება შემდეგი საფეხურების გავლით: ე ო ა ნ ი → *ე ო ვ ა ნ ი (ე უ ა ნ ი) → ე ვ ა ნ ი ([3] 220), ოღონდ, ვფიქრობთ, რომ შეაღებურ საფეხურზე (*ე ო ვ ა ნ ი) ინტერვოკალური ვ-ს გარეშე მოულოდნელია. ამ გვარის მიღების დაზუსტებული სურათი ჩვენ ასტ წარმოგიდგება: ი ო ა ნ ე → ა ო ა ნ ე → *ე ო ა ნ ე → *ე უ ა ნ ე (ოა → უა პროცესის შესახებ იხ. ([6] 29) → ე ვ ა ნ ი ა. ასეთივე გზა, შესაძლოა, ნაკლები საფეხურების გავლით, უნდა მქონოდათ სხვა გვარებსაც (ვ ა კ ო ბ ი ა, ე ო რ დ ა ნ ი ა და მისთ.).

როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ა (←ი) ხან უ-ს იძლევა, ხანაც - ჯ-ს. ღებვა საკითხი მათი მონაცვლეობის კანონზომიერებისა, მით უმეტეს, რომ ამ კითხვაზე პასუხი არ არის გაცემული: ან საერთოდ არ ეხებიან ამ საკითხს, ანდა ჯ-ს მიიჩნევენ ე-ს მომდევნო საფეხურად. კერძოდ, ჯ ა კ ო ბ ი ა-ს მიღების გზა ასე იგარაუდება: ი ა კ ო ბ → ე ა კ ო ბ ი ა და მხოლოდ შემდეგ — ჯ ა კ ო ბ ი ა ([3] 220). მითითებულია, რომ, როგორც ე ა კ ო ბ ი ა უპირატესად გამოითქმის ჯ ა კ ო ბ ი ა-დ, ასევე ე ო რ დ ა ნ ი ა გა-

^o ი-ის აღმნიშვნელი კანური ე უ რ ი-ც ფაქტიურად ა → ე პროცესის შედეგადაა მიჩნეული ([3] 220); ა ო რ ი (იხ. სვან. ე ო რ) → ე ო რ ი → ე უ რ ი, რაც, ალბათ, გამოდგებოდა ე უ რ ი-სთან შედარებით მეგრული ე ი რ ი-ს გვიანდლობის ერთ-ერთ საბუთად ([10] XX). „მეგრულში უ → ი ფართო გასაქანი უნდა მქონოდა“ ([9] 25).

მოითქმის აგრეთვე ჯ ო რ დ ა ნ ი ა-დ. აქვეა დასახელებული პარალელური ვარიანტები ლ ო ბ ე ა ნ ი ძ ე ლ ო ბ ჯ ა ნ ი ძ ([8] 119-120).*

უნდა შევნიშნოთ, რომ: ა) თუ ზემოთ მოყვანილ გვარებს პარალელური გამოთქმა ახასიათებს და, ამასთან, ჯ←ე, გაუგებარია, რატომ დამკვიდრდა ერთ შემთხვევაში ბოლო საფეხურის ამსახველი ვარიანტი (ე ა კ ო ბ ი ა), მეორე შემთხვევაში კი—შუალედური საფეხურის ამსახველი ვარიანტი (ე ო რ დ ა ნ ი ა). ბ) თუკი ე ბგერა შეიძლება ისმოდეს. აგრეთვე, როგორც ჯ, გაუგებარია, რატომ არა გვაქვს ანალოგიურად პარალელური ფორმები ჯ ვ ა ნ ი ა ლ ე ა ნ ი ა, არამედ მხოლოდ ე თანხმოვნიათ ვარიანტი?

როგორც ჩანს, ე და ჯ ბგერების ურთიერთობა ქართულში (უკეთ, ქართველურ ენებში) კანონზომიერ-მონაცვლეობითი ხასიათისაა. ყოველ შემთხვევაში, ე→ჯ პროცესის განხორციელება ყოველთვის ვერ ხერხდება გარკვეული მიზეზების გამო. ნიშანდობლივია ამ მხრივ, რომ სპეციალურ ლიტერატურაში ტოპონიმ უ ჯ ა რ მ-ის ქრონოლოგიურ (მომდევნო) ვარიანტად უ ე ა რ მ-ის არსებობა და ტოპონიმ ნ ი ჯ-ის ასეთსავე ვარიანტად ნ ი ე-ის არსებობა ავტორს პირუკუ პროცეს-საც ავარაუდებინებს: ჯ→ე. ანალოგიური პროცესის საილუსტრაციოდ მოყვანილია სხვა მაგალითებიც: მეგრულში: ხაჯალია - ხაეალია, ჯეებენავა (საკუთარი სახელიდან ჯ ე ე ბ ე) - ეეებენავა; გურულში: ლობჟანიძე - ლობჯანიძე ([8] 120), თუმცა სხვა მაგალითში ისევ ჯ←ე პროცესია ნავარაუდები: უ ჯ მ ა ჯ ურ ი ძ ე←ე ე მ ა ე ურ ი ძ ე←ე ე მ ურ ი (ე ა მ ფუძიდან).

ჩვენი აზრით, ა→ე/ა→ჯ ალტერნატიული გადასვლებია, რაც დამოკიდებული ჩანს იმაზე, მოცემულ სიტყვაში ა, ა კომპლექსების მომდევნო პირველივე თანხმოვანი სონორია თუ არა. როცა ეს თან-

*ე და ჯ-ს მონაცვლეობისათვის იხ. აგრეთვე ([9] 27).

ხმოვანი სონორია (ყველაზე ხშირია რ და ნ თანხმოვნები), კომპლექ-
სში უ იჩენს თავს, სხვა შემთხვევაში კი - ჟ (შესაძლოა, ზოგჯერ
უ საფეხურის გავლით): მაგ.: უ ო რ ჯ ა ნ ი ა, უ ვ ა ნ ი ა°
შდრ. ჟ თანხმოვნისანი გვარები: ჯ ა კ ო ბ ი ა, ჯ ო ბ ა ვ ა, ჯ ა-
კ ო ნ ი ა°°.

ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია ჭანურის ათინურ კილოკა-
ვში დადასტურებული ა ო ხ ო სახელის ვიწურ-არქაბული და ხოფური
ვარიანტი ჯ ო ხ ო, რომელიც „ისევეა მიღებული ა ო ხ ო-საგან, რო-
გორც... ლ ო ბ ჯ ა ლ ო ბ ა ა-საგან. შ უ ა ს ა ფ ე ხ უ რ ი
უ ო ხ ო არ შ ე ნ ა ხ უ ლ ა (დაყოფა ჩვენია. შ.ა). უკეთ რომ
ვთქვათ, დადასტურებული ჯერჯერობით არაა. საინტერესოა, რომ ათი-
ნურში სახელი ა ო ხ ო დარჩა, მაგრამ ზმნა ჯ ო ხ ო-ს იძლევა:
ა ო ხ ო შ ქ ი მ ი... , მაგრამ მ ჯ ო ხ ო ნ ს... მქვია“ ([9]
28).

მაშასადამე, ა ო ხ ო და ჯ ო ხ ო დიფერენცირებულია, ერთი
მხრივ, კილოკავების მიხედვით, მეორე მხრივ კი - ერთი კილოკავეს
ფარგლებში - მეტყველების ნაწილთა მიხედვით. მაგრამ არცერთ შემ-
თხვევაში შუალედური საფეხური უ ო ხ ო არ დასტურდება. ეს ფაქტი
სვამს საკითხს: სონორის არსებობა ზანურ სიტყვაში ა—ე-ს პირველ
მომღევერ. თანხმოვნად ერთგვარად ხომ არ აფერხებს აფრიკატიზაციის
პროცესს?

აღნიშნული ვითარების გათვალისწინებით შეიძლება არსებული

*აგრეთვე უ ო რ უ ლ ი და უ ო რ უ ო ლ ი ა ნ ი, თუ ისინი
მართლაც უ ო რ უ ლ-ის და გ ო რ გ ო ლ ი ა ნ-ის ვარიანტებია. იხ.
([8] 118), თუმცა, შეკანანის მიერთა პალატალიზაცია ზდება „მომღევერ
უ ო რ ი“, ალბათ, დასაშვები იქნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ გ ო რ გ ო ლ ი-
შუძეს გ ო რ გ ო ლ შუძისაგან მიღებულად ჩავთვლიდით.
*ამ წესს თითქმის არღვევს ჯ ო მ ი ღ ა ვ ა, რომელშიც იმ კომპ-
ლექსის მომღევერ პირველი თანხმოვანი სონორია (შ), მაგრამ აქ მის
ძალას სხვა გარდუვალი პროცესი - აფრიკატიზაცია - ეღობება: ღ ე ნ-
შ ი ღ ა ვ ა (შ.ა.) → ღ ი ო მ ი ღ ა ვ ა (*ღ ა ო მ ი ღ ა ვ ა → *ღ უ ო-
თვის იხ. ჯ ა კ ო ნ ი ა → ჯ ო მ ი ღ ა ვ ა. ასეთივე აფრიკატიზაციისა-
შ.ა.) ← დიაკონი ([5] 614). *ღ ა ა კ ო ნ ი ა

მასალა შეგვესო დამატებითი სავარაუდო მასალით. ესენია მეგ-
 რული გვარი $\chi \nu \epsilon \beta \epsilon \nu \alpha \nu \alpha$ და გურული გვარი $\chi \theta \rho \beta \epsilon \nu \alpha -$
 $\delta \epsilon$, რომელთა ამოსავალი სახელი ერთი უნდა იყოს: მამაკაცის სახე-
 ლი $\chi \nu \epsilon \beta - \epsilon \nu - \alpha$ (იხ. $\chi \nu \epsilon \beta \epsilon$) || $\chi \theta \rho \beta - \epsilon \nu - \alpha$ (ვე/ო-ს მო-
 ნაცვლეობა ქართულში ცნობილია), რომლებიც ი $\theta \beta$ სახელის პალა-
 ტალიზმულ ვარიანტებად შეიძლება მივიჩნიოთ. რ სონანტის ჩართვით:
 $\chi \theta \rho \beta \epsilon \nu \alpha \rightarrow \chi \theta \rho \beta \epsilon \nu \alpha \rightarrow \chi \theta \rho \beta \epsilon \nu \alpha \delta \epsilon$. (წინასწარი
 ვარაუდით, გვარი $\chi \alpha \nu \alpha \theta \iota \alpha - \nu$ შესაძლებელია პალატალიზაცია-
 აფრიკატიზაციის შედეგად იქნეს მიჩნეული $\delta \iota \alpha \nu \theta \iota \alpha$ * $\delta \iota \alpha -$
 $\nu \alpha \nu \alpha$ სახელისაგან. შდრ. $\delta \iota \alpha \nu \theta \iota$).

რამდენადაც $\iota \rightarrow \alpha \rightarrow \epsilon / \chi$ პროცესს ზანურში სხვადასხვა ლექ-
 სიკურ-გრამატიკული ერთეული ადასტურებს (გვარები, საზოგადო სა-
 ხელები, ზმნა), იგივე პროცესი, საფიქრებელია, პირთა სახელებშიც
 განხორციელებულიყო. კერძოდ, სავარაუდებელია, რომ სამეგრელოში
 გავრცელებული სახელები— $\chi \alpha \nu \nu$, $\chi \theta \nu \alpha$ და $\chi \theta \theta \nu$ პა-
 ლატალიზებული ფორმებია: $\chi \alpha \nu \nu$ მიღებული უნდა იყოს $\iota \alpha \nu \theta \iota -$
 ν ის კნინობით-მოფერებითი ფორმისაგან $\iota \alpha \nu \theta \iota$ (\rightarrow * $\iota \alpha \nu \nu$),
 $\chi \theta \nu \alpha - \iota \theta \nu \alpha$ კნინობით-მოფერებითი ფორმისაგან,
 ხოლო $\chi \theta \theta \nu - \iota \theta \theta \nu$ ა-საგან ($\iota \theta \theta \iota -$ ბერძნ. „პატარა“)
 შდრ. $\theta \theta \iota \alpha / \theta \theta \iota$.

მაშასადამე, დასაშვებია, რომ ა და ო-ს (შესაძლოა, აგრეთვე,
უ-ს) წინამავალი ი-ს პალატალიზაცია დამახასიათებელია არა მარტო
 მეგრული გვარებისათვის, არამედ პირთა სახელებისთვისაც და, ცალ-
 კეულ შემთხვევებში, აპელატივებისა და ზმნებისათვისაც, თუკი
 ისინი ზანურის გავრცელების არეალში ფუნქციონირებენ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 ახალი ქართული ენის კათედრა

Некоторые вопросы занской антропонимии
(Еще раз о фамилиях типа Джакобия, Жордания)

Р е з ю м е

В статье проанализированы некоторые мегрельские фамилии, происходящие преимущественно из греческих заимствованных антропонимов, начинающихся комплексом из гласных, первым элементом которого является *i* (*iouane, iakob*). Как известно, в результате йотации этот гласный в мегрельских фамилиях палатализируется: *j > ž / ĵ*. Переход *j* в аффрикату *ĵ* считается конечной стадией процесса, а в *ž* — промежуточной.

Устанавливается, что в качестве второго элемента анализируемого комплекса исключается гласный переднего ряда (*e, i*).

Выдвигается предположение о возможной закономерности переходов *j > ž* и *j > ĵ*; *ž* в анлауте мегрельских фамилий этого типа наблюдается в том случае, если первый последующий согласный является сонорным (в основном *г* и *п*), в остальных же случаях засвидетельствован *ĵ*.

Учет этой закономерности позволяет поставить вопрос об аналогичных фонетических процессах в мегрельских личных именах.

ლიტერატურა

1. ს უ ლ ხ ა ნ ა ბ ა მ რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1884.
2. გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, შენიშვნა „ვეარები, უარე“-ს შესახებ. „ჩვენი მეცნიერება“, 1923, 6-7.
3. Н. М а р р, Грузинские приписки греческого Евангелия из Кордлии, ИИАН, 1911, № 4.

4. ზ. ჭუ მ ბ უ რ ი ძ ე, რა გქვია შენ? თბ., 1971.
5. ა. შ ა ნ ი ძ ე, ეტიმოლოგიური შენიშვნები. ჯაკონია. კერპი. საქ. სსრ მეც. აკად. მოამბე, 1958, ტ.20, №5.
6. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953.
7. მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, -ელ/-ავ სუფიქსის საკითხისათვის ქართველურ გვარ-სახელებში, იკე, XXII, 1980, გვ. 67-73.
8. Т. Г о н и а ш в и л и, К истории одного звука в грузинском языке. ენიმკის მოამბე, II, 1937.
9. არნ. ჩ ი ქ თ ბ ა ვ ა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფილისი, 1936.
10. Н. М а р р, Грамматика чанского языка, СПб., 1910.

ქედივან გოდერძიშვილი

საკუთარი სახელის საკიბნისათვის ქართულ
გრამატიკულ ლიტერატურაში

საკუთარი სახელი ქართულში, უნდა ითქვას, ყველაზე ნაკლებადაა შესწავლილი არსებით სახელთა სხვა ჯგუფებთან შედარებით და ამას, ცხადია, თავისი მიზეზებიც უქონდა. ენის გრამატიკული სისტემის მკვლევრებს აინტერესებდათ სახელთა სტრუქტურის საერთო ანალიზი და არა კონკრეტულად არსებით სახელების ცალკე სემანტიკური რკალების სპეციფიკურ ნიშან-თვისებათა ჩვენება. ქრონოლოგიურად რომ მივყვეთ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურას, აღმოჩნდება, რომ საზოგადო სახელთა სტრუქტურა შესწავლილია მრავალი ასპექტით, რასაც ვერ ვიტყვიმ საკუთარ სახელზე.

ზურაბ შანშოვანი, რომლის „მოკლე დრამმატიკა ქართლისა ენისა“ უსწრებს XVIII ს-ში შექმნილ სხვა ანალოგიურ ნაშრომებს, მხოლოდ ორიოდე სიტყვიმ ჩერდება საკუთარ სახელზე და ისიც იმიტომ, რომ ამისთანა მცირე ინფორმაციას მოითხოვდა მკვლევრისაგან იმ პერიოდის ტრადიციული გრამატიკა. ავტორი წერს: „სახელი არს კერძო სიტყვისა სასრბოლო, თუნიერ უამისა და პირისა, რომელი არს: ვახტანგ, პეტრე“ ([1] 9). სხვა რამ ამ ნაშრომში საკუთარი სახელის თვისებებზე თითქმის ნათქვამი არ არის. გამოდის, რომ გრამატიკოსს არ უჩვენებია საკუთარი სახელის არც სემანტიკა და არც სტრუქტურა, ნომინაციურად აღნიშნა, რომ საკუთარი სახელი გამოიყოფა სუბსტანტივთა საერთო კლასიდან და დაასახელა მხოლოდ ფაქტი - ვახტანგ, პეტრე საკუთარი სახელებია. ეს არის და ეს. მარადია, ავტორი საკუთარ სახელს სასრბოლო სიტყვად თვლის, მაგრამ არაფერს ამბობს მისი ბრუნების თვისებებზე სუბსტანტივის სხვა კლასების

ბრუნებასთან შეფარდებით.

შედარებით მწყობრი მოძღვრება არსებითი სახელის შესახებ XVIII ს-ის ქართულ გრამატიკაში ანტონ პირველმა შეიღწევა. მისი „ქართული ღრამმატიკა“ თავისი დროის მეცნიერებისათვის უეჭველად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ქართული სახელის თეორიას ნიადაგი პირველად სწორედ ანტონის ნაშრომმა მოუმზადა. ანტონი ავლიდა, რომ არსებითი სახელის სისტემაში სამი ჯგუფის ფენომენია გაერთიანებული: საკუთარი, საზოგადო და კრებითი; „სახელი არსებითი იწუალების სამთა მიმართ საქმეთა, ე.ი. 1. მხოლობითისად, 2. საზოგადო-ასად, 3. შემკრებლობითისად“ ([2] 125). აქედან გრამატიკოსი ბირველად გამოყოფს და განიხილავს სწორედ „მხოლობითს“, ანუ საკუთარ სახელს. „მხოლობითი არს მნიშვნელი ნივთისა, - ამბობს ავტორი, - განუყოფელად და განუჭრელად. მაგალითებ: ფარნავაზ, მირიან, ვახტანგ, მცხეთა, მტკვარი და სხვანი. ხოლო ფარნავაზ, სახელი იგი, არა თუ მრავალსა არსებასა დაჰნიშნავს, არამედ მხოლოდ ერთსა ოდენ განუკუთმელსა არსებასა. ხოლო მტკუარი, არათუ მრავალთა მდინარეთა, არამედ მხოლოდ ერთსა ოდენ განუკუთმელსა არსებასა, ესე იგი, რომელსამე მდინარესა ([2] 125). ეს მსჯელობა ისე უნდა გავიგოთ, რომ საკუთარი სახელი დამოუკიდებელი ფენომენია, განსხვავდება საზოგადო სახელისაგან იმით, რომ ერთ საგანს ჰქვია და ნიმუშებად დასახელებულია პირისა (ფარნავაზ, ვახტანგ) და ადგილის (მცხეთა, მტკვარი) სახელები. მკვლევრის მოსაზრება თანამიმდევრული იქნებოდა, რომ კანკლელობის პროცესის ჩვენებისას დაეცვა ეს აზრი, მაგრამ მას საკუთარი სახელი ბრაქტიკულად ისეთსავე ბრუნებად სიტყვად მიაჩნია, როგორც საზოგადო სახელია. ეს განსაკუთრებითაა აღსანიშნავი. ანტონი ფიქრობს, რომ საკუთარ სახელს აქვს უნარი მრავლობითი რიცხვის წარმოებისა, ბუნებრივად ავლის ფორმებს: მარიამ-ნი და მარიამ-ებ-ნი. „ქართულ ღრამმატიკაში“ მოყვანილია ამისთანა პარადიგმები:

წრფ. მარიამ მარიამნი
 ნათ. მარიამისა მარიამებისა
 მიც. მარიამს მარიამებს
 შემასმ. მარიამი მარიამნი
 დაწყ. მარიამისაგან მარიამებისაგან
 შოახ. მარიამმან მარიამებმან
 მოქმ. მარიამითა მარიამებითა
 წოდ. მარიამ მარიამნო ([2] 7).

როგორც პროფ. ელ. ბაბუნაშვილი შენიშნავს, გრამატიკოსი არ გამოჰყოფს ერთმანეთისაგან ებიანი და ნარ-თანიანი მრავლობითის ფორმებს. უფრო მეტიც, პირის საკუთარი სახელის ბრუნვის ერთ ფორმაში ერთდროულად გვთავაზობს მრავლობითის ებიან და ნარ-თანიან ვარიანტს, ან ნარიან და თანიან სახეს.

წრფ. მარიამნი
 ნათ. მარიამებისა||მარიამთანი
 მიც. მარიამებთა||მარიამებთ
 შემ. მარიამებნი||მარიამნი
 დაწ. მარიამთაგან
 შოახ. მარიამებმან
 მოქმ. მარიამებითა
 წოდ. მარიამნო*

რით უნდა აიხსნას სახელის ერთ ფორმაში ორი სხვადასხვა სახის მრავლობითობის ნიშნის ხამრება? სავარაუდოა, რომ ანტონმა ერთ-ერთი მათგანი, კერძოდ, ორმაგი ნიშნის პირველი ნაწილი ებ (ებთ, ებნ) და თა (თან) - ძალადაკარგულად მიიჩნია მრავლობითობის ჩვენებისათვის.

* ვეყრდნობი ელ. ბაბუნაშვილის მონოგრაფიას „ანტონ I და ქართული გრამატიკის საკითხები“, თბ., 1970, გვ. 106, სადაც დამოუკმე-ბულია აღნიშნული პარადიგმები ანტონის „ქართული დრამატიკის“ სხვადასხვა რედაქციებიდან.

რამდენად დამაჯერებელია ანტონის მსჯელობა? რას ეყრდნობა იგი? შეიძლება ღაცვეშეაი, რომ საკუთარ სახელს საერთოდ აქვს მრავლობითი რიცხვი? რას გვეუბნება ძველი ქართულის რეალური ვითარება, რომლის უკოდინარობას ანტონს, ცხადია, ვერ დავსწამებთ.

უწინარეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ანტონის მსჯელობა აქ არათანმიმდევრულია. არ ეყრდნობა და არ ასახავს ენის არც სინქრონულსა და არც დიაქრონიულ ვითარებას. ძველი ქართულის მასალა, რასაც მკვლევარი კარგად იცნობს, ამისთანა შეხედულების საფუძველს თითქმის არ იძლევა. ერთეული და ცალკე საკითხთან დაკავშირებით გამოთქმული აზრი, ან გნებავთ, დამოწმება რამდენიმე მაგალითისა, რასაც შეიძლება კაცი მართლაც შეხვდეს ძველი ქართულის ძეგლებში, სურათს ვერ შეცვლის. საინტერესოა პროფ. ზ. სარჯველაძის მიერ დასახელებული ფაქტი. იგი აღნიშნავს, რომ XII ს-ის A-52 ხელნაწერში მოიპოვება საკუთარი სახელის ფორმა - მ ა რ ი ა მ ნ ი [3]. სალიტერატურო ენის ძეგლებში, ვიმეორებთ, ამისთანა მაგალითები შეიძლება მართლაც ვიპოვოთ, მაგრამ ამ იშვიათ გამოჩენას ენის ნორმად ვერ მივიჩნევთ. „ცალკეულ მწერალთა ინდივიდუალური ენობრივი თავისებურებანი, როცა ისინი მკვეთრად უპირისპირდებიან ენის ნორმებს, ვერავითარ ზეგავლენას ვერ ახდენენ ენის განვითარების ტენდენციებზე“, - სამართლიანად ამბობს პროფ. ზ. სარჯველაძე აღნიშნულ მოხსენებაში.

ანტონის დებულებათა ტრადიციამ გზა გაიკვლია გაიოზ რექტორის, სოლომონ დოდაშვილისა და სხვათა გრამატიკულ შრომებში.

გაიოზ რექტორის „ქართული ღრამმატიკის“ (1789 წ.) მეორეული საყრდენი ანტონის ნაშრომია. „გაიოზის გრამატიკა ძირითადად ანტონ კათალიკოსის „ქართულ ღრამმატიკას“ მისდევს და მისი გავლენით არის დაწერილი“, - მიუთითებს ე. ნიკოლაიშვილი ([4] 19). ეს არცაა გასაკვირველი. გაიოზი არსებითად ანტონის აპოლოგეტია.

ანტონის მსგავსად გაიოზი თვლიდა: „არსებითი სახელი განიყო-

ფების სამად: საზოგადოდ, სათვთოდ ანუ კერძობითად და შემკრებელობითად“ ([4] 52). ტერმინი სათვთო ანუ კერძობითი ავტორს გამოყენებული ჰქონდა საკუთარი სახელის აღსანიშნავად და აზუსტებდა: „სათვთო ანუ კერძობითი სახელი იგი არს, რომელიცა დაჰნიშნავს პირსა, ანუ ნივთსა სათვთოდ განრჩევით; მაგალ. პეტრე, პავლე, ვარდი, მარგარიტი და სხუანი“ ([4] 52). მოცემული განსაზღვრებიდან ჩანს, რომ ავტორს ვარდი, მარგარიტი სათვთო ანუ კერძობით სახელებთან აქვს გაიგივებული. ანტონისავე მსგავსად ბრუნების პარადიგმებში გაიოზს ჩართული აქვს საკუთარ სახელთა მრავლობითი რიცხვის ხელოვნური ფორმები.

- წრფ. მარიამნი
- ნათ. მარიამებისა
- მიც. მარიამებს
- შემასმ. მარიამნი
- დაწყ. მარიამებისაგან
- მოთხ. მარიამებთან
- მოქმ. მარიამებითა
- წოდ. მარიამნო ([4] 58).

ამისთანა პარადიგმებს ავტორი ურთავს „სხოლიოს“, რომელშიც მოტივირებულია საკუთარი სახელის მრავლობითობის წარმოება. „ყოველი სათვთონი სახელნი... იბრუნვან უკრე ოდენ მხოლობითსა შინა ბრუნვასა და იძულებით მრავლობითსა შინა, და უშეშრცა; მაგალ., ანტონი, ანტონნი, ანტონებნი, ანტონებისა, ანტონთანი, ანტონებს, ანტონო და სხუანი“ ([4] 60).

პარადიგმებში გაიოზი იმოწმებს სტრუქტურებს: ანტონნი, ანტონები, ირაკლი, ირაკლები და მისთა., მაგრამ ეს ხელოვნური ფორმები არ არის დადასტურებული ტექსტებში. სინტაქსის ნაწილში არ გვხვდება წყვილები: ანტონნი ბრძანებენ, ანტონები მოვიდნენ, ირაკლი მეფობენ... ამისთანა წყვილების დაუსახელებლობა მოწმობს იმას,

რომ ისინი არ იხმარებოდნენ. ამიტომ ვაძვლით, რომ გაიოზის გრამატიკაში საკუთარ სახელთა მრავლობითობის წარმოების ამისთანა პარადიგმები გადმოსულია ენის არა რეალური არსენალიდან, არამედ ანტონის ნაშრომიდან, ხოლო დებულება მეცნიერულად არც ერთ ნაშრომშია არგუმენტირებული და არც მეორეში. შესაბამისი ტექსტობრივი მოწმობანი ძველი ან საშუალო ქართლის ძეგლებიდან მოშველიებული არ არის, რაც დებულებას დამაჯერებლობას უკარგავს. ამ გრამატიკაშიც ვხვდებით საკუთარი სახელის მრავლობითობის ორსუფიქსოვან წარმოებას - ანტონებნი.

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას იოანე ქართველიშვილის გრამატიკაზეც. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, იოანე ქართველიშვილი ანტონის მიმდევარი იყო. მან „თავის გრამატიკაში, - წერს ალ. ფოცხიშვილი; - შეძლებისდაგვარად გადმოიტანა ანტონისა და გაიოზის გრამატიკების დადებითი დებულებების თითქმის უმეტესი ნაწილი“ ([5] 275).

ამ გრამატიკაში მარიამ საკუთარი სახელის ამისთანა პარადიგმები გვხვდება:

წრფ.	მარიამ	-მნი,	-ები
ნაბ.	მარიამისა	-მთა,	-ებისა
მიც.	მარიამსა	-მთა,	-ებისა
შემასმ.	მარიამი	-მნი,	-ები
დაწყ.	მარიამისგან	-მთაგან	-ებისაგან
მოთხ.	მარიამმან	-მთა,	-ებმან
მოქმ.	მარიამისმიერ	-მთამიერ	-ებიითა
წოდ.	მარიამ	-მნო	-ებო ([6] 20).

პარადიგმებში მოცემულია როგორც ებიანი, ისე ნარიანი და თანიანი მრავლობითის მაწარმოებლები, მაგრამ, ანტონისა და გაიოზის მსგავსად, გრამატიკოსს ბრუნვისა და რიცხვის ნიშნები ერთმანეთისაგან არა აქვს გამოიჯნული. იოანე ქართველიშვილი, - აღნიშნავს

აღ. ფოცხიშვილი, - პირველი გრამატიკოსია, რომელმაც ერთიმეორის პარალელურად მოგვცა მრავლობითი რიცხვის ნართანიანი და ებიანი სახეობა“ ([5] 282).

ანტონისეული შეხედულებები საკუთარ სახელთა ბრუნებაზე გადმო-
ეცა XIX ს-ის პირველი ნახევრის გრამატიკულ ლიტერატურასაც და
ნაწილობრივ მათ გზა გაიკვლიეს გვიანდელი დროის გრამატიკოსთა
ნაწრომებშიაც.

XIX ს-ის პირველ ნახევარში ანტონის სკოლის პრინციპების ერთ-
ერთი ერთგული დამცემელი იყო ს. დოდაშვილი, რომელმაც მნიშვნელოვ-
ნად წასწია წინ ქართული ენის გრამატიკული წყობის შესწავლა. „არ-
სებითი სახელი, - მიუთითებს ავტორი, - განიყოფების სამად: საკუთ-
რებითად, საზოგადოდ და შემკრებელობითად“ ([7] 4). ეს ანტონის
დებულების პერიფრაზია. თვით ამ ძირითადი ცნებების დეფინიციებიც
ანტონისეულია. „საკუთრებითი არსებითი სახელი არს იგი, რომელიცა
დანიშნავს ერთსა განუკვეთელსა ანუ განუჭრელსა საგანსა; მაგალ.,
პეტრე, ევფრატ, როსსია, კავკასია და სხუანი“ ([7] 4-5).

ამასთან ავტორს საკუთარი სახელის ბრუნება განხილული აქვს არა
ცალკე, არამედ სახელთა კანკლედობის საერთო პროცესთან ერთად. სახე-
ლთა კლასის შინაგანი დიფერენციაცია კანკლედობისას არა ჩანს: სა-
ხელი არის სახელი და მისი სტრუქტურა ერთი და მთლიანია, ამიტომ
ს. დოდაშვილის აზრით, საკუთარ სახელთა მრავლობითი რიცხვი არსე-
ბით სახელთა სხვა კლასების შესატყვისად იწარმოება. მის მიერ მო-
ცემულ პარადიგმებში აგონიმები დასახელებულია მრავლობითი რიცხ-
ვის ფორმებით:

წ. მარიამნი	-ები	ანნანი	-ები
ნ. მარიათა	-ებისა	ანნათა	-ებისა
მ. მარიათა	-ებსა	ანნათა	-ებსა
შ. მარიამნი	-ები	ანნანი	-ები
დ. მარიათაგან	-ებისაგან	ანნათაგან	-ებისაგან

მ. მარიამთა	-ებმან	ანნათა	-ებმან
მ. მარიამთამიერ	-ებითა	ანნითამიერ	-ებითა
წ. მარიამნო	-ებო	ანნანო!	-ებო

([7] 9-10).

ასეცვა ნაბრუნები: ანტონ, აბო და მისთ. ამას არ ემოწმება ენობრივი ტრადიცია.

პლ. იოსელიანი აგრძელებს მის თანამედროვე გრამატიკოსთა ტრადიციას. მაგრამ გვაწვდის სიახლესაც. კერძოდ, აღარ ხმარობს წრფელობითს, შემასმენლობითსა და დაწყებით ბრუნვებს. საკუთარი სახელის იოსელიანისეული განსაზღვრება პერიფრაზია ს. დოდაშვილის მსჯელობისა. ამ უკანასკნელში კი, თავის მხრივ, ანტონისეულ ლეფონიციას ეხედავთ. პლ. იოსელიანი მიუთითებს: „საკუთრებითი სახელი არს იგი, რომელიცა ერთსა მხოლოდ პირსა, ანუ ნივთსა ეშესაბამების. მაგ., კონსტანტინე, მცხეთა, მტკვარი და სხვ.“([8] 8).

გრამატიკოსის აზრით, ადამ საკუთარი სახელი ასე იბრუნვის:

სახ.	ადამ	ადამნი	ები
ნათ.	ადამისა	ადამთა:	ებისა, ებთა
მიც.	ადამსა	ადამთა,	ებსა, ებთა
მოთხ.	ადამმან	ადამთა,	ებმან, ებთა
მოქმ.	ადამთა	ადამთა მიერ,	ებითა, ებთა მიერ
წოდ.	ადამ!	ადამნო!	ებო! ებნო:

მსგავსი ბრუნების სიტყვებადაა მიჩნეული: აბრაჰამ, დავით, ქართლოს, ფარნავაზ, ფარსმან და სხვა „უხმოთა ასოთა ზედა დაბოლოებულნი“ ([8] 20). სქოლიოში მიითითებულია ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელების ბრუნების შესახებაც „სათუთონი სახელნი, დაბოლოებულნი მათვე ასოთა ზედა (ე.ი. ა და თ) არა ისპობენ თუსთა დამაბოლოებელთა ასოთა, არცა ერთსა შინა ბრუნებასა ორთავე რიცხვთა, მაგ. ისაია - იასი; ალექსანდრე-ესი და სხვ.“ ([8] 21).

რაც შეეხება საკუთარ სახელთა მრავლობითობას, პლ. იოსელიანი

მიჰყვება, ერთი მხრივ, ი. ქართველიშვილს და პარადელურად იმოწმებს ებიანი და ნარ-თანიანი მრავლობითის ფორმებს, ხოლო, მეორე მხრივ, ორივე სახელობის მრავლობითი ერთ ფორმაში აქვს მოცემული. ერთი სიტყვით, პლ. იოსელიანს საკუთარი სახელის მრავლობითი რიცხვის სამი შემთხვევა აქვს აღნიშნული:

1. ნარ-თანიანი: ადამნი, ადამთა...
2. ებიანი : ადამები, ადამებისა...
3. შერეული სახისა: ადამებთა, ადამებნო...

ავტორი სათითაოდ ახასიათებს საკუთარ სახელთა როგორც მხოლობითი, ისე მრავლობითი რიცხვის ფორმებს.

შერეული მრავლობითის ფორმებს ანტონის შრომაშიც ვხვდებით ([9] 106-107). მაგრამ პლ. იოსელიანთან ეს სისტემის სახითაა მოცემული. აქ მკვეთრადაა გამოჩნული ნარ-თანიანი, ებ-იანი და შერეული მრავლობითი, ანტონი კი მათ არ მიჯნავს: ერთი საკუთარი სახელის ბრუნების სხვადასხვა პარადიგმებში იმოწმებს სხვადასხვა სახის მრავლობითობის მაწარმოებელს. მაგ., ნათესაობითი ბრუნვის მრავლობით რიცხვში მარიამ საკუთარი სახელი ასეთი ფორმითაა წარმოდგენილი: მარიამებისა||მარიამთანი, მიცემითში კი: მარიამებთა||მარიამებთ, ე.ი. ერთ შემთხვევაში გვაქვს ებ-იანი, მეორეში - შერეული მრავლობითი. მაგრამ ამჯერად ეს კი არ არის არსებითი, არამედ ის, რომ პლ. იოსელიანის საკუთარ სახელთა ბრუნების პარადიგმებში კვლავ ვხვდებით ანტონისეულ ხელოვნურ ფორმებს. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას მრავლობითი რიცხვის შესახებ.

როგორც ცხედავთ, ანტონი და მისი სკოლის ზემოთ ჩამოთვლილი გრამატიკოსები საკუთარი სახელის სტრუქტურის გაგებაში ვერ გასცდნენ ერთგვარ ზღუდეს, მიღებული დასკვნები არ არის გამაგრებული მასალებით. უგულებელყოფილია ენობრივი ტექსტები და მათი ჩვენება.

ბ ა ვ ლ ე ნ ი, ცხადია, საკუთარი სახელის მრავლობითი ფორმაა სტრუქტურულად, მაგრამ იგი პავლეს, როგორც ანდროპონიმს, სრულიად

არ გულისხმობს. არც ღ ი პ ა რ ი ტ ე თ ი ს ა და მისი ტიპის მაგალითების მოშველიება დაგვეხმარება. ღ ი პ ა რ ი ტ ე თ ი, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, შემკრებლობითი სიტყვაა და გულისხმობს გვარის (ვთქვათ, ლიპარიტიშვილი) განშტოების მრავლობას. ეს სპეციალური საკითხი ცალკეა შესწავლილი (მხედველობაში გვაქვს კ. კეკელიძის, ვ. ლახლას, ი. იმნაიშვილის, ალ. ჯიშიაშვილის, ალ. ლონტისა და სხვათა ნაშრომები).

ორიოდე სიტყვით ყურადღება უნდა შევამჩნიოთ საკუთარ სახელთან ემფატიკური ა-ს ხმარებაზე.

აკაკი შანიძის „ძველი ქართული ენის გრამატიკაში“ ცკითხულობა: საკუთარ სახელებს „სავერცობი ა არ დაერთვის მიცემითში, ნათესაობისა და მოქმედებითში“ ([I0] 41). პროფ. ივ. იმნაიშვილის დაკვირვებითაც, V-X სს ძეგლებში ადამიანთა საკუთარი სახელები იშითაც უანსხვადებთან საზოგადო სახელებისაგან, რომ ისინი არ დაირთავენ ემფატიკურ ა-ს, რომელიც, როგორც ცნობილია, ნაწევრად გამოყენებული ნაცვალსახელის ნაშთია, შეზრდილი ბრუნვის ფორმასთან. თუ რატომ არ დაირთავენ საკუთარი სახელები ემფატიკურ ა-ს, ამაზე მკვლევარი უპასუხებს: „ადამიანის სახელებს არ სჭირდებოდა ნაწევარი და არც მისგან გამომდინარე ა გააჩნიათ მათ“. იმავე ნაშრომში ავტორი შენიშნავს: „რაკი ძველსავე ქართულში დაიწყო ადამიანთა სახელების საზოგადო სახელებთან გათანაბრება, ეს პროცესი ემფატიკურხმოვნთან ბრუნვებსაც შეეხო, პირველ რიგში მიცემითს“ ([II] 373-374). „გათანაბრებას ადგილი აქვს ნათესაობითშიც“, მაგრამ ავტორი იქვე მიუთითებს, რომ „საკუთარი სახელების საზოგადო სახელებთან გათანაბრების შემთხვევები ნათესაობითს ბრუნვაში ნაკლებადაა დადასტურებული“ ([II] 375).

საგულისხმოა, რომ ანტონისა და გაიოზის გრამატიკებში მოცემულ საკუთარ სახელთა ბრუნებისას მიცემითში ემფატიკური ა არა ჩანს;

• ძირითადად ვეყრდნობი ანტონ პირველისა და გაიოზ რექტორის „გრამატიკების“ დასახელებულ ბეჭდურ გამოცემებს.

თუ გამოჩნდება, მათი ხმარება შერყევია, ნათესაობისა და მოქმედებით ბრუნვებში კი - გვხვდება. გაიოზის გრამატიკაში ცალკე წარმოდგენილ ბრუნვის ნიშნებში მიცემითის ნიშნად დასახელებულია „სა ანუ სა,“ მაგრამ კანკლედობისას ამავე ბრუნვაში მოცემულ სახელებს (როგორც საზოგადოს, ისე საკუთარს) ემფატიკური ა არ დაერთვის ([4] 58-59). ე.ი. თეორიულად ემფატიკური ა ივარაუდება, მაგრამ პრაქტიკულად, სახელთა კანკლედობისას არ ჩანს.

მიცემითში საგრცობი ა არ გვხვდება აგრეთვე ანტონის გრამატიკის ბეჭდურ გამოცემაში, არც ელ. ბაბუნაშვილის მიერ ანტონის გრამატიკის მეორე რედაქციიდან დამოწმებულ ბრუნების პარადიგმებში? ეს გარემოება იმიტაც შეიძლება აიხსნას, რომ მიცემით ბრუნვაში ემფატიკურ ა-ს ხსენებული ავტორების გრამატიკებში ვერც საზოგადო სახელებთან ვხვდებით. საკუთარ სახელებთან ემფატიკური ხმოვანი მიცემით ბრუნვაში დაცულია ი. ქართველიშვილის, ს. დოდაშვილის, პლ. იოსელიანის ნაშრომებში.

აღრინდელი ქართული გრამატიკული ლიტერატურა ანტონის დოგმებთან ერთად მეტნაკლებად შებოჭილი იყო რუსული გრამატიკის გავლენით და ამიტომ ქართული სახელისა და ზმნის, მათ შორის საკუთარი სახელის, სტრუქტურისა და სემანტიკის სპეციფიკა გვიჩვენა არა იმ მეცნიერული სიღრმით, რასაც საქმის ვითარება მოითხოვდა. ამ ლიტერატურაში საკუთარ სახელთა შესახებ გამეორებულია მხოლოდ ის, რაც საერთოდ გრამატიკაში მოიპოვებოდა, ხოლო ქართული საკუთარი სახელის სიღრმისეული ნიშან-თვისებები ზედაპირულად, არასრულყოფილად იქნა გადვალისწინებული.

ლომონოსოვი საკუთარ სახელებს აყენებდა იმ საზოგადო სახელთა გვერდით, რომელთაც საგნობრიობა ახასიათებს. გრამატიკოსი სახელთა

• გამოწვევისა ანტონის გრამატიკის პირველი რედაქცია, საიდანაც ელ. ბაბუნაშვილს დამოწმებული აქვს მიცემითი ბრუნვის მრავლობითი პარადიგმურად ორი ფორმა: მარიამებთა||მარიამებთ.

ერთობლიობიდან გამოყოფდა გვარებსა და სახეებს. ზოგჯერ კი გვარსა და სახეს აერთიანებდა. მაგ., მისი აზრით, ადამიანი გამოხატავს გვარს, ხოლო მეომარი, მოსამართლე, გლეხი - სახეებია, რომლებსაც იმავე დროს ზოგჯერ გვარის გაგებაც აქვთ. მოსამართლე, მაგალითად, კაცის მსჯელობაში არის სახე, მაგრამ იაკობის, თევდორეს, ივანეს მსჯელობაში - გვარია. რამეთუ მოსამართლედ შეიძლება იყვნენ ივანე, იაკობი, თევდორე, რომლებიც არიან სახეები. ამისთანა სახეს ლომონოსოვი საკუთარ სახელს ეძახდა ([I2] 409). სხვა ინფორმაცია საკუთარ სახელთა შინაგანი სტრუქტურისა და სემანტიკის შესახებ ლომონოსოვის გრამატიკაში არა გვაქვს. ლომონოსოვი ამოდის იმ კრიტერიუმებიდან, რომლებიც ანტიკურმა ეპოქამ შეიმუშავა და პირველ გრამატიკულ მოძღვრებაში პოვა ახახვა. დონისე თრაკიელის ერთ სქოლიოში სახელი მნიშვნელობის მიხედვით იყოფა საკუთარად და საზოგადოდ. საზოგადოა, მაგალითად, ადამიანი, კერძოდ - სოკრატი ([I3] 118).

შეხედულებები, რომლებიც შეიმუშავეს ალექსანდრიის გრამატიკოსებმა, ასაზრდოებდნენ შუა და ახალი საუკუნეების ეპოქას. ერთი საერთო წყაროთი იკვებებოდა ქართული გრამატიკა ანტონიდან მოყოლებული და რუსული გრამატიკა ლომონოსოვიდან მოყოლებული.

ჯერ კიდევ ანტონის გრამატიკაში, რომელიც მისი რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ დაიწერა, იგაჩნობა რუსული გრამატიკის გავლენა, რასაც თვით ავტორიც აღნიშნავს თავისი ნაშრომის წინასიტყვაობაში.

გ. ფირალიშვილი, მაგალითად, ანტონის დოკუმებთან ერთად განიხიდა იმ პერიოდის რუსული სასკოლო გრამატიკის გავლენას. იგი არსებითად ამის იქით არ წასულა. იგი წერს: „სახელი არსებითი განიყოფების საკუთრებითად ანუ კერძობითად, განუკუთმეოდელ და შემკრებლობითად“, ამას მოჰყვება აქ დასახელებული თითოეული ცნობის მოკლე დეფინიციები: „სახელი საკუთრებითი არს იგი, რომელიცა ერასა ოდენ პირსა, ანუ ერასა ოდენ ნივთსა ეკუთვნის. მაგალ., მოსა,

ალექსანდრე, ირაკლი, მოსკოვი, ტფილისი, მტკვარი და მეზრ. სხვა-
ნი" ([14] 32). აქ დასმულია წერტილი. საკუთარ სახელთა შესახებ
მეტი აღარაფერია ნათქვამი. გვერდი აქვს ავლილი საკუთარ სახელთა
ბრუნებასაც.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ქართველი გრამატიკოსებისა-
თვის ამოსავალი სამი წყარო იყო: 1. ადგილობრივი ტრადიცია, 2. ან-
ტიკური ხანის ბერძენ გრამატიკოსთა შეხედულებანი, 3. რუსული გრა-
მატიკის მიღწევები.

როგორც შევნიშნეთ, ზოგადი მოძღვრება საკუთარ სახელებზე ძველ
გრამატიკებში არ შემუშავებულა, გვექონდა მხოლოდ ცდები საკუთარი
სახელის მორფოლოგიური კრიტერიუმების მიხედვით ახსნისა და არა
ზოგადი მოძღვრება მის შესახებ.

ანტონის დებულებათა ტრადიციამ გზა გაიკვლია არა მარტო მისი
სკოლის წარმომადგენელთა ნაშრომებში, რაც, ცხადია, ბუნებრივი და
მოსალოდნელიც იყო, არამედ ამ დებულების მოწინააღმდეგეთა შრომებში-
აც აირეკლა, რაც მოულოდნელი იყო. ამ გარემოებას ძველნათელიც მოწ-
მობენ, ერთი მხრივ, ზემოთ განხილული ავტორების - გაიოზ რექტორის,
სოლომონ დოდაშვილის და სხვათა, მეორე მხრივ კი, დიმიტრი ყიფიანის
გრამატიკული შრომები.

დ. ყიფიანის „ახალი ქართული გრამატიკა“ (1882 წ.) არ მიჰყვებ-
ბა ანტონის ტრადიციას და ქართული ენის სტრუქტურულ სისტემას ახა-
ლი თვალსაზრისით აშუქებს, მაგრამ ანტონის შეხედულებანი XIX ს-ში
იმდენად ძლიერად იყო ფეხმოკიდებული და დამკვიდრებული, რომ მათ
გავეენას მთლიანად ვერც დ. ყიფიანი ასცდა. ანტონის თავისებური
რევიზიონისტი ზოგ რამეში მისი წმინდა ორთოდოქსიც კი გახდა. ეს
განსაკუთრებით საკუთარ სახელთა ბრუნების ყიფიანისეულ გადმოცემაზე
უნდა ითქვას. ტერმინის შინაარსი ავტორს ტრადიციულად ესმის. „სა-
ხელი არსებითი, - ამბობს დ. ყიფიანი, - მაშინ არის საკუთრებითი
ანუ კერძობითი, როდესაც მარტო იმასა ჰქვია, ციხედაც ან რაზედაც

არის ლაპარაკი ჩამოგდებული: ივანე, პეტრე, ანდრია... ანნა, მარტა, მარიამ... ტფილისი, ქუთაისი, ბათომი, მტკვარი, რიონი, ჭოროხი; ყაზბეგი, იაღბუზი, კავკასია“ ([15] 16). ავტორი ეყრდნობა საკუთარი სახელის არსის იმხანად საყოველთაოდ გავრცელებულ გაგებას და მართებულად ახასიათებს მის რაობას. ეს გაგება ზოგადია და დღესაც ძალაშია. მისგან ზორს არსებითად არც თანამედროვე გრამატიკა წასულა. საკუთარი სახელის არსი თითქმის ანალოგიურად აქვს განმარტებული ისეთ დიდ გრამატიკოსსაც, როგორც ა. შანიძეა, ოღონდ დაკონკრეტებულად: „საკუთარია ისეთი სახელი, რომელიც ჰქვია ერთ რომელსამე საგანს: ქვეყანას ან კუთხეს, სოფელს ან ქალაქს, მთას, ადგილს, მდინარეს, ტბას და სხვ., საქართველო, მოსკოვი, ტაბახმელა (სოფლებია თბილისის ახლოს), ბორბალა (მთაა ალაზნისა და არაგვის სათავეში), მტკვარი და სხვ. საკუთარ სახელებად ითვლება აგრეთვე ადამიანთა სახელები (შოთა, იოსებ, ლავრენტი, რუსუდანი, თინათინი, მაიკო) და გვარებიც (ჭავჭავაძე, წერეთელი, ლომოური, შვეციკო, ბუშკინი, შექსპირი და სხვ.)“ ([16] 38).

გაკვირვებას იწვევს დ. ყიფიანის მიერ ანტონის თვალსაზრისის გამეორება საკუთარ სახელთა მრავლობითის წარმოების საკითხში. ყოველგვარი შენიშვნის მოტივირებისა და ტექსტობრივი მოწმობის გარეშე ავტორი ამბობს: „საკუთრებითი სახელი, მარტივად თქმული შეიძლება მრავლობითშიაც დაბრუნდეს: მარიამ, მარიამები, თამარ, თამარები“ ([15] 25).

პარადიგმებში ავტორს ჩართული აქვს ამისთანა მაგალითები:

სახ. ანტონები ანტონნი

ნათ. ანტონებისა ანტონთა

მიც. ანტონებსა ანტონთა

მოთხ. ანტონებმა ანტონთა ([15] 31).

ამავე დროს ავტორი გვაფრთხილებს: თუ სხვა სახელიც დაჰყვა ღირსებისა, ვითარებისა და წოდების გამომხატველი, მაშინ მრავლობითად

დაბრუნება აღარ შეიძლება: მარიამ დედოფალი; თამარ-მეფე, ზურაბ-სარდალი; პავლე-მოციქული“ ([15] 25). შესაბამისი მაგალითების დამოწმებისას ტექსტები მოშველიებული არაა.

დ. ყიფიანი, თავისი დროის უეჭველად დაკვირვებული გრამატიკოსი, რომელიც ეძიებდა მეცნიერებაში ახალ გზებს, საკუთარ სახელთა ბრუნების საკითხში ვერ გასცდა ანტონის ტრადიციას და დაშორდა ახალი ქართლის ნორმებს.

საკუთარ სახელთა მერყეობისას (ე.ი. ბრუნებისას) დ. ყიფიანი ერთმანეთს უპირისპირებს სასაუბრო და სამწიგნობრო კილოს. დაპირისპირება აშკარაა მოთხრობით ბრუნვაში:

სასაუბრო კილო	სამწიგნობრო კილო
მოთხრ. ანტონმა	ანტონმან

როგორც ჩანს, საკუთარი სახელის სტრუქტურის გაგების საკითხში ვერც ანტონი და მისი სკოლა, ვერც ამ სკოლის რევიზიონისტები (ყოველ შემთხვევაში XIX ს. ბევრი გრამატიკოსი) ვერ გასცდნენ ხელოვნურად შექმნილ ზღვებს. მიღებული დასკვნები არაა განმტკიცებული მასალით. ქართულ მასალაზე არ შემუშავებულა განსხვავებული კონცეფცია.

XIX ს-ის II ნახევრის გრამატიკოსთაგან ჩვენს პრობლემასთან დაკავშირებით ცალკე უნდა გამოვყოთ დ. ჩუბინაშვილი, თ. უორდანიას და პ. კვიციანიძე.

დ. ჩუბინაშვილმა პირველად მოგვცა სახელთა სემანტიკური სტრუქტურის მეცნიერული კლასიფიკაცია და დიდი წვლილი შეიტანა პრობლემის პოზიტიურად გაშუქებაში. თავის „ქართულ დრამმატიკაში“, რომელიც შესავლის სახით ერთვის 1887 წელს გამოცემულ „ქართულ-რუსულ ლექსიკონს“ (გვ. I-XL); იგი წერს: „არსებითი სახელი, უფალი ჰაზრისა წინადადებაში ან ძიება მდინარა დაწიშნივს; ა. საკუთარ სახელთა, რომელიც ქრებოდა ან მთავალი, პეტრე, ივანე, როსტომ; უსულონი: მთაკოვი, ტყალისი, ქუთაისი, მტკვარი, არაგვი, რიონი;

ბ. საზოგადო სახელთა სულიერთა: კაცი, ძალი, მეღა; უსულოთა: წყალი, ღვინო, მიწა, ბალი, ცა; გ. გონებაში წარმოდგენილთა: ღმერთი, ანგელოზი; სული, ნიჭი; დ. ნივთთა: ყუთი, დანა, ჩექმა; ე. გრძნობით ცნობილთა: სიცივე, სინათლე, ძალი, ღონე, სითეთრე; ვ. მოქმედებათა: კითხვა, ზიდვა, წერა; ზ. მდგომარეობათა: ჯღომა, ყოფა, წყდომა, ტირილი; თ. შემკრებლობითთა: ხილნარი, ქვიშნარი, ბალნარი, ხეხილი“. ([17] VI).

მკაცრად და დეფინიცირებული რვავე სემანტიკური რკალი. დაძლეულია ანტონის დოგმები. დ. ჩუბინაშვილი მოკლედ იხილავს საკუთარ სახელთა სტრუქტურის თავისებურებებს, ხაზგასმით აღნიშნავს: „ქაკუთარნი სახელნი არ იხმარებიან მრავლობის რიცხვში“ ([17] VII). რაც შეეხება გვარსახელებს, ამათი მრავლობითი რიცხვის წარმოების გამო მართებულად მიუთითებს: „გვაროვნობითნი სახელნი, დაბოლოვებულინი ნნი-ზედა, მაგალ., სარდლიანნი, ბარათიანნი, ჰკანკელდობენ მხოლოდ მრავლობის რიცხვშია. ნათეს. სარდლიანთი, ბარათიანთი; მიცემ. სარდლიანთა, ბარათიანთა; წოდ. სარდლიანნო, ბარათიანნო; სადაობ. სარდლიანთსა, ბარათიანთსა. აგრეთვე ჰბრუნვენ: ჩვენებია-ნი, თქვენებია-ნი და რთულნი: იოსებ მღვივნიანი, ზატარია დეკან-ზნი-ანი, სარდალ სალთ-ხუციანი, გედეონიანი. სახელთა საღმთო წერილის წიგნთა, დაბოლოვებულთა ნი-ზედა აქვთ მხოლობ. და მრავლობითნი რიცხვნი. მაგალ. დავითნი, მარხვანი, თთენი, ნათ. დავითნისა, მიცემ. დავითნსა; მოქმ. დავითნითა; განვ. დავითნად; მრავლ. დავითნნი, ნათ. და მიცემ. დავითნთა; აგრეთვე დავითნები, დავითნებისა და სხვ.“ ([17] VIII).

დ. ჩუბინაშვილის შეხედულებები ძველ წყაროებს ეყრდნობოდა. კერძოდ, ჩვენ მიერ მოყვანილი ამონაწერი პერიფრაზია ნ. ჩუბინაშვილის მსჯელობისა, რომელიც დაწერილია დ. ჩუბინაშვილის ნაშრომის გამოქვეყნებამდის 70 წლით ადრე, ოღონდ პირველად 1961 წელსაა დაბეჭდილი. „სახელნი გჳაროვნობითნი, - ამბობდა ნ. ჩუბინაშვილი, - ანუ სახლელობითნი იბრუნვიან განთჳსებით და ნიადაგ არიან მრავ-

ლობინი. მაგალ. სარდლიანი, სარდლიანთი, სარდლიანთ, სარდლიანთსა, სარდლიანთით, სარდლიანო! ეგრეთვე საღვთოციანი, ბარათანი, გედონიანი, დეკანოზიანი და სხვ. კჳალად ნაცვალსახელთაგან: ჩვენებიანი, თქვენებიანი და სხვ. ანუ რთულნი: იოსებმდივნიანი, ზაქარიადეკანოზიანი, სარდალსაღვთოციანი. ეგრეთვე სახელნი საეკლესიოთა წიგნთანი იხმარებიან მრავლობითად: დავითნი, უამნი, ლოცვანი, თვენი... დავითნისა, დავითნითა; მრავლ.: დავითნები, დავითნებისა, დავითნებს, დავითნებითა * ([18] 110).

ნ. ჩუბინაშვილი საკუთარ სახელს, მართალია, არსებითი სახელის ერთ-ერთ სემანტიკურ რკალად მიიჩნევდა, მაგრამ მანც განაცალკევებდა არსებითი სახელის სხვა რკალებსაგან და დამოუკიდებლად განიხილავდა, თუმცა დამოუკიდებელ ლექსიკურ-სემანტიკურ ერთეულად არ გამოყოფდა განმარტებით ლექსიკონში, საბა კი პირიქით იტყევდა. საკუთარ სახელს საზოგადო სახელის ფარდ ლექსიკურ ერთეულად თვლიდა და მასთან ერთად იმწმებდა განმარტებით ლექსიკონში. ამდენად, ცხადია, ნ. ჩუბინაშვილის თვალსაზრისი წინ გადადგმული ნაბიჯია. „ქათონი სახელნი, ე. ი. კაცთა, ქალკათა, მდინარეთა და ადგილთანი, შეკრებულ და განმარტებულ არიან საკუთარსა შინა ლექსიკონსა ისტორიულსა და ლეორდაფიულსა, მაშა განმარტება მათი არა ეკუთვნის ქართულსა ლექსიკონსა, ამის გამოს სრულიად გამოხვებულ არიან იგინი ამის წიგნისაგან, ვითარ იგი: ადამ, ევა, ენუქ, ნოე, აბრამამ, სარრა, აბიმელიქ, მოსე, დანიელ, პეტრე, პავლე და სხვ. გინა: ბაბილოვანი, ბეთლემი, დამასკო, ეგვიპტე, დეირი, იერუსალიმი, იერიქონი, იორდანე, ნილო, მემფისი“ ([18] 120). ეს კონცეფცია ზოგადი ხასიათისაა და შემდეგ საფუძვლად დაედო არა მარტო დ. ჩუბინაშვილის ლექსიკოგრაფიულ შრომებს, არამედ ტრადიციულად დამკვიდრდა ქართულ ლექსიკოგრაფიაში. საკუთარ სახელებს ამჟამად ადგილი არ ეთმობა განმარტებით ლექსიკონებში, ისინი აღბეჭდილნი არიან სპეციალური დანიშნულების საკუთარ სახელთა (ანონიმონითა და ტოპონიმთა) სიტყვ-

ვარებში.

სახელთა სემანტიკურ რკალებად განლაგება დ. ჩუბინაშვილის სქემის მიხედვით ვერ გავრცელდა. მას მიმდევარი არ გამოსჩენია. არ. ქუთათელაძის გრამატიკაში, რომელიც იმავე წლებშია გამოცემული, როდესაც დ. ჩუბინაშვილის დასახელებული ნაშრომი დაიბეჭდა, სხვა გზაა არჩეული. მისი აზრით, სუბსტანტივთა ფონდში გამოიყოფა არა 7 რკალი, როგორც ამას დ. ჩუბინაშვილი ფიქრობდა, არამედ მხოლოდ - სამი, ტრადიციული სქემის შესაბამისად: „ა. საკუთრებითი არსებითი სახელი, ბ. საზოგადო არსებითი სახელი, გ. შემკრებლობითი არსებითი სახელი“ ([19] 29). ჩენთაის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით კი გრამატიკოსი ამბობს: „საკუთრებითი არსებითი სახელი: არტაანი, გორი, მცხეთა და ტფილისი სძვეან მტკვარზედ, - ონი, ქუთაისი და ფოთი - რიონზედ. სიონი, ჯვარი-მამა, მეტეხი, ბეთლემი, მამადავითი და ანჩისხატი უძველეს ეკლესიებად ითვლებიან ტფილისში. ნარიყალა, შურის ციხე და მეტეხის ციხე არიან ტფილისში უძველესი ციხეები. ერეკლე იყო საქართველოს უკეთესი გმირი“ ([19] 29). „საკუთრებითი არსებითი სახელი გვიჩვენებს საგნის საკუთარ სახელს“ ([19] 29). ავტორი მსჯელობაში სიძუნწეს იჩენს, კმაყოფილდება მხოლოდ მაგალითების დასახელებით და ანალიზს არ გვაძლევს. პარადიგმებში ვგაჩვენებს, რომ საკუთარ სახელს მრავლობითის წარმოება არ ძალუძს ([19] 31).

ამავე ეპოქის მოღვაწეა პ. კვიციანიძე, რომელსაც, მართალია, ქართული ენის გრამატიკა არ შეუდგენია, მაგრამ თავის ცნობილ „ქართულ სწორმეტყველებაში“ საკუთარ სახელზე შეიმუშავა ფრიად საინტერესო, ახლებური, მეცნიერულად არგუმენტირებული შეხედულება. პ. კვიციანიძის აზრით, „არსებითი სახელები არიან სამგვარნი - ის სახელები, რომელნიც საზიარონი არიან რამდენისამე (ერთი გვარის ან ერთი სახის) საგნისათვის, იწოდებიან ზოგადად, მაგ., მთა, ქალაქი, ქვა, მცენარე, მუხა, სათნობა და სხვ.“ „ერთადერთ საგანს რომ ქვია,

ან კიდევ ადამიანის პირადობას რომ აღნიშნავს, ასეთი სახელი არსებითი იწოდების განკუთვნილია. ადამიანთ სახელები ყველა განკუთვნილი არიან, მაგ., შალვა, ფარნაოზი, ვახტანგი, ქეთევანი; ქვეყნის ნაწილები: ეგროპა, აფრიკა; სახელმწიფოები: საფრანგეთი, რუსეთი, საბერძნეთი; სხვადასხვა კაცთა სამკვიდრონი: საქართველო, მცხეთა, ინდოეთი; ქალაქის უბნები: სოლოლაკი, ორთაჭალა, ბალახვანი; მდინარენი და ტბები: ალაზანი, რიონი, გოგრის ტბა; ტყეები, მთები და ხეობანი, ველები: აჯამეთი, დიღომი, უღევი, მტკვრის ხეობა, რივის ხეობა, დარიელას ხევი“ ([20] 63) ნაშრომში გამოყოფილია კრებითი (II მკონობით) სახელებიც: ჯარი, ლაშქარი, ხალხი...

მთლიანად ეს მსჯელობა ავტორის თანამედროვე ზოგად ენათმეცნიერებაში საყოველთაოდ გავრცელებულ აზრს ეყრდნობა, მაგრამ პ. კვიციანიძე თავის შეხედულებებსაც გვიზიარებს. საინტერესოდ აშუქებს ის საკუთარი (II განკუთვნილი) სახელის წარმომავლობასა და საზოგადო სახელთა თანრიგში გადასვლის გზებს. თეორიულად საყურადღებოა პ. კვიციანიძის შემდეგი მოსაზრება: „ადამიანთ თავდაპირველს მდგომარეობაში თვით ზოგადნი სახელწოდებანიც განკუთვნილი ყოფილან და მათით აღინიშნებოდა თურმე ცალ-ცალკე მოკიდებითი საგნები. ბოლოს და ბოლოს რამდენადაც ადამიანის გონება წარმატებაში შესულა, იმდენად თანდათან სათვითათო სახელები განზოგადებულან და მთელს გვარსა და ჯგუფზე გავრცელებულან. ზოგადი ცნებების შესათვისებლად ხომ უფრო გაშლილი გონებაა საჭირო, ვინემ სათვითათოთა და კერძოთათვის“ ([20] 64) საკუთარი სახელის ამისთანა აბსტრაქცია და ოპოზიცია სახელთან, თანაც უკუპროცესის თეორიულად დაშვება, ე. ი. საზოგადო სახელის მიჩნევა თავდაპირველი საკუთარი სახელის პროდუქტად ადამიანის აზროვნების განვითარების გარკვეულ საფეხურზე მართლაც შეიძლება წარმოვიდგინოთ და ამის ახსნა ენის ფაქტებით მნიშვნელოვნად წაწვედა წინ საკუთარ სახელთა თეორიას, მაგრამ ამ აზრმა შემდეგდროინდელ გრამატიკულ ლიტერატურაში ფეხი ვერ მოიკიდა, თუმცა თავისი თეზი-

სის არგუმენტად პ. კვიციანიძემ ერთობ საინტერესო ფაქტები დაასახელა. „ამითვე აიხსნება ის გარემოებაცა, - მიუთითებს შემდეგ პ. კვიციანიძე, - ა) რომ ჩვილს ყრმას კერპო სახელი მთელს გვარზე გადააქვს. მან იცის, ვთქოთ, ერთის მდინარის სახელი, რომელსაც როინი ქვია, იგივე ყმარწვილი რო მტკვარზე გინა ალაზანზე მიიყვანო, მათაც როინს დაარქმევს: როინი აქაც ყოფილაო; ბ) დაბოო ხალხს, რომელიც, რასაკურველია, ერთ რიგათ უახლოედების თავდაპირველდელს ადამიანდ კრებას, ზოგადი სახელწოდება განკუთნიდად ჭურემებია და ამბობს: „ქალაქი“ (ე.ი. თფილისია, თუმცა დღეს იცის, რომ ქალაქია ქუთაისიც და გორიც), „მტკვარი“ (ზოგადი სახელია ყოვლის მტკნარათ, თქორვით, მიმდინარე წყლის ამრაკისა)“ ([20] 64).

მეორე მხრივ ყურადღებას იპყრობს პ. კვიციანიძის შეხედულება იმის შესახებ, რომ საკუთარი სახელი განზოგადების ფუნქციას მაშინაც ინარჩუნებს, როდესაც იგი პიროვნებას აღნიშნავს. ამ საინტერესო დებულების წყაროა ზოგადი თვალსაზრისი, რომლის მიხედვით, სიტყვა, რა სემანტიკური რკალის ემბაზშიაც უნდა იყოს განზანილი, მაინც განზოგადებას შეიცავს და საკუთარი სახელიც, როგორც სიტყვა, ერთეული ენისა, განზოგადებასაც გულისხმობს. ავტორი დაასკვნის: „განკუთვნიითი სახელი, როცა პირადობას გვისახავს, მაშინაც კი ზოგადების, მაგ., კრეზი - სათვითაო სახელია, მარა ეტყვიან ძვირფას განძეულობით მდიდარსაცა; სოლომონი - ეტყვიან ბრძენს მიგნებულ მსაჯულსაც; არისტოილი - მტკიცე პატროსნების მექონსა; სატანა - მთავარ მაცთურსა; გოლიათი - ბრგეობით და ტანონებით საკვირველს კაცსა; ფრანგი - ჭკუა გამჭრიახსა; ინგლისი - შემმართველობაში მდგარსა; აღემანიო - წესდარიგის და გამოწვილვაში მომთმინესა“ ([20] 64). ეს ნამდვილად წარმოსახვითი, განპირობებულობით გამოწვეული განზოგადებაა, რაც საკუთარი სახელის გაარსებობის ერთ-ერთ საშუალებად უნდა მივიჩნიოთ. ამის მოწმეა

მრავალ ენაში ინგლისურის მეშვეობით შესული ხ უ ლ ი გ ა ნ სიტყვა, ჩვენებური ტარელი, კვაჭი და სხვა საკუთარი სახელები, რომლებიც დღეს საზოგადო სახელთა თანრიგში არიან გადასული. სოლომონი მართლაც ბრძენის სინონიმადაა გაგებული ისევე, როგორც კრები - მდიდრის, შეძლებულის შესატყვისადა.

ბ. კვიციანიძე XIX ს-ის მეორე ნახევრის ქართულ გრამატიკოსთა შორის იყო ერთ-ერთი პირველი ავტორი, რომელიც შეეცადა საკუთარ სახელთა კვალიფიკაციაში ჩაერთო თავისი ორიგინალური განზოგადებანი. მართალია, ეს შეხედულებები მეტნაკლებად იმ ხანებში უცხოური წყაროების მეშვეობით რუსულ ენათმეცნიერებაში იყო დამკვიდრებული, მაგრამ ქართულ სინამდვილეში პირველად იქნა წამოყენებული.

არსებით სახელდა სემანტიკურ რკალებს თავისუბური თვალთ შეხედა თედო კორდანიანი: მისი „ქართული გრამატიკა“ (1889 წ.) გამოირჩევა XIX ს-ის მეორე ნახევრის ავტორთა გრამატიკული ნაშრომებიდან ორიგინალობით. ტრადიციული ტერმინოლოგიის პარალელურად გრამატიკოსი ახალ ცნებებსაც გვთავაზობს და თანაც არსებით სახელთა რკალებში ხედავს იმისთანა სემანტიკურ სტრუქტურებს, რომლებიც მანამდე ავტორებს არ აღუნიშნავთ. მართალია, საკუთარი სახელები მასაც ტრადიციულ ჩარჩოებში აქვს მოქცეული და მეტად სქემატურადაც იხილავს, მაგრამ არსებით სახელებზე საერთოდ მწყობრი და თავისი დროისათვის უეჭველად პროგრესული თვალსაზრისი აქვს განვითარებული.

ამის დასასაბუთებლად აქ მოვიყვანთ ერთ ამონაწერს თ. კორდანიანს შრომიდან: „არსებიანი პირველ სახენი ასახელებენ: ანუ 1) თუთო საგანსა, მაგ., პეტრე, მესხეთი, მტკვარი, მცხეთა და სხ. ესენი იწოდებიან სათუთოდ გინა საკუთრებითად; 2) ანუ მრავალს ერთგვარს სახელს, მაგ., სახლი, მუხა, პირუტყვი, კაცი, ფრინველი და სხვ. ესენი იწოდებიან საზოგადოებითად; 3) ანუ მხოლოდ ერთგვართ საგანთა ერთად შეკრებილობას, თავმოყრას, მაგ. ტყე, გუნდი, ჯარი, ხროვა, ჯოგი - ესენი იწოდებიან შემკრებელობითად; 4) ანუ იმისთანა საგ-

ნებსაც, რომელთა ნაწილსაც კი ერთი და იგივე სახელი აქვს, როგორც მრთელს საგანს; მაგ., წყალი, ქვიშა, რკინა, ოქრო, ქვა, სისხლი და სხვ. ყოველს ნაწილს რკინისას და ქვისას ქვადვე და რკინადვე ვუწოდებთ; - ამგვარი საგანი იწოდება უორგანოდ ანუ უჰასაკოდ; 5) ანუ არსებითი ასახელებენ მოქმედებასა, გინა მდგომარეობასა განუსაზღვრელად, ე.ი. მიუჩემებლად თუ მოქმედთა, გინა მდგომარეთა საგანთა, მაგ.: წერა, ღვთა, არსება, სიცილი და სხვ. ერთის სიტყვით, ყოველი ზმნა განუსაზღვრელად ხმარებული იგივე არსებითი სახელია განყენებითი; ამისათვის ამგვარ სახელებს ვუწოდებთ სახელზმნად" ([21] 72-3). ავტორის მსჯელობიდან აშკარად ვხედავთ, რომ ცნება არსებითი სახელისა გრამატიკოსს ფართოდ ესმის და მისი სემანტიკურ რკალებად დაყოფა გარკვეულ თეორიულ ასპექტს ეყრდნობა. რაც შეეხება საკუთარ სახელს, იგი მოკლედანა ჩვენები; ავტორი დაკმაყოფილდა მხოლოდ იმ ინფორმაციის მიწოდებით, რაც ადრინდელი გრამატიკოსების ნაშრომებიდან იყო ცნობილი, ახალი რამ მას აქ არ მოუცია, თუმცა შესაძლებელი კი იყო, სწორედ ამ გრამატიკაში გვეპოვნა სიახლენი საკუთარ სახელთა კვალიფიკაცი-აშიც. ავტორმა გვერდი აუარა საკუთარ სახელთა წარმოებისა და ბრუნების საკითხებსაც, თუმცა კარგად იცნობდა სპეციალურ ლიტერატურაში ამის შესახებ გამოთქმულ მართებულსა და უმართებულ შეხედულებებს. იგი მხოლოდ გაცვრით წერს, რომ საკუთარ სახელებს, რომლებიც ხმოვნებზე მთავრდებიან, ბრუნებისას ეს ზმოვნები არ ეკვეცებათ (პეტრე - პეტრესა ანუ პეტრესი და არა: პეტრისა; პეტრეთი, ანუ პეტრესთა და არა: პეტრიოთ). ეს წესი ვრცელდება გასაკუთარსახელებულ საზოგადო სახელზე, როგორცაა „გვრიტი“, „ლომი“, „ქიმი“, რათა „გვრიტი“, „ქიმი“ - საკუთარი სახელი გაირჩეს „გვრიტი“, „ქიმი“ - საზოგადო სახელისაგან. ე.ი. მათი ერთმანეთისაგან გარჩევის საშუალებაა ბრუნვა. მაგ.: საკუთარი სახელის - სიმის - ბრუნვებია: სიმისი, სიმის (მიცემითი), სიმიმ, სიმით, ან კიდევ

გვერტიანი, გვერტიანი, გვერტიანი და არა გვერტიანი, გვერტიანი და სხვ. ერთი სიტყვით, ქართული ენა ჰაზრთა აღწერვითი საკუთარ სახელებს არც ერთ ასოს არ აკვეცს“ ([21] 136).

მცირე ინფორმაციას გვაწვდიან საკუთარ სახელებზე თვალსაჩინო ქართველი გრამატიკოსები: ა. ბენაშვილი, მ. ჯანაშვილი, ს. ხუნდაძე, ი. ნიკოლაიშვილი, მ. კვლევანიძე, დ. კარიჭაშვილი, ი. სინარულიძე*. ამათგან ანთროპონიმთა მრავლობით რიცხვში კანკლდობას აღიარებს დ. კარიჭაშვილი, ხოლო ა. ბენაშვილი, მ. ჯანაშვილი, ს. ხუნდაძე დემილით უვლიან გვერდს ამ საკითხს. რაც შეეხება ი. სინარულიძეს, მის გრამატიკაში ვკითხულობთ: „ადამიანთა სახელები ჩვეულებრივ მხოლოდ რიცხვში იბრუნვის, იშვიათად მრავლობით რიცხვშიც გვხვდება, როცა ადამიანთა სახელები არა საკუთარი, არამედ ზოგადი მნიშვნელობით უნდა იხმარონ მრავალ მსგავს პირთა დასახასიათებლად, მაგალითად, იტყვიან: ახლა არა ერთი და ორი ასეთი ივანე, დავითი, თამარი გვყავს, ივანეები, დავითები, თამარები დღეს მეტად გამრავლდნენ, ანდა: აკაკიები, ბაკაკიები, რიონელები, გოგბელები“ ([22] 31).

საინტერესოა, რომ დ. კარიჭაშვილი, რომლის „ქართული ენის გრამატიკა“ XX ს-ის I ნახევარს ეკუთვნის, იძლევა ანთროპონიმთა მრავლობითი რიცხვის ფორმებს. გრამატიკოსს მოჰყავს ამისთანა პარადიგმები:

სახ.	დავით-ი	დავითებ-ი	დავით-ნი
ნათ.	დავით-ის (ა)	დავით-ებ-ის (ა)	დავით-თ (ა)
მიც.	დავით-ს (ა)	დავით-ებ-ს (ა)	დავით-თ (ა)

* ა. ბ ე ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული გრამატიკა, თბ., 1894, გვ. 7; მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული გრამატიკა, თბ., 1906, გვ. 7; ს. ხუნდაძე, ქართული გრამატიკა, ქუთაისი, 1907, გვ. 3; მ. კ ვ ლ ე ვ ა ნ ი ძ ე, ქართული პრაქტიკული გრამატიკა, ქუთაისი, 1920, გვ. 17; ი. ს ი ნ ა რ უ ლ ი ძ ე, ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა, თბ. 1923, გვ. 10-11; დ. კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1930, გვ. 7; ი. ს ი ნ ა რ უ ლ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1936, გვ. 30-31.

მოთხ. დავით-მა(6)	დავით-ებ-მა(6)	დავით-თ(ა)
მოქმ. დავით-ით(ა)	დავით-ებ-ით(ა)	
ცვალ. დავით-ად(ა)	დავით-ებ-ად(ა)	
წოდ. დავით	დავით-ებ-ო	დავით-ნო ([23] 12).

მაგრამ, „როდესაც ასეთ საკუთარ სახელს მოსდევს გვარის სახელი, მაშინ იგი არ ღებულთბს არავითარს საბოლოოებელს“ ([23] 12).

აქსანინშნავია, რომ გრამატიკოსი ა, ე და ო ბლოხიზმოენიან საკუთარ სახელებში ბოლო ხმოვნებს უწოდებს „სახელობითი საბრუნავის დაბოლოებას“ და დასძენს, რომ ამ ტიპის საკუთარი საბელები „ყველა საბრუნავში ინარჩუნებენ სახელობითი საბრუნავის დაბოლოებას, როგორც ძირმსახს“ ([23] 13). „მრავლობით რიცხვს კი აწარმოებენ საზოგადო წესით“ ([23] 13).

პარადიგმებში წარმოდგენილ მაგალითებში ავტორი საგანგებოდ გამოყოფს დაბოლოებებს:

სახ.	გიორგ-ი	შალე-ა	პეტრ-ე
ნათ.	გიორგ-ი-ს(ა)	შალე-ა-ს(ანი)	პეტრ-ე-ს(ანი)
მიც.	გიორგ-ი-ს(ა)	შალე-ა-ს(ა)	პეტრ-ე-ს(ა)
მოთხ.	გიორგ-ი-მ(ა ან ან)	შალე-ა-მ(ა ან ან)	პეტრ-ე-მ(ა ან ან)
მოქმ.	გიორგ-ი-თ(ა)	შალე-ა-თ(ი)	პეტრ-ე-თ(ი)
ცვალ.	გიორგ-ი-დ(ა)	შალე-ა-დ(ა)	პეტრ-ე-დ(ა)
წოდ.	გიორგ-ი	შალე-ა	პეტრ-ე ([23] 13)

ამ და სხვა ზემოთ მოყვანილი პარადიგმებისაგან განსხვავებით იაკობ გოგებაშვილი ადამიანის საკუთარ და საზოგადო სახელებში დამატებით გამოყოფს კიდევ ერთ ბრუნვას. ესაა მყოფობითი ბრუნვა. რა ტიპის ბრუნვაა მყოფობითი? ამაზე თვით ავტორი გვეუბნება, „ეს ბრუნვა არევენებს მყოფობასა რომელსამე პირთან და ამიტომ უნდა იწოდებოდეს მყოფობით ბრუნვად“ ([24] 428). სხვა არსებით სახელებს (ე.ი. პირის საკუთარ და ადამიანის აღმნიშვნელ საზოგადო სახელებს გარდა) ეს ბრუნვა არ გააჩნია. მყოფობითი ბრუნვის ნიშნად მხოლოდ

რიცხვში წარმოდგენილია დაბოლოება - ისას, მრავლობითში კი - თა-სა. მაგ.: მე ვიყავ დავითისას, სამსონისას, მე ვიყავ მღვდლისას, მეზობლისას, მე ვიყავ მღვდელთასა, მეზობელთასა ([24]426-7). იქვე, სქოლოში კი მითითებულია, რომ „მწი-ბან წლებშივე მ. ნასი-ძესჟან პოლემიკის დროს ი. გოგებაშვილი მყოფობის, როგორც ცალკე ბრუნვას, აღარ ცნობს“ ([24] 428).

საკუთარ სახელთა კინობით ფორმებზე ჩერდებიან გრამატიკოსები მ. კელენჯერიძე, მ. ჯანაშვილი, ს. ხუნდაძე, ი. ნიკოლაიშვილი.

ს. ხუნდაძე საკუთარ სახელებში გამოჰყოფს მოფერებით (ვანო, სანდრო, მიხაკო, მიხო) და დამცირებით (ვანოია, სანდროია, ივანი-კა, მიხელია) სახელებს ([25]33). აქვე შემოდის მეტსახელები და-ცინვითი ხასიათისა: ტირია, წუნია, ცხვირა, ხუშარა, კბენია ([25] 33). ასევე მ. ჯანაშვილი საკუთარ (აგრეთვე საზოგადო) სახელებში გამოჰყოფს კინობით სახელებს, „რომელიც არის: სააღერსო: დათიკო, შვილიკო, ჭიჭიკო, გვრიტუნია, ჩიტუნია, გოგონა... სოსიკო, ვანო, ია, ილო დასამცირო: პეტრიკელა, პეტრიკა, დათიკა, დათიკელა, ივანი-კა, სახლუკა, პეტუა; ვარდუა, კაცუნა... და სხვ. დასამციროა აგრეთვე სიტყვები, - განაგრძობს მ. ჯანაშვილი, - გიგოია-მიგოია, ივანია-მივანია, გიოია-მიოია, კიტრი-მიტრი, ქალაქ-მალაქი“... და იქვე განმარტავს შენიშვნის სახით: „ამნაირ სიტყვებს განუსაზღვრელი მნიშვნელობა აქვთ. ქლიავ-მლიავი, ე.ი. მარტო ქლიავი თუ სხვა ხილიც. გიგოია-მიგოიას მე ყურს არ ვუგდებ, ე.ი. გიგოს და მის-თანა კაცებს“ ([26] 19).

მ. კელენჯერიძე საკუთარ სახელებში გამოჰყოფს: 1. კინობით სა-ხელებს: დათიკო, ნიკო, კოწია, ვასო, სოსო, თამრო, ქეთო, ნუციკო, პელო და მათ გვერდით ჩამოთვლის ამ საკუთარ სახელთა სრულ ფორმას-დავითს, ნიკოლოზს, კონსტანტინეს, ვასილს, იოსებს და სხვა., 2. და-ცინვით სახელებს: ბორბალიკა, გლახუკა, მახარიკა, თედორია, დათი-

კა, დათიელა, ნიკოია; ვის ექახიან ასე? - კიბხულობს ავეტორი, -
ვისაც დიდ პატივს სცემენ? - არა, ვისაც საცინლად იგდებენ. ამიტომ
ასეთ სახელებს, დასქენს, დაციწვითი სახელები ეწოდებაო ([27] 8-9).

საინტერესოა, რომ მსგავსი მოსაზრება გვხვდება დიდი ხნით ად-
რე ზ. შანშოვანის ნაშრომში. იქ ვკიბხულობთ: „თქსი სახელნი რაქამს
სწორისაგან დასწორად იწოდების, ვითარცა საწრფელოა: გიორგი, და-
ნიელ, თომა. ხოლო რაქამს უმფროსისაგან უმცროსა ეთქმის, სამდაბლოდ
იწოდების ვითარცა: გიორგავ, დანიელავ, თომავე“ ([1] 19-20).

საკუთარ სახელთა სტრუქტურულ-სემანტიკური შესწავლა მნიშვნელოვ-
ნად წასწია წინ ნ. მარმა, რომელმაც თავის ცნობილ „ქველქართულ სა-
ლიტერატურო ენის გრამატიკაში“ ახალი თვალსაზრისით განიხილა ქარ-
თული ენის ძირითადი თავისებურებანი. მართალია, მკვლევარი საკუ-
თარ სახელთა საერთო სტრუქტურულ-სემანტიკურ სისტემაზე საგანგებოდ
არ შეჩერებულა და საკმარისად ჩაივალა მათი ბრუნების ნიმუშების
ჩვენება ძველი ქართული სალიტერატურო ენის ტრადიციის მიხედვით,
მაგრამ მოყვანილ პარადიგმებზე დართულ მოკლე შენიშვნებს ჩვენთვის
მაინც მნიშვნელობა აქვთ. ნ. მარი მიუთითებს, რომ ძველ ქართულში
საკუთარი სახელი მოთხრობით ბრუნებაში (მისი ტერმინოლოგიით, მიც.
II) ნიშანს არ დაირთავდა, არ გვექონდა ფორმა, ვექვათ გიორგი-მან
და ენა ამისთანა შემთხვევაში კმაყოფილდებოდა წრფელობითი ბრუნვის
ფორმით-გიორგი ([28] 57). სახელობისა და მოთხრობით ბრუნებში
საკუთარი სახელები იწარმოებოდა ასე: ელისაბედ მოვიდა, ელისაბედ
ქმნა, პეტრე პრქუა, აბრაჰამ აკურთხა“ ([28] 29). ამისთანა მაგა-
ლითები უხვად შეგვიძლო მოგვეყვანა ძველი ქართულის ძველებიდან.
ამავე დროს ნ. მარი ბრუნების საერთო პარადიგმებში მოთხრობითი
ბრუნვის ნიშანს მაინც ურთავდა საკუთარ სახელს: მას პარადიგმებში
დამოწმებული აქვს გიორგი-მან სტრუქტურა ([28] 57), რაც გვხვდება

ქველი ქართულის წერილობით ძეგლებში,* აგრეთვე საშუალ ქართულში.

რაც შეეხება ხმოვანზე დაბოლოებულ საკუთარ სახელთა ვითარებით ბრუნვის წარმოებას, ნ. მარის პარადიგმები მართებული არ უნდა იყოს.** საეჭვოა, რომ გიორგ-ად და მისი ტიპის ფორმები ნორმა ყოფილიყო სალიტერატურო ენაში.

აკაკი შანიძემ დააზუსტა ახალი ქართულის ვითარება. გამოავლინა და ახსნა საკუთარ სახელთა ბრუნების ძირითადი მოდელები. მისი აზრით, ბრუნების მიხედვით ქართული საკუთარი სახელები ორ ჯგუფად იყოფა: ანთროპონიმებად და ტოპონიმებად. თითოეულ მათგანს თავისებური ბრუნება აქვს. ხმოვანფუძიანი ანთროპონიმები ფუძისეულ ბოლო ხმოვანს არ იკვეცენ, ხმოვანფუძიანი ტოპონიმები კი კვეცადია (აქვე შემოდის ძე-ზე დაბოლოებული გეაროვნული სახელები). ანთროპონიმთა ფუძეებში არ დასტურდება კუმშვის პროცესი, ყველა უკუმშველია, ტოპონიმები კი ამ მხრივ საზოგადო სახელების ბრუნების თავისებურებებს იმეორებენ.

საკუთარი სახელი „გრამატიკული რიცხვის გაგებას, საპირისპირო ფორმების უქონლობის გამო, მოკლებულია“ ([16] 52).

თუ ქველ ქართულში საკუთარ სახელებს არ უქონდათ განსხვავებული ფორმები სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში, ახალმა ქართულმა ამ მხრივ საკუთარი სახელი გაუთანაბრა საზოგადო სახელს. ეს გარემოება კარგად აქვს შენიშნული ა. შანიძეს. ის მიუთითებს: „საზოგადო სახელების მსგავსად, კარგა ხანია მათ ბრუნვის ნიშანი აქვთ შექნილი სახელობითსა და მოთხრობითში. ძველებური მდგომარეობა შეირჩინა მხოლოდ წოდებითმა, რომელიც გარეგნულად ფუძეს წარმოად-

*ზ. სარჯველაძის დასკვნით, მოთხრობითისეული მ ა ნ საკუთარ სახელებთან პირველად გვხვდება „კინურ მრავალთავეში“ (ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები“, თბ., 1975, გვ. 126).

**არ არის სწორი, როცა საკუთარ სახელთა მრავლობითის ამისთანა ნიშნებს ასახელებენ: პეტრენი, პეტრეები, გიორგნი, გიორგები (N. Harr, AM. Briere, La langue georgienne, Paris, 1931, გვ. 72-73)

გენს“ ([16] 52). თუმცა ავტორი იმასაც მიუთითებს, რომ „პირის სახელებმა ბრუნვის ნიშნები შეიძინეს... ნაწილობრივ წოდებითში და ამით ესენი ვაჟუანაბრდნენ საზოგადო სახელსო... ასეთი გათანაბრების გამო გასაკვირი არ არის, რომ კილოებში... შეგვხვდეს... ვ - წოდებითის ნიშნად ა-სთან და ე-სთან. თორღავ (ყაზ., 260, 25), პეტრეც (ჭავჭავ., 275, 7), მინდიაც (ვაჟა, „გველის მჭ.“), მზიაც (იქვე), სანდუაც (იქვე) და სხვ.“ ([16] 69).

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ XVIII-XIX საუკუნეთა ქართულ გრამატიკებში, ორიოდე გამონაკლისის გარდა, საკუთარი სახელის სტრუქტურისა და სემანტიკის პრობლემატიკამ ვერ პოვა მწყობრი გაშუქება, რადგან ის ჩაერთო არსებითი სახელის საერთო სისტემაში და მასთან ერთად იქნა განხილული. ეს ნაკლი ახასიათებდა არა მხოლოდ ქართულ გრამატიკას, არამედ საერთოდ გრამატიკას, რაც კარგადაა შენიშნული მ. ი. პრივალოვას მიერ: „ქასწავლე-მეთოდურ და სპეციალურ ნაშრომებში, - ამბობს მკვლევარი, - საკუთარ სახელთა კლასი, როგორც წესი, განიხილება არსებით სახელთა რიგში, ამასთან, უმეტესად ისაზღვრებიან არსებით სახელთა ზოგადი კლასიდან გამოყოფით, შემდეგ მიუთითებენ, რომ საკუთარ სახელებს აქვთ (ან არა აქვთ) ლექსიკური მნიშვნელობა. აღნიშნავენ ან არ აღნიშნავენ ზოგად ცნობებს, რის შემდგომაც გადადიან საზოგადო სახელების უფრო დაწვრილებით განხილვაზე“ ([29] 56).

ბედნიერ გამონაკლისად უნდა მივიჩნიოთ ცალკე გამოკვლევები და მონოგრაფიები, რომლებიც საკუთარ სახელთა ყველა ასპექტში შესწავლას ეძღვნება. პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს აკ. შანიძის ნაშრომები, სტ. ჩხენკელის გამოკვლევა „საკუთარ სახელთა ბრუნება ომკური ხელნაწერის მეფეთა წიგნებში“ (თშ. 25, 1943, გვ. 153-208), ი. იმნაიშვილის მონოგრაფია „სახელის ბრუნება და ბრუნებათა ფუნქციები ძველ ქართულში“ (თბ., 1957, გვ. 366-391), მისივე ადრინდელი

„წრფელობითი ბრუნვის საკითხი საკუთარ სახელეგში“ (ა.ს.პუშკინის სახ. თბ. პედ. ინსტიტუტის შრომები, III, 1943, გვ. 269-889),
ა. ჩიქობავას, ვ. თაფურიას, ალ. ღლონტის, ზ. სარჯველაძისა და სხვათა დაკვირვებანი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ახალი ქართული ენის კათედრასთან
არსებული ტოპონიმიკის ლაბორატორია

К.М.ГОДЕРДЗИШВИЛИ

О собственных именах в грузинской грамматической литературе

Р е з ю м е

В работе рассмотрены вопросы структуры и семантики собственного имени в грузинских грамматиках XVIII-XIX веков.

Отмечен тот вклад, который внесли грузинские ученые этого периода в выявлении сущности грузинских собственных имен.

ლიტერატურა

1. ზ. შ ა ნ შ ი კ ვ ა ნ ი, მოკლე ღრამმატიკა ქართულისა ენისა, სპბ, 1881.
2. ა ნ ტ ი ნ I, ქართული ღრამმატიკა, თბ., 1885.
3. ზ. ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე, ანთროპონიმთა იშვიათი ფორმები ძველ ქართულში. წაკითხულია მსუ I რესპუბლიკურ ონომასტიკურ კონფერენციაზე 1980 წელს. იბეჭდება აქვე.
4. გ ა ი თ ზ რ ე ქ ტ ი რ ი, ქართული ღრამმატიკა, ელ. ნ ი კ ო ლ ა ი შ ვ ი ლ ი ს გამოკვლ., თბ., 1970.
5. ალ. ფ ო ც ხ ა შ ვ ი ლ ი, ქართული გრამმატიკული აზრის ისტორიიდან, თბ., 1979.

6. იოანე ქარაიელი შვილი, გრამატიკა, თბ., 1815.
7. ს. ფოდაევი, შემოკლებული ქართული ღრამმატიკა, თბ., 1830.
8. პლ. იოსელიანი, პირველ-დაწყებითი კანონნი ქართული საკითხებისა, თბ., 1863.
9. ე. ბაბუნაშვილი, ანტონ I და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970.
10. აკაკი შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
11. ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნებათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957.
12. М. В. Ломоносов, Российская грамматика, полное собрание сочинений, т. 7, М.-Л., 1952.
13. Античные теории языка и стиля, М.-Л., 1936.
14. გ. ფირალოვი, თუა მასწავლებელი, სპბ, 1820.
15. დ. ყიფიანი, ახალი ქართული ღრამმატიკა, სხარტულად დაწერილი მამისაგან შეიღებისათვის, სპბ., 1832.
16. აკაკი შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953.
17. დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სპბ., 1887.
18. ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანიდურთ, აღ. დლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961.
19. არ. ქუთათელიძე, პირველდაწყებითი ქართული გრამატიკა, თბ., 1888.
20. პ. ცეცხარიძე, ქართული სწორმეტყველება, თბ., 1888.
21. თ. ყორღანი, ქართული გრამატიკა, თბ., 1889.
22. ი. სიხარულიძე, ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1936.
23. დ. კარაიშვილი, ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1930.
24. ი. გოგუბაშვილი, მოკლე გრამატიკა ქართული ენისა, თბზ., IX, 1962.

25. ს. ს. ნ უ . ნ დ ა ძ ე, ქართული გრამატიკა, თბ., 1906.
26. მ. ჯ ა ნ ა შ ი ლ ი, ქართული გრამატიკა, თბ., 1906.
27. მ. კ ი ლ ე ნ ჯ ე რ ი ძ ე, ქართული პრაქტიკული გრამატიკა, ქუთაისი, 1925.
28. Н. Я. М а р р, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925.
29. М. И. П р и в а л о в а, Собственные имена и проблема омонимии. Вопросы языкознания, 1979, № 5.

სერგო მელიქიძე

მეტეგარი და მისი წარმოება ბორჯომის ხეობის
ქართლურში

ქართულ ონომასტიკაში ადამიანის საკუთარი სახელი (ანთროპონი-
მი; სახელი, გვარი, შერქმეული გვარი, მეტსახელი) მრავალი თავი-
სებურებით ხასიათდება და, ამდენად, გვარსახელებთან დაკავშირე-
ბული ზოგი საკითხი საინტერესო და მრავალფეროვანია.

ამჯერად ჩვენ შევეხებით „მეტეგარს“ და მის წარმოებას დღევან-
დელი ბორჯომის ხეობის ქართულ მეტყველებაში.

შერქმეული გვარი და მეტსახელი საქართველოს სხვადასხვა კუთხე-
ებში განსხვავებული სიტყვებით აღნიშნება. მაგ.: „გვარის განა-
ყოფთა სახელები“, „შტოგვარები“, „მეტსახელი“, „ღაღაბი სახელი“,
„ქახინჯარი“, „ავარზე მეთი“, „აიკუნი“, „ავასაბრაზებელი სახელი“,
„ოჯახის სახელი“, „აიგელი“, „ამამოცვლილი გვარი“, „აილი“, „ქა-
გინებელი გვარი“ და სხვ. ზემოთ აღნიშნული ტერმინები, რა თქმა
უნდა, ყოველთვის იდენტურნი არ არიან. მაგ.: „გვარის განაყოფთა
სახელები“ აღნიშნავს ცალკეულ გვართა წარმომავლობას წინაპართა
სახელების მიხედვით. „ავარზე მეთი“ ერთი რომელიმე გვარის ზედ-
წოდება, მეტსახელია; „ქახინჯარი“ ყოველგვარი მეტსახელის აღმნიშ-
ვნელია; „შტოგვარებიც“ უფრო მეტად წინაპართა ნამდვილ ან მეტსა-
ხელს უკავშირდება; „ოჯახის სახელი“ რომელიმე კომლისათვის შერ-
ქმეული სახელია; „აიგელი“ შერქმეული გვარიცაა და სახელიც და
სხვ.

ინდივიდს ნამდვილი სახელის გვერდით ხშირად აქვს მეტსახელი.
ეს სახელი აღნიშნავს კონკრეტულ პიროვნებას. ასევე, იმავე პიროვნე-
ბას ნამდვილი გვარის გვერდით შეიძლება ჰქონდეს მეორე, შერქმე-

ული გვარის. მაგრამ თუ პირველ შემთხვევაში მეტსახელი მხოლოდ ერთი პიროვნების სახელია, მისი კუთვნილებაა, მეორე შემთხვევაში შერქმეული გვარი მიგვითითებს არა მხოლოდ ერთ პიროვნებაზე, არამედ რამდენიმეზე, მთელ ოჯახზე, შტოზე, საგვარეულოზე. ისევე, როგორც ნამდვილი სახელი და გვარი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ფიქრობთ, ასევე უნდა განსხვავდეს მეტსახელი და შერქმეული გვარიც. ზედმეტი სახელი გვარისა შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს თავისი ხასიათითა და ბუნებით (ოჯახის, შტოგვარის, სხვადასხვა გვარის, ზოგჯერ მთელი სოფლის ზედმეტი სახელი). ამიტომ საჭიროა ისეთი ტერმინის მოძებნა, რომელიც ამ ყველა შემთხვევაში უნდა ერთი ზოგადი მნიშვნელობის ქვეშ გააერთიანებს. ფიქრობთ, ასეთ ტერმინად შეიძლება გამოდგეს სიტყვა „მეტგვარი“, რომელიც ქართლში იხმარება კიდევ. ამ ტერმინში ჩანს მისი ძირითადი მნიშვნელობა; ნამდვილი, ოფიციალური გვარის გვერდით აღნიშნოს ამავე გვარის ან კიდევ საგვარეულოს, შტო-კომლის, ოჯახების, ნათესაობის, სხვადასხვა გვარების, გვარის განაყოფთა სახელები.

„მეტგვარი“ რომ მართლ შტოგვარის, შტო-კომლის სახელის იდენტური ტერმინი არ არის, ეს ამ მაგალითიდანაც ჩანს: სოფ. ზანავის რაზმაქეებში გამოიყოფა ორი დამოუკიდებელი შტოგვარი: ბუზალაქეები და ქურციკაშვილები. ეს ორი შერქმეული გვარი კიდევ გვაძლევს განსტოლებებს: ბუზალაქეებში – ჩიკანტურები, ნაბიები და სხვ. რაზმაქეების ზოგი ოჯახი არც ერთ ამ შტოს არ ეკუთვნის. მაგ.; დაკუები, ბინოები; ამ ცალკეული შტოგვარების ზოგ ოჯახს შეიძლება კიდევ ჰქონდეს თავისი „ოჯახის სახელიც“. გარდა ამისა, მთელ სოფელს ზოგჯერ „ტიტიებსაც“ ეძახიან. უფრო მეტიც, სხვადასხვა გვარის ხალხს შეიძლება ერთი შერქმეული გვარი ჰქონდეს.

ჩვენ ყოველივე ამით იმის თქმა გვინდა, რომ დღეს მიღებული ტერმინი შტოგვარი ვიწრო ცნებაა, რადგანაც მასში იგულისხმება რომელიმე გვარის ერთი განაყოფის შერქმეული სახელი. ასევე ოჯახის

შერქმეული სახელი“ არ არის შტოგვარი. მაგ.: ოკამში (ჯავახეთი) მცხოვრებ მაისურაძეებში გამოიყოფა ორი შტოგვარი: მოზვერაანი და თომუაანი. მაგრამ თომუაანთ შტოგვარში ოჯახებს ერქვათ სახელებიც: ასახლეენი, ბეჟუგაანი და სხვ. შემდგომში, შესაძლებელია ეს სახელებიც გახდნენ შტოგვარები.

ამ შემთხვევაში ჩვენ ყოველგვარ ზედმეტ, შერქმეულ გვარს, როგორც უნდა იყოს იგი, „მეტგვარს“ ვუწოდებ (რა თქმა უნდა, შეიძლება უფრო ზუსტი ტერმინის მოძებნაც). გარდა ამისა, თუკი „მეტსახელმა“ მოიპოვა მოქალაქეობრივი უფლება, შეიძლება ვინმართ „მეტგვარიც“.

ისმება კითხვა, როდის ჩნდება მეტგვარი? „შერქმევა თავისთავად გულისხმობს გარკვეული სოციალური წრის მიზნობრივ შემოქმედებით ჩარევას სახელდების პროცესში. ამ შემთხვევაში გამოყენებულია მონერხებულად შერჩეულ სიტყვა-ეპითეტზე აგებული გეოგრაფიული, რომელიც ერთ სემანტიკურ ერთეულად აღიქმება და სახელის ფუნქციას ასრულებს“ ([I] 51). რა თქმა უნდა, სახელის შერქმევა რთული სოციალური პროცესია, მაგრამ ერთი კი ცხადია: გვარების ოფიციალურ საანტიცირებამდე მეტგვარზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. მაშინ თვითონ შერქმეული სახელი ასრულებდა იმ ფუნქციას, რასაც დღეს ნამდვილი გვარი... ყოველი შერქმეული გვარი, რაც დღეს გვხვდება, მეორეულია და მას აკისრია (უმეტეს შემთხვევაში), დაახასიათოს რაღაც ნიშანთვისებით, სოციალური და ეთნოგრაფიული ყოფის საფუძველზე, გარკვეული ჯგუფი ადამიანებისა და, ამასთანავე, შეასრულოს მისათითებელი, მათრიენტირებელი ფუნქცია.

ცხადია, მეტგვარს ბევრი საერთო აქვს მეტსახელთან, მაგრამ მისგან დიდად განსხვავდება კიდევ. მეტგვარის ცნებაში უნდა ვიგულისხმოთ ის სახელი, რომელიც რაიმე გარემოების გამო აქვს შერქმეული არა ერთ პიროვნებას, ინდივიდს, როგორც ეს მეტსახელის შემთხვევაში გვაქვს, არამედ ოჯახს, ერთი (ზოგჯერ სხვადასხვა) მოდგმის

წარმომადგენლებს, რამდენიმე თაობას და ა.შ.

რა თქმა უნდა, მეტსახელიც შეიძლება იქცეს მეტგვარად და პირიქით, ან კიდევ - მეტგვარიდან და მეტსახელიდანაც მივიღოთ ნამდვილი გვარი ან სახელი. ჩვენ არ შევეუდგებით მეტგვარის წარმოქმნის სოციალური თავისებურების ძიებას, ეს ცალკე კვლევის საკითხია. ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ, როგორია ამჟამად მეტგვარის სახეები ბორჯომის ხეობაში. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ ყოფილ „თორის მხარეში“ (ახლანდელი „ბორჯომის ხეობა“) საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან დაახლოებით 200 წლის წინ გადმოსული ხალხი სახლობს (თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოსულთ აბორიგენი მოსახლეობა არ დახვედროდეს).

ბორჯომის ხეობის სოფლებში მეტგვართა ფორმები და მათი წარმოება მეტად ჭრელ სურათს იძლევა. შეიძლება ითქვას, რომ განსხვავებული ვითარება გვაქვს სოფლების მიხედვითაც კი. მეტგვარი ზოგ სოფელში ძალზე იშვიათია, ზოგში კი - ხშირი. თუ ავიღებთ თვით ქალქს, აქაც შეიძლება შეგვხვდეს მეტგვარი, ოღონდ მეტწილად სოფლიდან ახლად ჩამოსახლებულთა შორის (ამ შემთხვევაში ალბათ ურბანიზაციის პროცესია გადამწყვეტი). სოფელში, სადაც მომეტებულია ერთი გვარის წარმომადგენლები, მეტგვარების სიჭარბეა. მაგ.; ს. ზანავში მცხოვრებ რაზმაძეებში გამოიყოფა მეტგვარები: ბუზალაძეები, ქურციკაშვილები, პამბულები, ჩიკანტურები, ჩუხჩუხეები, გოჭიფენიები, ცხრაბურიჭამიები, მესანთლე-მეყანწეები, ყროყინები, ბინოები, ნაბიები, დაკუები... ამგვარი სახელების წარმოქმნის პროცესი რთულია და ამიტომაც მათი შესწავლისას ანგარიში უნდა გაეწიოს როგორც ენის შინაგან ბუნებას, ასევე ერის ისტორიას, ტრადიციებს, სასოფლო-სამეურნეო, სოციალურ გარემოს, ეთნოგრაფიულ ყოფასა და ხალხის ფსიქიკურ თავისებურებებს.

როგორც ზემოთ აღნიშნა, „მეტგვარში“ ვაერთიანებთ ყოველგვარ „მეორე გვარს“, რომელიც ნამდვილი გვარის გვერდით არსებობს. წარ-

მოების მიხედვით აღნიშნულ არეალში გამოიყოფა მეტეგეართა შემდეგი ძირითადი სახეები:

1. ძირად აღებულია საკუთარი ან საზოგადო სახელი, მაგ., ბუზა-ლაქები. „ბუზალა“ რქმევია ამ შტოს წინაპარს (რაზმაქები, ს.ზა-ნავი). წარმოება მარტივია: ბუზალა-ს-ქე-ები --- ბუზალაქები (მეტეგეარის ფორმა მრავლობითი რიცხვით არის წარმოდგენილი, რადგან ის აღნიშნავს და მიუთითებს რამდენიმე ადამიანზე)... გეარის მაწარმოებელ სუფიქსზე დართულია მრავლობითის მაწარმოებელი -ებ სუფიქსი.

ანალოგიურადაა ნაწარმოები მეტეგეარები: ქურციკაშვილები (რაზმაქების მეტეგეარია, ს.ზანავი), ქვრივიშვილები (ლუსმანაშვილებისა და გელაშვილების მეტეგეარობა, ს.ტბა), თამარაშვილები, მჭედლიშვილები, ქექიაშვილები, კაჭუნაშვილები (გელაშვილების მეტეგეარობა, ს. კორტანეთი) და სხვ.

2. სახელების (ძირითადად მეტსახელების) ფუძისეული -ა-ს მოკვეცის შედეგად ვიღებთ: ბინოა---ბინოები, ჩიკანტურა--- ჩიკანტურები, დაკუა---დაკუები, ნაბია--- ნაბიები (რაზმაქები ს.ზანავი), ქურიკა--- ქურიები (გელაშვილები, ს.ტბა) და სხვ.

3. ჩვეულებრივია -იან სუფიქსით მეტეგეარობა წარმოება. აკ. შანიძე აღნიშნავს, რომ ა-ზე გათავებულ ბოლოკვეცივ სიტყვას თუ დაერთო -იან, უჩრველი ხმოვანი დასუსტდება და სულ დაიკარგება ([2] 124); ოქუზაჩანი (დენოსაქები, ს. ჩითახევი) ფორმა მიღებულია შემდეგნაირად: ოქუზა + იან-ი---> ოქუზაანი; ანალოგიურია შემდეგ მეტეგეარობა წარმოება: პრაშაანი, ჩოლუანი, ყრუანი, სარდოანი, ოქრუ-ჭანი, ზერგელაანი (ს. ბალანთა), თოსუაანი (ბორჯომი), ლაშქარაანი, ლუკაანი (ს. ტბა), გვიტაანი (ს. საკირე) და სხვ. -ე-ზე დამთავრებულ სახელებში ფუძისეულმა ხმოვანმა ასიმილაციის შედეგად დაიმსგავსა სუფიქსისეული ა და მივიღეთ: ესტატე + იან-ი---> ესტატეანი---> ესტატეანი--->ესტატენი. ანალოგიურია: მათენი, იოსენი; ზემოაღნიშნული „ესტატენის“ ფორმის გვერდით გვაქვს აგრეთვე ესტატ-

ენი, იოტაკიენი, თოფლიენი, იოსიენი, მათიენი და სხვ.

გრ. ბერიძე წერილში „გვარის განაყოფთა სახელების წარმოება ჯავახურში“ წერს: „თამაზა, დათა, ხეპანა, ღაღანა, გელუა... ფორმებში ა კნინობითისაა. ზოგჯერ ამ კნინობითი ფორმის ფუჭისაგან აწარმოებდნენ გვარის განაყოფთა სახელებს და ამიტომ იკარგებოდა -იან სუფიქსის ი. სხვაგან კი სუფთა ფუჭეს დაურთავდნენ ხოლმე -იან-ს, მაგრამ ცვლილება მაინც მომხდარა. თამაზაანი, პაპაანი, გელაანი... და მსგავსი ფორმების გვერდით გვაქვს: თამაზიენი, პაპიენი, გელიენი... -იენ სუფიქსი აშკარაა“ ([3] 67); „აან და -იენ ფორმების შესახებ შეიძლება დავასკვნათ, - განაგრძობს ავტორი, - ორივე მიღებულია -იან სუფიქსისაგან სხვადასხვა გზით, პირველი - სუფიქსისეული ი-ს დასუსტებითა და შემდეგ დაკარგვით (ა+იან-->აან; მეორე - თვით ი-ს მიერ ა-ს დამსგავსებით (იან-->იენ). ([3] 67); ავტორს მოაქვს ქართულში დადასტურებული მაგალითი, როცა -იჰ კომპლექსი -იე-დ იქცევა: ძალიან--> ძალიენ; ძლიარი--> ძლიერი; ე.ი. ჩვენი მასალის იოტაკიენი და სხვა მისი მსგავსი ფორმები მიღებული უნდა იყოს შემდეგი გზით: იოტაკ+იან---> იოტაკიენი;

4. კომპოზიტურ მეტგვარებში, რომლებიც -იჰ-ზე მთავრდება, მეტგვარად ქცევისას მრავლობითის -ებ სუფიქსის გავლენით ბოლოკიდური -ჰ ამოვარდება: ვირიჭამიჰ--> ვირიჭამიები; ცხრაპურიჭამიჰ--> ცხრაპურიჭამიები; გვაქვს მათი პარალელური ფორმებიც, სადაც სუფიქსისეულმა ე-მ დაიმსგავსა ფუჭისეული ა და საბოლოოდ მივიღეთ ემ: კრუხიჭამიეები, ზღმარტლიჭამიეები და სხვ.

5. გვხვდება პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები ხელობისა და პროფე-სიის აღმნიშვნელი მეტგვარებიც, რომელთაც, როგორც წესი, დაერთვის მრავლობითის მაწარმოებელი -ებ სუფიქსი: მე- -ე+ებ-ი: მეჭურჭლეები (ს. ტბა), მეყანწეები, მეჩანგლეები (ს. ზანავი); მეთიხეები (ს. ტბა), მეკურდლეები (ს. საკირე) და სხვ.

6. სახელებზე -ებ მრავლობითის სუფიქსის დართვისას ფუჭისეული ა

ხმოვანი სუფიქსისეულ ე ხმოვანთა შებვედრისას ემსგავსება მას და ვიღებთ ე-ს; ა+ებ-->ებ; ეს გზა წარმოებისა ფართოდაა გაცრცელებული: კურდღელა+ებ--> კურდღელები, ფურცელები (ს. ტბა); ქსიტინები, ჩუხჩუხები (ს. ზანავი), ანდუყაფარები, თრიშები, გვერდლები, ქიცინები, ფანდალები (ს. კორტანეთი), მარტოხები (ს. ვარდგინეთი), წყუბები (ს. სადგერი), კოდალები (დ. ბაკურიანი).

გვხვდება შემდეგი სახის შერქმეული გვარები: ბესოაანთები, კორიკაანთები, პოლიკაანთები (სოფლები: ქვაბისხევი, სადგერი) და სხვ. ფორმა „ბესოაანთები“-სათვის საწყისად აღებულია „ბესარიონის“ კნინობითი ფორმა „ბესოა“. ამ უკანასკნელზე -იან-ის დართვამ მოგვცა ბესო-ა-იან--> ბესოაანი; მიღებული ფორმა თავისთავად მეტგვარია, მაგრამ აქ არ შეჩერებულა წარმოება; აღნიშნულ ფორმას დაერთო თანხანი მრავლობითის ნათესაობითი ბრუნვისა და მრავლობითის მაწარმოებელი სუფიქსი თ (ბესოაანთი).

საგვარეულოდან ცალკე პიროვნების აღნიშვნისას გვაქვს ორმაგი სუფიქსი: ა+ან, ე+ენ და ო+ონ. ამ სუფიქსებს დაერთვის თ და ვიღებთ: თამაზაანთი, ეგნატენთი, გვირჯინთი. მაგ.: თამაზაანთ ვანო, შიოონთ რძალი და სხვ. ([3] 68; [1] 66).

ბორჯომის ხეობის ქართლურში აღნიშნულ ფორმას დაემატა მრავლობითის მაწარმოებელი -ებ და მივიღებ ბესოაანთები, კორიკაანთები და სხვ. მეტგვარი „კორიკაანი“ მთელი საკრებულოს აღმნიშვნელია, ხოლო როცა ერთის გამოყოფა სურთ, იტყვიან „კორიკაანთ ბიჭი“ (ასეთი თითქმის მთელს აღმოსავლეთ საქართველოში, შდრ. სოსიკაანთ ბიჭი, ოთარაანთ ქვრივი და სხვ.) მაგრამ თუ სურთ აღნიშნონ რამდენიმე ადამიანი, პატარა შტოგვარი და სხვ., იტყვიან: კორიკაანთების ბიჭები, ქალები, ბავშვები და სხვ.

ფორმა „ბესოაანთები“ აშკარად მეორეული ჩანს, „ბესოაანთი“ კი დღესაც ხშირია სამცხე-ჯავახეთში: ბექოაანთი, მინიკაანთი, ხსი-

ტანთი და სხვ.

ანალოგურია შემდეგი მეტგვარების წარმოება: ბალიანთები, ალექსანთები, წყალობაანთები; საკოაანთები (მაისურაძეები, ქვაბისხევი), ბარძიმაანთები (თაბუნძეები), კიშთიაანთები, გორაანთები (გოგირაიშვილები), სეპოაანთები, გივანთები||გიუაანთები, გაბუაანთები, ბაჩანაანთები, სოსიაანთები (ხაჭაპურიძეები, ქვაბისხევი) და სხვ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ახალი ქართული ენის კათედრასთან
არსებული ტომონიმიკის ლაბორატორია

C. И. МЕЛКОЦЕ

Фамильное прозвище и его образование в картлийском
говоре Боржомского ущелья

Р е з ю м е

В статье определяется сущность фамильного прозвища, анализируется его образование и место в антропонимической системе в картлийском говоре Боржомского ущелья.

ლიტერატურა

1. ი. ი. მ ა ი ს უ რ ა ძ ე, ქართული გვარსახელები, თბ., 1979.
2. აკ. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953.
3. ვრ. ბ ე რ ი ძ ე, გვარის განაყოფა სახელების წარმოება ჯავახურში. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, თბ., 1972, №3.

ზურაბ სარჯველაძე

ანთროპონიმთა იშვიათი ფორმები ძველ ქართულში

კარგადაა ცნობილი, რომ ანთროპონიმთა ბრუნება ძველ ქართულში განსხვავდებოდა საზოგადო სახელთა ბრუნებისაგან. როგორც წესი, სახელობითსა, მოთხრობითსა და წოდებითში მათ არ მოუდის ბრუნვის ნიშნები, არ დაირთავენ ემფატიკურ ხმოვანს, შეზღუდულად ეწარმოებათ მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების ფორმები, არ იკუმშებიან და არც იკვეცებიან; არ აქვთ მრავლობითი რიცხვი ([1] 29; [2] 016; [3] 265; [4] 369; [5] 41 და შმდგ.).

ამასთან ერთად სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე მითითებულია, რომ უძველეს წერილობით ძეგლებში გვხვდება ანთროპონიმთა სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვების ფორმები ნიშნით ([6] 170-178; [4] 371-373). აღნიშნულია ისიც, რომ სახელობით ბრუნვაში -ი/-ა საკუთარ სახელთან თავს იჩენს. მე-7 საუკუნიდან, ხოლო მოთხრობითში - IX საუკუნიდან ([7] 124; 126-127).

ა ემფატიკური ხმოვანი ძველ ქართულში საკმაოდ ხშირია საკუთარ სახელებთან ([4] 374-375). ეს მოვლენა პირველად „ჩინურ მრავალთავში“ აისახება ([7] 128-130).

აქ განვიხილავთ საკუთარ სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, რომლებიც აქამდე არ ყოფილა მსჯელობის საგანი.

X-XII საუკუნეთა წერილობით ძეგლებში დასტურდება რამდენიმე შემთხვევა, როცა ადამიანის საკუთარ სახელს წოდებით ბრუნვაში ნიშანი მოუდის:

აჰმალღი მოტყინარე სარწმუნოებითა, ნეტარო გ რ ი გ ო ლ ო,
სიი.-64 (X ს.) 56 რ, 10-II; ბ ა ს ი ლ ო, მოკლედ შენ მცხეთას
 მამასახლისად დასდგები, „კრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“ (ძვ. ქართ.

აგოგრა. ლიტ. ძეგლები, I, 318, 42). და თქუა მისდამი: უცხოტომ-
ნი შენ ზედა, ს ა მ ფ ს ო ნ ო, გელათის ბიბლია (XIII ს.) 387 v
8-9; თქუა: უცხოტომნი შენ ზედა, ს ა მ ფ ს ო ნ ო, იქვე, 388r,5.

საინტერესოა, რომ ანალოგიური ნიმუში დასტურდება აგრეთვე სა-
ისტორიო დოკუმენტში - ცხირეთ-ცხავერის სიგელში (XIII ს.):

შენ, ჭემო ძმად ივანე და ძეო ჩემო ზეგაო.

წოდებითის ნიშნიანი ადამიანის საკუთარი სახელი „ვეფხისტყაო-
სანშიც“ გვხვდება.

„მათ რა ნახეს, შემოჰყვიელეს სიცილით და კბილთა ჩენით:

ჰე, ა ს მ ა თ ო, მოგცივიდა მოწყალება ღმრთისა ზენით:

ვპოვეთ მთვარე დაკარგული, რაცა გვწაღდა, იგი ვქმენით;

აწ გავხედით ბედისაგან ცეცხლთა შრეტით, ჳირთა ლხენით“ (357)

საინტერესოა ის ფაქტი, რომ XI-XII საუკუნეთა ზოგიერთ ძეგლში
ადამიანის საკუთარი სახელი მრავლობითის ფორმითაც შეიძლება იხმა-
რებოდეს. დავასასელებთ ჩვენთვის ცნობილ ნიმუშებს:

იოანე მოკლე და სამნი ი ო ა ნ ე ნ ი, წერილნი კლემაკსსა,
იქებოდენ დღეს, პარიზის მარხვანი (XI ს.), 38 r, II-I2; მნათო-
ბად გამობრწყინდეს ოთხნი იგი ს ჳ მ ე ო ნ ნ ი ნეტარნი, სამნი
მესუეტენი, იქვე, 38 r, 30-31*; ოთხნი უკუთ მ ა რ ი ა მ ნ ი
მოიხუმიან სახარებათა შინა, A -52 (XII ს.) I40 v, I3-14.

Ier-14 (1055 წ.) გამოაქვინს ანთროპონიმს მრავლობითი რი-
ცხვის მიცემით ბრუნვაში:

ნუ თანაწარვჰვდებით წინაშე თუალთა ჩუენთა მდებარეთა ლ ა -

* ეს მაგალითები ამოღებულია პარიზული ხელნაწერის იმ ნაწილი-
დან, რომელიც თარგმნილია გიორგი მთაწმიდლის მიერ და, როგორც
ჩანს, მისი ზედამხედველობით უნდა იყოს გადაწერილი. ამის მოწმე-
ბას უნდა წარმოადგენდეს მთარგმნელის ანდერძი, რომელიც ე. თაყა-
იშვილის აზრით, გიორგის ავტოგრაფია ([8] 33-35). ხელნაწერის
ფოტოპირები აქვს საქ. მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტი-
ტუტს ცნობილი ფრანგი ქართველოლოგის ბერნარ უტიეს შექმნობით.

ზ ა რ ე თ ა , 283 r , 27 a -283 r , I ხ .

ერთ შემთხვევაში დასტურდება ხმოვანფუძიანი ანთროპონიმის კვე-
ცაც: შპოო ამისვე დღისა პავლისა სუნაქსარსა, Ier.-24 (XI ს.)
52 v , 15.

როგორ უნდა შეეფასოთ ეს ფაქტები სალიტერატურო ენის ისტორი-
ის თვალსაზრისით? ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში მკვეთრად აი-
სახა საკუთარ სახელთა საზოგადო სახელების ბრუნებასთან გათანა-
ბრების ტენდენცია, რაც იმაში გამოიხატა, რომ საკუთარი სახელი სა-
ხელობისა და მოთხრობითი დაირთავს ბრუნვის ნიშნებს, ხოლო მიცე-
მით, ნათესაობით (და იშვიათად მოქმედებით) ბრუნვებში ა ემფატი-
კურ ხმოვანს. ეს იყო ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი
მოვლენა და სალიტერატურო ენაც თანდათანობით იძულებული გახდა, ეს
მოვლენა აეესახა, საბოლოოდ კი ნორმად ექცია. წოდებითი ბრუნვის
ნიშნის დართვა ანთროპონიმებზე ალბათ ცოცხალი მეტყველების ასახ-
ვაა, მაგრამ სალიტერატურო ენამ ეს მოვლენა არ ყიილო.

სხვაგვარი ვითარება ჩანს მრავლობითი რიცხვის წარმოებასა და
კვეცასთან დაკავშირებით. საფიქრებელია, რომ ი თ ა ნ ე ნ ი ,
მ ა რ ი ა მ ნ ი , ლ ა ზ ა რ ე თ ა და მისთანანი, ისე როგორც
პ ა ვ ლ ი ს ა , ხელოვნური ფორმებია, ისინი არასდროს ახასიათებდა
ცოცხალ მეტყველებას, ამიტომაც ვერ დამკვიდრდნენ სალიტერატურო
ენაში. ეს არის კარგი ნიმუში იმისა, რომ ცალკეულ მწერალთა (თუ
მწერალთა ჯგუფის) ინდივიდუალური ენობრივი თავისებურებანი, როცა
ისინი მკვეთრად უპირისპირდებიან ენის ნორმებს, ვერავითარ ზეგავ-
ლენას ვერ ახდენენ ენის განვითარების ტენდენციებზე.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ხელოვნური ფორმები შევიდა
ზოგ ადრინდელ გრამატიკაში, მაგალითად ანტონის ნაშრომში ([9]
5-50; [10] 106-7), რომელიც სხვა შემთხვევებშიც საკმაოდ ხშირად

ასახავს XI-XII საუკუნეთა ზოგიერთი მწერლისათვის დამახასიათებელ ენობრივ ინდივიდუალიზმს.

ა.ს. პუშკინის სახელობის თბილისის
სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

З.А.САРДЖВЕЛАДЗЕ

Редкие формы антропонимов в древнегрузинском
языке

Р е з ю м е

В древнегрузинском языке склонение антропонимов резко отличается от склонения нарицательных имен ([1] 29; [2] 016; [3] 265; [4] 369; [5] 41 и т.д.).

В статье рассмотрены редкие формы антропонимов: 1) Имя собственное в звательном падеже принимает окончание падежа; 2) Имя собственное употребляется во множественном числе; 3) Основа антропонима в родительном падеже теряет гласный (усечение основы).

Эти случаи отражают тенденцию языка к унифицированию падежов склонения имени существительного.

ლიტერატურა

1. Н. Я. М а р р, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925.
2. ა. შ ა ნ ი ძ ე (აღ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე), ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, ტფილისი, 1934.
3. ჰ. ფ ო გ ტ ი, ბრუნვათა სისტემა ძველ ქართულში: მიმოხილვები, 4-5, თბ., 1968.
4. ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957.

5. Г. А. К л и м о в, Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, №., 1964.
6. ს. ჩ ხ ე ნ ც ე ლ ი, საკუთარ სახელთა ბრუნება ოშკური ხელნაწერის მეფეთა წიგნებში: თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 25, 1943.
7. ზ. ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1975.
8. ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი, პარიზი, 1933.
9. ა ნ ტ ო ნ ი ბ ი რ ვ ე ლ ი, ქართული ღრამმატიკა, ტფილისი, 1885.
10. ე. ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბილისი, 1970.

მაქსიმე ქალღანი

სვანური საკუთარი სახელების სემანტიკა და სტრუქტურა
(სულთა მატეანის მასალათა მიხედვით)

1. საანალიზო მასალა დიდი რაოდენობით შემოგვინახა სვანურმა საისტორიო ძეგლებმა (განსაკუთრებით სულთა მატეანემ) ([I] 117-160).

2. ადრინდელი სვანური საკუთარი სახელები (თოვლაჟ, თვარე|| მთვარეჟ, თეთვრაჟ, მახარობელ, ოდიშ-ელ-იან, საღირ-ელ-იან...) თავისი სემანტიკითა და სტრუქტურით უფრო ახლოს დგას ქართული ენის შესაბამის მასალასთან, ვიდრე დღევანდელი სვანური საკუთარი სახელები.

3. ბევრი ადრინდელი სვანური საკუთარი სახელი დროთა ვითარებაში ან უკვალოდ გადაშენებულა ან ისე შეცვლილა, რომ ახლა გამოცნობა ჭირს. რიგი მათგანი XIII საუკუნეში ძალზე პროლექტიული ყოფილა, ახლა არსად შემონახულა. ზოგი მათგანი შემოგვინახა შტოგვარის სახელებმა. ადრე ძალიან გავრცელებული ჩანს საკუთარი სახელი ნ ე-ქ ე. თითქმის ყოველ დასახლებულ პუნქტში ეს სახელი დასტურდება. ახლა კი მთელ სვანეთში ნ ე ქ ე სახელს ვერ შეხვდებით. სამაგიეროდ გვაქვს შტოგვარის სახელი ნ ე ქ ე-შ-ერ, რომელმაც ნ ე ქ ე საკუთარი სახელი გადაარჩინა საბოლოო დავიწყებას.

4. ახლა სვანურში არსად გვხვდება საკუთარ სახელებად: ა ფ ა ქ , რ ე რ ა გ , რ ა რ კ ე ი ლ ა , ჭ უ შ ი ჯ . უ შ ი ლ , ს ა დ ი რ , ც ა-ხ თ ა გ და მისთანანი, მაგრამ ყველა ეს სახელი შემოგვინახა გვარ-სახელებმა, რომელთა ფუძეც ეს აწ დაკარგული საკუთარი სახელებია. მაგ.: ა ფ ა ქ-ი ა ნ , რ უ რ ა გ-ი ა ნ , რ ა რ კ ე-ი ა ნ , ჭ უ შ ი ლ-ი ა ნ . გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა გვარსახელისათვის ამოსავალი საკუთარი სახელი თან ერთვის ამ გვარ-სახელს:

ა ფ ა ქ ა ფ ა ქ ი-ი ა ნ, რ უ რ ა გ რ უ რ ა-გ-ი ა ნ, რ ა რ-
კ ვ ა ლ ა ჯ რ ა რ კ ვ-ი ა ნ, ჭ უ შ ი ჭ უ შ ი ლ ი ა ნ.
ჭ უ შ ადრინდელ სვანურში ვაჟკაცს აღნიშნავდა. ამ მნიშვნელო-
ბით იგი დღემდე შემოინახა სვანური ენის ლაშხურმა კილომ. ძველი
სვანური ვ ა ხ თ ა გ-ი ქართულ ვ ა ხ ტ ა ნ გ ს შეესატყვი-
სება. შემდგომ პერიოდში ეს სახელი სვანურმა კიდევ უფრო მეტად
განასხვავა და ვ ო ხ თ ა-დ აქცია.

ადრინდელი სვანური საკუთარი სახელი კვირიკე ადამიანის საკუ-
თარ სახელად არ შეინიშნება. იგი კალაში წმ. კ ვ ი რ ი კ ე ს
ეკლესიის სახელადაა იხმარება. აქედან ჩანს ნაწარმოები წარმომა-
ვლობის -ელ და -იან სუფიქსებით კ ვ ი რ კ ვ-ელ-ი ა ნ, შემდეგ
მეგრულში კ ვ ი რ კ ვ ე ლ ი ა-ს სახით დამკვიდრებული.

5. გვარ-სახელი ყ ვ ი ც ი ნ-ე ლ- ი ა ნ გავრცელებულია XIII
საუკუნის ბალსქვემოთა სვანეთში. გამოიყოფა ყ ვ ი ც ი სახელი,
რომელიც მეტსახელად იხმარებოდა. მასზე დამყარებით შეიქმნა გვარ-
სახელი ყ ვ ი ც ი ნ ე ლ ი ა ნ, რომელსაც ყ ვ ი მარცვალი ჩამო-
სცილდა და დღეს ც ი ნ ე ლ-ა ნ-ის სახით იხმარება.

6. სვანური ც ი ნ დ ე ლ-ა ნ <წილდელ-ან ფორმისაგან (დისიმი-
ლაციური მოვლენაა: -ელ სუფიქსის ლ-მ განიმსგავსა -ილ სუფიქსის
ლ : ლან). ცილდ-ელ-ან ფორმა ძალაუნებურად გვაგონებს მეგრულ
ჯვარს. ც ი რ დ ა ვ ა. სვანური ლარ. -ელ სუფიქსის ლაბიალიზებული
მაგარი ლ მეგრულში ვ-ს სახით არის წარმოდგენილი. თუ ეს მართალია,
მაშინ ც ი რ დ ა ვ ა-ს და ც ი ნ დ ე ლ-ა ნ-ს ერთმანეთთან კავშირი
უნდა ჰქონოდათ XIII საუკუნის შემდეგ, რადგან XIII საუკუნეში სვა-
ნურში ჯერ კიდევ ცოცხალია ყ ვ ი ც ი ნ ე ლ ა ნ. ანალოგიური მდგო-
მარეობა გვაქვს მეგრ. კუც-ია და სვან. კვიც-იან სახელებთან და-
კავშირებითაც. ამ სახელების გენეტური კავშირიც უფრო გვიანდელი
შეხვედრების შედეგი ჩანს, რადგან XIII საუკუნის სვანურში კვიცი-
ანი არა გვაქვს. დადასტურებულია მხოლოდ ამოსავალი კ უ ნ ც ე რ ი-

ა ნ ფორმა. თუმცა ეს საკითხი ისტორიკოსის განსჯის საგანია.

7. საკუთარ სახელთა მორფოლოგიასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს შემდეგი: უმეტესობა საკუთარი სახელებისა სახელობით ბრუნვაში უნიშნოდ გვაქვს: შამქან, ცხაგა, ივანე, გვანგავა, ვეშაგ, მარიამ, მიქაელ, ჩარგას, ბემქენ, შალვა, ჩხაგუ, არლუნ, საღირ, ბახსარ, თენგურ, ანგურაგ, თათე, ათარ... სახელობითი ბრუნვის ეს უნიშნობა ბუნებრივი უნდა იყოს სვანური ენისათვის, სადაც საკუთარი სახელის სახელობითი ბრუნვა, როგორც ლიტერატურიდან ეციით, არასდროს განსაზღვრული არ უნდა ყოფილიყო ([2] 151-157), მაგრამ საკუთარ სახელთა მნიშვნელოვან ნაწილს XIII საუკუნის სვანურში სახელობით ბრუნვაში -ი ან -ა სუფიქსი აქვს: მაგ.: ოქროპირ-ი, ბერეტ-ი, ნავროზ-ი, უსგურ-ი, თეთვრაჲ, ქენა-ა, თოვლა-ა...

რას უნდა ნიშნავდეს საკუთარ სახელებში სახელობითი ბრუნვის -ი (II-ა) ნიშანი? თუ ეს ი წარმოშობით მსაზღვრელი ნაწევრისაგან მომდინარეობს, მაშინ რაში სჭირდება საკუთარ სახელს იგი სახელობით ბრუნვაში? განა საკუთარი სახელი უამისოდაც განსაზღვრული არაა?

იქნებ XIII საუკუნის სვანურში ახლანდელი ქართულ-ზანურის მსგავსად საკუთარი სახელები გაუტოლდნენ საზოგადო სახელებს და მათი გავლენით საკუთარ სახელებმაც დაირთეს სახელობითი ბრუნვის -ი სუფიქსი? თითქმის არა! სვანურ საკუთარ სახელთა სახელობითი ბრუნვის ფორმასთან დაკავშირებით ჩვენ სრულიად გასაზიარებელი გვეჩვენება პროფ. ზ. ჭუმბურიძის მოსაზრება. სვანურში საკუთარი სახელი სახელობით ბრუნვაში არასდროს გაფორმებული არ იყო. იგი განუსაზღვრელი იყო, რადგანაც იგი ისედაც განსაზღვრულია და, მიუხედავად ამისა, XIII საუკუნის სულთა მატრიანეში, ბევრი საკუთარ სახელად ხმარებული მასალა სახელობით ბრუნვაში -ი (II-ა) ნიშნიანია. ეს იმიტომ, ჩვენი აზრით, რომ ეს სახელები საზოგადო სახელებია წარმოშობით და უერ კიდევ საკუთარ სახელებად ლამცვიდრების პრო-

ცესში იმყოფებიან. ამიტომ სახელობის -ი საზოგადო სახელების-
გან მოჰყვებათ მათ საკუთარ სახელებში. ასეთი სახელებია, მაგ.:
ოქროპირი, სვან. წარმოშობის ბერევი, რაც რკინას
ნიშნავს, ნავერო - სპარსულიდან შემოსული სიტყვა (შდრ.:
ქართული ნავროზაშვილი).

ეს საზოგადო სახელები კარგი საბუთია იმისაც, რომ სახელობითი
ბრუნვის ნიშანი სვანურში უფრო -ი იყო ([3] 150-155), რომელიც
საერთოა ქართველური ენებისათვის.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

М. М. КАЛДАНИ

К образованию имен собственных в сванском языке
(по материалам исторических памятников Сванетии)

Резюме

1. Древние сванские имена как семантически, так и струк-
турно выявляют большое сходство с соответствующим грузин-
ским материалом. Это сходство тем больше, чем древнее ана-
лизируемые имена, и оно уменьшается в именах более поздне-
го образования.

2. С точки зрения морфологии привлекает внимание то, что
некоторые сванские имена собственные имеют в именительном
падеже (в отличие от древнегрузинского и позднее сванского)
падежные окончания: имена с основой на гласный -ი, а на со-
гласный -აჟ. Эти собственные имена являются именами нарица-
тельными (ოქროპირი, ბერევი... okropiri, berevi), чем и мо-
жно объяснить наличие у них падежных морфем.

В дальнейшем суффикс именительного падежа был утерян
этими именами и след его сохранился в умлауте основы.

ლიტერატურა

1. პ. ი ნ გ ო რ ო ყ ე ა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, I, ნაკვეთი II, ტექსტები, თბ., 1941.
2. ზ. ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე, საკუთარ სახელთა ბრუნება სვანურში, ასუ ძე. ქართ. ენის კათედრის შრომები, 9, თბ., 1964.
3. მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, სახელობითი ბრუნვისა და მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელ სუფიქსთა საკითხისათვის სვანურში. ქესს, IV, თბ., 1974.

გიორგი ცოცანიძე

თუშეთში გავრცელებული გვარები და სახელები
საეკლესიო ჩანაწერების მიხედვით

თუშეთში, სოფელ ილიყურთის მთავარმოწამის სახელობის ეკლესიაში დაცულია აღსარების მთქმელთა სიები, რომლებსაც ადგენდნენ მღვდლები ყოველწლიურად. სიებში შეჰქონდათ იმ პირთა გვარები, სახელები და მამის სახელები, წლოვანებისა და სქესის ჩვენებით, ვინც იმ წელს თქვა აღსარება და ეზიარა. სიები მე-19 საუკუნის შორე ნახევრისაა. ყველაზე ძველი სია 1845 წელსაა შედგენილი. მომდევნო თარიღიანი სია უკვე 1868 წლისაა. მათ შორის არის რამდენიმე ნაკლული სია, უთავფურცლო და, ამდენად, უთარილოც. ყველაზე ახალი სია 1910 წელსაა შედგენილი.

წერილობითი დოკუმენტური ისტორიით ისეთი ღარიბი კუთხისათვის, როგორც თუშეთია, ამ საბუთებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. საინტერესო ჩვენებებს იძლევა ეს სიები დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიური ისტორიის მვალსაზრისით, მაგრამ უფრო ფასიელია ისინი ქართული ანთროპონიმიის შესწავლისათვის. აქ წარმოდგენილი მასალის ბროსპექტულ-შეღარებითი განხილვა ზოგ საინტერესო ჩვენებას იძლევა თუშეთში გვარის სახელთა ჩამოყალიბების, მათი სიტყვაწარმოებითი გაფორმების, პირთა სახელების წარმოებისა და მათი გავრცელებულების თაობაზე.

ილიყურთის ეკლესიის სამრევლოში რვა სოფელი შედიოდა: თვით ილიყურთა, ბუხურა, ბედელა, დოჭუ, გოგრულთა, საჩილოლო, ვესტმო, ვესტომთა. ამ რვა სოფლის მასალაა წარმოდგენილი აღნიშნულ დოკუმენტებში.

როგორც აღვნიშნეთ, ხსენებული სიები ზოგ საინტერესო ჩვენებას

იძლევა თუშეთის ახლო წარსულის სოციალურ-ეკონომიური მიმართებების თვალსაზრისით; სიები შედგენილია ოჯახების მიხედვით. აქ, განსაკუთრებით ადრეული პერიოდის სიებში, მრავლად ვადასტურებთ დიდ, გაუყრელ ოჯახებს, სადაც ერთ კომლად ირიცხებიან ოჯახის უფროსი მამა თავისი ცოლით და მცირეწლოვანი შვილებით, ძმები თავისი ცოლ-შვილებით და ზოგჯერ ბიძაშვილებიც თავისი ცოლ-შვილებით; ასე, მაგალითად, 1845 წლის ჩანაწერის მიხედვით სოფ. ილიყურთაში ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ:

ჯამრული ბახტურის ძე თირდილაშვილი,
ცოლი ამისი თამარ ბეროს ასული,
- შვილი ამათი დავით,
ძმისწული ჯამრულისა ღვთისაგარ,
ცოლი ამისი მარიამ ლუის ასული,
შვილნი ამათნი: ლუი, სოლომან,
ძმა ღვთისაგარისა თევდორე,
და ამათი მართა,
ქვრივი დედა ამათი თამარ ივანეს ასული,
ბიძაშვილი თევდორესი ქრისტესია,
ცოლი ამისი მაგდან გიორგის ასული,
შვილი ამათი ელისაბედ,
დები თევდორესი: მაია, ნინო,

სულ ამ ოჯახიდან ჩაწერილია 14 სული.

ეს საბუდეები გვიდასტურებს ეკონომიკურ-ეთნოგრაფიულ თვალსაზრისით ერთ საინტერესო ფაქტსაც: კერძოდ იმას, რომ სხვა გვარის კაცის ქვრივი თავისი შვილებით აღირიცხება სხვა გვარის ოჯახში. ე.ი. ორი ოჯახი გაერთიანებულია ერთ ოჯახად. ასე, მაგალითად, სოფელ ვესტომთაში თათარა ბეროს ძე თავბერიშვილის ოჯახი ასეთი შემადგენლობისაა:

თვით თათარა ბეროს ძე თავბერიშვილი,
ცოლი ამისი მერცხალა გიორგის ასული,
შვილნი ამათნი: ბუეთი, მართა, ივანე, ნაკუდა,
ძმისწულნი თათარასი: თავბერი, მარიამ, ზაქარია,
მარგალიტა, ელისაბედ.

ქვრივი დედა ამათი სამძიმა თირღილას ასული,
ქვრივი გელა თავბერისშვილისა მარიამ გიორგის ასული,
შვილნი ამისნი: აამარ, ამირან, ივანე, იოსებ,
ქვრივი გიორგი ამირანიძისა ათო ზიოს ასული,
შვილნი ამისნი: სიმა, მარიამ.

ეს არის ყველაზე მრავალსულიანი ოჯახი, რაც ჩვენ დავადასტურეთ
ამ ჩანაწერებში. იგი ოცი სულისაგან შედგება. თათარა თავბერიშვი-
ლის ოჯახში მის ცოლ-შვილთან ერთად ირიცხებიან მისი ხუთი ძმისწუ-
ლი მათივე დედი, გელა თავბერიშვილის ქვრივი მარიამი თავისი ომ-
ხი შვილით და სხვა გვარის კაცის - გიორგი ამირანიძის ქვრივი ათო
თავისი ორი შვილით. ეს ბოლო ფაქტი იმიტად საინტერესო, რომ მისი
სახით საქმე უნდა გეჭონდეს თუშეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში
არც თუ ისე დიდი ხნის წინათ გაცრედილებულ მოვლენასთან - შ ა რ-
თ ა ე ო ზ ა ს ა ნ ა ნ ა : უკაცოდ და უთავისიანოდ დარჩენილი ახალგაზ-
რდა ქვრივი (ივი იმცამად 21 წლისაა) თავისი ორი შვილით შექცედ-
ლებია (შ ე ღ ნ ა რ თ ვ ე ბ ი ა) ძლიერ ოჯახს, ცხადია, სისხლით
ნათესავს, მავკამ მაინც სხვა ოჯახს. ეს ფაქტი საინტერესოა ანთრო-
პონომიკის თვალსაზრისითაც, კერძოდ იმით, რომ გვარის სახელი
ა მ ი რ ა ნ ი ძ ე . ევსტომთაში ამის შემდეგ აღარ გვხვდება,
ოღონდ თავბერიძეთა გვარში ჩნდება ახალი გვარის განშტოება -
ა მ ი რ ა ნ ი ა ნ ი , რაც ღღემდისაცაა შემორჩენილი. ეს უნდა იყოს
გვარის განშტოებათა სახელების წარმოშობის ერთი გზა. ძირითადი
გზა კი მაინც ჩანს ერთი გვარის ოჯახებიდან გყართა განშტოებების
გამოყოფა, რომლებიც სახელებს იღებს უამყოფისას ოჯახის უფროსის

სახელის მიხედვით. იმავე თავბერიძეთა გვარში დღეს სამი გან-
 შტოება გამოიყოფა: ამირანიანი, სოლომანაყანი და გურგენაყანი.
 პირველი, როგორც ვნახეთ, მომდინარეობს თავბერიძეებს შენარ-
 თვებული ამირანიძეთა გვარისაგან, რომლის წარმომადგენლებმაც შე-
 ნართეების შემდეგ თავბერიძის გვარი მიიღეს, მათი ძველი გვარი
 კი იქცა გვარის განშტოების სახელად. რაც შეეხება ორ დანარჩენს,
 მათ პირთა სახელები უდევს საფუძვლად: ს ო ლ ო მ ა ნ ი ც და
 გ უ რ გ ე ნ ა ც თავბერიძეთა გვარში ოჯახების უფროსებია, რო-
 მელთა შთამომავლობაც ამ გვარში გამოიყოფა ს ო ლ ო მ ა ნ ა ა ნ თ
 და გ უ რ გ ე ნ ა ა ნ თ შტოებად. ასევე, სოფელ ილიჯურთაში, ბახ-
 ტურიძეთა გვარში, გამოიყოფა სამი შტო: ბახტურნი, ივაყანი და
 ლაღლაყანი. 1868 წლის ჩანაწერში ვადასტურებთ ოჯახის უფროსთა
 სახელებს: ბახტურს, ლაღლას და ივას, რომელთაგანაც იღებს სათა-
 ვეს ხსენებულ შტოგვართა სახელები. ამგვარი ფაქტები ჩვენს ჩანა-
 წერებში იშვიათი არაა.

ჩვენ შევადგინეთ გვართა სახელების ნუსხა სოფლების მიხედვით
 და ანბანთრიგზე ჩამოგწერეთ პირთა სახელები. აქ მოცემული გვარე-
 ბი და პირთა სახელები ამოკრებილი ვვაქვს ძირითადად სამი წლის -
 1845, 1868 და 1869 წლების ჩანაწერებიდან. ამ სიების საფუძვლია-
 ნი ღამეშავება და მათი მჟლიანი სახით ვამოცემა მომავლის საქმედ
 გვაქვს დასაბუღი. აქ მოგვაქვს პირთა მხოლოდ ის სახელები, რომ-
 ლებიც, ჩვენი ვარაუდიმ, სპეციფიკურ თუშურია და რომლებიც არ იქნე-
 ბოდა მოცემული იმპროინდელ საეკლესიო სახელდასარეკომენდაციო
 ნუსხებში.

გ ვ ა რ თ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ი

ს. ილიჯურთა

1. ბახტურიძე (1845)წ.), ბახტურიშვილი (1868, 1869 წწ.)
2. ბუჩაიძე (1845 წ.)

3. თათარიძე (1845 წ.)
4. თირღილაშვილი (1845, 1868, 1869 წწ.)
5. მელწაიძე (1845, 1868, 1869 წწ.)
6. მეშელისშვილი (1845 წ.)
7. ოთარიძე (1845 წ.)
8. რაქამიშვილი (1868 წ.)
9. ჩაფირაშვილი (1868, 1869 წწ.)
10. ჩუნთოიძე (1845 წ.)
11. წვერაიძე (1845 წ.)
12. წუდაქაიძე (1845, 1869 წწ.), წუდაქაშვილი (1868, 1869 წწ.)
13. ჭუტიაიძე (1845 წ.)
14. ხელაშვილი (1869 წ.)
15. ხეცაურიძე (1845 წ.)
16. ჯამრულიშვილი (1868, 1869 წწ.)

ს. ბუხურთა

1. აფთარაიძე (1845, 1869 წწ.), აფთარაშვილი (1868 წ.)
2. ნანაიძე (1845 წ.)
3. კუპრაიძე (1868, 1869 წწ.)
4. ცოცანიძე (1845, 1868, 1869 წწ.)

ს. ბეღელა

1. ბულრიძიშვილი (1868, 1869 წწ.)
2. გაოშვილი (1845 წ.)
3. გიგოძისშვილი (1868, 1869 წწ.)
4. თენდორიძე (1845 წ.), თენდორაძე (1845 წ.), თენდორიძისშვილი (1868, 1869 წწ.)
5. იჩოიძე (1845 წ.)

6. კოჭაურძე (1845, 1868, 1869 წწ.) კოჭაურიშვილი
(1868 წ.)
7. ფილაური (1868 წ.)
8. ღვთისიასშვილი (1868 წ.)
9. შაბალაძე (1845, 1868 წწ.) შაბალაძე (1845 წ.)
შაბალაშვილი (1869 წ.)
10. კვანთშვილი (1868, 1869 წწ.)

ს. დოჭუ

1. აბულიძე (1868 წ.)
2. აფშინაძე (1845, 1868, 1869 წწ.)
3. ბექურაული (1845 წ.)
4. გოთაძე (1845 წ.), გოთიძე (1845 წ.)
5. გოჩილაძე (1845 წ.) გოჩილაშვილი (1868, 1869 წწ.)
6. ზურაძე (1845 წ.), ზურიძე (1845 წ.), ზურაშვილი
(1868 წ.)
7. თურქიძე (1845 წ.), თურქოძე (1845 წ.)
8. თორღვაძე, თორღოძე (1845 წ.), თორღვაშვილი (1868, 1869 წწ.)
9. დეგუშაძე (1868, 1869 წწ.)
10. ლუხუმიშვილი (1868, 1869 წწ.)
11. მელაძე (1845 წ.)
12. ნაცვალაძე (1845 წ.), ნაცვალაშვილი (1868 წ.)
13. ღვთისიასშვილი (1845 წ.)
14. ყაჭიურიშვილი (1868, 1869 წწ.)
15. ციხელიძე (1845 წ.)
16. წომიკურაშვილი (1868, 1869 წწ.)
17. ჯარჯოძე (1845 წ.), ჯარჯოშვილი (1869 წ.)
ჯარჯრისძე (1845 წ.)
18. ხაჩივრიძე (1845 წ.), ხაჩიურიშვილი (1868, 1869 წწ.)

19. ხიზივრიშვილი, ხიზიურიშვილი (1868, 1869 წწ.)
 20. ბოხიური (1845 წ.) ხოხიაურიშვილი (1869 წ.)
 ხოხიაურისშვილი (1868 წ.)
 21. ხუნჩალეშვილი (1869 წ.)

ს. გოგრულთა

1. ბაკურისშვილი (1845 წ.), ბაკურიშვილი (1868, 1869 წწ.)
 2. ბორშოიძე (1868, 1869 წწ.), ბორშოშვილი (1868 წ.)
 3. ბუქოიძე (1845, 1868, 1869 წწ.) ბუქოშვილი (1868წ.)
 4. ბუცოიძე (1845 წ.)
 5. ივანიძე (1845, 1869 წწ.), ივანაშვილი (1868 წ.)
 6. მეშველისშვილი (1845 წ.)
 7. ყამიჩიშვილი (1868, 1869 წწ.)
 8. ხაბაშვილი (1845, 1868, 1869 წწ.)

ს. საჩიღოლო

1. აბაიძე (1845, 1868, 1869 წწ.)
 2. გუთანაიძე (1845, 1868, 1869 წწ.), გუთანაშვილი
 (1868 წ.)
 3. ქოთილაიძე (1868 წ.)
 4. ჯარჯოშვილი (1845 წ.)

ს. ვესტმო

1. თათარისშვილი (1845 წ.)
 2. იჩოიძე (1845 წ.), იჩუაიძისშვილი (1868, 1869 წწ.)
 3. რაინაული (1845, 1868, 1869 წწ.)
 4. სულგუმიძე (1845 წ.)
 5. უიუნაური (1845, 1868, 1869 წწ.), უიუნაურისშვილი
 (1868 წ.)

ს. ვესტომთა

1. ამირანიძე (1845 წ.)
2. აშეშვილი (1845 წ.)
3. გელაურიძე (1845 წ.)
4. თავბერიშვილი (1845, 1869 წწ.)
5. კარხილაური (1868, 1869 წწ.)

პ ი რ თ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ი

აბული	(კ)	ბერდია	(კ)
ადლო	(კ)	ბერო	(კ)
ათო	(კ)	ბეჟანი	(კ)
აღუდა	(კ)	ბეჟო	(კ)
ამირა	(კ)	ბიგა	(კ)
ამირან	(კ)	ბილო	(კ)
ანთა	(კ)	ბოწი	(კ)
აფშინა	(კ)	ბუჟათი	(კ)
აშე	(კ)	ბუჟვა	(კ)
ბაბაჩი	(კ)	ბუქო	(კ)
ბაბო	(კ)	ბუღრი	(კ)
ბაბუცი	(კ)	ბურა	(კ)
ბადო	(კ)	გაგო	(კ)
ბაი	(კ)	განა	(კ)
ბაინდური	(კ)	გაწირა	(კ)
ბაიძე	(კ)	გელა	(კ)
ბაკური	(კ)	გიგა	(კ)
ბაქა	(კ)	გიგაური	(კ)
ბაქი	(კ)	გიო	(კ)
ბახტური	(კ)	გოგნელი	(კ)
ბერა	(კ)	გოი	(კ)

გორი	(კ)	ფურქი	(კ)
გულბათი	(კ)	ფურქო	(კ)
გულუხა	(კ)	იდაბანი	(კ)
დაი	(ქ)	იმედა	(კ)
დარქიზან	(კ)	ისა	(კ)
დაქი	(კ)	ირო	(კ)
დაქო	(კ)	ირუკა	(კ)
დილო	(ქ)	კასო	(კ)
დიმფა	(ქ)	კიკელა	(ქ)
ებაიძე	(კ)	კვირიკა	(კ)
ექვთინე	(კ)	კიკა	(ქ)
ვარდი	(ქ)	კიცვა	(კ)
ზაზა	(კ)	კორე	(კ)
ზეზვა	(კ)	კოჭაური	(კ)
ზეზო	(კ)	ლაგაზი	(კ)
ზობა	(კ)	ლეგა	(კ)
თავბერა	(კ)	ლილაძე	(კ)
თავბერი	(კ)	ლუი	(კ)
თათაღე	(ქ)	ლუხუმა	(კ)
თათარა	(კ)	ლუხუმი	(კ)
თათარი	(კ)	მამაზი	(კ)
თათაო	(კ)	მარხვა	(კ)
თათრული	(კ)	მახრო	(ქ)
თაღია	(ქ)	მგელა	(კ)
თარქიონი	(კ)	მგელო	(კ)
თენდორე	(კ)	მეი	(ქ)
თირდილა	(კ)	მერცხალა	(ქ)
თორღვა	(კ)	მეტილი	(კ)
თორღო	(კ)	მეშვილი	(კ)

მეტა	(ქ)	სიკო	(ქ)
მეწყინა	(ქ)	სიმა	(ქ)
მზექალა	(ქ)	სიმენა	(ქ)
მთვრალა	(კ)	სირბილაური	(კ)
მინდია	(კ)	სოხური	(კ)
მიქა	(კ)	სულხანი	(კ)
მოზა	(კ)	სუნბატი	(კ)
ნათელი	(ქ)	ტალივრი	(კ)
ნათელიძე	(კ)	ტიტია	(კ)
ნაკულა	(კ)	ულფა	(კ)
ნანა	(ქ)	უშიშა	(კ)
ნანაიძე	(კ)	ფიჯაური	(კ)
ნანელი	(ქ)	ფილაური	(კ)
ნანო	(ქ)	ფუნჩა	(კ)
ნანოზე	(კ)	ქავთარი	(კ)
ნაცვალა	(კ)	ქასო	(კ)
ნებიერი	(კ)	ქაქო	(ქ)
ნისტო	(ქ)	ქაცო	(კ)
ომანი	(კ)	ქელა	(კ)
პაპა	(კ)	ქელაიძე	(კ)
რატამი	(კ)	ქოთილა	(კ)
საბარა	(ქ)	ლაზილა	(კ)
საბელო	(ქ)	ლაღალა	(კ)
საკი	(ქ)	ღვთისაგარი	(კ)
საკო	(ქ)	ღვთისია	(კ)
სამკა	(ქ)	ღვინიანი	(კ)
სამძიმა	(ქ)	ღუბაქელი	(კ)
სამძიმი	(ქ)	ღუმბაქელი	(კ)
საყურა	(კ)	ყვარელი	(კ)

ყიზილა	(ვ)	ჭოქი	(ვ)
შაბალი	(ვ)	ჭუმბა	(ვ)
შაბურა	(ვ)	ხაჩიური	(ვ)
შაოთ	(ვ)	ხაჩო	(ვ)
შიშხა	(ვ)	ხელა	(ვ)
ჩაკო	(ვ)	ხეცაური	(ვ)
ჩანთელი	(ვ)	ხეცო	(ვ)
ჩაფირა	(ვ)	ხვედღეგი	(ვ)
ჩიხო	(ვ)	ხიზანა	(ვ)
ჩუნთო	(ვ)	ხიზივრი	(ვ)
ცოგი	(ვ)	ხიო	(ვ)
ძალლიკა	(ვ)	ხოსრო	(ვ)
ძაძიკი	(ვ)	ხუი	(ვ)
წომიკი	(ვ)	ხუნჩაღე	(ვ)
წომიკური	(ვ)	ხუსრო	(ვ)
წუდაქა	(ვ)	ხუტი	(ვ)
ჭანთო	(ვ)	ჯამარი	(ვ)
ჭარელი	(ვ)	ჯამრული	(ვ)
ჭებეხა	(ვ)	ჯანია	(ვ)
ჭვრიტი	(ვ)	ჯაო	(ვ)
ჭოლიკი	(ვ)	ჯარჯო	(ვ)
ჭოლიკიძე	(ვ)	ქეცაური	(ვ)

აქ წარმოდგენილ გვართა სახელების დიდი ნაწილი დღესაც დასტურდება ამ სოფლებში, ნაწილი კი თანდათან ქრება. მაგალითად, სოფ. ილიურთის მცხოვრებთა შორის 1845 წელს 16 გვარია აღრიცხული. აქედან სამი – რაკამიშვილი, ოთარიძე, მეშველისშვილი საერთოდ აღარ ჩანს თუშეთის სინამდვილეში (მაგრამ მათგან ორი ღარჩენილა ტაპო-

ნიმუშში: ამ სოფლის ახლოს გვაქვს ადგილები სახელებით: ო ა ა-
 რ ი ბ ო ს ე ლ თ ა ნ ა და რ ა უ ა მ ი ა ნ თ ე კ ლ ე ბ ი).
 სამი გვარი ამ სოფელში აღარ დასტურდება - არის სხვა სოფლებში.
 ეს გვარებია: ბუჩაიძე, თათარიძე, წვერაიძე. ერთი გვარი - ჭუტი-
 აიძე ამავე სოფელში იხსენიება გვარის განშტოების სახელად. ასეთი-
 ვე მდგომარეობაა სხვა სოფლების გვარებთან დაკავშირებითაც. ამ
 მოვლენების მიზეზები შეიძლება რამდენიმე იყოს: ა) გვარი ამოწყდა
 და მისი სახელიც გაქრა, მაგ., რაუამიშვილი. ბ) მცირერიცხოვანი
 გვარი შეუერთდა სხვა გვარს და მისი სახელი მიიღო (ზემოთ ნახსენ-
 ები ამირანიძეთა გვარის მაგალითი). გ) გვარის სახელი გამოიცვა-
 ლა: 1845 წლის ჩანაწერებში არის ხელა ჭუტიაიძე. დღეს ჭუტიაანი
 რამდენიმე ოჯახია და მათი გვარის სახელი ხელაიძეა. ე.ი. ხელა
 ჭუტიაიძემ სათავე დაუდგა ახალ გვარს, რომელმაც ძველი შეცვალა.
 დ) შესაძლებელია გვარები გადასახლდნენ სხვა სოფლებში: წვერაიძე-
 ნი - შტროლთაში, ბუჩაიძენი - ჯვარბოსელში, თეთრაძენი - ხახაბოში.

გვარის სახელთა წარმოება ჩვენი მასალის მიხედვით ძირითადად
 ორგვარია: ძ ე-თი და შ ვ ი ლ-ით. სულ სამად სამი შემთხვევაა
 უ რ-ით წარმოებისა: რ ა ი ნ ა უ ლ ი, უ თ უ ნ ა უ რ ი, ხ ო ხ ი-
 ა უ რ ი. ეს ბოლო გვარი შემდეგ ხოხიაძედ იქცევა, უთუნაური საერ-
 თოდ ქრება, მხოლოდ რაინაული გასდევს თავიდან ბოლომდის ჩანაწერებს
 და დღესაც ამავე ფორმით დასტურდება იგი. გვარის სახელთა წარმო-
 ების წესი სტაბილური არ არის: ესა თუ ის სახელი ერთ ჩანაწერში
 რომ ერთნაირადაა ჩაწერილი, სხვაგან სხვა ფორმითაა წარმოდგენილი.
 ასე მაგალითად, 1868 წლის ჩანაწერში ცხვდობით ერთი გვარის ორნა-
 ირ გაფორმებას: გიორგი ძე ლილაძისა ბ უ ქ ო შ ვ ი ლ ი და
 მთვრალა ძე გიორგისა ბ უ ქ ო ი ძ ე. 1869 წლის ჩანაწერში ორი-
 ვე ეს ბიროვნება ბ უ ქ ო ი ძ ე ა. ასევეა: ა ფ თ ა რ ა ი ძ ე -
 ა ფ თ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ბ ა ხ ტ უ რ ი ძ ე - ბ ა ხ ტ უ რ ი შ ვ ი-
 ლ ი, შ ა ბ ა ლ ა ი ძ ე - შ ა ბ ა ლ ა შ ვ ი ლ ი, რ ა უ ა მ ი-

.ძ ე - რ ა ე ა მ ი მ ე ც ი ლ ი ღ ა ს ხ ე ა . როგორც ჩანს, ახლად ეყ-
რება საფუძველი გვარის სახელთა ამგვარი გაფორმების ტრადიციას
და ამ ტრადიციას საფუძველს უყრის საეკლესიო ჩანაწერები. მანამ-
დის, ალბათ, გვარები ისე მოიხსენიებოდა, როგორც იხსენიება ღღე-
საც ზეპირმეტყველებაში: აფარაყანი, შაბლიანი, ბახტურნი, ხოხი-
აყანი, ლევეშაყანი და სხვა.

გვარის სახელთა და პირის სახელთა მიმართებებიდან საყურადღე-
ბოა ის, რომ ჩვენს ნუსხებში არ დასტურდება არც ერთი გვარის სა-
ხელი, რომლის შესატყვისი ფუძეც არ მოგვეპოვებოდას პირის სახელ-
თა სიებში: ბახტურიძე - ბახტური, ქოთილაძე - ქოთილა, ხელაძე -
ხელა, ვანთოშვილი - ვანთო და სხვა. შეიძლება ითქვას, რომ გვარის
სახელები თუშეთში მომდინარეობს მხოლოდ პირთა სახელებიდან. არა
გვაქვს სადაურობის აღმნიშვნელი, ხელობა-პროფესიის აღმნიშვნელი
ან სხვა რაიმე სახელებიდან მომდინარე გვარები.

პირის სახელებში შეიმჩნევა სახელთა ორი წყება: ერთი ქრისტი-
ანულ-ქართული, რომელნიც მომდინარეობენ საეკლესიო ნუსხებიდან და
რომლებსაც მღვდლები არქმევდნენ ბავშვებს. ამ ჩანაწერების მიხედ-
ვით ასეთი სახელები ძირითადად შეიღებს ჰქვია: ღ ა ე ი თ ,
ა ლ ე ქ ს ი , ე ლ ი ს ა ბ ე დ , მ ა რ ი ა მ , ნ ი კ ო ლ ო ზ და
სხვანი და მეორე - ძირძველი, თუშური სახელები, რომლებიც საქარ-
თველოს სხვა კუთხეებში, განსაკუთრებით ბარში უკვე დიდი ხანია
აღარ გვხვდება. ასეთი სახელები ჰქვია ძირითადად უფროს თაობას:
ბ ე რ ო , მ თ ვ რ ა ლ ა , ლ ე გ ა , ჯ ა მ ა რ ი , ჩ ა ფ ი რ ა ,
რ ა ე ა მ ი , წ უ დ ა ქ ა , ხ უ ს რ ო . . .

არაიშვიათია სახელის გადარქმევის შემთხვევებიც: ილიურთაში
1868 წლის ჩანაწერში მოიხსენიება ს უ ლ ხ ა ნ ძე გოლიკისა
ჩაფირაშვილი და ცოლი ამისი ზ ო ნ ი გიორგის ასული. 1869 წელს
კი იგივე პირები ასე არიან მოხსენიებულნი: მ ა ძე გოლიკი-
სა ჩაფირაშვილი და ცოლი ამისი ე ლ ე ნ ე გიორგის ასული. ე . ი .

ს უ ლ ხ ა ნ ი გახდა თ ო მ ა, ხოლო ზ ო რ ი - ე ლ ე ნ ე. ამავდროგისაა ი რ ო ძე. მეშველისა წუდაქაშვილი (1868) და დ ა ვ ი თ ძე მეშველისა წუდაქაშვილი (1869), ძმისწული მთვრალასი ც ო გ ი (1868) და ძმისწული მთვრალასი დ ა ვ ი თ (1869), ზ ო რ ი თათარას ასული და ზ ე ნ ო ბ ი ე რ თათარას ასული, ს ა მ ც ა დავითის ასული და ს ი დ ო ნ ი ა დავითის ასული.

ჩვენს ხედთ არსებულ ჩანაწერებში ქალის მამისახელის დანართი ა ს უ ლ ი ყოველთვის სახელის მომდევნოადა. რაც შეეხება მამაკაცთა მამისახლებს, იქ ძ ე ზოგ ჩანაწერში წინ უძღვის სახელს, ზოგში კი მოსდევს მას. 1868 წლის ჩანაწერებში ძ ე უგამონაკლისოდ მამის სახელის წინ დგას. უკვე მომდევნო წლის ჩანაწერებში კი ეს წესი იცვლება და ძ ე მოსდევს მამისახელს: ვასილ ძ ე ბ უ ჟ ა თ ი ს ა თავბერიშვილი (1868) - ვ ა ს ი ლ ბ უ ჟ ა თ ი ს ძ ე თავბერიშვილი (1869), სტეფანე ძ ე ნ ე ბ ი ე რ ი ს ა უთუნაურისშვილი (1868) - სტეფანე ნ ე ბ ი ე რ ი ს ძ ე უთუნაური.

აქ უნდა ჩანდეს ანარეკლი იმ წესისა, რომ თუშეთში, როცა კაცი ან ქალი მამისახელით მოიხსენიებოდა, მას ძ ე და ა ს უ ლ ი არ ერთეოდა, იყო მხოლოდ მამისახელი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით. ამის უხვ ილუსტრაციებს ხალხურ პოეზიაში ვადასტურებთ:

„აქვარის მთაი, მთაზედა ცხენი ზძოვს იალაღზედა,
... ზედა ზის თ ო თ ი ს ქ ე დ ა ც ი, ხელმწიფე
დროშაიანი“.

„ჩამკე, ჩამკე, ქალო, ს ო კ ი ს მ ე რ ც ხ ა ლ ა ც ო,
ძმან მოგიდიანაჲ შვილნივ, შვიდს წელს ნატყვეობნივ“.

„ღ უ ც ი ს ლ უ ხ უ მ ი ს ქ ა ლ ე ბ ი, კურკვეთ
ტირლით დიანავ“.

„ჟ თ ა ვ ზ ი ს მ ა რ ა ც ი ზ ე მ ა ცხენს
გაპოუნასკვ ძუანივ“.

საკუთარ სახელთა მორფოლოგიიდან ისაა ყურადღებაშისაქცევი, რომ, წინააღმდეგ ზოგადი ქართული წესისა, აქ სახელი იკუმშება, როცა ამის ფონეტიკური პირობები იქმნება: **ჯ ა მ ა რ ი - ჯ ა მ რ ი ს** ასული, **შ ა ბ ა ლ ი - შ ა ბ ლ ი ს** ასული, **ხ ი ზ ი უ რ ი - ძე** **ზ ი ზ ი ც რ ი ს ა**.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

Г. И. ЦОЦАНИДЗЕ

Фамилии и имена, распространенные в Тушетии (по данным церковных записей)

Р е з ю м е

1. В Тушетии, в церкви селения Илиурта, хранятся списки исповедников, составляемые ежегодно священниками. Эти материалы представляют интерес для грузинской антропимии и для социально-экономического изучения Тушетии.

2. Данные этих материалов показывают, что во второй половине XIX века в старшем поколении тушинцев распространены традиционные тушинские имена, в среднем и младшем поколении же - христианские имена.

3. Фамилии оканчиваются на суффиксы = **ძე**-ზე და = **შვილი**-**švili**, редко - на = **ურ**-ურ суффикс. Суффиксы = **ძე**-ზე და = **შვილი**-**švili** употребляются не стабильно: при одной и той же фамилии употребляются то один, то другой суффикс.

4. По представленным материалам в Тушетии во второй половине XIX века еще существуют семейные общины в виде большой, неразделенной семьи.

აღექსი ჳინჭარაული

ვაკა-ფშაველას ზოგი პერსონაჳის სახელისათვის

I. ფუნჩათ ჳამრული (ფუნჩაიშვილი)

ძველ ქართულში (და ბევრ სხვა ენაშიაც) გვარების ჩამოყალიბებამდე ადამიანს ან მარტო სახელით მოიხსენიებდნენ, ანდა სახელით და მამის (ან დედის) სახელით: ცინ გნებავს ორთაგანი... ი ს უ ბ ა რ ა ბ ა ჯ ს ი ანუ იესუ? (მათე 27,17); გამოირჩინა... ი უ დ ა ი ა კ ო ბ ი ს ი და იუდა ისკარიოტელი (ლუკა,6,16); რომელთა თანა იყო... მ ა რ ი ა მ . ი ა კ ო ბ ი ს მცირისაჲ (მარკოზი, 15,40); ს ი მ ო ნ ი ო ნ ა ჯ ს ო, გიყუარ მება? (იოანე, 21, 15).

ცხადია, იყო სახელდების სხვა სახეებიც. ანთროპონიმთა ასეთი ფორმები (მშობლის სახელი ნათესაობითში, შვილისა-სახელობითში) გვიანობამდე შემორჩა მთის კილოებს; საყურადღებოა, რომ ასეთი ფორმები პოეზიამ შემოინახა და მათ ერთგვარი არქაიზაციის. კვალი ატყვია:

ბ ი ტ უ რ ა ი ს ა ა ბ ა ი დედასამც დაურჩებისა ([I] 49,32);
არდოტ, უ თ უ რ გ ი ს გ ი ო რ გ ი, გიქრის დავლათის ქაროო ([I] 100,1);

არხოტით მზირი გავიდა, წყრომიო გამახყვა ჳვარია,
ხ ო გ ა ი ს მ ი ნ დ ი გამახყვა, გააბერტყინა ნამია ([I] 146,2);

გ ა გ ა ი ს ძ ო ძ ი ც, გერჩიყვა, მითხო გიჭამა ჳკვითაო ([I] 182,1);

ხ ო შ ა ქ ი ს ტ უ რ ა ლმერთს ეხმეწ: ლმერთო, დღე მამე მზიანი! ([2] 363,29);

დაპხედეთ ღ უ ი ს ღ უ ხ უ მ ს ა, ღაზის კელ ხკიდავ მკარზედა
[3];

კონთიოს ც ი გ უ ს ს უ ლ თ ა ნ ი აზნაურია ყმიანი,
გ ი რ ე ვ ს ხ ო ს ი კ ი ს ი ვ ა ნ ე - დობანდი დიჩინისაი,
ფარსმაში ა უ ს ა ღ უ ღ ა კოშკია სიმაგრისაი,
ჭეშოს ა ბ ა ღ ო ს დ ა ვ ი თ ი ხმალია ბასრის ფხისაი [3].

ოჯახის უფროსის (მამაკაცის) სახელი მთელ ოჯახს ერქმეოდა. მაგალითად, თუ ოჯახის უფროსი ო რ დ ა ნ ა იყო, ოჯახს ო რ დ ა ნ ა ნ ი ეწოდებოდა: „ო რ დ ა ნ ა თ ა ს ვიყავ“, „ო რ დ ა ნ ა თ კორწილ აქვ“, „დ ღ ე ს ო რ დ ა ნ ა ნ უძღვებიან სტუმრებს“ და მისთ. ამისდაკვალად, ამ ოჯახის წევრი „ორდანათ“ ვილაცა იყო: ორდანათ მზექალი, ორდანათ აპარეკა და ა.შ. ერთი სიტყვით, ზემოგანხილულთაგან განსხვავებული აქ ის არის, რომ მამის (ან პაპის) სახელი ნათესაობითის მრავლობითში დგას. მოვიყვანოთ სათანადო მაგალითები:

(ზურაბმა) ო რ დ ა ნ ა თ ხ ო მ ი ზ უ რ ა ს ა ა რ
დაგვიტეხნას რქანიო,

ა ღ ი ა თ ბ ა ბ ღ ე ს უძახეთ: ბებერმ გვიჭირას მკარიო
([I] 17,5-6);

გ ა ბ უ რ თ ა ა ღ უ ღ ა უ რ ი დაეღნებას ხვავ ცისასა
([I] 104,3);

თ ა თ ი ა თ ო ღ ი ხ ა ი ს ა დედიამც ცხონდებისაო
([I] 107,21);

ღ ა რ ა ქ ი შ თ ნ ა ნ ა ი ს ძ ე ო, ღმერთმა ვაცხონოს
მკედარიო! ([I] 3,7);

რამე კონკრეტული ცნობა თუ არა გვაქვს, ძნელია ვთქვათ, ამა თუ იმ გმირისა შაშაა ის, ვინც ნათესაობითის მრავლობითშია დასმული, შაშაა, თუ ფრატრიის ან გვარის მეთაური? აქ ერთიც შესაძლებელია, მეორეც და შესაშეც.

მეორე გზა გვარ-სახელთა წარმოებისა მთაში ასეთი იყო: მამის (ან დედის) სახელს ერთვოდა სადაურობა-წარმომავლობის სუფიქსი - უ რ (-> - უ ლ); გოგოჭა - გოგოჭური, ჯინჭარა - ჯინჭარაული, არაბა - არაბული, ვაჩია - ვაჩიაური (->ოჩიაური), ბაბურა (-> ბებურა?) - ბაბურაული, თემროზა - თემროზაული, შუქია (ქა-ლის სახ.) - შუქიაური, მინანა (ქალის სახ.) - მინანაური, ქალუნ-დი (ქალის სახ.) - ქალუნდაური, მინდოდა (ქალის სახ.) - მინდოდა-ური, მარიამ - მარიამული და მრავალი სხვა.

მოვიყვანა ერთ ხეცურულ ლექსს, სადაც ასე ნაწარმოები გვარ-სახელებია რითმად:

მითხოვლებს აღღისძეი ჯობ, მშავლებს ჯობ კ უ კ უ მ ა უ რ ი,
 თუშებს ჯობ გაფრინდაული, ქვესურებს - ხ ო შ უ რ ა უ ლ ი,
 გუდამაყრელებს - დიდება, მაკვეთ - ლ უ დ უ შ ა უ რ ი,
 მთლის ნახვად, მკვდრისა დამარხვად დოლა ჯობ თ ა რ უ ა უ რ ი,
 ღაშქართა საწინამძღვაროდ - იმედა მ ი ნ ა ნ ა უ რ ი,
 კმლისქნევად, ფარის ფარებად - მარტია მ ი ს უ რ ა უ ლ ი,
 ზურაბის ღაშქართ ვინ ჩახყვა? - ჩააცვეთს ბ ა ბ უ რ ა უ ლ ი,
 საბაკეს წინ-წინ ვინ ჩავა? - გამახელთ თ ე მ რ ო ზ ა უ ლ ი,
 ოსეთს ვინ დასდებს ბეგარსა? - ბერდია მ ა მ უ კ ა უ რ ი,
 დიდღველ და კვესურთ ვინ იჭერს? - გაბუერთ ა ლ უ დ ა უ რ ი.

([4] 252).

მაშ, ასე: ალუდა მამას ჰქვია, ალუდაური ალუდას შვილია, გაბა მამას ჰქვია, გაბაური - გაბას შვილია და ა.შ. შემდეგ ზოგი ასე ნაწარმოები მამის შვილობის აღმნიშვნელი ფორმა სახელად დარჩა: ბაბურაული, ნისლაური, კუკუმაური... ზოგი ფრატრიის სახელად იქცა (თემროზაული, მამუკაური, შუქიაური, მინანაური...), ზოგი სახელადაც იქნა გამოყენებული და გვარდაც: ა ლ უ დ ა უ რ ი ხეცურეთში სახელიც არის და გვარიც, ს უ ლ ხ ა ნ ა უ რ ი ხეცურეთში სახელია, თუშეთში - გვარი. ზოგი მათგანი გვარად იქცა: არაბული, გო-

ეკლესიური, გაბურჯი, მარიაშვილი, ჯინჯარაძე...

ზოგ გვარაღმკვეთელ - უ რ დაბოლოებიან ვეპარს - ძ ე-ც დაემატა
და გვარადვე ღარჩა: ოსებო წ ო მ ო კ უ რ ი ძ ე ნატეხი ფოლა-
ლისაო ([5] 49); ივანე ხ ო ს ი ტ უ რ ი ს - ძ ე ცოლს ირთავს
ხოყნის ჯავრზედა ([6] 28,53); როსტომი მ გ ე ლ ა უ რ ი ძ ე
ხარი გაღმოდგა მთასაო ([5] 49).

ზოგი - ძ ე ღამატეპული ანთროპონიმი სახელად, ერთი კაცის ზედ-
წოდებად ღარჩა: საძელის წვერზედ ვინ შაკედ? ვინ დასძარ ჯაჭვის
საკელი? - ა რ ა ბ უ ლ ი ს ძ ე იწნების, კირჩლას უყვარდა სახე-
ლი ([I], 36, ე, 649); დაგლოცვენ, ალუდაურო; გ ა ბ უ უ რ ი ს ძ ე გ,
თფითა ([4] 178, 27); ჭიუხის კუჭულაზედა ს ი ნ ' დ ი უ რ ი ს ძ ე
წევსაო ([I] 671, I); სწორებ დაიწყებებს კითხვასა: „ნ ა ს კ ვ ა-
უ რ ი ს ძ ე სად არსა?“ ომში ას ნ ა ს კ ვ ა უ რ ი ს ძ ე ,
მაგის გამოსვლა გძლად არსა ([I] 99, 8-9); ჩაიარის და ჩაკოცნის
მ ა რ ი ა მ უ ლ ი ს ძ ე მ ა ო, ყველამ ეგრე ქნას ვაეკაცმა,
ომმ რაღა იცის გძელმაო? ([I] 92).

ფოლკლორისტი დ. გოგოჭური ბაბურაულზე წერს: „ჩვენს მიერ ჩაწე-
რილი გადმოცემების მიხედვით კირჩლად ბაბურაული სოფელ ზეისტეგოდან
ყოფილა - გვარად არაბული, მამიშვილობით (ე.ი. ფრატრიისა - ა.ჭ.)
თემროზაული“ ([7] 115). მეცნიერის ეს ცნობები სწორია და აქედან
ისიც გამოდის, რომ კირჩლად კერძოდ ამ გმირის სახელია, ბაბურაული-
მამისა ან შაპისა, თემროზაული - ფრატრიისა, ხოლო არაბული გვარია.

მართლაც ეს გმირი ხან ერთი ანთროპონიმით იბუნე ეპა, ხან - მე-
ორით, ხან-მესამით, ხან კიდევ - ორით ერთად: „წ ი რ ღ ა ვ, გი-
ჭურვენ კვესურნი: „ღურჯამ აქნივა სახელი“. ([I] 36, 5);

ზურაბის დაშქართ ვინ ჩახყვა? - ჩააცვეთს ბ ა ბ უ რ ა უ ლ ი

([4] 252);

კ ი რ ღ ა მ თქვა ბ ა ბ უ რ ა უ ლ მ ა; „ღურჯამ ურცხლად

სტვირისა“ ([I] 34, 1);

ვინ შახტე საძეღის წჷერსა? ვინ შასძარ ჯაჷყვის საკელი?
იქნები ბ ა ბ უ რ ა უ ლ ი, - კ ი რ ჩ ლ ა ს მასწონდა სახელი
([I] 36).

თუ რამე კონკრეტული ცნობა არა გვაქვს, ასეთ - უ რ -დაბოლოე-
ბიან ანთროპონიმზედაც ვერ იტყვი კაცი: ვინაა ეპონიმი - მამა,
პაპა, ფრატრიის მეთაური, გვარის მეთაური თუ უბრალოდ მოგონილია,
თიკუნია ეს ანთროპონიმი.

ვატა-ფშაველას პერსონაჟთა ერთი ნაწილი ან პოეტის თანამედრო-
ვენი არიან, ანდა ხალხური პოეზიიდან ცნობილი გამირებია. ესენია
ანდარეზა, აფშინა, ბაბურაული ხირჩლა, ბეკი, ბერდია, ბერიძე,
ბეწინა, გაფრინდაული ზეზვა, გიგი, გოგოთერი, გოგოლაური ხეზა-
ური, დოჯური, ზაზულა, თვარელი, თინიბექა, იანვარა, იმედი რა-
ზიკაული, კარახელი, კურდღელა, ლეხემი, მახინცაური მწარია, მინდი
(ხოგაის მინდი), მინდია, მუცალი, რაიბული, სანათა, სულა, სუმედ-
ჯი, ფენჩათ ჯამრული (ფენჩაიშვილი), ჩონთა, ძაღლიკა ხიმიკაური,
ჭოლიკი, ჭუჭა, ხოშარელი (ხოშურაული) და სხვ.

ზოგ მათგანზე არსებობს მეტ-ნაკლებად სრული გამოკვლევა*,
გამირთა უმრავლესობა კი ჯერ კიდევ შესასწავლია.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ფოლკლორის, კერძოდ პოეზი-
ის, უმდიდრესი მონაცემები არა სათანადოდ გამოიყენება ჩვენი ხალ-
ხისა და ქვეყნის ისტორიის შესასწავლად. ცუდად ვიცნობთ ჩვენს სა-
ხალხო გამირებს, ისეთებსაც კი, რომელთა სახელები ქართულ კლასიკურ
მწერლობაში გადავიღნენ (მაგ., ვაეას ზემორამოთელილი გამირები).
სულ რამდენიმე ავტორს თუ გაიხსენებს კაცი, რომელთაც სერიოზული

* იხ. მაგ., ქ. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ქართული საგმირო-საისტო-
რიო სიტყვიერება, 1949; ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ბახტრიონის
გამირები ქართულ მწერლობასა და ხალხურ სიტყვიერებაში, 1953; მ.
ჩ ი ე მ ვ ა ნ ი, ვატა-ფშაველა და ხალხური პოეზია, 1956; ა. გ ა -
ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ი, ხალხური თქმულება „ხოგაის მინდია“ და პოემა
„გველის მჭამელი“, 1958.

და სასარგებლო კვლევა-ძიება უწარმოებიათ ამ მიმართულებით. შე-
იძლება საგანგებოდ გამოიყოს ფოლკლორისტ ღ. გოვოჭურის რამდენიმე
კარგი გამოკვლევა (ნაღირა ხოშურაულზე, ხირჩა ჰაბურაულზე...),
მწერად თამაზ ნატროშვილია მშენებელი წერილი „ლიტერატურულ საქარ-
თველოში“ („წვიმა დაწვიმეს ღრუბელთა“) და სხვა.

ამ წერილში ჩვენ შევხვდებით თუშ სახალხო გმირ ფ უ ნ რ ა თ
ჯ ა მ რ უ ლ ზ ე . ამ გმირს და მასთან დაკავშირებულ ზოგ სხვა
საკითხს სპეციალური გამოკვლევა უძღვნა დ. გოგოჭურმა [8]. ფუნ-
ჩათ ჯამრულზე ჩვენ აღნიშნული ავტორისაგან განსხვავებული მოსაზ-
რებები უნდა გავუზიაროთ მკითხველს.

ფუნჩათ ჯამრული ვაჟას ორ ლექსში ჰყავს ნახსენები. ერთში
(„სიკვდილი გმირისა“) მტრის ტყვიით სასიკვდილოდ დაჭრილი ბერიძე
დედ-მამას ანდერძს უწირავს:

„შანშეს მიეცით ხმალია,
სხვის ხელში ნემე მეგულება,
ღრსი სხვა არეინ არია;
ხანჯარი - ფ უ ნ რ ა თ ე ი ლ ს ა -
ის კარგი მეომარია,
ფარი და ჯაჭვი - ლეგასა,
ჯერ ომში შეუვალა.
ვინაც პირველად მიუხდეს
ბახტრიონს თარაქამასა,
ვინაც კი ამოაშხამებს
თათარს ცოდვების ჭამასა,
ჩემ ცხენი იმასა ჰყვანდეს,
ხელ იმან უსვას გაცასა ([9] 250).

ლექსში ბახტრიონისა და თარაქამას (სპარსელების) ხსენება შემ-
თხვევითი არ უნდა იყოს - ბერიძე თვითონაც თათრების მიერ სასიკ-
ვდილოდ დაჭრილი გმირია (ამის შესახებ ცალკე) და ახლა ცხენსა და

აბჯარს იმათ უანდერძებს, ვინც პასტრონში გამაგრებული თათრების წინააღმდეგ პრძოლაში ისახელებს თავს. ერთ-ერთი მათგანი არის ფუნრათვილი.

ვატას მეორე ლექსს სათაურად აქვს „ჯამრული“, ხოლო ლექსი ასე იწყება: „ვის გლოვობს ფუნრათჯამრული, რა თავი დაუღენია?“ ფუნრათჯამრული (ჯერჯერობით ჩვენც ასე ვუწოდოთ მას) მთის ხალხური პოეზიიდან ცნობილი გამირია. აი, ამ გამირზე ნათქვამი ერთ-ერთი ხალხური ლექსი.

კახეთ ზის ფუნრათჯამრული, შებვ, გაგითეთრებს
ტარსაო,

თეშურთ კითხელობს ამბავთა, კითხულობს ბორბლის მთათაო:

„ვერ გამავიდა ბორბალი? ხვად ვერ ამომსა ნათლთაო?

ეგ ქარსამაულთ ცხვარ-მწყემსი ვერ გამავიდა მთათაო?

დადიდდეს ქარსამაულნი, ჩავალ, ჩავავლებ თვალსაო.

დაღბრიყვებივა წყემსები, ჯამრულ ჩაუყრის ჭკვათაო“.

ქაიავ, ქარსამაულო, ტყავს ნუ უქარგავ ქმარსაო,

თუმი რო შახვდას გუღდიდი, გაგისრევიებს თავსაო,

თახ შენაც გადაგიყოლებს, გასმევედა ბორბლის წყალსაო,

გავლევდა ფეხშიშველასა თვირთვილიახთა მთათაო.

მასდივან ქარსამაულთა უკუღმა ნაჭედს ნალსაო,

ჩამოგსვამს საანჯბოზია, თუშეთს მათელებ თვალსაო,

პირდაპირ დაგიკიდებენ ძმის ზამბულაკას* ფარსაო ([6] 39-83).

*ლექსის ბოლო სტრიქონში „ზამბულაკას“ ნაცვლად უნდა იყოს „ზამბულაკას“. „... ძმის ზამბულაკას, ფარსაო“. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ წერია: „ზამბულაკა-ი, ზამბულაკა-ი (სპარ. ზანბურაქ) ისტ. ძველებური მცირეყალიბიანი ზარბაზანი. ხევსურულში ზამბულაკი რომელიდაც დიდყალიბიანი თოფის სახელად შესულა და აქედან მხატვრულ ლიტერატურაშიაც გადავიდა:

ვიდრე გიბია კარზე ულაყი,

უღელში - ხარი, კვალში - გუთანო...

ქედელზე ბმალი და ზამბულაკი, -

მაშასადამე, გაქვს საყუდარი

(აღუდა არაბული, „და ცით მოგელი სოსნითა“, 1979 წ. გვ.13).

ამ ლექსის ვარიანტები გამოქვეყნებული აქვთ: დ. როსპომაშვილს [3]; დ. ხიზანიშვილს [10]; იე. ბუქერაულს [11]; თ. რაზიკაძე-ლის მიერ ჩაწერილი ვარიანტი ა. შანიძემ გამოაქვეყნა „ხევსურულ პოეზიაში“ ([1] 119); ერთიც ჩვენ გამოვაქვეყნეთ ([2] 41). ყველაგან იკითხება „ფ უ ნ რ ა თ ჯ ა მ რ უ ლ ი“. დ. ხიზანიშვილთან „ჯამბრული“ იკითხება, მაგრამ ეს არ ცვლის საკითხის არსს. იგივე ლექსი დ. ხიზანიშვილმა გამოაქვეყნა მის მიერ შედგენილ წიგნში „ფშაური ლექსები“ და სქოლიოში განმარტა: ფენჩათ ჯამბრული „ჯაბარი და სახელია“, მაგრამ აღარ აზუსტებს, რომელია გვარს და რომელი - სახელი.

როგორც აღვნიშნეთ, მთის დიალექტების მიხედვით (ხევსურული, თუშური, ფშაური...) ფენჩათ ჯამრული ნიშნავს: ჯამრულ (თუ მას სახელიად გავიგებთ) ფ უ ნ რ ა ს ძ ე, ჯ ა მ რ უ ლ ფ უ ნ რ ა ო ს შ ვ ი ლ ი ა ნ ფ უ ნ რ ა ა ა ნ თ ჯ ა მ რ უ ლ ი.

დ. ხიზანიშვილმა დაბეჭდა ლექსი:

კახეთში ფ უ ნ რ ა ი შ ვ ი ლ ი აკეთებს შუბის წვერსაო,
თბილის წყლით ფაფარს გადაჰბანს, ლიტრა ქერს აჭმევს ცხენსაო,
ოსმალში ერთი თათარი ენას აუბნებს ძნელსაო:

„ბასტრიონს გაცვირი ვენახსა, ზედ დავასახლებ ერსაო,
არც თუშებს შავებუები და არც ზეზვაის ცხენსაო“.

ეს რომ გაიგო ზეზვამა, ცხენს მაუმატებს ქერსაო!

„ჩქარა გასუქდი, ლურჯაო, - გავაზედ უსიშხ ხელსაო -

დავეწყემსები სულთანსა, როგორც მიმინო მწყერსაო,

თოფს დავკრავ, ხმალსაც შემოვკრავ, დღეს დავაყენებ ცხელსაო,

თავსაც იქ დავდებ ჭადარსა; ადგილს არ მიცემე ჩემსაო!“

„ ([10] 4).

დ. გოგოჭურმა ზემომოყვანილ წერილში შენიშნა, რომ ამ ლექსში „ფენჩათიშვილიც და ზეზვაც ორივე იხსენიება და ამიტომ ფენჩა ზეზ-

ვას მამად იქნა მიჩნეული. ნამდვილად კი საქმე გვაქვს ორ სრული-
ად სხვადასხვა გმირზე - ფუნჩაიშვილსა და ზეზვაზე - შექმნილ სხვა-
დასხვა ლექსის კონტამინაციასთან, რომლის დასაწყისი

კახეთში ფუნჩაიშვილი

აკეთებს შუბის წვერსაო,

თბილის წყლით ფაფარს გადაჰბანს,

ლიტრა ქერს აჭმევს ცხენსაო

ასაბავს ფუნჩათ ჯამრულის სამზადისს ქარსამაულებზე თავდასასხმე-
ლად, ხოლო დანარჩენი კი ზეზვა გაფრინდაულის თაურების წინააღმდეგ
სამზადისს ეხება“ ([8] 47).

კონტამინაცია აქ მართლაც აშკარაა. მის პირველ ექვს სტრიქონ-
ში კაცმა შეიძლება გამოიცნოს კვალი რამდენიმე ლექსისა:

1) ბახტრიონს სხედან თათრები, სიტყვას ამბობენ ძნელსაო...

2) კახეთში ფუნჩათ ჯამრული ათეთრებს შუბის ტარსაო...

3) სოლომან ბუტულაშვილი კარგად ინახავდა ცხენსა,
დილასა და საღამოსა ჯერზე აჭმევს ლიტრა ქერსა...

4) ოსმალში თათარს ატებენ თარაქამაის შვილსაო,
ცხენსა უტებენ ისეზსა, მეხლი აქვს შევარდნისაო...

ზეზვაზე პირველად დ. ხიზანიშვილმა შენიშნა ზემომოყვანილ ლექ-
სში „ზეზვა ფუნჩაიშვილი“-ო. არავენიციის, ჩამწერმა მისცა ეს ცნო-
ბა დ. ხიზანიშვილს, თუ კონტექსტის კარნახით თვითონ გადაკეთა ასე-
თი შენიშვნა. თუშები ამტკიცებენ, ზეზვას მამასაც ფუნჩა ერქვაო.
თუ ასეთი მტკიცება ისტორიულ სინამდვილეს შეეფერება და კვლავ ზე-
მომოყვანილი ლექსის ზრადიციიდან არ მოდის, მაშინ ვითარება სრუ-
ლიად შეიცვლება; კონტამინაცია თუ გავლენა არ მოიხსნება, მაგრამ
„ფუნჩათ ჯამრული“ ცაღკე დარჩება, „ფუნჩაიშვილი“ - ცაღკე. კერძოდ,
ღადგება საკითხი: „ფუნჩაიშვილი“ „ფუნჩათ ჯამრული“-ს „ჰარგმნაა“
თუ პირუკუ: ლექსში იყო „კახეთს ზის ფუნჩა ჯამრული ...“, მაგრამ
„კახეთში ფუნჩაიშვილის“ გავლენით გადაკეთდა: „კახეთს ზის ფუნჩათ

ჯამრული...“

ამას საკითხის სისრულისათვის ვწერთ, თორემ ჩვენთვის „ფუნჩათ ჯამრული“, როგორც ქვემოთ ღადინახავთ, მაინც მეორეულია, ამ ერთადერთ ლექსში გაჩენილი ცთომილებაა.

ფუნჩათ ჯამრულზე ნათქვამი ზემომოყვანილი ლექსის (და მისი ვარიანტების) შინაარსია: კახეთში ცხვარს აზამორებს სახელგანთქმული თუში ვაუკაცო. გამოზაფხულებისთანავე იგი თუშეთის გზების ამბავს კითხულობს და თან იარაღს ამზადებს – ემუქრება სოფ. იქერზლოს მცხოვრებ ქისტ ქარსამაულებს. მელექსე მიმართავს ქარსამაულების რძალ ქაიას: რად გინდა, ქმარს რომ ტყავს უქარავ? მოვა ფუნჩათ ჯამრული და თავს მოგიჭრის, ხოლო შენ ტყვედ წაგიყვანსო...

თ. რაზიკაშვილს ჩაუწერია ლექსი:

ატირდა ფ უ ნ რ ა ი ს ც ო ლ ი გულსრულად გულარეული.

გაჰხედავს ალაზნისთავსა, – ბაკია – გადარეული.

ადარცადა ჩანს ცხვარ-მწყემსი, – მთას არი გადავეუღი.

ფ უ ნ რ ა ბინაში დამრჩალა, სისხშია ამოთრეული!

ეგ გინდა, ფუნჩავ, ჯამრულო, ეგ არი მტერმორეული, –

გულბათის ხაწემ გაჭმია სადილი შხამგარეული ([I2] 23, I).

ლექსს სათაურად აქვს „ფ უ ნ რ ა ჯ ა მ რ უ ლ ი ს სიკვდილი“ და სტოლიოში თ. რაზიკაშვილი ხსნის: „ფ უ ნ რ ა – სახელია, ჯ ა მ რ უ ლ ი – გვარია“.

ამ ლექსის ვარიანტი დ. როსტომაშვილმა დასტამბა ურნად „მოამბეში“, სადაც ფუნჩას მკვლელი გულბათის ხაწეს სადაურობა არის გაცხადებული და კვლავ ნათქვამია, რომ საქმე გვაქვს „ფ უ ნ რ ა ჯ ა მ რ უ ლ თ ა ნ და არა „ფ უ ნ რ ა თ ჯ ა მ რ უ ლ თ ა ნ.“

ცხენს ხკაზმებს გულბათის ხაწე ტერელოს ქაიის კარზედა,

უჭირებს მოსართაფებსა, ფეხსა სდგამს უზანგაზედა;

„საგათენებოდ ჩავგადებ ფ უ ნ რ ა ჯ ა მ რ უ ლ ი ს ბაკზედა!“

ატირდა ფ უ ნ რ ა ი ს ქ ა ლ ი გულხურლათ გულარეული:

გაჰხედამს ალაზნის თავზედ, ბაკი ჩანს გადამტვრეული,
ალარსად არის ცხვარ-მწყემსი მთას არის გადავლული...
ბაკში წევს ფ უ ნ რ ა ჯ ა მ რ უ ლ ი სულ სისხლში ამორეული.
ეგ გინდოდ, ძმამო ჯამრულო, ეგ არის მტერმორეული -
გულბათის ხაწემ გაჭმია სადილი შხამგარეული.

სკოლიოში დ: როსტომაშვილი შენიშნავს: „ფ უ ნ რ ა ჯ ა მ რ უ -
ლ ი თუზია სათქმოდ გასული და გულბათის ხაწე - ქისტა, რომელმაც
მოკლა ჯამრული ალაზნის თავში ცხვარზედ“ .

მაშასადამე, ორივე ზემომოყვანილ ლექსში წერია და ჩამწერნიც
განმარტავენ, რომ ტრელოელმა ქისტმა გულბათიშვილმა ხაწემ (ხაძემ)
მოკლა არა „ფ უ ნ რ ა თ ჯ ა მ რ უ ლ ი“, არამედ „ფ უ ნ რ ა
ჯ ა მ რ უ ლ ი“. მოკლა ფენჩა, რომლის მამისა თუ პაპის სახელი
იყო ჯ ა მ ა რ ი (ეს სახელი ახლაც ცოცხალია თუშეთში) და მისი
შეამომავალი ჯ ა მ რ უ ლ ა დ იწოდებოდა.

ენახო სხვა ლექსები. კვლავ თ. რაზიკაშვილს ჩაუწერია ლექსი,
რომელსაც სათაურად აქვს „ფუნჩა და მანგია“:

კახელ რად ღბრუნავ, ფ უ ნ რ ა თ, გან სპილენძი ხარ ცვრიანი?
ერახელ ფშავშიაც* წამოდი, ბაკი მანდ გიდგა ცხვრიანი;
შახტედნ ნაქერლის გორსა, ვაც-ვერძ შაგიფთხვა თხიანი.
ძილს ურიოდა მ ა ნ გ ი ა: „ლეკებმ მადიდეს გრიალი,
ძაღვების იმედი მქონდა, ოხრებმ არა ქნეს ურიალი“.
„ამიშვიო! - ეტყვის მანგია, - ხანჯრისა ვნახე პრიალი!“
მანგია წამოუფრინდა, ზედ აზის ვეფხვი ბწყლიანი,
გულს უკლის დამის სიბნელე, უნათებს ხანჯრის პრიალი.
ხუთი მოუკლავ მანგიას, თავად წევს სისხლ-ტიგრიანი .

([I] II8)

ტექსტში „ლეკები“ „ქისტების“ ადგილას არის ნახმარი. როგორც

* „ფ შ ა ვ შ ი ა ც“ აშკარა შეცდომაა, რადგან ნაქერლის გორი
თუშეთშია, უნდა ყოფილიყო „მ თ ა შ ი ა ც“.

ციცოთ, გულბათის ხაწე, რომლის რაზმმაც ფენჩა და მანგია დატოვა, ტერელოელი ქისტი იყო. ამ ლექსის ვარიანტიდან [II] ისიც ჩანს, რომ მანგია უთურგაისძე ყოფილა. ამ ლექსების მიხედვით, დახოცილნი ჩანან ფენჩა და მანგია, დანარჩენი მწყემსები ხაძეს აღბათ ტყვედ წაუყვანია („აღარცადა ჩანს ცხვარ-წყემსი, მთას არი გადავლელი“). „ძველ საქართველოში“ დაბეჭდილი ამ ლექსის ვარიანტის ბოლო სტრიქონებში იხსენიება ზეზვა გაფრინდაული; რაც სხვა ლექსთან კონტამინაციის შედეგი უნდა იყოს.

მოყვანილ ლექსში არის კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: ფენჩა ხელგამოუღებლად არის მოკლული, მანგიამ კი ვაჟკაცურად იშუღლა - მტრის რამდენიმე კაცი დახანჯრა და თვითონაც უთანასწორო ბრძოლაში „დაწვა მკლავსისხლიანი“. რატომ ვერ იცაუკაცა განთქმულმა ფენჩამ? აღბათ იმიტომ, რომ მისი ადგილსამყოფელი ხაწემ დაბინდებამდე შეისწავლა (ანდა მსტოვარი ახლდა) და მთავარი იერიში მასზე მიიტანა, როცა მანგიამდე ხმამ მიაღწია, მასაც დაეცნენ თავზე, მაგრამ მანინც „წამოუფრინდა“ და, მიუხედავად იმისა, რომ მტრს ვერ არჩევს, „გულს უგლის ღამის სიბნელე“, ხანჯლების ელვარებაზე ხვდება, სად არის მტერი, და რამდენიმე კაცს კლავს.

ერთი ლექსი კიდევ არის ფენჩაზე ([6] 43), სადაც ჩამოთვლილია ის ადგილები, სადაც ჯ ა მ რ უ ლ ი ფ უ ნ რ ა მთაბარობდა:

აღისგორის-თავ ხარი წივს მანძილა, ოქროს რქიანი.

კახეთს რა გიძე, ფ უ ნ რ ა ო, განთ ჭიქა ბრუნავს ცვრიანი?

ა ლ ი ს გ ო რ რადარ ამოხოლ? - სახლ გიდვას ქონებიანი.

ცხვარ გიდვას ყ ა დ ო ვ ა ნ ზ ე დ ა, ვაც-ვერძ მიდ-მოღის

რქიანი,

მეორე-ზაზანეურთას, მაგდის ქოფაკის ქრიალი,

ცხენ გიბავ მინღოროთარია ოთხზედავ ნაღუსმრიანი ([6] 43,90).

ამის ვარიანტი ჩანს „ძვ. საქართველო“-ს II ტომში [II] დაბეჭდილი ლექსი, რომელიც ზემოთ მოყვანილია.

დ. გოგოჭერი იმოწმებს ლექსებს: 1) ბებერსა მამუციასა ბებე-
რი ჰყვანდა ლურჯაო, ასე გაითქვა სახელი, როგორც კახეთში ფ უ ნ-
რ ი ა ო. 2) ბევრ-ბევრას დედა ვერ გაჰზრდის, ფ უ ნ რ ი ა ვ, შენ-
სა ფერსაო. და მათ ფუნჩა ჯამრულზე ნათქვამ ლექსებად მიიჩნევს.
ორივე ლექსი აშკარად ფაშურია. პირველში მართლა ფუნჩა ჯამრულზე
უნდა იყოს საუბარი, მეორე ლექსის ფუნჩია კი ნამდვილად ფშაველია
და არა ჩვენი ფუნჩა (თუმცა „ფუნჩია“-ს არ ამბობენ).

ამ ლექსებზე დაყრდნობით დ. გოგოჭერი ასეთ დასკვნას აკეთებს:
„როგორც ვხედავთ, ფუნჩა ცნობილი პიროვნება ყოფილა და მასზე
ხალხს ლექსებიც შეუქმნია, მაგრამ მისი შვილი ე.ი. ფუნჩიაშვილი
კიდევ უფრო ფართოდ არის წარმოდგენილი პოეზიაში. მას სახელად ჯამ-
რული რქმევია და ლექსებში ხან ფუნჩაანთ ჯამრულად (ადგილობრივი
გამოთქმით ფუნჩა ჯამრულად) იხსენიება, ხან კი-ფუნჩიაშვილად“-ო
([8] 40).

მკვლევარი განაგრძობს: „საყურადღებოა, რომ ჯამრულის მამა -
ფუნჩა ისევე ცოცხალი ყოფილა, როდესაც ჯამრული მტრებს მოუკლავთ.
ერთ ხევსურულ ვარიანტში ეკითხულობთ:

ფუნჩამ თქო: „აღარ შეგონა, თუ დროი შამეშლებოდა,
ცხვარსა სამ ფარად ნადგომსა თუ წყემსი მაუკვდებოდა,
ნადგომსა თენგ-ვეშაპასა თუ ჯარი შეეშლებოდა“-ო ([8] 46).

როგორც უკვე ვნახეთ, ფუნჩა გულბათის ხაწემ მოკლა. ზემოთყვან-
ილ სიტყვებს კი („ფუნჩამ თქო...“) მედექსე მკვდარ ფუნჩას „ათ-
ქმევიანებს“ ისევე, როგორც მის ამხანაგ მანგიასაც მკვდარს „აღა-
პარაკებს“ შერა:

მანგიას უთურგაის ძეს ხანჯალ წილმ არტყავ ფხიანი.

ამას ჩიოდა მანგია: „მოფ ვერ ავიღე ხმიანი...“

მამას შიძვედიმ უთურგას, ჩემი-დ' ნურა სწყინს ზიანი,

ცხვარი მთას გადამირტკეს, მე ცწევარ მკლავსისხლიანი...“

არის კიდევ ერთი თქმური ხალხური ლექსი, რომელშიაც გარკვევით

იხსენიება ფუნრია ჯამრულ იშვილია:
დღეიმცნუ გათენებულა, დღეი ხუთშაბათ, მზიანი,-
ალაზნისთავში ქისტებმა კასრო დადგარეს ზიანი (ზრძიანი),
შაბერტყეს ალაზნისთავი, ცხვარ-ცხნიან-კაროენიანი,
იძახეს ჯავახითამა: „გვიშველეთ, ვინ ხარო კმლიანი?“
ფუნრია მან ჯამრულ იშვილმა ცხენს
გამოუნასკვ ქუანი.

შეჯდა და შეაბერტყინა საჯინჭველისთავი კლდიანი,
შევიდა დარბაზვაკესა, ბორტვი შეგალა ცვრიანი,
შეეწი ქისტის ლაშქარსა, ლურჯაყი ლაშქაფიანი,
სუ ფეხით მოინადგურა ქისტ მოლა დროშაყიანი.*

აი, ამ ლექსში მოხსენებული ჯამრულ იშვილი ფუნ-
რია ვახლავთ, ცინც ქარსამაულეებს ემუქრებოდა. ეს არის გულბათი-
შვილ ხაძეს მიერ მანგიასთან ერთად მოკლული ფუნრია. საფიქრებელია,
რომ ქისტებმა სისხლი აიღეს ზემომოყვანილ ლექსში ნახსენები, ფუნ-
რიას მიერ მოკლული „ქისტის მოლა სი“.

ფუნრია სოფ. ალისგორიდან ყოფილა: ჩვენ მიერ ზემოგანხილულ ლექ-
სში მელექსე ემუქრება ქარსამაულეების რძალ ქაიას: ფუნრია მოგიტა-
ცებს და „ჩამოგსომს ალისგორშია, ჩამოგიჭაპნავს ამასაო“. ([II] 54).

მაშასადამე, ფუნრია ჯამრულ იშვილს ზესტად ისეთივე ანთრო-
პონიმი, როგორც კირილა ბაბურაული, მამუკა
ქალუხდაურის და მრავალი სხვა. ანთროპონიმები: „ჰირრლა“,
„ჰირრლა ბაბურაული“ და „ბაბურაული“ ერთი გმირის სახელებია. ასევე
ანთროპონიმები „ფუნრია“, „ფუნრია ჯამრული“ და „ჯამრული“ ერთი გმი-
რის სახელებია. ხეცსურეთში ბაბურაული საკუთარ სახელად იტყა:
ჩვენს ხსოვნას ცოცხლები იყვენენ ბაბურაულ არაბული სოფ. დათვისი-
დან და ბაბურაულ ჭინჭარაული სოფ. შატლიდან.

* ეს ლექსი ვადმოცა ენამეცნიერების ინსტიტუტის უფროსმა მეც-
ნიერმა თანამშრომელმა გ. ცოცანიძემ, რისთვისაც შედგომას მოგან-
სენებ.

თ უ შ ე თ შ ი ჯ ა მ რ უ ლ ი ს ა ხ ე ლ ი ც ი ყ ო ს
მტრისა ხოცვასა ამბობენ ც ა რ დ ი ძ ი ს ჯ ა მ რ უ ლ ი ს ა ო
([13] 322, 20); ჯ ა მ რ უ ლ ს ა რ ა ი ნ ა უ ლ ს ა ჭ ე რ ხ ო თ ა ე უ დ გ ი ბ ო -
ლოკი, არს ორის ცოლის პატრონი, არ აკლი ჭირი-დ' ბოროტი ([5] 65).

გვიან ამ ფორმას -ძ ე დაერთო და ჯ ა მ რ უ ლ ი ძ ე ახლა
თუშეთში ცნობილი გვარია; ცოცხალი გვარებია აგრეთვე ჯ ა მ ა -
რ ი ძ ე და ჯ ა მ რ უ ლ ი შ ე ი ლ ი .

ჩვენ ზემოთ დავიმოწმეთ დ. გოგოჭურის ფრაზა: ... (გმირს)
სახელად ჯამრული რქმევია და ლექსებში ხან ფენჩაანთ ჯამრულად
(ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ე ი ჯ ა მ ო თ ე ქ მ ი თ ფ უ ნ რ ა ჯ ა მ -
რ უ ლ ა დ, ხ ა ზ ი ჩ ე ე ნ ი ა, ა . ჭ .) იხსენიება, ხან კი ფენჩაიშვი-
ლად"-ო.

უკვე აღინიშნა, რომ „ფენჩაიშვილი“ გვიანდელ კონტამინირებულ
ლექსშია ნახსენები, თუმცა მას ალბათ „ფენჩათ ჯამრული“ უდევს
საფუძვლად (თუ, რა თქმა უნდა, ზეზვას მამას მართლა ფენჩა არ ერ-
ქვა!).

რაც შეეხება იმას, თითქოს „ფენჩა ჯამრული“ (ფენჩათ ჯამრულის
ნაცვლად) ადგილობრივი გამოთქმის ბრალი იყოს, პატრიცემულ
მკვლევარს ვერ დავეთანხმებით. იქ, სადაც გმირის საკუთარი
სახელი ჯამრულია, მის წინ ნათესაობითის მრავლობითში დასმული მა-
მისა თუ გვარის სახელი ამ ფორმის თ ფორმანტს არ კარგავს; აწ
მოკვდა რ ე კ ა თ ჯამრული, დაწვა და დაიძინათ ([1] 580, 1);
ბრალი ას, მ უ რ დ ე ო თ ჯამრულო, ბეჭნი მიანდგნა ქვიშასა
([14] 144, 9); ნუ მაჰკლავ, დამბადებელო, მ ე გ რ ე ლ ა თ ფუნ-
ჩიასათ ([12] 102, 9); ა ბ უ ლ თ ქორთეშას დავდნატრი, გულდიდად
დაჯღებ ჯარზედა ([6] 46, 10); ა ხ უ რ ა თ სანათისძიასათ შვილ-
ნიმც ხყონ შენის დავლათისნიო ([15] 5, 12). ასეთი მაგალითები ზე-
მოთაც ბევრი მოვიყვანეთ და მათი დამოწმება გაუთავებლად შეიძლება.
არავინ იტყვის „რეკა ჯამრული“, „მეგრულა ფენჩია“, „აბულ ქორთე-

შა“, „ახურა სანათისძია“. თუ ასე იტყვიან, ეს იმას ნიშნავს, რომ „რეკა“, „მეგრელა“, „აბული“, „ახურა“ სახელებია, მათი მომდევნო სიტყვები კი გვარებია ისევე, როგორც ფუნჩა სახელია, ჯამრული კი - მამისა თუ გვარის სახელი.

სწორედ „რეკათ ჯამრულისა“, „მეგრელათ ფუნჩიასა“, „აბულთ ქორთეშასა“ და მრავალი ასეთი ანდროპონიმის გავლენით უნდა შექმნილიყო ლექსის ზემომოყვანოლ ვარიანტებში „ფუნჩა ჯამრულის“ მაგიერ „ფუნჩათ ჯამრული“.

ქართულ ხალხურ პოეზიაში ანალოგიური შეცდომა სხვაც დასტურდება.

საკუთარი სახელის წარმოების ერთი წესი მათში კიდევ ასეთია: მამის (დედის) სახელის ნათესაობითის ფორმას ემატება „ძე“ და ვიღებთ შვილის სახელს; მაგ.:

ნ ა თ ე ლ ი ქალის სახელია, ნ ა თ ე ლ ი ს ძ ე მისი შვილი იქნებოდა. ახლა კი იგი ჩვეულებრივი საკუთარი სახელია:

ომათა ნ ა თ ე ლ ი ს ძ ე .ს ა მოხყვა გუდანის ჯვარიო ([I] I3, II). ასევეა: ს ა ნ ა თ ა --->ს ა ნ ა თ ი ს ძ ე, თ ა მ ა რ ი --->თ ა მ ა რ ი ს ძ ე, ნ ა ნ ა --->ნ ა ნ ა ი ს ძ ე, ხ ა თ უ თ ა --->ხ ა თ უ თ ი ს ძ ე. მოვიყვანოთ სათანადო მაგალითები: გაიქცა ს ა ნ ა თ ი ს ძ ე ი, კელში შიშველა კმალია ([2] 396, 5); ჩვენ გვითხრეს: „თ ა მ ა რ ი ს ძ ე ს ა მძებნელ დაშრ არაცინაო“ ([I] 198, 14);

კვირიკამ ნ ა ნ ა ი ს ძ ე მ ა ციხეში ბანდნა ჯლანნია ([I] 146, 20);

მშაველათ ხ ა თ უ თ ი ს ძ ე ს ა ყბა უძე თოფის თბეზედა ([6] 28, 54, 8);

ასევე მამაკაცის სახელიდან:

აქა ვარ გამოთხოვილი ბ ე რ ი ძ ე მყვანდა ქმარია ([I6] 145);

ლულისთავ კარგად უჭირე ღო მ ნ ი უ რ ი ს ძ ე ს მკარიო

([1] 3,8)

და ასე: აბაისძე, ჯამზაისძე, სინდორისძე, მარიაშულისძე...

თუშეთში, სოფ. კვევლოში ცხოვრობდა ცნობილი სახალხო გმირი გორგი, რომელსაც მამის სახელის მიხედვით (თ ი ღ ი რქმევია მამას) თილისძეს, თილისძე გორგი-ს, თილის ობოლ-ს, ხოლო ზოგჯერ კი მხოლოდ მის საკუთარ სახელს გორგი-ს ეძახოდნენ:

ვაჟა-ფშაველა თილისძეს ან თილის ობოლს მოიხსენიებს წერილებში: „ლაშარობა“ ([17] 55), „ფეხხისტყაოსნის“ შესახებ ([17] 144), და „ლაშარის ჯვარის დღეობა ანუ ლაშარობა“ ([17] 234).

ვაჟა განიხილავს ლექსებს, რომლების მიხედვითაც თილისძეს დაულაშქრავს უკანაფშავი, მაგრამ დამარცხებულია. კერძოდ, ვაჟა წერს: „თილისძე შინ მრდის, დედა მოეგებება წინა და ჰკითხავს:

„მთხვედა, თ ი ღ ი ს ო ბ ო ლ ო,

რა ამბავ მაიტანია?“ ([17] 58).

(ამ ლექსის ვარიანტები, სადაც აგრეთვე „თილის ობოლი“ იკითხება იხ.: [13], 499, 302, ბ, 8; 460, 302, გ, 4; 461, 302, ე, 1 და სხვ.).

შემდეგ თილისძე ლაშარის ჯვარში მოსულა სალოცავად:

ლაშარს მოვიდა თ ი ღ ი ს ძ ე,

გულდიდად დაჯდა კარიო ([17] 59). (ვარიანტები იხ.: [13], 464, 303, ბ, 1; 466, 303, თ, 1; 471, კა, 1; 472, 304, ბ, 1; 470, ივ, 1 და სხვ.). დავიმოწმოთ სხვა ლექსებიც:

თ ი ღ ი ს ძ ე ლობოტაშია პურსა სჭამს, მაყვალს ახდურებს:
„ან შინ მიგიდებ, სახელო, ან; თაგო, გადაგახდურებ“.

([13] 198, 296, 1);

ხელებზე სამკლავიანსა თ ი ღ ი ს ძ ე ს ჰქონდა შვინება
([13] 201, 300, 2);

შვიდ წელს არ მოვიდ ბაღახი თ ი ღ ი ს ძ ი ს ნაომარზედო
([13] 456, 297, ბ, 8).

ტყვე გაუგზავნა ძელიმა თ ი ლ ი ს ძ ე ს ზაობაზედა.
არ დაიჯერა გორგიმა: „ზავს არ ეიქ მაგათ თავზედა...
გორგის გაზრდილმა მთვრალამა ორნ ჩაიტანნა წყალზედა,
თ ი ლ ი ს ძ ი ს გაწურთენილია, ხელი მიუდის ხმაღზედა
([12] 55,104).

მაგრამ არის ლექსები ამ თუშ გმირზე, სადაც „თ ი ლ ი ს-
ძ ე თ გორგი“ იკითხება:

ცხენს შეჯდა თ ი ლ ი ს ძ ე თ გორგი, ლურჯამ გაილა გრიალი;
([1] 84,4).

თ ი ლ ი ს ძ ე თ გორგი ცხენს შეჯდა, აბჯართ გაიღეს ყდრიალი
([6] 29,59,23);

გულდიდებს ჭარელთ შვილებსა გავლა არ სწადის გზისაო,
თავბერას უშინებიან, გორალიშვილ ყრის მზირთაო,
მერმე თ ი ლ ი ს ძ ე თ გ ო რ გ ი ს ა, სვილას გვიჩვენებს
პირსაო,

გვერდს ედგა შვილი მთვრალი, ნაწყვეტი ფოლადისაო,
ას მამის გაწურთენილია, იმედ აქვ ფრანგულისაო ([6] 45,99);

ნეტარ არ გახყილიანა თ ი ლ ი ს ძ ე თ გორგის კმალსაო?
თუშურთა მთათა ყვარნები ერთი ეძახდა სხვასაო;

„თ ი ლ ი ს ძ ე თ გ ო რ გ ი ველთ შივა, განხყვამ ამაგის
კვალსაო“ ([6] 29,58,1,10).

ერთ ლექსში თ ი ლ ი ს ძ ი ს ო ბ ო ლ ი-ც იხსენიება (უნდა
თ ი ლ ი ს ო ბ ო ლ ი):

ცხვარ დაფრთხვა საყორნის თავსა, დილაზე თვირთვილიანი,
ზენაით ჩობანმ იძახა: „აჯატი რამ მოდის კმლიანი!“

„თ ი ლ ი ს ძ ი ს ო ბ ო ლ იქნება, ბევრი სხვა უქნავ ზიანი!“
([13] 206,306,5).

მაგრამ შემოგვენახა სწორი ფორმებიც:

კვადლოში თ ი ლ ი ს ძ ე გ ო რ გ ი შიშია შორის მტრისაი .

([14] 1975, 238);

თ ი ლ ი ს ძ ე გ ო რ გ ი ცხენს შეჯდა, მაჟარმ გაიღო პრიაღი

([14] 457, 299, ბ.6);

თ ი ლ ი ს ძ ე გ ო რ გ ი ცხენზედ შეჯღ, შარაყს გააღებღ

გრიალი ([14] 458, 299, 5).

„თ ი ლ ი ს ძ ე თ გ ო რ გ ი“ ზუსტად ისეთივე შეცდომაა, როგორც „ფ უ ნ რ ა თ ჯ ა მ რ უ ლ ი“ — გორგი თილისძეა და ფუნ-რ ა — ჯამრული. მრავლობითი ნათესაობითის ნიშანი თ-ანი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ო დ ი ნ ა თ ხომიზურასა, ა ლ ი ა თ ბაბღე-სა, რ ე კ ა თ ჯამრული-სა და მისთანათა ანალოგიით არის გარჩენილი.

როცა თილის ოჯახი თილისძე გორგის ოჯახად „გაფორმდა“, მაშინ მას შეერქვა თ ი ლ ი ს ძ ე ნ ი. თილისძე გორგის ჰყავდა ვაჟიშვილი, რომელსაც თილისძეთ მფერალას ეძახოდნენ. სწორია ლექსის ვარიანტი, რომელშიც იკითხება:

ნეტარ არ გამახყიდდესა თ ი ლ ი ს ძ ე ნ გორგის კმაღლსაო?

([1] 83, 1).

თ ი ლ ი-ს ოჯახი თ ი ლ ი ნ ი-ა, თ ი ლ ი ს ძ ი ს ა—თ ი ლ ი ს-ძ ე ნ ი.

გასარკვევია კიდევ ერთი პერსონაჟის ვინაობა. ზემომოყვანილ ლექსთა ვარიანტებში იკითხება: ა) ატირდა ფ უ ნ რ ა ი ს ქ ა-ღ ი გულხურღათ გულარეული [7]. ბ) ატირდა ფ უ ნ რ ა ი ს ც ო-ღ ი გულსრულად გულარეული ([17] 23); გ) ატირდი ფ უ ნ რ ა ი ს ქ ა ლ ო, ნ ა ნ ა ო, გულარევითა, საჯინჭველეს გადაუხედე, ბაკი ას არ-გარევითა, შიგ გიწვეს ძ მ ა ი ჯ ა მ რ უ ლ ი, სისხლში ას გადარევითა ([6] 16).

ამ უკანასკნელით რომ დაკიწყეთ, ესეც აშკარად კონტამინირებული ტექსტია. აქ სახელი ნანა მეორე თუშური ლექსიდან ჩანს აღებული. შდრ.: „ატირდა ტუტელ წისქვილში ნ ა ნ ა თ ო რ ღ ვ ა ი ს ქ ა-

ლია ([I] 163,1). ფუნჩა ჯამრულზე ნათქვამ ლექსში იკითხება: „გ ა-
ვ ლ ე ვ დ ა ფ ე ხ შ ი შ ვ ე ლ ა ს ა თ ვ ი რ თ ვ ი ლ ი ა ნ-
თ ა მ თ ა თ ა ო“, ხოლო „ნანა თორღვაის ქალში“ ნათქვამია: „მ ა-
ვ ლ ი ე ს ფ ე ხ შ ი შ ვ ე ლ ა ს ა თ ვ ი რ თ ვ ი ლ ი ა ნ ნ ი
მ თ ა ნ ი ო“ ([I] 163,8). თორღვაის ქალ ნანას წისკვილში ძმა და
ბიძაშვილი ჩაუხოცეს ლექებმა („ჩამიკოცნიან ძმა-შინშნი, მიბრუნვენ
სისხლის ტბანო“). ამის გამოძახილია ის, რომ ჯამრული ფუნჩაის ქა-
ლის ძმად არის მიჩნეული.

ლექსი, რომელშიაც „ფუნჩაის ცოლი“ იკითხება, თითქოს გამოძახი-
ლია ხევსურული ლექსისა: „ა ტ ი რ დ ა კ ი რ ჩ ლ ა ი ს ც თ ლ ი
ლ ი ლ ი ა ნ-პ ე რ ა ნ გ ი ა ნ ი“ და თითქოს უპირატესი უნდა იყოს
მეორე ვარიანტი, სადაც საუბარია „ფუნჩაის ქალ“-ზე, მაგრამ მარტო
ამ ლექსების მიხედვით ძნელი გადასაწყვეტია, ვინ არის ის, ვინც
ფუნჩა ჯამრულს დასტირის – ცოლია მისი თუ ქალიშვილი...

მეორე პერსონაჟია ფუნჩასა და მანგიას მკვლედი გულბათის ხაძე
(ქ.ე.ს. ხაწე). ამ ხაძეზედაც შემონახულა ხალხური ლექსები. აი,
ერთი მათგანი:

ქისტეთში ვაჟი გაითქვა, სახელად ხქვიან ხ ა წ ე ო,

აისხამს იარაღებსა, სამჯერ შამახდა მთაზეო:

„ნეტავი ზეზვა შამყარა გათქმული ქვეყანაზეო!“

ეგ რო გაიგო ზეზვამა, მაღლა მახვედების მთაზეო.

მასთხოვა ცხენი მსახურთა, ფეხ შადგა უზანგაზეო.

უბარებს ჭვრიტის ლუხმსა: „ნუ მწვერავს სხვადასხვაზეო,

პირობა გაკეთილი გვაქვ თორღვაის აბანოზეო,

ან უნდა დამხვდას აიქა, ან მიუდგები კარზეო“ ([6] 39).

სხვა ლექსების მიხედვით ხაძე ტერელოელი ქისტო ჩანს, თუშცა
ზოგ თუშურ ვარიანტში ნათქვამია: „ღიკეთში ღიკი გადიდა, სახელად
ჰქვიან ხაწეო“. ერთ ფშურ ვარიანტში ნათქვამია: „ქისტეთში ვაჟი
გაითქვა, სახელად ჰქვიან ხაძეო“ ([10] 22) და შემდეგ საქმე ისეა

დახატული, თითქოს ეს ხაძე დაატყვევეს ფშავლებმა, თუმცადა ხაძე ემუქრებოდა თუშებს -- ზეზვასა და ჭვრიტისძე ლუხუმს.

ამ ლექსის თუშური ვარიანტი ასე იწყება: „ღეკეთში ლეკი გადიდა, უშიშრათ დადის მთებზედა“. ეს „ღეკთ ხაწე“ ემუქრება ზეზვასა და ლუხუმს. ამ ლექს ჭვრიტის ლუხუმი თავისი რაზმით ამარცხებს და ატყვევებს ([II] 24-25).

ფშაური ვარიანტითაც ხაძე თუშებს -- ზეზვასა და ლუხუმს ემუქრება. „თუშებმ საკარგყმ დალიეს, წინ-წინ ვინ მივალთ ჯარზეო“, მაგრამ, სრულიად მოულოდნელად, „მიუსწრეს ფშავლის შვილებმა, გათქმულთა ვაჟობაზეო.“ ფშავლები აქამდე არსად ჩანდნენ ლექსში, ისინი რომელიღაც ფშავლება მოლექსემ შემოიყვანა „თუშების ჯინაზე“ და ვაჟაკობის პრიორიტეტი მათ მისცა: ხაძეს „მივარდა ფშავთ წინამძღვარი, ხ ე ღ ი გ ა შ კ ი დ ა მ ხ ა რ ზ ე ო“. ეს ყალბისმქნელი თუშ მელექსეს ესესხება, შდრ.: „შეუვარდ ჭვრიტის ლუხუმი, ხ ე ღ დ ა ვ ღ ხ ა წ ე ს მ ხ ა რ 'ზ ე ო“. ნაძალადევი და მცდარი, მარცვალთა რაოდენობისათვის არის ნახმარი ფორმა „ფშავთ“, ნაცვლად ფორმისა „ფშაველთ“.

ფშაური ვარიანტით „ფშავთ წინამძღვარმა“ ხაწეს „თავზეით რ ა - რ ქ ა ნ ა შ კ ლ ი ჯ ა , ჯ ა ჭ ვ დააგლიჯა ტანზეო“. კი, მაგრამ ვაჟა რომ ბრძანებს: „ქისტს არ მოუდის ჯიშადა მუზარადის დგმა თ ა ვ - ზ ე დ ა“-ო, ვითომ ცდება? არა, ვაჟა არ ცდება. ისიც ანგარიშგასაწევია, რომ თუშურ ვარიანტში ჩარქანზე და ჯაჭვზე საერთოდ არ არის საუბარი: „წელიდან ხმალი შეუხსნა, მხარზე აუგდო, თოფიო“ - არის მხოლოდ ნათქვამი. ნაყალბევი და გვიანდელი, აშკარად ტენდენციურია ამ ლექსის ფშაური ვარიანტი. გვარიანად არის შერყვნილი თუშური ვარიანტიც, მაგრამ მას რაღაც რეალური, ისტორიული საფუძველი უჩანს ჭვრიტის ლუხუმის მიერ ჩადენილი გამირობის სახით. შემდეგ ეს გამირობა ფუნჩა ჯამრულის ციკლის ლექსებში გადმოვიდა და ქისტი ხაძე ლეკ ხაწედ იქნა მონათლული, რომელსაც თურმე ჭვრიტის ლუხუმმა

სძლია (იხ. ამ ლექსის კიდევ ერთი ვარიანტი [6] 39).

ხაწე რომ ლეკი არ არის, იქიდან მტკიცდება, რომ ქისტის გულბათის ხაძე (იგივე „ხაწე“) ამ ამბების შემდეგაც, უკვე მოხუცი, მარბიელ ქისტის ლაშქარს მოუძღვება ხევსურეთში, სოფ. ხახმატის ასაოხრებლად, თუმცაღა (სიბერის გამო) თარეშში ველარ მონაწილეობს; მთა ველკეთილზე რჩება და მისი მოლაშქრეებიც ზარალდებიან. აი ეს ლექსიც:

ცხენს ხკაზმებს გულბათიშვილი ხაძე ტერელოს, კარზედა.

მააკრავს საჭირობელსა კაკმატელთ მუქარაზედა;

შადიან ქისტნის ჭაღასა, ხვაღებ შაგოგენ ნაღზედა.

და ლ ბ ე რ ე ბ ი ა ხაძეი, დარჩა ველკეთილ მთაზედა.

კაკმატ ჩაუშენა თარეშნი მა ჯოყოლაის ჯავრზედა;

შეთეშვიშვილის ლურჯაი ნაღვარს მიფრინდებ ძაღზედა.

რა მაგარბოლებს, ოკერო, გიზის მეთო ე გზაზედა.

მკედრისად დაღიშნებულმა, ცხენო, დაგკერიდა ტანზედა.

ჯოყოლათ ხათუთისძეი გადააჭდინეთ ჯარზედა, –

შინ თუ ჯოყოლა არ დახვდა, მგლის ლეკვ დაუხვდა გზაზედა.

([2] 371).

არის ამ ლექსის ვარიანტები ([12] 70, 144 [6] 27, 54; [14] 298), რომლებითაც აგრეთვე დასტურდება, რომ ხაძე ქისტია, სოფ. ტერელოდან.

არის კიდევ ერთი თუშური ლექსი, რომელიც ამავე ამბებს უნდა ეხებოდეს. სახელოვანი თუში როსტომი ძმობილის შერის საძიებლად მიდის სწორედ იმ ადგილებში (აკვა, ტერელო), საიდანაც ფენჩასა და მანგიას მკვლელი გულბათიშვილი ხაძე იყო:

გამზდელიმც დაილოცება თუშისა როსტომისაო;

ალაზნის თავზე შემოდის, წყემსი გვეგონა ცხვრისაო.

გადაიარა ბორბალო, ყამიც არა აქვს მტრისაო.

ჩამოდის ქისტის ჭაღაზე; სწავლა არ უნდა გზისაო;

გავიდა ქორვის მთაზედა, ნამი გაბერტყა მთისაო.

მარტო ჩავიდა ახვაში, თან კვალი ჩახყვა მგლისაო.

როსტომსა სისხლის მძებნელსა იმედი აქვსა ხმლისაო.

თოფსა არ ისვრის როსტომი, გატეხ არ უნდა ხმისაო,

მოკლა ხაწეთა ბათირო, მომკლავი ძმობილისაო ([11] 17).

ეს ხ ა წ ე თ ბ ა თ ი რ ი თითქოს შვილი უნდა იყოს გულბა-
თიშვილ ხაწესი (ანუ ხაძესი), რომელიც, როგორც ფუნჩა ჯამრულის
და მანგას მკვლელის შვილი, თვითონაც „მამკლავად“ ანუ მოსისხლელ
იხსენიება. თვითონ ხაძე ამ დროს ალბათ მკვდარია ან ძალიან მოხუ-
ცი. ასეთი მოხუცი მოსისხლის მოკვლას მთაში ერიდებოდნენ — უკლავ-
დნენ ახალგაზრდა შვილს ან სხვა ახლობელს და ამით ეს მოხუცი შვი-
ლის თუ ახლობლის სიკვდილის მიზეზი ხდებოდა და სიბერე უმწარდებო-
და.

ახლა ქ ა ი ა ს ვინაობის შესახებ. ქაია ქარსამაულეების რძა-
ლია. იგი ხან „ქარსამაულად“ იხსენიება ლექსებში, ხან „ქარსაის
ქალად“, ხან კიდევ „ქარსამის ქალად“, მას ქმრის მოკვლით ემუქრე-
ბიან (ვინ არის ეს ქმარი, ლექსებიდან არ ჩანს):

მაგივამ ფ უ ნ რ ა თ ჯ ა მ რ უ ლ ი, მასჭრის ცხვარივით
თავსაო ([14] 367);

მოვალის ფ უ ნ რ ა თ ჯ ა მ რ უ ლ ი, ცხვრებულად მასჭრის
თავსაო ([14]);

მაგივას ფ უ ნ რ ა თ ჯ ა მ რ უ ლ ი, ცხვრებულ მაგიჭრის
თავსაო ([18] 41);

თ უ შ ი ბევრია გ უ ლ დ ი დ ი, ჯ ა მ რ უ ლ მოგიჭრის თავსაო
([11] 54);

თ უ შ ი რო შახვდას გ უ ლ დ ი დ ი, გაგისრევიებს თავსაო
([6] 39);

მავეალის თ უ შ ი გ უ ლ დ ი დ ი, მავა, მაგიჭროს თავსაო
([2] 416, 34).

თ. რაზიკაშვილს ჩაუწერია ამ ლექსის დამახინჯებული ვარიანტი: „ქაღალ ში კ ა ზ ს ა მ ა ვ ა ლ ო, ქმარს რად უჭირდებ ტყავსაო? მტერი ვინ შამდეუყრება, ცხვარიცო მასჭირს თავსაო ([12] 212, 106). ცხადია, „პარსამავალო“ ქ ა ზ ს ა მ ა ვ ა ლ ო-ს დამახინჯებული აზრის მიღებული.

ყველა მოყვანილ ვარიანტში არის შეუქარა, რომ ქაიას შრომა ამა-ოა, რომ მას ქმარს (ზოგი ვარიანტი — ძმას) მოუკლავს „თუში გულდილი“ (ან თუში „ფენჩაო ჯამრული“) და მასაც ტყვედ წამოიყვანს თუშითში. არც ერთ ვარიანტში არ არის ნათქვამი, რომ ეს შეუქარა ვინმემ შეასრულა, რომ ქაიას ქმარი მოუკლეს, ხოლო თვითონ დაატყვევებეს. მოხდა პირიქით: ქარსამავლთა მომუქარე ფენჩა მოკლა ქარსამავლთა მეზობელმა (ან, ეგება, ნათესავმა) გულბათიშვილმა ხაძემ (I.E.S.P. ხაწემ).

დ. გოგოჭური იმეწმებს ცნობილ ლექსს, რომელშიაც ვაჟი ემუქრება ქალს:

ლეგას ტალღარს ჩაეცომე, ლეგლუგას, ლეკებისასა,
გადავალ პირიქითთა, სახელს დავიკრემევე წიქასა,
დავციდებ ციხის კუთხზედა მარჯვენას შენის ქმრისასა
და მოულოდნელად ასკვნის: „ის, რაც ამ ლექსში სურვილის სახითაა გამოთქმული, ფენჩაიშვილს სისრულეში მოუყვანია: ქალის ქმარი მოუკლავს და მისი მარჯვენა ხელი თავისი ციხის კედელზე დაუკიდია“ ([8] 42).

ამ წანამძღვარზე დაყრდნობით მკვლევარი გვთავაზობს ასეთ ვარაუდს: ქაია ... თუში და თანაც, როგორც ვაჟა-ფშაველას ლექსშია, ჯამრულის საცოლდე უნდა ყოფილიყო, შემდეგ კი ადათის მიხედვით თუ ძალით, ქარსამავლთა მიერ ცოლად წაყვანილი. ვაჟა-ფშაველას მიერ ზემოქანტიყვიერი მასალის გამოყენების მეთოდოლოგიას თუ გავითვალისწინებთ, საცოლის გამო გმირი ჯამრულის დამწუხრება ხალხურიდან უნდა მოდიოდეს, თანაც ეს საცოლდე ქაია უნდა იყოს. ([8] 44).

მკვლევრის მიერ მოტანილი მასალა აშკარად არ იძლევა ასეთი ვარაუდის საფუძველს; რაც შეეხება ვაჟა-ფშაველას მიერ ზემოქმედების მასალის გამოყენების მეთოდოლოგიას, არც აქ არის რაიმე ისეთი, რაც ზემომოყვანული დასკვნის საშუალებას იძლეოდეს.

ლექსი „ჯამრული“ ვაჟამ 1895 წელს დაწერა ([9] 199). უფრო ადრე, 1890 წელს ვაჟამ დაწერა ლექსი „ომედი რაზიკაული“ ([9] 84). ეს მეორე ლექსი ვაჟას თავის სახელოვან წინაპარზე აქვს დაწერილი. „ჯამრული“ და „ომედი რაზიკაული“ თავისი არქიტექტონიკით და სათქმელის გამოსატყვის მანერით ორი წვეთი წყალივით ჰგვანან ერთმანეთს. შევადაროთ ამ ლექსების დასაწყისი და დასასრული.

„ომედი რაზიკაული“ ასე იწყება: ა ჯ ა ვ რ ი ჰ ე ლ ა ვ ს
რ ა ზ ი კ ა უ ლ ს ა შ ა დ ე დ ბ უ ლ ი . შ ხ ა მ ი თ ა“. შემდეგ იწყება კითხვა-მიგებები, თუ რატომ დარდობს რაზიკაული, ციხე ხომ არ დაუნგრია მტერმა, შვილი ხომ არ მოუკლეს და სხვ., ბოლოს ირკვევა, რომ, რაზიკაულს „ცხენი მოუკვდა ლურჯაი, აღარა ჯდება სხვაზედა... ცხენს გლოვობს რაზიკაული, იმიტომ არის ავადა“.

ხოლო ლექსი „ჯამრული“ ასე იწყება: ა ვ ი ს გ ლ ო ვ ო ბ ს
ფ უ ნ რ ა თ ჯ ა მ რ უ ლ ი , რ ა თ ა ვ ი და უ ლ ე ნ ი ა ?“ შემდეგ აქვს კითხვა-მასუხები იწყება: ძმები ხომ ცოცხლები ჰყვანან ჯამრულს, თადრებმა ხომ არ დაჩაგრეს და სხვ. ბოლოს ირკვევა, რომ „ერთს ბეზირგანსა დიაცსა (მისი სახელიმც კრულა!) არ წაჰყოლია ცოლადა, ვაჟაკი დაუწუნია, ამას მაკილობს ჯამრული, თავი მით დაუღუნია“.

ხალხურ პოეზიაში არაფერია ნათქვამი იმედის ცხენის სიკვდილზე, იქ ასევე არაფერია ნათქვამი, თითქოს ქაია ქარსამაული ფუნჩას საცოლე ყოფილიყოს. ორივე სახალხო გმირის დარდისა და წუხილის მიზეზი ვაჟას გამონათქვამია, მისი მდიდარი პოეტური ფანტაზიის ნაყოფია.

ერთხელ რომ კიდევ დავუბრუნდეთ წერილის ძირითად საკითხს, იმედი რაზიკაულიც ისეთივე ანალოგიურობაა, როგორც ფუნჩა ჯამრული. რაზი-

კა იმედის პაპა იყო, ხოლო იმედის მამას ქუმსი ერქვა. ქუმსი იყო რაზიკას ძე ან რაზიკაული. იმედის შემდეგ მისმა შთამომავლებმა ამ სახელოვანი წინაპრის სახელი გვარად დაიმკვიდრეს, ხოლო მოგვიანებით „რაზიკაული“ „რაზიკაშვილად“ გადააკეთეს.

II. ზ ა ზ უ ლ ი ა

სახელი, უფრო სწორად, მეტსახელი – ეპითეტი „ზაზულია“ ვაყვას მხოლოდ ერთხელ აქვს ნახსენები. ლექსში „ფშავლის სიყვარული“ ვაჟა-ფშაველას გმირი ამბობს:

„...წავალ და, სადაც ცქიფათი

ხევში საკრეჯი წყალია,

იქ ჩამაილის თულუხით

თინიბეკაის ქალია.

უნდა გადვუხტე გზაშია,

სიტყვა ვესროლო ცხარით,

დავტაცო გიშრის ნაწნავი,

გულს დავაბჯინო ხმალით,

ცხენის გავაზე მოვიგდო,

სდიოდეს ცრემლი მწარით,

შუადამისას ჩარგალსა

გადავიწერო ჯვარიო.

მერე მოიდეს სადაოდ

თუნდა ოსმალოს ჯარით, —

ქაღს არვის წააყვანინებს

ზ ა ზ უ ლ ი ა ი ხარით“. ([9] I, 35-6)

საკუთარი სახელი ზ ა ზ უ ლ ი ა ფშავში არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში ხალხურ სიტყვიერებასა და ეთნოგრაფიულ მასალაში ეს სიტყვა არა ჩანს გარდა ერთი ლექსისა, რომელსაც ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ. ვაჟას ზემომოყვანილ ლექსშიაც ეს სიტყვა კარგი ვაჟა-

ცის მეტსახელ-ეპითეტია სიტყვა „ხარ“-თან ერთად. ასეთი ეპითეტები ფშავში გავრცელებული იყო. მოგვყავს რამდენიმე მაგალითი: „აი, ბიჭებო, წინანდელი ფშაველები როგორი ბოლრეები ყოფილან“ ([9] IX, 166). ვაჟას მამას ვიქტორ ჰიუგოზე უთქვამს: „ჰა ბერავ, კაცო! აი, ამისთანა ბოლრა უნდა გაზარდოს დედამა!“ და ვაჟა შენიშნავს: „ეპითეტი „ბოლრა“, დიდებულ ადამიანების სამკაულად ჰქონდა მამაჩემს შენახული და ამითი ჰსახავდა მათ დიდბუნებოვანობას, შეუდრეკელობას, მძლავრობას, ენერჯის სიღიადეს“ ([2] X, 136).

ასევე უონგაიჯონქა ვაჟას განმარტებით „მეტსახელია ირმისა აღერსის გამომხატველი“, ხოლო თვითონ ვაჟა ამ ირმის მეტსახელს კარგი ვაჟკაცის ეპითეტად ხმარობს. ლექსში „სიკვდილი გმირისა“ ნათქვამია: „აფსუს, რა უონგა წაიქცა!“ - ყველა ამასა ჩივისა“ ([9] I, 248).

ეს ისეთი შემთხვევებია, როცა ვაჟკაცის ეპითეტად იყენებენ რომელიმე ცხოველის სახელს (ხარი, ირემი, ლომი, ვეფხვი...). ვაჟასთან გვაქვს შემთხვევები, როცა ცნობილი გმირის სახელი მძლავრი ნადირის ეპითეტად არის გამოყენებული. აი, ერთი მაგალითი: „კობალაში“ ვაჟა წერს: „ვეფხვიცა ჰხერეჰდა გუბესა, გული გააღბო მწყურვალე, მიკვირს, რით გასძლო, არ გატყდა, წყლით უგრილები, მხურვალე! კლანჭებსაც იბანს როსტომი, ტყის სიღუმილის მკურნალი“ ([9] III, 82, 5).

სიტყვა „ზაზულია“ იხმარება ერთი თუშური წარმოშობის ხალხურ ლექსში, რომელიც რამდენიმე ვარიანტად არის შემონახული. ჩვენ სრულად მოვიყვანთ ა. შანიძის მიერ ძირითადად მიჩნეულ და „ხევსურულ პოეზიაში“ [13] 43-ე ნომრით გამოქვეყნებულ ტექსტს, შემდეგ კი შევცხებით ამავე წიგნში თუ სხვაგან გამოქვეყნებულ ვარიანტებს ამ ლექსისას:

„ააჯედ, ცაეუსძევ, დაგვექენ, თუშეთს მოგწყინდას

ერთხან კევსურეთ გადაქედ, ადგილ იქ ნახე კლდიანი!
 ჯოჯინის ღელეს შამოხკე, მგზავრ შაგზვდა ქალ-ვაჟიანი.
 შიგ სტანავ ცუცქიაური, ბულა მოღბიჯავს რქიანი.
 თოფი ესროლე, ვერ დახკარ, ხოით იყო დავლათიანი.
 კმალი მოსთხოვე, შენ მოგცა, დანა დამალა ფხიანი.
 კელი გკრა საყელოშიგა, მკლავითთ ას იმეღიანი.
 დაგიბალითა, გულს დაგცა, მიწა გაჭმივა მტვრიანი.
 გაგწირა დგნალონის ჩიღლა, დაგადგა სისხლ-ტიგრიანი.
 კმალი თავითთ დაგიდვა, ნაბად გაგხურა ცვრიანი.
 გვერდით მოგისვა ყორანი: „გალო გამოხარ წვნიანი!“
 თაოდ ანდაკზე გადვარდა ირემი თვირთვიღიანი.
 სადილად არდოტს ჩავიდა თორღვაი მკლავსისხლიანი.
 წამეეგებნეს დედანი: „საით მოხვედ სახელიანი?“
 „ბოზნო, რას მკითხავთ, დედანო? (მე მავალ გულჯავრიანი).
 კმალი ვაუუსძემ წამართვა, შინ მოვედ სირცხვიღიანი“.
 „გეტყობის საუბარზედა, თორღვაე, სამ გიქნავ რიაღი“.
 ამაგ ქართულის მათქვამი თ უ შ ი ს ქ ა ლ ი ო რ ი მ ი ა ნ ი .
 საღეჭსოდ გამამიგზავნე საყური კუკუმიანი.
 ცოლად კი წამაგივიღოდი, თუშის ვარ კვეთიღიანი.
 ძალიან ნუ გაზღიღდები, მამა მეც მყვანდა კმღიანი“.
 ეს ღეჭი ასახავს იმ ვითარებას, როცა მთაში მამაცი, ღონიერი,
 მოხერხებული და, ამის გამო, გათავხედებული ცალკეული პიროვნება,
 მარტო თუ თავის თანამოსაქმეებთან ერთად, მძღაერობდა მეზობელ და
 შორეულ თემებზე, ცალკეულ ოჯახებზე: სტაცებდა მათ საქონელს, ბეგ-
 რავდა და სხვ. ასეთებად მთაში ცნობილნი არიან შიოლა ლუღუშაური,
 თორღვა ძაგანისძე, ვაუუსძე და ზოგიც სხვა. თითოეული მათგანი თა-
 ვის ბნელ საქმეს ეწირებოდა: შიოლა შეაკვდა მთრებელს, ვაუუსძე —
 თორღვას, ხოლო თორღვა — ჩონთას. ეს ორთაბრძოლები მთის პოეზიაში

ისევე საინტერესოდ არის აღწერილი, როგორც ახლახან ჩვენ მიერ დამოწმებულ ლექსში.

შიოლა ლელეშაურსა და თორღვაზე არსებობს მეტ-ნაკლები სისრულისა და მეტ-ნაკლებად სანდო მეცნიერული გამოკვლევები. ჩვენ ამ წერილში ვაუხსძებე, კერძოდ მისი სახელის ევოლუციაზე, გვექნება საუბარი.

ვაუხსძე მამაკაცის სახელია მთაში და დღესაც ცოცხალია ეს ანთროპონიმი. (ზღრ. ბერისძე, თილისძე, ნათელისძე, სანათისძე და სხვ.).

ამ ლექსის არსებული ვარიანტები ერთმანეთისაგან სისრულით განსხვავდებიან, შინაარსი ყველგან ერთია, წყობაც ერთნაირია, ყველგან აღწერილია თორღვას მიერ ვაუხსძის მოკვლა. ვარიანტებში იცვლება თვითონ მოკლული გამირის სახელი, მაგრამ ეს ცვლილებები, როგორც ქვემოთაც ვნახავთ, ძირითადად ფონეტიკურ კანონზომიერებებს ემორჩილება.

ასე, მაგალითად, „ა“ ვარიანტში, რომელიც ნ. ურბნელს ხეცსურ ბათაკა არაბულისაგან ჩაუწერია და ივერიის 1888 წლის 121-ე ნომერში დაუბეჭდავს, სახელი ვ ა უ უ ს ძ ე უცვლელად რჩება, ასევე ივ. ხორნაულის „ფშავ-ხეცსურულ პოეზიაში“ ([19] 183) და ალ. ოჩიაურის „ფშავ-ხეცსურულ პოეზიაში“ ([6] 40-41).

მაგრამ თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილ ლექსში („ხეცსურული პოეზიის“ [1] მიხედვით „ფ“ ვარიანტი, გვ. 343) ვ ა უ უ ს ძ ე უკვე „ფ ა უ ი ს ძ ე“-დ ქცეულა. სხვათაშორის, თ. რაზიკაშვილი შენიშნავს: (ყაყისძე) „ფ უ შ ი ყ ო ფ ი ლ ა (ხაზი ჩემია - ა. ჭ.), ხეცსურეთში უთარეშნია, უწიოკებია და უცარცვია ხალხი. ეს ლაღატით მოკლა თორღვამ, მაგრამ თორღვამ უარესი დღე დააყენა ხალხსა, სანამ ჩონთას ისარმა გული არ გაუგმირა ამ სისხლის მსმელსა“ ([1] 343).

დ. ხიზანიშვილის მიერ ჯერ „ივერიაში“ (1887 წ. №154), ხოლო 352

შემდეგ (1887 წ.) „ფშაურ ლექსებში“ გამოქვეყნებულ ვარიანტშიაც „ვატისძია“ იკითხება ([I0] 144-145).

დ. ალბანელის მიერ თ უ შ ი ს გ ა ნ ჩაწერილ და 1897 წელს „აკვალში“ (№13) დაბეჭდილ ტექსტში „ვ ა ე უ ს ძ ე“-ს ნაცვლად „ვ ა ზ ო ძ ე“ დასტურდება. ჩამწერი შენიშნავს: „ხალხის თქმით ვაზოძე მძინარე თორღვას წაადგა და აჰყარა იარაღი“. ეს ვარიანტი ასე იწყება: „მთა-მთას რას გვივლი, ვაზოძე? ბარის არ გეყო, ლ ე კ ო, ზიანი?“ ე.ი. მთხრობელს ვაზოძე (იგივე ვაჟუსძე) ლეკად მიაჩნია (ვარ. „ა“, [I] 346-347).

ამაზე უფრო ადრე, 1895 წ. ჟურნ. „მოამბეში“ (№3) ეს ლექსი („მ“ ვარიანტი) დაბეჭდა დ. როსტომაშვილმა. ლექსი კვლავ თუშისაგან გახლავთ ჩაწერილი და იქ იკითხება: „მოდი, ვ ა ზ უ ზ ი, დაგვეტყენ! თუშებსა გვეყო ზიანი“ ([I] 346). მაშასადამე, სახელი ასე იცვლება: ვ ა ე უ ს ძ ე ---> ვ ა ზ ო ძ ე ---> ვ ა ზ უ ზ ი.

1900 წელს აკაკის თვიურ კრებულში ივ. ბუქურაულმა დაბეჭდა კიდევ ერთი ვარიანტი („ზ“), სადაც ისევ „ვ ა ზ უ ზ ი“ იკითხება (მთხრობელი აქაც თუშია): „მოდი, ვ ა ზ უ ზ ი, დაგვეტყენ, თუშეთის გეყო ზიანი; ახლა ხევსურეთს გადადი, კმალი დაგხედება ფხიანი“... ივ. ბუქურაული შენიშნავს: „მთაში მძინარეს თავს დასდგომია თორღვას ქ ი ს ტ ე ბ ი ს (ხაზი ჩემია, ა.ჭ.) გამოჩენილი ბელადი ვაზუზი, რომელიც შიშის ზარსა სცემდა მთა-ბარსა“... აქაც ვაჟუსძე ქ ი ს ტ ი ა.

გ. ტუქისვილის ფონდში („დ“ ვარიანტი, [I] 344) „ო ზ უ ზ ი ა“ და „ჟ ზ უ ზ ი“ დასტურდება: „არ დასდევ ოზუზიაო...“, „ქმალი შენ მოგცა, უ ზ უ ზ ი“... ცვლილება სახელში (ვ ა ზ უ ზ ი ა ---> ო ზ უ ზ ი ა ---> უ ზ უ ზ ი) აქაც გასაგებები და კანონზომიერია.

ერთი, ს.: ცისკარიშვილის (თუშია) თქმით ჩაწერილი, ვარიანტი თავის „ხალხურ პოეზიაში“ (1934 წ. გვ. 85) გამოაქვეყნა გ. კოტეტიშვილმა. აქ „ვ ა ზ უ ზ ი“-ის მაგიერ უკვე „ვ ა ზ უ რ“-ი დასტურ-

დება: „დადექ, ვ ა ზ უ რ ო, დაგვეხსენ, თუშეთს გეყოფა ზიანი“.
თუ გრაფიკული ხასიათის შეცდომასთან არა გვაქვს საქმე (ზ-ს ნაც-
ვლად რ-ს ამოკითხვა ხელნაწერში), რაც საეჭვოა, რადგან ტექსტში
ორჯერ იკითხება ვ ა ზ ე რ-ი, ცვლილება ამ სახელში უფრო შორს
არის წასული.

ბოლოს არის კიდევ ა. რაზიკაშვილისგანვე ჩაწერილი ერთი ვარი-
ანტი („ა“), რომელშიაც ვ ა ზ უ ზ ი ა-სა და სხვათა მაგიერ „ზ ა-
ზ უ ლ ი ა“ იკითხება. „არ დაჰდევე, ზ ა ზ უ ლ ი ა ო, თუშეთს ბევ-
რი ჰქენ ზიანი“. ო. რაზიკაშვილი აქაც შენიშნავს: „ეს ზაზულიაც
და თორღვაც ორივე საზიზღარი მტარვალეები ყოფილან. თორღვამ დალა-
ტიმ მოკლა ზაზულია და ახლა თვითონ დაიჭირა იმისი ხელობა“-ო.
ტექსტი ფშავშია ჩაწერილი და ფშაურია.

აი, ეს სახელია („ზ ა ზ უ ლ ი ა“), ვაჟამ რომ თავის გამირს შე-
არქვა „ფშავლის სიყვარულში“. მაშინ ვაჟას ამ ლექსის არსებობაც
უნდა სცოდნოდა. დიდ პოეტს ეს ლექსი ორ ვარიანტად მაინც სცოდნია.

წერილში „ფშავლების ძველი სამართალი და საოჯახო წესები“ ვაჟა
წერს: „კვეთილიანობა“ ფშაურს ლექსებშიაც არის მოხსენებული, აი,
თუნდაც ეს ლექსი, სადაც ქალი ეუბნება გამირს თორღვას:

„მოგივიდოდოდი ცოლადა,

არ ვიყო კვეთილიანი.

თავს კი ნურას მაიწონებ,

„ მამა მეცა მყავ ხმლიანი:

ერთის ნასროლით სამს მაჰკლავს,

შინ მოვა სახელიანი და სხვ.“ ([9] IX, 74).

მეორე წერილში „ძველებური ომი და საომარი იარაღი სახალხო
პოეზიაში“ ვაჟა ამ ლექსის განსხვავებულ დაბოლოებას გვთავაზობს:

„მოგივიდოდოდი ცოლადა,

არ ვიყო კვეთილიანი.

თავს კი ნურას მაიწონებ,

მამა მეცა მყავ ხმლიანი, -

შ ვ ი დ თ შ ა შ კ რ ა ვ ს შ ე ნ ი ს თ ა ნ ა თ ა
ჯ ა ჭ ვ ი ა ნ თ ბ ე რ ა ნ გ ი ა ნ ი“

([9] IX, 371).

შეადარეთ მ. რაზიკაშვილისეული ვარიანტი: „ჟმალს ნუ იკვები, თორღეაო, მამა მაცა მყავ კმლიანი... ს ა მ თ შ ა შ კ რ ა ვ ს შ ე ნ ი ს თ ა ნ ა თ ა ჯ ა ჭ ვ ი ა ნ თ ბ ე რ ა ნ გ ი ა ნ ი“.

ამრიგად, ვაჟამ ეს ლექსი კარგად იცოდა და ისიც იცოდა, ვინ იყო „ზაზულია“.

იყო კი ისეთი გმირი ზ ა ზ უ ლ ი ა (I 299. ვ ა ე უ ს ძ ე), რომ მისი სახელი ეპითეტად გამოეყენებინა დიდ პოეტს? უღარდ იყო.

ზემომოყვანილი ლექსის მეათე სტრიქონს „ჟმალი თავითით დაგიდვა, ნაბად გაგხურა ცვრიანი“ - ა. შანიძე ასეთ კომენტარს უკეთებს: „ვაჟუსძეს, მართალია, პირველად ხმალი წაურთმევია თორღვასათვის, მაგრამ თორღვა ხელ-და-ხელ სცემია და ლ ე კ ი ს თ ვ ი ს (ხაზი ჩემია, ა. ჭ.) დანა დაუკრავს. შემდეგ ხევსურს თორღვას აღარ მოუსურვებია თავისი ხმლის დაბრუნება, რადგანაც წანართმევი იყო მტრის მიერ. ის კი არა, ნაბადიც გადაუხურავს გულადი მოწინააღმდეგის პატივისცემის ნიშნად“ [I] 342).

ახლა ძნელია თქმა, თუ ვისი იყო ხმალი და ნაბადი, თორღვასი თუ თვითონ ვაჟუსძისა, ის კი ფაქტია, რომ თორღვამ იცის ვაჟუსძის დირსება და არც თავის მარცხს მაღავს: „ჟმალი ვაჟუსძემ წამართვა, შინ მოვედ სირცხვილიანი“, — ამბობს ის.

სხვა ჩამწერ-გამომცემლებიც შენიშნავენ, თორღვამ ვაჟუსძე დალატით მოკლათ. ასე, რომ ვაჟუსძე (I 299. ზაზულია||იაზუზი...) მთაში ცნობილ გმირად დარჩა.

სხვათაშორის, თორღვას ამ „სირცხვილის“ ექიმ ხევსურეთში ღღემდო მოაღწია: თორღვა მუცოელი გახლდათ (მის საფლავს ახლაც აჩვენებენ ძველი მუცოს სასაფლაოზე). ამიტომ ღხინ-ქორწილებში თორღვას ამ

ლექსის მღერა არ შეიძლებოდა - მუცოვლები ამას სახელოვანი წი-
ნაპრის შეურაცხყოფად იღებდნენ. ამ სიმღერასთან დაკავშირებით
ხევსურეთში ბევრი შუელი და „ჭრა-კრილობა“ მომხდარა.

ისიც არის საყურადღებო, რომ ხალხურ ლექსსა და ვაჟას ლექსში
ერთნაირი ეპითეტებია ნახმარი. თორღვაზე ნათქვამია: „შიგ სტანავ
ცუცქიაური, ბ უ ღ ა მოღბიჯავს რქიანი“, ვაჟა კი ამბობს: „ქალს
არვის წააყვანიანებს ზაზულიაი ხ ა რ ი ა“. სხვათაშორის, თორღვას
რომ მელექსე „ცუცქიურს“ უწოდებს. ეს არც თორღვას გვარია და
არც სახელი, არამედ ვიღაც უფრო ძველი გმირის სახელია გამოყენე-
ბული (მსგავსად „ზაზულიასი“) თორღვას ეპითეტ-მეტსახელად.

ქართულ ხალხურ პოეზიაში არის ორთაბრძოლის ამსახავი რამდენიმე
ბრწყინვალე ლექსი. აი, ზოგი მათგანი: „შიოლა და მთრეხელი“
([1] 14), „შემომეყარა ყივირალი“ ([16] 74), „ყარარამაზი“ ([17]
158-159), „ღვედრია გუდამაყრელი“ ([2] 404), „ფხოველი და შავანე-
ლი“ ([1] 47), „ვაჟუსძის მოკვლა თორღვას მიერ“, რომელსაც ჩვენ
ახლა ვიხილავთ და სხვ. ამ ლექსებს (ცხადია, არა ყველას!) ისიც
აქვთ საერთო, რომ მკვლელი მოკლულს მ ი წ ა ს ა ჭ მ ე ვ ს ა:
„ცოლი მივგვარე სიდედრსა, ის კი იქა ს ჭ ა მ ს კ ე ვ ი შ ა ს ა“
(„შემომეყარა ყივირალი“), „აქამდე სჭამე აჩხოტი, ახლა მე გ ა ჭ -
მ ე ვ კ ე ვ ი შ ა ს ა“ („შიოლა და მთრეხელი“), „დაგიბალითა,
გულს დაგცა, მ ი წ ა გ ა ჭ მ ი ვ ა მ ტ ვ რ ი ა ნ ი“ („ვაჟუსძის
მოკვლა თორღვას მიერ“).

ეს სახე ვაჟას არაერთხელ აქვს გამოყენებული: „ჩქარა მიიხვენ
აბჯარნი, არა-ღ? გ ა ღ ო კ ე ბ კ ე ვ ი შ ა ს ა“ („გოგოთურ და
აფშინა“), „როგორ ვახვეწო უფალსა ძაღლი, ძაღლების ჯიშისა? მანამ
სჯობს ცანი დამექცნენ, ზურგი გამისკდეს მიწისა, ან თუ ზღვამ დამ-
ნთქას უძირომ, ს ა დ ი ღ ე ს ჭ ა მ ო კ ე ვ ი შ ი ს ა!“
(„აღუდა ქეთელაური“).

ჩვენ მიერ განსახილველ ლექსსა და ვაჟას შემოქმედებას შორის

უფრო არსებითი საერთო ნიშნებიც დაიძებნება. თორღვამ მის მიერ მოკლული ვაჟუსძე მთის წესისამებრ გააპატროსნა: „მ ა ლ ი თ ა- ვ ი თ ი თ დ ' ა გ ი ღ ვ ა , ნ ა ბ ა დ გ ა გ ზ უ რ ა ც ვ რ ი- ა ნ ი“. ახლა გავიხსენოთ, როგორ მოექცა ალუდა მისგან ორთაბრძოლაში მოკლულ მუცალს: „... თ ა ვ ი თ დ ა უ დ ვ ა ხ ა ნ ჯ ა- რ ი , ზ ე დ ე კ რ ა ს პ ი ლ ო ს ძ ე ა ლ ი ო , გ უ ლ ზ ე დ ძ ე გ ლ ი გ ი დ ა ა დ ვ ა , მ კ ლ ა ვ ზ ე დ ფ რ ა ნ გ უ ლ ი ხ მ ა ლ ი ო . . . ს ი გ რ ძ ი ვ გ ა ჰ ხ უ რ ა ნ ა ბ ა დ ი , ზ ე დ გ ა დ ა ა დ ვ ა ფ ა რ ი ო“ ([9] III, 61).

მელექსე ვაჟუსძეს ამასაც უუბნება: თორღვამ ყორანი მოიწვია და შენი წენიანი ძვლების ჭამა უბრძანაო („გვერდით მოგისვა ყორანი: «გალო გამოხარ წენიანი!»“). თორღვა ყორანს როგორ მოიყვანდა, მან, პირიქით, ნაბადი დაახურა ვაჟუსძეს, რომ ყორანს არ ეჯიჯგნა და (ავი სულებისაგან დასაცავად) „თავითით“ ხმალი დაუღვა, მაგრამ მელექსემ იცის ყორნის ზნე, იცის, რომ ყორანი ნაბადგადაფარებულ ცხედართანაც შეადწევს... ეს იცის მელექსემ და ამას საოცრად ხატოვნად ამბობს.

კვლავ გავიხსენოთ, რომ ვაჟას მუცალისკენაც ყორანი მიიჩქარის: „ხევი-ხევ შამოყრანტალებს ყორანი ავის ხმისაო: „მამკვდარა ქისტო მუცალი თვალნ უნდა ესჭამნე ყმისაო, გულ-ღვიძლი ამოვარილო, კალთა დავხურო მხრისაო“.

ამრიგად, უდავოა, რომ ეს ლექსი ვაჟას ცნობიერებაში ღრმად იყო აღბეჭდილი და ამან განაპირობა ზემომოყვანილი პარალელები. ამ მიზეზითვე მოკლული გმირის სახელი („ზაზულია“) ვაჟამ თავის გმირსა შეარქვა.

ახლა ისიც უნდა ავხსნათ, როგორ მივიღეთ „ვ ა ე უ ს ძ ე“დან „ვ ა ზ უ ზ ი“, ხოლო შემდეგ „ზ ა ზ უ ლ ი ა“.

თუშურში (და ზოგ სხვა ქართულ დიალექტშიაც) სძ კომპლექსი გვაძლევს ზ-ს: სძე -> ზე ([20] 25). შეადარეთ აგრეთვე ხევსუ-

რული ს ძ ი ს - ც ვ ა რ ი -> ზ ი ს ვ ა რ ი („რძე“). ამ წესის მიხედვით თუშურში ძე-ზე დაბოლოებულ გვარებს აქვთ დაბოლოება -ზე: ჯ ი ჯ უ რ ი ზ ე , კ ვ ე ს ი ა ც ი ზ ე , უ თ უ რ გ ა ც ი - ზ ე და სხვ. თ. უთურგაიძე მონოგრაფიაში „თუშური კილო“ ([20] 25) ამ მოვლენას ძ-სა და ზ-ს მონაცვლეობით ხსნის, რაც გასაზიარებელი არ ჩანს. ასე რომ ყოფილიყო, ცალკე მდგომ ძე-საც ზე უნდა მოეცა: „ძე არ დარჩა“-ს მაგიერ თუშები უნდა ამბობდნენ: „ზე არ დარჩა“; „უ ძ ე ო-ს მაგიერ „უ ზ ე ო“-ს უნდა ამბობდნენ და სხვ. ფონეტიკური პროცესი ასეთი ჩანს: სძ კომპლექსში ჯერ ს იქცა ზ-დ (ზძ), შემდეგ კი ძ დაიკარგა.

თუშურში და ხევსურულში პირის ნიშანი ს- იძლევა ზ-ს დ და ძ ბგერების წინ მოხვედრისას: სდგები -> ზდგები, სძიხარ -> ზძიხარ... კომპლექსი აქ შენარჩუნებულია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ პირის ნიშანსაც და ფუძისეულ თანხმოვანსაც თავ-თავისი ფუნქცია აკისრიათ. რაც შეეხება ნათესაობითის ნიშნისეულ ს-ს, იგი მთელ ქართულში იკარგება -ძე და -შვილ სიტყვებზე დაბოლოებულ გვარებში, რადგან ჰომოგენურ ბგერებს (ძ, შ) ხედება: მ გ ე ლ ა ძ ე - (შ) გ ე ლ ა შ ე ი ლ ი , ხ ა რ ა ძ ე - ხ ა რ ა ი შ ე ი ლ ი , დ ა ვ ი - თ ა ძ ე - დ ა ვ ი თ ა შ ე ი ლ ი და სხვ.

ეს ფორმები და „მ ა მ ი დ . ა“ , „დ ე დ ი დ ა“ , „ა ა ც ი შ ე ი - ლ ი“ და მისთანანი ქმნიან ილუზიას, თითქოს გვექონდა „ჯ ი ჯ უ რ ი - ძ ე“ და მან მოგვცა „ჯ ი ჯ უ რ ი ზ ე“, რაც, როგორც ვნახეთ, სწორი არაა.

ძე-ზე გათავებულ თუშურ გვარებში ეს პროცესი (სძ->ზ) ბოლომდე გატარებული მაინც არ არის. მაგ. ეროსა და იმავე ლექსში გვხვდება გვარები: თილიძე, ბელიოზე, და ჭრელაციზე.

თ ი ლ ი ძ ე გორგი ცხენზედ შეჯდ, შევრასს გააღებო გრიადი...

თან გახყვებ ბ ი ლ ი ზ ე ი , აბჯარმ გაილო ურიალივ...

ჯარჯობაც ჭ რ ე ლ ა ც ი ზ ე ი დაბრუნდა მკლავისსხლიანი

აქ რომ ან ი ღ ი ძ ე" (და არა „ან ი ზ ე“) დასტურდება, ამის მიზეზი ისიც შეიძლება იყოს, რომ თუშების ეს სახელგანთქმულ სახალხო გმირი ძალიან ძველია, მშვილდისრობის დროინდელია, რაცა შესაძლოა თუშურ გვარებში ეს პროცესი (სძ->ზ) დაწყებული არ იყო და გმირის ეთნონიმი, მისი დიდად პოპულარულობის გამო, უცვლელად შემოგვენახა. ა. უთურგაიძის ტექსტებში, უფრო სწორად, ტექსტების სათაურებში, მაინც გვხვდება -ძე-დაბოლოებიანი გვარები. ამის მიზეზიც ის შეიძლება იყოს, რომ მახრობელის ნაუბარს სათაურს უკეთებს სალიტერატურო ენაზე მეტყველი ჩამწერი, რომელსაც შეიძლება ლიტერატურული ფორმა წასცდეს.

დავიმოწმით ამ წიგნიდან კიდევ რამდენიმე თუშური გვარი:
„ბაკურ მანდ არს ო მ ა ც ი ზ ე ი ვ - ვეფხვი სუროში ზისაჲ“
([20] 52,7);

„აქოს გაუარ კ ა ტ რ ი ზ ე ო, მტერმ არ დაგვატანოს ძალივ“
([20] 52,17).

„ავიმანის დ ე რ ე ნ ა ც ი ზ ე ს ლერწმად დაუძრა ტანივ“
([20] 56,7);

„მთვრალამა თ ო რ კ ი ვ ლ ი ზ ე მ ა ალვისა დაღვა ტანია“
([20] 57,12);

„ივანე ხ ო ს ი კ უ რ ი ზ ე ცოლსა იტაცებს ძალზედაჲ“
([20] 60,2)...

ხვესტურულ პოეზიაში დასტურდება ორი ლექსი, სადაც ქებით იხსენიებიან თუშნი ქ უ რ ა ზ ი შ ე ი ღ ნ ი :

I. ნეტავ თქვენ ქ უ რ ა ზ ი შ ე ი ღ ნ თ | საპი შვე შოვა
თქვენზედა;

ე რ თ შოვას პურადობისა, შექ დაგიდგებისთ სკამზედა,
მ ე ო რ ე მამაცობისა, მტერ ვერ შაგიდგათ ძალზედა,
მ ე ს ა მ ე თოფონობისა, ჯიკენ ვერ გაგივლენ მთაზედა
([1] 108).

II. ნუ ზდილობ, ქ უ რ ა ზ ი შ ვ ი ლ ო, შვილო, ვერ სჯობხარ

მამასა,

შენ თუ ვარჩი ხქენ სახელი, მამაშენმ - ვარის ბოლოსა.

შენ თუ ჩახკოცენ ცხვრის წყემსნი, მამაშენმ - ვეშანგ

მთისანი ([2] 346).

მთის თემებში ხშირია შემთხვევები, როცა უცხოენოვანი მეზობელი ხალხისაგან ისესხებენ სიტყვას და მას ანთროპონიმად გამოიყენებენ.

ჩაჩნურში ქერპოზა ეწოდება ბელურის მსგავს ჩიტს. ეს სიტყვა ქ ე რ ო ზ ა-სა და ქ ე რ ო ნ ა-ს (წმქ, ქ ე რ უ ა ს) სახით ფშავ-ხევსურეთშიაც შემოსულა. მაგრამ პირიქით ხევსურეთში, სოფ. გუროში, იყო ფრატრია ქ ე რ ხ ო ს ა ნ ა ნ ი (ახლა ისინი ბარში სახლობენ), რომელთა ეპონიმი იყო ქისტური ქ ე რ შ ო ზ ა.

ქ ო რ თ ქისტურად თავს ნიშნავს. ამისი მოფერებითი ფორმა ქ ო რ თ ე შ ი დიკლოელ თუშს ერქვა: „დიკლოს აბულის ქ ო რ თ ე - შ ი ცოლს ირთავს წადინზედაო“ ([6] II); „ჩამოგაბერა, ქ ო რ - თ ე შ ო, დიკლოს კეობის წყალმაო“ ([6] 46)...

თვითონ ქისტურში ამ სიტყვის ჩვეულებრივი, არაკნინობითი ფორმა გექონდა კაცის სახელად: „ჯორუათოსა ეშმაკი მარცხნივ ჩამულის მჭრითაო, ქ ო რ თ უ ა აურქარდება შაკრული დღე-წერისაო“ ([1] 70).

ჯარეგიონ ქალს ხევსურეთში, არდოტში (ე.ი. „გურჯიაში“) ეყოლა ბიჭი და მას გ უ რ ჯ ი ე ლ გ („ქართველი“) ერქვა. ასევე ბ ა - ც ა ვ („წოვა“) სიტყვიდან მოდის ქისტური ბ ა ც ა ლ გ ა: „ჭალარი მგელთა შახყუვლეს მა(გ) ბ ა ც ა ლ გ ა ი ს მკვდარზედა: „მაგას რო კორცი ხქონია, კბილი არ მიდის ძვალზედა“ ([2] 375).

ამის გათვალისწინებით ეთნონიმ ქ უ რ ა ზ ი შ ვ ი ლ ს რომ დაეუბრუნდეთ, შეიძლება გამოვთქვათ ასეთი ვარაუდი: ქ უ რ ა ვა - ინახური სიტყვაა და ნიშნავს ამაყს, თავმომწონეს. აი, ეს სიტყვა უნდა რქმეოდა რომელიღაც თუშს, რომლის შვილიც „ქ უ რ ა ზ ე“

იქნებოდა, ხოლო ამისი („ქ უ რ ა ზ ე ს“) შეილი - ქ უ რ ა ზ ი -
შ ვ ი ლ ი . ანალოგიისათვის გამოდგებოდა ქისტური „ჰ ა ნ თ“
(„ჰაბუცი“, „ვატკაცი“) და ხევსურული სახელი მამაკაცისა კ ა -
ნ ა თ ა („გამზღელიმც დაილოცების კ ა ნ ა თ ა თ ვაქებისა“.).

არის კიდევ ერთი თუშური ლექსი, რომელიც ფშავში შემოგვრჩენია:

„ნაკუდავ გ ა მ ა რ ო ზ ა ო, თუშო, მოკლე ხარ ენითა.

ნახა წავალის ლაშქარი, გამოგიყვანენ კელითა,

ვერ გაძღა თუშიშვილები, ვატკაცო, შენი ცქერითა“ ([1] 37).

ა. შანიძე შენიშნავს: „ეს ნაკუდა მოხსენებულია გამარჩიედ
ერთ თუშურ ლექსში. იგი თოფით მოუკლავთ“ და მიუთითებს „ძველ
საქართველოზე“ (ტ. II, ეთნოგრ. განყოფ. გვ. I და შემდგომი),
სადაც ეს ლექსი დაუბეჭდავს ივ. ბუქურაულს 25-ე ნომრით.

ამას გარდა, თ. უთურგაიძის მიერ ჩაწერილ ერთ ლექსში ვკითხუ-
ლობთ: „ნაკუდავ : გ ა მ ა რ ო ზ ე ო, ომსაც ხარ შაჩვეულია“
([10] 57, 10). გამოდის, რომ ფშაველ მოხრობელს ვერ გაუგია, რას
ნიშნავს „გ ა მ ა რ ო ზ ე“ და ეს სიტყვა („ნაკუდა“-სავით)ა-ზე
დაუბოლოვებია („გ ა მ ა რ ო ზ ა“).

ასახსნელი დაგვრჩა „ვ ა ზ უ ზ ი ა“-დან „ზ ა ზ უ ლ ი ა“-ს
მიღება. აქ რაიმე კანონზომიერებაზე საუბარი ზედმეტია. ვიდაცამ
„ვ ა ზ უ ზ ი ა“-ს მაგიერ „ზ ა ზ უ ლ ი ა“ დაიხსნომა, ასე იმდე-
რა და ასე გადასცა სხვებსაც. ფოლკლორში ასეთი შემთხვევები არა-
იშვიათია. მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს ისევე თუშური პოეზიიდან:

ა. შანიძისეულ „ხევსურულ პოეზიაში“ 254-ე ნომრით დაბეჭდილია
ლექსი „მშაველ-ტვესურთა მიშველება თუშეთში“. ეს ის ცნობილი ლექ-
სია, რომელიც ვაქამ დაამუშავა და შექმნა თავისი ერთ-ერთი შედეგ-
რი „ბაკური“ (იდენტიფიკაცია ეკუთვნის აწ განსვენებულს პროფ.
გრ. კიკნაძეს). არის ამ ხალხური ლექსის რამდენიმე ვარიანტი, გა-
მოქვეყნებული იმავე „ხევსურულ პოეზიაში“. მთავარ გმირს „ა“ ვა-
რიანტის მიხედვით ეწოდება „მიქელი ს უ რ ა ს გ ა ზ დ ი ლ ი“
„გ“ ვარიანტის მიხედვით - „მიქელა რ უ ს ა ს გ ა ზ დ ი ლ ი“,

„დ“ ვარიანტის მიხედვით - „მიქელი უ რ ა ზ ი შ ვ ი ლ ი“, ხოლო „უ“ ვარიანტის მიხედვით - „მიქელი ზ უ რ ა ბ ი ს ძ ე“. აი, ამ რიგის დამახინჯებასთან „გვაქვს საქმე, როცა ავ ა უ უ ს ძ ი ს ა“ და ავ ა ზ უ ზ ი ა“-ს მაგიერ „ზ ა ზ უ ლ ი ა“ გვხვდება.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ამ გმირს ზოგი მთხრობელი (და ამიტომ ჩამწერიც) ლეკად მიიჩნევს, ზოგი — ქისტად. ამ გმირის სახელის ანალიზი და სხვა მონაცემები ამტკიცებს, რომ ვ ა უ უ ს ძ ე (გვ. 397) არის თუში. ის ისეთივე თუშია, როგორც გ ა მ ა რ ო ზ ა, კ უ რ ა ზ ი შ ვ ი ლ ი და სხვანაირი. მთხრობელთაგან მისი უცხო ტომის მოძალადედ მიჩნევაც ადვილად აიხსნება: როცა სინამდვილე აღარავის ახსოვდა, მოძალადეს უცხო ტომისად — ლეკად ან ქისტად მონათლავდნენ.

ამისდაკვალად, „ქართული ხალხური პოეზიის“ IV ტომში (გვ. 397) ამ ლექსისთვის გაკეთებული კომენტარი: „ეს ლექსი საქართველოში უცხო ტომთა მარეშის ამსახველია“ და „ამ ლექსის მიხედვით მორღვაც ებრძვის აგრესორს“ (თუ აგრესორად მაინცდამაინც უცხო ტომის კაცი იგულისხმება), გასაზიარებელი არ არის.

საქ.სსრ მეცნიერებათა აკადემია
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

А. Л. ЧЛИЧАРАУЛИ

Об именах некоторых персонажей Важа-Пшавела

Р е з ю м е

В грузинской народной поэзии (а отсюда и в двух стихотворениях Важа-Пшавела) упоминается народный герой Тушети თუშ-

ჩათ უამრული *Punčat žamguli* "сын Пунча".

Из анализа текстов явствует, что герой не *ფუნჩათ უამრული Punčat žamguli*, а *ფუნჩა უამრული Punča žamguli*, т.е. *ფუნჩა Punča* - имя героя, *უამრული - žamguli* - фамилия.

Упоминаемый в народной поэзии (и отсюда в одном стихотворении Важа-Пшавела) антропоним *ზაზულია zazulia* является искаженным именем народного героя Тушети *ვაჯუსე važusje*.

ლიტერატურა

1. ა. შ ა ნ ი ძ ე, კართული ხალხური პოეზია, I. ხევსურული, თბ., 1960.
2. ალ. კ ი ნ ჯ ა რ ა უ ლ ი, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960.
3. ჟურნ. „მომამბე“, 1887 წ., № 2.
4. კართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, I-II (1923-1924), 1925.
5. კ. ჭ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, თუშური ლექსები, თბ., 1960.
6. ალ. თ რ ი ა უ რ ი, ფშავ-ხევსურული პოეზია, თბ., 1970.
7. დ. გ თ გ თ ჭ უ რ ი, ხევსურული სავაძირო პოეზია და გპირები, თბ., 1977.
8. დ. გ თ გ თ ჭ უ რ ი, ფუნჩათ უამრულის სახე ცაგა-ფშაველას ლექსებისა და ხალხურ პოეზიაში. ხალხური პოეზია და პროზა, თბ., 1977.
9. ვ ა უ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, I-X, თბ.; 1964.
10. დ. ხ ი ზ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ფშაური ლექსები, თბ., 1887.
11. ძველი საქართველო, ტ. II, განყ. V, თბ., 1913.
12. ხალხური სიტყვიერება, III; პირველი სერია, II. ხალხური ლექსები თ.რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი, პ.ჩიკოვანის რედაქციით, თბ., 1953.

13. ქართული ხალხური პოეზია, ტ. III, ნაკვ. I, თბ., 1974.
14. ქართული ხალხური პოეზია, ტ. IV, თბ., 1975.
15. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. III, თბ., 1940.
16. ვ. კ. ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, ხალხური პოეზია, თბ., 1934.
17. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ქართული დიალექტების კრესტომადია
ლექსიკონითურთ, თბ., 1956.
18. ქართული ფოლკლორი, ტ. VIII, თბ., 1979.
19. ივ. ხ ო რ ნ ა უ ლ ი, ფშავ-ხევსურული პოეზია, თბ., 1949.
20. თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, თუშური კილო, თბ., 1960.
21. ქართული ხალხური პოეზია, ტ. I, ნაკვ. I, თბ., 1972.

ნანა ხაზარაძე

გვიანხეტური ხანის აღმოსავლეთ კაპადოკიის
ანთროპონიმიკისათვის

გვიანხეტური ხანის (ძვ. წ. X-VIII სს.) აღმოსავლეთ კაპადოკიის სამეფოთა (თაბალის, თუხანი-თუნანუეას, ხილაქუს, გურგუმის, მელიდი-ქამანუს, ქუმუხის) ანთროპონიმიის შესწავლის ძირითად წყაროს ამ ტერიტორიაზე აღმოჩენილი იეროგლიფურ-ლუვიური, ანუ (ადრინდელი ტერმინოლოგიით) იეროგლიფურ-ხეტური წარწერები წარმოადგენს [1].

ზემოჩამოთვლილ სამეფოთა ანთროპონიმიკა ძირითადად საზოგადოების მაღალი ფენის წარმომადგენელთა საკუთარი სახელების სახითაა ჩვენამდე მოღწეული. გვიანხეტური ხანის იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებში, როგორც წესი, იხსენიებიან მეფე, დედოფალი და მათი უშუალო ქვეშევრდომები, ე.წ. „მსახურნი“ (*miti(a)-s*).

ჩვენთვის საინტერესო ანთროპონიმიკის შესწავლიდან ჩანს, რომ იგი გენეტურადაა დაკავშირებული ხეტურ-ლუვიურ ენობრივ სამყაროსთან.

საკუთარი სახელების ერთი ნაწილი წინარე, ხეების დროინდელ ონომასტიკაში პოულობს ზუსტ შესატყვისობებს. ასეთია, ქუმუხისა და გურგუმის მეფეთა სახელები *Suppiluliumas, Hattusilis, Huwatallis* და სხვა ([2] 69).

ჩვენთვის საინტერესო ანთროპონიმიკის ძირითადი ფონდი იეროგლიფურ-ლუვიურ ონომასტიკონს განეკუთვნება. აქედან ერთი ჯგუფი სახელებისა თოფორულია: *Tarhutinna, Tarhunazi, Tarhuirma, Ruwa, Hilaruada, Huhasarma, Asitiwata // Azatiwata, Wasusarma, Sandasarma, Tarhulara* და სხვა. ამ საკუთარ სახელთა კომპონენტებად გა-

მაცნებუღია ხეთურ-ლუვიური დედაებების - თარხუნის, სანთას, რუგას, სარმას და თივათის სახელწოდებები.

თარხუნთი (TRH, Tarhu(nt) „მძღვენი“, „ჰმირი“ იეროგლიფურ-ლუვიურ დედაებათა პანთეონის უზენაესი დედაება იყო ([1] II, I, MM18, 30, 31). იგი შეესატყვისებოდა შემერულ იშქუტს, სემიტურ ადაღს, ხურულ თეშებს ([3] 670). თარხუნთის სახელწოდების შემცველი საკუთარი სახელები ძვ. წ. II ათასწლეულიდანაა ცნობილი. მაგ., მცირე აზიის თონმასტიკონში დადასტურებულია Tarh_untaziti, TRH-Huwasuwa, TRH-hupias, Tarhuna, Tarhunabe ([4] 22) და სხვა, ხეთურ-ლუვიურ თარხუნთის ჩვეულებრივ უკავშირებენ კლიკურ დებაებას Troko -ს და ლიკურ trq_q-ს. Troko და trq_q კომპონენტობის სახელწოდებები ფართოდ იყო გავრცელებული ელინისტური ხანის კლიკიასა და ლიკიაში (ასეთია, მაგალითად, საკუთარი სახელი Τροχοναρχμας და სხვა) ([5] 125-127).

იეროგლიფურ-ლუვიურ დედაებათა პანთეონის წარმომადგენელია Ruwa, Ru (nt) -ი. რომელსაც, გოტერბოკის ვარაუდით, ლურსმულ დამწერლობაში იდენტობა D¹LAMA შეესატყვისებოდა ([5] 128). საკუთარი სახელი „რუვა“, რომელიც ზუსტად იმეორებს დედაების სახელს, არარეგულარულად დამოწმებული ძვ. წ. II-I ათასწლეულების მცირეაზიურ საბეჭდავებზე და ხეთურ სხვა წარწერებში. ზემოთ ჩვენ მოვისხენით Hilaruada (ასე რქმევია, კერძოდ, მედიდის ერთ-ერთ მეთეს [6] 127, II 6, 158₂, 19, 23) Hilaruada Ruwa -სთან ერთად hila სიტყვასაც შეიცავს. ეს უკანასკნელი იეროგლიფურ-ლუვიურ ენაზე ნიშნავს „მეთეს კარზე მყოფს“ ([5] 140). Ruwa კომპონენტობის შემდეგი საკუთარი სახელებიც: Halparutai, Ru(n)sapara, Ru(n)sarruna, Astiruwai, Sutiruwa და სხვა. ([7] 102-103; [5] 128). Asitiwata (გარბანტი Azatiwata) ორი სიტყვისაგან შედგება: as1/aza იეროგლიფურ-ლუვიურ ენაზე ნიშნავს „მეცხვარებას“, Tiwat კი შინს დედაების ^D UTU -ს იეროგლიფურ-ლუვიური სახელი-

წოდება (ფინიკიურში მას B¹1 „ბაალი“ შეესატყვისება) ([1] III, I, 24, შდრ. [8] I27). Tiwat -ი ხშირად ფიგურირებს ადრეული ხეობრივი ხანის კაპადოკიის ონომასტიკონში, ასე, მაგალითად, ბოლახტოში აღმოჩენილ ერთ-ერთ საბეჭდავზე იკითხება Tiwatamuwa, ერთ-ერთ ხეობრივ ტექსტში იხსენიება Tiwatapara ([7] I79) და სხვა. რაც შეეხება SRM - Sarma -ს, შემდეგი უნდა აღინიშნოს: ე. ლარშის თანახმად, ^DSarma გვიანდელი ფორმაა ^DSarruma ღვთაების სახელწოდებისა ([9] 80-81). ცნობილია, რომ ^DSarruma ხურიული ღვთაებაა. ხურიულ მანთონში იგი ხეფათისა და თეშუბის (თეშუფის) ვაჟად იყო წარმოდგენილი. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ იაზილიკიანას, ალექსის, გურუნისა და სხვა წარწერებში ^DSarruma -ს სახელი, როგორც წესი, ხეფათისა და თეშუბის შემდეგ იხსენიება ([10] 305-306). Sarruma ხშირადაა გამოყენებული როგორც ერთ-ერთი კომპონენტი საკუთარი სახელებისა. ასე, მაგალითად, ალექსისა და უგარი-თში (რას-შამრასში) აღმოჩენილ წერილობით ძეგლებში, აგრეთვე წარწერებში ბოლახტოს საბეჭდავებზე, იხსენიებიან: ალექსის მეფე Talmi - Sarruma უფლისწული და დიდი მწერალი (ΠΙΘΟΥ) Taki-Sarruma, უფლისწულები Tili-Sarruma და Ep(a)ri-Sarruma და სხვა. ძვ. წ. I ათასწლეულის იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებში ღვთაება სარმა (^DSarma) ხან ხეფათთან ერთად გვხვდება, ხან კიდევ ცალკეა მოხსენიებული. თეოფორულ სახელებში სარმა დამოწმებულია როგორც ლუვიური წარმომავლობის ღვთაებების არმას, სანდას (სან-თას), თარხუნისა და რუნთას სახელებთან (მაგალითად, Armasarma, Sandasarma, Tarhusarma, Ru(n)sarma, Rusarma) ([11] 20), ასევე იეროგლიფურ-ლუვიური ლექსიკიდან მომდინარე სიტყვებთან ერთად (მაგ., Huhsarma, სადაც huhs ნიშნავს „ბაბას“, ან Urasarma, სადაც ura იეროგლიფურ-ლუვიურ ენაზე „დიდს“ ნიშნავს, Wasusarma, სადაც wasu (შდრ. ხეობრივი - ass -) „იკითხის“, „კეთილდღეობის“ (wohl) აღმნიშვნელი სიტყვაა და სხვა) ([7] I52). ყურადღებას

იმსახურებს Sarma - კომპონენტური საკუთარი სახელების არსებობა ელინისტური ხანის ლიკურ და კილიკურ ონომასტიკონშიც (კილიკური $\text{I} \alpha \zeta \alpha \rho \mu \alpha \nu \epsilon \lambda \iota \kappa \iota \upsilon \rho \iota \Pi \lambda \eta \gamma \alpha \nu \alpha \rho \mu \alpha \nu$ და სხვა) ([5] 136).

ამგვარად, ჩვენთვის საინტერესო ანთროპონიმიკის ერთი ნაწილი თეოფორულია და ხეთურ-ლუვიურ ღვთაებათა მანთეონის საშუალებით იხსნება.

როგორც ირკვევა, დანარჩენი საკუთარი სახელებიც გენეტურადაა დაკავშირებული იეროგლიფურ-ლუვიურ ლექსიკასთან.

ასე, მაგალითად, თაბალისა და მელიდის მეფეთა სახელი Tuwati (Tuatti) უკავშირდება იეროგლიფურ-ლუვიურ tuwa-ს (შდრ. ლუვიური tuwa -, ლიკური tuwa -), რაც ნიშნავს „დაარსებას“, „დაწესებას“, „დასმას“, „ცინმეს მეთაურობის ქვეშ ყოფნას“ ([12] 100). Astiwasu ორი იეროგლიფურ-ლუვიური სიტყვისაგან შედგება: Asti ითარგმნება როგორც „სახე“, „გამოსახულება“, ხოლო wasu ნიშნავს „კეთილს“, „კეთილდღეობას“, „კეთილდღეობის მომტანს“ (შდრ. Astiruwas, Astiwamu, Asti-Tarhui და სხვა). თაბალისა და თუხანი-თუგანუვას მეფეების სახელი Warpalawa (Urbala) უკავშირდება warpalis-warpallis -ს „შლევამოსილს“, „შლიერს“ და ა.შ. ([5] 128, 129, 140; [7] 102, 150).

ხეთურ-ლუვიურ ონომასტიკას უკავშირებენ მკვლევარები ისეთ საკუთარ სახელებსაც, როგორცაა: Tata, Nana, Astuwatimais, Panamuwatis ([2] 77).

ყურადღებას იმსახურებს ჩვენთვის საინტერესო ანთროპონიმების წარმოების გრამატიკული მხარეც. ირკვევა, რომ ზემოთ მოტანილი ანთროპონიმები, როგორც წესი, იეროგლიფურ-ლუვიურ ენაში მოქმედი სიტყვათა წარმოების კანონების შესაბამისადაა გამართული. ანთროპონიმების დიდი ნაწილისათვის დამახასიათებელია იეროგლიფურ-ლუვიურში ფართოდ გავრცელებული ისეთი სუფიქსები, როგორცაა -ta, -ti, -(n)ta, -(n)ti, -(a)li, -la, -ra, -ri ([13] 8, [14] 15).

აღნიშნული სუფიქსები დამოწმებულია შემდეგ სახელებში Tuwa-ti, Tarhu(n)ti, Ruwa(n)-ti, Muwata-li, Tarhu-la-ra და სხვა.

გვიანხეტური ხანის აღმოსავლეთ კაპადოკიის ანთროპონიმების ხეტურ-ლუვიური ხასიათი კანონზომიერი შედეგია ამ რეგიონში ძვ. წ. II-I ათასწლეულების მანძილზე მიმდინარე ეთნოკულტურული პროცესებისა. ამ მხრივ კი შემდეგია გასათვალისწინებელი: კაპადოკიაში, ქიულ-თეფეში მოპოვებული კრანეოლოგიური მონაცემების თანახმად, უკვე ძვ. წ. XIX საუკუნის დასაწყისშივე ჩვენთვის საინტერესო მხარე ინდოევროპული ტომებით იყო დასახლებული ([15] 323-335). თუ სწორია ვარაუდი, რომ ქუსარას მიფე ანიმას დედაქალაქი ნესა იდენტურია ქანესისა, მაშინ აღმოსავლეთ კაპადოკიის ტერიტორიაზე უკვე XVIII საუკუნეში ნესიტ ხეობებს უნდა ეცხოვრათ ([14] 14). ამ მხარეში ამავე ხანებში თავს იჩინს ლუვიური კულტურის ძლიერი გავლენაც. ამ მხრივ ნიშანდობლივია ის, რომ სწორედ ქიულ-თეფე I ფენაშია (ძვ. წ. XVIII-XVII სს) აღმოჩენილი ღიდი ზომის პიოთსზე გაკეთებული წარწერა, რომელსაც ზოგი მკვლევარი იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობის უძველეს ნიმუშად მიიჩნევს ([16] 379). უფრო გვიან, ძვ. წ. XVII-XVI საუკუნეებიდან მოყოლებული, აღმოსავლეთ მცირე აზიის ჩვენთვის საინტერესო არეალის მოსახლეობა ძირითადად, ხეტურ-ნესიტურია. ლუვიურ ქიციუვათანსთან (კილიკიასთან) ახლო გეოგრაფიული მდებარეობის გამო აღმოსავლეთ კაპადოკია წარმოადგენდა იმ რეგიონს, რომელშიც საუკუნეთა მანძილზე ინტენსიურად უნდა განხორციელებულიყო ხეტურ-ლუვიური ეთნო-კულტურული კონტაქტები. ახლა კარგადაა ცნობილი, რომ ხეტურ კულტურაში ლუვიურის ერთი ძლიერი ნაკადი სწორედ ქიციუვათან-კილიკიიდან მოდიოდა. ამის საუკეთესო მოწმობაა მდ. ჰალისის (დღევ. ყიზილ-ირმაკის) აუზში იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობისა და ენის ძეგლების ადრეულ ხანაშივე გამოჩენა, იმავე რეგიონში ლუვიური ონომასტიკონისა და დეტალებათა პანთეონის გაბატონებული მდგომარეობა და სხვა.

ირკვევა, რომ აღმოსავლეთ კაპადოკიაში უკვე ძვ.წ. XV-XIII საუკუნეებში ლუვიური კულტურის გავლენის გაძლიერებასთან ერთად ადგილი ჰქონდა ლუვიური ეპიგრაფიული ელემენტის ინფილტრაციასაც.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის,
არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

Н.З. ХАЗАРАДЗЕ

Антропонимика Восточной Каппадокии
позднехеттского времени

Резюме

Основным источником изучения антропонимики "стран" Восточной Каппадокии (Табала, Тухана-Туванувы, Хилакку, Куэ, Гургума, Мелиду-Камману и др.) являются открытия на этой территории лувийско-иероглифические (или хеттско-иероглифические) надписи X-VIII вв. до н.э.

Антропонимика, засвидетельствованная в лувийско-иероглифических надписях, как правило, представлена собственными именами представителей господствующего класса. В надписях обычно упоминаются "царь", "царица", "царевич", а также т.н. "слуги" (mit(a)-a, в большинстве случаев являющиеся высшими должностными лицами и, таким образом, принадлежащие высшим осям общества.

Одна часть собственных имен идентична с именами предшествующей, хеттской, эпохи (таковы, в частности, имена царей Куммуха и Гургума: Суппилуляумас, Хаттусилио, Муватталлис и др.)

Основной фонд позднехеттских антропонимов, засвидетельствованный в лувийско-иероглифических надписях, генетически связан с лувийско-иероглифической ономастикой. Часть имен является теофорными. Одним из компонентов этих антропонимов использованы имена хеттско-лувийских божеств: Тархуна, Санды,

Рувы, Сармы, Тивати и др. (Тархутинна, Тархувази, Тархумрма, Тархуларა, Рува, Хмларუადა, Сандасарма). Этимологии другой части собственных имен также раскрывается при помощи лувийско-иероглифической лексики (Тувати, Астивасу, Варпалавас).

Для большинства имен характерны словообразующие суффиксы -ta, -ti, -(n)ta, -(n)ti, -la, -ga, ti, широко распространенные в лувийско-иероглифическом языке.

Хеттско-лувийский характер антропонимики Восточной Каппадокии позднихеттского времени является закономерным следствием многовекового процесса этно-культурного развития этого региона Древнего Востока.

ლიტერატურა

1. P. M e r i g g i, Manuale Di Etco Geroglifico, Parte II: testi Ia SERIE, Roma, 1967; Parte II: testi - 2a B 3a SERIE, Roma, 1975; Parte II, Tavole - 2a B 3a SERIE, Roma, 1975.
2. J. D. H a w k i n s, Hieroglyphic-Hittite Inscriptions of Commagene, AnSt, XX, 1970.
3. ჯი, IV, აბ. 1979.
4. ნ. ხ ა ზ ა რ ა ძ ე, აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებება. ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, აბ., 1978.
5. Houwink Ten Cate, The Luwian Population Groups of Licia and Cilicia Aspera during the Hellenistic Period, 1963.
6. Г. А. М е л и к и ш в и л и, Урартские клинообразные надписи, М., 1960.
7. P. M e r i g g i, Hieroglyphisch-Hethittisches, Glossar, Wiesbaden, 1962.
8. I. J. W i n t e r, On the Problems of Karatepe. The Reliefs and their Context, AnSt, XXIX, 1979.
9. Em. L a r o c h e, Les Hieroglyphes Hittites, Paris, 1960.
10. ძველი აღმოსავლეთის ხაზხაზ ისტორია, აბ., 1971.

- II. B. L a n d s b e r g e r, Samal, Ankara, 1948.
- I2. Em. L a r o s h e, Dictionnaire De La Langue Louvite,
Paris, 1959.
- I3. И. М. Д у н а е в с к а я, Язык хеттских иероглифов, М,
1969.
- I4. А. А. К о р о л е в, Хетто-лувийские языки, "Языки Азии
и Африки", I, М., 1976.
- I5. M.S. S e n y ü r e k, A Study of the Human Skeltons
from Kültepe Excavated under the Auspices of the
Turkish Historical Society, "Belleten", XVI, 63, 1952.
- I6. Т. О з г ü н, Die Ausgrabungen von 1953 in Kültepe,
"Belleten", XVIII, 71, 1954.

ანდრო ლეკიაშვილი

ქართველ მთიელთა ღვთაება კვირიას საკიოხისათვის

ქართველ მთიელთა რელიგიური რწმენა-წარმოდგენები კარგა ხანია ისტორიკოსთა, ეთნოგრაფთა, ფოლკლორისტთა საგანგებო ინტერესს იწვევს. გასაგები მიზეზების გამო მათ ამ რწმენა-წარმოდგენებში, პირველ რიგში, შორეული წარმართობის გადმონაშთები ეგულებათ. გასაკვირი როდია, რომ ამ მიმართულებით ინტენსიური კვლევა-ძიების შედეგად დღეისათვის მოპოვებულია დიდძალი ფაქტობრივი მასალა და მის საფუძველზე მრავალრიცხოვან გამოკვლევებში ქართული წინაქრისტიანული რელიგიის რეკონსტრუქციის არა ერთი საყურადღებო ცდაა მოცემული.

მაგრამ, თუ ამ ნაშრომებს კვლევის მეთოდის თვალსაზრისით განვიხილავთ, თვალში მოგვხვდება მათთვის დამახასიათებელი ერთი საერთო ტენდენცია: ესაა მთიელთა სინკრეტული რელიგიური გადმონაშთების ინტერპრეტაციისას მათდამი არადიფერენცირებული მიდგომისა და მათი გადაჭარბებული არქაიზაციის ტენდენცია. ირკვევა, რომ შორეული წარმართობის ძიებით გატაცებულ მკვლევრებს ხშირად აშკარად გვიანდელი, ქრისტიანული დანაშრევების დანახვაც კი გაუჭირდათ ქართველ მთიელთა რწმენა-წარმოდგენებსა და კულტებში.

ამავე დროს, ისიც ირკვევა, რომ ქრისტიანობას გაცილებით ღრმად ჰქონია ფესვები გადგმული მთიელთა რელიგიურ ყოფაში, ვიდრე ეს ჩვენ აქამდე გვეგონა.

ამის მკაფიო მაგალითია ღვთაება კ ვ ი რ ი ა ს კულტი.

შეიძლება ითქვას, რომ ჯერ კიდევ ახლო წარსულში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი მოფენილი იყო კ ვ ი რ ი ა ს* სახელობის სა-

*ამ სახელის პარალელური ფორმებია: კვირე, კვირა, კვირაე, კვირეა, კვიროე.

ლოცვებით: ტრადიციული ჯვარ-ხატებით, პატარა ეკლესია-საყდრებით და მათი ნიშებით.

კვირიას კულტს საპატიო ადგილი ეკავა მთიელთა რელიგიურ ყოფაში. მასთან იყო დაკავშირებული საგანგებო დღეობები, უქმეები. მას ერთ-ერთს პირველს ადიდებდნენ ლოცვა-სავედრებლებში, ხშირად ახსენებდნენ დალოცვისა თუ წყვილის ფორმულებში...

როგორც მოსალოდნელი იყო, კვირიას კულტი უყურადღებოდ არ დარჩენიათ ქართული რელიგიის მკვლევრებს.

აკად. ივ. ჯავახიშვილი უკვე თავისი „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ წიგნში შეეხო კვირიას საკითხს. მან, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა და, აგრეთვე, სვანების რელიგიური მონაცემების შესწავლის საფუძველზე, კვირია „განაყოფიერებისა და შვილიერების მფარველ“ უძველეს ღვთაებად აღიარა ([1] 56-57). ეს აზრი უცვლელად გამეორებულია მის გვიანდელ ნაშრომშიც ([2] 201-204).

ამ საკითხის შემდგომი, გაღრმავებული კვლევა ეკუთვნის პროფ.

ვ. ბარდაველიძეს, რომელიც წლების მანძილზე საგანგებოდ სწავლობდა ქართველ მთიელთა რელიგიას.

კვლევის შედეგად მანაც უყოყმანოდ მიუჩინა ადგილი კვირიას ქართველ მთიელთა უძველეს წარმართულ პანთეონში, კერძოდ, იგი წარმართულ ღვთაებათა „მთავარ ტრიადას“ შიაკუთვნა. ამავე დროს, მკვლევარმა სამართლიანად არ გაიზიარა მისი წინამორბედის, ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისი ამ ღვთაების კონკრეტული ბუნებისა და ფუნქციის შესახებ. მაგრამ ეს საკითხი მაინც ღიად დატოვა, თითქოსდა სათანადო „გადმონათურნი მასალის უქმარისობის“ გამო ([3] 10-29).

ანალოგიურ დასკვნამდე მივიდა საფრანგეთში მოღვაწე ჩვენი თანამემამულე ვ. შარაშიძე, რომელმაც ვრცელი მონოგრაფია მიუძღვნა ქართველ მთიელთა „წარმართულ რელიგიას“. მანაც კვირია წარმართულ „გენიად“ აღიარა ([4] 276-334).

უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ ავტორთა ამ სუფთველიან, დიდძალ

კონკრეტულ მონაცემებზე დაბყარბულ გამოკვლევებში თვალში მოგვხვდება ის გარემოება, რომ მათ წინაშე არც კი ღვება საკიოხი კვირიას კულტში ადრინდელი და გვიანდელი დანაშრეების, წარმართული და ქრისტიანული ელემენტების ერთმანეთისაგან მკვეთრი გამიჯენისა, თიქოსდა ეს უკანასკნელნი სრულიად უცხო იყოს მისთვის. თავისთავად ცხადია, რომ სინკრეტული ხასიათის ამ რელიგიური რწმენა-წარმოდგენებისა და კულტების ინტერპრეტაციისას, პირველ რიგში, სწორედ გვიანდელი, ქრისტიანული დანაშრეები უნდა გამოვყოს და გაცნაზროთ, რათა, როგორც თვით ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, „ახალი ძველად არ გვეჩვენოს“ და შორეული წარმართობის ვადმონაშეებს უტყუარად მივაკვლიოთ.

ქვემოთ სწორედ ამგვარი მიდგომით განვიხილავთ კვირიას კულტის ზოგიერთ ძირითად კომპონენტს.

ჯერ ამ ღვთაების ს სელწოდებაზე შევეჩრდებოთ.

შეიძლება ითქვას, რომ თეონიმ „კვირიას“ ეტიმოლოგიური რაობა ერთგვარ თავსატეხად ექცათ მკვლევრებს. სამეცნიერო ლიტერატურაში მის წარმოშობასთან დაკავშირებით არაერთი მოსაზრება გამოიქვეა. ზოგმა ამ სახელწოდებაში უძველესი წარმართული თეონიმი დაინახა, ზოგმა კი - ქრისტიანული.

ჩვენი აზრით, ჭეშმარიტებასთან ყველაზე უფრო ახლოა ივ. ჯავახიშვილი, რომელმაც უკვე „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ წიგნში განიხილა აღნიშნული საკითხი და რამდენიმე სავარაუდო მოსაზრება გამოიქვეა. მკვლევარმა, სხვათა შორის, არც ის გამოიჩინა, რომ „კვირია“ კვირა ღღის სახელისაგან იყოს წარმომდგარი, იმის გამო, რომ ამ სახელის მატარებელ ღვთაებას შესაძლოა „შვიდეულში სწორედ ეს ღღე ჰქონდა მიკუთვნილი“ ([1] 70). თავის გვიანდელ ნაშრომში იგი კვლავ მიუბრუნდა ამ ვარაუდს. ამასთან იმ მოტივიმ, რომ კვირადღე ქრისტიანული „შენიკმედი ღმერთისათვის არის განკუთვნილი“ მან „კვირია“ მიიჩნია ქრისტიანულ თეონიმად, რომელსაც, მისი ვა-

რადიო, უნდა შეეცვალა ამ თეონიმის მატარებელი წარმართული ღვთაების თავდაპირველი სახელი ([2] 204). კონკრეტულად ივ.ჯავახიშვილის თვალსაზრისში ფასეულია ეტიმოლოგიური მიგნება („კვირიას“ ამოსავალია კვირადღის სახელი), რომლის სისწორესაც ადასტურებს ქვემო მოყვანილი ფაქტები.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მთიელთა მეტყველებაში ერთმანეთს ზუსტად ემთხვევა საკვლევი თეონიმისა და კვირა დღის აღმნიშვნელი სახელის ფორმები: კვირა, კვირე, კვირია, კვირიე, კვირპე, კვირეა...

განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ თვით მთიელთა წარმოდგენით ერთმანეთთან დაკავშირებულია ეს თეონიმი და კვირა დღის სახელი: „კვირა დღე რომ არის, იმის სახელობისაა კვირია“. ამავდროს მათ გარკვევით აქვთ გააზრებული ამ სახელდების მოტივაცია: „კვირა დღე კვირიასია“, „კვირიას საპატიოდაა კვირა უქმედ“ ([5] II). ამასვე ადასტურებს ვაუა-ფშაველას ცნობაც: „კვირა ძლიერი ანგელოზი ყოფილა ფშაველების წარმოდგენით და იმის სადიდებლად და მოსახსენებლად არის დადებული კვირა-დღე უქმედ“ ([6] 193).

ყურადღებას იქცევს მოხვედრებში გავრცელებული კვირიას ერთ-ერთი სახელწოდებაც: „კვირეთანგელოზი“, რაც კვირა დღის ანგელოზს ნიშნავს ([7] 86).

ამრიგად, დაარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ თეონიმი „კვირია“ წარმოდგება კვირადღის სახელისაგან, რაც ამ ღვთაების კულტში კვირა უქმის განსაკუთრებული როლით აიხსნება. ამ ნიშნის ნიხედვით ივ. ჯავახიშვილმა ღვთაება კვირია ქრისტიანულ მამა-ღმერთს დაუკავშირა. მაგრამ კვირა-უქმი ზომ უპირატესად ქრისტეს კულტს უკავშირდება. ამიტომაც ბუნებრივია, რომ ჩვენთვის საინტერესო თეონიმში უწინარეს ყოვლისა, ქრისტეს ადგილობრივი ზედწოდება დავინახოთ.

კვირიას ვინაობასთან დაკავშირებით ინტერესს იწვევს მისი

მრავალრიცხოვანი ეპითეტური და ზედწოდებები. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

ფშავ-ხევსურეთში კვირიას ერთ-ერთი ძირითადი ეპითეტია კ ა- რ ა ვ ი ა ნ ი: „კვირავ, კარავიანო“, ჩვეულებრივ, ასე მიმართავენ მას აქაურ ლოცვა-სავედრებლებში, ხოლო ერთი ხევსურული სადიდებლის ტექსტში გვხვდება ამ ეპითეტის უფრო სრული ფორმაც - „საბამ-კარავი-ანი“ ([8], 31).

ამავე დროს, ფშავ-ხევსურთა წარმოდგენებით, კვირიას თავისი კა- რავი „მორიგე ღმერთის“ ანუ „მაღალი ღვთის“ „კარზე უდგას“. ლოცვე- ბის ტექსტებშიც ხშირია მისადმი მიმართვის ფორმულა: „მაღლის ღვთის (ხთის) მოკარვევ“, ან „ღვთის კარზე კარავიანო“ [8]

კვირიას ამ ზედწოდებასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ ქრის- ტიანული რელიგიის ერთ-ერთი ცენტრალური სიმბოლო - „ზეციური ანუ წინიდა კარავი“, რომელიც ციურ სამლოცველოს (ტაძარს) და აგრეთვე ღვთის ციურ სამყოფელს გამოხატავს. (ბერძ. სკენე, რუს. *Скени*, „კარავი უფლისა“ ბიბლიური ღმერთის (იაჰვეს) სამყოფელია. გავიხსენოთ ფსალმუნის სიტყვები „ვინ დაეშენოს კარავსა შენსა?“. სახარე- ბის თანახმად, ქრისტემ, მას შემდეგ, რაც „ზეცად აღმაღლა“, მამა- ღმერთთან „მოკარვა“- ე.ი. მასთან დამკვიდრდა. ამავე დროს, „კა- რავი“ განუყრელად უკავშირდება ქრისტეს, როგორც ახალი რელიგიის დამაარსებლის სახელს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ „ზეციური კარვის“ ერთ-ერთი უმთავ- რესი ატრიბუტია „კრეტ-საბმელი“ - ე.ი. „კარის. ფარდა“ (საბა). მათეს სახარებაში მის შესახებ ნათქვამია: „კრეტ-საბმელი იგი ტაძ- რისაჲ მის განიბო ორად...“ როგორც კი ჯვარცმულმა ქრისტემ „გა- ნუტევა სული“.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, კვირიას „კარავი“ თავისი ფორმითაც და რელიგიური შინაარსითაც იგივეა, რაც ქრისტეს „კარავი“ ეჭვგა-

რეშეა, რომ ამ უკანასკნელის ერთ-ერთი ატრიბუტი - კრეტ-საბმელი იგულისხმება კვირიას ხევსურული ეპითეტის - „საბამ-კარავიანის“ პირველი სიტყვის „საბამის“, ქვეშ*.

კვირიას მეორე ძირითადი ზედწოდებაა „ღვთისშვილი“, რომელიც განსაკუთრებით მიღებულია ხევში. ამ ღვთაებას მოხვევები, ჩვეულებრივ, „კვირღვთისშვილის“ სახელით მოიხსენიებენ.

ამავე დროს, „ღვთისშვილი“ აღმ. საქართველოს მთიელებში ანგელოზთა და აგრეთვე წმინდანთა (ღვთაებათა) ზოგად სახელადაც იხმარება. უნდა ითქვას, რომ მკვლევრები ამ ტერმინში, ჩვეულებრივ, ქართველ მთიელთა წარმართულ ღვთაებათა თავდაპირველ სახელწოდებას ხედავენ, მაგრამ ნუთუ ეს ზედწოდება სრულიად უცხოა ქრისტიანობისათვის?

ძველ აღთქმაში „შვილნი ღმრთისანი“, ანუ „ძენი ღმრთისანი“ ანგელოზებს, (იაკვეს მოციქულებს) აღნიშნავენ. სახარებაშიც „შვილნი ღმრთისანი“ ანუ „ძენი ღმრთისანი“ წარმოგვიღებებიან როგორც ციური არსებანი, ანგელოზები. რომლებიც მამა-ზეციერს ემსგავსებიან. ამავ ენიშნით „ძე ღმრთისა“ ქრისტეს ერთ-ერთ ძირითად ზედწოდებად იქტა. მოგვიანებით ეს ზედწოდება ქრისტიან წმინდან-მოწამეებსაც მიაწერეს. ასე, მაგ., უძველეს ქართულ იადგარში წმინდა მოწამეთა შესახებ ნათქვამია: „რომელნი სულითა ღმრთისაჲთა ვლენან, იგი არიან შვილნი ღმრთისანი. შვილ ღმრთისა ერქემის მათ და იანა-მკუდრ ქრისტეჲსა“ ([9] 108).

ამრიგად, ქართველ მთიელთა ტერმინი „ღვთისშვილი“ ქრისტიანობიდან მომდინარეობს. კვირიასთან დაკავშირებით ეს ეპითეტი ქრისტეს ძველი ქართული ზედწოდების - „ძე ღმრთისა“-ს შესატყვისია.*

მოხვევთა „კვირღვთისშვილის“ ვინაობასთან დაკავშირებით ინტერესს იწვევს ს. მაკალათიას შემდეგი ცნობა: „სოფ. ფხეშელში ერთ

*ამ სიტყვების („საბამი“ და „კრეტსაბმელი“) მიმართებაზე მიგვიითთა ზ. ალექსიძემ.
*აღსანიშნავია, რომ „ღვთის შვილი“ ქართლ-კახურ დიალექტებში შემორჩენილია „წმინდანის“ „ღვთისნიერის“ მნიშვნელობით.

ძველ ნანგრევ კოშკში მოთავსებულია „ევირედეთისშვილის“ ხატი, რომელსაც ქალების ხატს უწოდებენ. ეს ხატი წარმოადგენს დედოფალს, რომლის სიგრძეც 54 სანტიმეტრია. დედოფალა შემოსილია თეთრი ტანისამოსით და პირისახეზე მას მიკრული აქვს ღითონის პატარა ხატი, რომელზედაც ქ რ ი ს ტ ე ს ს ა ხ ე ა გამოხატული“ (ხაზი ჩვენისა-ა. ლ.) ([10] 212)*.

მით უფრო გაუგებარია, რომ ამ ღვთაებას, რომელსაც ქრისტეს ხატი განასახიერებს, წიგნის ავტორი ასე წარმოგვიდგენს ერთ სქოლიოში: „ღვთაება ევირიას თავყვანისცემა წარმართულ საქართველოში იყო გავრცელებული. ევირია ჩვენში ნაყოფიერების ღვთაებად ითვლებოდა“ ([10] 248).

საგულისხმოა, რომ ქრისტეს სახის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები შეიცნობა აგრეთვე ევირიას ისეთ ზედწოდებებსა და ეპითეტებში როგორცაა: „ღეთის იასაული“, „ანგელოზი მეთფროსი“, „ხმელთმოურავი“, „ღეთისშვილი წინამძღვარი“, „ევირაცხოველი“ და სხვ.

როგორ ესახებათ აღმოსავლეთ საქართველოს მიიღებს ღვთაება კ ვ ი რ ი ა ს ბუნება, მისი უმთავრესი ფუნქცია-თვისებები?

ვ. ბარდაველიძის წიგნში „ივრის ფშავლები“ ვკითხულობთ: „მორწმუნეთა წარმოდგენით, ევირია შუამავალია ღმერთსა და ადამიანებს შორის და ის ღეთის კარზე დგას. ევირია პირველად ადამიანი ყოფილა და მხოლოდ შემდეგში გამხდარა ანგელოზი“ ([11] 163).

აქ ასე რელიგიურად გამოკვეთილ ღვთაების სახეში არ შეიძლება არ ვიცნოთ ქრისტე - „შუამდგომელი. ღმრთისა და კაცთა“, „ქე კაცისა“, რომელიც მკვდრებით აღდგომის შემდეგ „აღმალდა ზეცად“ და „ააჯდა მარჯვენით ღმრთისა“*.*.

*საფიქრებელია, რომ აქ მოხსენიებული დედოფალა ღეთისმშობელს განასახიერებს: აქვე წარმოდგენილ ფოტოსურათზე დედოფალას ქალის თეთრი ტანსაცმელი აცვია, აღმათ მისი უბიწობის ნიშნად. ისიც უნდა განითვალისწინოთ, რომ მითვლებში ევირიას კულტს ხშირად ერწყმის ღეთისმშობლის კულტი.

*უნდა ითქვას, რომ ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამ ცნობამ გვაფიქრებინა, რომ ევირიას უკან ქრისტე იმალდა.

მთიელთა რწმენა-წარმოდგენებით, კვირიას უმთავრესად „სამართალი ეკითხება და აბარია“ (ივ. ჯავახიშვილი). ლოცვა-ვედრების ტექსტებში ხშირად გვხვდება ფორმულა „სამართალი კვირიასი“. ამასთან, კვირია, როგორც მსაჯული, „მორიგე ღმერთის“ ნების აღმსრულებელია. კვირიას თავისი „სამწერლო“ - ე.ი. სამსჯავრო ღვთის კარზე აქვს გამართული. ერთ ფშაურ სადიდებელში მას ასე მიმართავენ: „სამართლის პასუხის გამცემელო ღმერთთანა და წყალობის გამომტანელო ხმელზე ხორციელთათვის“ ([8] 34). ხოლო მეორე სადიდებელში შესთხოვენ: „ჰკვირაცხოველო, ღვთის კარზე მდგომელო, პასუხის შემტანელო, წყალობის გამომტანელო, გამაუწერე უფალთანთა საკეთილო, სამშვიდობო ფერციელო და წყალობა“ ([11] 130).

აღსანიშნავია, რომ ფშავ-ხევსურულ მითოლოგიურ გადმოცემებშიც კვირია უმთავრესად მსაჯულის როლში გვევლინება. ასე მაგალითად, ერთი ფშაური გადმოცემა: (ნაქადაგრით), ღვთისშვილთა შორის ატეხილ დავას ღვთის კარზე „დამბადებელი“ და კვირია არჩევენ და სამართლიანი განაჩენი გამოაქვთ. ([12] 147). გარდა ამისა, ღვთისშვილთა შორის, ანდა მათსა და დევებს შორის ფალავნური შეჯიბრებების დროსაც „სამართლის მიმცემი“ კვირიაა. კერძოდ, სიმძიმეების აწევაში შეჯიბრებისას კვირია „სასწორის მცველია“ (ივ. ჯავახიშვილი); მთვალეურ რეობს „სასწორ-ჩარეკით“ სიმძიმეების აწონვას და შეჯიბრის მონაწილე ღვთისშვილნი მას შესთხოვენ სიმძიმეების მომატებას... ([13] 223, 575-587), ([12] 145, 154).

აითქმისდა, რა შეიძლება იყოს თავისი ბუნებით უფრო არქაული და წარმართული, ვიდრე ეს უკანასკნელი მითოლოგიური მოტივი?

მაგრამ გავიხსენოთ, თუ რა როლი მიეწეება ქრისტიანულ ენქატოლოგიაში ქრისტეს. იგია „მსაჯული სიმართლისა“, რომელიც მეორედ მოსვლის დროს „განვიოთხავს ცოცხალთა და მკვდართა“ და „განარჩევს ცოდვილთა მართალთაგან“; ამავდროს, ქრისტეა „მსაჯული ღმერთისა“, ღმერთის წინაშე ადამიანთა „მეოხი და შეამდგომელი“, ღმერთისაგან „მადლის გა-

მომტანელი“და მისი ნებით „ყოფათა მიმტევებელი“...

აქვე უნდა გავიხსენოთ ქრისტეს „მართლმსაჯულების“ სიმბოლო „სა-სწორი სიმართლისა“ (იგივე ხალხური „მადლის სასწორი“), რომლის გა-მოსახულებაც შემოგვინახა კლასიკური ხანის ქართული ეკლესიების კედ-ლის მხატვრობამ „საშინელი სასჯელის“ სცენებში და რომელსაც ქრისტეს, როგორც „განმკითხველის“ ატრიბუტად წარმოგვიდგენს ცნობილი ხალხური სასულიერო ლექსიც:

„დალოცვილი ქრისტე ღმერთი
ოქროს ტახტზე დაბრძანდება,
ზედ უდგა ოქროს სასწორი,
(ან „ხელში უჭირავს სასწორი“),
ყოფო-მადლი იწონება“.

([14] 161, 349)

როგორც ვხედავთ, „მსაჯულის“ როლშიც კვირიასა და ქრისტეს შორის საგულისხმო მსგავსებაა: ზუსტად ემთხვევა მათი ფუნქციები, შესაბა-მისი ეპითეტები, მათდამი მიმართული ლოცვა-ვედრების ფორმულები... ეს კი მთიელთა შესაბამისი რწმენა-წარმოდგენების ქრისტიანულ ბუნე-ბას ადასტურებს.

რაც შეეხება კვირიას როგორც „სამართლის მიმცემის“ თავისებურ მოტივს ფშავ-ხევსურულ თქმულებებში, აშკარაა, რომ მას საფუძვლად უდევს იგივე ქრისტიანული რწმენა-წარმოდგენები, ოღონდ მათ გულბ-რყვილო ფოლკლორული გადაზარბანება და მეორადი მითოლოგიზაცია გა-ნუტლიათ. კერძოდ, ექვს გარეშეა, რომ კვირიას „სასწორ-ჩარეკი“, რო-მელიც სიმძიმეების ასაწონადაა განკუთვნილი, ქრისტესეული „მადლის სასწორის“ მოტივის სწორედ ამგვარი ტრანსფორმაციის ნაყოფია.*

*საგულისხმოა, რომ გასული საუკუნის ერთი ჩამწერი ჩვენთვის საინ-ტერესო თქმულებისა („კახსრის ლექსი“) ანალოგიურ ინტერპრეტაციას აძლევს აქ მოხსენებულ „სასწორ-ჩარეკის“ მოტივს. ტექსტისადმი დარ-თულ კომენტარებში ნათქვამია: „ფშაველსა სწამს, რომ, როცა კაცი აწიერ სოფლიდამ მიიცილება და საიქიოს მივა, იქ პირველად ღვთისა და მის წმინდანთა წინაშე წარსდგება, სადაც სასწორზე ასწონენ და ისე გაიგებენ მის კეთილსა და ბოროტს ჩანადინარს“ ([13] 583).

როგორც ზემოთაც გაცვრიტ მითითებული გვექონდა, აღმოსავლეთ სა-
ქართველოს მიზანთში კვირიას სახელობის სალოცავი ორგვარია: გვხვდებ-
ბა როგორც ტრადიციული საკულტო კომპლექსი - „გვარი ანუ ხატი“, ისე
პატარა, ჩვეულებრივ, ერთნაგვიანი ქრისტიანული ეკლესია - „საყდარი“.
ამასთან, ამ უკანასკნელის გავრცელება მოიცავს საკმაოდ დიდ ტერიტო-
რიას: მთიულეთ-გუდამაყარს, ერწო-თიანეთსა და ხევს.

თუ დავუშვებთ, რომ კვირია უძველეს წარმართულ ღვთაებას განასახი-
ერებს, როგორც ამას ზოგი მკვლევარი ფიქრობს, მაშინ გაუგებარია, რო-
გორღა იქცა მის საკულტო ცენტრად ქრისტიანული ეკლესია .

განარკვიით ამ სალოცავის კონკრეტული რაობა.

ჩვენს ყურადღებას იქცევს მისი პარალელური სახელწოდება- კ ვ ი -
რ ა ც ხ ო ვ ე ლ ი .

მთიულეთში და ერწო-თიანეთში, ჩვეულებრივ, აიგივებენ კვირიას სა-
ლოცავსა და კვირაცხოველის ხატს. ამასთან, საგულისხმოა რომ ერწო-თი-
ანეთში ზოგ ეკლესიასა თუ ნიშს „კვირაცხოველს“ უწოდებენ ამ მხარის
ძველი მკვიდრნი - „კახები“, ხოლო „კვირიას“ აქ გვიან ჩამოსახლე-
ბული მთიელები - ფშავლები და ხევსურები ([15] 120, 133).

იგივე სახელწოდება იხსენიება ფშავის ერთ-ერთი ს ა კ ვ ი რ ა -
ო ს ხატის სამრეკლო ზარის წარწერაში: „აქ ჩ ყ მ ე წელსა
(ე.ი. 1845 წელს -ა.ღ.) შემოგწირე ესე ზარი ღამარის ღელეს შუა ბა-
ტონო კვირა ცხოველ...“ ([16] 52).

მოხვედრებშიც კვირიას სალოცავს პარალელურად „კვირაცხოველი“ც
ჰქვია ([7] 21).

კვირიას სალოცავის ამ სახელწოდებასთან დაკავშირებით არ შეიძლება
არ გავიხსენოთ ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი უმთავრესი „საუფლო“
დღესასწაული - „კვირაცხოველი“, რომელიც მკვდრეთით აღდგომის შემდეგ
ქრისტეს მოციქულებთან გამოცხადების აღსანიშნად არის დაწესებული
და რომელიც აღდგომის სწორზე მოდის. სწორედ ეს დღეობა - „კვირა-

ცხოვლობა“, „ეკვირიაზა“ ანუ „ეკვირისჯვრობა“¹ უმთავრესი დღესასწაულია კვირიასი.

კვირაცხოვლის სახელობის ეკლესიები და მათი ნაშთები დღესაც ხშირად გვხვდება ქართლ-კახეთის სოფლებში. მათი უძრაველობა მცირე ზომის, ჩვეულებრივ, ერთნავიანი სამლოცველოა. თუმცა აქა-იქ შემორჩენილია დიდი, გუმბათოვანი ტაძარიც. არცთუ იშვიათია ამ საკულტო ძეგლთან დაკავშირებული ტოპონიმები: „ეკვირაცხოვლისგორი“, „ეკვირაცხოვლისსერი“, „ეკვირაცხოვლისკლდე“ და სხვ. [17] 336).

კვირა (მ)ცხოვლის ეკლესია აქა-იქ გვხვდება დასავლეთ საქართველოშიც, კერძოდ - ზემო იმერეთსა და რაჭაში [18]. აღსანიშნავია, რომ უკვე გასული საუკუნის ბოლოსათვის ზოგან (იმერეთში, რაჭაში) ამ ეკლესიების ნანგრევებიც კი აღარ იყო შემორჩენილი, თუმცა მათ ადგილსამყოფელზე, „აკვირაოზე“ წმინდა მუხის ხეებთან (აღდგომის სწორზე) კიდევ იმართებოდა „ახალეკვირაობა“ ანუ „ეკვირაცხოვლობა“ [19].

როგორც დავინახეთ, კვირაცხოვლის სახელობის ქრისტიანული სალოცავი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც დამკვიდრებულა, რაც აქ ქრისტიანობის გავრცელებისთანავე არის სავარაუდებელი.*

თავისთავად ცხადია, რომ ამ სალოცავის უზენაესი პატრონი სხვა არავინ შეიძლება იყოს, თუ არა ქრისტე.

სადიქრებელია, რომ ქართველ მთიელებში ქრისტეს ადგილობრივი ზედწოდების - „ეკვირას“ დამკვიდრებას რამდენადმე მისი სალოცავის სახელწოდებამ — „ეკვირაცხოველმაცხეთეწყო ხელი“.

ზემოთ მოყვანილი მონაცემების მიხედვით, კვირიას სახელობის „ჯვარ-ხატიც“ აგრეთვე ქრისტიანულ საკულტო ძეგლად გვესახება.

როგორც ჩანს, ეს დასკვნა საერთოდ მთიელთა ჯვარ-ხატებზე უნდა :

*საგულისხმოა, რომ ინგუშების ტყობა - იერდის ქართული ტაძარი, რომელიც მერვე-მეცხრე საუკუნეებით თარიღდება, ზოგი მკვლევარის აზრით, კვირაცხოვლის სახელობისა უნდა იყოს ([20] 120-129).

გავავრცელო...•

ახლა კი განვიხილოთ კვირიასთან დაკავშირებული ხატობა-დღეობები.

შეიძლება ითქვას, რომ ეს დღეობები კვირიას კულტის ყველაზე უფრო აშკარა ქრისტიანული ელემენტი ჩანს. საკმარისია დავასახელოთ მათ შორის სამი ძირითადი „ხატობა“: აღდგომა, კვირაცხოვლობა და ამაღლება, რომლებიც თავისი სახელებითაც და თარიღებითაც ზუსტად ემთხვევა ქრისტეს სახელზე დაწესებულ „ქაუფლო“ დღესასწაულებს.

მაგრამ, იქნებ, მათი სახით რამდენადმე ქრისტიანიზირებულმა წარმართულმა დღესასწაულებმა და რიტუალებმა შემოინახეს თავი?

სანიმუშოდ განვიხილოთ კვირიას უმთავრესი ხატობის - კვირაცხოვლობის რიტუალები.

მთიულეთ-გუდამაყარში და ერწო-თიანეთში ამ დღეობისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია შემდეგი წეს-ჩვეულება: ამ დღეს ხატობაში მისული მლოცველი ქალები სალოცავის ეზოში წითელი ფერის ქათმის

სამამცნიერო ღიტერატურაში მთიულთა ჯვარ-ხატები ხელაღებით წარმართულ საკულტო ძეგლად არის აღიარებული, მაგრამ განა ჯვარ-ხატების საკულტო კომპლექსს ცოტა აქვს საერთო ქრისტიანულ სალოცავთან. საკმარისია ამ კომპლექსის ტიპური შენობები დავასახელოთ: სამრეკლო ანუ საზარე, სასანთლე ანუ საწირველო, საკურთხეველი, სადროშე კოშკი, სამლოცველო ნიშები...

ამათ შორის უმთავრესი საკულტო ნაგებობაა ღვთაების ან წმინდანის მთავარი „მარბანისი“ - „სასანთლე“ (ანუ „სამწირველო“) სვეტი ან კოშკი, სანთლებისა და ხატისათვის განკუთვნილი თახჩით და, არცთუ იშვიათად, ზემოდან დაბრძანებული ვეება ქვის ჯვრით. მაგრამ ეს ხომ ჩვეულებრივი სამლოცველო ნიშია ანუ იგივე ქვა-ჯვარია, რომელიც საბრძოლველოთი ქრისტიანობის გავრცელებისთანავე დამკვიდრდა და რომელიც ბოლო დრომდე შემორჩა ბარის (მაგ. ქართლ-კახეთის) მკვიდრთა რელიგიურ ყოფას... არც ის არის შემთხვევითი, რომ „ჯვარ-ხატების“ საკულტო შენობათა სახელები ქრისტიანულ ტერმინოლოგიას იმეორებს. თვით სალოცავის ზოგადი სახელებიც - ჯვარიც და ხატიც ხომ ორგანულად უკავშირდება ქრისტიანობას. დაბოლოს, ისიც საგულისხმოა, რომ თვით მთიულთათვის ტრადიციული „ჯვარ-ხატი“ ისეთივე „ქრისტიანთ სალოცავია“, როგორადაც მკლესია-საყდარი.

რაც შეეხება ზოგიერთი ჯვარ-ხატის თითქოსდა წარმართულ სახელს, უნდა ითქვას, რომ „კვირიას“ მსგავსად, მათი სახითაც, სინამდვილეში, ქრისტიანული დღეობებისა და წმინდანების ამაგილობრივ ზედწოდებებთან გვაქვს საქმე.

მამლებს „შეაფრენენ“, რომელთაც ზოგჯერ კიდევ ჰკლავენ.

როგორია ამ რიტუალის ბუნება?

ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ ქრისტიანობის მიერ წარმართული სიმბოლიკიდან ნასესხები მამალი, როგორც დღის მესაყვირე და მომავალი დღის მაცნე, და, ამის შესაბამისად, სინათლისა და დღის სიმბოლო. ქრისტიანულმა რელიგიამ მზის ამოსვლის მაყუყუბელ ამ ფრინველს მიანიჭა აღდგომის სიმბოლიური მნიშვნელობა. ამასთან დაკავშირებულია უძველესი გადმოცემები, თითქოსდა ქრისტე მკვდრეთით აღდგა მამლის პირველ ყვირილზე...

ასე რომ ქრისტეს აღდგომასთან უშუალოდ დაკავშირებულ დღესასწაულში წითელი „მამლების შეფრენის“ წეს-ჩვეულება მის ორგანულ კომპონენტად გვევლინება... და არა უფრო ადრინდელი წარმართობის გადმონათობად.

შემთხვევითი როდია, რომ იგივე რიტუალი საქართველოს სხვა მხარეებშიც (მაგ., ქართლ-კახეთში) ამ დღესასწაულის განუყრელი ელემენტია.

ვ. ბარდაველიძეს მთიულეთში დადასტურებული აქვს კვირაცხოვლობასთან დაკავშირებული კიდევ ერთი წეს-ჩვეულება: „მთიულეთში, ქართლის ხევის სოფელ ჭალისოფლის ქრისტიანული საყდარი და მცირე მიწის ნაკვეთი მის გარშემო კვირაცხოვლის ხატის სახელწოდებით ღვთაება კ ვ ი რ ი ა ს სალოცავად ითვლებოდა... კვირაცხოვლის ხატის მთავარი დღეობა კვირაცხოვლობას იცოდნენ. წინა დღეს ხატის დეკანოზები აგებდნენ ოთხ ეგრეთწოდებულ ფ ა თ ვ ლ ი ს ქ ო ხ ს (ე.ი. ფოდლის ქოხს, -ა.ღ.)-ოთხი კარვის ჩონჩხს ფოთლოვანი ხის ტოტებისაგან. ხატში დამისთევაზე ამოსულ სოფლელებს შემზადებული ქოხების შესაბურავად თან ფარდაგებნი მიჰქონდათ. თითო სოფელი თითო კარავში ბინადებოდა, იმ დამის იქ ათევა და მეორე დღეს სოფლის სუყრაც იქვე იშლებოდა. ხალხის შეხედულებით, ამ კარგების მოწყობა ძველთაგანვე დამკვიდრებული წესი ყოფილა“ ([21] 169).

უნდა ითქვას, რომ ვ. ბარდაველიძემ აღწერილი წეს-ჩვეულების „სლოვის ქოხი“ მართებულად დაუკავშირა კვირიას „ჟარავს“. ხოლო ჩვენი მხრიდან უნდა დავძინოთ, რომ, როგორც ზემოთაც აღნიშნული გვქონდა, კვირიას „ჟარავი“. იგივეა, რაც ქრისტეს „ციური კარავი!“ ამიტომაც, ბუნებრივია, რომ კვირაცხოველის დღესასწაულში „სლოვის ქოხების“ დადგმისა და მათში ღამის თევის წეს-ჩვეულებაში მკვდრეთით აღდგომის შემდეგ ქრისტეს ადამიანთა შორის „დაკარგების“ - დამკვიდრების სიმბოლური განსახიერება დავინახოთ. მწვანე ფოთლოვანი ტოტები, რომლებისაგანაც ეს ქოხები კეთდებოდა, ამ დღესასწაულის ძირითად იდეას - ქრისტეს „აღდგომასა და განახლებას“ და ამით ყოველივეს განახლებასა და აღორძინებას გამოხატავს.

ჩვენს ინტერესს იწვევს აგრეთვე ფშაური „ახალკვირეს“ დღეობა, რომელიც იმართებოდა ღამის უვარში და რომლის აღწერა, აღ. ორიუ-რის მასალების საფუძველზე, მოცემული აქვს ვ. ბარდაველიძეს. მის ცენტრალურ მომენტს შეადგენდა ფშავის თქრმეტივე თემის მედლეობთა მსვლელობა ღამის უვარიდან საკვირაოს ხატში; მათ წინ მიუძღოდნენ ხევისბერები მხრებზე გადებული თითოეული თემის სალოცავის დროით. „ღამის უვარის“ მედლეობნი ღამის უვარიდან ღიჯანიითა და ფერხისული სიმღერით მიემართებოდნენ საკვირაოში, სადაც ღამეს ათევენენ.

ახალკვირას ღამის უვარიდან ჩამოსული დროშაონისა და მედლეობე თემების პროცესია, საკვირაოს. რომ მოადგებოდა, თემების რიგითი წევრები კონცხის ძირში გაჩერდებოდნენ, ხატოონი კი ხატის კარზე ავიდოდნენ, იქ დროშებს კვრიცზე „დააბრძანებდნენ“ და მაშინვე სადიდებელთ, ჩვეულებრივ, ყველა ხევისბერი ჩამოირიგებდა და ამწყალობინებდა მთლიანად ფშაველთ. ხატებისა და ხალხის დამწყალობინების დროს ხევისბერი ხატარში ზარს რეკავდა. თემების მიერ მოტანილ კელაპტრებს ღამის უვარის ხევისბერი სასანაღეში დაანთებდა, კვლავ ზარს რეკავდა და ამწყალობინებდა თავის ყმებს. ამ დროს მედლეობე რიგითი მეთემენი ქედმობდილნი და პირთ ხატისაკენ მიბრუნებულნი პირჯვარს იწერდნენ

და ხმადაბლა კვირას ეკედრებოდნენ ღმერთთან და ღვთის და ღვთის-
შვილებთან შუამდგომლობას და დახმარებას...“ ([16] 33, 51-53).

ამ აღწერილობაზე თვალის ერთი გადავლებითაც კი აშკარაა, რომ
ჩვენს წინაშეა ქრისტიანული ლიტანიობა ანუ „ღიდებით სიარული“ (რუს.
крестный ход) ([22] 331-332). ქართლსა თუ კახეთში მოხუცებს ახლაც
ქარგად ახსოვთ ძველად ზოგი საეკლესიო დღესასწაულის დროს ამგვარი
ლიტანიობა ანუ „ღიდებაზე სიარული“ ეკლესიის ჯვრებით, ხატებით,
დროშებით... ლიტანიის მონაწილენი - ეკლესიის მსახურები და მღ-
ცველები სხვადასხვა ნიშ-სალოცავენს ჩამოივლიდნენ, „ჩამოილოცავენენ“
ქრისტიანული „სადიდებლის“ გალობით...

ამგვარ ლიტანიასთან შედარებით ფშაური რიტუალის დამახასიათებელი
თავისებურება მხოლოდ ისაა, რომ შედღეობენი მსველეობის დროს საეკ-
ლესიო საგალობლის ნაცვლად „ფერხისულ სიმღერას“ ასრულებენ... მაგ-
რამ ეს, ცხადია, ოდნავადაც არ ცვლის ამ რიტუალის თავდაპირველ
ქრისტიანულ ბუნებას...

ხატობა-ღდეობების გარდა კვირიას კულტთან ორგანულად დაკავშირებუ-
ლია აგრეთვე კვირა-უქმე და „კვირაძლობა“.

ზემოთ უკვე მოტანილი გვექონდა ამათთან დაკავშირებული საინტერესო
ცნობა, რომელიც ვაჟა-ფშაველას ეკუთვნის: „კვირა ძლიერი ანგელოზი
ყოფილა ფშაველების წარმოდგენით, და იმის სადღეებლად, მოსაბუნებლად
არის დადებული კვირა-ღდე უქმედ“ ([6] 193).

ამის შესაბამისად, ტრადიცია ბოლო დრომდე მკაცრად მოთხოვდა კვი-
რა-უქმის „შენახვას“, ხოლო მისი გატეხვა, „შერევა“ დიდ ცოდვად
მიაჩნდათ. მთიელთა რწმენით, თვით კვირია სასტიკად სჯიდა მის სა-
ხელზე დაწესებული უქმის გამტეხს: კვირაღდეს ვინც „სამუშაოდ ხელს
გააქანებდა, იმის სახლ-კარს ცეცხლს გადაუხეცდა. და გადასწავდა“
([21] 169).

კვირა-უქმეობის მოტივაციასთან დაკავშირებით ინტერესს იწვევს
ფშაველას-ხევისურეთში გავრცელებული გამოთქმა: „კვირამ თქვა: „ნაცუღარი

ისე არ მტკიოდა, როგორც ნათხორალო“⁸

კვირიასთან დაკავშირებულია აგრეთვე „კვირაძალის“ – შაბათ სა-
ღამოს. უქმობაც. გარდა ამისა, ზოგ კუთხეში (მაგ. ივრის ფშავლებში)
„კვირიას ნიშთან ცალკეული ოჯახებიდან მღოსველები ყოველ კვირაძალ-
ზე მიდიოდნენ და ღამეს ათევდნენ ხოლმე“ ([21] 165).

ვ. ბარდაველიძემ კვირიას კულტის კვლევის დროს საგანგებო ყურად-
ღება მიაქცია აღნიშნულ რწმენა-წარმოდგენებს, კერძოდ ამ „მრი-
სხანე ღმერთის“ ორგანულ კავშირს ცეცხლთან. მისი ვარაუდით, „ის გა-
რემობა, რომ აღამიანთა დასასაჯელად კვირია ცეცხლს იყენებდა, შესა-
ძლებელია მიუთითებდეს ამ ღვთაების გენეტიკურ კავშირზე ცეცხლის
კულტთან“. ხოლო ეს ცეცხლი „მიწური, სახელდობრ, კერის ცეცხლი უნდა
ყოფილიყო“, ამასთან იგი სიტყვების „კვირიას“ და „კერის“ ეტიმოლო-
გიურ კავშირსაც არ გამორიცხავდა ([21] 170).

მაგრამ განა ამ რწმენა-წარმოდგენის გენეზისის ძიებებისას, უწი-
ნარეს ყოვლისა, მისი ანალოგიური ქრისტიანული წარმოდგენები არ უნ-
და გავითვალისწინოთ?

როგორც ცნობილია, ქრისტიანულმა ეკლესიამ აღრიდანვე კვირადღე
გამოაცხადა „საუფლო“ დღედ: მამა-ღმერთის მიერ „ქვეყნის შესაქმი-
ნათვის“ და „უმეტეს ღიღებუი აღდგომისათვის ქრისტესა“. მანვე
დაადგინა ყოველკვირეული ღვთისმსახურება, განსაკუთრებით ქრისტეს
მკვდრეთით აღდგომის აღსანიშნად და საღიღებლად. ამასთან, ძველთაგან-
ვე, ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში კვირა იწყებოდა წინა საღამოდან,
„კვირაძალიდან“, ღამისთევით: „რამეთუ უფალ არს ძეჲ კაცისა შაბათ-
თისაჲ“ (მთ. 12, 8).

⁸ „ამ გამოთქმაში „ნაცულარის“ ქვეშ ცუდით ან სხვა მჭრელი იარაღით
მიუკენებელი წრილობა იგულისხმება. „თხორი“ აღმოსავლეთ საქართველოს
მთის დიალექტებში დაძახებული ნართის ძაფს, ბაწარს აღნიშნავს. „ნართხო-
რალის“ ქვეშ თხორისათვის მატყლის ჩეჩვა იგულისხმება. ფშაველი
მთხრობელის განმარტებით, „მატყლის ჩეჩვის დროს, თითქოს კვირიას
ჩხეღებავინ ტანზე“.

ამავე დროს ეკლესიის მიერ დიდ ცოდვად იქნა აღიარებული კვირა-
უქმის გატეხვა, რაც, ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, იწვევდა
„ღვთის რისხვას“ - ღმერთის მიერ ცოდვილთა ცეცხლით დასჯას. „ღვთის
რისხვა“ განსაკუთრებით მიეწერებოდა ქრისტეს, როგორც ადამიანთა
მსაჯულს მეორედ მოსვლის დღეს, „განკითხვის დღეს“ და რომელსაც ცო-
დვილთა დასასჯელად „ხელ-ეწიფების შთაგდებად გეშენიასა ცეცხლისა-
სა“.

ამ რწმენა-წარმოდგენებმა გამოძახილი პოვა გვიანი ფეოდალიზმის
ხანის ქართულ-ისტორიულ დოკუმენტებშიც.

აქ ჩვეულებრივია შემდეგი წყევლის ფორმულები:

„ვინცა...წმიდათა კრებათაგან განაჩენი უქმი ღვინი კრძალვით და
მაგრად არ შეინახნეს, მისთვის განწესებულ არს რისხვა ღმერთისა...
ცეცხლი უშრეტი...“.

როგორც ვხედავთ, კვირიას კულტის ამ კომპონენტსაც არაფერი აქვს
საერთო წარმართობასთან. ხოლო კვირია, როგორც ცეცხლის სტიქიასთან
დაკავშირებული „მრისხანე ღმერთი“ ქრისტე-„მსაჯულის“ სახეს იმეო-
რებს.

რაც შეეხება გამონათქვამს, რომელიც კვირიას მიეწერება: „ნაცულა-
რი ისე არ მტკიოდა, როგორც ნათხორალი“, მასში, უთუოდ, ქრისტეს
ჯვარცმა-წამებასთან დაკავშირებული წარმოდგენების თავისებური ანა-
რეკლი უნდა დავინახოთ. ქრისტესთან დაკავშირებული ანალოგიური რწმე-
ნა-წარმოდგენები ხომ თითქმის მთელ საქართველოშია გავრცელებული და,
სხვათა შორის, მთიანეთის ზოგ რეგიონშიც. აი, მაგალითად, რა მოტივით
ხსნის თიანეთელი მთხრობელი. კვირაძალზე ხელსაქმის აკრძალვას: „კვი-
რაძალზე ნემსს იმიტომ არ ვიხმარდით, რომ ქრისტე ნემსით დაუჩხვლე-
ტიათ. არც საქსოვი შეიძლებოდა. მაკრატელზე ვიტყოდით, ხორცს ვაჭ-
რით ქრისტესო...“ ([5]).

დაბოლოს, მოკლედ შევეხოთ მ ო რ ი გ ე ა ნ უ გ ა მ რ ი გ ე
ღ მ ე რ თ ს, რომელთანაც ასე მჭიდროდაა დაკავშირებული კვირია-

ქრისტე.

სამეცნიერო ლიტერატურაში „მორიგე ღმერთი“ ქართველ მთიელთა უმთავრეს წარმართულ ღვთაებად არის აღიარებული და, რატომღაც, არაფერია ნათქვამი იმ განსაკუთრებული მსგავსების შესახებ, რომელსაც იგი ქრისტიანულ მამა-ღმერთთან ამეღაცნებს.

როგორც ზემოთაც ვნახეთ, კვირია თავისი ფუნქცია-ფუნქციებით განუყრელია მორიგე ღმერთისაგან და მას ემორჩილება, მისი ნების აღმსრულებელია. კვირია მორიგეს „ქარზე დგას“, მისი „მოკარგვა“, მისი „მასაულია“, „მორიგე ღმერთსა და ხორციელთა შორის შუამავალია“, მისი მსართლმსაჯულების აღმსრულებელია...

უკვე ეს მონაცემები გარკვევით მიგვანიშნებს, რომ მთიელთა პანთონის მეთაურის - მორიგე ანუ გამრიგე ღმერთის ქვეშ ქრისტიანული სამების პირველი წევრი - მამა-ღმერთი იგულისხმება. ქრისტე ხომ საცსებით ანალოგიურ მიმართებაშია მასთან.

მორიგე ღმერთსა და ქრისტიანულ მამა-ღმერთს შორის სხვაც ბევრია საერთო. აი, მორიგე ღმერთის კიდევ ზოგი ნიშან-თვისება, რომელიც მას საზიარო აქვს ქრისტიანულ მამა-ღმერთთან.

ქრისტიანული მამა-ღმერთის მსგავსად, მორიგე ღმერთიც ქვეყნის შემოქმედი, „დაბნადებელია“, „ცა და ხმელეთის დამაარსებელია“-ფშაური სადიდებლის თანახმად: „ღმერთმა ხმელეთი დააარსა, ცარვადი და-ახურა, მზე-მთვარე დააფინა, ხმელზე ცხოველნი და კაცნი გააჩინა და მწვანელნი იმათ საზრდოდ მოიყვანა“ ([3] 24).

მორიგე ღმერთიც „ღვთისშვილთა“ - ანგელოზთა „გამჩენია“. ღვთის-შვილთ მისგან აქვთ „მოლოცვილი შაძლება“ (ძალაუფლება) - ხორციელთა მიმართ.

მორიგე ღმერთი „წესსა და რიგს აძლევს ქვეყნიერებას“, „ქვეყნის დამდგინებელი და დამრიგებელია“. აქედანაა მისი ეპითეტი „მორიგე“ ანუ „გამრიგე“, იგივე ძველი ქართული „განმგებელი“ - მამა-ღმერთის ერთ-ერთი ძირითადი ზედწოდება (რუს. *распорядитель*).

მორიგე ღმერთს ლოცვა-სავედრებლებში ხშირად მიეწერება ეპითეტი „მაღალი“, რომელიც აგრეთვე მამა-ღმერთის ერთ-ერთი უმაღლესი ეპითეტია.

მთიულურ და ფშაურ ლოცვა-სავედრებლებში და ფერხისულ სასიმღეროებში მორიგე ღმერთი „მამა-უფლის“ და „მამა-ღმერთის“ სახელითაც მოიხსენიება.

მთიელთა (ხევსურთა) „მამა ღმერთი მეშვიდე ცაში სუფევს ([2] 67), თუმცა, ბიბლიისა და სახარების მიხედვით, ღმერთის სამყოფელი მესამე ცაზეა, მაგრამ ბიბლიის ზოგი აპოკრიფული წიგნი, რომელიც კანონიკურ ძეგლებს მიეკუთვნება (მაგ. ენოქის წიგნი), მის სასუფეველს მეშვიდე ცაზე უთითებს. ამ ქრისტიანული დოგმის გამოძახილია ცნობილი გამოთქმა „ახიხარულით მეშვიდე ცას მიეწია“...

დაბოლოს, მთაში მორიგე ღმერთის სახელობის არც სამლოცველო არსებობს და არც ხატობა-დღესასწაული, ქრისტიანული მამა-ღმერთის კულტიც ხომ ამ თავისებურებით გამოირჩევა.

ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა რელიგიური გადმონათბების განხილვას ქრისტიანობის სათანადო მონაცემებთან შეპირისპირებაში მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ მთიელთა პანთეონის სათავეში უნდა იდგეს ქრისტიანული მამა-ღმერთი, იგივე „მორიგე ანუ გამრიგე“ ღმერთი, ხოლო მეორე ადგილზე - იესო ქრისტე, იგივე „კვირია“

კვირიას კულტის მაგალითზე იმაშიც ვრწმუნდებით, რომ (წინააღმდეგ სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულებისა) მთიელთა რელიგიაში „ქრისტეს მოძღვრება შესამჩნევად სქესტი და ადვილად გამოსაცალკევებელი დაფენება“ (ღ. ბოჭორიშვილი) კი არ უნდა იყოს, არამედ, როგორც ჩანს, მისი ძირითადი და ორგანული კომპონენტი.

ეს არც არის გასაკვირი და მოულოდნელი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ქრისტიანიზაცია ხომ უკვე ადრე შუასაუკუნეებიდან დაიწყო, რასაც წერილობით წყაროებთან ერთად აქ გამოვლენილი ეკლესია-მონას-

ტრების ნაშთებიც ადასტურებს.

თუმცა მთიელთა ქრისტიანიზაცია შეუფერხებლად არ წარმართულა, მაგრამ მაინც მათი საბოლოო „მოქცევა“ სულაც არ ყოფილა გარეგნული, ფორმალური. როგორც ჩანს, საუკუნეთა მანძილზე ეკლესია-მონასტერთა დაუცხრომელმა მოღვაწეობამაც სასურველი ნაყოფი გამოიღო და მთასა და ბარს შორის მჭიდრო კონტაქტებმაც და შიდაეთნიკურმა პროცესებმაც თავისი გაიტანა....

ცხადია, გამარჯვებულ ქრისტიანობას მთლიანად მაინც არ წაუღეკაქს მთაში წარმართობა. მაგრამ ეს უკანასკნელი მთიელთა რელიგიურ სისტემაში ვლინდება არა იმდენად სუბსტრატული რელიქტების სახით, რამდენადაც ქრისტიანული ელემენტების წარმართულ ყალიბზე მოდიფიცირებული ფორმების სახით: მათში ქრისტიანულ პერსონაჟებს გაღვთაებრივებული წმინდანები ენაცვლება, ქრისტიანულ თეონიმებს - წარმართული იერის მქონე ზედწოდებები, ეკლესიებს - ღია ცის ქვეშ ღვთისმსახურებისთვის მისადაგებული ნიშ-საღოცავები, ეკლესიის მსახურთ - ადგილობრივი თემის თავკაცები...*

რაც შეეხება წინაქრისტიანული სუბსტრატის რელიქტებს, მათი უტყუარად გამოცნობა იოლი როდია. ამას აძნელებს, თუნდაც არაქრისტიანულ რელიგიათა გვიანდელი ზეგავლენები, რომელიც ქართველ მთიელთა რელიგიას საუკუნეთა მანძილზე განუცდია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ენოზგრაფიის კათედრა

*უნდა აღინიშნოს, რომ კვირიასა და ქრისტეს სახეთა მიმართება-მსგავსებაზე სამეცნიერო ლიტერატურაში პირველმა მიუთითა ფოლკლორისტმა ბ. აბაშიძემ. თუმცა, მანაც ტრადიციას ხარკი მოუხადა, როდესაც კვირია თავისი თავდაპირველი ბუნებით წარმართულ მზის ღვთაებად აღიარა [24].

А.С.ЛЕКИАШВИЛИ

К вопросу о природе божества К в и р и а.

Р а з в е с т

До недавнего времени в религиозной жизни горцев Восточной Грузии исключительную роль играл культ божества К в и р и а. Почти в каждом селении имелось святилище в честь него. С его почитанием был связан целый ряд религиозных праздников. В молитвах и словословиях одним из первых упоминался К в и р и а. Его имя часто фигурировало в формулах благословения и проклятия.

В специальной научной литературе К в и р и а единогласно признан одним из главных языческих божеств. Особо следует отметить исследования акад.И.А.Джавахишвили и проф. В.В.Бардавелидзе.

По мнению И.А.Джавахишвили, К в и р и а является древним языческим божеством-покровителем "плодородия и деторождения".

В.В.Бардавелидзе также безоговорочно относит К в и р и а к древнегрузинскому пантеону, в частности, к "великой триаде" божеств. Однако она, в отличие от своего предшественника, оставляет открытым вопрос о конкретной сущности данного божества.

Между тем, в исследованиях указанных авторов привлекает внимание то обстоятельство, что в них не говорится ничего об явно христианских элементах в культе К в и р и а и совершенно не затрагивается вопрос о четком разграничении в изучаемом культе ранних и поздних наслоений, дохристианских и христианских элементов.

Проанализировав в свете соответствующих данных многочислен-
ленные эпитеты и прозвища *К в и р и а*, приписываемые ему
функции и свойства, а также праздники и ритуалы, связанные с
его почитанием, мы приходим к совершенно иному заключению
относительно природы этого божества: *К в и р и а* никто иной,
как Христос, почитание которого у горцев Восточной Грузии
приняло бытовую, этнизированную форму.

Очевидно, что христианские культы являются не поверх-
ностным наслоением в религиозной системе горцев Грузии, как
это утверждается в научной литературе, а ее основным,
органическим компонентом.

ლიტერატურა

1. ივ. ჯ ა ვ ა ბ ი შ ვ ი ღ ი, ქართული ერის ისტორია, წიგნი პირ-
ველი, მეცამე გამოცემა, თბ., 1928.
2. ივ. ჯ ა ვ ა ბ ი შ ვ ი ღ ი, საქართველოს კავკასიისა და მას-
შემდეგი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრეობლები,
თბ., 1950.
3. В. В. Б а р д а в е л и д з е, Древнейшие религиозные веро-
вания и обрядовое графическое искусство грузинских
племен, Тб., 1957.
4. G. C h a t a c h i d z e, Le système religieux de la Georgie
païenne, Paris, 1968.
5. ნ. მ ა რ ა შ ვ ი ღ ი, კვირიას კულტი აღმოსავლეთ საქართვე-
ლოს მთიანეთში (ხელნაწერი, საფიპლოზ ნაშრომი), 1982.
6. ვ ა შ ა-შ შ ა ვ ე ღ ა, ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1937.
7. ვ. ი შ თ ნ ი შ ვ ი ღ ი, ხევის ტაძრისტიკა, თბ., 1971.
8. ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ღ ი ძ ე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის
სასულიერო ტექსტები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფი-

ისათვის, I, თბ., 1938.

9. უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვეთვა და საძიებლები დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც.ჭანკიევმა და ლ.ხევსურიაძემ, თბ., 1980.
10. ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევი, თბ., 1934.
11. ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ივრის ფშავლებში (დღიური), ენიმკი-ს მოამბე, XI, თბ., 1941.
12. თ. თ რ ი ა უ რ ი, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967.
13. ქართული ხალხური პოეზია, I, ხევისურული, ა. შანიძის გამოცემა, თბ., 1931.
14. ქართული ხალხური პოეზია, ტ. I, ნაკვეთი II, თბ., 1973.
15. გ. ბ ე დ ო შ ე ი ლ ი, ერწო-თიანეთის ტოპონიმია, თბ., 1980.
16. ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. I, თბ., 1974.
17. უ. ს ა ლ თ ხ უ ც ი შ ე ი ლ ი, მარტყოფის ტოპონიმის ისტორიისათვის, ტოპონიმია, I, თბ., 1976.
18. ზემო იმერეთის ტოპონიმია, I, (მასალები ინახება თსუ-ს ტოპონიმის ლაბორატორიაში).
19. „მწყემსი“, 1888, №10.
20. Г. Г. Г а м ო в и д з е, К объяснению названий храма Ткобя-Брда, მაცნე №2, 1974.
21. ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართველი ტომების ასტრალურ დებებთან პანთეონის განვითარების ერთი უძველესი საფეხურთაგანი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, X, თბ., 1959.
22. К. К е к е л и д з е, Иерусалимский канонарь, Тб. 1912.
23. ნ. ხ ი ზ ა ნ ა შ ე ი ლ ი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940.
24. ბ. ა ბ ა შ ი ძ ე, კვირია-მზე, ლიტერატურული საქართველო, 1970, №7

ღეილა შალვაშვილი

კოსმოსის ათვისებასთან დაკავშირებული
ახალი ტოპონიმები

(გაზეთ „კომუნისტის“ მასალის მიხედვით)

უკანასკნელი 20-25 წლის მანძილზე ტოპონიმია ხელშესახებად გამდიდრდა კოსმოსის დარქარებულ ათვისებასთან ერთად. ამასთან დაკავშირებით გარჩნდა როგორც ახალი გ ე თ გ რ ა ფ ი უ ლ ი (ე. ი. დედამიწის), ისე ახალი ს ე ლ ე ნ თ გ რ ა ფ ი უ ლ ი (ე. ი. მთვარის) სახელები. ამ სიახლეებს ჩვენ ადვრიცხავდით 1957-80 წლების გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე. გამოვლინდა ენობრივად საინტერესო ტოპონიმიკური მასალა - კ ო ს მ ო ს უ რ ი ტ ო მ ო ნ ი მ ი ა .

კოსმოსი ადამიანის გმირობის, მისი გონების ასპარეზად იქცა. ადამიანური სიმამაცისა და მისი უშრეტო შემოქმედებითი ძალების შეგრძნებამ ალაფროვანა დედამიწა. კოსმოსმა მოიცვა ადამიანის აზრი და ემოციები. კოსმოსი შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში. კოსმოსური სახელები დაერქვა ყოფილს საგნებსა და მოვლენებს.

1957 წლის 4 ოქტომბერს გაშვებულ იქნა მსოფლიოში პირველი ხელოვნური თანამგზავრი. საბჭოთა მეცნიერების ამ დიდ გამარჯვებას „1957 წლის რევოლუცია“ უწოდა გერმანულმა გაზეთმა „დერ ტაგეს-შბილმა“ („კომ.“ 10.10.57). „თანამგზავრი“ მალევე ადამიანური ყოფის მკვიდრი გახდა. „კომუნისტი“ წერდა:

„ჩიტყვა თ ა ნ ა მ გ ზ ა ვ რ ი“ სწრაფად შედის ყოველდღიურ ცხოვრებაში. იგი გამოყენებულია როგორც სახელწოდება მრავალი ნა-

* საგაზეთო მასალაში დაყოფა ჩვენია - ლ. შ.

კეთობისა, დაწყებული პორტატიული რადიომიმღებით და გათავებული შოკოლადების კომპლექტით. . . . გამოშვებულია 8 საფოსტო მარკა. თ ა ნ ა მ გ ზ ა ვ რ ე ბ ი გამოსახულია აგრეთვე საფოსტო კონვერტებზე. მარკები საბჭოთა თ ა ნ ა მ გ ზ ა ვ რ ე ბ ი ს გამოსახულებით გამოშვებულია აგრეთვე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ჩეხოსლოვაკიაში, რუმინეთში“ („კომ.“ 31.7. 58).

„ვის არ გააოცებს მიჩიგანის (ამერიკის ერთ-ერთი შტატი) პარიკმახერის გამოგონება - თმის დაყენების ახალი მოდა - „ თ ა ნ ა მ გ ზ ა ვ რ ი“ აქოჩრილ თმას თ ა ნ ა მ გ ზ ა ვ რ ი ს ოთხ-დიუმიანი მოდელი ამშვენებს... ამას წინათ პარიკმახერთა ყრილობამ „გამომგონებელი“ დააჯილდოვა.

ერთ-ერთმა საქმოსანმა კალიფორნიის შტატის ქალაქ იუროკაში მოამზადა სპეციალური სასმელი, გამაგრილებელი წყალი, რომელსაც „ თ ა ნ ა მ გ ზ ა ვ რ ი“ უწოდა“ („კომ.“ 6.2.58).

ყოფითი საგნებისა და მოვლენების მოსანათლავად ფართოდ გამოიყენეს კ ო ს მ ო ს ი ცე: „კოსმოსი“ - სიგარეტი, „კოსმოსი“ - ქსოვილი, „კოსმოსი“ - ფეხბურთის გუნდი („კომ.“ 2.7.77), „კოსმოსი“ - სასადილო მთათუშეთის სოფელ ომალოში („ახ. კომ.“ 30.10.79)...

ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში ბევრი კოსმოსური ტერმინი საკუთარ სახელადაც იქცა.

ახალი ტერმინები შემოიჭრა ანთროპონიმიაში. გაზეთი გვამცნობს:

„რუსულმა სიტყვამ СПУТНИК მოქალაქეობრივი უფლება დაიმკვიდრა მსოფლიოს ხალხთა ყველა ენაზე. მას თითქმის არ თარგმნიან. ამ სახელს არქმევენ ახალშობილს - გოგონა იგი თუ გაყი, მხედველობაში ვერ იდებენ რა რუსული სიტყვის გრამატიკულ წესს. ახალშობილს თ ა ნ ა მ გ ზ ა ვ რ ი ს მსგავსად ცხოვრების ნიშნად უდებენ ნოვატორობას, სახელგანთქმულობას, მშვიდობას, მოწონებას, აღტაცებასა და ბედნიერებას“ („კომ.“ 17.II. 57).

საკუთარ სახელებად განსაკუთრებით პოპულარული გახდა კოსმონავტების სახელები.

სტატიაში „კოსმოსის დამპყრობთა სენსიები“ აღნიშნულია, რომ გმირი კოსმონავტების დედამიწაზე მშვიდობიან დაშვებასთან დაკავშირებით ახალშობილთა დედ-მამამ გადაწყვიტა, თავიანთ შვილებს ან დ რ ი ა ნ ი და პ ა ვ ლ ე დაარქვან („კომ“. 16.8.62).

კოსმოსის დაპყრობა ტოპონიმიამაც აღინიშნა ახალი ლექსიკური ფენის გაჩენით. ადგილების სახელებად გავრცელდა კოსმონავტთა გარეობი.

ჩავხედოთ საგაზეთო ცნობებს.

კოსმონავტთა ხეივანი: „კოსმონავტთა ხეივანი ნორჩი ხე შეემატა... დარგო უნგრელმა კოსმონავტმა მკვლევარმა ბერტლან ფარკაშმა“ („კომ.“ 5.6.80).

კოსმონავტთა სანაპირო: „ბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გადაწყვიტა, მშენებარე მტკვრის მარცხენა სანაპიროს მონაკვეთს დიდუბის ხიდიდან ჩელუსკინელების ხიდამდე ეწოდოს გმირი კოსმონავტების სახელი და ამიერიდან იწოდებოდეს კოსმონავტების სახელობის სანაპიროდ“ („კომ.“ 13.4.65).

კოსმონავტების პიკი: „ციმბირელმა ალპინისტებმა... დაიპყრეს უსახელო პიკი ტიან-შანზე... პირველ ამსვლელთა უფლებით ალპინისტებმა ამ ბუმბერაზს კოსმონავტების პიკი უწოდეს“ („კომ.“ 17.8.62).

გეოგრაფიულ სახელად კოსმოსური ხომალდების სახელებიც გამოიყენეს:

„პამირზე, მოსკოვის პიკის ახლოს, დაიპყრეს... მწვერვალი, რომელსაც პირველდამპყრობთა უფლებით „კოიუზ-აპოლონი“ უწოდეს“ („კომ.“ 2.10.75).

მწვერვალი ასე მონათლეს 1975 წლის ივლისში საბჭოთა და ამე-

რეკული ხომალდების ერთდროული ფრენის აღსანიშნავად.

კოსმონავტიკა-საზოგადო სახელის გვერდით ტოპონიმიაში მტკიცედ დამკვიდრდა კოსმონავტთა კერძობითი სახელებიც. ასე, მაგალითად, მოსკოვში არის კოსმონავტიების ნიკოლაევის, კომაროვის სახელობის ქუჩები, ვოლკოვის შესახვევი [4]. გაგარინისა და ტიტოვის სახელობის ქუჩებია ახალციხეში, სამტრედიაში, სოხუმში. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, თბილისში შეიქმნა გაგარინისა და კოსმონავტიების საარჩევნო ოლქები („კომ“. 9.12.75).

გასაგებია, რომ კოსმოსურ ტოპონიმიაში განსაკუთრებით დიდი ადგილი დაიჭირა გაგარინ — სახელმა.

1961 წლის 12 აპრილს მთელ დედამიწას მოედო იური გაგარინის გმირობის ამბავი. მალევე მისი სახელი ეწოდა მრავალ საწარმოს, დაწესებულებას. ორგანიზაციას; დაარსდა გაგარინის სახელობის მედალი, პრემია, დიპლომები, მიწებაც კი.*

კოსმოსის პირველდამპყრობის გვარი პროდუქტიული აღმოჩნდა ახალი ერთეულების წარმოსაქმნელადაც; გაჩნდა: გაგარინული, რაზმი, კითხვები („კომ.“ 15.4.71; 2.10.75); გაგარინელი — (პირველი თაობის) კოსმონავტი („კომ.“ 17.9.76); გაგარინის დროინდელი („კომ.“ 8.7.76) და სხვ.

იური გაგარინის პატივსაცემად გახშირდა ახალშობილთა იური მონათვლა; მაგრამ, რადგან იური ადრეც გავრცელებული სახელი იყო, იური გაგარინის პიროვნების გამოსარჩევად გაგარინ გვარ-ფუძვე გამოიყენეს ადამიანის საკუთარ სახელად; გაზეთი გავრცობინებს, რომ „მაროკოში ახლად დაბადებულ ბავშვს გაგარინი დაარქვენ“ („კომ.“ 12. 4. 73). ამ ფაქტში გამოძახილი პოვა

* იხ. ვაზ. კომუნისტი“ : 3.12.68; 29.5.73; 11.4.76; 29.4.80; 12.8.80; 10.4.81...

გამორჩენილ პირთა გვარების სახელებად ქვევის ცნობილმა ტრადიციამ (გავიხსენოთ: ენგელსი, ვაგნერი, ნობელი, ტელმანი, რუზველტი და სხვ.).

ი. გაგარინის სახელგანთქმულობამ განსაზღვრა გ ა გ ა რ ი ნ ფუძის ადგილი ტოპონიმიში.

გ ა გ ა რ ი ნ ი ჰქვია ი. გაგარინის მშობლიურ ქალაქს - გუატაქს. გ ა გ ა რ ი ნ ი, - ვკითხულობთ ქსე-ში, - 1968 წლამდე გუატაქი, ქალაქი რსფსრ სმოლენსკის ოლქში, მდ. გუატის (ვოლგის აუზი) ნაპირზე. რკინიგზის სადგური მოსკოვ-მინსკის ხაზზე. 17 ათ. მცხ. (1974) ... სახელი ეწოდა მსოფლიოში პირველი კოსმონავტის ი. გაგარინის პატივსაცემად [1].

„ქალაქი - სიმბოლო“ - „ლიტერატურული გაზეთის“ ამ სტატიაში საუბარია ქ. გაგარინის არქიტექტურულ-მხატვრული მშენებლობის შესახებ. იქვე აღნიშნულია, რომ ახლადგაშენებული ბუღვარიც გ ა გ ა რ ი ნ ი ს სახელისაა („Лит. газета“, I.I.80).

გ ა გ ა რ ი ნ ი ს სახელი ეწოდა მრავალ ქუჩას, ხეივანს, მოედანს - უმათერესად მცირე გეოგრაფიულ პუნქტებს. გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზეც გვხვდება ამა თუ იმ ადგილისათვის გ ა გ ა რ ი ნ ი ს სახელის მინიჭების ცნობები:

გ ა გ ა რ ი ნ ი ს მ ყ ი ნ ვ ა რ ი: „გ ა გ ა რ ი ნ ი ს სახელი ეწოდოს უსახელო მყინვარს, რომელიც მდებარეობს 4232 მეტრ სიმაღლეზე... მდინარე სამარყანდის აუზში“ („კომ.“ 16.4.61).

გ ა გ ა რ ი ნ ი ს მ ო ე დ ა ნ ი: „4 ივლისს მოსკოვში, გ ა გ ა რ ი ნ ი ს მოედანზე გაიმართა საზეიმო მიტინგი. ბლანეტის პირველი კოსმონავტის ძეგლის გახსნის გამო“ („კომ.“ 5.7.60).

გ ა გ ა რ ი ნ ი ს ქ უ რ ა: „ობილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ადმასკომმა 29 მარტს მიიღო გადაწყვეტილება, რომ კოლხეთის ქუჩას, რომელიც თბილისის ორჯონიკიძის რაიონში მდებარეობს, ეწოდოს ი უ რ ი გ ა გ ა რ ი ნ ი ს ქუჩა“ („კომ.“,

ჩვენ ამ ვ ა გ ა რ ი ნ ის კერად ვაღანათვლის ერთი ცნობა მოვიყვანეთ გაზეთ „კომუნისტიდან“. ახლა ვ ა გ ა რ ი ნ ის კერა ჩვენი ქვეყნის მრავალ ქალაქშია.

ახალი, კოსმოსური ტომონიმების უმრავლესობა ქუჩების სახელებია. მოსკოვში აღირიცხება პ ლ ა ნ ე ტ ი ს (Планетная), კ ო რ ო ლ ი ო ვ ი ს, ც ა ნ დ ე რ ი ს ა და ც ი ო ლ კ ო ვ ს კ ი ს ქუჩები, აგრეთვე რ ა კ ე ტ ი ს (Ракетный) და ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ უ რ ი (Звездный) ბუღვარები.

ტომონიმების ენობრივი გაფორმება ტომონიმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. როგორ დავასახელოთ, მაგალითად, ქართულად Звездный бульвар? - ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ი ს, ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ უ რ ი თუ ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ თ ა (ბუღვარი)? იქნებ ბუღვარი „ზვიოზდნი“ სჯობია?

ამასთან დაკავშირებით სპეციალურად განვიხილოთ ტომონიმ Звездный городок - ის მასალა.

ა. შჩერბაკოვის ლექსების წიგნში „ბაიკონური, XX საუკუნე“ კოსმონავტებით დასახლებულ უბანი მოხსენიებულია სხვადასხვაგვარად: Подмосковный Звездный городок (გვ. 62), Звездный городок (გვ. 36, 46), Звездоград (გვ. 26) და Звездный (გვ. 42, 54) [5].

ანალოგიური ტომონიმები საკმაოდ იცის ენამ: სტუდქალაქი, მედქალაქი, სამხედრო ქალაქი; Моссовета городок, Мосстройпуть городок და ჩვენთვის საინტერესო Звездный (городок).

ჩვეულებრივ, ტომონიმი არ ითარგმნება. Звездный კი ქართულ საგაზეთო ტექსტებში თითქმის ყოველთვის თარგმნილია. „ახალგაზრდა კომუნისტში“ შეგვხვდა მისი უთარგმნელადვე გადმოტანის ერთი შემთხვევა: „ზვიოზდნიში დაწყებული საუბარი კი ვრძელდება“ („ახ.კომ.“ 5.5.74). „ზვიოზდნის“ აღსანიშნავად ნახმარია: ვარსკვლავთა-ქალაქი, ვარსკვლავთა ქალაქი, ვარსკვლავების ქალაქი.

ჩვენს ვარსკვლავთქალაქში უკვე ბატონობდა გაზაფხული („კომ.“ 12.4.64). შემდეგ კი ასეთივე მუშაობა განხორციელდება ვარსკვლავთქალაქში („კომ.“ 12.4.73). ჩვენ ეიწყებთ ვარსკვლავების ქალაქის დათვალიერებას („კომ.“ 12.4.73). ჩვენ ვტოვებთ ვარსკვლავების ქალაქს („კომ.“ 12.4.73).

რადგან ხსენებულ ქალაქში „ჯერ კიდევ იშვიათი პროფესიის ადამიანები - კოსმონავტები ცხოვრობენ („კომ.“ 12.4.73)“, გასაგებია, რომ მას ეწოდება ვარსკვლაველთა (ე.ი. კოსმონავტთა) ქალაქიც:

ზაფხულში ჩვენთან „ვარსკვლაველთა ქალაქში“ ჩამოვიდნენ პიონერები ლენინის ქალაქიდან („კომ.“ 16.10.64). მთელი ვარსკვლაველთა ქალაქი გამოვიდა ქუჩებში („კომ.“ 23.3.65). ვაღენტინა ტერეშკოვა ვარსკვლაველთა ქალაქში მიიღეს პარტიის წევრად („კომ.“ 8.7.76).

„კომუნისტის“ ნომრებში „ზვიოზდნი“ ვარსკვლავთის ქალაქადაც იხსენიება:

კოსმონავტიკის დღის წინ ეიყავი „ვარსკვლავთის ქალაქში“ („კომ.“ 12.4.70). კვლავ შევხვდი მას „ვარსკვლავთის ქალაქში“. „ვარსკვლავთის ქალაქში“ ყველაფერი საინტერესოა („კომ.“ 12.4.70). „მე წილად მხვდა ბედნიერება, შატალღვს შევხვედროდი ამა წლის იახვარში ვარსკვლავთის ქალაქში“ („კომ.“ 25.4.71).

სახელწოდებანი მონაცვლეობენ ზოგჯერ ერთ სტატიაშიც. წერილში „შეხვედრა ვარსკვლაველთა ქალაქში“ ვკითხულობთ: „ვარსკვლაველთა ქალაქის ნორჩი მოქალაქეები მიხაკების თაიგულებს შიარბმევენ კოსმონავტებს“. შესაბამის ფოტოსურათს კი მიწერილი აქვს: „ვარსკვლავთის ქალაქში შეხვედრის დროს“ („კომ.“ 6.3.77).

მაშასადამე, ერთი და იმავე ობიექტის სახელად იხმარება განსხვავებული ვარიანტები: ვ ა რ ს კ ვ ლ ა გ თ ა ქ ა ლ ა ქ ი, ვ ა რ ს კ ვ ლ ა გ თ ა ქ ა ლ ა ქ ი, ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ე ბ ი ს ქ ა ლ ა ქ ი, აგრეთვე: ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ე ლ თ ა ქ ა ლ ა ქ ი და ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ე თ ი ს ქ ა ლ ა ქ ი. ცხადია, ამათგან რომელიმე ერთი ფორმა უნდა შეირჩეს სათანადო ტოპონიმის (ზვიოზდნის) შესატყვისად. მაგალითად, გამოთქმის კომპონენტთა შებრუნებისას გვექნებოდა: ქალაქი ვ ა რ ს კ ვ ლ ა გ თ ა (ვარსკვლაველთა ან ვარსკვლავითი), როგორც ქალაქი თბილისი და სხვ. მაგრამ ამ ტიპის ტოპონიმებში სწორედ შემოთავაზებული რიგია მყარი: სტუდქალაქი, მედქალაქი, სამხედრო ქალაქი და სხვ.

„ზვიოზდნის“ ქართულ შესატყვისად თითქოს უკეთესი ჩანს ზემოდასახელებული *Звездный* -ის მოდელის ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ე ბ ი ს ქ ა ლ ა ქ ი. ეს სახელი ლაკონიურად არის (ერთსიტყვიანია) და შინაარსობრივადაც უფრო ტევადია, ვიდრე სხვა ვარიანტები.

ჩვენ აქამდე ვმსჯელობდით დედამიწის კოსმოსურ ტოპონიმებზე - გ ე ო ტ ო შ ო ნ ი მ ე ბ ზ ე, ახლა სიტყვა გავაგრძელოთ კოსმოსური ეპოქის მთვარის ადგილის სახელებზე - ს ე ე ე ნ ო ტ ო შ ო ნ ი მ ე ბ ზ ე.

ადამიანი ოდითგანვე გაოცებული შეჰყურებდა ცას. ეს საიდუმლოებით მოცული, მიუწვდომელი სამყარო შიშსაც იწვევდა და ცნობისწადილსაც. ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებული ციური სხეულები ადამიანებმა ნელ-ნელა „აღიშინაურეს“, სახელები დაარქვეს, უმთავრესად მიწიური შთაბეჭდილებების ნიადაგზე. ასე გაჩნდა პირველი კოსმონიმები. კოსმონიმიაში თავისებურად აირეკლა ხალხების ისტორია, მათი წარმოდგენები სამყაროზე ([2] 291).

ხალხურ კოსმონიმიას თანდათან შეუსისხლხორცდა მეცნიერ-ასტრონომების მიერ შექმნილი კოსმონიმია. კოსმოსზე დიდი შეტევის შემდეგ კოსმოსური მეცნიერული ტერმინები შეიჭრა სასაუბრო-ზე-

პირმეტყველებითს ენაში. ხალხურ მელექსეთა სტრიქონებში ჩვეულებ-
ჩივი გახდა: კ ო ს მ ო ს ი, კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი, რ ა კ ე ტ ა,
თ ა ნ ა მ გ ზ ა ვ რ ი და მისთ. ასე რომ კოსმოსის ათვისებამ
საგრძნობლად გააფართოვა პრესის მკითხველთა ასტრონომიული ცოდნა.

ადრიდანვე იმედოვნებდნენ, რომ „კოსმოსური ტრასა „დედამიწა-
მთვარე - დედამიწა“ დროთა განმავლობაში ფრიად გაცხოველებული იქ-
ნებაო“ („კომ.“ 5.2.66), მართლაც, 1970 წლიდან მთვარის ხშირი
სტუმრები არიან ადამიანები და სხვადასხვა დასახელების ავტომატური
აპარატები. „ცივილიზაციის ისტორიაში პირველად მოხდა, რომ დედა-
მიწელებმა „ბიდი“ გადეს ორ ციურ სხეულს - დედამიწასა და მთვარეს
შორის, გაიყვანეს „ბაიკონურ - სიკაშკაშის ზღვის გზა“, - წერს
გაზეთი „კომუნისტი“ (25.8.76).

1959 წელს საბჭოთა ავტომატური აპარატების საშუალებით მთვარის
უკანა - უხილავი მხარის ფოტოგრაფირებამ სელენოგრაფია გაამდიდრა
ახალი მასილებით. გაჩნდა მთვარის ახალი ადგილის სახელები - ახა-
ლი ს ე ლ ე ნ ო ტ ო მ ნ ი მ ე ბ ი. ამიტომაც „კომუნისტში“
აღნიშნულია: მთვარის გლობუსი „საბჭოთა კოსმონავტიკის შრომის ნა-
ყოფიარო“ (27.1.72).

1969 წლის ოქტომბრის „კომუნისტში“ გამოქვეყნებულია სსრ კავ-
შირის მეცნიერებათა აკადემიის მთვარის უკანა მხარის წარმონაქ-
მნათ სახელდების კომისიის ცნობა, სადაც ნათქვამია, რომ კომისიამ
„დამტკიცა მთვარის უკანა, დედამიწიდან უხილავ მხარეზე სარწმუ-
ნოდ დადგენილ წარმონაქმნთა სახელწოდებანი. ახლად დადგენილი წარმო-
ნაქმნების ეს სახელწოდებანი და აღწერილობა ქვეყნდება სტატიაში
„მესამე საბჭოთა კოსმოსური რაკეტა“, მოსკოვი, 1959 წ. 26 ოქტომ-
ბერი“.

მიითთებულ სტატიაში კი აღნიშნულია, რომ მთვარეზე დადგინდა
სახელწოდებანი:

„I. 300 კილომეტრი დიამეტრის დიდი კრატერი-ზღვა-მ ო ს კ ო-

ცის ზღვა; 2. ასტრონავტიების ყურე მასკოის ზღვაში; 3. სამხრეთის ზღვის ვაგრაქლება მდვარის უკანა მხარეზე; 4. კრატერი ციოლიკოვის ცენტრალური გორაკი; 5. კრატერი ლომონოსოვი ცენტრალური გორაკით, 6. კრატერი ელიოკიუჩი; 7. სამბეკთა მთავრეხილი; 8. ოცნების ზღვა (სკმ. 28. 10.59).

27 ოქტომბრის „პრადედიდან“ გადმობეჭდილი მონინის ქარულ ტექსტში ამ ფაქტის გამოკვედავ განხილვია, რომ „ქედენოგრაფია გამდიდრდა ახალი სახელწოდებებით“ და ჩამოთვლილია ეს სახელები, რომლებიც აღნიშნულია თანდართულ მდვარის ფოტოსურათზე (სკმ. 28. 10.59):

ამ ცნობაში ყურადღებას იქცევს სამბეკთა მთავრეხილის მნიშვნელობით მთის ქედის სიგეტსკი-ს ხმარება; რუსული ტოპონიმი Хребет Соболева ქარულ მასა-ლაში ხან ნათარგმნია, ხან- არა.

ცნობები მდვარის ფოტომასალებისა და, მათსადავ, ახალი ტოპონიმების შესახებ გვხვდება შემდგომავ. მაგალითად:

მდვარის „მთები“, „ზღვები“, „ცირობები“, „კრატერები“ ატარებენ ლომონოსოვისა და ჯორჯანობრუნის, ელიოკიუჩისა და ლობარევისკის, შენდელევივისა და ლუნიპასტიჩის სახელებსა „ჩადიოს სამი მამის“ მთის ვეღის, შეტციისა და მობის სახელები ერთად არის მდვარის უხილავი მხარის ამას წინათ შექმნილ რუკებზე“ (სკმ. 5.4.63).

ან კიდევ:

„დაახლოებით 170 ობიექტს, რომლებიც მდვარის მეორე მხარეზე

* მდვარის გლობუსზე (1975 წ.) ელიოკიუჩი, სკელა-დოვისკია სამხრეთ-დასავლეთ კრატერსა ქვედა.

მდებარეობენ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კომისიამ სახელები დაარქვა გამოჩენილი მეცნიერების პატივსაცემად“ („კომ“ 6.11.66).

ტოპონიმაში დიდია ცნობილ პიროვნებათა უკვდავსაყოფად შერქმეულ სახელთა წილი. მთვარის ტოპონიმებადაც ძირითადად გამოჩენილი მეცნიერების სახელები შეურჩევია სათანადო კომისიას; 170 პუნქტისთვის უწოდებით მეცნიერების მოღვაწეთა სახელები, უფრო სწორად - გვარები.

მთვარის ახალი ტოპონიმებიდან შინაარსით უშუალოდ კოსმონავტიკასთან არის დაკავშირებული სახელები:

ა ს ტ რ ო ნ ა ვ ტ ე ბ ი ს ყ უ რ ე - მოსკოვის ზღვაში (ცნობილია, რომ ა ს ტ რ ო ნ ა ვ ტ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი ს სინონიმა).

მ თ ი ს ქ ე დ ი ს ო ვ ე ტ ს კ ი, რომელიც „მარად მთაგონებს კაცობრიობას საბჭოთა ადამიანების გმირობას“ (გაზ. „კომ“ 28.10.59).

ო ც ნ ე ბ ი ს ზ ღ ვ ა - ასე ეწოდება დიდ კრატერულ ზღვას „პირველი საბჭოთა კოსმოსური რაკეტის პატივსაცემად“ („კომ“ 28.10.59).

კოსმოსური ტოპონიმის სავაზეთო მასალები, ცხადია, სრული არ არის. მთვარის გლობუსზე ამოვიკითხეთ კოსმოსური ეპოქის ამსახველი სხვა ტოპონიმებიც. მაგალითად, მთვარის ხილულ მხარეზე ერთ-ერთ ადგილს ცისარტყელის უბის მეზობლად გაგარინის სახელი ი უ რ ი ჰქვია, ქარიშხლების ოკეანეში აღნიშნულია მ თ ვ ა რ ე ზ ე დ ა შ ვ ე ბ ი ს ყ უ რ ე Залив Прилуныния, წვიმების ზღვაში კი - მ თ ვ ა რ ი ს თ ა ნ ა მ გ ზ ა ე რ ი ს ყ უ რ ე

Залив Лунника • უხილავ მხარეზე გვაქვს პუნქტი ГДЛ გღღ (გაზღვრის მიკროსკოპული ლაბორატორია)*.

მოსკოვის ზღვის მიდამოებში ჯანლა-
* აქ იქმნება ზემოლავრი ძრავები - რაკეტის მატარებლები თანამგზავრისა და პილოტირებული ხომალდებისათვის („ალაზნა განთ.“ 12.4.80).

გებულის კოსმონავტიკის: ტ ი ტ მ ვ ი ს, ტ ე რ ე შ კ ო ვ ა ს, ნ ი კ ო ლ ა ე ვ ი ს, ფ ე ო კ ტ ი ს ტ ო ვ ი ს, შ ა ტ ა ლ ო ვ ი ს, ბ ე ლ ი ა ე ვ ი ს, ლ ე ო ნ ო ვ ი ს, კ ო მ ა რ ო ვ ი ს სახელობის კრატერები. ც ი ო ლ კ ო ვ ს კ ი ს დიდი კრატერის ახლოს კოსმოსის დაღუპულ გმირთა უცვდავსაყოფი კრატერებია: გ ა გ ა რ ი ნ ი ს დიდი კრატერი, აგრეთვე დ ო მ რ ო ვ ო ლ ს კ ი ს, ც ო ლ კ ო ვ ი ს ა და ბ ა ც ა ე ვ ი ს კრატერები. ცალკე ჯგუფს ქმნის კოსმონავტიკის მოღვაწეების - კ ო რ ო ლ ი ო ვ ი ს, ც ა ნ დ ე რ ი ს, კ ი ბ ა ლ რ ი რ ი ს სახელობის კრატერები.

გლობუსზე ა ბ ო ლ ო ნ ი ს დიდ კრატერთან თავმოყრილია ამერიკელ ასტრონავტთა ზ ო რ შ ა ნ ი ს, გ რ ი ს ო შ ი ს, ლ ო ვ ე ლ ი ს, უ ა ი ტ ი ს სახელობის კრატერები.

როგორც ჩანს, მთვარის ობიექტების სახელდებისას თემატური პრინციპი გამოიყენეს - ერთი ღარგის მოღვაწეთა სახელები უმთავრესად მეზობელ ადგილებს დაარქვეს.

საგაზეთო მასალებში უხვადაა წარმოდგენილი მთვარის ხილულ მხარეზე ცნობილ ადგილთა სახელებიც. ეს სახელები ძირითადად სამ ჯგუფს ქმნის; ესენია: 1. ცნობილ ადამიანთა გვარ-სახელები (კ ლ ა ბ რ ო ტ ი, ს ო ს ი უ რ ი, ვ ა შ ა კ ი ძ ე...); 2. ცნობილ გეოგრაფიულ ადგილთა სახელები (უ რ ა ლ ი, კ ა ვ კ ა ს ი ო ნ ი, ა ლ ბ ე ბ ი...); 3. მიწიური შთაბეჭდილებებით შექმნილი მეტაფორული სახელები: ნ ა ყ ო ფ ი ე რ ე ბ ი ს (ს ი უ ხ ვ ი ს) ზღვა Море Плодородия (Изобилия); ტ ა ლ ლ ე ბ ი ს ზ ლ ე ა Море Волн; სიმშვიდის ზღვა Море Спокойствия, ქ ა რ ი შ ხ ა ლ ა ო კეანე Океан Бурь; ს ი ზ მ რ ე ბ ი ს ტ ბ ა Озеро Сновидений; ც ი ს ა რ ტ ყ ე ლ ა ს უ ბ ე Залив Радуги. ამ რიგისაა ახალი ტომონიმი ო. ც ნ ე ბ ი ს ზ ლ ე ა ც Море Мечты.

ცნობილი ანთროპონიმების ან ტომონიმების მთვარის ადგილების სახელებად გამოყენება ფაქტობრივ ერთი საგნის სახელის მეორე საგ-

ნის სახელად ქცევაა. ენობრივი თვალსაზრისით უფრო საყურადღებოა სწორედ მესამე ჯგუფის მეტაფორული სახელები.

დავიმოწმით მთვარის ტოპონიმთა საგაზეთო ტექსტებში ხმარების მაგალითები:

„ლუნა-7“-მა მიაღწია მთვარის ზედაპირს ქ ა რ ი შ ხ ა ლ თ ა ოკეანის რაიონში კ ე პ ლ ე რ ი ს კრატერის დასავლეთით („კომ.“ 9.10.65).

„ლუნოხოდ-1“ თვითმავალი აპარატი იმყოფება წ ვ ი მ ე ბ ი ს ზღვის რაიონში ც ი ს ა რ ტ ყ ე ლ ა ს უბის სამხრეთით („კომ.“ 29.11.70). თვითმავალი აპარატი მიდიოდა ჩრდილოეთისკენ, პ ე რ ა - კ ლ ი ტ ე ს კონცხის მიმართულებით („კომ.“ 11.2.71) [„ლუნა-2“-ის] დაჯდომის რაიონი არჩეული იყო ს ი უ ხ ვ ი ს ზღვასა და კ რ ი - ზ ი ს ე ბ ი ს ზღვას შორის მდებარე მთაგორიან მასივში („კომ.“ 25.2.72). ეს მოხდა ყურეზე გადაფრენისას, რომელიც ს ი კ ა შ კ ა - შ ი ს ზღვასა და ს ი ზ მ რ ე ბ ი ს ტბას შუა გადის. სამხრეთით დარჩა მთვარის ა ლ ბ ე ბ ი და კ ა ვ კ ა ს ი ა („კომ.“ 18.1.73).

ეპოქალური მნიშვნელობის საზოგადოებრივი მოვლენები ყოველთვის ფართო ასახვას პოულობს ენაში. კოსმოსურმა ეპოქამაც შექმნა ახალი ლექსიკური ფენა კოსმოსური სიტყვარის სახით, სადაც ცალკე გამოიყოფა ადგილის სახელთა ახალი ნომენკლატურა, ე.წ. კ ო ს მ ო ს უ რ ი ტოპონიმია. მისი სრულად გამოვლენა-შესწავლა ტოპონიმიკური მეცნიერების აქტუალური საკითხია, მიუხედავად იმისა, რომ იგი უკავშირდება გეოგრაფიული ბუნქტების სახელდების პრაქტიკას, რაც მხოლოდ მეცნიერულ საფუძველს უნდა ემყარებოდეს ([3] 7).

ი. გოგებაშვილის სახელობის
თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი

Л.К.ШАЛВАШВИЛИ

Топонимы, связанные с освоением космоса

Р е з ю м е

Новообразования, связанные с ускоренным освоением космоса, выделились в современных культурных языках в особый лексический слой. Осутимо обогатилась и топонимия.

В статье анализируются новые - космические - топонимы по материалам газеты "Коммунисти" /1957-80 гг./; дается обзор как географических имен - геотопонимов / Р а к е т - н ы й Б о у л ь в а р, П и к К о с м о н а в т о в, г. Г а г а р и н .../ , так и селенографических имен - селенотопонимов / Х р е б е т С о в е т с к и й, З а д н и в П р и л у н е н и я, М о р е М е ч т ы .../.

ლიტერატურა

1. ქსე - ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, II, თბ., 1977.
2. В.А. Н и к о н о в, Материалы по космонимия Средней Азии. Ономастика Средней Азии, Фрунзе, 1980.
3. В.А. Н и к о н о в, Научное значение микротопонимии. Микротопонимия, Москва, 1967.
4. Список абонентов Московской городской сети, I, Москва, 1971.
5. А.А. Щ е р б а к о в, Байконур, XX век, стихи, Москва, 1981.

პაატა ცხადაია

კოლხერ ზოონიმთა მოტივაციის საკითხისათვის

ზოონიმური* მასალის ფიქსაციასა და, მით უმეტეს, პუბლიკაციას სპორადული ხასიათი აქვს როგორც რუსეთში, ისე სხვა მოკავშირე რესპუბლიკებშიც. თეორიული, განმაზოგადებელი ხასიათის ნაშრომი არ მოგვეპოვება. ა. ვ. სუპერანსკაიას წიგნში „საკუთარი სახელის ზოგადი თეორია“ ზოონიმს დამოძილი აქვს მხოლოდ ორიოდე გვერდი ([2] 178-180). სპეციალურ ონომასტიკურ თუ ზოგადენათმეცნიერულ კრებულებში გამოქვეყნებული სტატიები მეტწილად რეგიონალურ მასალას ან ცხოველთა ერთი რომელიმე სახეობის (უშირატესად ძაღლის, ცხენის, ძროხის) საკუთარ სახელებს ეძღვნება. ზოგ შემთხვევაში გასაანალიზებელი მასალა ძალზე მცირეა. ამასთანავე, არაა იშვიათი ისეთი შემთხვევაც, როცა ნომინაციის (სახელების) პროცესისა და სიტყვაწარმოებითი საშუალებების ანალიზის ნაცვლად მოცემულია აბელატივთა თუ ეპონიმთა სემანტიკური დაჯგუფება.

ნებისმიერი საკუთარი სახელი შეიძლება ვიკვლიოთ სხვადასხვა ასპექტით (ლინგვისტური, კონოლოგიური, სოციალური, სტილისტიკურ-ესთეტიკური, ლოკურ-ფსიქოლოგიური...), ცნობილია ონომასტიკური მასალის კლასიფიკაციის ცხრა შესაძლებელი ტიპი ([2] 159). ერთ-ერთი მათგანია კლასიფიკაცია მოტივიების მიხედვით. საერთოდ, სა-

* ყოველგვარი საკუთარი სახელი აღინიშნება ტერმინით **ო ნ მ ა** (ონიმა). მისი ერთ-ერთი სახეა **ზ ო ო ნ ი მ ი** - შინაური ან გარეული ცხოველ-ფრინველის საკუთარი სახელი. **ზ ო ო ნ ი მ ი ა** ზოონიმთა ერობლიობას ეუბნება, ხოლო **ზ ო ო ნ ი მ ი კ ა** - ონომასტიკის დარგს, რომელიც ზოონიმებს შეისწავლის. ეს სპეციალური, დარგობრივი ტერმინები უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე აქტიურად გამოიყენება ონომასტოლოგთა ნაშრომებში, მაგრამ ლექსიკონებსა და ცნობარებში მათ მაინც ვერ იპოვიოთ. გამონაკლისს წარმოადგენს 1978 წელს გამოცემული „რუსული ონომასტიკური ტერმინოლოგიის ლექსიკონი“ ([1] 58-59).

კუთარ სახელდა მკაცრი მოტივირებულობის თეორია სადავეს ბერძენი ფილოსოფოსებიდან იღებს.

ონომასტიკური ნომინაცია გამოწვეულია ადამიანთა კოლექტივის საჭიროებით - განასხვავოს ერთმანეთისაგან ერთგვარი ობიექტები. სახელდებაში ერთდროულად მონაწილეობს ორი ფაქტორი - ფ ს ი კ ი - კ უ რ - ლ ო გ ი კ უ რ ი (ექსტრალინგვისტური) და ლ ე . კ ს ი კ უ რ - ს ი ტ ვ ც ა წ ა რ მ ო ე ბ ი თ ი (ლინგვისტური); ინდივიდის ცნობიერებაში წარმოიქმნება გარკვეული ასოციაცია, რომელიც რეალიზდება (გამოხატვას პოულობს) ენობრივი საშუალებებით. აქედან გამომდინარე, საკუთარი სახელის კვლევისას წამოიჭრება ორი კითხვა: რატომ? როგორ? საკუთარი სახელის ფუძის (აბელატივისა თუ ეპონიმის) მიკვლევა აუცილებელია, მაგრამ არაა საკმარისი რომელიმე ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად.

წარმოშობით ყველა საკუთარი სახელი მოტივირებულია. ეს იმას ნიშნავს, რომ აღმნიშვნელი (ონომა) თავისი შინაარსით შეესაბამებოდა, შეეფერებოდა აღსანიშნს (დენოტატს, ანუ სახელსადებ ობიექტს). ნონა („ღვთისთვის შეწირული“) ეგვიპტური, ნანა („პაწაწინა“) ბერძნული, პავლე („მცირე, პატარა“) ლათინური, მურადი („ასუსრველი“) არაბული წარმომავლობის ანდროპონიმებია და თავის დროზე ამ ენებზე მოლაპარაკეთათვის მოტივირებულნი იყვნენ. ჩვენთვის კი ეს სახლები დაცლილია ლექსიკური შინაარსისაგან, ტრადიციულია, შეტანილია სარტკომენდაციო სივრცეში და გამოიყენება როგორც მხოლოდ საკუთარი სახელი.

ნონა, ნანა, პავლე, მურადი... აბსტრაქტულად აღებული, უმოტივაციოა. მაგრამ როგორც კონკრეტული პირის, ინდივიდის საკუთარი სახელები, ისინი მოტივირებულნი არიან. ოღონდ ამჯერად მოტივაციას განსაზღვრავს არა დენოტატის შინაარსი, არამედ, როგორც ამას ზ. ჭუმბურიძე აღნიშნავს, ფორმა (სიმოკლე, სისხარტე, კეთილხმოვანება), მოდა, პოპულარობა, ემოციური იერი, წინაპართა უცვდა-

ვებისა თუ მიგობრისადმი პატრივისციემის სურვილი და ა.შ. ([3] 23-33). მაშასადამე, ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის ტრადიციული საკუთარი სახელებიც მოტივირებულნი არიან, ე.ი. ამოჩეულნი არიან ინდივიდისათვის არა ბრმად, არამედ გარკვეული მოტივით, პირობითად.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოტივაცია ორგვარია: ე-ა-ლ-უ-რ-ი (ანუ პირველადი) და ბ-ი-რ-ო-ბ-ი-თ-ი (ანუ მეორადი). უ-მ-ო-ტ-ი-ვ-ა-ც-ი-ო, ე.ი. რაიმე მიზეზის გარეშე დარქმეული ს-ა-კ-უ-თ-ა-რ-ი-ს-ა-ხ-ე-ლ-ი-ა-რ-მ-ო-ი-ბ-ო-ვ-ე-ბ-ა-ე-ა-ნ-ი-კონოვი აღნიშნავს: „არ არსებობს საკუთარი სახელი მოტივაციის გარეშე“ ([4] 95). ა.გ. სუპერანსკაია წერს: „არც ერთი სახელი არ წარმოიქმნება ისე, უბრალოდ“ ([2] 326). მიუხედავად ასეთი დამაჯერებელი და დასაბუთებული დებულების არსებობისა, ზოგი მკვლევარი მაინც თვლის, რომ ანთროპონიმთა თუ ზოონიმთა ერთი ნაწილი უმოტივაციოა.*

საერთოდ, ანთროპონიმები, როგორც წესი, პირობითადაა მოტივირებული; ზოონიმთა უმეტესი წილი რეალური მოტივაციის მქონეა, ხოლო ტოპონიმთა მოტივაცია ან რეალურია, ან პირობითია (ე.წ. მემორატივები), ან იმპლიციტურია (გაბუნდოვნებულია).

კოლხები უხსოვარი დროიდან მისდევდნენ მიწათმოქმედებასაც და მეცხოველეობასაც. რასაკვირველია, შინაურ ცხოველთათვის საკუთარი

*შესადარებლად მოგვეყავს მოტივირების მიხედვით ზოონიმთა კლასიფიკაციის ორი ნიმუში: 1) ლ. ვ. ბაიროვა გამოყოფს 4 ჯგუფს: 1) ზოონიმები, რომლებიც მიუთითებენ ცხოველთა ნიშან-თვისებაზე: რიკუხა, ჩერნულია... 2) ზოონიმები, რომელთა მოტივაციას უშუალო კავშირი არა აქვს ობიექტთან: უდანკა, ნეუდანკა... 3) ადვილადწარმოსათქმეული და კეთილშოვანი ამელატივები: რაკეტა, სირენა... 4) გაურკვეველი მოტივაციის მქონე ზოონიმები: კატია, ვალია... ([5] 144-145); ე.ი. მოკიენკომ და ო.ი. ფონიაკოვამ კი მოტივირების სამი ტიპი გამოაყენეს: 1) პირველადი მოტივაცია (ზოონიმები, რომლებიც უპირატესად გამოიყენება როგორც მხოლოდ ზოონიმები: ბელკა, მალიუხა, ბელოგოლოვკა...), 2) მეორადი მოტივაცია (ამელატივები, რომლებიც გარკვეულ შემთხვევაში იტყვიან ზოონიმებად: კრასოტკა, მალიუტკა...) და 3) გაურკვეველი მოტივაცია (ზოონიმებად გამოყენებული ანთროპონიმები, ტოპონიმები და კოსმონიმები: მაშკა, ვოლგა, მარსი...) ([6] 318-321).

სახელების დარქმევის ტრადიციამაც უძველეს დროშივე მოიკიდა ფეხი და დღევანდლამდე მოაღწა: ყოფილი მეჯოგე, 78 წლის ბ.ი.კეკელია (გიგეჭკორის რ., ს. ვახა) აღნიშნავს: თითოეულ ძროხას, თხას ჰქონდა თავისი სახელი. დედა ძროხები ხბორებისაგან განცალკევებით გვყავდა დამწყვდეული. როცა წველის უამი დადგებოდა, სახელს დავიძახებდით. ძროხაც წამოვიდოდა და მისი ხბოც. 75 წელს მიღწეული დიასახლისი მ.ტ. ნაჭყებია (გიგეჭკორის რ., ს. ტალერი) განმარტავს: ჩვენი ძველები უსახელოდ არ ზრდიდნენ სატონელს. მე ქათამსაც კი ვარქმევ სახელს.

უიჭვილია, კოლხური ზოონიშია ბევრ ისეთ ფაქტს შეიცავს, რაც საინტერესო იქნება ქართველურ ენათა მკვლევართათვის. მაგრამ იგი შეკრებილი და, მით უმეტეს, შესწავლილი არაა.* ჩვენი დაკვირვება ემყარება 1979-81 წლების ტოპონიმიკური ექსპედიციების პერიოდში ჩვენ მიერვე მთიან სამეგრელოში (ძირითადად, გიგეჭკორის რაიონში) მოპოვებულ მასალას. ვიწერდით მხოლოდ პირადი, ინდივიდუალური მეურნეობის ცხოველ-ფრინველის სახელებს (კომიურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უმეტესად სარგებლობენ. სპეციალურად შემუშავებული და რაიონებში დაგზავნილი სარეკომენდაციო სიებიდან ნუმერაციით).

რომელი სახეობის ცხოველ-ფრინველს ვერქმევა სახელი და რა ასაკში? რა ფუნქცია აკისრია ამ სახელს?

„საკუთარი სახელის ზოგადი თეორიის“ ავტორი ა.ვ. სუპერანსკაია აღნიშნავს, რომ მასობრივად ვაერცელებულ ცხოველებს - ცხვარს, ღორს და შინაურ ფრინველს, ჩვეულებრივ, არ მოეპოვება საკუთარი სახელი ([2] 179). ზოონიმიოს შესწავლამ შემდეგი ფაქტები წარმოაჩინა: ავაზრულ (ხუნძურ) ენაში კატას (რომელიც, ჩვეულებრივ, თითო ჰყავთ ოჯახში) და ცხვარს (რომელიც ბევრია ფარაში) არ ერქმევა საკუთარი სახელი ([8] 163); აზერბაიჯანელები კი საკუთარ სახელს არქმევენ ცხვარსაც, კატასაც და ქათამსაც ([9] 161); ყაზახებს, რომლებიც ადრე

*ცნობილი ონომატოლოგის ვ.ა. ნიკონოვის შენიშვნა „ლიტვის არა-ფერი მოკვეპოვება კანკასიის ზოონიშიაზრე“ ([7] 184) ქართველურ ზოონიასაც შეეხება.

მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ, კატა არ უყვარდა და არც სახელს არქმევენ ([I0]304); უდურტეში ფიქსირებულია, ცხენის, ხარის, ძროხის, ღორის, თხის, ცხვრის, ძაღლის, კატის, ქათმისა და იხვის საკუთარი სახელები ([II]306).

მიიან სამეგრელოში საკუთარი სახელი ერქმევა ძროხას, ხარს, კამეჩს, ცხენს, თხას, ძაღლს, იშვიათად - ცხვარს, ღორს, ქათამს. ბევრი რამაა დამოკიდებული ტრადიციაზე. ზოგ ოჯახში მხოლოდ მოსახმობი შორისდებულებით კმაყოფილებიან (მით უმეტეს, თუ ოჯახში ამო ძროხა, ხარი, ცხენი... ჰყავთ), ხოლო გამოსარჩევად (თუ ეს საჭიროა) აღწერის ხერხს მიმართავენ.

ზოონიმი ორგვარია: გამოსარჩევი და მოსახმობი. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ გამოსარჩევი ზოონიმი ტიპურია საზოგადოებრივი მეურნეობისათვის, ხოლო მოსახმობი - ინდივიდუალურისათვის. კულხურ ზოონიმაა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა ორივე ამ ფუნქციას ითავსებს. მოსახმობი შორისდებულები გამოიყენება ან როგორც დამატებითი საშუალება, ან, როგორც ზემოთ აღნიშნული გვაქვს, იმ შემთხვევაში, როცა ცხოველს საკუთარი სახელი არ მოეპოვება.

თვითონ ცხოველს სახელი არ სჭირდება, მაგრამ ადამიანი საჭიროებს, გამოარჩიოს და მოუხმოს თავის ძროხას, ხარს, ცხენს... ზოონიმური ნომინაციის მიზეზიც და მიზანიც სწორედ ესაა. საბაბად კი იტყვება დენოტატის რაიმე (ჩვეულებრივ, ძეღვისსაცემი) ნიშან-თვისება, ან მასთან დაკავშირებული რაიმე შემთხვევა (ოკაზია) და სხვ. ცხოველს სახელი ძირითადად მოზარდობის პერიოდში ერქმევა. უფრო ადრე დარქმეული სახელი შეიძლება დროთა განმავლობაში „მეუფერებელი“ აღმოჩნდეს და საჭირო გახდეს გადარქმევა. ინფორმატორმა მ.ე. წულაიამ (62 წლისა, ს.სკურდი, გეგეჭკორის რ.) გვიამბო: ჩემი ძროხა ბატარაობისას გამხდარი და ცუდი შესახედაობისა იყო. ამიტომაც ძაღლია ცუფოდეო. როცა გაიზარდა, გასუქდა და, რადგანაც წითელი ფერისა იყო, შეინდა დავარქვიო.

ყველა კოლხური ზოონიმი მოტივირებულ
ლია. (თუმცა კი სახელმწიფოს ეს ყოველთვის არა აქვს გაენობიე-
რებული). მოტივაცია უმრავლეს შემთხვევაში რეალურია. რეალურ მო-
ტივაციაში, როგორც ზემოთ უკვე მინიშნებული გვაქვს, ვგულისხმობთ
ისეთ შემთხვევებს, როცა ზოონიმი არსებობს არა როგორც მხოლოდ სა-
კუთარი სახელი, არამედ, ამასთანავე, როგორც დენოტატის რაიმე
ნიშან-თვისებაზე მინიშნება,* ან როგორც სახელმწიფოს მიმართების
გამოხატვა, ან კიდევ როგორც დენოტატთან დაკავშირებული რაიმე კონ-
კრეტული სიტუაციის აღნიშვნა.

როგორც ცნობილია (და ესეც გვაქვს ზემოთ აღნიშნული), მოტივირე-
ბის დასადგენად არაა საკმარისი აპელატივის შიკვლევა და მისი
ლექსიკური შინაარსის დადგენა. საჭიროა აგრეთვე გამოვლენება იმ
კონკრეტული შემთხვევისა და მისგან გამომდინარე ასოციაციისა, რო-
მელმაც ბიძგი მისცა ზოონიმის წარმოქმნას. არაა იშვიათი ისეთი
შემთხვევაც, როცა სენხია ზოონიმებიც კი მოტივირების თვალსაზრი-
სით სხვადასხვანაირი წარმომავლობისაა. მოვიყვანო ერთ მაგალითს:
ძვევე არის შემოკლებული ფორმა სიტყვისა ძვევერია (ძვიგვალე-ობი-
გვინანს), რაც ნიშნავს: „ჩია ტანისა, უშო შესახედავი, თმარე-
ჩილი“. მართლაც, ერთგან ძვევე დაურქმევიათ თმარეურძვენილი და
ჩია, გამხდარი ქამისათვის? იგივე სახელი ხარისთვისაც უწოდები-
ათ, მაგრამ სულ სხვა მიზეზით: ურჩ, მარქენალ ცხოველს პატრონმა
უწოდა მეზობელ სოფელში მცხოვრები ცეტი. ა ჩხუბისთავა კაცის სა-
კუთარი სახელი? პირველ შემთხვევაში საკუთარი სახელი მოტივირებუ-
ლია აპელატივის ლექსიკური მნიშვნელობით (მინიშნებულია დენოტატის

* „მოტივაცია საგნის მხოლოდ თვალშისაცემი თვისებაა (სიტყვის -
საგნის სახელის - წარმოქმნისას) და არა უფოლ კონსტრუქციური, არ-
სებითი ნიშან-თვისება“ ([12] 121). იხ. აგრეთვე ([2] 244).

* „აბატიდაბიჯგუა ქოთოშირე, ბურღა უძიგვანს“ (ინფორმატორი
დანელია ბ.კ., 82 წლისა, ს. ლეზანიდრაო, გეგეშკორის რ.).

* „ძვევე კორის ჯოხოდ სარხინოშე, გვარს ვაბთქუა. შიშტი კორი
რე, ჩქარი, შკუა ვიკითხირედ, ჩხუპი უჩქედ, ვამიყორდ. თის ქვეგუ-
რე ათე ხოყი, უსვენარი რე“ (ინფორმატორი ჯანჯღავა ა.ნ., 62 წ. ს.
ვაჭედლი, გეგეშკორის რ.).

გარეგნულ ნიშან-თვისებაზე). მეორე შემთხვევაში კი სახელდების მოტივია სხვა ობიექტთან მიმსგავსება ქცევა-მოქმედების მიხედვით (მეტაფორიზაცია). ასე გამოიყვანება ინდივიდუალური, განსხვავებული ფსიქიკურ-ლოგიკური მიდგომა სინამდვილის მოვლენისადმი.

წარმოშობით თითოეული სიტყვა მოტივირებულია, მაგრამ თანამედროვე ვითარებას თუ გავითვალისწინებთ, ენის ლექსიკური ფონდი სამ ჯგუფად დაიყოფა: ა) თ ვ ა ლ ს ა ჩ ი ნ ო მოტივაციის მქონე სიტყვები, ბ) გ ა ბ უ ნ დ ო ვ ა ნ ე ბ უ ლ ი მოტივაციის მქონე სიტყვები, რომელთა ეტიმოლოგიზაციისათვის საჭიროა ერთგვარი ისტორიული ექსკურსი და გ) უ მ ო ტ ი ვ ა ც ი ო სიტყვები (ჩვეულებრივ, მარტენი), რომელთა წარმომავლობა-მოტივაციის დასადგენად საჭიროა ს ა გ ა ნ გ ე ბ ო ეტიმოლოგიური ძიება ([12] 106).

ყოველი ახალი ლექსიკური ერთეული შეიძლება მოტივირებული იყოს წარმოებით („გრამატიკულად“) ან სიტყვის ადრინდელი ლექსიკური მნიშვნელობით („სემანტიკულად“). გრამატიკულად მოტივირებულნი არიან შედგენილი და წარმოქმნილი სიტყვები. მაგ.: ა ს ს ა მ-ის მნიშვნელობა მოტივირებულია, ე.ი. დამოკიდებულია ას და სამ ფუძეთა მნიშვნელობაზე და ამ ფუძეთა სახელდობრ ამგვარ თანმიმდევრობაზე; ასევე მოტივირებულია: ა მ ხ ა ნ ა გ უ რ ი, უ ა მ ხ ა ნ ა გ ო, ს ა ა მ ხ ა ნ ა გ ო, ა მ ხ ა ნ ა გ ო ბ ა, რადგანაც ენობრივი კოლექტივის წევრებმა იციან, რომ ამ სიტყვების მნიშვნელობა დაკავშირებულია მათთვის ცნობილი ა მ ხ ა ნ ა გ ფუძესთან ([12] 118, 103). სემანტიკურადაა მოტივირებული, მაგალითად, ანაბარ სიტყვის ახლანდელი მნიშვნელობა - „შემნახველ სალაროში შეტანილი ფული“ (კრედიტისა და ანგარიშსწორების ტერმინი); რაც, მეორეულია და მომდინარეობს ამავე სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობიდან - „შესანახად მიბარებული რამ“. ასევე, სალარო სიტყვის ძველი მნიშვნელობა - „ღარის (განძეულის ა ბრეშეშეულის) შესანახი ადგილი“ - წარმოადგენს მოტივს ამ სიტყვის ახალი, საყოველთაოდ ცნობილი მნიშვნელობი-

სათვის ([12] 118).

საკუთარი სახელები წარმოქმნილნი არიან საზოგადო სახელებისა-
გან, მაგრამ ისინი ენის ლექსიკის განსხვავებულ სემანტიკურ რკა-
ლებს ქმნიან. საკუთარი სახელი მთელი რიგი თავისებურებით ხასი-
ათდება. ერთ-ერთი მათგანი ისაა, რომ საკუთარი სახელი არის შე-
დეგი ინდივიდუალიზაციისა, კონკრეტიზაციისა და ამიტომაც მნიშვნე-
ლობით ყოველთვის უფრო ვიწროა, ვინემ საზოგადო სახელი.

ზოონიმიც, ისე როგორც ყოველგვარი საკუთარი სახელი, შეიძლება
მოტივირებული იყოს რეალურად ან პირობითად. მხოლოდ რეალური მო-
ტივაციის გზით წარმოქმნილი ზოონიმი ჩაითვლება ახალ ლექსიკურ ერ-
თეულად, რადგანაც ამ შემთხვევაში ხდება არა მზა საკუთარი სახელის
არჩევა - მიკუთვნება (როგორც ეს დამახასიათებელია პირობითი მო-
ტივაციისათვის), არამედ ახლის, სპეციფიკურის შექმნა. ასეთი სა-
ხელი არა მარტო საკუთარი სახელია, არამედ, ამავე დროს, დენოტა-
ტის დახასიათებაც (რადიმე თვალშისაცემი ნიშან-თვისების ან ოკაზის
მიხედვით).

რეალური მოტივაცია, თავის მხრივ, ორგვარია: ს ე მ ა ნ ტ ი კ უ-
რ ი და გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი.

გრამატიკული მოტივირებისას საკუთარი სახელის სემანტიკური რა-
ობა დასადაგენია თითოეული კონკრეტული შემთხვევისათვის. მაგალითად,
პუხა „კუზიანი“ და პირჩე „პირთეთრი“ პრაქტიკულად შესაძლებელია
ერქვას ცხენსაც, ძროხასაც, ხარსაც, კამერსაც, მნასაც, ცხვარსაც...
სემანტიკურად მოტივირებისას კი საკუთარი სახელის სემანტიკური
რაობა ადვილად ამოსაცნობია - ზოონიმი თვითონვე მიგვანიშნებს, ჯე
რომელი სახეობის ცხოველის სახელია იგი. მაგალითად, ა ფ ა ნ ი ა
მხოლოდ შუბლთეთრი ძროხის საკუთარი სახელი შეიძლება იყოს, ს ა ჯ ა-
რ ი ა კი მხოლოდ შუბლთეთრი ცხენისა. მაშასადამე, გრამატიკულად
(წარმოებით) მოტივირებული ზოონიმის (პუხა, პირჩე...) ლექსიკური
შესაძლებლობა მრავალფეროვანია, შეუზღუდველია, ხოლო სემანტიკურად

მოტივირებულისა - მკაფიოდ შემოფარგლული, გარკვეული.

სემანტიკური მოტივაცია

ენაში (დიალექტში) მოიპოვება სპეციალური სიტყვები - ზოოტერ-
მინები, რომლებიც შეიცავენ ცხოველთა დახასიათებას ჯიშის, ფერის,
წირის (ზნე-ჩვეულების), სიარულის მანერის, ასაკის, სქესის, დანი-
შნულების მიხედვით. თითოეული ამგვარი ტერმინი უკვე გამოარჩევს
აღსანიშნს და ამიტომაც ადვილად იტყევა მისსავე საკუთარ სახელად.
ონომიზაციის პროცესში აპელატივის მნიშვნელობა ვიწროვდება (მხოლოდ
ერთი საგნის აღმნიშვნელი ხდება), რასაც შეიძლება ეწოდოს სემან-
ტიკური რედუქცია. ა ფ ა ნ ი ა, ს ა ლ ა რ ი ა ტიპის ზოონიმები
მოტივირებულია სემანტიკურად, აპელატივისავე ლექსიკური მნიშვნე-
ლობით, მოგვყავს მდიან სამეგრელოში ფიქსირებული სემანტიკურად მო-
ტივირებულ ზოონიმთა რამდენიმე ნიმუში:

- აღია (ცხენი) - აღია წითელი ფერის ცხენის ზოგადი სახელია
- არაბია (ცხენი) - არაბია შავფერა ჯიშისანი ცხენის ზოგადი სახელია
- ჯოტია (ხარი) - ჯოტია პირთეთრა და დიდსახა ხარის ზოგადი სახელია
- შანგუე (ხარი) - შანგუ შავი ფერის ხარის ზოგადი სახელია
- კიტა (ქათამი) - კიტა ქათმის ერთგვარი ჯიშია
- ფუჯა (ძროხა) - ფუჯი „ფერი“
- კერა (ღორი) - კერი „კერატი“
- ჯაკიაა (ძროხა) - ჯაკელა II ჯაკიაა „დიკული“

გრამატიკული მოტივაცია

მართალია, ლბიექტის ინდივიდუალიზაციის საჭიროება მიზეზია საკუ-
თარი სახელის წარმოქმნისა, მაგრამ საჭიროა აგრეთვე გარკვეული
ფსიქიკური ასოციაცია, რომელმაც ინდივიდს ბიძგი უნდა მისცეს ამ
ასოციაციის შესაბამისი ლექსიკურ-სემანტიკური ერთეულის შერჩევისა-
ფის. ასეთი ასოციაცია შესაძლებელია აღძრას აღსანიშნის გარეგნო-
ბამ (აღწერა ან სხვა საგანთან მიმსგავსება), სახელმდებლის ექსპრე-
სიულმა მიმართებამ (მოსურვებამ) აღსანიშნისადმი ან მასთან დაკავ-

შირებულმა რაიმე შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, გრამატიკულად მოტივირებულ ზოონიშთა ოთხი ჯგუფი გამოიყოფა: ა ღ წ ე რ ი თ ნ ი, მ ე ტ ა ფ ო რ უ ლ ნ ი, მ ' ი მ ა რ თ ე ბ ი თ ნ ი და ო კ ა ზ ი - უ რ ნ ი. მათი წარმოქმნის გრამატიკული საშუალებაა კომპოზიცია ან დერივაცია.

ა) აღწერითნი

სახელდების მოტივად დენოტატის გარეგნულ ნიშან-თვისებათა თუ ნი-რის, სიარულის მანერის და სხვა სახის თავისებურების გამოყენება ფართოდაა გავრცელებული მთიან სამეგრელოში:

ჩელა (ძროხა, ხარი, ცხენი, თხა) - ჩე „ძეთრი“.

ურანა (ძროხა, კამეჩი, ცხენი, თხა) - ურა „შავი“

ცარქა (ძროხა) - „ცაღრქიანი“ .

კულა (ხარი, კამეჩი) - „ხუკლო“, „ხუდმოკლე“.

ღვაშქირუა (თხა) - „ლოყანაყრისფერი“.

ქატკუბა (თხა, ცხვარი) - „რქებშეტყუბებული“.

ფრიმულამი (ქათამი) - „წვერებიანი“.

კვიზა (ცხენი) ← კვიზალი „ამაყი, გულმოსული“.

კვაზა (თხა) ← კვაზალი „რონინი, კობტა სიარული“.

ფაცურა (ცხენი) ← ფაცური „აწრადი და ფიცხი სიარული“.

ფაცქი (ლორი) ← ფაცქალი „ჩელი და ჩუმი სიარული“.

კვაკვალა (ძაღვი) ← კვაკვალი „წკაპწკაპი, წვრილი ხმით გაბმული ყვირა“.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, აღწერით ზოონიშთა ერთი ნაწილი სინექდოხური წარმომავლობისაა (ნაწილის აღმნიშვნელ სიტყვას დაკისრებული აქვს მთელი საგნის აღმნიშვნის ფუნქცია).

ბ) მეტაფორულნი

სხვა ობიექტთან გარეგნული თუ შინაგანი ნიშან-თვისებების მიხედ-ვით მიმსგავსების (მეტაფორიზაციის) შედეგად ზოონიშებად აღმოჩნ-დნენ ცხოველების, მცენარეთა და მეტალის აღმნიშვნელი საზოგადო სა-

ხელები, აგრეთვე ანთროპონიმები:

ირემა (ძროხა, ხარი, თხა) - ირემივით რქებგაშლილი და მაღალი იყვნენ.

ზესქვია (თხა) - შაშვისფერი იყო.

ერცქემია (თხა) - არჩვისფერი იყო.

ვირიკა (ძროხა) - ჯიუტი და უხეში იყო.

მუნჩქვია (ღორი) - მაჩვივით თხრიდა და ჩირქნიდა მიწას.

ზაფანა (ძროხა) - წითელი იყო (ზაფანა „პილილი“).

ოქრო (ძროხა) - ღამაში იყო და კარგადაც იწველიდა.

ცხოვრება (კამეჩი) - კარგი მეწველი იყო.

კოჩა (ღორი) - კაცივით მშვიდი და ჭკვიანი იყო.

ანუსია (ქათამი) - ანუსია თურმე ერთ ჩია და უღაზათო ქალს ერქვა. ქათამიც მას მიამსგავსეს.

ვ) მიმართებიანი

ზოონიმთა ერთი ნაწილის მოტივაციას უშუალო კავშირი არა აქვს ადსანიშნთან. სახელმდებელი გამოსხატავს თავის ექსპრესიულ-ემოციურ დამოკიდებულებას, გამოთქვამს სასიკეთო სურვილს ცხოველისა და თავისი თავის მიმართ. ამას შეიძლება დეზიდერაცია ვეწოდოთ (ლათ. დე-ზიდერატა „ქასურველი“). არაა გამორიცხული, რომ აქ გვექონდეს გადმონაშთი იმ ვითარებისა, როცა ადამიანი სახელს მაგურ დანიშნულებას ანიჭებდა (ე.წ. სახელთა მისტიფიკაცია). ზოონიმთა წარმოქმნის ეს მოტივი ნაკლებპროდუქტიულია კოლხეთში:

ოშია (ძროხა) - რათა გამრავლდეს, ასად იქცეს (ოში „ასა“).

ასია (ძროხა) - რათა ასად იქცეს.

იმრავლია (ძროხა) - რათა გამრავლდეს.

ჭოფია (ძალი) - რათა ნადირი დაიჭიროს (ჭოფი „დაიჭირე“).

აჩი (ძალი) - „ეკბინე“.

ქუგინი (ძალი) - „გაუგე“, „გაგძენი“.

დ) ოკაზიურნი

ოკაზიურია ზოონიმი, რომლის წარმოქმნის მოტივია ცხოველთან და-
კავშირებული რაიმე კონკრეტული შემთხვევა, დაბადების დრო ან ადგილი,
ჯანიშნულება და სხვ. მოგვყავს რამდენიმე ნიმუში:

სორდია (თხა) - „საჯ იყავი?“ (დაიკარგა და იპოვეს).

ვალურია (თხა) - „არ მოკვდი“ (ავად იყო და გადარჩა).

ვადინა (კამეჩი) - „არ დაიკარგო“ (ზაქობისას დაიკარგა და იპოვეს).

ობოლა (ძროხა) - ობლად გაიზარდა.

კვირია (ძროხა) - კვირას დაიბადა.

ტყაშმაფა (ძროხა) - ტყეში დაიბადა.

ოლიმპიადა (ძაღლი) - „ოლიმპიადა - 80“-ის გახსნის დღეს დაიბადა.

ქისა (ღორი) - შობას უნდა დაეკლათ.

თუ კონკრეტულად არ გვეცოდინება სახელდების მიზეზი, შეიძლება
ზოგი ოკაზიური ზოონიმი (მაგ., ვადინა, ვალურია...) მიმართებოდეს სა-
კუთარ სახელად ჩავთვალოთ.

პირობითი მოტივაცია

ევროპის მრავალ ენაში შენეშავეებული აქვთ სტაბილიზებული, ძნა-
მზარეული ზოონიმები (ვანსაკუთრებით ცხენებისა და ძაღლებისათვის),
რომელთაგანაც სახელმძღვებელი ამოარჩევს ერთ-ერთს რაიმე ნიშნის მი-
ხედვით (ემოციური იერი, კეთილხმოვანება, სისხარტე, მოდა, პოპულა-
რობა). ასეთი ტ რ ა დ ი ც ი უ ლ ი ზ ო ო ნ ი მ ე ბ . ი კ ო ლ ხ უ რ ს
არ მოეპოვება, მაგრამ ტრადიციულად ახლოს დგას ზოგი კინონიმი
(ძაღლის საკუთარი სახელი): მურია, გიმერა, ბორია, ქაოია, თლია,
თუნთია... ეს სახელები, რა თქმა უნდა, წარმოშობით პოლივირებულნი
არიან და ეს მოტივაცია ჯერ კიდევ არაა სრულებით გამქრალი: მ უ -
რ ი ა მურა (მუქი შავი ფერის) ძაღლს ერქმევა (შდრ. ბურა - „შავ-
წითელი ძაღლი“, საბა), ხოლო გ ი შ ე რ ა - ძაღზე შავი ფერისას.
ბორია („ქარი“), ქარია, თლია და თუნთია წარმოშობით მიმართებით
ან პეტაფორული სახელებია. მაგრამ ეს მოტივაცია ენობრივი კოლექტი-

ვის ერთი ნაწილისათვის გამჟღავნება და კითხვაზე, თუ რატომ დაარ-
ქვეს მაინცდამაინც ეს სახელი, ასეთი პასუხები ისმის: „მომწონს
და დეარქვი“, „მეზობლის ძაღლს ერქვა“, „სადღაც ვაპიგონია“,
„ისე დეარქვი“, „წამომცდა“ („ქემოშიოლ“), „ჭკუაში დაშიჯდა“
(„ხეჯიშა შომირთ“). მსგავსი ვითარება შეიძლება აღმოჩნდეს ცხოველ-
თა სხვა სახეობის სახელებთან დაკავშირებითაც.

ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ კოლხურში ზოგ ზოონიმს გაუჩნ-
და ტენდენცია, იყოს მხოლოდ საკუთარი სახელი, რაც სხვა ენების გა-
ვლენას უნდა მიეწეროს.

სხვა ენების გავლენა თვალსაჩინოა: ს. კიწიაში (გეგეჭკორის რ.)
მეორეკლასელმა პ. ხ-მ შეინწავლა პროგრამით გათვალისწინებული მოთ-
ხრობა - ი. ევდოშვილის „ჭკვიანი ბასარა“ და იმ პერიოდში დაბადე-
ბულ ლექსაც ბ ა ს ა რ ა უწოდა. კოლხურზე ა. ბ.-მ (ს. ლეხაინ-
დრაო, გეგეჭკორის რ.) გაზეთ „კომუნისტში“ წაიკითხა წერილი რეკორდ-
სმენ ძროხაზე, რომელსაც გ უ ლ კ ა ნ ა ერქვა და ეს სახელი თავის
ხბოს უწოდა. კინოს, ტელევიზიის, ლიტერატურისა თუ ზეპირი გზით გა-
ვრცელდა ჰიპონიმები: ბუიანი, დობრა... კინონიმები: მუხტარი, ჯულ-
ბარსი, ბელკა, კაშტანა, ლაიკა, მალიში, შარკიზი, პოპსიკი, ყული-
კი, ტრეზორი, შარკი, ჩორნა, ლესი და მრ. სხვ.

სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდაა ცნობილი ტ რ ა ნ ს ო ნ ო -
მ ა ტ ი ზ ა ც ი ი ს მოვლენა. ცხოველთა საკუთარ სახელებად
ხშირია ანთროპონიმები, ტოპონიმები, კოსმონიმები. მათ ტრანსონო-
მატიზირებულ ზოონიმებს უწოდებენ. კოლხურში ფიქსირებულია ზოონი-
მებად ანთროპონიმების გამოყენების ანუ ანთროპომორფიზაციის შემ-
თხვევები, რაც აგრეთვე სხვა ენების (პირველ რიგში, რუსულის)
გავლენას უნდა მიეწეროს. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან კოლხეთში
სპორადულად ჩნდება რუსულენოვანი ოჯახები. მათი რიცხვი თანდათან
მატებლობს XX საუკუნეში. არაა იშვიათი შერეული ქორწინებანიც. სა-
ფიქრებელია, რომ თავდაპირველად სწორედ რუსებისაგან გადმოიღეს

კოლხებმა ანთროპომორფიზაციის წესი. საბჭოთა პერიოდში, განსაკუთრებით, უკანასკნელ ათწლეულებში, საზოგადოებრივმა მეურნეობებმა დაიწყეს მსხვილფეხა რქიანი საქონლის შესყიდვა სხვა რესპუბლიკებში, უპირატესად, რუსეთსა და უკრაინაში. იქიდან ჩამოყვანილ საქონელს სახელიც იქაური ჩამოჰყვა. ამ სახელების ერთი ნაწილი ტრადიციული (პირობითად მოტივირებული) იყო, ხოლო მეორე ნაწილი იმეორებდა ანთროპონიმებს. ამ გზით კოლხების ინდივიდუალურ მეურნეობაშიც გაჩნდა ანთროპოზოონიმები: მარინა, როზა, მანია, თამარა, ზოია (ფიქსირებულია ძროხის სახელებად); კოლია, კოზმა, მიშა (ფიქსირებულია ხარისა და ცხენის სახელებად) და სხვ. ამისდაგვარად, ძველისძველი კოლხური ანთროპონიმების გამოყენებაც სცადაც შინაურ ცხოველთათვის. პირობებამდ ფიქსირებულია: გელა, გოგი, მერაბი, ჩაგუ* და სხვ. ლორის სახელადაც კი დადასტურდა რამდენიმე ანთროპონიმი, მაგრამ მისი და ცხერის სახელად არა. ეს არცაა გასაკვირი, რადგანაც სათანადო პრეცედენტი არ ყოფილა: თხა და ცხვარი არ შემოჰყავდათ და არც ჩამოსახლებულ რუსებს ჰყავდათ. და, საერთოდ, რუსეთში ისეთ მასობრივად გავრცელებულ ცხოველებს, როგორცაა თხა და ცხვარი, სახელს არც არქმევდნ.

პირობითი მოტივაციის მქონე ზოონიმთა შესაბამე ჯგუფს ქვნიან მ ე ტ ო ნ ი მ ი რ ე ბ უ ლ ი სახელები: მშობლის ან გამყიდველის საზოგადო თუ საკეთარი სახელი მექანიკურად გადააქვთ დენოტატზე:

* კოლხეთში არაა იშვიათი სეხნია ზოონიმი და ანთროპონიმი, ოღონდ აქ საქმე არა გვაქვს ტრანსნომბატიზაციასთან. კ უ კ უ რ ი და კ უ ჯ ე ჯ ი ტრადიციული და, მაშასადამე, პირობითი მოტივაციის მქონე ანთროპონიმებია. მათი რეალური მოტივაცია გაბუნდოვნებულია. ამ სახელებს ზოონიმიანი შეხვედებით და მაშინ ისინი რეალურად არაა ანთროპონიმები. კუკური ერქმევა ცხენს, თუ ის კოხტა და ტანმომცროსა. კუჯუჭვიც ტანმომცროს ცხენს ერქმევა, ოღონდ იგი, ამასთან ერთად, შავფეხიანი და პატარათანი უნდა იყოს. მაშასადამე, მოვიტყვოთ: გასაღები კუკურისა და კუჯუჭვის - როგორც ანთროპონიმების - თავდაპირველი ლექსიკური შინაარსის დასადგენად. ყოველივე ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქართველური ზოონიმიის შესწავლამ შესაძლოა შექმნოს რიგი ქართველურივე ანთროპონიმის წარმომადგობასაც.

ქუზუ (ხარი) - ერქვა დედა ძროხას.

ჭუკია (ძროხა) - ერქვა დედა ძროხას.

შონია (თხა) - გამყიდველის გვარია.

ჩაჩანი (ცხენი) - იყიდეს ბოშასაგან (ჩაჩანი „ბოშა“)...

მაშასადამე, არსებობს ზოონიმთა რ ე ა ლ უ რ ი (დენოტატი-სათვის „შესაფერისი“ სახელის შექმნა) და პ ი რ ო ბ ი თ ი (მზა სახელის შერჩევა ან გადატანა) მოტივაცია. რეალური მოტივაცია, თავის მხრივ, ორგვარი სახისაა: ს ე მ ა ნ ტ ი კ უ რ ი - ზოტერ-მინების ონიმიზაცია და გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი - აპელატივთა ზო- ონიმიზაცია დერივაციისა და სიტყვათშეერთების გზით.

კოლხურ ზოონიმთა უმეტესი წილი გრამატიკულადაა მოტივირებული (აღწერიანი, მეტაფორული, მიმართებიანი და ოკაზიურნი). ბუნებ- რივთა კოლხურისათვის ზოონიმთა სემანტიკური მოტივაციაც, ხოლო პი- რობითი მოტივაცია არაა ტრადიციული და გზას იკაფავს სხვა ენათა გავლენით.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, მოტივირება ექ- სტრალინგვისტური ფაქტია, ისტორიულ-სოციალური ხასიათისაა და სა- ჭიროთა სახელის წარმოშობის ისტორიის შესასწავლად, მაგრამ მისი გათვალისწინება აუცილებელია ონომასტიკური ნომინაციის ლინგვისტური ასპექტის კვლევისათვისაც.

აბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ახალი ქართული ენის კათედრასთან
არსებული ტოპონიმიკის ლაბორატორია

П. А. ЦХАДАИА

К вопросу о мотивировке колхских зоонимов

Р е з ю м е

Теория строгой мотивированности собственных имен восхо- дит к греческой философии. Бесспорно, что "нет немотивирован- ных имен" (В.А.Никонов) и "ни одно имя не возникает просто

так" (А.В.Суперанская). По мнению автора, зоонимы имеют либо р е а л ь н у ю (кличка создается. Она "соответствует" денотату), либо у с л о в н у ю (кличка выбирается из уже ставшей традиционной номенклатуры или трансономатизируется) мотивировку.

Основная часть колхских зоонимов, засвидетельствованных в индивидуальных хозяйствах, мотивированы реально - с е м а н т и ч е с к и (зоонимизация зоотерминов, характеризующих животных по масти, окраске, породе, возрасту, полу...), или г р а м м а т и ч е с к и (зоонимизация апеллятивов путем аффиксации и словосочетания. Подгруппы: описательные, метафорические, относительные, окказиональные). А у с л о в н а я мотивировка не традиционна и распространяется под влиянием других (в первую очередь, русского) языков.

ლიტერატურა

1. Н. В. П о д о л ь с к а я, Словарь русской ономастической терминологии, М., 1978.
2. А. В. С у п е р а н с к а я, Общая теория имени собственного, М., 1973.
3. ზ. ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე, რა პეტიო შუბ ? აბ., 1971.
4. В. А. Н и к о н о в, Имя и общество, М., 1974.
5. Л. В. Б а и р о в а, Клички домашних животных в бурятском языке. Вопросы ономастики, № 10, Свердловск, 1975
6. В. И. М о к л и е н к о, О. И. Ф о н я к о в а, Способы называния в зоонимии. Ономастика Поволжья, 4, Саранск, 1976.
7. В. А. Н и к о н о в, Пробелы и ошибки. Ономастика Кавказа, Орджоникидзе, 1980.
8. К. Ш. М и к а й л о в, Заметки по аварской зоонимии. Ономастика Кавказа, Орджоникидзе, 1980.
9. И. В. Г а д ж и е в, Зоонимы в азербайджанском языке. Ономастика Кавказа, Орджоникидзе, 1980.
10. К. Н. Б у р а х а н о в, Казахская зоонимия. Ономастика Поволжья, 2, Горький, 1971.
11. Г. А. А р х и п о в, В. И. И в а н о в, Зоонимы в Удмуртии. Ономастика Поволжья, 2, 1971.
12. ბ. ფ ა რ ხ ე ლ ა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, აბ., 1971.

პაატა ცხადია

კოლხური ზოონიმიის მასალები*

ძროხის სახელები

- არაბია „ჟრია ოკო რდას“.
- ასია „ოშო გემრაველასიან თიშგურშენი“.
- აფანი(2) „პირჩე რე“; „წაბი აფე ჩე“.
- აფანია(7) „წაბი ართო ჩე აფე“; „აფანია ულუღე“.
- აღვირე „ჩალა რდ, აოლი უყიყანდ დო თიშგურშენი ჯოხოდ.მეტრი სახეუი ვასქვანდ, აღვირე რდ“.
- ბადური
- ბაია „მშვიდი საქონელს გიოდვანა“
- ბანძა იყიდეს ს. ბანძაში. გამოსარჩევად იტყოდნენ „ბანძაში ჩხოუ“. შერე დაერქვა „ბანძა“.
- ბარდღა(9) „მონკას მეურც, გიბარდღანს“; „პერდღეია თომა გიბბუ“; „დიდი ქორამი, ცუჯი გიააფირი დო ძვეძვე-რია თომამი“; „ბარდღალა ჩხოუ რდ, ცუჯეფი აფუდ ბერდღელია, ფართო-ფართო ცუჯეფი გილაბარდღედენი ფერი“; „ჰე ბეწვი ულუღუნ თიშენი ჯოხოდ“.
- ბატია „ქორამი ჩხოუს გიმიოღვანდეს“
- ბარუნა „თვინიერი რე, დობანჩვალერი. დოხუნეი საქონელს საერთოთ ბარუნას უწინა“.
- ბაჯა „დიდი რე, მიობაჯვანს“.
- ბონჯლო „იპიდინ ბონჯლო ჯოხოდ“.

*ჩაწერილია გეგეჭკორის რაიონში 1979-80 წლებში. ზოონიმს მოს-
წევს ინფორმატორისეული განმარტება. ფრჩხილებში მოქცეული ციფრი
პიოთიღებს, თუ რამდენჯერაა ჩაწერილი ეს ზოონიმი დასახელებულ
რეგიონში.

ბორომია

ბორო

„ეკვარჩხი ცარენ ფერიშა გიდვინე“.

ბოროლა (4)

„ნანდული თვინიერი რე, ბერვერია“; „შიობაჩევანს, მძიმას შეურც“; „საპლოროფო საქონეი რდ“.

ბოჭკა

„ბოჭკა აფუ რტა“.

ბუგა

„ღენჩიჯგუა საქონელი რდ“.

ბუცია

„დაბაი კურჩის გერე ღო სქეიე“.

ბურდა

„ნეენი რე“.

ბურღა

ბუსკა

„ჯგერი ოკო რდას, შეხოტეპული“.

ბუსქა

„ჯგირი რე, შესქვილი“.

ბუძგა

„სუსტი რდენ თიშენი გივოდვი გინობას“.

გაღია

„რუსეთში იყიდეს. იქ ერქვა .

გებე

„ოჯახის მიღენა ჩხოლუ სახელ. ჯგერი, დამჯერე ჩხოლუ გივოდვანა“

გემრანია

„ბრელქ ქიქია“

გვიმარა

„გვიმარაშ ფერიე“

გვირა (2)

„ჯგერი ჩხოლუ რე, სქეამი, ოგვირინანს“.

გოდო

„ქვარა გომბარლი უღუ“.

გორდა

„ოჭიში აფუ დინოგორდა“.

გორა

გოჯორა

„გვეჯერია სახე უღუღუ“.

გუგა

გულკანა

გაზეთ „კომუნისტში“ წაიკითხა სტატია რეკორდსმენ ძროხაზე, რომელსაც „გულკანა“ ერქვა.

დაგაია

დეღა

„რუსეთს უჯობოდეს ცხაკაიას ღო მახლო გივოდვი“

დორო

„ქვარა გოდორე რდ“

დულა

„ქა ვაულდ, შერო ვერთემ“

დუღუ	„აუენტა ქა უღუ“
დურუ (3)	„ქა ვეგერანდ“; „ეგრხოლო ქა გეტახილი აფუ“; „ჭიჭე ქაამს დო ვარა უქაეს გედვანა“
დურუბა	„ხორცამი ჩხოუ რე, ლონიერი“
დურუბია (3)	„ქა ვაუღუღუ შურო“
დურჩე	„წაბის ჭიჭე ჩე უღუღ“
დუსია	„შხვას ხოლო უჯოხო საქინელიშა“.
ერცქემია (4)	„ფოციე ერცქემცაჲო“; „ფიცხე რე დო გილასხაპუნს“.
ვადინა (2)	„ოთამ ვადინასია“; „მეუდინ დო ქოძირ - ვადინა ქი- გიოღუ, თეში ხოლო გიოღვანა ვადინას, ვადინასია - დო“.
ვასკა (5)	„ჭითა ჩხოუ რე“; „გვალო ჭითა, ვაუღუდას რკო მუ- თენი ნიშანი“.
ვასქა (6)	„მონჭირელი ჭითა რე“; „რუმე ჭითა რე“; „ჭითა რე“.
ვადურია	„ვადურასიან მიშენი“.
ვირა	„ვირიშფერი რე“.
ვირიკა	„ვირცალო იქციებუ, უხეში რე“.
ზარია	„ადრე მიოღვარანს ოჭმარეს“.
ზაფანა	„ჭითა რე“.
ზაქრო	
ზებრა	„ზებრას მოგენს“.
ზოია	„ხშირას გემ ჩხოუს ფერმას დო კერძოთ ხოლო ქიგუ- ოღვიმ“.
ზორია	„ზორს მიოგანდეს ბანძას, აბაშაშ წისქვილს, ოდროს, ოქუალი ვარდენ მიწკემა, ხალხის უჩქედ დო მიდე- დანდ სიმინც. აღიონს მიოგანდეს დო თე ჩხოუქე მი დროს დებად“.
ზორკა (2)	„ჩქიმი ოსური რუსი რე დო მიში გინადველი რე“.
თამარა	

თამაზა

თოლურია

თოლრი

„თოლიშ მუკემუკე გორჩია უღუ“.

იმრავლია

რათა გამრავლდეს .

ირემა (9)

„ირემიჯგვარი რე, ღუდმაღალი. ამაყი საქონელს გოდ-
ვანა ირემას“; „დიდი ქაამიე, მაღალი კურხეფს გერე“;
„ჯგერი ჩხოუ რე დო ჯგერი ქა უღუ, მაღალი“; „ტანმაღალი
დო ქამაღალი“; „ჩირიე ჩხოუ ცუნდ დო ირემო მიოქვდ“.

ირემე (2)

„ქა უღუდ გოფაჩილი“.

ირემია (6)

„ქა ირემცალო უღუ, ცქვეტერია“.

ირმიშა

„ირემიშ ფერს გინიშქვანდ, ცუნტერია ჩხოუ რდ, რე-
ცვერე, ირიცვინანდ“.

კაბო (5)

„კაბო ჩხოუ რე, რჭვიე“; „რჭვიეშა გემიძღუ“; „ჩე
დო უჩა ოკო რდას, ვარა ჩე დო ვითა“.

კაბულა

კალმანხა

„ჭითა ტერტი უღუ, კალმანხცალო დოტერტი რე“.

კარკაცე

რქებუგადაგრეხილი იყო და იმიტომ დაერქვა.

კატია

„რუსეფიშე გინიბლი, ცხაკაიას უჯოხოლეს“.

კაურა

„ჭიჭვი ჩხოუ რე“.

კალე

„ეშინო მიოჯინალს ჯოხო, ჭკოლა რე დო მოღჯაკილი.
ფარჯალი მორიებული საქონელი არძო კალუჯგურა რე“.

კეკურა

„ჯგვალო ჭიჭვი რე, კეკურია, ართი ბურცხა“.

კვაზა (3)

„სქევამი რე დო ტანმორჩილი“; „სქევამიე, ვითა, კვეზე-
რია“; „სქევამი შეხედულეზა უღუ“.

კვანწი

„სქევამი რდ დო თე სახელქ მომიოლ“.

კვარია

„ჟირარე, კვარიაჯგუა“.

კვატურა

კვიზრა

„ქიჭვი რე, კვეზერია, სალუქი ტანიში“.

კვიცივა

„ჭიჭვი ტანიშის გიომიოდვანა“.

კვირანია	.კვირას დაიბადა.
კიკორა	.ჭიჭე ჩხოუს გეძ“.
კინტუმა	.ეშმაკი რდენ თიშენი გივოდვი, ნამეტანი ცელიქი რდ“.
კიობა	.წერტიცაი უღუ ცვას ჩე“.
კილუ	.ანჩხლი რდ, კვარჩხი,საქონელს თხოზედ“.
კიჭია	
კოკა	.მორჩილ ჩხოუს ჯოხო“.
კოკი	.კოკია, კოკიავა უღაჟაფუდი გინობას დო ქიგოლ-სქედუ სახელო“.
კოკია (5)	.ჟინს ჯოხო კოკია დო გიოსქედ. მა არძა ჩხოუმა კოკია მიჯოხოდ“; .ჭიჭე რდ დო საცოროფოთ გივოდვი“; .მეტი მოსახუნჯე სახეიე“.
კოკნა	.დეუდი დო კისერი გინძე უღუდ დო კოკნას მეუგურე“.
კოკუცა	.ჭიჭე რენ თიშენი“.
კოკუშია	.საცოროფოთ გივოდვი“
კორო	.რჭეი რე, კორობა“.
კორობა (2)	.ტიხორი რე, ათასი ფერიშ“.
კოტა	
კოტია	.ჭითა ჩხოუ, ჭე სქვამი, კოტორია“.
კოტო	.ჭიჭე ჩხოუ რე“.
კოტობა	.კოტორია ჩხოუ რდ, მოკლე დო რგვალი“.
კოტორი	.კოტორია ჩხოუ რდ, ჭიჭე დო სქვამი“.
კოტრი	
კოჭო	.ტანმორჩილი ჩხოუ რდ, სქვამი, კოხტა. კოჭო ვე-თქუე დიდი დო გვანილი ჩხოუმა“.
კოხტა	
კუდა (2)	.ქიმკიბორკ დო კუდედექ მეხორცქი“

- ლამაზა (17) „სქვამიე“; „ჩქენი ოჯახის ტრადიციულ გემიძე-
ნა ლამაზა“.
- ლამაზია (4)
- ლამაზო (5) „სქვამი რდენ თიშენი გევოღვი“.
- ლამია „დიდაშა ლამაზა მიჯახოდეს დო სქუას ლამია გი-
ვოღვით“.
- ლამფა „ახეთხ ჩხოუ რე, დაროი“.
- ლევარსა
- ლომა (2) „ფგერი მუღირ ჩხოუს ჯოხო“.
- მაი
- მაია
- მანანა (2)
- მანია (5)
- მარინა ქ. წულუკიძეში ეყიდათ და ეს სახელი რქმეოდა.
- მარო ვერ ხსნის, თუ რატომ დაარქვა.
- მარტა ერთვა, როცა იყიდეს. გამყიდველს, რუს დიასახ-
ლისს, თავის მხრივ, ეყიდა მეგრელი ქალისაგან,
რომელსაც მარტა რქმეოდა და ამიტომ ძროხისთვის
მარტა უწოდებია.
- მეენე „ურა ფერიშის გიოღვანა“.
- მეინე (3) „არძანერშა გიღვინე“; „ქვიშორი, ვარდი ჭიდა რე,
ვარდი ჭებურიშფერი“.
- მეიში „ჭებურიშფერი რე უმოსო“.
- მერი (3) „ფგერი ჩხოუ, თოლიშა მოიოლენ ფერი, ჭიდა თკო
რდას“.
- მერია (2) „დიდას ჯოხოლ“.
- მერიში (II) „ფგერი მაჭვალარი ჩხოუ რდ“; „ჭე ურია რდ“; „ბო-
რო ჩხოუს გიოღვანა, რეგვენს“; „ტანო დიდიე“;
„ჯიშიერი, მოუჩე საჭონელი“; „თკო რდას მორჩე-

ჯგუა“, „ჯგური მარჩქილარი დო მაჭვალარი“;
„მოტიგორე, ნაცრისფერი“; „ურა კაბოს გიოდ-
ვანა. ურა რე, მარა დუც რე ულუ ფართას, სა-
ლარი ცხენცალო. რე ვაულუდასჯნ ხოლო გიდევი-
ნე“.

მერიშია

მერო

მერზე

მერცხალო

მზითია

მთავარია

მიკოური

მირდიკო

მიშა

მოტობია

მოჭოჭია

მუნჩუნია

მუნჩქეცია

მურეცხია (2)

ნაბია

ნინიჩკა

ნიშე

ნიშო

ნუკრი

ობოლა

ოროხუა

„ცქვიტი ჩხოუს გედვანა“

რძლის დედ-მამამ არქუა სიძის ოჯახს.

„ხასილას რე მიკოური, ჭიჭე ურა ადგილი,
მურიცხიჯგურა“.

„დაბადებაზე გივოდვი, შხვადო გამიგონებუ“

„ჭიჭე ტანიში რდ“.

„საცოროფოთ გივოდვი, წყნარი, ჩუმი საქო-
ნელი რე“.

„ცქვიტი ჩხოუე, ცოცხალი“.

„მშვიდი რდ, ბაღანას ხოლო აჭვალედ“.

გამყიდველის სახელია. ამის ხბოსაც ნინიჩკა
დაარქვეს.

„წაბის აღვენუ კიოპი“.

„ნიშანი ულუდ წაბის“.

„სქვამი დო ჭიჭე ტანიში რდ დაბადებაზე“

„დიდაქ დულურ“

ოქრო	„ორფელზე ჯგერი რე დო სქვამი“.
ოზია (3)	„ოთამ იმრავლასია, ბრელქ ქიყუასია, ოში გინირთასია“; „ოში შერქ ოკო გიშელასია“; „ეღერი ქემიგ დო ოში გინორთიედამაქ“.
ორანა	
პაშა	
პეპელა (2)	„სქვამი რდ დო ცქრიალა“; „პეპელის ფორმის თეთრი ნიშანი ჰქონდა შუბლზე“.
პეპო	პეპოსავით სულელი იყო (პეპო ქალს ერქვა).
პირჩანე	
პირჩე (8)	„აფანია რდ“.
პირჩენია	„წაბი ულედ ჩე“.
პირჭა	„ორიუინუნად თლედეს“.
პოტორო	„ჭიკენობას გილეპოტორჯდ, გილაბანდანდ, ცოცხალი ვარდ. კორიშენით თქუნა, პოტორო რენია“.
პუსკა	„პისკვინანდ დებადენ“.
პუსკუ	„სქვამი რე, გოპისქვინაფილი, მოხილ თიში მერჩქილა“.
პუხა	
რიტა	„მიყორდენ თიშენი გივოდვი, ჯგირი სახელი რე“.
როზა	
რწკიმა	„ქა ულუ წოხლე უღირი“.
სკვერია (2)	„ცქვიტი რე, კვირცხი რე“; „სკვერიჯგუა რე“.
სკურია	
სკუპა	„ჭიჭე რე, თოი უსკვიპანს, მარჭიხოიშა ქუგე თოი, მა გივოდვი“.
სქვამა (7)	„გვალო ხანტილი რე, სქვამი“; „მუში ფენას ვეგინჯირუნ ფერი ჩხოუ გიშქურც დო კოხტა რე“.
სქვამია	

- სქვევრია „სქვევრიშ ფერიე, გვალ ჭითა ვარე“.
- ტაბირია „ჟა აფუ გოფარჩილი“.
- ტაფილო
- ტეხურა ჭრელი იყო და იმიტომაც დაურქმევიათ
- ტიგარო „ფერით ტიგარო რე, ნარვეი ფერი რე, მუქი ფერი, მორ-
ჩე ზოლეფს იყუნუანს ამარ-ემერი. ვართი რე ირაგადე,
ვართი ჭითა, ვართი ურა, ვართი ჯორა“.
- ტიგო(2) „შხვადღოშხვა ფერი რე არეული, დონცხ ფერი რე, რინთი-
ცალო, დონცხ ტიგორე. ზუგდიდიშე ზერდაგის თქუანა თე.
ფერიშ ცხენშე“; „შერეული ფერიში რე, უმოსო ჭუბურიშ-
ფერი“.
- ტიგორე
- ტიგორია „ზებრაცალო რე“.
- ტიგორო
- ტიხარე „შხვადღოშხვა ფერიში რე“.
- ტოთა „ტიხარე რე ჭე ჭუბურიშფერი“.
- ტორტი „სქევამი რდ ღო გვანილი“.
- ტუტურუცი „ჟვარჩხი რე, გინს ვეწინუანს“.
- ტორია „ჭიჭე ტანიშ ჩხოუშა მიჯოხო“.
- ტყაიმაფა „ტყას დებად“.
- ურა(2) „ფიცხე რე, კოც ვემკინჭანს ახრებულო“; „ოჭვალარო
უხუჯური რდ“.
- ურანა
- ურარდია „ურა რენ თიშენი ჯოხო“.
- ფანია(2) „ღამყოლი ჩხოუ რე“; „თანდაბაი საქონელს უძახჯე“.
- ფართუ
- ფაქიზო(4) „ჟურჩხი აფუ ბეწვამი, გიეფართხ“.
- ფარა(2) გადმოიღო ფილმიდან „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“
„ჭიჭე მოფერო რდ, ვართი გვალ ჭითა ღო ვართი გვალ
ურა“; „ქეშომიოლ ღო მიჯოხო ჭითაშა“.

- ფარია (II) .ფარიააბ რე, წყნარი, ჩქარი ვარე. ღაბანი ოკო რდას
 ღო სქეი“; „წყნარი რე“; „მშვიდი საჭონელი რე“;
 „ღაბანი რე, ნაცრისფერი“; „ღახუნეი ჩხოლე, ქორამი“;
 „მეტე მშვიდი ღო ბონილა ოკო რდას“.
- ფაშა .გვილაფაშანდ, დიდი ჩხოლე რდ“.
- ფაცია
- ფაჭა (7) .ქაწკაშა ვეი თამა აფე მორული, ფაჭაჭიციადი, ქადო-
 ქაშქას“; „ფაჭაჭი უღე“; „ღაბანი ღო ბეძღეტი რდ,
 ნიალა“; „შხეაღოში მათე გუნაგონებუ“; „ჭრელი
 ჩხოლეს უძახხე“.
- ფერაღია .აბრეაშფერი რდ“.
- ფერდა .ეპარაი რე, ვეი ეაფერდა, გიასუმიანი უღე ფერდა“.
- ფერო .აბრეული ფერიში რე“.
- ფიორა .აუჯო უფირინანს“.
- ფიორია
- ფირუნა .აუჯი უფირანს, ფარაჰ ცუჯიფი უღე“.
- ფულურო .აჭივეი რე, ფულუციადი“.
- ფუხული .„მშვიდი რე“.
- ფუჯა (9)
- ფუჯანი
- ფუჯია (14) .აფუჯი გინი აცეენწინა“; „უმოსო ვითას ვიოღვანა“;
 „არაის ქი გუოღვიო ღო თიში გამინარყის არძას ფუჯი-
 ას უძახხე“.
- ფუჯი (5)
- ქაგია .აგარაი გვილა ვითა ღო ვარა გვილა ჩე რე“.
- ქარაფე .აგადი ქა აყიი მოტახილი, ვარა ეჯრინოლო“.
- ქარაფე .არქაფე, შერიშია რე, შხეას ვაცადენს, ირფელი
 მეს ოკო. შერიშია ღო ურძაფელა რე“.
- ქაჯანა .აქაჯიციადი ფიცხე რე, თალი ურქანს“.
- ქვარა (2) .აჭივეი, დარბაისელი ჩხოლე“.

ქვაჩია (2)

ქვიბარე

„დაბაი დო მსუქანი ჩხოლე“

ქვიმარა

„დაბალ ტანიში, ხორცამი ჩხოლე რე“.

ქორია

„ეშმაკენდ, კვარტიშე ყოამამ უჩქედ“.

ქორობე

„არძანერშა ვეგიდვინე - ოკო რდას ჯგერი, ზდაროვი ჩხოლე“.

ქუზე

ქუქონია

„მშვიდი რე“.

ღვაჭიდა

ღვინა (2)

„მონჭირელი ჭიდა რე“.

ღვინდა

„ჯგერი მეჯინეი, გირძეია. ქიქვე ქორამი დო ღვენ-ღერია“

ღვინე

ღლო

„ჭიჭე, მორჩილი ჩხოლე რე, იყვიყვინანს. წყნარი, ბაჩვა ჩხოლრე“.

ღებ(ზ)

„ასუსტი ჩხოლე, გვანილი ვარდენ ფერ“

ყოყია

„გინობას დუძახი დო ქიგოსქედ“.

შანია

„ჭიდა ჩხოლეშა მიჯობო“.

შანგუ

შვინდა (3)

იხ. ძაღვია

შვინდა

შვერღეღე

„გვრძე ჩხოლე რე, ჯგერი“

შკვაპუ

„ტანო ოშევიპინანს, გვანილი დო ტანსრული რე“.

შტანია

„ჯგერი ჩხოლეშა გემიდვალ“.

შტერი

„შტერი, მეყვანე რე, კოც ვემიარდე“.

შურა

„ჯგერი საქონელს გიოდვანა ხშირას“.

ჩარია

„ჭიდა დო სქვამი ჩხოლე“.

ჩელა (8)

ჩემოდრო

„ოდირინანს“.

ჩემია	
ჩებატა	„ჩემი სატონელიში სახელი რე“.
ჩოუ (2)	„ჭიჭე ტანიში რე“.
ჩოულია	„საყაროთა მიჯობა“.
ჩხაბუე	„ჩხაბუერი რე. ამარ-ემერი ჩე უღუდ სახეს დო კისერს“
ჩხობა	„ოუდონი ნიკაპი უკახაღე უღუდ“
ჩხოლია	
ცავეაია	„უხეში რე, კორია ვემიშ“.
ცარქა	„ცალი რქა ჰქონდა.“
ცაცია	„ჯგჯგო, გემუანი ჩხოუს გიოდვანა“
ცოცა (2)	„ქალღოთი უციკანდ დო ცოცა ტიგოდვის“.
ცირა (10)	„ძაბიჯგუა სქვამი რე“; „სქვამი რდუნ თიშენი“; „სქვამი ჯაყვი რე დო ჩხე ხოლო სქვამი რე“; „სქვამი ჩხოუს გიოდვანა, მუდგატერი ორდას“; „შხეას უჯობოდ დო მახოლო ტიგოდვი“.
ცოკო	„ოციკინანს, კოტორია რე, შიჭე“.
ცორობა	„ჭიჭე ტანიშენი ჯობა“
ცქვირა (4)	„ეშმაკიჯგუა რე, იცქვირინანს დო ცქვირა ქიგოდვი“ „ქა უღუდ ეშე დო ოცქვირინანდ“; „ქაშეგე დო ცქვი- რალი ოკო რდას, ვარა ოკო ოცქვირინანდას“.
ცქვიტა	„ეშმაკი რე“
ცუნცულა	
ძალუია	„ჭიჭანობას ძღვებერია რე დო ძალუია მიჯობოდეს. უკუ- ლი შვინდა ქიგოდვი, გიდა ფერიშქ ქიყა“
ძეკე	„ჭიჭე რე დო ძღვეკერია“.
ძიხვია	„ძიხვიში ფერი რე, მორუმე ფერიში“.
წაბიჩე	„წაბი აფე ჩე, აფანია რე“.
წაბლა (2)	„წაბლიშფერი რე“.
წაბრა	

- წაბუე (4) „ჭუბურიშფერი რე“.
- წაბულე (2) „ჭუბურიშ ფერიშა უჯოხონა“.
- წავილა „ჟნიშნოშა გიდვინე“.
- წერო კარგად ცურავდა. ჭალადიღში კუნძულზე გადიოდა
ცურვით და იქ ძოვდა ბალახს .
- წინარია
- წითელა „ჭითა ჩხოუ რე“.
- წითელია „ჭითა რე, უნიშნო“.
- წიქარა (5) „ჭითა რე“; „თხუთხ ჩხოუშა მათუ გინადვეი, მორჩე
რდ“
- წიქარე (15) „ვასქა ჭითა ოკო რდას, უნიშნო“; „ჟმოსო ჭითა ფე-
რიშის გითმიოდვანა“; „ჭითა ჩხოუს უძახუნა“; „ქა
უღუ ციკალი, ხოჯიცალო“; „ქაგოფარჩი აფუ, კაბეტო
რე“; „ჭითა რე ღო სქვამი, ჟიშიერი“; „ხოც გჯღუ“
- წიქარიე
- წიქორა
- წურბა „ქვარჩხი რე, წურბელცალო“.
- ჭაბუე
- ჭადა „მონჭა ჭითა რე, ვასქაფერიში“.
- ჭარა (2) „ხანტილი ჩხოუ რე“; „ელაჭარგა უღუ ჭიჭე, ქვარა
აფუ ელარჩე, მოჭითე რე“.
- ჭარამე (14) „პრუი ფერიში რდ“; „პჭრეღებული რე, გვალო ჭარგა
ვარე“; „ჭარგა ჩხოუს ჟოხო“; „რჭვეი რე ჟიშო, ხან-
ტურეი“; „ხშირას უღუ შხვადოშხვა ფერი, ჭეფას.კა-
ბოს ფართას უღუ ღო ხოც გიოდვანა. ჭარამე ხოჯიშა
ვიგიდვინე“; „ჭე მოკაბო რე, ტარტუერი“; „რჭვეი რდ“;
„ქენჩერია ჩხოუს გიოდვანა, ჩაღისფერს“.
- ჭარამია „მიკოჭარგე უღუ“.

ჭარბა (5)	„სახე ულუ შერი, ეში ირდისას ურია რე“; „ჭარბა რე“.
ჭარბუი	„ჭარბა იყიი გვაჟო, არძა ფერიში შეწყორი!“
ჭითანა	
ჭითანია (3)	
ჭითაში	„ვარა ჭითა იყიიღ, ვარა დიდას აჯოხონუაფულ“.
ჭითაშია (14)	„ფერიში შიხედვიო რე გინადველი!“
ჭკორია	„ჭკორიშფერი რა“.
ჭრელა	
ჭუბაბრია	„ჭუბურიშფერიე!“
ჭუბია	„ჭუბურიში ფერიშენი!“
ჭუბური (11)	„ჭუბურიშფერს გინმიშქვანს!“
ჭუბურია	„ჭუბურიში ფერი რე!“
ჭუბური (7)	„ზუსტას ჭუბურიშფერიე“, „ჭუბური ჯა რე ღო ჭუბურას ჩხოუს გიოღვანა“.
ჭუკია (2)	„მორჩილი ჩხოუ რე, შიჭვი, სოღია გუთურე ტყას“; „დიდაში სახეიე“
ჭუტულა	„ოჭვიტიანს“.
ხაჟუნა	„საჯოროფოთ გივოღვი“.
ხაღიანა	„ხაღიშორო ულუ. უნიშნო ჭითა რე“.
ხანტურა (2)	„ხანტურია რე“; „შხვაღოშხვა ფერიშენი!“
ხატია	„ფერინარევი რე“.
ხატურა (2)	„ჭრეი რე, ხატურეიე არაო!“
ხახუტა	„ხახუტეიე“
ხვალახია	„დიდაქ ღოღურ ღო ხვალე ქვლასქვლა“
ხვირია (3)	„ოლოფი ფარძას უნჯანს, უხვირინანს“; „ფარძოლაში რე“.
ხიტო	„ჟხიტონუანდი ღო თეში ბრანდი ოჭკუმაღს, ხიტუ, ხიტუა უწინდი“.

ჯაგა	„მონვერთშ სახეიე. ჩხოუს ხოლო გიადვალუ, დიდი, სრული ჩხოუს“;
ჯაკა (2)	„ჩიშანი ვაუღუ, თეში რე გინადვეი“;
ჯაკელა	
ჯაკიჰა	„ჯაკელა ჩხოუს გიადვალუ დო გიოსქედ“.
ჯარგა (2)	„მიოჯარგანს, ვემიფარახხალ“.
ჯეაკი	„სქელი ჩხუუ რე, მორგვალებული“.
ჯეებე	„ოჯეიბინანს, ჯეებერია რე, ხორცამი დო ტანამი“;
ჯეიტა	„დოხუნაფილი ჩხოუ რე“.
ჯეირანი	„დიდი, ყარაჩოლელი ჩხოუ რე“.
ჯოკო	„ჯოკორია რე, კუნტა“.
ჯონდო	„კობიდი დო თე სახელი გეშქედ“.
ჯონჯია	„ოჯეიჯეინანს“
ჯონჯორი	„ჯაკელიშა მიჯოხო. მატია წანერი რე. ჯვენჯვერია რჟუ გინობას, ცქვერია ვარდ, ჯვენჯვერია ნიჩვი უღუღ“.
ჯორა (8)	„ახმილა ჯაში ფერს გინმიშქვანს“; „მორუმეე“; „მუბურიშფერი ჯიშინი საქონელი რე“; „მოშავო ფერიში რდჟ“; „ნიჩვი მორჩე აფუ“.
ჯორია (4)	„ჯორა რე“; „ჯორა ფერიშიე. ნიჩვი იყიი მორჩე, ზურგით გინორჩე“, „ჯორიშფერი“.
ჯორიე	„შეწჳორი ფერიე“.
ჯოჯოი	
ჯუბა	„ჯგირი ჩხოუ რე, შვიდი დო წყნარი“.
ჯუკა (3)	„ჯუკორია ქა უღუ, შხუ, ჯებვერია“; „კუნტა ქაიფი ქაღვიწჳა ჯუკას გიოდვანა“; „ზადაროვი რე დო გვაინილი“.
ჯუმბაზია	„სქვამიე დო ჯოჯორიჯგუა დუდი უღუ“

ზურგუ „მანგარი რდ, ძლიერი“.
 ზურუ „დიდი ჩხოუ რე, უხეში ღო ჯიუტი“.
 ჯღამა „მოღჯღარი რე, ცაშფერი“.
 ჯღუნა
 ცურდგელა „მოღგა სხაბუნდ კურდღელცალი“.

ხარის სახელები

ალია „ოქროშფერი რდ“.
 ბანჩვა „წყნარი, თამდაბანი“.
 ბაჯვა „კურჩხი აფუ კაჭა, იშო-აშო ოყოთანს გილჭლას“.
 ბელა „ტუტაშფერი რდ, ჩე“.
 ბურდა „ზანტი ხოც გიოღვანა“.
 ბურდღუ „დიდ ბურდღამი, ძვაძვანა“.
 ბუსკა (10) „შესქვილი რე“; „პიხვერია ტანიში“; „ღობუსქულერი
 ხოჯი რე, სქვილი, დაბალი“; „ტოცორო რე, ეკოსქვი-
 ლი“; „ჩაფსკენიიე“; „პესკვერია რე ღო შხუქჩხა-
 მი“.
 ბუსქუ „ჯეკვერია რდ, შესქვილი, ბურთიჯგუა რგვანი, ხორცა-
 მი“.
 ბუჟღა
 ბუღა (7)
 ბუღი
 გებენი „ჯგჯერი ხოჯი რდ, მანგარი“.
 გვადა (2) „პურთიჯგუა რდ, სქვამი, იგვადაღჯღ“.
 გუძა „საპუროფოთ გივოღვი. თექ მიმილ ნინაშა. ჭიჭე რე,
 კვარკვატილი“
 დუაუ „ეჯრიხოლო ქა აფუ მოტახილი“
 ვასია
 ვასკა (5) „მიონჭირელი ჭიოთ. თიში უმოსი ჭიოთ ვეშიღებე“;

	„მონჭირელი ჭითა რე“; „პირჩე რდენ თიშენი“.
ვიროკელა	ვირივით ნელი სიარული სჩვეოდა.
ზვერა	მოზვერს დაარქვა ბავშვმა.
ირემა	„აჲ უღუღუ. სქვამი“.
კაბე (5)	„ჯორა ხოჯი რე“; „ყაბოია რდ, ჩე ოხოლდჷ“; „ჭითა დო ჩე, ვარა ურა დო ჩე“; „ჩვეი რე, შხვა- დოშხვაფერი“; „ჩეთ ქაკათჷ, ჭითათ. ამარი ჩე რე, ამარი ჭითა რე, ჭადრაკცალო“.
კაბელა	„ჩვეს გიოდვანა“.
კაბეა	
კაბო (6)	„ურა დო ჩე იყე ართიმატიას არული. ფართას მეუხე ურა დო ჩე. კაბო ჩხოუშა ვეგიდვინე“; „ჩეთ უღუ, ჭითათ, ურათ, მარა რგვალ-რგვალას, ზოლეფი ვა- უღუ“; „ჭირე რე“.
კაზუ	
კამბო (5)	„ელაჭრეღე ხოჯი რდ, კიაფი უღუდ ცვას“; „ურა რდ, ტანო დიდი დო დიდქალამი“; „ჭარგა რე“.
კაჭა	
კახო	„ყახი რდ, არეული ფერიში“.
კეკი	
კელუ	„ასუსტი, გლახა მიოჯინე მოზვერს ჟოხო“.
კვაზა (6)	„მიოკვაზანდ, სქვამას მიშ“; „კვაზა ტანმორჩი ხოჯიშ სახეიე“; „კვეზერია ტანიში ოკო რდას“; „კისქვამაშ გურშენი“; „მიცორდენ თიშენი გივო- დგი“; „ჭიჭე რდ, ბალიშიჯგუა, პესკვერია, მი- ოკვაზანდ“.
კვანცხა	„დიდი ქალამი ხოჯი რე“.
კვანწი	„მიოკვანწანს, კობტას მეურც“.
კვიზი	მრგვალია და ტანშატარა, წითელი ფერისა.

კიკუნია

კიოპა

შებლზე თეთრი ნიშანი აქვს.

კიტა

პატარა და მუცელგამობერილი იყო.

კიტუ

„ხუჯიზა მომირა“.

კოზო

დიდი, ზონზროხა. ხარი იყო.

კოკია

„ჭიჭანობაზე ქიგიოსქედ“.

კოკინია

„დირჩენ ხოჯე დო ხოლო კოკინიას უძახედეს. ვიჭვეში
სახელი რე“.

კოლია (2)

„უბრალოდ დავარქვი“

კორა

„ჯგერი მოდიარე რდ, კორიჯგუა შკვეერი, ტიგრო ფერი-
ში. კორა ჯგერი კოც ხოლო ჯოხო ნამკოლუშე“.

კოჭო

კუდა

„კუნტა კუდელამს გიოდენა“.

კუზა

„ჭიჭვე დო კოხტა მოხვეერი რე“.

კუზმა

კუზუ

„ხუჯიზა მომირა თე სახელე“.

ლომა (15)

„მორჩე ფერიში, შხვა ნიშანი ვაულუ“; „განსაკუთრე-
ბული მანგარი ხოჯი რდ“; „მორჩე რე“; „დიდი ქაამი
რდ, ძლიერი“; „ლომიჯგუა რე, ზდაროვი, ძლიერი“
„განსაკუთრებული მანგარი ხოჯი რდ“; „ძლიერი დო
შქირუ, კაფა ხოჯი“, „მოჭითე ფერიში რდ“; „აბაბტი
რდგ“.

მიშა

ნიკვა

ნიკო

ზარმაცი ხბო იყო. მოსაწოვად მისვლა ეზარებოდა და
ბავშვს უთქვამს: „ნიკო ჯინჯულიცხლო უღა ოზარენია“

ნიკორა (2)

„მშვიდი, ბენჩვერია ხოჯი რე“.

ნიშა

„ჩე ზოი გეწუნს კედჯრს დო კიოპა ულე“

- ნიშე(4) „სახეს რე უღუ“; „პირრე რე“; „ჩე ნიშანი უღუ სა-
ხეს დო ვარა წაბის“.
- ორზია „აოლს ორზანდ ნატყელცალო დო კოც ცემკინჭანდ“.
- ორმახი „დიდი ხოჯი ქორდჯდა გიოდვანდეს ორმახის“;
- პირრე(3) „ნიშე ხოჯი რე“.
- პუხა
- რატა „ორიქინანს, ქალეფი ეშე უღუ“
- სადარა
- სორდო „სერღეია რე, გიასარღანს“,
- სქვამა
- ტიგო „ატორტეპუი რე უმოსი. ტიხარონი შხვა რე, ეტიეტი
ოხოლ შხვა ფერი“.
- ტიგორე(6) „ორე აჭრელეპული რუმე ფრეფით, ძირიდადო მოწაბლის-
ფერო რე, ზებრაცალო ზოლეფი გეცუნს“; „ჭუბურიშფერი
რე დო შერეული ზოლეფი უღუ“.
- ტიხო
- ურა „ტორტო გორქ. აჭარგეპუი რე, ტიხარონი“.
- ურზა
- ურა
- ფანი
- ფუცქა
- ფუჯია დედა ძროხის სახელი შერია.
- ქაციკა „ქა უციკანს“
- ქვესლამი
- ქუზუ „ჭიჭე რდ დო ოქვიზინანდ“.
- ქურუ
- ღვანთა ღვანთას იტყვიან ზარმაც კაცზეც; „ღვანთა რე, ჯიმა,
თე კორი“.

ღვინა (9)
ღვინდა
ღვინე (18)

„ჭითა ფერიში რე“; „ჭითა რე“; „ღვინიშფერი რე“;
“ჯგერი ბოჯიე, ღვენღვინა“
„ჭითა რე, ღვინიშფერი“; „ჭითა ქორედა, ღვინე
რე“; „ჭითა რე, ღვინიშფერი. წიქარა გეიდვალღვ-
კონია მიწის. წიქარე მაეიაშა მიჯოხო. წიქარე დო
ღვინე ეჯრხოლო ართი პლანი რე“; „ღვინიშფერი
იყრი“; „ჭითას გეიდვანა“; „ჭითა იყო რდას, სუ-
ფთა ფერიში“.

ღვინა (2)
ღუფინა
შამუ
შანგვია
შანგვიე
შანგუ (13)

„ჭითა რე, მუჟუნი შხვა ფერი ვაკათ“.
„არო ღორანს, ღუფინანს“.
„ერია რე დო შამუ ქიგუოღვი“.
„შანგუაშე ფერი რე, მოურე“.

შანგუე (6)
შანგულა (2)
შანგულა

„ერია რე“; „ერია ქორედა შანგუ გეიდვალ“; „მოურე,
გვალე ურია ვარე“; „ერია რე დო ფერიში დამოკიდებული
სახელი უღუღე“.

შანია
შვინდა (2)
შომპო

ღედა ძროხის სახელი ერევა .
„ჯგერი ტანიში, ქამი ხოჯის გეიდვანა“.

ჩილა (6)

„ჩივაგა რე, ურგებელი“.

ჩივაგა

ჩივა

ცირა

„ცოცხალი საქონელი რე“.

ცონტი

„ღიქენი ხოჯი რე“.

ცოცია

„გამიგებუ, შხვადო ჯოხოდ დო მახლო ქიგუოღვი“.

ცუღე

ცხოვრება

ძიგვი

ძიგვი

„ოძიგვინანს, ჭი ძიგვერია რე“.

ძღვი

„ჭიჭი რე, ძღვებერია“.

წიქარა (2)

„ჭიდა რე დო ქაცქვეტიერია“.

წიქარე (2)

„ჭიდა რე, ქა ულე ჯგჯარი, საყანწყო, რი ქალღვი“.

ჭარბა (2)

„ჭერი რე“.

ჭონტო

„ჭერჭო რე“.

ხერი

„სქვამი რე, მარა კიბირეფი უხირინანდ“.

ხერი (3)

„ლოფარაო რე, ფარაოლოამი“; „ტანსაშუალი რე დო იხვირინანს“.

ხოჯა

ჯაბა

„ჯგჯარი, ჯეხვერია ხოჯიშა გიღვინე“.

ჯაგა (3)

„ნელი დო წყნარი რე, დიდ ტანიში, ღონიერი, მიოჯა-განს, ეარქარენს“; „მიოჯაგანდჯ, ვადიქარენდჯ, დონიერი რე“.

ჯაკა (3)

„ზანტი ხოჯ გეძ სახელი“; „დიდი რე, ჯეკვერია“.

ჯორბი

„ჯგჯარი, დოსქვილი, ლდირგინანს“.

ჯივბი (5)

„ჯყდი ჯივმბერია აფუდე“; „მაჭეკუმალი ხოჯი რე, ირფელს იდიარს“; „ჯივბინანდ“.

ჯვიბა

„დიდტანიში რე“.

ჯოკია

ჯონდი (4)

„გამყიდველს ერქვა ჯონდი; „წყნარი საქონელი რე“.

ჯონდო (3)

„პრძანერშა გიღვინე“; „პორცამი დო ქორამი საქონელს გიოღვანა“; „ჯონდო ხოჯი რე მეტი თვინიერი, მეტი ხორცამი დო დოხუნელი, დოდგინელი, ჭიდა ოკო რდას“.

ჯორა (22)

„ვარაი ურია რე, ვარაი ჭიდა. ბიჯიში სახე უმოსო მთურე აფუ, ტანს შხვა ფერი რე“; „მრგვალი სახე ულე, დინჯი ხოჯი რე, ბარჯდალა“; „შეკორე რე, ოჭი-

შის გეყუნს ჭუბურიშფერი“; „ქვიშორი ფერი რე“; „მონდა ჭუბურიშფერი რე“; „ჭუბურიშფერი რე დო ნიჩვი უღუდ მორჩი“; „ოჭიში გინოჭუბურე ხოჯი რე, გეალო ჭითა ვარე“; „მორჩე ჭუბურიშფერი ოკო რდას“; „მოურე რე“; „მოჯორე რე“; „ჯორიშფერი რე, ვართი უჩა დო ვართი ჭითა“; „ფერი რე მეჯინათ. მოჯორე რე, ვართი ჩე იაქუე დო ვართი უჩა“.

ჯორე (5)

„ორა ფერი რე, მოურე“; „მიქირე ფერიში რე, მოჯორე ფერიში“; „ჭუბურიშფერი“.

ჯორია

„ტუტაშფერი. ფერიშ დამოკიდებული სახელი რე“.

ჯოტი

„გოდორია რე. კოც ხოლო უჩინა, შხუტანიშის, ჯოტის ქოგენია“.

ჯოტია (10)

„შესქვილი ხოჯი რდენ თიშენი ჯოხოდ“; „შხუ რე დო დიდი ჩხენიდამი“; „პირჩე რე“; „პიჯო აფუდ შხუ“; „პიჯო მორჩე აფუ დო ჯოტია ქიგუდვი“.

ჯოტო

„მიაღაი რე, დიდი, ჯვეტერია“.

ჯოტუ

„ჯვეტერია რე დო ჯოტუქ ქემომილ ნინაშა“.

ჯოტა (6)

„ქა ვაუღუდ შამფერიდი, კუნტა ქა უღუდუ, შხუ“; „ქა გერანს კუნტა დო შხუ“; „ჯოტა ქაფო უღუდ, ჯეხვეტერია“; „ქაჯოტა რე“; „ჯოტა ქაფო უღუ, დაბალი დო შხუ ქაფო“.

ჯონდური

„დიდი რე, ნიჩვიჯვენდერია“.

ჯორუ (2)

„მიუთენი ნიშანი ცაარსებენს, თეში გილღვანა“; „ქომოლი ხოჯი ოკო რდას, სქელი“.

ჯორა

„არძაშა გიღვინე“.

ჯორი (3)

„უჯვიტინანს ნიჩვი, სქელი ნიჩვი უღუ“; „შესქვირი, მანგარი ხოჯი რე“; „არძანერშა გიღვინე“.

ჯორე

„ქაჯუხურია ხოც ჯოხო“.

- ღომა (4) „მორჩე ხოჯის გიოდვანა, მოაჰმე ხოჯის“; „ნაცრიშ-
 ფერიე“.
 აურსა „ეკახალე აფუ ქა გიღუზილი“.

კამერის სახელები

- ბარდლა (5) „გიაბარდლანს“; „ძვენძვერია რე“
 ბატია (2) „ჭიჭანობას გიადვალუ“.
 ბაღანა „დებადღენ ჭიჭე რდ დო ბაღანა დუძახიჲ. უკუი ნდემქ
 იცუ“.
 ბუღდა „წყნარი დო მშვიდი რდ, ბუღღუია რდ“.
 ბურდა (2) „ბურდინენდ. ბურდა ჯოხოდ ართი მუნჯი კოც ჩქიმი სო-
 ფელს. საქონელი ხოლო იცუაფუ მუნჯი, თავისუფალ ვე-
 მიაღორე“
 ვადინა ზაქი დაიკარგა, იპოვეს და დაარქვეს ვადინა („არ
 დაიკარგო“)
 ზაზუნა „მძიმე ტანიში რდ, მონკათ მიშ, მიზოზინჯდ“.
 თეფი „წაბის ჩე უღუ“.
 ლაბა ილია ჭავჭავაძის ლექსის მიხედვით დაარქვეს.
 ღია
 ღომა (2) „გვალ უჩა ვარე, ვართი ჩე“.
 მირღია „რამ დიდიქ მირღასია“.
 ნიკორა (2) „წაბის უღუ ჩე კიოფი“; „რე უღუ წაბის“.
 ნიკურა (2) „გვას უღუ კიოფი, ჩე ნიშანი“; „ააერთო სახეიე“.
 სოსკა „სოსკაში ნარდი რე“.
 უჩანა (3) „მანგარი უჩაშა გიდვინე“.
 ფორმოზა
 შვინდა
 ჩეა „მორჩე რე“.

ცენტნერი	„ჭიჭე რდ. ართი ცენტნერიშ მეტი ვეციოდ“.
ყხოვრება	კარგი მეწველი იყო და იმიტომ დაარქვეს .
ძეგვე	
ძოკია	„მორჩილი რე“.
ძოკო	„ქა წუმე აფუ მოღვანკილი“.
ძორგო	„მორჩილი კამბეში რე“.
ჯამუში	„ჯგოჯგორე რე, ნოსორქიქა“.
ჯაქა	„მუშით მიდაჯაქუ კუროშა ღო თიშენი გივოდვი“.
ჯირიმი	
ჯონა (2)	
ჯონთო	„მუნჩქვიჯგუბა რე, სქელი, ივეინთინანს, ჯვენთერია რე. ტანადობაშ მიხედვით ჯოხო“.
ჯოტო	„დიდი ქა უღუნ ფერი რე“.
ჯომა (4)	„მორჩე რე“; მიწითალო-მოშავო ფერის გამო დაერქვა.

ცხენის სახელები

აღლი	
აღლი (II)	„აღლისფერს გიოდვანა. ხომილა ჭაშფერს უწინა აღისფერს“; „ჭითა რე“; „ოქროშ ფერი რე“; „მეტი ჭითა რე“; „აღლი-ფერი რდ“; „აღარხჯრიშ ფერი რდ“.
აღლიქე	
ანზორია	უწინდელი პატრონის სახელი დაარქვეს
არაბა (3)	„დიდი ურია ცხენი რე“.
არაბია (8)	„ურია რე ღო მადაი“; „ოკო რდას ურია“; „ქვერსემი ცხენი რდ, რენგერია“; „ურია ცხენი რდ, დიდი“; „ურია რე“.
არვა	ინფორმანტი აცხადებს: შემიხვევით ცუწოდე და შეტარაო.
არწივია	„არწივის გდგე, სქიამი რდ, ჯგერი მადელი, ღო არწივია ქიგუოდვი, ჯემშიშე გამიგებუ“.
ბირდღვა	„მონკა ცხენი რდ, გჯრძე ფაფარამი“.

- ბორჩია „ქარიცაჲო მერუც“.
- ბორჩო „ტანო ჳიჭე ცხენი რდ“.
- ბუიანი (2) „კინოს ქუჯინი დო ეთექი ჳოხოდ. ჩქიმი ქვირა ხოლო ომ-
ბოლი რდ, თენა ხოლო სოსკათ ვრდი“.
- ბულა
- ბუნჩუკი „აბინჩინანდ“.
- ბურდა „აკოსქევი რდ“.
- ბურდუკი
- გელა „ძლიერი რდ გელაცალო. გელა ჳოხო კაკუტიშე ისმარიშ
ეიონწყემალს, ეგრბოჭკა რკინა რე, ართი მეტრი, მოღვან-
კიი, ხეში ჯომის ხოლო უწინა“.
- გოგი
- გურა „ჯგური გურამი ცხენს გიოდვანა, ვაშქურუ მუთუნიშა“
- ღობა (4)
- ვანია იმ კაცს ერქვა, ვისგანაც იყიდეს.
- ვასკა (3) „ვასკა ცხენი რდ“; „ჭიბა რე“.
- ვასკლა „ფიცხე ცხენიე“.
- ვასტა (6) „ალიშფერი რე“; „მოჭითე რე“; „კო რდას ჳიბა“.
- ვარა „წყნარი ცხენი რე, ვარამ კოც“.
- ვოსისარადა „ოდ სახელი გივოდვი, დუძახედი დო ხეთე ქემიშე, დამჯერე
რდ“.
- თურქია
- იაბო „ქურხი გითორე აფედ, ყვარელი დო სამუშა ცხენი რდ“.
- იობა „დაყვერილი ცხენია, სამუშაო ან საჯდომი“.
- იორდა „ჯგური მადევი რდ“.
- კანჯარი (2) „ვართი ჩე რდ, ვართი ჳიბა“; „შერეული ფერი რე, წყორი-
ლი“.
- კაცია „კორიცალო არჩქილედ“

კვაზა

კვაკვა

კვაჯირია

კვიზა

სუვიზალი რე, ამაყური“

კვიკვი

კვინრა (7)

„ჭიჭი დო ღიქნი ცხენი რე“, „სოცხალი ცხენი რე, ში-
მილი“; „ჭიჭი ცხენი“; „აღი გივოდვი“

კვირტი

„ჭიჭი რე, კვიტირე“

კვიცია

სუვიცი რე დო კვიცია ტიგუოდვი სახელი“

კიკო

კინტო (6)

„ფიცხი, სწრაფი ცხენს გიოდვანა“, „სვირცხლი დო
სწრაფი“, „სვარჩხი რე, ეშმაკი“, „სვიციანი რე, ირ-
ფელს მიხიხად“, „სახაბუნდ მურხიკას, კურხიფს ათიკო-
როზანდ“

კიოპა

კიჭო

„ჭიჭი ცხენს უხო, ფიშმარდის“

კოლია (4)

კუდა

მოკლი კუდი შქონდა.

კუზა

კუკლა (2)

„ახალი ქვირაზა მიჯოხო, ჭიჭი რე, კუკლაჯგურა“

კუკო (8)

„საშუალი ტანიში რე, ჭიმა ფერიში, ჯგერი რულა
ურქედ“, „სუკუს დუძახენა ცხენს დო მოურე“, „სოხტა
ცხენი რე“, „მორჩილი დო შესქვილი რე“

კუკურა

„მთჭიფი დო ტანსაშუალი კოხტა ცხენი“

კუკური (9)

„ჭიჭი ცხენი“, „საშუალი ტანიში რე, კუკური“, „ჭიჭი
რე ტანი“, „სქვაში“

კუკუზა

კუჭი

„ჭირი რე დო გივოდვი, გამიგონებუ“

კუპუპი	„არქმევენ შავ ცხენს, ტანმომცროსს, პატარათავი- ანს.“
ლაფშა	„ლაფშა რე უვარილი ცხენი“;
ლოშადი	
ლურჯა (9)	„ლურჯა ოგო რდას“; „ლურჯა რე ტანით თვითონ“; „ლურჯიე“; „ლურჯი რდ ფერო“.
მერაბი (3)	„მარულე ცხენს გიოდვანა. მე მერანა რენია, თქუა- ნა მარულე ცხენშე“; „ჯგჯრი ღონიერი ცხენი, უჩა ფერიში“.
მიმინო	„ჯგჯრი მაველი რდ“.
მიშა	
მიშყა (3)	„ჯვეშიშე გამიგონებუ ცხენიშ სახელო“.
ობლა	„ომბოლ ნარდიე, ხეთ აფუ მინჯეს ნარდი“.
ოლია	
ორჩანია	„ყოც ვეგინხუნუნანდ, ზარმაცი ღო უიუტი რდ“.
ოქრუა (3)	„მუქ გიღუ, ოქროშფერი რდჯნ თიშენი“; „ოქროშფერი იყიი“
პაცანა	„ეშმაკი რდ, გლახა ოყოფალი რდ, გეთარაგუანდ კოც“;
პირჩეია	„პირჩე ქორედა, დიძახინე“.
პუსკა (2)	„პესქვერია რდ ღო მიპასქელაჯდ“; „სწრაფი იყო, ადგილიდან „პუსკარიკით“ მოწყდებოდა“.
საღარი (2)	
საღარია (3)	„პირჩე რე“; „სვასაღარა რდ“.
ტრონჯია	„ჩიე ცხენი რდ“.
ურა	
ურანა (2)	
ფახხა	„წოხილე რდ მქჟე, უკახალე ფართო. აღბეთ თიშენი“

- გიოდვეს, ახალციხეზე მიპუნია“.
- ფანდიკო „ფანდურცალო მიხიორჯღუჯგერი მამელი რღ“.
- ფარშავანგი ფარშავანგი ეწოდება კურტნიანი ცხენების ქარაგნის წინამძღოლს (მთიდან ჩამოშქონდათ ყავარი, 10-15 ცხენი ერთად მოდიოდა).
- ფაცურია (2) „მოძრავი ცხენი რღ, ფიცხი“; ცოცხალი რღ.
- ქვიქვი „ტანმოჭკერილი რღ, ქვექვერია“.
- ქვიშორი „ქვიშორიშ ფერი რღ“.
- ქუზუ (2)
- ქურანა (2) „იორდა ცხენს შქვია, სიარულისას უკანა ფეხს წინა-ზე წინ დგამს და ტანს არ არხევეს“.
- ქურუ
- ქურუ „ჭითას დო დაბაის გედვანა“.
- ყორანა „ჟრია რღ“.
- შამელა „ჟრია ანეი რღ დო კიოფი ულუღ“.
- შურღემი (3) „მბაკე ცხენს გიოდვანა“; „ჯგერი მარულე რღ, სწრაფი“.
- ჩაგა (2) „გვიარღე რღ“; „აღეში ქიგუოდვი სახეი“.
- ჩაგუ
- ჩაჩანი „ჩაჩანიშე რღ გღწნაყიდერი“.
- ჩეა „ჩე ცხენი რღ“.
- ჩელა (5) „ჩე რღ“.
- ჩერგეზი (2) „დიდი ცხენი რღ, ჯიშნარევი, მარგალური ცხენი შე-აჯვარეს ჯიშიან ცხენს“; „დიდი ცხენი რღ, ქუდიშ ჯიშიშე“.
- ცაკვა (2) „აუზარცი მალარი რღ, მარა ჭიჭე ტანიში“.
- ცოცია
- ძეგვე „მიძეგულე, მიშენ“.

ხემუშა

ხეიხვი (3)

ჯირა

„კოც ქორძირდღენ, იხეიხვინანდჷ“.

„ჭითა ცხენი რე, მანგარი“.

ახის სახელები

აბრაგია

„აბრაგაჯგუა რე, მანგარი“.

ბათუ

„უწინდელ პატრონს ერქვა ბათუ“.

ბაკანა

„მიობაკანს, წყუნარას მეურც“.

ბარდლა (2)

„გინძე თომამი რე“; „ართო თომამი ოკო რდას“.

ბერწულა

„მოჭითე რე“.

ბირჯლა (2)

„ქა განით უბირჯლანს, გობირჯდინაფილი აფუ“.

ბიწკა

„ქა ეშე უფუ, მობიწკალი რე, სქემი რე“; „სქე-
მი რდ დო სქემას გილეშ“.

ბიწკანტია

„მიობაწკანტანს“.

ბორა

ბურდლამი

ბურდლამია (3)

„ბურდლა უფუ, მოწოწეფი“; „ბრელი ბურდლა უფუ მხერ-
ცალო“.

გიფუ

„ქა აფუ უკახალე მოდგრაკილი“.

გერცემია

გმერდამო (2)

„ართი ხასლა მხვა ფერიში რე“; „უნდა იყოს ზურგ-
თეთრი და მუცელშავი, ან პირიქია“.

გვირა

„გვირინანს, გვანილი რე“.

გვრიტი

„გვრიტიჯგუა რე, ცონცხალი“.

გილა

„ართი ქა აყი თინი, მაყია გილატახილი“.

გოლო

„დაბალი დო ქვარაგიდალი“.

გორჩე

„მეთრი ზოლი გაჰყვება წრესავიძ კისერზე და
მკერდზე“.

გოტარკალერი 'მიოუსვენარი რდ'.

გორია

გულმოწვი 'თრო ქაცარს უყიანს, გურს ჭუნს'.

გჯრძე

დაბაია

დავაშია 'დარგა რდ დო ქიგიადუ' -

დიდკითამი 'ძუძუ ულუდ დიდიკითამი',

დუდიშქირუ 'დუდი აფუ შქირუ, წყორილ მონტყორიშქირი'.

დუდურია 'დუდი აფუ ურია' -

დუდურიე 'პინერიშ ეში ურია თხა რე'.

დულუ (2) ურქოა.

დულუია 'ექალე თხას ჯოხო'.

დუჭი 'დუდი ოკო აფუდას გინოჭით'.

დუჟი 'ურქო იჟო'.

ერკტემია 'ერცხიჯგუა რდ, იფოცებულ ირფიღე'.

ერკტემია (6) 'ერკტემივალო იჯინედ თე თხა, დუც უქანცუნად. მონადირე ვორქე დო მიძირ'.

ეშმაკია

ვასკა 'მოჭითე რე'.

ვასქა 'ეფერო თხას გიოდვანა'.

ვადურია თიკანი ავად ვახდა, ვადარია და ვადურია შეარქვეს.

ვაცა 'დიდი ოჩი რდ'.

ზენათია

ზენაქვია 'ეჩია თხა რე'.

თუნთია 'ძოდორო თხა რე, კაბეტია'.

თურქია 'კაბეტია თხა რე, ბურდდამი'.

ზისხე (2) 'ართი წანაში დინახადე ქიმიდუნს ქაცარსუნ თინა რე ზისხე'; 'პირვეი წანას იმაკებუნ თის ჯოხო ზისხე'.

ივარგე 'ეჯრო ქაცარს რდუნდ. ზოტექნიკიქ გიოდუ'.

ივერია	„ივერცალო უღუ ქა“;
ირემა	„დიდქალამი რე“;
კესარია	
კეცხუ (5)	„ქა აფუ უკახალე მოღვანკილი“;
კეცხუნია	„ქა უკახალე აფუ გედჯრაკილი“.
კვაძე	
კვერცხა	
კვინჩა	„მოზრილი. თხა რე, რე“.
კოკინა	„არო კოკინანდ“.
კომთ	
კირკიტამი	„პირკიტი უღუ“.
კირკიტი (2)	„პირკიტი მიკორანს“; „პირკიტი აღვენუ კისერს“;
კოზარა	„ჩქიმი ბოში მუშენს რუსეთის, თიქ გიოდუ“.
კოკორე	„უქალე თხას ჯოხო“
კურდღელა	
კურტუბა	
ლაგვადა	„დიდი ძუძუ უღუ, ჯგერი მაჭვალარი რე“.
ლამაზა	
ლამაზია	
ლეშქვერთია	„ჭე გირძე რე“.
ლისმარია	„ლისმარცალო გედგ ქა“.
მაგანა (3)	„ფინოლუზიი ქა აფუ მაგანაშორო“; „მაგანაცაი ქა გერიანს“; „მაგანაშორო უღუ ქა განით“.
მაკარია	
მარო	„ქაერთოთ გითმიოდვანა თხას“
მარუსია	
მაყიადი	„არო ყიანს“.
მახათი	„ჭეჭე რე“.

მაჯღვერი	„აწოჯღუნს თხაეფს“;
მელია	„მელაშ პლანი უღუ“.
მენიკია	
მესხია	„ბრელი დინას მიძირ ჯოხოღუნ“.
მუნჩქეია	„მუნჩქეიეცალო დინას თხორუნდ კუჩხით დო ქიგინჯირჟღ“.
მურუცხია	„ცოცხაი რე, მურუცხიჯგუა“.
ნარუშა	„ოსურიშ სახეიე დო თხას ხოლო გიოდვანა“;
ნიშანია	„წერტილჯგუა ნიშანი აღვენუ“.
ორტყაფუამი	„თეთრი იყო დო ქამარიეით შავი ზოლი გასდევდა მკერ- დსა და ზურგზე“;
ორქოშია (2)	„ორქოჯგუა თხა რე“; „აღიშვერიე“;
ორაგა (2)	„წანამოთხერელი ორის ჯოხო ორაგა“.
პერა	
პეშუ	„ქვარა გომბარლი თხა რდ, ჯგერი თხა“;
პისქვა	„პესქვეერია რე“;
პისქვამია (2)	
პიცანა	„სქვამი რდ“.
პუსკორი	„პუსკორუნდ ოდიარეს, მარჯვეთა ჭკომუნდ“;
რამკა	„შხყანერ მეჯინა უღუღ“;
რაქვადა	„ირო პეტეანს, ირაქვად“.
რიკა	„სუჯეფ ურიკანდ, ეშე უცქვიტანდ“;
რინტუ	
როკა	„ქაეფი ეშე ურიკანს“;
როკინია	
საღარია	
სკიპი	„ჭიჭე თხაე, ოსკიპინანს გვაჰო“;
სკუპორია	„მარჯვე რე, მისკუპორ“.
სქვერა	„არცქიმჯგუა რე, შქირუ, მოჭიოღ“.

ტყვარჩილი

ტყუბა (3)

„ქა აფუ ტყუბა“; „ქა აფუ აკოტყუბილი, აჩიანს მისე“.

ტოლო

„ტოლოთი ახა რე, შხუ, გვანელი“.

ტულა (2)

„ქა ტულა“;

ტუნტული

„უტო“.

ტურტა

„ჭიჭი ახა რე“.

უჩინა (2)

„ჭილიჯილიაჯა“.

უჯალია

ფანჯარა

ფარა

ფეფისი

ფერია

„ფერა ახა რე, შქირა“.

ფერია

ფეფა

„ვატს დიერქვა გრძელი წვერის გამო.“

ფეჭრა (2)

„შქირა ახას ჯახი, შერქვილიას“.

ქაბიჯა (2)

„ქაბიჯი აფუ გიბირჯიანაფილი“.

ქამოა

ქაპრა

ქატიუბა (2)

„ქატიუბა აყიი გინტახილი“.

ქატახი

ქაფარა

ქაფა (2)

„ქა აფუ ალა“.

ქაყა

ქაჯა

„ქაჯაჯა რე, ვაგაჭაფა“.

ქვაყა

ქლა

„ქარხი აფუ ნატახა დო ქლანა“.

ყვანქირა

„ყვა აფუ მდღემდღე შქირა, ახა რე რე“.

ლოპო

„აბძოშე გუშაგორილი თხა რდ. გილაფეაფეანდ, დიდი რდ.“

დედუშია (2)

„ჩიე რე, მარა უჩა გიოხე ეჯრი-სუმი დიხას ფარაას“,
„იხინერში აშო შხვა ფერიე. ტანი შხვა ფერი უფ.
აბეცალი თხა ქობძირიდა, დედუშია რე მამე ბექა.“

ყვითელა

ყვითელია

ყვინთელია

ყურდგდელია

„ყურდდელიში ფერი რე.“

ყურცქვიტა

„ყურჯი უცქვიტანს.“

შაურა

„შავი იყო.“

შონია (2)

„შამაბგებეი რე, შონიჯგუა მინგარი“, „შონიასაგან იყიდეს.“

შქერა (8)

„შქირე ქორიდა შქერას გიოდეანა“, „ქვიშაშფერი რე.“

შხურია (3)

„შხურჯგურა გერძე თუმა გორანდ, მოკვრაყილი“, „შა-
კვა უფე შხურყალო“, „შხურიში ძლანში რე, ბრელი
ბურდდა უფე.“

ჩიე

ჩილა (7)

ჩიტია (2)

„მორჩილი თხრა რე“, „თეში გივადეიდა.“

ჩხაპი

„ჩახხეს ჭდვინე წირტილიფი, ლუტაში მიკნაწიკვაჯგუა“,

ჩხაპირია

„ჩახხე აფე ეჩხაპილი, მოჭიბე ქორე, ჩიე დო უჩათ
კვდჯი დო დუდი.“

ჩხირკვა

„ჩხირკვინანს წჯმე ქა.“

ჩხიფია

„ჩხიფიალო გედგ ქა.“

ცაგანია

„ეართელ მერუტ, განში მერუტ.“

ცაკობა (2)

„ეართი კობი უფე ქუძუში“, „კობი კობი აფე გილაღ-
აფირი.“

ცანგალა	„მიცანგალ, სწორას ვალინე, იშო-აშო მეურც“;
ცუხია	„ცუხიე, ბეას ვერზენს“.
ცქვირა	„ჭეჭვე თოლამი ღო ყვაჭეჭვე, ოცქვირინანს;“ თოლექს უმანუანს“;
ცხვარია	
ძიხვია	
ძღვირი	„ძღვირინანდ“.
წარდაფი	„ჭიჭვე ბელალი უღუ, გვიმარაშფერი, გვერდი ჩე რე“;
წიფურია	
წკუმონტია	„ქა აფუ წკუმონტილი“.
წრუბელა	„წრუბელშორო გიოხე ზოლი ოჭიშის“.
წურბელა	„ოჭიშის გინოყუნც უჩა, წურბელცალო“.
წუხრუკი	„ბეას იხირს ირო, ქაცარშო ინახ“.
ჭარგა	
ჭითანა	
ჭიოფე	„ჭიოფა თხა რე“.
ჭუბარკა	„ჭუბარი-სუმეშა ქაფუ ქა მიკოლელა“.
ჭუბურია	
ხანტა	„ჩე სახეში ღო სქვამი“.
ხანტურა	„ხანტურა რე“.
ხანტურია	„ჩე რე, მარა უჩა ოხოლ“.
ხეირა	
ჯორკია (2)	„მანგარი რე, ჯორიცალი“; „დიდი თხა რე“.
ცვინთეია	
ცვინთელია	
ყუჯა	„ყუჯი აფუ ღუჟა, გიფართხი, მოკირიო გიფართხუ“.
ძარჩე	„ძარდი ხასილაშე ჩე რე, ეში შქირუ რე“.

ლორის სახელები

- ბარდღაია აჭუჯი უბირდლონანს, დიდი ცუჯამი რე“.
- გორა აუბრალოთ გიგოდევი“.
- დეცხე „ხებრაშვიტი რე. ჭიდა დო ურე კობუდენი უღუ. იტყალს სა-
ერაოთ დეცხე ჯოხო“.
- ვანია
- ვასია „ხშირია სახელად დო ამიტომ დავიკვი“.
- ვერი „აუს ქუდეჭახდედ ჩხოშე წუაღა. იე ჩხოშე ბეა კორიშა
ვერიდნია, უბეუაღდე ჩქიმი ბეზის. თიში უკული ჩქენი
ოჯახის დეჯიშა ვერი მიჯოხონა სახელო“.
- იოხშირი „აბარბუია ცუჯეფი უღუნ თიშენი მიჯოხო“.
- კერა (2)
- კიტა (2) „აკიკიტეფი გეობა კისერს“; აჭიჰე რე, კეტერია. ვირდ დო
ხოლო კიტას უძახუნა“.
- კორა „აკორიჯგუა რე, წყნარი. ირდინაშა მაცუნუდ“.
- მამია იხ. ოთარი .
- მამუა (4) „აჭუჯიფორა რე, დიდცუჯამი“; აჭუჯე ჩხენდამს გოლდენა.
კოც ხოლო უწინა, მამუა დეჯიშა ქოიგენია ჩხენდი“.
- მუნრქვა
- მუნრქვია „ნიჩვი. უღუ მუნრქვიჯგურა, კუნტა, მორჩილი ნიჩვი. მუჭო
მუნრქვიცალი ნიჩვი უღუნია აქუნა კორიშგურშენი ხოლო.
არდინაშა ბახარაშა მიდებუნი ძოკეფი გემარამშა დო დიდაშ
უმში ვამაცუნინ. მუნრქვია-მამე დუძახი დო ხალხიქ აქუ,
მუჭო მიგებული სახელი ტიგუდგებუნა“.
- მურზა
- ნირქვა
- ოთარი „მამიაქ დო ოთარქ გოჯახენს კოჯია. გვარი მუშო გოკო.
უკუი შივარციენს დო კოჯიას თითო თუ ტიმეუჯლოენს. კოჯაქ

- ართის ოთარი ქიგიოდუ, მაჟიას - მამია“.
- რიცვა „ორიკინანდ, ხანგა რდ“.
- ურია
- ფაცვი „ჟოლობას მუდგარენი გილეფაცქაღჯდ დო ფაცვიქ ქვმათქუ-
აღწ, ქამიოლ, თინა ქუდუძახი დო თის ქიმიარქვან.
ჩქიმი დეჯუფს ეინწ ვარქილი, სახელს უძახექ. ართიშა
დუძახი, ფაცვი მატ, შორს ყოფედ დო ტიჰე ხანიში უკული
გაკლეჯირით. მახარქალეფს გუკვირდეს, ბადანას უძახე-
ლიძენ მიჩქედესია“.
- ქერიჩი „ძაგვარეფი უღუ“.
- ქისა „საქირსოთ მოკოდეს ოცვილარო“.
- ქუცუნა „მშვიდი რდ“.
- ღვანწკარი „უბედური რდ. კორიშენი ხოლო თქვანა ღვანწკარი რენია,
წკუმონტილი“.
- ღურია
- ჩუბე „ჯილაჩვანჩვანს, თვინიერი ღეჯი რე, წანწალა ვარე“.
- ძუკუ „პარტიშ ღაყალის ფარა მუჯი ძუკუს. თი ფარათ თუ ქი-
პიდი დო ძუკუ მიჯოხო“.
- ხათა
- ხუზა
- ხურტა მეზობლისას ერქვა და თვითონაც უწოდა.
- ყორა (2)

ქათმის სახელები

- არაბია (მ)* „მამარემს ჰყავდა, თავადს. დიდი, შავი მამალი იყო,
ხელზე გაზრდილი. დაუძახებდა, მუხლზე დაისვამდა და
„ამღერებდა“. ამით ერთობოდა. ასეთ ქათმებს არ კლავ-
დნენ. ჰყავდათ, სანამ თავისი მოკვდებოდა“.

* მ = მამალი.

ანუსია

„მითხინალო ჩირიე რე. თიში კვერცხი ხოლო ვერგვდუ წიწილაშო. უგრგურამი კვერცხის სქენდ, გადე გონია უდუდ ორტყაფეცალო, შქაბანდინას გოცუნდ მუკე-მუქე. ჩქიმი ოსური ხეს ქიდეკინენდ, კიბირია უწინდ დო იბირდ, კარკალანდ. დოღურე დო შიცხად. სახელით თიში გინადგედი რე. მუში სოფელს ართი მებობელი ნოცვიდ, ჩირიე ოსური, ანუსია ნოჯოხობუედ. თის მეუგურე. მუ-დაშა უწიო, დოცვილი-მაქ, მარა ვაყვილ. ირო ანუსია-ანუსიავა იძახედ დო მუს ხოლო ანუსია ქიგოდვეს მე-ზობელეფქ, ნამდვილი სახელი ლემა იშო გიჭყოლიდეს“.

ბურძგა

„პატუძღაბიჯგურა რე“.

ბუძგა

„ბურძგნული ბუმბული ჰქონდა“.

გაგა

გლახუა

„ხელზე გაზარდეს და გასართობად ჰყავდათ“.

კვანწილა (მ)

„ყვარლის ჯოხო საერთოთ კვანწილი“.

კვანწილია (მ)

„ყვარული რე, სქვამი, გერძე ბუმბული უდუდ, წიწილეს მეუხუნუანდეს“.

კიტა (მ)

კიტა

„კიტაიაში ჯიშიში რე“.

კორა (მ)

„მა ბრდი. სუმი წანერი რე. ვოლახაფინუნაქ, ყვილუა ვამლამუ. ჩქიმი ჯვეში თავადეფი რდეს დო ირო ცუნდეს მამირე ქოთომი. ქომოლ კორიში მეჯინა ულუ დო კორა გივოდვი“.

მიჭვია (მ)

სქერებნე

„სქერებნეშ ჯიშიში რე, ადღერიშე მიპუნით“.

ტორო

„ქოთომიშა მიჯოხოოდ. ტორო-ტორო-მაქ დუძახდინ, მათხოზუდუ“.

ფიღვია

„ყუჯეფწკმა ულუ ფიღვეფი. ფიღვია ულენ თი ბაღანას“.

	მეუცხუნანა ფილგაია ჩე ქოთომს. ფილგაია პატონეფი რე; ცუჯი დო ღვანწი უშინდ ბაღანას“.
ფიღვი	„ფიღვი უღუ ცუჯიშჯინც მეთ-მოე“.
ფრიმულამი	„ფრიმულეთი ჩანდ“
ქორორა	
ქორორია	„ქორორი უღუღუ“.
ღაღია	„ღოღაღეთერი რდ, გერძე ბურღა უღუღ, კუღელიშ მაგ- ერძა. ღაღია ღემუს ხოლო უღუ“.
ღორღონჯი (მ)	„ღღვიღვინანს, გვალო ღორღონჯი რე“.
ღოღო	„ღიღი რდ, ღოღორო“.
შათა (მ)	შამათავას (გვარია) გამოართევს და შათა უწოდეს. ხუთ წელს ჰყავდათ.
ჩაკატურა	„ღიღი ტანისა იყო“.
ჩოკორო	
ჭერჭოია (2)	„ჭრელი იყო“
ჭვირკა	„ჭვირკალა ქოთომი რე, ოჭვირკინანს, სუსტი ქოთომი რე, იცხვანტალჯნფერი“.
ჭიძალა	„წითელი იყო“.
ჭკადირია	„ჭრელი იყო“ -
ჯაჭო	„ჯაჭო დაღუი ჭერჭო ქოთომს ჯოხოს“.
ცუჯა	„ცუჯეფი აფუღ ფორილი ბურღაით“.

ძაღლის სახელები

ათულა	„სახელი ოკო ჯოხოდას ჯოღორს, თიშენი გიეოღვი“
აღია	„მოჭითე ფერიში რდ“.
აღმა	„აღიშფერიე, მოჭითე“.
ანკირი	თბილისიდან ჩამოიყვანა და ერქვა ეს სახელი.
არენდო (2)	„ღეკვობისას დავარქვი, რომ მაგარი ყოფილიყო. მარ- თლაც მაგარი გამოდგა“; „დაუნდობელი იყო“.

ართიმა	„აპვეფს ორღვანდეს. ვარღვათია, ართი მა ქედომიტეთია, ინგარ ბაღანაქ. ქედიტეს ართი დო ართიმაქ ქიგიადუ“;
არქა	„არქა, ქათხოზია, ლუძახუნა ჯოღორს“;
ატუია	„ღეკეს ასე ეფერებოდენ ბავშეები და სახელად შერჩა“;
არი	ნიშნავს „რეპინე“
ბათია	
ბათურა (10)	„გვანილი რე“; „ჯვეში სახეიე დო მახოო ქიგომღრღუ“; „მებათვალერი ჯოღორი რე, შხუ“.
ბანტურა	
ბარბუზი	
ბასარა	ბავშემა II კლასში ისწავლა მოთხრობა „ჭკვიანი ბასარა“ და იმ პერიოდში დაბადებულ ლეკეს ბასარა უწოდა.
ბაქურია	„ჯგერი ჯოღორი რე“;
ბახცა	„ბეხვერია რე, თონთორო, გვანილი“;
ბახურა	„შესქვილი რე“;
ბაჯვა	„მიობაჯვანს“;
ბელცა (4)	„ჩე რე“.
ბერცა	
ბექვე	„ბექვერია რე, მსუქანი“;
ბიგარი	
ბიმი	„პინოშე გინიღეს თე სახელი“;
ბობიცა	„ბობრი ფერი რდ, მორჩე, დო თიშენი გიგოდვი“;
ბობიკი (2)	
ბობცა (2)	
ბოთა	„ბათურა რდ დო ბოთაქ ქიგიადუ, ქიმიოღალღანდ ართი-ეღრიშა დო იშო გარენდჯდ, ნწარე ვარდ“.

ბორია (2)

ბოურა

„ყვამურა რე, ჭკუმუაშ მეტი მუთუნს ვართ“

ბოურია

ბოქსია

ბოქუ

ბოქურია

„არძანერშა გიდგინე. ბოქურია — ბოქურიას დო ვარა ბო-
თია — ბოთიას დუძახუნა არძა ჯოღორს“.

ბურგა

ბურდა

ბუღუი

„შესქვიი რე, ღონიერი“.

ბუღუია

„ტანო დიდი რდ“.

ბუძგა (2)

„ბუმბლიანი ჯოღორი რე“.

გერია (4)

„მანგარი რდ“; „გერიშფერი რე, შქირუ, ტუტაშფერი“;
„დიდი ჯოღორი რე, ძლიერი, გერიშ მსგავსი. ძირითადო
თიშენი. ფერი ხოლო თიშა უგუ. ქვიშორი რე, შქირუ“;
„ძონძორო რდ გერიცალო“.

გერმანი

„მანგარი ჯოღორი ცუნდ მეზობელს, თიშა უჯოხოდეც დო
მახოლო გივოდვი“.

გიშარა (2)

გიშერა (9)

„ერას გიოდვანა“; „ჭერჭო რდ, ფერნარევი“; „ჟრა რდ“.

გიშერი (3)

„ოქროშფერი ჯოღორს უძახუნა, შურო ვემიორე ართიანს“

გორია (3)

„მოურე რე“; „მავორაი რდ ჯგირი. ოჭოფუნდ მუშით ცეცორს
დო ააკვიფეს არზენდ ოჭკომალო“; „ეზოში ჯოღორშა მი-
ჯოხოლ. მეზობელს ცუნდ ჯგერი მონადირე ჯოღორი დო
თიში სახელი გინიბდი“.

გოშია

გუბერი

გუღუი

- გურმა „გურამი, მანგარი ჯაღორი რღ“.
- გურამი „კაბეტი ჯაღორი რღ“.
- დანდური
- დარაჯი
- დაუკვირდი „თამა კვალი გეუჭოფია. ლაკობაზე აფენა გედვადირი“.
- დიანა „ქემეფუროფ თე სახელქ“.
- დოგანი „დოგანუა რე კორი გერენ თი მხარეში დაკება“.
- დუღბარსი დიასახლისმა სადღაც გაიგონა ეს სახელი და დაარქვა
თავის ძალს.
- ენდო „წყნარი, მშვიდი რღ, ვარჩუდ კლუ. გამარჯობას უწი-
ინდინ, გეგნგაზარენდღ“.
- ცერდენი
- ცეფხია (3) „ცეფხიშ ფერი უღუ“; „ცეფხიჯგუა რე ფერო დო ტანო, დი-
დი“.
- ზარი „ზარიცალი კრიალა ხმა უღუ“.
- ზეფირი
- თაკარი „თაკარი რე, დარხვრცალ გელღ“.
- თამუნია „საქვამი რე დო თიშგურშენი გიოღვეს“.
- თოლია (7) „ჩი ჯაღორს უძახუნა“; „პრძანერშა გიღვინე“.
- თოფია
- თუმანა „თუმანშა რე. ნაყიდერი“.
- თუნთია (15) „დობახვეერი რე, ბეხვერია, ბონძორფი უღუ“; „თუნთი-
ჯგუა რე, კაბეტი“; „მეტი ძლიერი დო ბურღამი რე“;
„თუნთიჯგუა ბენთვერია რღ ლაკობაზე“; „კვანილი რღ“;
„მეუჭო ტანს დაშვენდუნ, თეში გივოღვი“; „თუნთიშ მა-
დიდა იყინია, მარა ჭიჭეტი იყუუ ტანო“.
- თურქია
- ინდუსი (2) „მომიოლ დო ქიგუოღვი“.

კაზბეგი	
კამანდა	„კამანდებეჟო რე გედვიარი“.
კაშტანა	
კაშტანი (2)	
კაშტანკა	
კეისა	„მეში გივოდვი“.
კვაკვა	„ჭიჭე რდ დო გიაკვაკვანდ“.
კვაკვალა	„ირო კვაკვალანდ“.
კვანცა	„ჭიჭე რდჷ თიშენი“.
კირკიზი	
კოლია	„მონადირე ჯოდორი რე, კოლცალო გილასხაპუნდ“.
კურია	„წიარი რდ, მანგარი ბურგუი უღუდ“.
კუსა	
კუსანა	
კუსია	
ლაბაშა (2)	
ლაიკა (4)	
ლესი (2)	
ლექსა	„ჰბრალთ გივოდვი. ასე ხოლო პუნც“.
ლექსო (2)	„ლექსო სახელი შესაფერი რდ. ატარტებული რდ ტანს ჩეთ დო ურათ. წოხლენი კურჩი უმოსი მაღალი უღუდუ. ასე პუნსუნ თის ხოლო ლექსო ქიგუოდვი, მარა ვარე შესაფერისი“; „ბავშვებმა დაარქვეს“.
ლოვიკია	„დამრქმევი ვერ ხსენის, თუ რატომ დაარქვა ეს სახელი“.
ლუბა	
ლუკარი	„ისარცალო მეურც ნიშანშა“.
ლუხურტია	„ბევრს ჭამს“.
მაკა	

მალღიში	„ჭიჭვე ტანიში რდ“;
მანჩქვა	„ხათე არაგუ ირფელც“;
მარკიზი	
მარსი	„ჭითა რდ დო მარსი ქიგუოდვი“.
მარჯანა (2)	„მონადირე ჯოდორიშ სახელთ გამიგონებუ“; „მარჯვე რდ“.
მასტერი	
მელია	„ჭიჭვე რე დო ტურას მოგენს“.
მერთია	„ქიმერაასია“.
მეხი	„დომენხასია ნადირი“.
მოთოზი	
მუკუზა	
მურა (8)	„ურა რდ მეტო“; „მაღალარი ჯოდორი, ჭითა დო ვარა ურა“; „ჯაბეტი რენ თიშენი“; „მთავარ ჯოდორიშა გიდვინე“; „დიდი რდ, შემატებული“.
მურგვა (4)	„ჯაბეტი ჯოდორს უწინა“; „ვე ზარმაცი რე“.
მურია (2)	
მუშკეტი	
მუხა	„მუხა მუხთარიშ შემოკლებული რე“.
მუხთარი	
ნამრეკი (2)	„ნამ რეკია ქუპასუხუქ კოც დო გეიოლ ჯოდორი“.
ნირქვა	„ნირვი უღუ შხუ“.
ნორი	„ქახე აფუდ ურა“.
ოლიმპიადა	„დაიბადა „ოლიმპიადა-80“-ის გახსნის დღეს“.
ოხერი	„დედა ძაღლი დაერგია წიწილების ჭამას. ის მოკლეს, ხოლო მის ლეკვს ოხერი უწოდეს“.
პანრო	
პოპსიკი	
პოხურა	„ჭიჭვე რდ, პოხურა“.

- ხვაბუ - „ხათე ქაჲვაბუჲ კოც“
 ულია(3) სადღაც გაეგონა და თვითონაც დაარქვა -
 ულიკი
 ურკა
 რაბინა
 რაბორი ვერ ხსნის, თუ რატომ დაარქვა.
 რისა „ქაჲლოანდეს კეტის დო უწინდეს, ართი რეისი გაკეთია
 დო ქიგიოსქვდ რეისაქ“.
 რექსი
 რება „დიდი, რუხი ფერიში“.
 რობიკი
 რაკო
 როსკა „ჩქიმი ჯვეშედეს უჯონოდეს დო მახოლო მიჯონო“.
 რუტია
 სამფერა(2) „სუმე. ფერი ულედ - ჩი, ჭითა დო უჩა“; „სუმ ფერი რე
 ნარევი“.
 სეირა(3) „მინადირე ჯოდორიშა უჯონონა დო მხ უბრალო. ჯოდორს
 - ქიგუოდვი“.
 სიგნალი „მუთუნც გემკაშქვანდ სერით“.
 სორდია „დაიკარგა ლეკვობისას. გვიან იპოვეს“.
 სწრაფია „ცოცხაიე“.
 ტარზანი(3) „წიარშა მიჯონო. ტარზან ბძირი კინო. უი მესხაბუნდ,
 ჯადოჯას გილეშ დო ჯოდორს ქიგუოდვი, ჯგირი იყიი მაქ
 ვიფიქრი“.
 ტიგრა „ფეფხიციასო რე. დაზუეი“
 ტოდუცი „შხვანე გინიბლი“.
 ტრეზორი
 ტრუბა(7) „თე სახელქ მემეხასიათ“ „ტრუბას მელგურეთ პლანით“;

	„მხვადოხოლო უჯოხონა“; „ვეშეფერუბუ, აეში უძახეა“.
ტრუბიკა	
ტუზიკა	
ტუზიკი	
ტუკი	ვერ ხსნის, რატომ დაარქვა.
ტურა	„ყუჯი უღუფ ცქვირა, ტურაშორა“.
ტურიია	„ტურას მოგინდე“; „ტურას გე მოყვანილობათ“.
ტურშა	
ტურკა	
ურაშია	„მანგარი ჯოღორი რე, ურა“.
ფათილი	„ოთხი წანერი ჰაღანაქ დუძახ. უკული არძას თაში გიოდვანა ჩქენი ოჯახის“.
ფადია	/
ფანცურა	„მონადირე რე. ქოძირუნს კურდღელს ღო უფანცურუანს კუდელს“.
ფანცურია	
ფარქუზი	„ფარქუზია ჯოღორი რე, ჭიჭე ღო სქემი“.
ფაფალა	„წიარი რე. მიფაფალეჯ“.
ფაქიზა (2)	
ფაცაცია	„ჭიჭე ჯოღორს გიოდვანა“.
ფაცურა	
ფახი	
ფახუ	„ოფხივინანს, კაბეტი რე“.
ფახურა	„ყუჯიფო გილაფახვილი აფე“.
ფახურიია (2)	„ჭიჭე რე ტანო“; „ჰაეშემა დაარქვა, რადგან მი- ზობლისას ერქვა“.
ფახუცა	„ჭიჭე, მიჩილი ჯოღორი რე“.
ფეთქა	„ჰვალს გეჭოფინდე ღო ქუფეთქინდე, ხათე გეიოყთანდე“.

ფერადა	„შხვადლოშხვა ფერიშ რდ“.
ფერია	„ფერო ჯოლორი რდ“; „შხვადლოშხვა ფერიში რდ“;
ფიგურა	„პოც ვემეკართე, მიფიგურ ხათე, სწრაფიე“.
ფიგური	
ფინია	
ფირუზა	
ფორმია	„ფერნარევი რდ“.
ფოქუზა	
ფოქუზი	
ფოხურია	„ჭიჭეს ჯოხოდ ფოხურია დო სახელო ქიგიოსქელ. დირჩენ დო ხოლი ფოხურია რე“.
ფუთია	„ფუთიშე რე მენაქუნეფი“;
ფურია	„ფურინენს“.
ქარია (3)	„ქარი რდ, კურდელს მიოჭიშუანდ“; „ძაღლის ტრადიციული სახელია ჩვენს ოჯახში“.
ქორია	
ქორისა	„ბადანობას მიკითხირ წიგნის. მემეწონ სახელქ დო ჩქიმი ჯოლოს ქიგუოდეი, თის ქაგურუ მაქ, ვიფიქრი დო ქოთი გვალ ჯგერი რე“.
ქუგინი	„მახინც ქუგინას ოკო“.
ქუთულა	„ლაქუცა რე“.
ქურუმია	
ყარაჩი (2)	„ყაბჭტი რე, ტანო დიდი“.
ყეისა	
ყურზა	„ყალი ყუჯი უღუ შხვა ფერიში“.
შავა	
შაირი	„შაირიანი რდ“.
შამენა	„ჩქიმი ოსურც ქუგუგონებუღუ სოდგარენი დო ქიგიოდუ“.

- შენდია „შავი იყო“
- შარდენი
- შარკია (3)
- შარკი (9) „რვეი ჯოღორიშ გიდვინე“; „ჭიჭე დო სქვამი რე“; „ვეშე-
ფერებუ, თეში უძახჷა“.
- შერია „უბადო ჯოღორი რე“
- შურდული
- შურდუმი
- შურია
- ჩაიკა
- ჩაძა
- ჩაძი
- ჩერგეზი „დიდი ჯოღორი რე“.
- ჩერმენი
- ჩორნა (2)
- ჩოხო „ჯუა ჯოღორი, კაბეტი“.
- ცარქვა
- ციქურა „ცილქი რე, იციქურე, ბაღანეფქ გიოდვეს“.
- ცოკურია „პატარა და ლამაზი იყო“.
- ცოცია „ჭიჭე რე, ცოკორია“.
- ცოხურა „ღიკვს დაარქვეს ფოხურა, მაგრამ პატარა ბავშვმა გამო-
თქვა მხოლოდ ცოხურა და ეს სახელი შერჩა“.
- ცუგა (2) „ჭიჭე ჯოღორიშ გიდვინე, ცუგრემელაშა, ფინია ხოლო ოკო
ჯოხოდას თეს, სახეს გორანს ძვენძვერია თემა“.
- ცუგრია „პატარა ტანისა იყო“.
- ცუცია (2)
- ცუცქა „პატარა ტანისაა“.
- ცქუცქა „ჭიჭე ჯოღორს გიოდვანა“.

ცხოველია

ძაღუ

ძებნია (2)

ძვანძვალა

ჭიკო

ჭოფია (4)

ჯანგერა

ჯანდარი (3)

ჯიკა (3)

ჯიკი

ჯილა

ჯიტი

ჯილდა

ჯირიმი

ჯონდო

ჯუბა (2)

ჯუბერი (3)

ჯულბა

ჯულბაზი

ჯულბარსი (2)

ჯულბასი (5)

ჯუმბერი

ჯუნგლი (2)

ჯურბა

ჯორუ

„ოძვენძვანია თუმა უღუ, ძვენძვერია რე“.

„ჭიჭე რენ თიშენი“.

„ოჭოფას ნადირინ თიშგურშენი“.

„ჩაჭოყვანეს ცხაკაიადან. დედა ძაღლს ერქვა ჭოფია. ლეკვსაც ეს სახელი დაარქვეს, ისეთივე მაგარი იქნებაო“.

„დაუნდობელი რე“.

„დიდი ჯოდორიშა გიდვინე“.

„მეზობელიშის ჯოხოდ დო მახლოო ქიგუოდვი“.

„მოშტირუე ჯოდორიშა მიჯოხოდ, თე სახეი შეეფერებუდ“.

„ოჯვიბინანდ“.

„მხვანერი გოჯინა უღუ“.

„ჯოდორიშა ირფეი გიდვინე. მა თენა გემიძ“.

„დიდი ჯოდორიშა გიდვინე“.

„ბაღანდუქ გიოდვის, ცამირქ სოდე მიდესჯნ“.

„ფეხვერია რე, სრუი“.

„ოჯვირინანს, მხუ სახე უღუ“.

ცვანგუ „სვანგურია რე, გილეყვანგალ, ჭკუმუაში მეტი მუთუნც
ვართ“.

კატის სახელები

ბახვა „მხუ რდ. ფულუ ეშმაყუნდ დინაში. ბახვას ლუძახედი დო
ქემიშ“.

მესიაკონი „ეშმაკი კატუ რდ. ვირახას ოჭოფუნდ დო მინდოქს ქედოფ-
ვანდ“.

სხაპისხაპი „ამ სიტყვებით ათამაშებდა და ღაერქვა .

ცაბუნია „კქვამი რე დო საყოროფოთ მიჯოხო“.

ხვიზა „ნდემი რდ, ოხვიზინანდ“.

ი ნ ტ ო რ მ ა ნ ტ თ ა ს ი ა

ათათია ჯოგო პეტრეს ძე, 57 წ. ს. ნახუნაგო.

ამანაძე უორცი ამბროსის ძე, 58 წ. ს. ქვაითი.

ბარათელი შალვა ანტონის ძე, 67 წ. ს. ლებაინდრაგო.

ბასილაია ანდრი საბას ძე, 63 წ. ს. საღაინო.

ბასილაია გურამ ბიქტორის ძე, 45 წ. ს. საღაინო.

ბადრევილი ბესარიონ იოსების ძე, 64 წ. ს. ბაჭედილი.

ბადრევილი ისაკ იოსების ძე, 72 წ. ს. გაჭედილი.

ბერია არსენ (იოსებ) ნესტორის ძე, 75 წ. ს. ლეხაინდრაგო.

ბერიშვილი იასონ კონსტანტინეს ძე, 69 წ. ს. საღაინო.

ბერიძე სარდიონ გაბრიოს ძე, 62 წ. ს. გურძემი.

ბუალავა დავით ოეოცილეს ძე, 62 წ. ს. ბაღდა.

ბუალავა ვალოდია ივანეს ძე, 44 წ. დ. გეგეჭკორი.

გაგუა დავით აღიოზას ძე, 24 წ. ს. ლეხაინდრაგო.

გაგუა სამსონ სტეფანეს ძე, 77 წ. ლეხაინდრავო.
გალდავა პარმენ სტეფანეს ძე, 64 წ. თამაკონი.
გიგეჭკორი მირო შალვას ძე, 42 წ. ინჩხური.
გიგეჭკორი შალვა ფარნას ძე, 78 წ. ინჩხური.
გვილავა ამირან ერმილეს ძე, 39 წ. ქვაითი.
გვილავა შალვა ბესარიონის ძე, 54 წ. ქვაითი.
გრიგალავა ისლამ (ხუტა) კონსტანტინეს ძე, 67 წ. გიგეჭკორი.
გულორდავა კოლია იოსების ძე, 73 წ. გურძემი.
დანელია აკაკი გიორგის ძე, 85 წ. ბანძა.
დანელია ბაგრატ კოსტას ძე, 66 წ. ლეხაინდრავო.
დანელია ბაგრატ პავლეს ძე, 76 წ. ნაჯახავო.
დანელია ბეგლარ კონსტანტინეს ძე, 82 წ. ლეხაინდრავო.
დანელია ვარლამ (ბულა) იულონის ძე, 71 წ. ნაჯახავო.
დანელია ვლადიმერ გვარჩის ძე, 70 წ. ლეხაინდრავო.
დანელია ვლადიმერ კოსტას ძე, 48 წ. ლეხაინდრავო.
დანელია კოლია გრიგოლის ძე, 46 წ. ნაჯახავო.
დარჯანის ლევანი გერასიმეს ძე, 77 წ. ონოლია,
დარჯანია ლუკა (ბუხუტი) ნიკოლოზის ძე, 64 წ. ონოლია.
დარჯანია ტროფიმე (დავით) გიორგის ძე, 70 წ. ონოლია.
ვახანია ივლიანე ნიკოს ძე, 58 წ. ბანძა.
ვახანია ტატიანა მალაქიას ას. 52 წ. ბანძა.
ზარქუა დავით (უტუ) მიხეილის ძე, 55 წ. აბედათი.
ზარქუა ჭიჭიკო ნიკოლოზის ძე, 57 წ. ნახუნავო.
თაფლამძე აკაკი მიხეილის ძე, 69 წ. გიგეჭკორი.
თოდუა ათანასე პახვალას ძე, 95 წ. ტაღერი.
თორდინავა მირო სიდოს ძე, 67 წ. სალხინო.
თოფურია ლავრენტი ვასილის ძე, 67 წ. გიგეჭკორი.

კანკია რაუდენ მიხეილის ძე, 64 წ. ბანძა.
 კიკელია იაკობა კოსტას ძე, 100 წ. ბანძა.
 კეშელავა კარლო სერაპიონის ძე, 52 წ. საღბინო.
 კეშელავა მამია ალექსის ძე, 59 წ. ტაღერი.
 კვაშილავა იასონ კონსტანტინეს ძე, 65 წ. თამაკონი.
 კვიციანი იზდორე ბესარიონის ძე, 73 წ. ნაჯახავო.
 კვიციანი დავით ისაკის ძე, 71 წ. გიგეჭკორი.
 კვიციანი სიმონ გიორგის ძე, 52 წ. გიგეჭკორი.
 კვიციანი ტერენტი ლევანის ძე, 64 წ. გიგეჭკორი.
 კიკელიშვილი ბიქტორ მოსეს ძე, 67 წ. ნახუნავო.
 კიკელიშვილი ჯემალ არჩილის ძე, 44 წ. გიგეჭკორი.
 კირტავა შოთა იონას ძე, 88 წ. ნახუნავო.
 კოკია-დანელია ლლა ალექსის ას. 70 წ. ნაჯახავო.
 კოხია მიხეილ შარვანის ძე, 78 წ. გურძემი.
 ლაშხია ლაზარე დავითის ძე, 72 წ. ტაღერი.
 მილორავა ალექსანდრე დათას ძე, 75 წ. გურძემი.
 მიქავა იმარ ამბაკოს ძე, 51 წ. აბედათი.
 მიქავა ჯემალ სიმონის ძე, 35 წ. აბედათი.
 მიქაია ბორია (ირაკლი) ერმინეს ძე, 70 წ. ონოლია.
 ნაჭყებია ალიოზა, ივანეს ძე, 46 წ., კურზუ.
 ნაჭყებია კაკა ფარნას ძე, 58 წ. ტაღერი.
 ნაჭყებია კარლენ (გვადა) გიორგის ძე, კურზუ.
 ნაჭყებია ლეტიერი, კურზუ.
 ნემსაძე ბათუ ზურაბის ძე, 80 წ. აბედათი.
 ნიკოლავა ბახვა მარკოზის ძე, 41 წ. ჯოღვი.
 ოდიშარია ნოდარ მიხეილის ძე, 31 წ. ნახუნავო.
 პატარაია ქსენია გუდუს ას. 61 წ. ბანძა.
 პირტახია ხუტუ ძაკუს ძე, 52 წ. თამაკონი.

რუხაია ალექსანდრე ექვთიმეს ძე, 76 წ. ქვაითი.
რუხაია ივლინ ანდრეას ძე, 74 წ. გაჭვიდილი.
სიგუა ბესარიონ ნიკოს ძე, 79 წ. ნახუნავო.
სიგუა ზოია შალვას ას. 33 წ. ნახუნავო.
სიგუა პლატონ არსენის ძე, 63 წ. ნახუნავო.
სიგუა სოსო (ლადო) ლევანის ძე, 47 წ. სერგიეთი.
სიგუა შოთა ესტატეს ძე, 51 წ. ნახუნავო.
სიგუა ჭვება დიმიტრის ას. 86 წ. ნახუნავო.
სოსელია ირაკლი დომენტის ძე, 53 წ. ჯოლევი.
ტორჩინავა სვერიანე (დურუ) ივანეს ძე, 70 წ. ჯოლევი.
ურავა გრიგოლ ივანეს ძე, 79 წ. ინჩხური.
ფაღვა თეიმურაზ (გაბო) გრიგოლის ძე, 87 წ. ბანძა.
ფირცხალავა ევგენი კოფოს ძე, 51 წ. ინჩხური.
ფირცხალავა ილარიონ (დუტუ) რაუდენის ძე, 59 წ. ნახუნავო.
ფირცხალავა ნესტორ კოსტას ძე, 67 წ. ინჩხური.
ფრანგიშვილი შუქური ივანეს ძე, 51 წ. ქვაითი.
ქაჯაია ნიკო სვიმონის ძე, 84 წ. ონოლია.
ქაჯაია სიმონ კიმოთეს ძე, 76 წ. ონოლია.
ქუთათელაძე დავით ზოსიმეს ძე, 71 წ. სერგიეთი.
ყურაშვილი ვლადიმერ ნესტორის ძე, 71 წ. ჯოლევი.
ჩაბრავა პარმენ ფუშუს ძე, 51 წ. აბედათი.
ჩაგუნავა ევგენი ლადიკოს ძე, 69 წ. ხუნწი.
ჩილაჩავა ვარლამ ფართხუს ძე, 68 წ. ვურძემი.
ცაავა აკაკი ანდრეას ძე, 60 წ. სალხინო.
ცაავა ბიკი შავლეს ძე, 67 წ. სალხინო.
ცაავა ოლეგი ბიქტორის ძე, 27 წ. სალხინო.
ცანავა თედორე ილარიონის ძე, 81 წ. ნახუნავო.
ცეკვავა დიომიდე ერმალოს ძე, 52 წ. ჯოლევი.
ცეკვავა მიხეილ ბარდღუს ძე, 67 წ. ჯოლევი.

ცერცვაძე ივლიანე მედორეს ძე, 53 წ. აბედაიი.
ცხაკაია ილია ერმინეს ძე, 61 წ. ქვაიიი.
ძაგანია გრიგოლ ივანეს ძე, 67 წ. ონოლია.
ძარია აკაკი (გვატა) ლევანის ძე, 58 წ. ქვაიიი.
ძაძამია შოთა იონას ძე, 65 წ. ქვაიიი.
წოწორია თათაში დიმიტრის ძე, 51 წ. ინჩხური.
წოწორია პარმენ (სამსონ) ალექსის ძე, 76 წ. ინჩხური.
წოწორია როინ მაკარის ძე, 39 წ. ინჩხური.
წულაია აკაკი ღუტუს ძე, 79 წ. საღხინო.
წულაია გრიგოლ შალაქიას ძე, 68 წ. ბაღდა.
წულაია გულუ ათანასის ძე, 57 წ. გაჭედილი.
წულაია კოსმა ბორგოს ძე, 53 წ. ბაღდა.
წულაია პროკოფი ესტატეს ძე, 68 წ. გაჭედილი.
ჭითანაძე ისლამ ივანეს ძე, 61 წ. სერგიეიი.
ჭუბაბრია-გაბისონია ოლა შავლეს ას. 76 წ. გეგეჭკორი.
ხორაძე ინდიკო ამროზის ძე, 52 წ. ინჩხური.
ხუნწელია კალისტრატე კოსტას ძე, 81 წ. ქვაიიი.
ხურცილავა გულნარა ომარის ას. 23 წ. ბაღდა.
ხურცილავა ელიზბარ(კუზუ) ნოდარის ძე, 10 წ. ბაღდა.
ხურცილავა ნოდარ კაპიტონის ძე, 47 წ. გაჭედილი.
ჯამბურია კომუნარი ლეონტის ძე, 42 წ. გაჭედილი.
ჯანაშია ვალოდია შევასტის ძე, 53 წ. თამაკონი.
ჯანჯღაძე ალექსანდრე (კოკი) ალექსის ძე, 62 წ. საღხინო.
ჯანჯღაძე ალექსანდრე ნესტორის ძე, 62 წ. გაჭედილი.
ჯანჯღაძე დავით ნიკოლოზის ძე, 63 წ. გაჭედილი.
ჯანჯღაძე ილარიონ პახვას ძე, 75 წ. გაჭედილი.
ჯაშია მამია ბიქტორის ძე, 53 წ. გეგეჭკორი.

ჯგერენაია დათიკო დომენტის ძე, 51 წ. გურძემი.

წიგნოლაძე კუკუშა ილიას ძე, 56 წ. გურძემი.

ჯიქიძე არტემ (ხუტა) ხარიტონის ძე, 69 წ. გეგეჭკორი.

ჯოჯუა სანდრო ირაკლის ძე, 53 წ. ტაღერი.

ჯოჯუა ჯოგო (ლეონტი) შამეს ძე, 62 წ. ტაღერი.

П. А. ЦХАДАИА

Материалы колхской зоонимии

Р е з ю м е

Автор публикует материал, собранный им в 1978–80 гг. в индивидуальных хозяйствах Гегечкорского района. Весь материал разбит на следующие группы: клички коров (348 единиц); быков (134 единицы); буйволов (32 единицы); лошадей (99 единиц); коз (153 единицы); свиней (31 единица); собак (270 единиц); кур (31 единица); кошек (5 единиц) – всего 1103 единицы.

За некоторыми зоонимами в скобках дана цифра, которая указывает на частоту употребления данной клички. Далее приводится толкование информанта по поводу мотивации данного зоонима. К статье приложен список информантов.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ტოპონიმოკა

მ. ა ნ ღ რ თ ნ ი კ ა შ ე ი ლ ი, ირანული ტოპონიმოკური
ელემენტები ზოგიერთ ქართულ დიალექტში 5

გ. ბ ე ლ თ შ ე ი ლ ი, ტოპონიმი ს ა ი რ ხ ე 16

მ. ბ ე რ ი ძ ე, სპარსული ელემენტები ჯავახეთის ტოპონი-
მიში 21

მ. გ ე გ ე შ ი ძ ე ჰიდრონიმული წარმოშობის ქართული ტო-
პონიმები 44

ლ. გ ვ ე ნ ე ტ ა ძ ე, ტოპონიმა ოდენსუფიქსური წარმოება
ოკრიბის ტოპონიმის მიხედვით 50

გ. ე ლ ი ა ვ ა, სოციალური ხასიათის ტოპონიმები, მათი კლა-
სიფიკაცია და შემეცნებითი ღირებულება 64

გ. თ თ ფ უ რ ი ა, „ბინალულ“-ის ეტიმოლოგიისათვის 74

მ. კ ე მ უ ლ ა რ ი ა, თურქულ-აზერბაიჯანულენოვანი ელემენ-
ტები ქვემო ქართლის ქართული სოფლების ტოპონიმიში . . . 84

ზ. კ ი კ ნ ა ძ ე, საკრალური ტოპონიმი 92

ფ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, -ა სუფიქსის მასუბსტანტივებელ-მატო-
პონიმებელი ფუნქციისათვის ქართულში 106

ფ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, სინონიმური ტოპონიმები ქართული წერი-
ლობითი წყაროების მიხედვით 113

ვ. მ ა ლ რ ა ძ ე, რეგოონული ტოპონიმის წარმოების საკი-
თები (კასპის რაიონის მასალაზე) 123

ს. მ ე ლ ი ქ ი ძ ე, სინონიმი ბორჯომის ხეობის ტოპონიმი-
ში 137

ნ. თ თ ნ ა შ ე ი ლ ი, ნასოფლარ ა ტ ე ნ ი ს ლოკალიზა-

ციისათვის	145
უ. ს ა ლ თ ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი, ტოპონიმ „ა კ რ ი ა ნ ი ს“ ეტიმოლოგიისათვის	148
მ. ს ა ნ ა ყ თ ი, ჩრდილოეთ ოსეთის ზოგიერთი ტოპონიმის შესახებ	154
ა. ტ უ ლ უ შ ი, კვლავ ზ უ გ დ ი დ ი ს ეტიმოლოგიისა- თვის	158
თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, თუშეთი და არა მთათუშეთი.	165
მ. ქ ა მ ა დ ა ძ ე, პრეფიქს-სუფიქსური წარმოება ზემო აჭა- რის ტოპონიმიში	169
რ. ც უ ც ქ ი რ ი ძ ე, არქაული და ნასესხები ლექსიკა კას- პის რაიონის ტოპონიმიში	179
ა. შ ი ა ლ უ ა, ტოპონიმიკურ შესატყვისობათა ძირითადი პრინ- ციპები (ქართველურ ტოპონიმთა მონაცემების მიხედვით).	181
ზ. შ უ მ ბ უ რ ი ძ ე, ტოპონიმიკური ძიებანი. კრობანი.	229
კ. ხ ა რ ა ძ ე, საქართველოს ძველი ტოპონიმების კვლევის ასპექტები	234
გ. ხ ო რ ნ ა უ ლ ი, კარტოგრაფიული მასალა როგორც წყარო ქართული ტოპონიმის შესასწავლად	245

ანთროპონიმიკა

შ. ა ფ რ ი დ თ ნ ი ძ ე, ზანური ანთროპონიმის ზოგიერთი საკი- თბისათვის (კვლავ ჯაკობია, უორდანია ტიპის გვარების შესახებ)	252
ქ. გ ო დ ე რ ძ ი შ ვ ი ლ ი, საკუთარი სახელის საკითხისა- თვის ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში	260
ს. მ ე ლ ი ქ ი ძ ე, პეტგვარი და მისი წარმოება ბორჯომის ხეობის ქართულში	291
ზ. ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე, ანთროპონიმთა იშვიათი ფორმები	

- მ. ქ ა ლ დ ა ნ ი** სვანური საკუთარი სახელების სემანტიკა და სტრუქტურა (სულთა მატიანის მასალაზე მიხედვით) 304
- გ. ც ო ც ა ნ ი ძ ე, თუშეთში გავრცელებული გვარები და სახელები საეკლესიო ჩანაწერების მიხედვით 309
- ა. ჭ ი ნ ჭ ა რ ა. უ ლ ი, ვაჟა-ფშაველას ზოგი პერსონაჟის სახელისათვის: 1. ფენჩაძე ჯამრული (ფენჩაიშვილი), 2. ზაზულია 324
- ნ. ხ ა ზ ა რ ა ძ ე, გვიანხეთური ხანის აღმოსავლეთ კაპადოკიის ანთროპონიმიკისათვის 365

თეონიმიკა

- ა. ლ. ე კ ი ა შ ე ვ ი ლ ი, ქართველ მთიელთა ღვთაება კვირბას საკითხისათვის 373

კოსმონიმიკა

- ლ. შ ა ლ ვ ა შ ე ვ ი ლ ი, კოსმოსის ათვისებასთან დაკავშირებული ახალი ტოპონიმები (გაზეთ „კომუნისტის“ მასალის მიხედვით) 396

ზოონიმიკა

- პ. ც ხ ა დ ა ი ა, კოლხურ ზოონიმიტა მოტივაციის საკითხისათვის 410
- პ. ც ხ ა დ ა ი ა, კოლხური ზოონიმიის მასალები 426

СОДЕРЖАНИЕ

ТОПОНИМИКА

М. К. Андроникашвили, Иранские топонимические элементы в некоторых грузинских диалектах	13
Г. В. Бедошвили, Топоним Саирхе	19
М. И. Беридзе, Персидские элементы в топонимии Джавахети	42
М. К. Гегешидзе , Грузинские топонимы гидронимического происхождения	49
Л. Ш. Гвенетадзе, Суффиксальные образования в Окрибской топонимии	62
Г. В. Элиава, Топонимы социального характера, их классификация и познавательная ценность	72
Г. В. Топурия, К этимологии ХИНАЛУТ "xinaluṭ"	81
М. И. Кемулариа, Турецко-азербайджанские элементы в топонимии грузинских деревень Нижней Картли	91
З. Т. Киквадзе, Сакральная топонимия	104
П. Н. Макалатиа, О топонимизирующей функции суффикса- <i>ა</i> в грузинском языке	III
П. Н. Макалатиа, Синонимичные топонимы в грузинских письменных памятниках	121
В. А. Маградзе, Вопросы образования региональной топонимии (по материалам Каспского района)	134
С. И. Меликидзе, Синонимия в топонимии Боржомского ущелья	144

Н. В. О т и н а ш в и л и, К вопросу о локализации селища А т е н и	147
У. Д. С а л т х у ц и ш в и л и, К этимологии топонимов А к р ш а н и	152
М. К. С а н а к о т и, О некоторых топонимах Северной О с е т и и	157
А. Т. Т у г у ш и, Еще раз об этимологии З у г д и д и	162
Ф. Т. У т у р г а я д з е, Т у ш е т и или М т а т у - ш е т и ?	168
М. Р. К а м а д а д з е, Префиксально-суффиксальное образование в топонимии Верхней Аджарии	176
Р. Л. Ц у ц к и р и д з е, Архаическая и заимствованная лексика в топонимии Каспского района	180
А. К. Ч к а д у а, Основные принципы топонимических соответствий (по материалам картвельской топонимии)...	220
З. Т. Ч у м б у р и д з е, Топонимические разыскания К р о б а н и	233
К. П. Х а р е д з е, Аспекты исследования древних топонимов Грузии	243
Г. И. Х о р н а у л и, Картографический материал как источник для изучения грузинской топонимии	251

АНТРОПОНИМИКА

Ш. Т. А п р и д о н и д з е, Некоторые вопросы занской антропонимии (Еще раз о фамилиях типа Длакоба, Жордения)	258
---	-----

К. М. Г о д е р д з и ш в и л и, О собственных именах в грузинской грамматической литературе	288
С. И. М е л и к и д з е, Семейное прозвище и его образование в Картлийском говоре Боржомского ущелья ...	298
З. А. С а р д ж в е л ' а д з е, Редкие формы антропонимов в древнегрузинском языке	302
М. М. К а л д а н и , К образованию имен собственных в сванском языке (по материалам исторических памятников Сванетии).	307
Г. И. Ц о ц а н и д з е, Семейные и имена, распространенные в Тушети по данным церковных записей	323
А. Л. Ч и н ч а р а у л и, Об именах некоторых персонажей Важа-Пшавела	362
Н. В. Х а з а р а д з е, Антропонимика Восточной Каппадокии позднехеттского времени	370

ТЕОНИМИКА

А. С. Л е к и а ш в и л и, К вопросу о природе божества К в и р и а	393
---	-----

КОСМОНИМИКА

Л. К. Ш а л в а ш в и л и, Топонимы, связанные с освоением космоса	409
--	-----

ЗООНИМИКА

П. А. Ц х а д а и а, К вопросу мотивировки колхских зоонимов	424
П. А. Ц х а д а и а, Материалы колхской зоонимии	480

გამომცემლობის რედაქტორი მ. გიორგობიანი
ტიქნიკური ჭედაქტორი ი. ხუციშვილი
კორექტორი ე. აფორიაშვილი

სპ I006

ბეღმონწერილია დასაბეჭდად 22.02.84. უფ 00937.
საბეჭდი ქაღალდი 60 X 84. პირობილი ნაბეჭდი
თაბახი 30,5 სააღრ.-საგამომც.თაბახი 21,5
ტირაჟი 1000 შუკვეთის № I2I6
ფასი 2 მან. 50 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პრესბექტი, I4.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, I4.
საქ. სსრ მეც. აკად. სტამბა, თბილისი 60,
კუტუზოვის ქ. I9.
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 60, ул. Кутузова I9.